

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული  
ლიტერატურის ინსტიტუტი**

**პლასიკური და თანამედროვე  
ეპოქული მწერლობა**

**№ 10**

**თბილისი  
2006**

რედაქტორები: ინგა მილორავა  
ზეინაბ სარია

მეცნიერი კონსულტანტები: გურამ ბენაშვილი  
ნესტან სულავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
თინათინ დუგლაძე

რედაქციის მისამართი:  
0108, თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. №  
ტელ. 99- 3-00

E-mail: [rezomir@yahoo.co.uk](mailto:rezomir@yahoo.co.uk)

ISBN 99940-863-3-2

© გამომცემლობა „ზეკარი“

კრებული იბეჭდება ავტორთა ხარჯით.

## პველი ქართული მწერლობა

გოჩა კუჭუხიძე

### „წმიდა ჰაბოს წამების“ ტექსტისათვის

„წმიდა ჰაბოს წამების“ ხელნაწერთა მონაცემები გვაძლევს საფუძველს, რომ დადგენილ ტექსტებში ზოგიერთი ცვლილება შევიტანოთ:

გამოცემულ ტექსტებში დადგენილია: მორწმუნენი „ქრისტის სიყვარულითა და შიშითა, ჩვეულებისაებრ მამულისა სლვისა, ჭირთა მოთმინებითა არა განეშორებიან მხოლოდ შობილსა ქესა ღმრთისასა“ (1,55; 2,50; 3,159; 6,1054, 1117).

თუ ხელნაწერებში საბანისძისეული სიტყვები სწორად არის შემონახული, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ ავტორს უთქვამს: – მორწმუნეები ქრისტეს სიყვარულითა და შიშით, ჭირთა მოთმინებით, მამულის სლვის ჩვეულებისდა შესაბამისად არ შორდებიან ქრისტესო.

ეფიქრობთ, საბანისძე „მამულის სლვაზე“ კი არა, არამედ, ტრადიციის, მამულის ჩვეულების შესაბამისად, ე. ი. მამულის ჩვეულებისამებრ მორწმუნე ადამიანების სლვაზე (დვოის გზით სიარული იგულისხმება) ლაპარაკობს. ტექსტში „სლვითა“ უნდა დამკვიდრდეს. ასეთ შემთხვევაში აზრიც უფრო ნათელი გახდება და სტილიც გაიმართება, - ამ წინადაღებაში სხვა არსებითი სახელები ვთარებით ბრუნვაშია: „სიყვარულითა... შიშითა... მოთმინებითა არა განეშორებიან... ქესა ღმრთისასა“. ტექსტი, ჩვენი აზრით, ასე უნდა დადგინდეს: „ქრისტის სიყვარულითა და შიშითა, ჩვეულებისაებრ მამულისა სლვითა, ჭირთა მოთმინებითა არა განეშორებიან მხოლოდ შობილსა ქესა ღმრთისასა“.

„გარ ეწოდა, რამეთუ თქუა: „მე ვარ კარი ცხოვართად“ (1,60; 2,52; 3,160; 6,1058,1119; იხ. იოვ. 10,9; - 2,52). A ხელნაწერში დადასტურებულია - „იწოდა“ (2,52). შემდეგ: „გზა ეწოდა, რამეთუ თქუა: „მე ვარ გზად და ჰემარიტებად, რამეთუ ზეცად აღმაგლთა გუექმნების ჩუენ გზა“ (1,60; 2,52; 3,160; 6,1058,1119; იხ. იოვ. 14,6; - 2,52). FGHIKLMN ხელნაწერებში იკითხება „იწოდა“ (2,52); „მწყემს ეწოდა, რამეთუ თქუა: მე ვარ მწყემსი კეთილი“ (1,60; 2,53; 3,160; 6,1058,1120; იხ. იოვ. 10,14; - 2,53).

ამ შემთხვევაში ყურადღებას ის ფაქტი იქცევს, რომ უფლის სახელთა განმარტებისას იოვანე საბანისძესთან ყოველთვის დაზუსტებულია, ესა თუ ის სახელი როდის ეწოდა უფალს წინასწარმეტყველის ან მახარებლის მიერ და რომელია ის სახელები, რომლითაც უფალმა თვითონ მოიხსენია თავი, რომელი სახელები „იწოდა“ მან. მაგ., „ანგელოზი“ წინასწარმეტყველის მიერ ეწოდა უფალს: „ანგელოზ ეწოდა, რამეთუ ერქუმის მას წინასწარმეტყველისა მიერ დიდისა ზრახვისა ანგელოზი“ (2,54; - იგულისხმება დავით წინასწარმეტყველი, - იხ. ფხალ. 9,6; - 2,54); „კაც ეწოდა, რამეთუ თქუა წინასწარმეტყველმან: „პაცი არს და ვინ იცნას იგი“ (2,54; - ამ შემთხვევაში იერემია წინასწარმეტყველზეა დაპარაკი; - იხ. იერემ. 17,9; - 2,54); „ლოდ საკიდურ ეწოდა წინასწარმეტყველისა მიერ“ (2,53; - დავით წინასწარმეტყველი იგულისხმება; - იხ. ფხალ. 117,22; - 2,53); „ნათელ ეწოდა მის მიერვე“ (2,54; - იოვანე მახარებელს გულისხმობს იოვანე საბანისძე, - იხ. იოვ. 1,9... - 2,54). მაგალითების მოვანას აღარ გავაგრძელებთ, ვთიქრობთ, ცხადად ჩანს, - იოვანე საბანისძესთან სახელთა განმარტებისას ყოველთვის მკაფიოდ არის გარჩეული, თუ როდის თავად უფალმა „იწოდა“ და როდის წინასწარმეტყველთა და მახარებელთა მიერ ეწოდა მას ესა თუ ის სახელი. ტექსტში, როგორც ამაზე ხელნაწერები მიგვანიშნებს, უნდა დადგინდეს: „კარ იწოდა“, „გზა იწოდა“, „მწყემს იწოდა“.

„ქველის მოქმედმან დმერთმან არწმუნა გულსა მაჭდი ამირა მუმნისასა განტვებად წერსხსი“ (1,63; 2,56; 3,163; 6,1064,1123 - „ქველისმოქმედმან“).

C ხელნაწერში დადასტურებულია „ამირ მუმნი“ და არა - „ამირა მუმნი“ (2,56). ქართულ ენაში შემოსული სიტყვა „ემირი“ არაბულად ჟღერს როგორც „ამირ“ (امير), მისი მნიშვნელობებია: მბრძანებელი, მმართველი, განმგებელი, მთავარი, მარზპა-

ნი, ემირი (4,17). „ამირა“ ქართულ ენაში ტფილისის განმგებლის აღმნიშვნელი ტერმინი გახდა, ნაწარმოების განსახილველ ადგილას კი ხალიფაზე, „მბრძანებელ მუმნიზე“ ანუ „ამირ მუმნიზეა“ ლაპარაკი. ხალიფას, ჩვეულებრივ, იხსენიებენ სიტყვით – ამირ და არა – ამირა. გიორგი წერეთელი ცი ამირ („ამირ“)-ის განმარტებისას წერს: „შდრ. ძვ. ქართ. ამირ მუმნი, ამირ მუმლი“ (4,17). საბანისძე ხალიფაზე ლაპარაკობს და, ვფიქრობთ, სრულიად უეჭველია, რომ ტექსტში უნდა დადგინდეს - „ამირ მუმნი“, როგორც ეს C ხელნაწერშია დადასტურებული და არა - „ამირა მუმნი“. იგივე უნდა ითქვას ტექსტის შემდეგ ადგილებზე: „მოწოდებულ იქმნა [...] ამირა მუმნისა აბდილადსგან“ (1,63; 2,56; 3,163; 6,1064,1123); „მოკუდა აბდილ ამირა მუმნი“ (1,63; 2,56; 3,163; 6,1064,1123). ნაწარმოების სხვა ადგილას, Y ხელნაწერის თანახმად, ნათქვამია, რომ ნეტარი ჰაბო მიიწია „კარსა მას მსაჯულისა ამირასა“ (2,70, შენ. 71), - აქ ტფილისის გამგებელზეა ლაპარაკი და ხსენებული ტექსტის ეს ადგილი ახლოს უნდა იყოს ორიგინალთან...

„დაუტევა მამად და დედად და მმანი და დანი და ნათესაგნი და მონაგებნი და აგარაკები და, ვითარცა-იგი უფალი იტეს წმიდასა სახარებასა შინა, წარმოვიდა აქა ნერსს თანა მგზავრ ქრისტეს სიყვარულისათვეს“ (1,64; 2,57). ამ ადგილას სიტყვა „აგარაკების“ შემდეგ სრულიად ზედმეტია „და“ კავშირი (ტექსტი „და“ კავშირის გარეშე აქვთ დადგენილი ივანე იმნაიშვილს და ედიშერ ჭელიძეს, - 3,163; 6,1066,1124). მწერალს სურს გვთხრას, რომ ნეტარმა ჰაბომ ქრისტეს სიყვარულისათვის ყველა და ყველაფერი დატოვა, როგორც ეს ქრისტეს მიმდევარ ადამიანზე სახარებაშია ნათქამით (გულისხმობს სახარების შემდეგ ადგილებს: გ. 19,29; მარკ. 10,29-30). ოუ აქ „და“ კავშირს დავტოვებთ, მაშინ ტექსტი ისეთ სახეს ღებულობს, თითქოს საბანისძე ამბობდეს – სახარებაში ქართლისაკენ წმიდა ჰაბოს წამოსკლაზეა ლაპარაკიო, - „და ვითარცა იგი უფალი იტეს წმიდასა სახარებასა შინა, წარმოვიდა აქა ნერსს თანა“. ოუ ტექსტში „და“ კავშირს აღარ დავამკიდრებთ, მაშინ ყველაფერი ბუნებრივ სახეს მიიღებს.

„შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრებისა“ (1,64; 2,57; 3,163, 6,1066,1124); G H I K L M N ხელნაწერებშია „მწიგნობრობისა“, – ვფიქრობთ, სწორი ფორმაა „მწიგნობრობისა“.

იგივე უნდა ითქვას შემდეგ წინადადებაზე: „სწავლული იყო მწიგნობრებითა სარკინოზთავთა“ (1,63; 2,56; 3,134; 6,1066, 1123).

„რათა იღუწიდეს მისთვის ერისთავი ყოველთა მარტბლთავ“ (1,70; 2,66, 3,168; 6,1080,1133 - „მარტბ[რ]თავ“).

„წმიდა ჰაბოს წამების“ ამ ადგილას წმიდა სტეფანე პირველმოწამებები არის ლაპარაკი და არა - ქართლის ერისთავზე. ცოტა ზემოთ წმიდა სტეფანე მოხსენიებულია როგორც „ერისმთავარი“ („და იყო ეს თოუესა დეკენბერსა ოც და ძა შედას პირველ-მოწამისა და ერისმთავრისა მის ყოველთა მოწამეთასა, წმიდისა სტეფანესა, წესვე და შუენიერ ესრული იყო“, - 1,70; 2,66; 3,168; 6, 1080,1133), - მომდევნო წინადადებაში კი წმიდა სტეფანეს „ერისთავი“ ეწოდება. DFGHIKLMN ხელნაწერებში დადასტურებულია არა - „ერისთავი“, არამედ, - „ერისმთავარი ყოველთა მარტბლთავ“ (2,66) და, ვფიქრობთ, ასეც უნდა დადგინდეს ეს ადგილი ტექსტში.

ხელნაწერთა შედარება მრავალმხრივ არის საინტერესო. მაგალითად, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ზოგ ხელნაწერში სიტყვა „რჩულია“ დადასტურებული, ზოგში - „შეულია“, ზოგან - „ქრისტეანი“, ზოგან - „ქრისტიანი“, რაც სხვადასხვა პერიოდში სიტყვის ფორმათა ცვლაზე მიანიშნებს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სინას მთის ხელნაწერში გვხვდება „საბანეანი“, ნაცვლად - „საბანის ძისა“. ამ შემთხვევაში მამის სახელზე მიმანიშნებელი ზედწოდება უკვე გვირად არის გააზრებული. ხელნაწერთა მონაცემები იმის საილუსტრაციოდ გვეხმარება, თუ როგორ ხდება ადრეულ შეასაუგუნებში გვარების ფორმირება (ხელნაწერთა დათარიღების საკითხები კორნელი კვკელიდეს აქვს შესწავლილი, - 5,6-11).

არის შემთხვევები, როცა ყველა ხელნაწერში ერთიდაიგივე შეცდომა გვხვდება. მაგ., სახელ „მწყემსის“ განმარტებისას ყველგან დასტურდება - „იწოდა“, არსად - „იწოდა“; საბანისძე ჯერ უფლის სახელებს ჩამოთვლის, შემდეგ კი განმარტავს მათ. ჩამონათვალისა და განმარტებების თანამიმდევრულობა თითქმის იდენტურია. თუმც, არის რამდენიმე განსხვავებაც, - მაგალითად, ჩამოთვლისას უფლის სახელი - „ქვეყანა“ მე-12 ადგილას არის ნახსენები, განმარტება კი მე-13 ადგილასაა გაკეთებული. სრულიად აშკარაა, რომ საბანისძეს სახელთა განმარტებების თანამიმდევრობა სახელთა ჩამოთვლის თანამიმდევრობის შესაბამისად დაუცავს... საეჭვოა, რომ ტექსტის იმ

ადგილას, სადაც სახელთა კრცელი განმარტებებია მოცემული, გადამწერს შეცდომა მოსვლოდა და ტექსტის მთელი ის მონაკვეთი, სადაც უფლის სახელი - „ქვეყანაა“ განმარტებული, სხვა ადგილას გადაეტანა. ის კი საფიქრებელია, რომ განმარტებების გარეშე სახელთა ჩამოთვლისას შეცდომა მოსვლოდა და „ქვეყანა“, მე-13-ის ნაცვლად, მე-12 ადგილზე დაეწერა...

უველა ხელნაწერში იდენტური შეცდომების არსებობა იმაზე მიანიშნებს, რომ შემორჩენილი ხელნაწერები არქეტიპის შემდგომი ერთი ტექსტიდან უნდა მომდინარეობდეს.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ნაკვეთი პირველი, პროფ. კორნელი ბმბელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფილისი, 1935; 2. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილია ბეჟლაძის რედაქციით, თბ., 1964; 3. ივანე იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტონობითია, ნაწილი I, თბ., 1982; 4. გიორგი წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951; 5. კორნელი ბმბელიძე, ეტიუდები, XIV; თბ., 1986; 6. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, I, ძეგლები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა და სქოლი-ოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესია, თბ., 2005.

**Gocha Kuchukhidze**

### **For Identifying the Text of "St. Habo Tbileli"**

There are several varieties of "St. Habo Tbileli" according to the different manuscripts. Specialist say that the majority of the survived manuscripts (there are about ten of them) take source from the one text.

## **თინათინ ბიგანიშვილი**

### **პიმნოგრაფი ავტორისა და მღლოცველის ეგოს იდენტიფიკაცია სასულიერო პოეზიაში**

პიმნოგრაფიას ლიტერატურული დატვირთვა პოეზიის სხვა სახეობათაგან თვისობრივად, მაგრამ არა არსებითად განასხვავებს. პოეზია, ისევე როგორც ხელოვნების ყველა დარგი, პიროვნებას თვითანადიზისაკენ მიმართავს და შინაგან სამყაროში აღრმავებს.

პოეტი პიმნოგრაფი ორმაგადაა მსმენელზე მიმართული, ვიდრე რომელიმე შემოქმედი, რადგან მას სხვა ფუნქცია, გარდა იმისა, რომ მღლოცველის გულში აღმრას კონკრეტული გრძნობები, გონებაში - განსაზღვრული აზრები, არ გააჩნია.ის ვერასოდეს შექმნის ნაწარმოებს მხოლოდ საგუთარი ემოციების გადმოცემის მიზნით, მისი დევიზი ვერასოდეს იქნება „ხელოვნება ხელოვნებისთვის, არამედ მისი შემოქმედებითი კრედიტი ამბგარად ჟღერს: „ყოველი სული აქებდით უფალსა (ფს.150,6). პიმნოგრაფის უმთავრესი მისია მსმენელი შემოიერთოს, თანაზიარი გახადოს თავისი საქმისა, რომ მანაც, ავტორი პიმნოგრაფის მსგავსად, პიმნოგრაფ პოეტოან ერთად ადიდოს ქების კონკრეტული ობიექტი, პიმნოგრაფიული საგალობლების კონკრეტული საგანი, იქნება ეს წმინდანი, ანგელოზი თუ თავად ღმერთი.

პიმნოგრაფია, როგორც ვიცით, საეკლესიო კრებებზე კანონიზებულ ჩარჩოებს არ სცდება და მათი მკაცრი დაცვა გარდაუვალი მოთხოვნაა პიმნოგრაფი ავტორისთვის. სწორედ ესაა მიზეზი, რატომაც განიცდის ეს უკანასკნელი თავს შემსრულებლად, მორჩილ, დაქვემდებარებულ, დამოკიდებულ სუბიექტად, მაგრამ ეს გრძნობა სულაც არ არის ამგვარი შემოქმედისთვის დამამცირებელი ან სხვისგან დასაძრახი, პირიქით, ეს ერთგვარი დირსებაა, წყალობაა, რომელსაც ისინი სიმდაბლის გამო

დიდ პატივად მიიჩნევენ და საკუთარ ინდუგიდუალობას მაქსი-  
მალურად მალავენ იმ ზოგადი კანონის მიღმა, რომელიც საერ-  
თოა ყველა პიმნოგრაფისთვის, თუმცა, ჩვენი მხრიდან უნდა  
აღინიშნოს, რომ მათი ოსტატობა განსხვავებულია სწორედ ამ  
მიზეზით - მკაცრი საზღვრების მიუხედავად ისინი მაინც ავ-  
ლენენ ორიგინალურობას, ამკიდრებენ საკუთარ გამორჩეულ  
სტილს და ზოგ შემთხვევაში კონკრეტულ იდეოლოგიურ სარ-  
ჩელსაც კი უდებენ დოგმატურად კანონიზებულ პიმნოგრაფი-  
ულ საგალობლებს. ამის ათელი დასტურია მე-13 საუკუნის ავ-  
ტორთა ტბელ აბუსერისძის, არსენ ბულმაისიმისძისა და საბა  
სეინგელოზის მიერ შექმნილი საგალობლების მთელი ციკლი,  
რომელიც მიზნად ისახავს მონილობებისგან დაქსაქსული ერის  
სულიერი კონსლიდიდაციისთვის ზრუნვასა და ეროვნულ-მესია-  
ნისტური იდეების ქადაგებას (4).

მლოცველის ფსიქიკურ სფეროში დვოთისმსახურების ადექ-  
ვატური განცდების აღმართა არ შემოიფარგლება ტექსტის აზ-  
რობრივი დატვირთვის შემეცნებითი წვდომით.

თეოფანე დაყუდებული ლოცვის ოთხ საფეხურზე მსჯე-  
ლობისას აზნიშნავს, რომ სიტყვების შინაარსის გაგება, ანუ,  
კრ. ყურადღებით ლოცვა მხოლოდ პირველი საფეხურია იმისა,  
რაც არის მიზანი მლოცველისა და შესაბამისად, იმ ავტორისა,  
რომელიც პიმნოგრაფიულ ტექსტს ქმნის. უმთავრესი ამოცანაა  
ლოცვის გათავისება, გასაგუთოება, გაშინაგნება, საკუთარი  
ცნობიერების ენთ ხელახლა, კიდევ ერთგზის შექმნა და მხო-  
ლოდ ამის შემდგომ მისი წარმოთქმა ან თუნდაც წარმოთქმუ-  
ლის მოსმენა. მხოლოდ ეს არის მიზეზი იმისა, რომ დვოთისმსა-  
ხურების დროს წლების მანძილზე ადამიანი ერთსა და იმავე  
ლოცვებს ისმენს ტაძარში ან კერძო მსახურების ადგილას.  
მრავალგზის გამეორებას სწორედ ზემოხსენებული მიზანი გა-  
აჩნია. სხვისგან შექმნილი, მაგრამ მრავალგზის მოსმენილი  
ლოცვა თანდათანობით იმდენად საკუთარი ხდება, რომ ამ  
სიტყვებით მთელი არსებით ამბობ დვთის წინაშე საკუთარ,  
განუმეორებელ, ორიგინალურ, ინდივიდუალურ სათქმელს, რო-  
მელიც თავის დროზე ერთ-ერთმა პიმნოგრაფმა წარმოთქვა  
ლექსად, თუმცა მან, თავის მხრივ, საკუთარი იმ ზოგად კანონს  
დაუქვემდებარა, რომელიც საეკლესიო კრებებზე დამტკიცდა და  
რომელიც სულიწმიდით შთაგონებულთაგან შექმნილის მიბაძ-  
ვაა. ამგვარად იქმნება პიმნოგრაფიული ბაძვის ჯაჭვი: სული-

წმიდა - საეკლესიო ქრება - პიმნოგრაფი ავტორი – მლოცველი ქვედა საფეხურების თითოეული წევრი იერარქიის ზედა წევრს ეწევავსება და ამით ახორციელებს ბაძვის მთავარ პრინციპს - ბაძვა ღვთისადმი, მიმსგავსება მისი, რაც სასულიერო პოეზიის შემთხვევაში სწორედ ავტორის მიერ წარმოჩენილ მესთან მლოცველის ეგო-ს იდენტიფიკაციის საშუალებით ხორციელდება, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიმნოგრაფიული ნაწარმოების მხოლოდ შემქუნებით წვდომას არ გულისხმობს, არამედ სრულ გათავისებას.

ეგო-ს იდენტიფიკაციის პრინციპს ორგვარი წინაპირობა უძლვის: ერთი მხრივ, მსმენელი მეტყველებს იმ სარწმუნოებრივ ენაზე,ანუ ფლობს სიმბოლოთა მთელ სისტემას, რომელიც გარდაუვალი ატრიბუტია პიმნოგრაფიული ნაწარმოებისთვის; მეორე მხრივ, ის მზადაა თავადაც აქოს და ადიდოს ის ობიექტი, რომლისკენაცაა მიმართული ესა თუ ის საგალოობელი.

დღვენდელი მსმენელისთვის ეს სერიოზული პრობლემაა და ამას კიდეც აღნიშნავს აპარი ბაქრაძე თავის წერილში „მარაგითზრავა: „საუკუნეების მანძილზე იღგა ქართველი კაცი ტაძარში და გალობდა: „იაკობ კიბედ გიხილა, ხოლო მოსე - მაყვლად, დანიელ - მთად, გედეონ - საწმისად, ანგელოზისა მოსვლითა შეცვრეულთა ცეცხლსა მას შინა ქადაგეს ყრმათა, რაჟამს ხატი ოქროისა გინებითა კლემულ-ჰყვეს.

მაშინ იოანე შავთველის ეს პიმნი ეკვლასათვის ნათელი და მკაფიო იყო. დღვენდელ მკითხველს კი ვერ გაუგია, რატომ იხილეს დმრთისმშობელი კიბედ, მაყვლად, მთად, საწმისად. არადა, ეს სახეები პიმნიდან პიმნში მეორდება. რა თქმა უნდა, განმეორება ბუნებრივია, რამეთუ კანონიკურია ტექსტი. უკვე შექმნილია, ჩამოყალიბებულია გარკვეული მოდელი და ავტორს ეკრალება მისი დარღვევა. (3).

პიმნოგრაფი პოეტი, ისევე როგორც ნებისმიერი, ვინც ღვთისმსახურებაში მონაწილეობს, იქნება ეს ეპისკოპოსი, რიგით მდვდელი, თუ მგალობელი ან მეფესალმუნე (მედავითნე), სუბიექტურ სწრაფვებს, სუბიექტურ შინაარსებს, ინტერესებსა და მოთხოვნილებებს ყოველთვის უქვემდებარებს კანონიზებულ მოთხოვნებს. ეს აპრიორული ჭეშმარიტებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ იქნება სულიწმიდის ჭურჭელი და ვერც მსმენელს აზიარებს სულიწმიდას, ვერც მსმენელს გაუდივივებს სურვილს, ისწრაფვოდეს ღვთისკენ, მიბაძოს მას და ამგვარი და-

მოკიდებულებით, ერთი მხრივთავად პიმნოგრაფი ახორციელებს „მსგავსების (შესაქმისეული „ხატება და მსგავსება) ფორმულას და, მეორე მხრივ, ამ პროცესში რთავს მსმენელს, მლოცველს, დათისმსახურების მონაწილე ყველა პირს და ამ ფორმით ხდება აგტორისა და მსმენელის ეგო-ს იდენტიფიცირება.

ამრიგად, პიმნოგრაფიული ტექსტის მაქსიმალური სისუფთავე და დაწრეტილობა სუბიექტური განცდებისა და პირადი ინტერესებისგან მას უნარიანს ხდის, იყოს საყოველთაო, დაიტიოს მრავალთა ინდივიდუალობა, პიროვნულობა, განუმორებლობა დაერთი ზოგადი სულიერი მისწრაფება, რაც ყველა მლოცველს აერთიანებს - სწრაფვა დათისაკენ.

ამ თვალსაზრისით საკულისხმოა რ. ბარამიძის გამოკვლევა იოანე ბოლნელის ცხოვრებისა და შემოქმედებისა, სადაც ის საუბრობს რა მქადაგებლის აუცილებელ ატრიბუტებზე, აღნიშნავს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს, რომ მქადაგებელი უნდა ერიდოს საკუთარი პიროვნების წინა პლანზე წარმოჩნას. ამის ნაცვლად მან მსმენელთა ყურადღება მაცხოვრისკენ უნდა წარმართოს, რასაც ვერ მოახერხებს, თუ საკუთარი თავის დემონსტრირებაზე იქნება ორიენტირებული: „საგულისხმოა გრიგოლ დაოქსლოვის შენიშვნა, რომ ეკლესიის მტერია ის, ვინც ცდილობს, თუნდაც კერძო საშუალებებით, გახდეს ეკლესიისათვის საყვარელი, ნაცვლად იმისა, რომ ქრისტე გახადოს ხალხისთვის საყვარელი. ეს იქნებოდა იგივე, რომ რომელიმე ყმას, რომელსაც შეყვარებულმა გამოატანა სარძლოსთან საჩუქრი, განეზრახა, რათა, სარძლო თვით მოქმედება და საკუთარი თავისადმი განეწყო. მქადაგებელი ადარ ემსახურება ჭეშმარიტებას, როდესაც ის ცდილობს თავი მოაწონოს ხალხს (2).

ეს კონცეპტი ვრცელდება არა მხოლოდ მქადაგებელზე, არამედ ნებისმიერზე, ვინც დათისმსახურებაში იდებს მონაწილეობას და მლოცველებსა და ღმერთს შეირის შუმავლის ფუნქცია აკისრია. ასეთია პიმნოგრაფი პოეტი. მთელი მისი შემოქმედებითი ამოცანაა მაქსიმალურად საყოველთაო გახადოს საკუთარი პოეზია, მაქსიმალურად დატვირთოს იმ ზოგადადამიანური შინაარსებით, რაც ნებისმიერი მლოცველის სულში პპოვებს გამოძახილს, თუკი ის დათისაკენ ისწრაფვის და დათისადმი მსგავსების განხორციელების პროცესშია ჩართული. ასეთ მომენტში თავად პიმნოგრაფი, უპირველეს ყოვლისა, ინტროსპექციულად პოულობს საკუთარ თავში ამგვარ ზოგა-

დობას და შემდეგ უქვემდებარებს მას საეკლესიო კრებებზე დაკანონებულ ჩარჩოებს. ეს პიმნოგრაფიული შემოქმედების მეორე მხარეა. პიროვნულის სრულ მიჩქმალვასთან ერთად საპირისპირო მომენტიც ფიქსირდება: არ არსებობს შემოქმედება სუბიექტური პროექციის გარეშე. სუბიექტურ დაფს ნაწარმოებზე ვერცერთი შემოქმედი გაექცევა. თვით სამყაროს შემოქმედმა ღმერთმა საკუთარ ქმნილებას ფორმად ძის ხატი („პირველფორმა“) დაუდო (ნეტარი ავგუსტინე, იოანე დამასკელი, ფს. დიონისე არეოპეაგელი) და რადგან კელა შემოქმედი, ნებით თუ უნგბლიერ, პირველ შემოქმედს ანუ ღმერთს ბაძავს, ისინიც ვერ აუგლიან გვერდს სუბიექტურ შინაარსს, მაგრამ ეს სუბიექტურისა განსხვავდება იმ პიროვნულისგან, რომლის დემონსტრირებაც მყაცრად ეკრძალება მქადაგებელს ზემომოყანილი ციტატის მიხედვით და შესაბამისად, პიმნოგრაფსაც. ეს სუბიექტურისა არის ის ზოგადობა, რომელიც ეგოს იდენტიფიცირების ჯაჭვს ქმნის: მლოცველი - პირველ შემოქმედი ღმერთი - პიმნოგრაფი შემოქმედი - მსმენელი.

ღმერთმა სამყარო შექმნა ძის ფორმით, ანუ სიტყვით. შესაბამისად, აზრი და მიზეზი ყოველივესი არის ღმერთი. ამიტომ, როდესაც პიმნოგრაფი შემოქმედი ეწევა ინტროსპექციას და საკუთარ თავს უდრმავდება, აცნობიერებს ცოდვილ მდგომარეობას და ამავე დროს აცნობიერებს ვალს, რომელსაც აკისრებს ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილობა. მ ორ ზოგადსაპირისპირო მონაცემს: 1.დაცემულობა, ცოდვილობა და 2. ღვთის ხატება და მსგავსება, ის განიცდის, როგორც სუბიექტურს, საკუთარს, მაგრამ იმგვარ საკუთრებას, რაც საერთოა ყველა მლოცველისთვის.

ქრისტიანობა იცნობს სინანულის სიმბოლოს 50-ე ფსალმუნის სახით. ის დავით მეფემ წარმოთქვა ღვთის წინაშე, საკუთარი დაცემულობა გააცნობიერა და ამავე დროს იგრძნოვალი, რომელიც ყველა მლოცველს აკისრია, რადგან ღვთის ხატებასა და მსგავსებას ფლობს. საუკუნეების მანძილზე ამ ფსალმუნს წარმოთქვამდნენ მლოცველები და ეს პოეტური ქმნილება თითოეული მათგანის საკუთრებად იქცა. გულით მონანული ნებისმიერი ადამიანი ღვთის წინაშე საკუთარი გრძნობის გამოსახატავად ამ ლოცვით მეტყველებს და ის არ განიცდის, რომ სხვისგან შექმნილ საგალობელს ამბობს, არა-მედ ამ სიტყვებით ისე მიმართავს ღმერთს, თითქოს საკუთარს

წარმოთქვამდეს. ამგვარი იდენტობა მყარდება არა მარტო 50-ე ფსალმუნის, არამედ ნებისმიერი ლოცვის, საგალობლის ან სხვა პიმნოგრაფიული ტექსტის შემთხვევაში. ამგვარი იდენტიფიცირება ავტორისა და მლოცველის ეგოებს შორის პიმნოგრაფიული ნაწარმოების ობიექტის ქბაში თანამონაწილეობას, ამ საქმეში (ღვთის დიდება) თანაზიარობას გულისხმობს. ნებისმიერი მლოცველი აქებს დმერთს პიმნოგრაფის სიტყვებით, მაგრამ ეს ქება სრულყოფილია მხოლოდ მაშინ, როცა ის საგალობელს წარმოთქამს, როგორც საკუთარს. ეს კი ვერ მოხდება მანამ, ვიდრე მსმენელიც არ მოახდენს იმგვარ ინტროსპექციას (საკუთარ თავში ჩაღრმავება, აქტუალური სულიერი მდგომარეობის გაცნობიერება), რასაც პიმნოგრაფი ეწეოდა პიმნის შექმნის პროცესში. ვიდრე მსმენელი (მლოცველი) თავადაც არ აღმოაჩენს საკუთარ სულში ორ ურთიერთსაპირისპირო მდგომარეობას: დაცემულობა – ხატი ცოდვილისა და ხატი უფლისა, რომელიც დაგის მსგავსებისკენ მიგვმართავს.

ამ მხრივ ნიშანდობლივია იოანე მინხხის ერთი საგალობელი: „ნუმცა დავიყდუნვებთ სულთა ჩვენთა უდბად ძილითა მით მძიმითა, სული გულხმოდგინე არს, ხოლო ხორცი უძლურ და მოწყინე; სულსა აქეს ხატებაი ანგელოზთაი და ბუნებით არს ცოდვის მოძულე, მიუდგინოთ გონებაი და მას დავამონნეთ ხორცი (5).

ეს მდგომარეობა პირველი პირის მრავლობითი რიცხვით გადმოცემული ზმნით აისახება: „დავამონნეთ“, „მივუდგინოთ“, „ნუმცა დავიყდუნვებთ, რაც კიდევ ერთგზის უსვამს ხაზს პიმნოგრაფის მიზანს, შემოიერთოს ამ შემოქმედებით დავაწლში ყველა მლოცველი, ვინც უნარიანია ეს შინაარსი დაიტიოს და გაითავისოს.

ზემოხსენებული ორგვარი ურთიერთსაპირისპირო მდგომარეობის ერთდროული გაცნობიერება ხდება ქების სრულყოფილად აღვლენის მიზეზი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მლოცველს პიმნოგრაფიული ნაწარმოების იმგვარად წარმოთქმა (ან მოსმენა და შესაბამისად წარმოთქმულის გაზიარება), თოთქოს ის საკუთარი სიტყვებით მიმართავდეს დმერთს. ასეთ მოქმენები ის კიდეც მიმართავს მას საკუთარი სიტყვებით; როგორც პიმნოგრაფი, ერთი მხრივ, აბსოლუტურად იმეორებს ბიბლიის ცხრა გალობის იპოდიგმურობას და ამაგდროულად ინარჩუნებს ინდივიდუალობას; იგივე ითქმის მლოცველზეც: ერ-

თი მხრივ, ის სრულად იმეორებს პიმნოგრაფის შექმნილ საგალობელს, მეორე მხრივ, ის ბოლომდე ინდივიდუალურია, რადგან მასში ბოლომდე საკუთარ შინაარს დებს და წარმოთქვამს მას, როგორც სუბიექტურ ვედრებას, სუბიექტურ სათქმელს დათის წინაშე, ანუ ხორციელდება აგზორის მესთან მდოცველის ეფოს იღენტიფიკაციის ფუნქცია, რომელიც ამგვარი წმინდა სახით მხოლოდ პიმნოგრაფიას გააჩნია.

ტრანსცენდენტურობის ინტროსპექციული მოცემულობა, რაც პიმნოგრაფიის საშუალებით ხორციელდება, არაერთი მქვედვარის განსჯის საგანი გამხდარა. ნებტან სულავა თავის მონოგრაფიაში აღნიშნავს: „პიმნოგრაფიის სიტყვები დროსივრცული თვალსაზრისით მარადიულობის შეგრძნებას ამკვიდრებს, ვინაიდან პიმნოგრაფიაში ფაქტები მხოლოდ უზოგადესი ფრაზებით წარმოჩნდება, მით უმეტეს ისეთ საგალობლებში, რომლებიც ქრისტიანულ დღესასწაულებს ეძღვნება, საგალობლებში მხატვრული დრო გრამატიკულად ძირითადად ახლანდელი დროის ფორმითაა წარმოდგენილი, ეს იმითაა განპირობებული, რომ მათში შექმნული დღესასწაული ყოველწლიურად მეორდება ქრისტიანული კალენდრის მიხედვით და იგი მარადიულია.

ნათელია, რომ ახლანდელი დროის ფორმა ყოველგვარ ფაქტს მაქსიმალურად განაზოგადებს, რადგან წარსულში მომხდარი ახლანდელ და მომავალ დროშიც იარსებებს. საგალობლის შესრულების ერთ-ერთი მიზანი ისაა, რომ მსმენელი ან მკითხველი საწუთოული დროისა და სივრცის შეგრძნებას მოსწყვიტოს და ზესივრცულ-ზედროულს მიუახლოვოს, აზიაროს, რაც უდიდესი შინაგანი სიამოგნების მიმნიჭებელია... ტაძარში მოსმენილი საგალობელი, ვითარცა მელოსისა და ლოგოსის ერთიანობა, ყოველი ასალი შესრულებისას დრმა შთაბეჭდილებას ახდენს მის აღმქმედზე, მას იგი გამოჰყავს დროული და სივრცული განზომილებიდან (1).

ამ აზრის დასტურად მკვედვარს მოჰყავს საგალობლის ერთი ტროპარი „დღეს სიბრძემან დმრთისამან და სიტყვამან მამისამან შეუმზადა საყდარსა თვისსა დიდებაი მიუწდომელი და ყოვლად უსაზღვრო და სუეტი ცხოველი, რომელი იგი ბრწყინვალითა მით ნათლითა კამგამებს და აღავსებს ყოველსა სოფელსა სულნელებითა საღმრთოითა; დღესასწაულობს და განათლებს სელსა და გულსა მგალობელთა და შეილთა თვისთასა და მიუმადლებს ცხორქებასა და დიდსა წყალობასა (1).

პიმნოგრაფის თვითმიზანია, რომ ნებისმიერმა მლოცველ-მა გააიგივოს თავი საგალობელში წარმოჩენილ მე-სთან, ანუ ისევე გაითავისოს სხვამ მისი ქმნილება, როგორც შემოქმედს აქს თავისი ნაწარმოები დასაკუთრებული. ამის მაგალითი სა-სულიერო პოზიტის ნებისმიერ აგტორთან შეგვიძლია ვიპოვოთ:

„განდებულ არს არი სინაცულისაი, შევიდეთ მას შინა, ძმანო, შევინანნეთ შეცოდებანი ჩუენი, რაითა მიერ გამოვიდეთ წმიდანი ხორცითა და განათლებული სულითა (5).

დაცემული ყოფის საპირისპიროდ ადამიანურ ბუნებაში ღვთაებრივი ხატის მოცემულობა ნუგეშია მლოცველისთვის. პიროვნების სულიერი მდგომარეობის ამ ორი პოლუსით წარმოჩნდა კიდევ უფრო განაზოგადებს საგალობლის ტექსტს, რადგან დიდია მანძილი ამ ორ საპირისპირო მხარეს შორის და ამ უფსერულის ამოსავსებად ძე ღმერთი განკაცდა. აქედან გამომდინარე, პიმნოგრაფი ერთდროულად ორ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ასრულებს: ერთი მხრივ, მსმენელი აძლევს საშუალებას საკუთარი სულის მდგომარეობა საგალობლის ტექსტში ასახულთან გააიგივოს და ეს იდენტობა ტექსტის დასაკუთრებით, გამინაგნებით წარმოაჩინოს, მეორე მხრივ, ამ ორი საპირისპირო მდგომარეობის (დაცემულობა - ღვთის ხატება და მსგავსება) გაცნობიერება მაცხოვრის გამომხსნელმა მისამიმ მოგვიტანა, ძლევა აღსრულებულია, კაცობრიულმა ბუნებამ გაიმარჯვა, განიღმრთო და სძლია ცოდვას, ეს აღსრულდა დროში, აგრამ ეს ერთჯერადი ფაქტი გამარადიულდა და ნებისმიერ მორწმუნებს ეძლევა საშუალება კიდევ ერთგზის ეზიაროს ამ ერთგზის აღსრულებული ფაქტის მარადიულობას, ანუ მასში მოხდეს ძლევა დაცემული, ცოდვილი ყოფისა და შედეგად გაიღმრთოს, რაც ქრისტიანისთვის მხოლოდ მაცხოვრის სახელან, მის შობასთან, ნათლისდებასთან, ფერისცვალებასთან, ჯვარცმასთან, აღდგომასა და ამაღლებასთანაა დაკავშირებული. ამიტომ იქნ ქრისტეს კაცობრიული ცხოვრების ამსახველი ფაქტების პოეტური გადმოცემა, როგორც საგალობლების დომინანტური თემა, სხვა არაფერია, თუ არა მოწოდება მაცხოვრის ღვაწლის გაზიარებისკენ, თანალვაწლისკენ, თანაჯვარცმისკენ, თანააღდგომისკენ და შედეგად ეგოს იდენტიფიცირება მისადმი მსგავსებისკენ.

მაშასადამე, გაცნობიერება საკუთარი სულიერი მდგომარეობისა და კაცობრივი ვალისაპირებელი ორპოლუსიანია (და-

ცემულობა - დვთის ხატები) და ამ ორ საპირისპირო მხარეს შორის ყველა პიმნოგრაფი ტრიალგბს. მეორე კი ერთი ზოგადი მოდელის (იქსო ქრისტეს კაცობრიული ცხოვრება) ინდივიდუალურ გამეორებას გულისხმობს. ამ ორი ფაქტის მთლიანობა ქმნის ავტორისა და მლოცველის ეგოს იდენტიფიკაციის პრინციპს სასულიერო პოეზიაში. ამითაა გაჯერებული ყველა პიმნოგრაფიული ტექსტი. ამით ზოგადი დაიყვანება ქონკრეტულამდე და შემდეგ კონკრეტული მაღლდება ზოგადამდე; ობიექტურობა დაიყვანება სუბიექტურობამდე, რომ შემდეგ მოხდეს სუბიექტურის ამაღლება ობიექტურობის მიზეზამდე. მედიატორის ამგვარი ფუნქცია გააჩნია დვთისმსახურების ყველა ატრიბუტს, ტაძრის ყველა ნივთს, ყველა ქმედებას თუ სიტყვს. ამ ფუნქციითაა გამსჭვალული ყველა პიმნოგრაფი, ვინც ვერ უდალატებს თავის დანიშნულებას, რადგან, თავის მხრივ, ისიც რიგოთ მლოცველია, რომელსაც დმერთოან მიახდება სწადია. ამიტომ, საუბრობს რა ყველა მორწმუნისთვის საერთო სულიერ მდგომარეობაზე, ის საკუთარსაც ასახელებს. შესაბამისად, ისიც განიცდის დვთისადმი მსგავსების აქტუალობას, ისიც მიმართულია იმისკენ, რომ მაცხოვარს მიბაძოს, ისიც სავსეა სინახულის გრძნობით და ვალად მიიჩნევს დვთისგან ნაწყალობები დირსებას „ხატებისა და მსგავსებისა. ამიტომ შემოქმედებითი პროცესის დროს თავად პიმნოგრაფი პოეტიცაა და მლოცველიც, მიწოდებელიც, ის სხვას აძლევს განწმენდის იარაღს და თავადაც განიწმინდება იმავე საშუალებით, ანუ ეგოს იდენტიფიკაციის ფუნქცია პიმნოგრაფიაში სიტყვისა და საქმის ერთიანობას გულისხმობას. პირველად სწორედ პოეტი ახორციელებს დვთისადმი მიმსგავსებას თავისი პოეზიით, შემოქმედებით. ის არ არის მხოლოდ სიტყვების ავტორი, არამედ პიმნოგრაფიაში გადმოცემულ ქეშმარიტებას ცხოვრებაში ქცევით გამოხატავს. ასეთივეა მიმართება დვთისმსახურთადმი (ეპისკოპოსი, მდვდელი). თითოეული მათგანი მოძღვრავს სხვას, მაგარამ თავადაც ეტალონია სარწმუნოებრივი ქცევის, რის ნიშნადაც განსაკუთრებულ სამოსს ატარებს.

აქედან გამომდინარე, პიმნოგრაფი პოეტი პირვნულ, საკუთარ ცხოვრებას და შემოქმედებით რეალობას ვერ განაცალავებს, ეს ერთი მთლიანობაა, ერთი სივრცე და მასში თანამყოფებები პიმნოგრაფი პოეტი და მორწმუნე - მლოცველი.

ალბათ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ პიმნოგრაფთა უმეტესობა სასულიერო პირი იყო. სწორედ ამიტომ მათ მიერ შექმნილი საგალობლები საკუთარი გამოცდილების საფუძველზეა დაწერილი და შედეგად მაქსიმალურად ახლოს დგას სხვა მლოცველის სულიერ გამოცდილებასთან.

პოეტი პიმნოგრაფის სიტყვისა და საქმის ერთიანობის კლასიკური მაგალითია დავით მეფე და განსაკუთრებით 50-ე ფსალმუნის შექმნის ისტორია. მან ურიის ქალთან შესცოდა, შეძღვებ გააცნობიერა ამ უსჯულოების სიგრძე-სიგანე და მას დიდი სინაული ეწვია, რომელიც ლექსად გამოთქვა და ის მორწმუნეთავვის სინაულის სიმბოლოდ იქცა.

შესაბამისად, ყოველი ლოცვა, რომელიც წმიდა მამათა მიერ დაიწერა, ყოველი საგალობელი, რომელიც პიმნოგრაფის მიერ შექმნილა პირად გამოცდილებას ეყრდნობა.

მათთვის, გარდა იმისა, რომ ბიბლიური სახეები იძოდიგ-მური მონაცემია, მისაბაძი მაგალითია ყველა ბიბლიური ავტორი, ვინც საკუთარი სიტყვებით გამოთქვა სარწმუნოებრივი გრძნობები და შემოქმედებას მათ მსგავსად ინტროსპექციული პრინციპით აგებენ.

თავად მსმენელი, მართალია, ლოცვის სქემას მზა სახით იღებს, მაგრამ არანაკლები მზა მოცემულობა აქვს, თავის მხრივ, პიმნოგრაფსაც ბიბლიის სახით, რომელიც სულიწმიდით განბრძნობილთა მიერ შეიქმნა. საბოლოოდ მსმენელიც გააიგივებს მათ მე-სთან საკუთარ თავს და ამით მიიღებს ლვოისებენ. შესაბამისად, ლვოისმსახურების პროცესში ამგვარი წრე ცოცხლობს: ლმერთი დაბლდება კაცამდგ, რომ კაცი ადამალლოს ლმერთამდე: „ადამ პირველქმნულისა თანა ვიხარებდეთ ნაშობნი მისნი, რამეთუ, რომელმან ხელითა საღმრთოითა გამოხატა, ამან ხატი მისი შეიმოსა და განხერწნილი კვალად აგო მუნკვე სამოთხედ (7).

მაშასადამე, ეგოს იდენტიფიკაციის პრინციპი გულისხმობს, ერთი მხრივ, გამზადებული, მიწოდებული, დაკანონებული სქემის აბსოლუტურ მიღებას (დოგმური და დოგმატიკური სიზუსტე), მეორე მხრივ, სქემის ზოგადობა საშუალებას იძლევა დაიტოს ნებისმიერი მლოცველის პიროვნული ინდივიდუალობა.

ამ მხრივ, იერარქიულ საფეხურზე პირველია თავად ავტორი და შემდგა მსმენელი ან მკითხველი.

მლოცველის დამოკიდებულება ამ საგალობლებისადმი იმ-  
თავითვე მესაკუთრული განწყობითაა მიმართული. მსმენელი იმ-  
თავითვე ისმენს ამ სიტყვებს, როგორც საკუთარს.

მლოცველში ამგვარი განწყობის აპრიორულ მოცემულო-  
ბას თავად დათისმასხურების წესი განაპირობებს. მეფსალმუ-  
ნის მიერ წარმოოქმული სიტყვები, რა თქმა უნდა, გაიაზრება,  
როგორც საკუთარი, რადგან პიმნოგრაფიული საგალობლებისა  
და ლოცვების აბსოლუტური უმრავლესობა პირველი პირის  
მრავლობითი რიცხვით (იშვიათად მხოლობითი რიცხვით) გად-  
მოცემული ზმნებით იწერება, მაგრამ ამგვარი იდენტობა ამ  
პროცესის მხოლოდ დასაწყისია, ის მხოლოდ კოგნიტური  
წვდომით არ შემოიფარგლება, რადგან ავტორი პიმნოგრაფისა  
და მლოცველის უგონებელი იდენტიფიკაცია სიტყვისა და საქმის  
ერთიანობას გულისხმობს.

პიმნოგრაფიული პოეზია პირვენებამ შეიძლება არადვოთ-  
სმსახურებით სიტუაციაშიც წაიკითხოს, მაგრამ ამ შემთხვე-  
ვაში ზემოხსენებულ იდენტობას ადგილი არ უქნება. ამის პირ-  
ველი მიზეზი შეიძლება იყოს სემანტიკური გაუცხოება, რაზეც  
ზემოთ ვისაუბრეთ აკაკი ბაქრაძის „მარაგითზრახვის მიხედ-  
ვით, მეორე მიზეზი კი, რაც უმეტესად პირველსაც მოიცავს,  
თუმცა შეიძლება მკითხველი იყოს მეცნიერი, რომელიც ერკვე-  
ვა ძველი და ახალი აღთქმის სიმბოლურ-ალეგორიულ სისტემა-  
ში, არის არასარწმუნოებრივი ცხოვრების წესი, რომელიც აგ-  
რეთვე პრინციპული მნიშვნელობისაა იდენტიფიკაციის პროცეს-  
ში. სარწმუნოებრივი ცხოვრების წესი განაპირობებს საგალო-  
ბელთა მიმართ სემანტიკურ აღაპტაციას; გარდა ამისა, ის უზ-  
რუნველყოფს პიმნოგრაფიულ ტექსტებში მოცემული ზოგადი  
სქემის ინდივიდუალობამდე უკიდურეს დაყვანას, იმდენადაც კი,  
რომ თითოეული მლოცველის გულში ლოცვა, დათისმსახუ-  
რება, თავისი ყველა დეტალითა და ელემენტით, მათ შორის  
საგალობლებით, ხდება საკუთარი, პირადი, რომელიც მრავალ-  
თა მიერ არის გაზიარებული.

ამგვარი დამოკიდებულებები იმპლიციტურადაა მოცემული  
ლენისმსახურების ყველა ნაწილში. ეს იცის პიმნოგრაფმა და  
შესაბამისად, მისი შემოქმედება კონკრეტული ტიპის მსმენელს  
მიემართება. ის არ წერს წარმართისოვის, არც არამორწმუნე  
ადამიანისოვის, ის ქმნის სწორედ დეთისექნ მიმავალ გზაზე  
შემდგარი პიროვნებისოვის. ამიტომ გულისხმობს პიმნოგრაფიუ-

ლი შემოქმედება მლოცველის ეგოსა და ავტორის მიერ ტექსტებში წარმოჩენილ მეს-ს შორის იდენტობის დამყარებას.

შესაბამისად, ერთი მხრივ, პიმნოგრაფი ავტორი ვერ იქნება არამორწმუნებულივად არააქტიური და ადექტატური; მეორე მხრივ, არამორწმუნებულივად სარწმუნოებრივად ასევე არააქტიური მსმენედლი ვერ გახდება პიმნოგრაფიული სიბრძნის ადეპტი, ვინც ლოცვის ხელოვნების დაუფლებისაკენ მიიღობის. ეს უკანასკნელი კი აბსოლუტურად, ანიდან პოემდე, გულისხმობს დვთისმსახურებაში მიმდინარე ყველა პროცესის დასაკუთრებას, მიღებას, გაშინაგნებას.

ამგვარად, ეგოს იდენტობა, როგორც პიმნოგრაფი ავტორის, ისე მლოცველის შემთხვევაში, სიტყვისა და საქმის ერთიანობას გულისხმობს, რაც განაპირობებს სწორედ ამ პროცესის არამარტო კონიტურ დონეზე მოცემულობას, არამედ ის ფარავს პიროვნების ყველა სტრუქტურას - სულიერსა და ფსიქოფიზიკურს და ხდება მთელი პიროვნების ერთიანი შემოქმედებითი აქტივობის მიზეზი.

შემოქმედების, როგორც სიტყვისა და საქმის ერთიანობის გააზრება ბიბლიის „შესაქმის წიგნიდან იდებს სათავეს. ღმერთი ამბობს და სამყაროც იქმნება: „რამეთუ მან თქუა და იქმნებს, თავადმან ბრძანა და დაებადნეს, ამბობს ფსალმუნი.“

შესაქმისეული მთლიანობა აზრისა, სიტყვისა და საქმისა არაერთი ეგზეგეტიკოსის მსჯელობის საგანი გამხდარა. შესაბამისად, მამა ღმერთის დემიურგული აქტივობა განიხილება, აზრი, იდეა სამყაროსი; მისა - როგორც სიტყვის ანუ ფორმის მონაწილეობა; ხოლო სულიწმიდა არის ქმედება, რომელიც სრულყოფს და აგვირგანებს ამ პროცესს.

მაშასადამე, შემოქმედების უზოგადესი სქემა ბიბლიის პირველივე თავშია მოცემული. ერთი მხრივ, ესაა უნიკალური დემიურგია, რომელიც აღსრულდა და აღარასდროს განმეორდება, მაგრამ, მეორე მხრივ, მასშივე მოცემული ამ პროცესის თანამონაწილეობის განსაზღვრება, დაწესება. ეს აღნიშნულია დვთის მიერ ადამის „ხატად და მსგავსად თვისა“ შექმნის დროს, გარდა ამისა, ამის პირდაპირი მოცემულობაა ის ეპიზოდი, სადაც საუბარია, თუ როგორ ახდენს ყველი ცოცხალი არსების სახელდებას ადამი და ამით ხდება შემოქმედი, რომელიც ბაძავს და ემსგავსება მას.

ავტორისა და მლოცველის უგო-ს იდენტობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიმნოგრაფიულ ტექსტებში ორი ურთიერთ-საპირისპირო მდგომარეობის დეტერმინირებით მიიღწევა. ერთ-დროულად მოცემულია ორი პოლუსი - ცოდვილის სტატუსი და დვოთის ხატადა და მსგავსად შექმნილობის იდეა. ამ დაპირის-პირებათა გამუდმებული ფიქსაცია იწვევს კონტრასტული განც-დების თანაარსებობას: „მე ცოდვილი - „მე- ხატი დვოთისა. ეს კონტრასტული სახეები ქმნის, ერთი მხრივ, ადამიანის უზოგა-დეს, მეორე მხრივ - უკიდურესად ინდივიდუალურ სქემას.

რატომ არაა მოცემული ცალ-ცალკე ეს ორი სახე, ეს ორი რეალობა ადამიანის ყოფისა და რა დატვირთვა აქვს მათ ერთდროულ მოცემულობას პიმნოგრაფიულ ტექსტებში?

ამ კითხვის პასუხს პირდაპირ მიყვავართ პიმნოგრაფიაში მოცემული იღენტობის არსისკენ, როცა ხდება „მე ცოდვილის დეტერმინირება და მლოცველის მიერ ამ სახესთან თავის გაი-გვება, დიდია ალბათობა სასოწარკვეთის, ანუ უმოქმედობის უფსერულ ში დანოქმის. თუკი ადამიანი მხოლოდ იმას გააცნობიერებს, რომ დაცემულია და უამრავი ცოდვის პატრონია, ამით ის შეიძლება უიმედობის მორვეში დაიხრჩოს, მაგრამ, როცა „მე ცოდვილს თან გასდევს „მე-ხატი დვოთისა-ს, ერთი მხრივ, პოეტურად მოცემული, მაგრამ რეალური სახე, ალბათობა სასოწარკვეთისა მაქსიმალურად მცირდება და მლოცველს აქიმობის სურვილი აღეძვრება. „მე ცოდვილი“ შედარებულია „მე - ხატი დვოთისასთან“ და ეს კონტრასტი კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს საღმრთო შეურს იმ „მე-ს მიმართ, რომელიც „ხატია დვოთისა, სწრაფვას მისკენ და სურვილს, რომ მიემს-გავსოს მას - „ხატს და მოიხვეჭოს „მსგავსება დვოთისა.“

მაშასადამე, კონტრასტული სახეების მხატვრული მოცემულობა მსმენელის სამოქმედოდ მომართვაზე, მასში დვოთისად-მი ბაძვის აქტუალიზებაზეა ორიენტირებული.

აქ პიმნოგრაფები ყველა შემოქმედისთვის საყვარელ მხატვრულ ხერხს მიმართავენ-სინათლე უფრო მკაფიოდ ჩანს სიბ-ნელის ფონზე და უფრო ნათლად აღიქმება იგი.

სამყაროს შემოქმედმა შექმნა ნათელი მაშინ, როცა „პნე-ლი იდო ზედა უფსერულთა და სული ღმრთისაი იქცეოდა ზეა წყალთა (შესაქმე; 1-3).

ამგვარად, „მე ცოდვილი ჩრდილია, ხოლო „მე - ხატი დვოთისა შექი, ნათელი, რომელიც ჩრდილის ფონზე უფრო მკა-

ფიოდ აღიქმება, უფრო ესთეტიკურია და მსმენელს აღძრავს მისკენ სწრაფვის სურვილით და შესაბამისად პიმნოგრაფის მესთან აახლოვებს. გარდა ამისა, იქსო ქრისტეს ცხოვრების თითოეული დეტალის გახსენება და ბიბლიური ცხრა გალობის საშუალებით, მთელი ძველი და ახალი აღთქმის სემანტიკური ველის წარმოჩენით მსმენელს ეძლევა გამზადებული სქემა მლოცველისთვის მთავარი მიზნის მისაღწევად - მიემსგავსოს ღმერთს.

„დღეს ბუნებაი მოკუდავი, ძლეული მტერისაგან დემს შინა პირველ მძლედ გამოაჩინა მხსნელმან ძალსა მტერთასა. რაჟამს დამბადებელმან მიიღო დაბადებულთაგან თვისთა დასაბამი ხორცია არსებისაი. უსძლოისაგან დედისა და მომცა მორწმუნეთა საგსებისა მისგან ღმრთებისა თვისისა. რომლითა მდიდარ კიქმნენით სიგლახაეისაგან პირველისა მის ურჩებისა და კუალად დირს კიქმნენით პირველთა საშუალებულთა“ (7).

იოანე მტბევარის ეს ტროპარი ერთ-ერთი ნათელი მაგალითია იმ შინაარსის, რომელიც ზემოთ გადმოვეციო პიმნოგრაფი ავტორისა და მლოცველის ეგოთა შორის იდენტობის დამყარების შესახებ ორი ურთიერთსაპირისპირო ხატის პოეტურად მოცემულობის საშუალებით.

იგივეა შემდეგ ტროპარშიც: „ესე არს ღმერთი ჩუენი, ღმრთისა სიტყუაი, რომლისა არავინ არს მსგავს მისისა: უხილავი, დაუსაბამო, ქუჯანასა გამოჩნდა ხორცითა და ვითარცა კაცი, კაცთა შორის ნებსით იქცეოდა მოძიებად წარწმედულთა მათ ცხოვართათვის. რომლისათვისცა მაღლით აუწყეს ზეცისა მდგინარეთა მწყემსთა ველთა მდგომთა მწერმსთ მთავრისა მისთვის სახიერისა, რომელი იშვების ხორცითა ბეთლებს, ქადაქს დავითისსა, მოწყალებით, რაითა აცხოვნოს ხატი თვისი სახიერებით“ (7).

ამრიგად, ავტორისა და მლოცველის ეგოს იდენტიფიკაცია, რაც პიმნოგრაფიაშია მოცემული, ღვთისმსახურების სპეციფიკიდან გამომდინარეობს და რადგანაც სასულიერო პოეზია არსებითად ლიტურგიკული დანიშნულებისაა, შესაბამისად მიმართულია ღვთისმსახურებაში მლოცველის აქტიურად ჩართვისკენ, რასაც ბიბლიიდან და საეკლესიო კრებებიდან მოცემული მზა სქემების პოეტური გამეორებით ახორციელებს და ამით ახდენს მლოცველში თვითანალიზის აქტუალიზების ანუ

ლვთისაკენ სწრაფვის, დმერთს მიმსგავსების სურვილის გაცნობიერებასა და ქმედითად გამოხატვას.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. ნესტან სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული პიმნოგრაფია, თბ., 2003. 2. რ. ბარამიძე, იოანე ბოლნელი, თბ., 1962. 3. აკაგი ბაქრაძე, „მარაგითზრახვა, თბ., 2000. 4. რ. ხალვაში, ტბელ აბუსერისძის სახისმეტყველება, ბათუმი, 1998. 5. ლელა ხაჩიძე, იოანე მინხის პოეზია, თბ., 1987. 6. კ. კერნ, ანтропология св. Григория Паламы, Москва, 1996. 7. იოანე მტბეგარის საგალობრივი, ხელნაწერი.

**Tinatin Biganishvili**

### **Identification of Praier's Ego With The Ego of hymnographist In Religious Poetry**

The main point by artistic images of Christian himnographi is identification of prayer's ego with the ego of himnographist and in this way make the mimesis to God. It must to do with two principal paradigmus "me--- sinner" and "me--- icon of God". It represents with the simbolics of light and darkness,which has aesthetic function in the Christian hymnography.

## მაია მაჭავარიანი

# წმინდა დიმიტრის კულტის, ნაწილებისა და მირონმდინარების თარიღისათვის დიმიტრი თესალონიკელის სასწაულების საკითხავის ბერძნულ და ქართულ რედაქციებში

წმინდა დიმიტრის პიროვნებასთან დაკავშირებით მრავალი საკითხი დღესაც საკამათო და გადაუწყვეტელია. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა წმინდა დიმიტრის ნაწილებთან დაკავშირებული პრობლემატიკა, რომელიც ბევრ სხვა საკითხთან ერთად მოიცავს თავად წმინდანის წარმომავლობის საკითხს, მისი ნაწილების დასვენების ადგილს, მისი გარდაცვალების შემდგომ სასწაულებს, მათ შორის მირონმდინარებასაც. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, თუ ამ საკითხების გარშემო როგორია ვითარება ბერძნულ დიმიტრის ბერძნულ და შემდგომ წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული ტექსტების ქართულ თარგმანებში.

### ა) ბერძნული დიმიტრის მონაცემები

წმინდა დიმიტრის ნაწილების საკითხთან უშუალო კავშირშია ამ წმინდანის კულტის წარმომავლობა. ჯერ კიდევ პიპოლიტე დელეჟე<sup>1</sup> გაარევია, რომ თესალონიკის ადრეულ საეკლესიო კალენდრებში წმინდა დიმიტრის ხსენება საერთოდ არ იყო, სამაგიეროდ დიაკვნი დიმიტრი ჩნდება ადრეულ სირიულ მარტიროლოგიუმებში, სადაც ის მოიხსენიება როგორც

<sup>1</sup> H. Delehaye, Les légendes grecques des saints militaires, Paris, 1909, pp. 103-109; 259-263.

სირმიუმის წმინდანი<sup>1</sup>. სირმიუმი იყო მნიშვნელოვანი ოომაული ქალაქი და დიმიტრისადმი მიძღვნილი ეკლესიის არსებობა სირმიუმში XI საუკუნეშიც დასტურდება<sup>2</sup>. დიმიტრის წამებაში მოხსენებული ლეონტიუსი, ილირიკის პრეფექტი, ისტორიული პიროვნება იყო. მისი სახელი დასტურდება 412-413 წლების ოეოდოსიის კოდში. ამ მონაცემებზე დაყრდნობით პ. დელევემ მიიჩნია, რომ ოესალონიკის წმინდანი დიმიტრი სინამდვილეში სირმიული წარმოშობის უნდა ყოფილიყო, თესალონიკში კი დიმიტრის კულტის ჩამოყალიბება და გავრცელება მოხდა მას შემდეგ, რაც პრეფექტმა ლეონტიუსმა ჩამოიტანა ქალაქში დიმიტრისთან დაკავშირებული რელიქვიები და მათ დასასვენებლად ქალაქში დიმიტრის სახელობის ეკლესია ააგო.

წმინდა დიმიტრის ნაწილების ხესხებას პირველად ჰევდებით დიმიტრის წამების რედაქციებში: იმპერატორის ბრძანებით შებებით განგმირულ დიმიტრის გვამს დამით მალულად დაკრძალავენ მისი სულიერი მტები. დიმიტრის დაკრძალვის ადგილზე მოგვიანებით ილირიკის პრეფექტი ლეონტიუსი ააგებს ეპლესიას. ეს ეკლესია შემდეგ ფიგურირებს დიმიტრის ხახვაულების ადრეულ ციკლში, რომელიც VII საუკუნის დასაწყისში (610 – 620 წწ.) შეკრიბა და შეადგინა თესალონიკის ეპისკოპოსმა, იოანეგმ<sup>3</sup>. იოანესულ სასწაულებში ჩანს დიმიტრის დაკრძალვის ზუსტი ადგილიც – ეკლესიის ჩრდილოეთ ნაგში განლაგებული კივორიუმი, ვერცხლის ექვსკუთხა შენობა<sup>4</sup>. ეპსკოპოსი იოანე სასწაულების ციკლში ხაზგასმით აღნიშნავს წმინდა დიმიტრის „ყოფნას“ ვერცხლის კივორიუმში: სავედრებლად მოსული მღლოველები კივორიუმთან მიჰყავთ, გამოცხადების დროს წმინდანის ხმაც სწორედ კივორიუმიდან გაისმის<sup>5</sup>.

პრეფექტ ლეონტიუსის მიერ დიმიტრის სახელზე აგებული პირველი ეკლესიის ადგილმდებარეობა დღესაც ცნობილია.

<sup>1</sup> Martyrologium Hieronymianum, edited by J.B. Rossi and L. Duchesne, in: Acta Sanctorum Novembris, II, i, Brussels, 1894, pp. [LV], [41].

<sup>2</sup> J. Zeiller, Les origines chrétiennes dans les provinces danubiennes de l'Empire romain, Paris, 1918, pp. 81-83.

<sup>3</sup> ob. P. Lemerle, Les plus anciens recueils des miracles de saint Démétrius, I : le Texte, Paris, 1979 ; II : Commentaire, Paris, 1981.

<sup>4</sup> P. Lemerle, op.cit., I, §§ 87-88 და II, pp. 209-218.

<sup>5</sup> P. Lemerle, op.cit., I, miracle 1, §22; miracle 10, §§ 87-91 ; miracle 15, §§ 166-167.

თავდაპირველი შენობა განადგურდა და შემდგომში ამ ადგილას რამდენიმეჯერ აიგო ახალი ეკლესია. ბოლო შენობა დაიღუპა 1917 წელს დიდ ხანძრის შედეგად. სწორედ ამ ხანძრის შემდეგ დამწარი ეკლესის საფუძველზე ბერძენმა ოქურლოგმა გეორგ და მარია სოტერიუმ აწარმოეს გათხრები, რომლებმაც მეტად საინტერესო შედეგები გამოავლინა<sup>1</sup>.

იოანე თესალონიკელის მიერ სასწაულებში აღწერილი კივორიუმი განადგურდა 904 წელს არაბთა შემოსვის დროს. შემდგომ მის ადგილას ააგეს ახალი ნაგებობა, ამჯერად მარმარილოსი. დროთა ვითარებაში ესეც მოისპო, მაგრამ კივორიუმის მდგბარეობის ადგილი კარგად განიჩეოდა. გათხრების მსვლელობისას ამ კივორიუმის საფუძველში, სადაც ლიტერატურული წყაროების მიხედვით უნდა ყოფილიყო დამარხული დიმიტრი, არაფერი არ დადასტურდა. სამაგიეროდ საკურთხევლის ქვეშ, წმინდანთა ნაწილების დასვენების ტრადიციულ ადგილას, აღმოჩნდა მარმარილოს მცირე ყუთი, რომელიც შეიცვალა მოყავისფრო მტვერს, სავარაუდოდ, სისხლში დამბალი ქსოვილის ნარჩენებს. გათხრების დროს მთელი ეკლესის ფართობზე არ აღმოჩნდა წმინდანის არც ძვლები, არც რაიმე სხვა მსგავსი. ეს მარმარილოს ყუთი იყო წმინდა დიმიტრის ნაწილების არსებობის ერთადერთი დამადასტურებელი ფაქტი.

არქეოლოგიური გათხრების შედეგებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული აზრი, რომ დიმიტრი თავდაპირველად იყო არა თესალონიკელი, არამედ სხვა წარმოშობის წმინდანი და რომ მისი კულტი მოგვიანებით გადმოიტანეს თესალონიკში<sup>2</sup>.

ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა იოანე თესალონიკელის მიერ შეკრებილი სასწაულების ციკლი. განსაკუთრებით თვალშისაცემია სასწაულების მეტი ნაწილის აშკარა, ასე

<sup>1</sup> George and Maria Sotiriou, I vasiliki tou Agiou Dimitriou Thessalonikis, Athens, 1952 (ბერძნულად).

<sup>2</sup> ამის შესახებ იხილე: P. Lemerle, op.cit.; A. Kazhdan and H. Maguire, Byzantine Hagiographical Texts as Sources on Art, in: Dumbarton Oaks Papers 45, 1991, pp. 1-21; O. Meinardus, A Study of the Relics of Saints of the Greek Orthodox Church, in: Oriens Christianus 54, 1970, pp. 130-279; M. Mirkovic, Sirmium – Its History from I century A.D. to 582 A.D., in: Vladislav Popovic et al. eds., Sirmium : Archeological Investigations in Syrmian Pannonia. Vol.I Belgrade, 1971; etc.

ვთქვათ, სეპარატისტული ხასიათი. ამ სასწაულებში წმინდა დიმიტრი თესალონიკის მოსახლეობასთან ერთად უპირისპირ-დება ყველა სხვას, იქნება ეს ბარბაროსი მტერი თუ დედაქა-ლაქი კონსტანტინოპოლი და სახელმწიფო მოხელეები. სასწაუ-ლებში აღწერილია ის გაჭირვებები, რაც თესალონიკს სხვა-დასხვა დროს დაატყვა თავს: მტრების შემოსევა, შიმშილი, ეპიდემია და ა.შ. ყველა ასეთ შემთხვევაში ქალაქს და მის მოსახლეობას ეხმარება არა დედაქალაქი, კონსტანტინოპოლი, არამედ მხოლოდ დიმიტრი. დიდი შიმშილის დროს არა იმ-პერატორი, არამედ დიმიტრი გაგზავნის ხორბალს თესალონი-კის დამშეული მოსახლეობის გამოსაკვებად<sup>1</sup>. მტრის შემოსევის დროს თავდასხმას იგერიებს დიმიტრი და არა სახელმწიფო ჯარი, რომლის მოვალეობაშიც შედიოდა საზღვრების დაცვა<sup>2</sup>. ფაქტობრივად, ამ სასწაულებში თესალონიკი უპირისპირდება დედაქალაქს. იქნება შთაბეჭდილება, რომ კონსტანტინოპოლის არ აღელვებს თესალონიკის ბედი, რომ წმინდა დიმიტრი არის ყოველი გაჭირვების დროს ქალაქის ერთადერთი დამცველი. ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავებულია სასწაულში, სა-დაც დიმიტრი კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალ ხორბლით დატვირთულ გემებს თესალონიკისკენ წაიყვანს<sup>3</sup>.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ციკლის ორი სასწაული, სადაც დიმიტრი წინ აღუდგება როგორც მიწიერი, ასევე ზე-ციური მეუფის ბრძანებას. მტრების ერთ-ერთი შემოსევის დროს თესალონიკის ეპისკოპოს ევსევის, იოანეს??? ერთ დამეს მოვლინება ჩეკნება, სადაც ორი უცნობი მამაკაცი დიმიტრის გადასცემს ზეციური მეუფის ბრძანებას, დატოვოს თესალონი-კი, რათა უფლის განაჩენით ქალაქი განადგურდეს. დიმიტრი არ დათანხმდება მათ და მიუხედავად უფლის ნებისა, თესალო-ნიში დარჩება<sup>4</sup>. მეორე სასწაულში იმპერატორი მავრიკიოსი მისწერს ევსევი ეპისკოპოსს წერილს, სადაც ბრძანებს დიმიტრის წმინდა ნაწილის გაგზავნას კონსტანტინოპოლში. ექსევიმ მეტად დიპლომატიური და დელიკატური პასუხი გასცა იმპერატორს. პასუხის მთავარი აზრი იყო უარი იმპერატორის

<sup>1</sup> P. Lemerle... I, miracle 8, §§ 68-72; miracle 9, §§ 73-80.

<sup>2</sup> P. Lemerle... I, miracles 13, 14 და 15, §§ 116-130 ; ასევე P. Lemerle... II, pp. 77-78.

<sup>3</sup> P. Lemerle... I, miracle 8, § 70.

<sup>4</sup> P. Lemerle... I, miracle 15, §§ 166-175.

თხოვნაზე, მაგრამ ეს უარი შემდეგნაირად იყო დასაბუთებული: პირველ ყოლისა, ზუსტად არ არის ცნობილი დიმიტრის დაკრძალვის ადგილი; მეორეც, თესალონიკელებს ადარ სჭირდებათ ნაწილების ფიზიკური შეხება მას შემდეგ, რაც რწმენა მყარად ჩაინერგეს გულში. ამასთანავე, ესევი იხსენებს უფრო ადრეულ შემთხვევას, როდესაც იმპერატორ იუსტინიანეს ბრძანებით თესალონიკელებმა მართლა დაიწყეს თხრა ეკლესიაში. მაშინ ცეცხლი ამოვარდა მიწიდან და კივორიუმიდან გამომავალმა ხმამ უბრძანა მათ, რომ არასოდეს გაებედათ მსგავსი რამ. ასე იქნა მოგერიებული ორი იმპერატორის მოთხოვნა<sup>1</sup>.

წმინდა დიმიტრის ნაწილებთან არის დაკავშირებული კიდევ ერთი სასწაული – მირონმდინარება.

ეს უცნაური თვისება, სურნელოვანი ზეთოვანი ნივთიერების წარმოქმნა, ტრადიციულად აღმოსავლეთ და დასავლეთ ქრისტიანული სამყაროს რამდენიმე წმინდანს მიეწერება, მათ შორის, დიმიტრი თესალონიკელსაც. მათი ნაწილებისაგან გამოჟონილ მირონს სასწაულთმოქმედი ძალა ჰქონდა. იგი კურნავდა ავადმყოფს და იცავდა ადამიანს ეშმაკისაგან.

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არის ჩამოყალიბებული იმის შესახებ, თუ როდის შეემატა ეს თვისება დიმიტრის წმინდა ნაწილებს. პირველად მირონი დიმიტრი თესალონიკელის კულტში გამოჩნდა X საუკუნის დასაწყისში, იოანე კამინიატეს თხზულებაში<sup>2</sup>. ეს ინფორმაცია ჩანს მხოლოდ თხზულების პროლოგში და ადარ ვრცელდება შემდგომ ნაწილებში. ასევე ამ ეპოქის სხვა ფილოლოგიური თუ არქეოლოგიური მასალა არ შეიცავს არანაირ მინიშნებას ამ სასწაულზე. კამინიატეს თხზულებისადმი მიძღვნილ კრიტიკულ ნარკევში ა. კაუდანი მიიჩნევს, რომ ეს ეპიზოდი გვაინდელი ჩამატებული უნდა იყოს.

შემდეგი წყარო დიმიტრის მირონმდინარების შესახებ არის იოანე სკილიცეს ცნობა, სადაც მოთხოვბილია 1040 წლის ამბავი დიმიტრის ნაწილებიდან მირონის გამოჟონვის

<sup>1</sup> P. Lemerle... I, miracle 5, §§ 50-54.

<sup>2</sup> A.P. Kazhdan, Some Questions Addressed to those Scholars who Believe in the Authenticity of Kaminiates “Capture of Thessalonika”, in: Byzantinische Zeitschrift, 71, 1978, pp. 301-304.

შესახებ<sup>1</sup>. როგორც ჩანს, მირონმდინარება დიმიტრის ნაწილები-დან დიმიტრის კულტში ჩნდება 904-1040 წლებში, მაგრამ მითხ-ნევენ, რომ რეალური გავრცელება ამ სასწაულისა მოხდა უფრო გვიან, XII-XIII საუკუნეებში<sup>2</sup>.

მირონმდინარების სასწაულს განსაკუთრებული მნიშვნე-ლობა პქონდა წმინდა დიმიტრის კულტისათვის. როგორც ვნა-ხეთ, ჯერ კიდევ იოანე თესალონიკელის თხზულებაში ჩანს ეჭვი იმის შესახებ, რომ დიმიტრის ნაწილები თესალონიკში არ არის. იმპერატორებისათვის ნაწილების გაგზავნაზე უარის თქმა შეიძლება ამ გარემოებითაც ყოფილიყო გამოწვეული. მი-რონმდინარება კი, უპირველეს ყოვლისა, მიანიშნებდა წმინდა-ნის ნაწილების არსებობაზე. ამ სასწაულმა XIII საუკუნეში, ლათინების შემოსევის დროს, უკვე პოლიტიკური ელფერიც შეიძინა და ცენტრალური ხელისუფლებისაგან თესალონიკის გამოყოფაზეც კი მიანიშნებდა: XIII საუკუნის პირველ მეოთ-ხედში, თეოდორე კომნენოს დუგასა და იოანე ბაცაცას დაპი-რისპირების დროს, როცა კომნენოსის მომხრენი იბრძოდნენ პოლიტიკური და ეკლესიური დამოუკიდებლობისათვის, ამ დამოუკიდებლობის აუცილებლობის ერთი მთავარი არგუმენტი სწორედ წმინდა დიმიტრის ნაწილებიდან გადმომდინარე მირო-ნის არსებობა იყო. სწორედ ამ მირონით ეკურთხა თეოდორე იმპერატორად თესალონიკში.

მირონს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დატვირთვა პქონდა: წმინდა ადგილების მომლოცველებისათვის ყოველ დროს გან-საკუთრებული მნიშვნელობა პქონდა წმინდა ადგილიდან წმინ-დანთან დაკავშირებული სუვენირის, მისი კუთვნილი, ხელნახ-ლები ნივთის წაღებას. თესალონიკიდან მლოცველებს მიპქონ-დათ დიმიტრისა და მასთან ერთად, თესალონიკის ძალის ისე-თი დიდი ნიშანი, როგორიც იყო სასწაულთმოქმედი მირონით საკეთ მცირე ჭურჭლები. ასე ვრცელდებოდა წმინდა დიმიტრისა და მასთან ერთად, თესალონიკის ამბავი მთელ ქრისტიანულ სამყაროში.

<sup>1</sup> R. J. Macrides, Subversion and Loyalty in the Cult of St. Demetrios, in: *Byzantinoslavica*, 51, 1990, p. 194.

<sup>2</sup> ამის შესახებ იხილეთ: R. J. Macrides, op.cit. Χαραλαμπος Μπακιρ-τζης, Ἡ μυροβλησία του Ἀγίου Δημητρίου, in: Ἀγίου Δημητρίου Θάύματα, Ὁ βίος, τὰ θάύματα καὶ Θεσσαλονίκη του Ἀγίου Δημητρίου. Εἰσαγωγή, Σχόλια, Ἐπιμέλεια Χαραλαμπος Μπακιρτζης, 1997, pp. 511-527.

მაგრამ ეს უკვე იოანე თესალონიკელის სასწაულების ციკლზე გაცილებით უფრო გვიანდელი პერიოდის ისტორიებია. იოანესთან მირონმდინარება არ ჩანს.

**ბ) ქართული ლიტერატურის მონაცემები**

დიძიტრის წამება და სასწაულები ქართულად თარგმნა ეფთვიმე ათონელმა X-XI საუკუნეების მიჯნაზე. წამების შემთხვევაში ეფთვიმე მირითადად მიჰყვება დღეისათვის ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ ტექსტს. მაგრამ სასწაულების შემთხვევა განსხვავებულია: ეფთვიმეს თარგმანში დაცული ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენამდე მოღწეული ცნობილი ბერძნული ტექსტებისაგან. ეფთვიმეს ტექსტში შეტანილია სასწაულები იოანე თესალონიკელი ეპისკოპოსის ციკლიდან და ერთი სასწაული (აფრიკელი ეპისკოპოსის, კვიპრიანეს გადარჩენა) ანონიმის მიერ შედგენილი მეორე ციკლიდან. ეფთვიმესთან ის სასწაულები, რომელებიც ბერძნულ ტექსტს ემსგავსება, მნიშვნელოვნად შემოკლებულია – ამოღებულია იოანესთვის ესოდენ დამახასიათებელი ზოგადი მსჯელობა, საღვთო წიგნების ხშირი ციტაცია, უხვი რაოდგრობის რიტორიკული ფიგურები. ძირითადი ამბავი გადმოცემულია მაქსიმალურად მოკლედ და ლაპონიურად. ამასთანავე, ეფთვიმესთან არის სასწაულები (ქვრივის შეილის ადგინება, დიდი ღელვისაგან გადარჩენის ორი სხვადასხვა სასწაული და ა.შ.), რომელებიც ჩვენამდე მოღწეულ ბერძნულ ტექსტებში არ არის. დღეისათვის ჩვენ შეუძლებელად და განუხორციელებდად მიგვაჩნია მსჯელობა იმის შესახებ, თუ საიდან შეიძლება მომდინარეობდეს ეს განსხვავებები.

რა ვთარებაა ეფთვიმეს თარგმანებში წმინდა დიმიტრის ნაწილების მდგბარეობასთან დაკავშირებით?

ამ შემთხვევაში ეფთვიმეს თარგმანი მიჰყვება არსებული ბერძნული ტექსტის ტრადიციას. ეფთვიმესთან დიმიტრის ნაწილები მოთავსებულია ლუსკუმაში, რომელიც, როგორც ჩანს, კიკორიუმის შესატყვისად უნდა მოიაზრებოდეს. შესაბამის სასწაულებში დიმიტრის გამოცხადების დროს წმინდანის ხმა ისმის ლუსკუმიდან, მღლოცვებდები სავედრებლად ლუსკუმის წინაშე იჩოქებენ, განკურნებულნი ლუსკუმას ემთხვევიან და ეამბორებიან. მაშასადამე, ქართულ ტექსტშიც ერთმნიშვნელოვნად წმინდა დიმიტრის ნაწილები დასგვენებულია თესალონიკში, წმ. დიმიტრის სახელობის ეკლესიაში, ლუსკუმაში.

ზემოთქმული ეხება იმ სასწაულებსაც, რომელთაც დღეისათვის არსებულ ბერძნულ ტექსტში შესატყვისი არ მოეპოვება. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ სასწაულში, რომელსაც დაწვრილებით უფრო ქვემოთ განვიხილავთ, ლუსკუმას კიდევაც ხსნიან და წმენდენ. მართალია, აქ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, დევს ოუ არა ლუსკუმაში წმინდა ნაწილები, მაგრამ ამბის გაგრძელებაში ნათქვამია, რომ გახსნილი ლუსკუმა იმავწამს ივსება წმინდა ევლოგით. რამდენადაც მირონი ჟონავდა სწორედ ნაწილებიდან, ამის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ ლუსკუმაში წმინდანის ნაწილები იყო.

სასწაულთა ბერძნული ტექსტებისაგან განსხვავდით, მორომდინარებას ეფოვიმეს თარგმანში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. როგორც უპვე ადგნიშნეთ, მეცნიერთა აზრით, მირომდინარების სასწაული დიმიტრის სასწაულების ციკლს შეემატა X საუკუნის დასაწყისში, მაგრამ იგი გავრცელდა უფრო გვიან – XII-XIII საუკუნეებში. ეფოვიმეს მიერ თარგმნილ სასწაულებში კი სასწაულთმოქმედი მირონი, ანუ ევლოგია, როგორც მას ეფოვთიმე მოიხსენიებს, გვხვდება ყველა სასწაულში, სადაც განკურნება არის აღწერილი. ასე მაგალითად, პირველსავე სასწაულში, რომელიც ეპარხოს მარინოსის განკურნებას შეეხება, განკურნებული მარინოსი “მივიდა ლუსკუმასა მას ზედა და იხარებდა და იცხებდა ევლოგიასა მას მის მიერ აღმოცენებულსა და პმადლობდა მას ცრემლითა და გალობითა”. მეორე სასწაულის მიხედვით, როდესაც მუცლიდან სისხლმდინარე ავადმყოფი ეკლესიაში შეიყვანეს, მან ასევე “იცხო ევლოგიად იგი, რომელი აღმოსცენდა მის მიერ, მეფსეულად დაცხრა დინებად იგი სისხლისა მისისად და განკურნებული პმადლობდა დმერთსა”. მეოთხე სასწაულშიც, სადაც აღწერილია ჭაბუკი მეომრის განწმენდა ეშმაკეულისაგან, განკურნება მირონის საშუალებით ხდება: “სცხეს რად ევლოგიასა მისგან, მეყსეულად განვიდა მისგან ეშმაკი და მოვიდა კაცი იგი გუნებასა თვსსა.”

როგორც ადგნიშნეთ, ექვთიმეს თარგმანში სასწაულების ტექსტი ძალიან გადასხვაფერგებულია, ჩართულია ისეთი ეპიზოდებიც, რომელთაც ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ ტექსტებში შესატყვისი არ მოეპოვება. ამაოგან უნდა გამოვყო ქართული ციკლის ბოლო სასწაული, რომელიც ისევ მირონმდინარებასთან არის დაკავშირებული.

ამ სასწაულის წინ არის სასწაული იტ (=18), კოვერისათვის და შავისაა, რომელსაც ასეთი მცირე შესავალი უძღვის წინ: “უპუეთუმცა ვინ ინგბა, მ საყუარელნო, ყოველთა სასწაულთა დემეტრესთა თითოეულად მითხობად, არამცა სოფელმან დაიტია დაწერილი წიგნები. ვითარცა საყუარელი მოწაფე ქრისტესი, ღმრთისმეტყუელი იოვანე იტყვს, რამეთუ ზეშთა ესე საქმენი ამის წმიდისანი ძალსა სიტყუათასა არ და მოუძღვრდების ენად თქუმად მათდა. არამედ ესე მცირედი, რომელი გჟოქუამს ძალისაებრ ჩუენისა, იყავნ საჯსენებელად ჩუენდა და ლიდებათა მისთა და შევსძინოთ სიტყუად სხუადღა ერთი ოდენ საქმე მისი და ესრეთ დავიდუმოთ”. ამ შესავლით ავტორი ცხადად გვეუბნება, რომ ეს არის თითქმის ბოლო სასწაული და იგი არ აპირებს ამაზე მეტის თხრობას.

მაგრამ მთავრდება სასწაული და კვლავ მოდის მსგავსი ტექსტი: “არამედ ესენი მცირედნი საქმენი მისნი გუთქუმან, ვინაოთგან დიდოთ მათ ვერ მივსწუთებით, რამეთუ ურიცხვ არიან საკურველებანი მისნი, რომელი უქმნიან ვიდრე აქამომდე და იქმს მარადდეს. არამედ ერთიდა წარმოვთქუათ და ეგრეთ დავიდუმოთ”.

ამის შემდეგ გადმოცემულია თავად ამბავი, რომელიც უდაოდ მეტად საინტერესო და მრავლისმეტყველია.

მოვიდა ოქსალონიქში მთავარი ვინმე, რომელმაც ჰჭვი შეიტანა დიმიტრის ნაწილების მირონმდინარებაში: “არათუ წმიდისა მოწამისა დემეტრესგან აღმოეცენების ნელსაცხებელი იგი სურნელებისათ, არამედ ღონისძიებითა იქმან ხუცესნი ეკლესიისანი”. მთავარმა ბრძანა ხუცესთა გაყვანა ეკლესიიდან, თვითონ გაწმინდა ლუსკუმა ღრუბლით და გარეთ გამოსულმა კარი დალუქა სიტყვებით: “აწ ვიხილო, უკუმოუ მისგან აღმოეცენების”.

მეორე დღეს მთავარი სხვებთან ერთად შევიდა ეკლესიაში და ნახა, რომ ლუსკუმაში მირონი არ არის. ავტორი განმარტავს, რომ ეს წმინდანის ნებით მოხდა, “რათა არღარა აქუნდეს მას სიტყუად”. მთავარმა კი დაიწყო ხუცესების ლანბლვა და ტყუილის დაბრალება. სწორედ ამ მომენტში კვლავ აღმოცენდა და დაიწყო ლინება წმინდა ევლოგიამ და გააგსო ლუსკუმა. ეს ნახა მთავარმა და დაბრმავდა, თითქოს “უხილავდ სცა ვინმე ქედსა მისსა და წარმოსცვეს ორნივე თუალნი მისნი”. ორი დღე აცადეს ბერებმა მთავარს დაღადება და ვედ-

რება, ცოდვების მონანიება, მესამე დღეს კი “აღიღეს უვლოგი-ისა მისგან და სცხეს თავსა მისსა და მექსეულად აღიხილნა”. განკურნებულს ლუსკუმისგან გამომავალი ხმა მოესმა, “რომე-ლი ეტყოდა: “ნუშავე კაცობრივმან საქმემან ესე ქმნისა?”. ეს სასწაული და საერთოდ, სასწაულთა მთელი ქართული ციტ-ლიც აქ სრულდება.

ეს სასწაული, როგორც ვხედავთ, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს თავიდან იგი არ მოაიზრებოდა საერთო ციკლში, მაგრამ ბოლოს რაღაც მიზეზის გამო ავტორმა თუ მთარგმნელმა აუცილებლად მიიჩნია მისი დამატება. ამ დამატების მიზეზიც სრულიად ცხადია. ეს უნდა იყოს ის ვითარება, რის გამოც დაიწერა ეს სასწაული. საზოგადოებამ, ალბათ, სრულად არ მიიღო, ბოლომდე ვერ ირწმუნა მირონმდინარება. ამიტომაც ციკლის შემქმნელი ხაზგასმით კვლავ და კვლავ უბ-რუნდება უვლოგის საუცხოო ძალას. ამავე მიზნით ციკლს ბო-ლოს მან ცალკე სასწაული დაურთო იმ ადამიანთა დასამომდვრად, ვისაც ჯერ კიდევ არ გაეზიარებინა ამ მირონმდინარების ჰეშმარიტება.

ამგვარად, წმ. დიმიტრის კულტისა და ნაწილების ისტო-რია სასწაულების ადრეულ ციკლშივე წნდება (VII ს.-ში იოანე თესალონიკელის ავტორობით). რაც შეეხება მირონმდინარების სასწაულს, იგი უფრო გვიან მკვიდრდება წმ. დიმიტრისთან დაკავშირებულ თხზულებებში და X საუკუნის დასაწყისოთა დათარიღებული, ხოლო მეცნიერთა აზრით, ფართოდ ვრცელ-დება მხოლოდ XII-XIII საუკუნეებში. წმ. დიმიტრის სასწაულთა ქართველი მთარგმნელი ეფთვიმე ათონელი ძირითადად იზია-რებს ბერძნული წყაროების პათოსს მირონმდინარების შესახებ და კიდევ უფრო აძლიერებს ამ ამბავს ჩანამატებით. თავად ის ფაქტი, რომ სასწაულების ეფთვიმესეულ რედაქციაში უკვე მრავლადაა თქმული მირონმდინარების შესახებ, მიუთითებს იმაზე, რომ ბერძნულ წყაროებში X საუკუნის დასაწყისში გაჩენილი მირონმდინარების ამბავი იმ დროისათვის, როცა ეფთვიმე ათონელმა თარგმანა ეს ციკლი, ანუ X საუკუნის ბოლოსათვის (და არა მეცნიერთა მიერ საგარაუდოდ მიჩნეული XII-XIII საუკუნეებისათვის) უკვე ფართოდ იყო გავრცელებული.

**Maya Machavariani**

**On the Date of the Cult, Relics and Myrrh of St.  
Demetrios in the Greek and Georgian Versions of the  
"Miracles of Demetrios of Thessalonike"**

The history of the cult and the relics of St. Demetrios appears in the earliest cycle of "Miracles" (dated from the 7th century known under the name of John of Thessalonike). As for the miracle of myrrh streaming from the relics, it appears later in the beginning of the 10th century in the writings about St. Demetrios, whereas, according to scholars, it became widespread only further in the 12th-13th centuries. The Georgian translator of the "Miracles of St. Demetrios" Euthymius the Athonite mainly depends on the Greek sources about the myrrh, but in addition he amplifies this narrative through various interpolations. This denotes that the narrative about myrrh that developed in the beginning of the 10th century in the Greek sources was already widespread at the end of the 10th century (i.e. at the period when Euthymius of Athos translated this cycle) on the contrary to the opinion of spreading the same story only later in the 12th-13th centuries.

## ელენე ლგვაფაძე

### ასმათის სახე "ვეფხისტყაოსანში"

ერთგულებისა და მეგობრობისათვის თავდაუზოგავი მსახურების ნათელი განსახიერებაა ასმათი. მას აქვს საოცარი უნარი თავის გულში დაიტიოს თანაგრძნობა ყოველი შეჭირვებულისადმი. იგი გამორჩეულია თავისი სიყვარულით მოყვასისადმი. მას აქვს ტალანტი ადამიანის ჭირისა და ლხინის გათავისებისა.

ასმათი წესტანის ერთგული ყმაა, მაგრამ მათი ურთიერთობა დამყარებულია არა მხოლოდ პატრონ-უზურ მეგობრობაზე, არამედ უანგარო სიყვარულზე. ასმათის სახე "ვეფხისტყაოსანში" არ არის ნაჩვენები ცალმხრივად, ანუ იგი არ არის მხოლოდ ერთგული ყმა. ეს სახე ბოლომდევა გახსნილი. მისი თვისებები, ბუნება, ხასიათის თავისებურებები სრულადაა წარმოჩენილი. ასმათი იდეალური სახეა ადამიანის გულისა და გრძნობების სიღიადისა. ასმათი არა მარტო თავისი პატრონის ერთგულია და მოყვარული, არამედ ზოგადად, კაცომოყვარე ადამიანია. მისი არსების წარმმართველი მოყვასის სიყვარულია. ამიტომაც ეუბნება იგი ავთანდილს:

"ხარ უცილოდ კარგი ვინმე, მოყმე ბრძენთა საქებარი";

.....  
"შენთვის მოვკვდე, ამისებრი მემცა საქმე რა ვიღონე!"

პატრონთა უბედურებას ასმათი გულით გლოვობს და არა ზედაპირულად. ასმათი ნაწარმოებში თავიდანვე შემოდის, როგორც შაოსანი ქალი ("ქაბისა კარსა გამოდგა ქალი ჯუბითა შავითა"), მგლოვიარე ტარიელისა და წესტანის უბედურების გამო ("ატირდა მაღლად ცრემლითა, ზღვათაცა შესართავითა"). შეგო სამოსი არა მარტო ფიზიკური შესამოსელია, არამედ სულიერიც, რადგან ამით ნათლად გამოიხატება ასმათის განწყობილება ("დიდხანს იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან"). წესტანისა და ტარიელისათვის თავის გაწირვა ასმათს არად მიაჩნია:

"ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატიჟად ნურრად გგონია,  
მით რომე დამხსნი ტირილსა, შემშრების ცრემლთა  
ფონია;

ჩალად მიჩნს ყოვლი სოფელი, მისოთვისვე შემიწონია".

ის, რომ ასმათს არ უყარს ეს სოფელი და არად აგდებს  
მას, მის დიდ სულიერ ღირსებაზე მიუთითებს. იგი მაღალი  
იდეალებისათვის – სიმტკიცის, გაუტეხელობის, მეგობრისადმი  
თავდადების გულისათვის აღვილად ივიწყებს წუთისოფელს,  
საწუთოს. ასმათს შეცნობილი და გათავისებული აქეს ერთ-  
გულების არსი. მისოთვის მახლობელია მეგობრობა და დიდად  
აფასებს ამ გრძნობას. სწორედ ასმათი ამბობს რუსთაველის  
ყველაზე მნიშვნელოვან შეგონებას:

"ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია".

ასმათს აქეს განსაკუთრებული დამოკიდებულება მიჯ-  
ნურთადმი. იგი მიჯნურთა გულის ცეცხლის გამნელებელია და  
მათი ნუგეშისმცემელია. იგი ტარიელის საიდუმლოს ერთგული  
შემნახველია. მან ავთანდილს ტარიელის სახელიც კი არ გაუმ-  
ედავნა, სანამ არ გაიგო, რომ ავთანდილიც მიჯნური იყო.

ასმათს უხარის ტარიელისოთვის სიკვდილი და ეს ურჩევ-  
ნია ერთგულების გატეხვას. ასმათის ამგარი ხასიათი მის მა-  
ღალ ზეობაზე და სულის სიმაღლეზე მეტყველებს. ასმათი  
ტარიელის ჭირის ერთადერთი ხორციელი გამზიარებელია, მაგ-  
რამ იგი მისოთვის უპირველესად სულიერი მეგობარია. დევების  
გამოქვაბულში მცხოვრები ტარიელისათვის ასმათი ყველაზე  
მახლობელი და ძვირფასი ადამიანია, ძვირფასი იმადაც, რომ  
იგი ნესტანის დანაწილები და სულიერი ნიშანია. ავთანდილმა  
ველად გაჭრილი ტარიელი სწორედ ასმათის სახელის შესსენე-  
ბით მიაბრუნა მის სამყოფლამდე, გამოქვაბულამდე.

ასმათი კარგად იცნობს ტარიელს. მას შეცნობილი აქეს  
ტარიელის ყოველი თვისება, ბუნება, ხასიათი, მისი არსება,  
ამიტომ თავის მოქმედებას და ყოველ სიტყვას ტარიელის  
მდგომარეობას უწონასწორებს. ტარიელის განსაცდელის განსა-  
კუთრებულობაც გააზრებული აქეს ასმათს. ამით ასმათი იცნო-  
ბიერებს აგრეთვე საკუთარ დანიშნულებას – მან ტარიელი  
სულიერი გამოქვაბულიდან, ქვესკნელიდან უნდა გამოიყვანოს.  
საჭიროებისა და ვითარების შესაბამისად, იგი ტირის და  
მოთქვამს ტარიელთან ერთად. ამასთანავე, იმასაც არ ივიწყებს,

რომ ხშირად შეასენოს ტარიელს სევდის დაძლევა და ფუჭი გლოვის ამაოება:

"არა კაცსა არ იახლებ საუბრად და შემაქცევრად;  
მას მაგითა ვერას არგებ, დღეთა შენთა ცუდად ლევ  
რად?"

.....  
"შენ მოკვდე და იგი წახდეს, ესე შენთის რა  
მადლია?"

ასმათი ტარიელს მოქმედებისაკენ მოუწოდებს. იგი ტარიელისათვის ცხოველი წყაროა. თავის სიტყვებსა და დარიგებებში გამოხატულ დახმარების დიდ წადილს ასმათი მაცოცხლებელი ნამივით აპკურებს გლოვისა და ტანჯვის ცეცხლისაგან დაშრეტილ და გამოფიტულ ტარიელის გულს. ასმათი სიღრმისეულად წვდება ტარიელის მდგომარეობას, ითავისებს მის გახელებულ გონებას. ამიტომაც ურჩევს იგი დაპირებისამებრ უკანმობრუნებულ ავთანდილს, რომ არ გაბრაზდეს შეგობარზე, რომელმაც დაარღვია მიცემული პირობა და ველად გაიჭრა. ეს თანაგრძნობა ასმათის სიბრძნესა და გონიერებაზე მეტყველებს. მან კარგად იცის, რომ "სხვა სხვისა ომსა ბრძენია".

ამ სიტყვებით ასმათი მიუთითებს ავთანდილს, რომ მეგობრის გრძნობების გათავისების გარეშე დაუფიქრებდად ნუ იმსჯელებს მის საქციელზე. ამგვარი ქმედებით ავთანდილი გაუცხოვდება, "სხვა" გახდება ტარიელისათვის. ასმათის რჩევით, ავთანდილმა გონების თვალით უნდა გადახედოს ტარიელის გახელებულ გულს და კი არ განიკითხოს, არამედ უწამლოს მას. თავადაც ასე იქცევა ასმათი. იგი არასოდეს განიკითხავს ტარიელს და მხოლოდ უთანაგრძნობს მეგობარს. იგი ასე უხსნის ავთანდილს ტარიელის გასაჭირს:

"გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰეიდიან:

რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიღიან;

უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცოაგან განაკიდიან.

შენ არ გინახვან, არ იცი, მას რომე ცეცხლი სწვიდიან".

ტარიელისათვის ასმათი სისხლის ცრემლებს აფრქვევს:

"ქალი შებნდა, მოეხვია, ერთმანეთსა სისხლით სწვიდებს".

სისხლის ცრემლები ტარიელისადმი ასმათის სულიერ სიახლოვეზე და მისი განსაცდელის გაზიარებაზე მიანიშნებს. მას აქეს უნარი და მადლი ყოველი ადამიანის შეცნობისა და

დახმარებისა. ამიტომაა იგი მარადიული მოყვარე. იგი ასე უუბნება ავთანდილს:

"აწ მოყვარე გიპოვნივარ, დისაგანცა უფრო დესი".

მართლაც, ასმათი დობის, ერთგული ადამიანის იდეალია, ხორციელ დობას აღმატებული. თანადგომა და დახმარება მისი სულის მოთხოვნილებაა. ამიტომაც მას დას უწოდებს პოემის ყოველი პერსონაჟი: ტარიელი, ნესტანი, ავთანდილი: "ასმათის ნახვა მეამა, ჩემგან დად საესავისა" (ტარიელი); "კვლა უთხრა: დაო, მიჯნური მტერთაცა შეებრალების" (ავთანდილი).

ტარიელიც, თავის მხრივ, დრმად წვდება ასმათის გულსა და ერთგულებას და დიდადაც აფასებს მას. ასმათის კეოლ რჩევებსა და თაობირებზე ტარიელი ამბობს: "დაო, ეგვა მსგავსი შენისა გულისა", რადგან ასმათის გული, მართლაც, თანაგრძნობითაა აღვხილი და ყოველი მისი ქმედება ამ გრძნობის წარმოჩინებაა. ტარიელი ავთანდილს ასმათს ასე უხასიათებს: "ეს ქალი არ დამაგდებს".

ამით იგი ავთანდილს უმჯდავნებს ასმათის სულერ დობას და მეგობრობას მისადმი. ასმათისათვის ტარიელისა და ნესტანის ჭირი საკუთარი ჭირია, მათი დახინი – საკუთარი ლხინი. მათოვისა სჭირს "გულისა წყლულობა". ტარიელის ნუგაშია ასმათი, მისი დარდისა და ვარამის ერთადერთი გამზიარებელი. სიცოცხლის მიმცემელია მისი სიკეთე ტარიელისათვის:

"შენგან კიდე ხორციელი, დაო, მივის არასადა".

ასევე აფასებს ასმათს ნესტანიც:

"რაცა შენ ქმენ, არ უქმნია არც გაზრდილსა, არცა ზრდილსა."

ამით პოემის გმირები წარმოაჩენენ ასმათის განსაკუთრებულ როლს მათი საბოლოო ბედნიერების საქმეში.

"ეფეხისტყაოსნის" ყოველი პერსონაჟი წარმოდგნილია საწუთოსთან, სოფლის მპყრობელ ურჩსულთან ბრძოლაში. ამსოფლიური განსაცდელის მიერ გატეხილი ან მისი გადამლახავი პოემის "იდეალური" გმირები წარმოჩენილნი არიან ერთდროულად თავიანთი ადამიანური სისუსტითა და სიდიადით, რითაც დიდი წვლილი შეაქვთ ბოროტების დათრგუნვაში. მაგრამ "კეფხისტყაოსანში" არიან ისეთი პერსონაჟებიც, რომლებიც ვერ წვდებიან სულიერ იდეალებს. ესენი არიან ვაჭრები, ვაზირნი, მეკობრები და ა.შ. მათი როლი ან საერთოდ არ ჩანს,

ან მცირება სიკეთის გამარჯვების საქმეში. მხოლოდ ფატმანი ემიჯნება ამ მდაბალ სამყაროს სიკეთის ქმნით.<sup>1</sup>

ასმათიც სწორედ ისეთი პერსონაჟია, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ნესტანისა და ტარიელის ბედნიერებაში. მან გაუძლო მრავალ განსაკლებლს, დამარცხა თავისი წილი საწუთოს ბოროტებიდან. მან თავისი არსება სიკეთის, სიყვარულის, ერთგულების სამყოფლად გადააქცია. ამიტომ იგი ყველა-სათვის ტკბილი და გამორჩეულია საყვარელია. მისი საქციელი, სიტყვა, ქმედება ატებობს სხვათა გონებას, მაღამოდ ედება ტარიელისა და ნესტანის დადალულ გულებს და უნელებს მათ ერთმანეთის ვერ წვდომის ცეცხლს. ასმათი არა უბრალო შუამდგომელია ნესტანისა და ტარიელს შორის, არამედ იგი წვდება მათი სიყვარულის დრმა აზრს და ამ გრძნობის განსაკუთრებულობას.

ამიტომ ასმათისათვის განსაცვიფრებელი და საკვირველი რამ საარაკო ამბავთან არის დაკავშირებული, ანუ ისეთ ამბავთან, რომლის კეთილად დაგვირგვინება დვთის საქმეს მიეწერება. ნესტანის პოვნით განცვიფრებული ასმათი

"გაკვირდა, ზარმან აიღო, ათროთლებს, ვითა ხელობა, ტერფით თხემადის გაუხდა მას მეტი საკვირველობა".

ასმათის მიერ მუხტალი საწუთოს დამარცხება ოუნდაც იმით ჩანს, რომ მისი მოგონილი "აშიკობა" ტარიელისადმი არც მაშინ გადაზრდილა ნამდვილ "აშიკობაში", როცა ამისი რეალური საფუძველი შეიქმნა. მას საკუთარი ბედი არა აქვს პოქმაში არა მარტო იმიტომ, რომ ავტორმა არ განუსაზღვრა იგი, არამედ იმიტომაც, რომ ამგვარი ადამიანები თავიანთი არსებით მარადიული მსხვერპლი არიან. ასმათს გაცნობიერებული აქვს კიდევ თავისი ვალი, შეცნობილი აქვს საკუთარი თავი, თავის აქტეუნად მოსვლის დანიშნულება. იგი ასე უმაჯდავნებს ავთანდილს თავის ვინაობას:

"მე ასმათ მქვიან, რომელსა წვა მაქვს ცეცხლისა ცხელისა,

სულთქმა სულთქმისა ბევრისა, მაშა თუ არ ერთხელისა".

სწორედ ესაა ასმათი – დიადი გრძნობები, "ცეცხლი ცხელი", მეგობართა სამსხვერპლოზე მიტანილი.

<sup>1</sup> იბ. ქ. ბეზარაშვილი, კ. დგგევაძე, ფატმანის სახის ინტერვერებაციისათვის, რუსთველოლოგია, III, თბ., 2004, გვ. 3-9.

მიუხედავად იმისა, რომ ასმათი თითქოს ყველასათვის მახლობელია, ყველას დობილი და მოყვარეა, ყველას მეწამლე და ერთგულია, მანუგეშებელია, თავად მისი ნუგეშისმცემელი არავინაა. სწორედ ეს არის მსხვერპლის არსი, რომ იყოს მარტო, ეული, საკუთარი თავისთვის მევდარი და მხოლოდ სხვათათვის ცოცხალი. ასმათი სხვათათვის თავშეწირვის იდეალური გამომხატველია. ამიტომ ხშირად გვანასვებს ხოლმე მას ავტორი ქვაბის წინ მარტოდ მყოფს. თითქოს ყველამ "იცის" ასმათი, მაგრამ ბოლომდე მაინც არავის ჰყავს იგი შეცნობილი. იგი მარტოდ მყოფია ამქვეყნიური განსაცდელის წინაშე. მისი ნუგეში სწორედ სხვათა ნუგეშისცემაა. ეს თვისებები ასხვავებს ასმათს პოემის სხვა გმირებისაგან. ამავე დროს, იგივე თვისებები აახლოებს მას პოემის მთავარ პერსონაჟებთან სულიერი სიმაღლით.

ასმათის გული სიკეთითაა ადგსილი. მისი სიბრძნის, ბრძნად ქმედების ძირითადი წარმართველი ძალაც ესაა. ასმათის სიბრძნის დასაბამი ერთგულება, სიკეთე და სიყვარულია, რაც მისი გულიდან მომდინარეობს. ამიტომ ამბობს მასზე ტარიელი:

"მეგეთა ესე თათბირი, სიბრძნე გულისა მისისა".

ასმათისთვის ყველაზე ძვირფასია საყვარელი პატრონების მონება. ეს მონება, ისე ვით უფლის მონება, თავისუფალი არჩევანის, მორჩილებისა და საღვთო და მიწიერი იერარქიის ერთგულების გამოხატულებაა. ამიტომ ამბობს ასმათი:

"მონებისა უკეთესი რამც ვიშოვე, რამც ვიქონე?"

ასმათის მიერ საღვთო ნების მორჩილებას და გაცნობიერებას გადმოსცემს მისი სიტყვები, რაც უფლის რწმენას, სასოებასა და სიყვარულს გამოხატავს:

"ასმათ თქვა: ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცოა ენითა,

შენ ხარ საგსება ყოველთა, აღგვაგსებ მზეებრ ფენითა;

გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ-სქებელი სმენითა!

დიდება შენდა, არ მომკალ ამათოვის ცრემლოა დენითა!"

ამ ერთგულების, მოყვასთათვის "შეკვდომისა" და სიბრძნის წილ ტარიელი და ნესტანი ასმათს სამეფოს ერთ მეშვდიდედს უბოძებენ საგანმგებლოდ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი, ასმათის ერთგულებაზე დანდობილნი, ინდოეთის ერთიანობას ამით არ არღვევენ.

ასმათი მხოლოდ მაშინ მოისვენებს და გაიხარებს, რო-  
დესაც მისი პატრონები და მოყვასნი საწადელს მიაღწევენ და  
გაიხარებენ. მისი სიხარული სწორედ სხვისი სიხარულია, რად-  
გან მას პირადი ბედნიერება არ გააჩნია. ასმათი იშვიათი გამო-  
ხატულებაა არა მარტო პატრონ-ყმური ერთგულებისა ("სჯობან  
ყოვლთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი"), არამედ  
მოყვასისადმი თავის მსხვერპლად დადებისა, და-ძმური  
სიყვარულისა.

ასმათის მსოფლმხედველობას, სიყვარულსა და თავგან-  
წირვას მისი რწმენა განაპირობებს, ხოლო ამ რწმენის საფუძ-  
ველია ღვთის განგების, თვალთვაგან დაფარული ღვთის სახიე-  
რების ჭეშმარიტების აღიარება:

"ასმათ ჰკადრა: "მადლი ღმერთსა, ვარდნი ვნახენ არ-  
დაზრულნი.

ბოლოდ ასრე გააცხადნა გონებამან დაფარულნი.

სიგვდილიმცა სიცოცხლედ მიჩნს, ოდეს გნახენ  
მხიარულნი".

ამგვარად, ასმათის ქმედებას რუსთაველის მსოფლმხედვე-  
ლობის ძირითადი არსი განსაზღვრავს. ეს არის სიყვარული –  
სიყვარული ღვთისადმი და სიყვარული მოყვასისადმი, რაც  
საღვთო მცნებების მიხედვით, ერთი და იგივე (I იოანე 4, 21).

## Helene Dgvepadze

### The Image of Asmat in Rustaveli's Poem "The Knight in the Pather's Skin"

Along with the accepted idea concerning Asmath as the devoted vassal of her patrons, the idea concerning her love to men, in general, is presented in the paper. The world outlook of Asmath is mainly based on the love of God and neighbor, on devotion to friends which is the basic problem of Rustaveli's poem and Christian tradition.

## თამთა როგავა

### თეიმურაზ მეორის „სარკე თქმულთას“ ბიბლიური წყაროს ზოგიერთი ასპექტისათვის

„ვერასოდეს მოიგონებს და შექმნის ადამიანი იმას, რაც ბიბლიაში არაა; მწერლის უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა, ბიბლიის მარადი სიბრძნეები, თუ გაფრთხილებები მოელი თავისი მწერლური ხერხებითა და საშუალებებით მიაწოდოს მკითხველს“<sup>1</sup> – წერს გ. დოჩანაშვილი ერთგან.

ქართული მწერლობის დასაბამიდანვე იყო ბიბლია მწერალთა შთაგონების წყარო. საღვთო ისტორიის სიუკეტების, იგავების სიმბოლური გააზრებისა და ინტერპრეტირების საოცარი მაგალითების მოხმობა შეიძლება, თვით გ. დოჩანაშვილის „სამოსელი პირველიც“ ხომ ამ მიზანს ემსახურება!?

საქართველოში ბიბლიის გალექსვითაც ყოფილან დაინტერესებული. ამ პროცესს განსაკუთრებით XVIII ს-ში მიუღია მასშტაბური ხასიათი. ეს, ბუნებრივია, ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ტენდენციის გავლენით არის გაპირობებული უმეტესწილად, რომლის მიხედვითაც „ლექსს უფრო ყურსა ჟაჭრობენ, ამბის წიგნები ძეს ავად“. დ. გურამიშვილს, დ. ორბელიანს, თეიმურაზ მეორეს ტავპებში მოუმწყვდევიათ საღვთო ისტორიის ესა თუ ის საკითხაგები. ამათგან სიუჟეტების გალექსვის სიმრავლით სწორედ მეფე-პოეტი გამოირჩევა.

მართლაც, ბიბლია ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა თეიმურაზის პოემის „დღისა და ღამის გაბაასებისა“.

„არაა გამორიცხული, რომ თეიმურაზი იცნობდა ბიბლიური ეპიზოდების გალექსვის სხვა ქართულ ცდებსაც ... მაგრამ გავლენაზე ლაპარაკი ზედმეტია: თეიმურაზის უშუალო წყარო

<sup>1</sup> ქურნალი „ლიტერატურული პალიტრა“ №23, 2005 წ, გვ.1.

ბიბლიაა. მას უფრო სრულად და უფრო ვრცლად აღუწერია ბიბლიური ეპიზოდები, კიდრე წინამორბედებს“. – წერს ლ. მენაძე.<sup>1</sup>

სწორდედ ამ საკითხებზე გვსურს ყურადღების შეჩერება. თხულების პირველი ნაწილი „წმინდა წიგნის“ უშუალო პერიფრაზირებაა, მაგრამ არა მთელი ისტორიისა, არამედ იმ მონაბეჭებისა, რომელთა მოხმობაც საჭიროდ ჩაუთვლია აგზორს. აქ სადაც ისტორიის შემდეგი ეპიზოდებია გაღექსილი: ადამის შესაქმე, წყლით რდვნა, ისააკის შეწირვა, იაკობის კურთხევა, ისრაელთა გამოსვლა, იოსების თავგადასავალი, ელიას ამაღლება, ზაქარიას დაუმება, ხარება, შობა, ნათლისღება, სერობა, ჯვარცმა, ღვთისმშობლის მიცვალება თუ სხვა.

სხავადსხევა ეპიზოდების ამგვარი დალაგება, ცხადია გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. სადაცთო ისტორიის ასე ლაპონურად და სიტყვაშეწყობით წარმოოქმნა მათი უკეთ გააზრებით და შესწავლითაც იყო გაპირობებული. როგორც ჩანს, თეიმურაზს სწორედ ის ეპიზოდები გაულექსავს, რომელთა მოხმობაც საჭიროდ ჩაუთვლია იმ დროის შესაბამისად, თორემ სხვა მნიშვნელოვან პასაჟებსაც, რომელთაც, ბუნებრივია, დღისით ან დამით ექნებოდა ადგილი, ეს პერიფრაზირების ოსტატი ადვილად გარითმავდა.

დღე-დამის კამათი ბიბლიური სიუქეტების მოხმობის ფონზე იშლება. ისინი ამბებს მხოლოდ თავიანთი პოზიციიდან კი არ ყვებიან, არამედ უწერეკენ და აყვედრიან კიდეც ერთურთს იმ არასასიამოვნო ფაქტის გამო, რაც ამა თუ იმ ასტრონომიულ დროში მომხდარა. მაგალითად, დამე ისენებს კაენის სიცდილს და ამბობს: „საშინელი ესე ცოდვა, დღისით მოხდა ეშმაკისად“ – ო.<sup>2</sup>

დღე-დამეს ხშირად არეული აქვს პოზიციები. დამე ყვება ისეთ ამბებზე, რომლებიც აშეარად დღისით მომხდარა, მაგალითად: ფერისცვალება უფლისა იესო ქრისტეს („დღისით იყო ქრისტესაგან უცხო ესე სასწაული“<sup>(2513)</sup>) და პირიქით, დღე აცოცხლებს სერობის სცენას, რომელსაც აშკარად დამე ჰქონდა ადგილი.

<sup>1</sup> ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ. 1966 წ. გვ. 624.

<sup>2</sup> თეიმურაზ მეორე, თხულებანი, გ. ჯაგობიას რედაქციით, თბ 1939, გვ. 9.

ბიბლიური პასაუების გაცოცხლება, ცხადია, უფრო დიად მიზანს ემსახურებოდა, ვიდრე სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, თუ რომელ დროში მოხდა ესა თუ ის ფაქტი. ზაქარიას დადუმების, იობის განსაცდელის, ისააკის მსხვერპლად შეწირების თუ სხვა ეპიზოდების მოთავსება ამ თხზულებაში, სავარაუდოა, ერთი იდეით იყოს გაპირობებული, ავტორს სურს რწმენაზე, სარწმუნოებაზე დააფიქროს მკიონეველი, რათა აღარ გადაიხაროს უფლისაგან. ამის საშიშროება კი იმ ეპოქაში ნამდვილად იყო. ეს ის დროა, როცა ქართველ მამული-შვილს უწევს თქმა შემდეგი სიტყვებისა: „ნუ გათათრდებით“. ამ ფონზე თეიმურაზის ნააზრევიც რწმენის შერყევის შეჩერებას თუ ქართული ზნე-ჩვეულებების შენარჩუნებას ემსახურება უმეტესწილად.

აღნიშვნის დისრია ერთი გარემოება. მკვლევარები, რომლებიც ძირულებიანად ეხებოდნენ თხზულების დეტალებს, განგებ ტოვებდნენ უურადლების მიღმა ნაწარმოების ბიბლიურ პასაუებს, როგორც თემატურად უინტერესოს და პრაფრის-მთქმელს. გ. ჯაკობია წერს: „უნდა ითქვას, რომ პირველ ნაწილს თანამედროვე თვალსაზრისით მცირე მნიშვნელობა აქვს თემატურად და იდეოლოგიურად, მხატვრული ღირებულების მხრივაც იქნებ მდარეა, მაგრამ ჩვენ მაინც ვაქვეუნებთ მას, განსაკურებით იმ მოსაზრებებით, რომ საჭიროა ჩვენს პოეტს მოლიანად ვიცნობდეთ – მისი დირსება-ნაკლოვანებებით, თანაც უამისოდ წინამდებარე კრებული სრული ვერ იქნებოდა“<sup>1</sup>.

დაახლოებით ამასვე აცხადებს პროფესორი ლ. მენაბდე: „დინისა და დამის გაბაასება“ მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოებია, მართალია, მისი პირველი ნაწილი (საღმრთო) თემატურად და იდეურად დღეს საინტერესო არაა, სამაგიეროდ მეორე ნაწილი ერთობ მნიშვნელოვანია“<sup>2</sup>.

ეს პოზიცია აშგარად კომუნისტური იდეოლოგიის შედეგი ჩანს. ბიბლიური თემები დიდხანს ტაბუდადებული იყო. მკვლევარებიც იძულებული იყვნენ ისინი უინტერესოდ ჩაეთვალათ, მაშინ, როდესაც ბიბლია თაასწლეულებით კვებავდა შემოქმედთ იდეურად. ეს, რა თქმა უნდა, ცნობილი იყო ამ მკვლე-

<sup>1</sup> გ. ჯაკობია, ტექსტისათვის, წიგნში: თეიმურაზ მეორე, თხზულებანი. თბ. 1939 წ. გვ. X.

<sup>2</sup> ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ. 1966 წ. გვ. 624.

ვარებისათვის და სწორედ ამით აისახება ის გარემოება, რომ მენაბედის წერილების გვიანდელ გამოცემაში ჩასწორებულია ეს მონაკვეთი: „მისი პირველი ნაწილი (საღმრთო) ოქმატურად და იდეურად ახალს და უცნობს არას შეიცავს“.<sup>1</sup> – აღნიშნავს ამჯერად აგვირი და ამაში ნაწილობრივ ნამდვილად ერწმუნება.

თემისაზე დიდ განსწავლულობას იჩენს ქრისტიანული დოგმატიკისა და სადვოთო ისტორიის საკითხებში. პოემაში ტაქტების სახით სალექსო ზომებშია მოქცეული ის ამბები, რაც პროზაულად გვხვდება „წმინდა წიგნში“. არაერთი მაგალითის მოხმობა შეიძლება ამ ზედმიწევნითი თანმიმდევრულობისა: „ეძიას ამაღლება“ სიტყვასიტყვით მისდევს სათანადო ეპიზოდს ბიბლიიდან. (4 მეცვეთა, 2). მიქიას წინასწარმეტყველება ქრისტეობაზე გაულექსავს ავტორს (მიქ. 5,2; მათე 3,6) ესაიას ხილვა შესაშური ისტატობით არის პერიფრაზირებული (ესაია 5,7). უნდა ითქვას, რომ თემისაზე ყურადღებას ამახვილებს სახარების იმ ეპიზოდებზე, რომლებიც მახარობლიდან შეოლოდ ერთ-ერთს მოუყოლია: ლუკას – მირქმა და წინადაცვეთა, ზაქარიას დაღუმება; მარკოზს – უფლის სასწაულები; იოანეს – თომას რწმუნება თუ სხვა. საოცარ სიზუსტეს იჩენს თხრობის პროცესში, ასევე დიდ განსწავლულობას ამჟღავნებს, თუმცა ზოგი უზუსტობა მაინც გაპარვია, თუნდაც ის, რომ ლამექი, რომელიც ბიბლიის მიხედვით მე-5 თაობაა კაენისა აქ მე-5 შვილად არის ჩათვლილი. კორექტურული შეცდომით ჩანს გაპირობებული ერთ-ერთი ხარვეზი, თავი, რომელსაც „იოსების ამბავი“ ჰქვია, სინამდვილეში მართალი და მრავალტანჯული იობის ისტორიას შეიცავს.

ერთი სიტყვით, იმდენად მისდევს ბიბლიის ტექსტს ავტორი, მნელია პარალელების ჩამოვლა. საინტერესოა, ყურადღება გავამახვილოთ უფრო იმ ეპიზოდებზე, რომლის წყაროს უშეალოდ ბიბლიის ის თავები არ წარმოადგენს, რომლიდანაც ლექსავს ავტორი.

ამ შერივ თხზულების ორმა თავმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება: „აქა ლამექისაგან კაენის სიკვდილი“; „ხარება ყოვლადწმინდისა დეისმშობლისა“.

<sup>1</sup> ლ. მენაბედე, XVII-XVIII სს ქართული ლიტერატურა, თბ, 1997 წ,  
გვ. 187

გაცხარებულ კამათში დამე ამბობს: „წინამეტყვთა აწ სი-  
ტყვასა შემოვიყვან შესაწევადო“ და იშველიებს ისეთ ეპიზოდს,  
რომელიც დამოსმობელთან მიმართებაში არც ერთ მახარო-  
ბელთან არ გვხდება.

„ან მხილველი დათისა მოსე სინას მთას რას  
ნახევდისა?“

– ნახავს მაყვალს მგ ზნებარესა, არ იწვების, ენთებისა,  
თქმული წინასწარმეტყველთა, რაც ამაზედ იქნებისა,  
ყველა დამით აღსრულდების, აწ ვსთქვა საქმე ხარებისა“.!<sup>1</sup>

აქ სწორედ იმ მოსეზეა საუბარი, რომელსაც ქორიბის  
მთაზე ალმოდებული მაყვალის სახით ეწვენა უფალი (გამოსვლ.  
3,2-3-4, გვ. 59). „მეორე რჯულში“ კი კითხულობთ: „მიწის მად-  
ლიო და მისი სისავსით გადმოვიდის მაყვლოვანში დავა-  
ნებულის წყალობა ითხების თავზე (მეორე რჯული, 33,16; გვ.194).

როგორც ჩანს, „მაყვლოვანში დავანებული“ უფლის მისა-  
მართით არის ნახმარი. ამ სიმბოლომ დიდი გამოხმაურება  
პპოვა მწერლობაში.

„სასულიერო მწერლობამ შეუწევლი მაყვლის ბუჩქში  
ალეგორიულად დათისმშობლის ხატი იხილა ... პიმნოგრაფი  
გარკვევით გვეუძნება: „იქმნა სახე ქალწულისაი მაყუალი მოტ-  
ყინარე ცეცხლითა, რომელი იხილა სჯულისმდებელმან და  
განკერთა გონებითა, რამეთუ საღმრთოი განხორციელებაი პირ-  
ველვე გამოისახვოდა (ნევმ. ძლისპ. გვ. 549) კი მოსეზ მოგიზ-  
გიზე მაყვლის ბუჩქში პირველად იხილა უფლის ხორცშესხმა  
... ასე იყო გასაიდუმლობული შეუწევლ მაყვალში დიდი  
დედოფლის სახე: „სახე იყო მაყუალი ხატისა ყოვლადწმიდისა  
შენისაი, ქალწულო ღმრთისმშობელო“ (ქართული პოეზია, ტ.I,  
გვ. 210); „სინური მრავალთაგი“ კონკრეტულად წარმოაჩენს შე-  
უწევლი მაყვლის ალეგორიის არსეს: „ვითარცა იტყვის არა  
შეიწუებოდა – ესე იგი არს: შეა ღმერთი და სამოი არა  
განხორცნა, მუცლად იღო და ქალწული ქალწულადვე გო“.<sup>2</sup>

ჩვენ მიერ განსახილველ პოემაშიც „მაყვლოვანი“ დათის-  
მშობლის სიმბოლო ჩანს. ხარების სცენაში მოსეს ხილვის გახ-

<sup>1</sup> თეიმურაზ მეორე, თხზულებანი, გ. ჯაფობიას რედაქციით, თბ 1939,  
გვ. 28

<sup>2</sup> შდრ. ტ. მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996 წ, გვ. 96.

მიანება სწორედ იმავე თვალსაზრისს ამჟღავნებს, რაც სასულიერო მწერლობაში საკმაოდ ყოფილა დამუშავებული.

კიდევ ერთი დეტალია საინტერესო. თხულებაში პირველი ცოდვილის, კაენის, მკვლელად მისი მეხუთე შვილი ლამექია დასახლებული, რომელსაც თითქოს შვილის ცოდვაც ედოს კისერზე.

კაენის სიკვდილის საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს ავტორი. კაენის ბრძანებული ლამექი მის თანხლებით ახერხებდა ნადირობას. ერთხელაც, ჭალაში მოფაჩუნება ნადირს ესროლა. ეს „უკანასკნელი მამამისი აღმოჩნდა. გაუბედურებულ ლამექს შვილიც შემოაკვდება. დგომის რისხვა მას დიდად დაედება:

„სისხლისაგან შვილგზის შური ძიებულ-არს კაენისად, სამოცდაათი, შვილ-გზით მეტიც, არის ცოდვა ლამექისა“  
(63)

ბიბლიაში კაენის სიკვდილის ამგვარ ისტორიაზე არაფერი წერია. ლამექი კი მოიხსენიება შემდეგნაირად: როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი კაენის მე-5 შტოს წარმომადგენელია (ენოქის ირადი-მეტეული-მეთუშაელი-ლამექი) (დაბ. 4,17-18-19; გვ. 16).

როგორც ჩანს, იგი ერთ-ერთი უხნოვანები ბიბლიური პატრიარქის მათუსალას შვილია. თავის მხრივ კი ნოეს მამაა. იგი პირველია, ვინც მრავალცოლიანობა დააკანონა. მისი ცოლები იყვნენ ყადა და ცილა. ლამექის მიმართვა ცოლებისადმი, უდაოა, დიდი შთაგონების წერო და ინტერპრეტირების საბაბი გამხდარა მწერალთათვის.

„დაბადებაში“ კვითხულობთ: „უთხრა ლამექმა თავის ცოლებს, ყადას და ცილას: ისმინეთ ჩემი, ლამექის ცოლებო, უკრად იდეთ ჩემი ნათქვამი: პო, მოკვალი კაცი ჩემდა სატკივრად და ყმაწვილი ჩემდა ჭირად. თუ შვილგზის მიეზღვებათ კაენის გამო, ლამექის გამო სამოცდაშვილმეტგზის მიეზღვებათ“ (დაბ. 4,23-24; გვ.16).

„ბიბლიის ენციკლოპედიის“ ქართული ვერსია ძალზე მწირ ცნობებს გვაწვდის ლამექის შესახებ: „ლამექი, კაენის შთამომავალი ... მათუსალას ვაჟი, ნოეს მამა“!<sup>1</sup>

ამავე დანიშნულების რუსულ ვერსიაში კი კვითხულობთ: „უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი მიმართვა ცოლებისადმი პოეზიის ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ უძველეს ნიმუშად ითვლება. თუ

<sup>1</sup> ბიბლიის ენციკლოპედია, თბ. 1998 წ. გვ. 182

რა დანიშნულებისაა იგი, რომელსაც, როგორც ჩანს, არავითა-რი კავშირი არა აქვს წინამდებარე თხრობასთან, ერთი შეხედ-ვით ძნელი სათქმელია.

შესაძლებელია, ლამექი და მისი ცოდები შფოთავდნენ იმ გარემოების გამო, რომ ლამექს, როგორც გაუგონარი დანაშაულის ჩამდების, მრავალცოლიანობის შემომღებს და აქედან გამომდინარე, ცოდვილს, კაენს ადარებენ. თითქოს თავის გასამართლებლად ამბობს შემდეგს ლამექი: თურმე მე იმიტომ მოვკალი კაცი და ყმაწვილი, დამნაშავედ ჩავეთვალეთ და საფრთხეში ჩამეგდო ჩემი სიცოცხლე. კაენისგან განსხვავებით მე არავინ მომიკლავს და არავის მიმართ არ გამომიჩენია ბოროტება, თვით ყმაწვილების წინააღმდეგაც. და თუკი შვიდგზის უნდა ზღონ კაენისთვის მაინცდამაინც აუცილებელია ლამექის-თვის სამოცდაჩვიდმეტგზის მიზღვა?“<sup>1</sup>

ამ ენციკლოპედიის მიხედვით, ლამექის ცოდებისადმი მიმართვის ფაბულად მის მიერ მრავალცოლიანობის აღიარების გამო ატეხილი აუთიტაჟია მიჩნეული. ლამექისგან კაცის პლაკი გრძელდება.

აქვე მოტანილი ერთი ცნობის მიხედვით, ლამექს თითქოს სამოცდაჩვიდმეტი ვაჟიშვილი ჰყავდა.<sup>2</sup>

„ხუთწიგნეულის თარგმანების“ ავტორი, ზ. კიკნაძე კი ასეთ აზრს აყალიბებს: „მეექვსე თაობის მექვიდრე ლამექი, თითქოს ზღურბლია, რომლის შემდეგ მეორდება კაენი და აბელი ... ლამექში იბარტყებს კაენის ცოდვა, რაც კიდევ უფრო მძიმე სასჯელად დააწევება კაცთა მოდგმას. „მოვგალი კაცი ჩემდა სატკივრად და ყმაწვილი ჩემდა ჭირად ... ეს არის კაცობრიობის ის სახე, რომელიც ჩვენს დღეებამდე გრძელდება. თუ დავუკვირდებით, ეს არის პირწმინდად ადამიანური ცივილიზაცია, სადაც არ ურევია დღოის ხელი და არც მისი სახელის ხსენება ჩანს. ამ ცივილიზაციაზე არ იყო უფლის დასტური“.<sup>3</sup>

ამ ციტატის მიხედვით, ლამექი ცოდვით დამძიმებულია, თუმცა არ ჩანს მიზეზი მისი ცოდვილიანობისა.

<sup>1</sup> Библейская Энциклопедия, М. 1991 г, ст. 420

<sup>2</sup> Библейская Энциклопедия, М. 1991 г, ст. 420.

<sup>3</sup> ზ. კიკნაძე, ხუთწიგნეულის თარგმანება, თბ; 2004 წ, გვ. 35.

როგოც ვხედავთ, ზემოთმოხმობილი პასაჟები არაფერს ამბობებნ იმაზე, რომ ლამექი უშუალოდ კაენის მკვლელია.

კიდევ ერთ ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას. თეიმურაზის „ანბანთქება“ თითქმის მინიშნებაა იმისა, თუ რა ბიბლიური თქმებია გალექსილი „სარკე თქმულთაში“ (თუმცა ზოგი ეპიზოდი დამატებულია (გოდლის შენება თუ სხვა)). მესამე სტროფში სწორედ კაენის სიკვდილის სცენებია მოწოდებული:

„გხედვენ კაცსა ბორგვნეულსა, უცნობს გიცნობთ  
იასრობით

გვეხარ დიდი ცოდვის მქმნელსა, ორის მოყვრის  
მომკვლელობით“<sup>13</sup>

ამ „ანბანთქებას“ ამოცანის ფუნქცია აქვს. გამომცემელს ბ. ჯაკობიას ყველა სტროფისთვის სათანადო პირველწერო მიუთითებია, ცხადია, ბიბლიიდან. ამ ტაქტების წყაროდ კი „სარკე თქმულთას“ ასახელებს („ლამექის მიერ თავისი მამის (კაენის) და შვილის მოკვლა „სარკე თქმულთა“, სტრ. 60-63).<sup>2</sup>

ბენებრივია, ამ შემთხვევაში წყაროდ ბიბლიის ვერ მიუთითებდა გამომცემელი, რადგანაც ამგვარი ისტორია „მოსეს წიგნში“ არ გვხვდება. ამ სიუჟეტის წყაროს ძებნა კი იმხანად მის ამოცანას, ალბათ, არც წარმოადგენდა. ამიტომაც პირდაპირ უთითებს პოემის იმ ტაქტებს, სადაც ეს ისტორია გვხვდება.

უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით ვერ მივაკვლიერ წყაროს, რითაც შეიძლებოდა ქეხლმძღვანელა თეიმურაზ მეორეს ამ ეპიზოდის გალექსისას. თუმცა მტბიცება რამისა შეუძლებელია (საკითხი შესწავლის სტადიაშია), არ არის გამორიცხული ეს სწორედ პოეტის ფანტაზიის ნაყოფი იყოს.

დასასრულ, ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, თეიმურაზ მეორე, თუმცა ძირითადად უშუალო პერიფრაზიებას ახდენს ბიბლიისა, ზოგჯერ ინდივიდუალურობასაც იჩენს. ეს შემდეგიდან ჩანს: იგი ამა თუ იმ თავის გალექსისას კონტექსტის მიხედვით თავად ურთავს ეპიზოდებს ბიბლიის სხვა საკითხავებიდან; ან კიდევ, შესაძლოა საკუთარი

<sup>1</sup> თეიმურაზ მეორე, თხზულებანი, გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ 1939, გვ. 126

<sup>2</sup> გ. ჯაკობია, ტექსტისათვის, წიგნში: თეიმურაზ მეორე, თხზულებანი. თბ 1939 წ. გვ. XXXVI

ფანტაზიით ავსებდეს თემას; წარმოაჩენს საღვთო ისტორიის ლრმა და საფუძვლიან ცოდნას; გვთავაზობს ეპიზოდების სიმბოლურ-ალეგორიულ გააზრებას; გარკვეული მოსაზრებით ლექსავს ეპოქის შესაბამისად მისთვის საინტერესო თემებს.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გარკვეული მიზეზით, მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩენილა თხზულების ბიბლიური ეპიზოდები, ამდენად ისინი დღემდე უმთავრესად დაუმუშავებელია. გარდა ზემოთმოხმობილი ნიმუშებისა, იმდენად საინტერესო პარალელები გვხვდება, საკმაოდ მნიშვნელოვანი მასალების მოძიება შეიძლება შემდგები კვლევა-ძიებისათვის.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. თეიმურაზ მეორე, თხზულებანი, გ. ჯაკობიას რედაქციით, ობ 1939 წ. 2. ბიბლია, ობ; 1989 წ. 3. ბიბლიის ენციკლოპედია, ობ; 1998 წ. 4. Библейская Энциклопедия, М. 1991 г. 5. „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II, ობ; 1966 წ. 6. ლეგან მენაბეჭ, XVII-XVIII სს ქართული ლიტერატურა, ობ; 1997 წ. 7. ტ. მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996 წ. 8. ზ. კიბნაძე, ხუთწიგნეულის თარგმანება, ობ; 2004 წ.

**Tamta Rogava**

### **„The Conversation between the Day and Night“ The Bible Source for some Aspect**

The Bible is one of the main source of the poem, the first part of the composition represents the paraphrase of it, and Teimuraz wrote poetry those episodes, which were considered necessary according to epoch.

The King-poet used such episodes in the poem, which we cannot find in that part, from which he wrote poetry. Sometimes, he maybe uses his own fantasy in them.

## ბელა ბალხაძიშვილი

### მეფე დავითის (აღმაშენებლის) სახე ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობის“ მიხედვით

პირადი ტრაგედიის გამო საერო ცხოვრებას თავისი ნებით განრიდებულ ანტონ პირველს ყოველთვის ახსოვდა სათაყვანებული დელის, ელენეს, გულშიჩამწვდომი სიტყვები: „რად, შვილო ჩემო, მახვილი ეც გულსა ჩემსა, მწუხარესა უცხოებით. ახლა დაიკარგა ყოველი იმედი ქუეყანისად ჩუენსა მოქცევისა. მმა შენ არა გყავს და რად დაჰკარგე სამეფო და იმედი მეფობისა“...

„იმედი მეფობისა“ არც ყოფილა მეგზური უფლის გზაზე დამდგარი ანტონ კათალიკოსისათვის, მაგრამ იგი, როგორც ბაგრა-ტიონთა დინასტიის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, თავის „წყობილსიტყვაობაში“ მეფეთა ღირსებების ჩვენებით თითქოს ეხმაურება და მხარს უჭერს ბაგრატიონთა სამეფო კარის ლეგიტიმურობას.

ანტონი განსაკუთრებული რუდუნებით ხატავს დავით აღმაშენებლის სახეს. იგი გვიჩვენებს, რომ პიროვნულმა სიბრძნემ, მისი თანამედროვე ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურმა ყოფამ, კაცობრიობისადმი სამსახურის სურვილმა, სულიერ ფასეულობათა პრიმატით წარმართულმა ცნობიერებამ, დავითი, როგორც წმინდანი მეფე, მონუმენტურ ფიგურად აქცია.

დავითის, როგორც დავითიანი მეფის, ღვთისაგან კურთხეულობა და განსაკუთრებული სტატუსი გაცხადებულია ანტონის არა-ერთ ფრაზაში. კერძოდ, „წყობილსიტყვაობაში“ ნათქვამია, რომ დავითი იყო „ღმრთაებრ მკელმწიფებელი“. ვფიქრობთ, ამით მინიშნებულია მესიანისტური იდეა, რომელიც შეფაულია ანტონის მძიმე სტილითა და ზოგიერთი ფრაზის ბუნდოვანებით. ამ ფრაზის ხატოვანი გაგრძელებაა ერთ-ერთი საყურადღებო ფრაზაც: „წარსდიდი

აქათ უკეანედ უზომოდ, /მზისა სრბისათა დროთა სცვალებდი, დავით, ლამისა მიმართ მზისა აღიცისკრებდი...“ (478). ცნობილია, რომ ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში მზე უფლის სიმბოლოდ მოიაზრება. სამეცნიერო ლიტერატურაში ამის შესახებ არაერთხელ თქმულა, მაგრამ ჩვენ გავიხსენებთ ვიკტორ ნოზაძის ნათქვაშს: „მეფე ატარებს მზიურ ნიშნებს, მაგალითად: გვირგვინი წარმოდგენილია ვითარცა მზიურ შუქთა კონა (იგივეა ქრისტიანობაში, სადაც წმინდათ აქვთ სხივი ხატის გვირგვინისა, ან დისკოსი მზისა). მზე არის აგრეთვე ბედის მომნიჭებელი, მას მეფე აჰყავს ტახტზე, განაგებს მის სვეს, ამიტომ მზე არის მეფის თანამხლებელი, მისი პირადი მფარველი. მეფენა არიან ღვთიურნი, ვინაიდან ისინი მზის ზოგ ელემენტებს თავის თავში ატარებენ და მზის დროებითი განკაცება, განხორციელება („ინკარნაციო“) არიან ერთგვარად“ (3,33-34).

ანტონის თქმით, დავითი მზის, ანუ უფლის შეგავსია. „მზის სრბა“ – ეს ის კოსმიური ყოფიერებაა, რომელსაც ადამიანი ყოველდღე ხედავს. და თუ ვაღიარებთ, რომ „მნათობთა მოძრაობა აირეკლავს პიროვნების ბედს“ (4, 98), ხოლო დროის ცვალებადობა უფალს უკავშირდება, მაშინ ანტონი დავითის სიმბოლურად მიაწერს უდიდეს მისიას, – უფლისმერი დროის ცვალებადობა, – ხილულად მზის „სრბით“ გამოხატული, – თვითონ „წარმართოს“, სულიერი სიმაღლით „ღმისა მიმართ მზისა აღცისკრება“ შეიძლოს, ღვთიური მაღლით შეიმოხსეს და თანამოძმენი საღვთო უნივერსალიებთან აზიაროს.

ამავე აზრს ავითარებს და დავითის მაღალსულიერებაზე მიანიშნებს შემდეგი ფრაზაც: „...სულმან განაგრცო ღმერთთ-მთავარ-მან / ცეცხლებრითა მით გარდამოსლვითა შენდა“ (476). ცნობილია, რომ „მზის ბრწყინვალებისა და მზის შუქთა ელვარების სიმბოლოა ცეცხლი... რომაელ კეისართა სასახლეში ენთო მარადი ცეცხლი, ციური ცეცხლის გამოხატულება...“ (3, 33). ასევე ცნობილია, რომ მოსეს უფალი გამოეცხადა ცეცხლში და სულიწმიდაც ცეცხლით გადმოიფრქვევა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით უპვე სრულიად გასაგები ხდება, რომ დავით მეფის „მოციქულებრივი სიბრძნის“ გარდამოსლვით ერის ცნობიერება ღვთიური მაღლით ცისკროვნდება.

ანტონის მიზანია აჩვენოს დავითი, როგორც ღვთისაგან ხელ-დასხმული, ღვთისაგან სვიანი ადამიანი, რომლის პირადული თვისე-

ბები ჰამონიული აღზრდით იყო მოპოვებული. დავითს მთელი არსებით ჰქონდა გათავისებული უფლის შეგონება: „რად გულისხმა-ჰყო გულისა შენისად, რამეთუ ვითარცა განსწავლის მამამან შვილი თვისი, ეგრე განგსწავლა შენ უფალმან ღმერთმან შენმან“ (II რჯული, 8,5). დავითის აზრით, ერის სულიერი წრთვნა იწყება ღვთაებრივი ასის წვდომით, უფლისადმი სიყვარულითა და მისი მცნებების აღსრულებით, რაც კარგად ჩანს ძველ აღთქმაში: „აპა, ესერა მიგცემ თქუენ დღეს წყვავას და კურთხევასა. ამისთვის თუ ისმინნეთ მცნებანი ჭუებანისანი, რომელსა-ესე გამცნებ თქუენ დღესდღე; დაწყევასა, არა თუ ისმინნეთ მცნებანი, უფლისა ღმრთისა თქუენისანი“ (II რჯ., 11, 26-28).

ანტონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დავით მეფე ფლობდა ერის გამაკეთილშობილებელ ძალას, ხელეწიფებოდა თვისტომთა სულიერი მომავალი მოეწესრიგებინა და უმაღლესი ჭეშმარიტებებისაკენ სავალი გზა გაეცავა. ღვთაებრივი იღუმაღლებით აღსავსე მეფის სიტყვას წინ უსწრებდა საქმე, იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ადამიანის აღზრდას, ცდილობდა მათში დაემლია უმეცრება და სიზარმაცე („დაკსნილება“), ხალხში ჩამოეყალიბებინა საუკეთესო პირადული თვისებები, რაც მკაფიოდ ჩანს ანტონის ნათქვამში: „დავით ელვითა სულისა მაღლისაითა /უმეცრებისა ღამეთა აცისკროვნებს/, დაესნილებასა სდევნის მცხინვარებითა“ (475).

ანტონს უხარია იმის გაზრებაც, რომ დავითის პიროვნებაში ვერასოდეს დაიმკიდრებს ადგილს უსწავლელობისაგან შობილი სიღაღე / ლობის შობილმან სილაღემან / მიციქულებრსა სიბრძნისა მოგებასა / შენსა, მეფეო, ვერ მიხედნა ვერ ოდეს“ (476). აქ ყურადღებას იქცევს ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი გამოთქმა – „უსწავლელობის შობილი სიღაღე“, მაგრამ ყველაფერი თავის ადგილზე ლაგდება, როგორც კი გავითვალისწინებთ სულხან-საბას განმარტებას: „სიღაღე-უწერთელობისა ნიშები არს. სიღაღე არს განუკრძალველი კადნიერება, რამეთუ რა განლაღნეს კაცი, მეცნობასა იწყებს მანქანებისასა“, და რათა თვისტომთა „განუკძალველი კადნიერება“ ალაგმოს, დავითი, ვითარცა ბრძენ-კაცი, ცდილობს ამის-თვის გამოიყნოს „მოციქულებრივი სიბრძნე“, რათა ნაბიჯ-ნაბიჯ, ტაქტით, შეფარულად, მინიშნებებით, თანამომქმეთ განუმტკიცოს უფლისადმი სიყვარული.

ქართველთა სულიერების „ზესთ სამეფოდ აღყვანაში“ ანტონი მეფის საქმიანობასაც წარმოაჩენს. კერძოდ, „წყობილსიტყვაობის“ ავტორი მეფეს ერთ-ერთ დიდ დამსახურებად უთვლის გელათის – გაენათის – „სხუა ცაის“, „წმიდა ვანის“ მშენებლობას. დავითისავე ძალისხმევით, ასეთ „წმიდა ვანთა“ მშენებლობას თან სდევდა „მიზგითო ოკრება-ქცევა, ყურანთ დაწვანი“ (578). ანტონის თქმით, მოძალებულ სპარსთა სალოცავებს, მიზგითებს, დავითი ჯვრით დაუპირისპირდა და ქრისტეს რჯულით განწმინდა ისინი: „განსწმიდა კალო ქრისტესი ბიწოთ-განმგველმან“.

მართალია, ანტონმა კარგად იცოდა, რომ დავით მეფის ისტორიკოსის მიერ გადმოცმული ცნობის თანახმად მეფე ყურანსაც კითხულობდა და მიზგითმც შედიოდა, მაგრამ ეს ცნობა მან ტენდენციურად გააშუქა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ დავითი, როგორც წმინდანი, აუცილებლად უნდა დაპირისპირებოდა მუსულმანთა სალოცავებს.

ანტონი განსაკუთრებულად გამოყოფს მეფე დავითის მიმტევებლობასა და სულგრძელობას თვისტომთა წინაშე. მეფის დიდ გულისწყორმას იმსახურებდნენ „საძაგნი“, „ბილწნი“, „სიმყრალისა ვერმგრძნობი“, „ურწმუნო, სიმდიდრეს დახარბეჭული, სპარსთა მეფის წინაშე მაპეზღარობით განთქმული ქართველები, მაგრამ დავითი უღირს თანამომებებს მოუწოდებდა მხოლო სულიერების ამაღლებისაკენ, რათა მათ შეეგრძნოთ „ელვა ვერ შესაპყრობი ხედვით“. ამ ძალზე მნიშვნელოვანი ფრაზით მინიშნებულია ღვთის ყოვლისშემდლება, ღვთიური სიბრძნე. ელვა, როგორც ბუნების მოვლენა, სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია უფლის გამოცხადების ნიშნად, მისი უხილავი და გამოუცნობი ბუნების ენერგიად და არა მის სახედ. ზ. კიკნაძის თქმით, „ათი მცნების გამოცხადებისას ღვთის სიტყვა ისმოდა ელვასა და ჰექა-ქუხილში“ (2, 137). უფლის მადლით ხელდასხმული მეფე დავითის სურვილიც ის იყო, რომ „ხედვით ვერ შესაპყრობი“ ელვით გადმოსული ღვთიური სიბრძნის – ათი მცნების-წვდომით ისევე განათებულიყო თვისტომთა გონება, როგორც ელვის გაკრომით ნათლება ზეცა.

მკითხველის სულიერი ამაღლებისა და ზნეობრივი სრულყოფილების მისაღწევად ანტონის მხატვრული აზროვნება საკმაოდ ნოყიერი ნიადაგია. ბიბლიის პერსონალიათა სულიერებით გაჯერებული სახეების ნაწარმოებში მოხმობით ანტონი ცდილობს მკითხ-

კელს დაანახოს მათი მოქმედების სიმბოლური ქვეტექსტი და ზნეობრივ ორიენტირებად დაუსახოს ისინი. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს დავით მეფის შედარება ისეთ ბიბლიურ პერ-სონაჟებთან, როგორებიცაა: მოსე, ისუ, დავითი, გედეონი და სხვ.: „სხუამ მოსემ, ისუმ, სხუა დავით ვინ ყო სულმან, / სხუამ ვინ გე-დეონ, სიმკნეთა შინა სრულმან“ (575). ამ შედარებით ანტონს სურს ძეითხველმა დავით მეფეში დაანახოს ბიბლიური მოსეს სულიერი და ზნეობრივი სრულყოფილება, უფლის რჩეულობა, აღიქვას იგი, როგორც ქრისტეს პირველსახე, როგორც მხსნელი თავისი ხალ-ხისა. ასეთივე განწყობილებაა ბიბლიური ისუსთან შედარებისას (იგულისხმება ისუ ნავე), რადგან დავით მეფეც, ისუ ნავეს მსგავსად, ღვთის ერთგული იყო და სულიწმიდით აღსიღლი, მოსეს საქმის ღირსეული გამგრძელებელი და მშობლიური ხალხის გამომხსნელი. რაც შეეხება გედეონს, (მის შესახებ მოთხოვობილია მსაჯულთა წიგნებში), იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა თავისი მებრძოლი სულით და გონიერებით. ქალაქ ოფრეში დაბადებულმა ისრაელი იხსნა მიდიანელთა შემოსევისაგან, რისთვისაც ათი ათასი მებრძოლიდან გამოარჩია მხოლოდ სამასი კაცი და ასეთი მცირე-რიცხოვანი, მაგრამ ნარჩევი ლაშქრით შეძლო მტერზე გამარჯვება. აქვე გვახსენდება ვეფხისტყაოსანი ჭაბუკის, ტარიელის, გალაშქ-რება ხატაელებსა და ქაჯეთის ციხეზე სამასკაციანი ლაშქრით. ასეთი მებრძოლი სული და გამბედაობა დავით აღმაშენებელსაც ჰქინდა. მან უამრავი მტრისაგან განწმინდა და გაათავისუფლ ქვე-ყანა, თან არც ის დაუკიწყებია, რომ მის მიერ წარმოებულ ომებს უფლის ხელი მფარველობდა. დავითის ასეთი ღირსეული ცხოვრე-ბის ფონზე განსაკუთრებით სამწუხაროდ ჩანს ანტონის მინიშნება მეფის საბედისწერო სიკვდილზე: „შეხუდა სიკუდილი ფლიდი“. ეს ნათქვამი კიდევ უფრო ამძაფრებს წარმოდგენას ქართველი კაცის ბუნებასა და ავტორის ეროვნულ-სახელმწიფობრივ განცდაზე.

ანტონის დისკურსული აზროვნების მაჩვენებელია ის გარე-მოება, რომ მისი ხატოვანი მეტყველება გამოირჩევა შინაგანი სტრუქტურული წესრიგით. თითოეული პოეტური ასოციაცია თუ ალუზიური მინიშნება თავის ადგილზე „ზის“ და ლოგიკურ აზრთა დენას მიჰყება. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი საინტერესოა მეფე დავითისადმი მიმართული ფრაზა: „დამისა მიმართ მზისა აღიცისკ-

რებლი/ მწუხრით უმწუხროდ...“ (478). აქ მოხმობილი ოქსიმორონი „მწუხრი უმწუხროდ“ ეხმიანება სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილ პარადიგმულ გამოთქმებს: „მზიანი ღამე“, „უჟამო უამი“ და იგი უფლის სიმბოლურ მინიშნებას მოიცავს. როგორც ვიცით, ღამე, ბნელი, მწუხრი, ღვთის იღუმალებაზე მიანიშნებს. ხორების მთის ძირში თავმოყრილმა ხალხმა დეკალოგის სიტყვიერი გადმოცემისას უფლის ხმა გაიგონა ბნელიდან. „ბნელის სტიქია მოხმობილია ღვთის მოუწვდომლობის, მისი სრული იღუმალების მიღმიერობის გამოსახატავად. ღმერთი ისევე უხილავი და განუჭვრეტელია, როგორც ბნელია უხილავი და განუჭვრეტელი. ბნელის მეტაფორა ამბობს, რომ ღმერთი არ ჰყავს არც ერთ თავის ქმნილება-თავანს, წუთისოფლის თვალისათვის ის არაფერია. აქედან იწყება აპოფატიკური ღვთისმეტყველება“ (2,198).

კატაფატიკურ-აპოფატიკური ღვთისმეტყველების შემცველი გამოთქმა „მწუხერი უმწუხროდ“ მიემართება დავით აღმაშენებელს და მიანიშნებს მეფის მადლმოსილებასა და უფალთან მსგავსებაზე. ეს, თავის მხრივ, ნასულდგმულევი უნდა ყოფილიყო ანტონის ეპოქის ისტორიულ-კულტურული თუ სოციალურ-ფსიქოლოგიური განწყობით.

პოეტური მინიშნებებით მდიდარ გამოთქმათავან ფურადღებას იქცევს ასეთი ფრაზა: „ნათელ მესამე-ღმრთაებრ მგელმწიფებელი“ (477). ვფიქრობთ, მასში დაუნჯებულია დავით აღმაშენებლის ღვთიური თვისებებიცა და მეფური ბუნებაც. „ნათელ მესამე“ მინიშნებაა სულიწმიდაზე-შემოქმედების განმახორციელებელზე, რომელიც აგრერიგად სწყალობდა დავითს („გალობანი სინანულისანი“). მისი გონების უზადოებასა და მწერლურ ნიჭზე მეტყველებს ანტონის ხატოვანი გამოთქმა, რომლის მიხედვითაც დავითი სიტყვიერ წალკოტში სულის ყვავილებს კრეფს: „სიტყვერს წალკოტს სულისა ყუავილთ მკრეფე“ (571), ამავე დროს, დავითი არის „ღმრთისმეტყუელ მგალობ“, „იადონ მსტკნაგ-მყეფე“, რომლის ღაღადება ღვთისადმი არის „მჭკრვალ-სპეტაკნი“, სხუა ფერნი სალხინანი... ლამაზ-მჭკრვალნი, კრძალვანი სასმინანი“...

შეიძლება ამ ფრაზის მეორეგვარი ინტერპრეტაციაც. კერძოდ: „ნათელ მესამე“, რომელიც, იმავდროულად არის „ღმრთაებრ მკელ-მწიფებელი“, შესაძლოა მიგვანიშნებდეს ისტორიაში დამკვიდრებულ

აზრს, რომ დავითს ანტონი მესამედ მოიხსენიებს, ხოლო „ნათელი“, როგორც უფლის სახე—სიმბოლო, გადააზრებულია დავით აღმაშენებელზე თავისი ღვთივსულიერებისა და ღვთივგაბრძნობილობის გამო. ამ ორივე აზრს თითქოს ამთლიანებს „ღმრთაებრ მკელმწიფებელი“, სა-დაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სიმბოლურად მინიშნებულია მეფის როგორც ღვთაებრივი საწყისი, ასევე მეფური ძალმოსილება.

ამგვარად, „წყობილსიტყვაობაში“ ჩანს, რომ დავითის, როგორც წმინდანის, მოვლინების მასულდებულებელია სარწმუნოებრივ-ზემობრივი კრიტერიუმი. დავითის სახე არის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში იმისა, თუ როგორი რუდუნებით ხატავს ანტონი ჩეენს სასიქადულო წინაპრებს.

დიდებულ წინაპართა სახეების წარსულიდან გამოხმობით და მათი ღირსებების საკრალიზებით ანტონი ცდილობს დროსივრცულ განუწყვეტლობაში წარმოაჩინოს ესა თუ ის ინდივიდი, ამოიცნოს და სიმბოლურ-ალუზიური მინიშნებებით მკითხველსაც ამოაცნობინოს მათ პიროვნებებში დაუჯჯებული კულტურული კოდი, როგორც მასტი-მულირებელი ფაქტორი დროითი ცვლილებებისა. ამით შემოქმედი აღადგენს ერთიან კულტურულ სივრცეს და ერთდროულად წარსულისა და მომავლის, ერის ისტორიული მეხსიერების „მცველად“ გვევლინება.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. ა ტო ბაგრატიონი, „წყობილსიტყვაობა“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1980. მითითებული ციფრი აღნიშნავს სტროფის ნომერს, რასაც სხვა შემთხვევებშიც დავიძონწებთ. 2. ბ. კიკ აძე, ხუთწიგნეულის თარგმანება, თბ., 2004. 3. ვ. ოზაძე, ვეზნისტყაოსნის საზოგა-დოებათმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1958. 4. რ. სირამძე ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987.

## Bela Balchamisvili

### King David's (the Builder) Image in Anton Catholiko's Work

Anthon Catholikos quite superfluously depicts David the Builder's image. The work depicts king's, as the divine's, initial, as well as the kingly might which exists due to religious-moral criterion. Anthon tries to guess and by means of symbolic-allusion hints make the readers guess the cultural code in David's personality as the stimulating factor of temporary changes.

## XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა

---

---

ლეილა დარჩია

### კვლავ გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების ეპიზოდების შესახებ

იონა მეუნარგიამ გრიგოლ ორბელიანზე შექმნილი საკმაოდ ვრცელი ნაშრომის – „ცხოვრება და დღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“ – წერთ პოეტის სიცოცხლეშივე დაიწყო. კერძოდ, საფრანგეთიდან ჩამოსვლის შემდეგ (1879 წ.). ამიტომ, ბუნებრივია, ავტორი მაქსიმალურად შეეცდებოდა რომანტიკისის გვერდით ყოფნას. მოხუცთან საუბარს ის „გრიგოლთან მუსაიფს“ ეძახდა და სამახსოვრო წიგნაკებში იწერდა. მეუნარგია ეშურებოდა მოხუცებულობის ასაკში გრიგოლთან სტუმრობას. ტექსტიდან აშკარაა, რომ ორთავეს ერთმანეთთან ყოფნა სიამოვნებდა: „და მოჟყვებოდა მუსაიფს – წერს ავტორი – მაგრამ რა მუსაიფს. არა, ვისაც არ უნახავს გრ. ორბელიანი გულდამშვიდებით, ტკბილად მოსაუბრე ნაცნობმეგობართ შორის, ის თავის დღეში ვერ შეადგენს პოეტზე დაახლოვებულ აზრსაც...“.

ის პრინციპები კი, რომლითაც იონა მეუნარგია გამოჩენილ მოღვაწეთა ბიოგრაფიების შედგენისას სარგებლობდა, სწორედ ამ ნაშრომში ჩამოაყალიბა კარგად: „ჩვენში და საზოგადოდ რუსეთში კრიტიკა და ბიოგრაფია, რაღაცგვარ სალიტერატურო ზრდილობის ბრძანებით, შინაური ცხოვრების აღწერაში ერთობ ხელმოჭერილა – წერს იგი, – „ჩემს ოთახში ვის რა ეკითხვის რა ხდებაო“ – აი საფუძველი ამგვარი დარბაისლური საქციელისა, რომლითაც ჩვენ თავი მოგვაქვს და ვგმობთ განუსჯელთა და ენაჭარტალა ევროპის მწერალთა... ჩვენ უნდა ვუღალატოთ ამ შინაურს დარბაისლურ ზნეს

და მოვიყვანოთ აქ სულ ყველაფერი, რაც კი ჩვენ გაგვიგონია, ან თვითონ ვიცით გრ. ორბელიანის პიროვნების შესახებ. „საყვარელი კაცისა ჩვენ სულ ყველაფერი უნდა ვიცოდეთ“ (ხაზი ჩვენია – ლ.დ.) – ა საფუძველი ამგვარი უსაზღვრო ცნობისმოყვარეობისა“<sup>2</sup>.

როგორც ვიცით, იონა მეუნარგიას ნაშრომის ბოლომდე დასრულებამდე მოულოდნელად მოუწია გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების ზოგიერთი დეტალის გამოქვეყნება. კერძოდ: „გრიგოლ ორბელიანის სიკვდილი და დასაფლავება“ (გაზ. „დროება“, 1883 წ.- №№ 61,65,66), რომელიც სოლომონ ცაიშვილმა ავტოგრაფების უქინლობის გამო გაზტოდან გადმობეჭდა და „ქართველი მწერლების“ II ტომში შეიტანა (თბ., 1957, გვ. 59-69) საერთო სათაურით – „გრიგოლ ორბელიანი“. მასში მოთავსებული ქვესათაურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ა) გარდაცვალება და დასაფლავება; ბ) დასაფლავების წინა დღე; გ) დასაფლავების დღე, მაშინ ადვილი გასაგები იქნება გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან „ჩემი ეპიტაფია“ ამ ნაშრომზე წამდლვარებული ეპიგრაფი: „მერგო რიგი და აწ ჩემს საფლავს დამზერ შენ“. ეს ის ფრაზაა, რომელიც ი. მეუნარგიამ ანდერძივით გაითავისა და დასახელებულ თავებში დაწვრილებით მოგვითხრო ქართველი ხალხის ყველა ფენის მონაწილეობა საერთო გლოგაში, რომლითაც მაშინდელი საქართველო იყო მოცული.

მანანა კაკაბაძის თანახმად: „1883 წლის შემდგომ მეუნარგია რამდენიმეჯერ კვლავ მიუბრუნდა ორბელიანის ცხოვრებაზე მუშაობას, გადაამუშავა იგი და 1887 წელს ძირითადად დაამთავრა. 1888 წელს მან წაიკითხა რამდენიმე საჯარო ლექცია გრ. ორბელიანზე, რომლებმაც საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. გამოხმაურებანი ამ ლექციაზე დაიბეჭდა იმ პერიოდის „ივერიაში“<sup>3</sup>.

ალ. ნანეიშვილის აზრით, „ამ ლექციებსაც შეუძლიან ბევრს რასმეზე დააფიქროს საზოგადოება და ბევრი რამ როთული საკითხავი აღძრას“ (გაზ. „ივერია“, 1888, № 76), ხოლო სანის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში სტეფანე ჭრელაშვილი წერდა: „ჩვენთვის არა მარტო ის იყო სასიამოვნო, რომ გრიგოლ ორბელიანი თავისი ცხოვრებით, ხასიათით, სიბრძნით, აზრით და გულითაც შესანიშნავი ქართველი კაცი ყოფილა, როგორადაც თავის პოეტით. ჩვენ დიდად კმაყოფილი და მაღლიერნი დავრჩით თვით იმ ამბითაც, რომ ჩვენ შორისაცა ვპოვეთ ახალგაზრდა კაცი,

რომელსაცა პბადებია ციური წყურვილი ჭეშმარიტების ძიებისა, ხალისი საქმის სიგრძე-სიგანით შესწავლისა. ეს მეტად სამაგალი-თო ამბავია ჩვენში<sup>4</sup>. მაგრამ იონა მეუნარგიას დამსახურება მარტო ის კი არ გახლავთ, რომ „სამაგალითო ამბითა“ და „ხალისი საქმის სიგრძე-სიგანით“ გაგვაცნო გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების ყველა საფეხური, არამედ ისიც, რომ მან მოიპოვა „პოეტის ის ბარათები, რომელთაც მისი ბიოგრაფია თითქმის ოცი წლისგანმავლობაში აგროვებდა პოეტის ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებში, მათი პირები გადაჰქონდა და დედნებს ქართველთა შორის წ/კ გამავცელებელ საზოგადოებებს აბარებდა. შემდეგ მის შემგროვებელს ამ წერილების ერთ ტომად გამოცემა განუზრახავს, რისოვისაც ბევრი უზრუნია, რამდენიმე გამოჩენილ პირთა დახმარებითაც უბრძოლნია, მაგრამ მაშინდელ საცნოზურო და სხვა მიზეზთა გამო მას გამოცემა არ ღირსებია“<sup>5</sup>.

სწორედ მაშინდელმა საცნოზურო და სხვა მიზეზებმა განაპირობა ის, რომ გრ. ორბელიანის ორი კერძო წერილი ბარბარე ორბელიანისადმი მიწერილი იონა მეუნარგიას შემოქმედების შესანიშნავმა მცოდნებ და მისი ღვაწლის დამფასებელმა სოლ. ცაიშვილმა ვერ შეიტანა „ქართველი მწერლების“ ვერც ერთ გამოცემაში (იგულისხმება: 1941 წ. და 1954 წ.). მიუხედავად იმისა, რომ უ. „მოამბექ“ 1904 წელს ამ ვრცელი ნაშრომის მხოლოდ I თავი დაბეჭდა (სულ VII თავია) და ერთი წლის შემდეგ – 1905 წელს ცალკე წიგნადაც კი გამოვიდა უ. „მოამბიდან“ გადმობეჭდილი სათაურით – „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“, მასში იმ გამოტოვებულ კერძო წერილებს, რომლებზეც ჩვენ ვსაუბრობთ საგმაოდ ვრცელი ადგილი უჭირავს. ეს განსხვავებები ტექსტების ერთმანეთთან შედარებამ მოგვცა (1904 წლისა და 1954 წ. ნაბეჭდებს შორის), რომელიც მნიშვნელოვანია გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების ერთ-ერთი ეტაპის დასახასიათებლად. მითუმეტეს, რომ „გრიგოლ ორბელიანი მისდა შეუმჩნევლად ადგენდა თავის ავტობიოგრაფიას – პირადი წერილებით და სხვათა შორის – ათასში ერთხელ დაწერილი ლექსებით“<sup>6</sup>.

ცნობილი ფაქტია, რომ გრიგოლ ორბელიანმა ცხოვრების ნახევარზე მეტი პერიოდი სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში გაატარა. 1871 წლის 7 ივნისს აღინიშნა მისი სამხედრო და აღმინის-

ტრაციული მოღვაწეობის 50 წლისთავი. მის საპატივსაცემოდ გამართულ სადილზე, რომელიც საზაფხულო თეატრის ბაღში მოეწყო, ბორჯომიდან ჩამოსულმა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ განაცხადა: „...მოვედი ამ უამად იმისთვის, რომ მსურდა გამომცემადებინა საჯაროდ, თუ რა ღრმად მიყვარხართ, გაფასებოდა და პატივსა გცემთ“<sup>7</sup>.

გრიგოლმაც მიიღო მეფისნაცვლის სადღეგრძელო და კმაყოფილებით უპასუხა:

„მაგრამ, ბატონებო, ადამიანის სიცოცხლეს შეადგენენ საქმენი მისნი და არა 50 წელიწადი. და გამოგიტყდებით, ეს აზრი მუდამ მაკრთობდა, საიდუმლოებრივი რამ კითხვა მუდამ მსდევნიდა, – გამოიღო რამ სარგებლობა ჩემმა ნამსახურმა მეთქი თუ არა? არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ დიდებულ ტახტს კეთილსისნდისიერად ვემსახურებოდი. უფრო მეტად კი ის ვიცი, რომ დიდსულოვანი მონარქის მოწყალება ჩემს სამსახურს ბევრად აღემატებოდა მუდამ. ახლაკი თქვენი უმაღლესობის მოულოდნელი ჩვენს შორის ყოფნა მთლად ჩემი სამსახურის გვირგვინსა და ჩემი სიცოცხლის სიხარულს შეადგენს“<sup>8</sup>.

ამავე წლის 20 სექტემბერს კი თბილისში ჩამოსულმა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ პირადად მიულოცა გრიგოლ ორბელიანს ეს თარიღი და გადასცა უმაღლესი ჯილდო იმპერიაში – ანდრია პირველწოდებულის ორდენი. მიუხედავად იმისა, რომ პროგრესულ ქართველ ირტელიგენციას ამ იუბილეში მონაწილეობა არ მიუღია და ეს გახდლათ გრ. ორბელიანის მიერ ტახტისადმი ერთგულებით მოპოვებული სამხედრო და სამოქალაქო სამსახურის ყველაზე მაღალი შეფასება. ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, იმპერატორ ალექსანდრე II-ის გარდაცვალება თავზარდამცემი ფატი იქნებოდა უკვე ასაკში მყოფი გრიგოლისათვის. როგორც იონა მეუნარგია ამბობს: „ეს იყო უკანასკნელი დიდი სიმწარე, რომელიც შესვა პოეტმა. ჯერ, როცა დამბაჩა ესროლეს ხელმწიფეს 1879 წელში, პოეტი სწერდა ჯავრიანად ბარბარე ორბელიანისას:

„...რა საკეთილო ნაყოფი უნდა ჰქონდეს იმ სოფლის მასწავლებლის სწავლებასა, რომელიც კაცობრიობისადმი სატანისებურ მტრობა-ბოროტებაში აღზრდილა და რომელსაც ჰსურს მეფის მოკვლით მთელი რუსეთი შეაშფოთოს! უგუნურს, დაპვიწყებია

უთუოდ საზარელი ძალა რუსის გლეხის ცულისა, რომელიც სისხლით განვლიდა ორებურგიდან პეტერბურგამდე და უპირველესად ყოვლისა ასეთ, მკვლელობის მქადაგებელ ინტელიგენტ მასწავლებლებს დააჭრიდა თავებსა, და დამყარდებოდა მაშინ ბნელი, სისხლის სამეფო მუჟიკებისა და დაიხშობოდა რუსეთი განათლებული ევროპისა, მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ყოველისავე იმისათვის, რაც-კი ადამიანს სულიერად ამაღლებს, და მშობელ რუსუსეთს ბარბაროსობის განუშმიშვალი ბნელი მოიცავდა საუკუნოებით.

„წარმოიდგინეთ ბილწი თავხედობა დამნაშავისა, რომელსაც უთქვამს, „ჩემს თავს განსასჯელად შთამომავლობას ვაძლევო“. კარგიც იქნება ის შთამომავლობა, თუ საზიზლარს მკვლელებს ტაშს დაუკრავს, წაქეზებს. დიახ, 7 ათასის წლის განმავლობაში არც ერთი მკვლელთაგანი შთამომავლობას კურთხევით არ მოუხსენება“.

ხელმწიფის მოკვლის შემდეგ ის იმავე პირს სწერდა:

„...ბედითმა და სამწუხარო ცნობამ ხელმწიფეთა შორის დიდისა და დიდსულოვანის ჩვენის იმპერატორის აღსრულებისა შესახებ, რომელმაც მიიღო სიკვდილი მოწამებრივი, გამოუთქმელის მწუხარებით ამავსო სულის სიღრმემდე. გონს ვერ მოვსულვარ, ფიქრი აღარ შემიძლიან, აქამდის ვეღარ დამშვიდებულვარ! საქართველო ძიებაშია. არ მოიძებნება აქ ადამიანი, რომელიც ღვთივ განსევნებულის იმპერატორის სახელს კურთხევით არ იხსნიებდეს, მაგრამ, ოპ ღმერთო ჩემო, სადღაა იგი? თავისესვე სატახტო ქალაქში, თავის ერთგულ ხალხს შორის, კანვოის ხლებით, – კვდება საზიზლარ ბოროტ-მოქმედთაგან, ლუკმა-ლუკმად დაგლევილი, სახე-დამახინჯებული! მერე, რისთვის? ნუ თუ იმისთვის, რომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის სხვა-და-სხვა დარგი საკეთილოდ შესცვალა? ან იქნებ იმისათვის, რომ მაპმადიანობის მძიმე უღელ-ქეეშ განრთხმული სლავთა ერნი ანთავისუფლა, რომელთაგანაც დღეს საქრისტიანო სამეფოები სდგებიან? ან იქნება იმისათვის, რომ რუსეთს დიდების სახელი მოუხვეჭა, – დაეცა უმწეოდ მბრძანებელი შვიდთა ჰავათა, რომლის სახელიც სხივმფინარე დიდების ვარსკვლავივით უნათებდა მთელს რუსეთსა! მოკვდა განათლებულ ევროპის პუმანიურ შვილთა მიერ გამოგონილ ჯოჯოხეთურ მანქანის წყალობით! მაშინ, როდესაც დაღესტნის ბუნაგებში მოგზაურობის დროს იმავე იმპერატორს მოწიწებით ჰავარვიდნენ და ეახლებოდნენ

ყველგან ჩვენის სარწმუნოებისა მტრები, შამილის ნაიბებათ მყოფნი! აღაპრას ვიტყვი იმ აღტაცებაზე, რომლითაც დღეს უკვე წმიდათა შორის განსვენებულს იმპერატორს შეეგებნენ ტფილისში! არ ვიცი, რა ღვაწლითა და საქმით გადაპრეცხს რუსეთი ამ სამარცხვინო ჩირქს თავის ისტორიასა“<sup>\*</sup>.

ვფიქრობთ, რადგანაც „საყვარელი კაცისა ჩვენ სულ ყველა- უნდა ვიცოდეთ“, დრო არის იონა მეუნარგიას ეს ნაშრომი შემდგომი გამოცემისათვის (უკანასკნელ ხანს „ცხოვრება და ღვაწ- ლი გრიგოლ ორბელიანისა“ დაიბეჭდა „ქართული მწერლობის“ 22- ე ტომში, თბ., 2004) სრული სახით იქნეს მიწოდებული მკითხველი საზოგადოებისათვის და აღნიშნული წერილები მიწერილი ბარბარე ორბელიანისადმი ჩაემატოს VII თავის ბოლო მეორე აბზაცის წინ, რომელიც ასე იწყება: „ჩვენ ძალას ვატანთ ჩვენს თავს, რომ შევწყვიტოთ აქ პოეტის აზრების გადმოწერა შესახებ სხვადასხვა პირთა და გარემოებათა. მისი წერილების რიცხვი გამოულეველია სიმდიდრე გონებისა, გრძნობისა, დაკვირვებისა და კაცს ყოველთვის გინდა იმათი კითხვა, მაგრამ პოეტის თქმისა არ იყოს, ყველაფერს აქვს თავისი დასასრული“ (გვ. 119).

ჩვენც ძალიან რომ არ გაგვიგრძელდეს, მხოლოდ იმას დავ- დენთ, რომ სწორედ გრიგოლ ორბელიანის მდიდარი ეპისტოლური მექმებიდრეობა გვიქმნის წარმოდგენას I საუკუნის თითქმის ყველა გამოჩენილ ადამიანზე. წერილიც ხომ საკუთარი გრძნობების, განცდისა და ნააზრევის დაფიქსირებაა ქაღალდზე, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა.

ადამიანებთან მიმოწერა, მართალია, აწმყოა, მაგრამ ეს ჩვენი დღევანდელი დღე ხვალ უკვე დოკუმენტურად გადმოცემული წარ- სული და ჩვენი ისტორია გახდება, ისე როგორც პოეტის წერილები. აკაკი გაწერელიას ზუსტი ფორმულირებით: „ეს წერილები ცხოვ- რების დოკუმენტებია, ძვირფასი წყაროა პოეტის ბიოგრაფიისათვის, მემუარების მაგიერი, სანდო, ცოცხალი და ამოუწურავი“.

\* პარალელურად უ. „მოამბეში“ (1904 წ., № 8, გვ. 11-13) წერილების რუსული გარიანტიცაა დაბეჭდილი – ლ. დ.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. ონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, ტ. I, თბ., 1954, გვ. 121. 2. იქვე გვ. 119-120. 3. ბ. კაპაბაძე, ონა მეუნარგია, წიგნში: ქართული მწერლობა, თბ., 2004, გვ. 627. 4. სანო (სტეფანე ჭრელაშვილი), ფელეტონი, გაზ. „ივერია“, 1888, № 77. . სოლ. ცაიშვილი, შენიშვნები, წიგნში: ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, ტ. I, თბ., 1954, გვ. 446-447. 6. ელ. მაღრაძე, გრიგოლ ორბელიანი, წერილები, თბ., 1989, გვ. 13. 7. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტ. I, თბ., 1954, გვ. 92-93. 8. იქვე, გვ. 93. 9. ი. მეუნარგია, ცხოვრება და ღგაწლი გრ. ორბელიანისა, ჟ. „მოამბე“, 1904, № 8, გვ. 11-13.

**Leila Darchia**

### **Again about the life episodes of Gregore Orbeliani**

It is said in the letter about those two letters of the poet which did not enter Yoane Meunargia's last publications for being criticized.

The letters belonged to Barbare Orbeliani and they are important for the characterization of Gregore Orbeliani's life from the very beginning.

## ელ ზა ზედგინიძე

### „შემოღამება მთაწმინდაზე“ და „მთაწმინდის მთვარე“.

გალაკტიონ ტაბიძე ერთ-ერთ ჩანაწერში „საკუთარი ლექ-სების შესახებ“ მიუთითებს: „ეს ლექსი („მთაწმინდის მთვარე“) მიუხედავად იმისა, რომ ძალიან არ არის, როგორც ერთ-ერთი გასაღებთაგანი ჩემის შემოქმედებისა“ (გ.ტაბიძე.150)

ცოტა ქვემოთ პოეტი განსაზღვრავს: „მთაწმინდის მთვარე“ ჩემი პროგრამული ლექსია, რომელიც კონკრეტულად ასახავს ჩემს დამოკიდებულებას კონკრეტული მემკვიდრეობისადმი (ბარათაშვილი, აკაკი, მე)-(152). გალაკტიონი ზუსტ დევინიციას გვაძლევს იმ საკითხებისას, რაც „მთაწმინდის მთვარეშია“ განვენილი. პოეტი ცნებების ენით საუბრობს იმაზე, რასაც ლექსში გამოხატავს (ბრჭყალებამდე) ეს საკითხები ფორმულირებულია ასე: პოეტი თავის პოეზიას უკავშირებს მე 19 საუბრის კორინერიების შემოქმედებას.

ლექსი, „მთაწმინდის მთვარე“ გ.ტაბიძემ 1915წ. დაწერა და ეძღვნება მთაწმინდას. იგი გამოძახილია ბარათაშვილის ლექსისა „შემოღამება მთაწმინდაზე“, რომელიც 1933-36 წლებით თარიღდება. „ამ ლექსში უსათუოდ სჩანს პოეტი, რომელიც თავის შემოქმედებას უკავშირებს მეცხრამეტე საუკუნის პოეზიის კორიფერიების შემოქმედებქს, აცხადებს რა თავს ნიკოლოზ ბარათაშვილის მემკვიდრეოთ“ (გ. ტაბიძე 150 ).

მართალია ამ ლექსების დაწერის თარიღებს შორის რამდენიმე ათეული წლის ინტერვალია, მაგრამ ისინი თითქოსდა ერთმანეთსაა მიბმული. გალაკტიონი ბარათაშვილის მსგავსად დამის მთაწმინდას გვიხატავს:

„და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი, რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!“ –

წერს ბარათაშვილი.

„ოდონდ ვთქვა, თუ დამეტ სულში როგორ ჩაიხედა,

თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები”-  
ვკითხულობთ „მთაწმინდის მთვარეში”. აღნიშნულიდან გამომ-  
დინარე ცხადია,რომ ორივე პოეტი დამის მთაწმინდაში ხედავს  
მეგობარს, მესაიდუმლეს და თანამგრძნობელს.

მთაწმინდის ბუნდოვან კლდეებს, ცის ლაქვარდესა და  
მტკვარს ნიკოლოზ ბარათაშვილი გრძნობით ესაუბრება, რო-  
გორც სულიერ მეგობარს. მისთვის მთაწმინდის მთა, რომელიც  
„ხან მცინარია” და,,ხან ცრემლიანი” შვების მიმცემია:

„მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,

ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრო შვება  
არა იძოვნოს და არ დახსნას გულსა გაება,

გულ დაბურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!”

ნიკოლოზ ბარათაშვილის მთვარე „ჯერო უმანქო” სულია „მხუ-  
რვალე ლოცვით მიქანცებული”, გალაკტიონთან კი წყნარი და ნაზია:

„ჯერ არასძროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი

მდუმარებით შემოსილი შედამების ქნარი

ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს

ასე ჩუმი ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!”

აღსანიშნავია რომ ლექსთა სათაურები მკვეთრად განს-  
ხვავდება ერთმანეთისაგან. „შემოღამება მთაწმინდაზედ” პირდა-  
პირი ადლექმაა: მთაწმინდის საღამო, „მთაწმინდის მთვარე” კი  
მეტაფორაა, იგი პირდაპირი აზრით არ უნდა გავიგოთ; მთაწ-  
მინდას თავისი მთვარე არა აქვს. საერთოდ გალაკტიონის ეს  
ლექსი ბარათაშვილთან განსხვავებით უფრო მეტაფორულია:  
„მთვარე ზამბახი“ „მთვარე შობილა”. ნიკოლოზ ბარათაშვილის  
ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზე” მთვარე ანალოგიურ ფუნქ-  
ციას ასრულებს, რასაც გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარეში”  
იგი მარტოსული პოეტების თანამოაზრება, მათი მეგობარია:  
„ვით მეგობარი” ამბობს ბარათაშვილი, გალაკტიონი კი აგრძე-  
ლებს: „ოდონდ ვთქვა, თუ დამეტ სულში როგორ ჩაიხედა”

გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „მთაწმინდის მთვარე” ერთმა-  
ნეთის გვერდითაა აკაკი და ბარათაშვილი. საუბარს აკაკიზე  
იწყებს: „აქ ჩემს ახლოს მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძი-  
ლიოთ,” რასაც მოხდევს ბარათაშვილზე საუბარი:, „ბარათაშვილს  
აქ უყვარდა ობლად სიარული.” გალაკტიონი განსაკუთრებულ  
სიახლოვეს ბარათაშვილთან გრძნობდა. ორივე სულით იძოლი

იყო, ორივე დამის მთაწმინდას გვიხატავს. გალაკტიონისათვის, ისევე როგორც ბარათაშვილისათვის ძვირფასი და საყვარელია დამე და მთვარე.

მთაწმინდისა და მთვარის დაკავშირება გალაკტიონ ტაბიძესთან შემთხვევითი არა. „ამზარი კავშირი თითქოს გამოძახილია საუკუნით აღრე შექმნილი ლექსისა „შემოდამება მთაწმინდაზე.” როგორც ცნობილია ეს ლექსი საპროგრამო ლექსად ითვლება რომანტიკულ მსოფლაღების, კერძოდ ადამიანისა და ბუნების ერთარსობის გასათვალისწინებლად” (პაიჭაძე 103).

ბარათაშვილის მთაწმინდის მთვარე განწყობილების გამოხატულებაა, გალაკტიონთან კი „მთაწმინდის მთვარე” განწყობილებას განაპირობებს. ეს განწყობილება ნათლად სჩანს გალაკტიონ ტაბიძის „მთაწმინდის მთვარეში”. აწ მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა, მკრთალი მძივით” და,, მის შუქში გასვეული მსუბუქ სიზმარივით” მოსჩანს თეთრად მოედვარე მტკვარი და მეტეხი. „ლექსში სწორედ პოეტის სულიერი განწყობილებისა და ზნეობრივი შეხედულებების გადმოცემაა: აკაკის, ბარათაშვილის ილიას მთვარით განათებული საფლავების ხილვისას პოეტისათვის იშლება სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი, უკვდავების შეგრძნება სიკვდილის გზას ვარდისფერ გზად წარმოაჩენს. სწორედ ამ განწყობილების მოწმეა, განმანათებელია მთვარე-პოეტის მესაიდუმლე და მისი ამგვარი განწყობილების შექმნელი” (თ.პაიჭაძე 103). ადსანიშნავია ისიც ,რომ ოუმცა ორივესთვის მთვარე ძირითადად სიჩუმის, იდუმალების ფიქრის, ოცნებების, სევდისა და მარტობის განწყობილებათა განუყოფელი ნაწილია. გალაკტიონის მთვარე, მისი იდუმალი და ლეთიური ნათელი, ცას აცისკროვნებს, არაამქვეყნიური, ზეციური შუქით, ხოლო შემდეგ მთაწმინდის კალთებს, მეტეხესა და მტკვარს ეფინება.

ადსანიშნავია ერთი ფაქტი: 6. ბარათაშვილის ლექსში „შემოდამება მთაწმინდაზე”, პოეტური განწყობილება უფრო რომანტიკულია. ის მიწიერ ტვირთისაგან თავისუფლდება და სულიერად ეხმიანება სამყაროს იდუმალ, მარადიულ ძალებს. ლექსში უარყოფილია ყოველივე კონკრეტული, წამიერი და რა თქმა უნდა მიწიერი. რჩებ მხოლოდ პოეტი და მარადისობა: ამ ლექსში ეველაფერი ზევიდან ქვევით, მიწიდან ზეცისკენ მიემართება:

„ოჲ, ვით ყოველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული! ჰე ცაო, ცაო ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!

აწცა რა თვალნი ლაქვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა  
მოისწოდიან,

მაგრამ შენდამი ვერ მიაღწევენ და პაერშივე განიბნევიან!“  
მიუხედავად იმისა, რომ ლექსში აშპარად იგრძნობა პოეტის  
მებრძოლი სული, ფინალი თითქოს ოპტიმისტურ განწყობი-  
ლებას ტოვებს:

„მწუხრი გულისა-სევდა გულისა-ნუგეშსა ამას შენგან  
მიიღებს,

რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის  
განანათლებს.“

ლექსის მთლიანი განწყობილება მაინც ნაღვლიანია. იგი მიუღ-  
წეველი, განუხორციელებელი ოცნების სევდიანი მოტივით  
არის გამსჭვალული:

დაფიქრებული ვიდექ სერზედა, და, ცათა მიმართ  
მზირალს ტრფობითა

შემომერტყმოდა მაისის მწუხრი, აღმესები ნაპრალთ  
მდუმარებითა.“

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „შემოდამება მთაწმინ-  
დაზედ“ გადმოცემულია საოცარი სიახლოების განცდა ბუნებას-  
თან. „ეს განცდა გაძლიერებულია რიტორიკული მიმართვებით  
და ეპითეტებით, პოეტი ხმარობს; პოი მთაწმინდავ!“, „ჟე, ცაო,  
ცაო,“ „და წყნარ სადამოს ვით მეგობარს შემოვეტრფოდი“  
(გ.ასათიანი 177)

იგივე განწყობაა გადმოცემული გალაკტიონ ტაბიძის  
ლექსში „მთაწმინდის მთვარე“. მარტოსული პოეტი შვებას  
მთაწმინდის ადგილებში, მთვარიან დამეში პოულობს. აქ იგი  
სრულიად სწყდება ამქვეყნიურ სამყაროს, აქ იშლება მისი  
„ოცნებათა ლურჯი იალქნები“, „ციდან-ცამდე“ ფრთებს ისხამს  
მისი ოცნება, თუმცა მიუხედავად ამისა სიკვდილს ყოველთვის  
გრძნობს გვერდით:

“თუ სიკვდილს სიახლოვე როგორ ასხვაფერებს  
მომაპვდავი გედის პანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს.”

და მაინც ის მზადაა დატოვოს ამქვეყნიური ცხოვრება,  
ოდონდაც სულიერი შვება იგრძნოს:

“თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის იმ ზღვამ  
რომ აღზარდა

სიკვდილის გზა არა არის, ვარდისფერ გზის გარდა.”

გალაქტიონ ტაბიძესთან “ზესკნელისა და ქვესკნელის იარუსები მარადიული ყოფნის პარმონიას ქმნიან და მისი მზეთა სიმღერა ამ მარადიულობის ჰიმნია. მიუხედავად სიკვდილის გაუფასურებისა და მასთან მისასვლელი გზის “ვარდისფრად წარმოსახვისა” ამ გზაზე “ზღაპარია მუოსანთ სითამაშე” ოლიმპომდე მისასვლელი გზას “ზარით და ქუხილით ვერ გაივლი” თუ არა დვითის ნება, ნიჭი, გრძნობა და გონება და უპირველესად მან, პოეტმა იცოდა, რომ შესწევდა ამის უნარი, მას შესწირა თავისი განუყოფელი სული” (ქამბეგიშვილი ე.). გალაქტიონს სწამს და, ამდენად, ხედავს კიდეც გამოგონილ სამყაროს, სინამდვილეზე უფრო მეტ სინამდვილეს. მისთვის წუთისოფელიც და მარადიული სოფელიც არარაობაა: “რომ წაჟუება საუკუნეს თქვენგან ჩემი ქნარი,” რომ სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გხის გარდა.

ლექსში “მთაწმინდის მოვარე” გ. ტაბიძე აშკარად გამოხატავს სულიერ ნათესაობას მის დიდ წინაპარ-ბარათაშვილთან. უფრო მეტიც: ის მისგან თავს დავალებულად გრძნობს:

“უფინება ვარსკვლავების კრომა მხიარული  
ბარათაშვილს აქ უკარდა ობლად სიარული.”

“ბარათაშვილის პოეზიის არა მხოლოდ ზეგავლენაზე შეიძლება ლაპარაკი, არამედ შეიძლება ითქვას, რომ გალაქტიონი ბარათაშვილის პოეზიიდან ამოიზარდა. თუმცა თვითონაც ახსენებს ლექსს “მთაწმინდის მოვარე”, “დაწყევლილ ყრმას” და კ. კიდეც აღიარებს თავს ბარათაშვილისაგან დავალებულად. თუნდაც იმიტომ რომ მასსავით გალაქტიონსაც უყვარდა მთაწმინდაზე ობლად სიარული.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. თამარ პაჭაძე, ლიტერატურული წერილები, თბ., 2003. 2. ეთერ გამბეგაშვილი, გალაქტიონის სემინარის დღიურები, თსუ გამომც., 2003. 3. გურამ ასათიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 1975. თბ., 1975. 4. გალაქტიონ ტაბიძე თხზულებათა სრული კრებული, XII, თბ., 1975.

### Elza Zedginidze

#### **"Dusk at Mtatsmida" and "Moon of Mtatsminda"**

Many poets dedicated their poems to Mtatsminda, the place where Georgian poets and artists are buried. Neither the poets of 19-20<sup>th</sup> centuries are exceptions in this respect.

Our work analyses Nikoloz Baratashvili's and Galaktion Tabidze's viewpoints on this holly place, according to two poem "Dusk at Mtatsminda" and "Moon of Mtatsminda".

## ნატო სიჭინავა

### წმინდანთა სახეები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკასა და მხატვრულ შემოქმედებაში

წმინდანთა ცხოვრებას, მათ დვაწლსა და მეოხებას დიდი მნიშვნელობა აქვს მართლმორწმუნე ერისათვის. ილია ჭავჭავაძე ამ მნიშვნელობას სხვადასხვა კუთხით განიხილავს.

მისი აზრით, „ამ უძველესთა და უდიდესთა მოქმედთა მეოხებითა და დვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვხულდგმულობთ“ (ტ. IV. 179) მეოხების გარდა, ილიას აზრით, ისინი რწმენით ავსებენ თავიანთ ხალხს და იმედს უსახავენ, რომ ამ სიმაღლემდე მათაც შეუძლიათ ასვლა. იგი გამოყოფს წმინდანთა ცხოვრების, როგორც საუკეთესო მაგალითის მნიშვნელობასაც: ერი მათში „პპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონესა და შემძლებლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს“.

შემთხვევითი არაა წმინდანთა აღმოშობა ერის წიაღში, რადგან ეს „უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი“ „სხვა არა არიან რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველი და განმახორციელებელი“. მწერალი ამ ადამიანებს ერის ვინაობის საძირკველად მიიჩნევს და მათი ხსოვნის გარეშე ერის არსებობა, წინსვლა და მეობის შენარჩუნება წაროუდგენლად მიაჩნია.

წმინდანები ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელნი, გამჭრცელებელნი და მისთვის თავდადებულები იყვნენ. სარწმუნოებას კი ჩვენი ერის სულიერი წინსვლისა და ერთიანობისათვის მუდამ განსაკუთრებული მნიშვნელობა პქონდა: „ქართველმა ამ რჯულს, ამ ახალ აღთქმას შეუერთა ძველთაგანვე ყოველივე ის, რაც კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის დღეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი ადამიანობს:

შეუერთა მამული და ეროვნება. ეს სამი ერთმანეთის დირსი საგანი ისე ჩაიწენენ, ისე ჩაიქსოვნენ ერთმანეთში, რომ სჯულის დაცვა საქართველოს მიწაწყლის დაცვად-გარდაიქმნა და მიწაწყლის დაცვა – რჯულის დაცვად“ (გაზ. „ივერია“ №9, 1888 წ.)

ამ მადლის, ამ სიწმინდის შემომტანს, ქართველთა სულიერ მშობელს, ჩვენში ქრისტიანობის გამავრცელებელს, წმინდა ნინოს ცხოვრებასა და დვაწლს ილია ჭავჭავაძემ რამდენიმე საყურადღებო წერილი მიუძღვნა. სტატიები, რომელიც დაიბეჭდა წმ. ნინოს დღესასწაულზე გაზეო „ივერიაში“ (№9; 1886წ; №9, 1888 წელი) მოკლედ მოგვითხრობს წმინდა ქალწულის საქართველოში შემოსვლის და ქართველთა გაქრისტიანების ისტორიას. წერალი იცნობს ნინოს ცხოვრებას, ეყრდნობა ისტორიულ წაროებს, ვახუშტის, საბინინისა და ბროსეს გამოცემებს.

აქ ის განიხილავს ქრისტიანობის, როგორც ურველთა ერთნაირად შემწენარებლობის, შენდობისა და ნუგაშისცემის, მოყვასის სიყვარულის მქადაგებელ მოძღვრების არსეს, შემდეგ ეხება ქართველი ერისათვის ამ მოძღვრების მნიშვნელობას: „წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამც თუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმ უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხონებად, თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლინი შეიკედლა, თავისის ღვთაებურის ძალ-ღონით გამოჰზარდა, შეკმოსა, შთაუდგა გული რკინისა, წაუმდლვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა და აი, ათას ხუთასი წელიწადია ამ ძალ-ღონით ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენი მიწაწყლი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება“ (გაზ. „ივერია“ №9, 1888წ.) ამ წერილებში ისმის სადიდებელი ჩვენი განმანათლებელისა, მაგრამ პირველი სტატია მთავრდება გულისტიკილით ქართველი ერის დიდი ნაწილის მიერ წმ. ნინოს სავანის, ბოდბის მონასტრისადმი უყურადღებობის გამო; მეორე წერილში უფრო ვრცლად არის განხილული ის თხუთმეტსაუკუნოვანი გზა, რომელიც ქართველმა ერმა განვლო წმინდა ქალწულის მიერ შემოტანილი ჯვრით ხელში.

ქრისტიანობის გავრცელებას და წმინდა ნინოს დვაწლს ეხმიანება პოემა „ახრდილის“ მე-17 თავიც. წერალი მცხეთას უწოდებს ერის ცხოვრების დიდ აქლდამას, სადაც პირველად ჩაირგა თავისუფლების ძირი. თავისუფლებაში აქ, რა თქმა

უნდა, ქრისტესმიერი რწმენა და სულიერი თავისუფლება იგულისხმება. ქართვლის გულიდან აღმოცენილი „ხე ცხოვრებისაც“ ძელი პატიოსნის სახეა, მისი გულიდან გადმოდენილი წყარო კი – სულიწმინდის მადლის; ლიბანის ნაქვეს სურნელი კი ის რწმენაა, რომელიც ქართველს სულიერ და ხორციელ წელულთა კურნებად მოველინა და უკვდავების წყაროს აზიარა. ეს ისტორიული ეპიზოდიც, წინაპართა სიწმინდისაგან ქართველთა სულიერი დაშორებით გამოწვეული, იმავე გულისტკივილით მთავრდება, რითაც წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი პირველი წერილი.

„აწ ადარა სჩქეფს წყარო ცხოველი,  
ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა“ და  
\* \* \*

„დღეს იმ ცხოვრების წმინდა ალაგნი  
პირუტყვთა ქელვით შეგინებულა“  
(7. I. 192)

ასეთია წმინდა ილია მართლის დამოკიდებულება მოციქულთა სწორის, ხვენში ქრისტიანობის გამავრცელებლის, წმინდა და დედა ნინოსადმი.

ილია ჭავჭავაძეს ყურადღების გარეშე არ დარჩენია ქართველთა ისტორიის უდიდესი შემოქმედი, დიდი მეცე და წმინდანი დავით აღმაშენებელი, როგორც სახე-სიმბოლო, გამომხატველი ერის ვინაობისა და განმსაზღვრელი მისი შესაძლებლობებისა. თავის წერილში, მიძღვნილში დავით მეფის სსოვნის დღისადმი (7.VII. 307), ილია აღწერს, თუ როგორი აოხრებული, უკაცერი და ნგრეულ-უშენო ქვეყნის სამეცო ტახტი ჩაიბარა თექვსმეტი წლის ყმაწვილმა სამართვად: „ავიდა, იმეფა და გაოხრებული საქართველო, ის გამხმარი და რტოებდაშვებული უფოთლო, უმწვანო ხე, რომლის მიდამო იყო „ტიალ და გაოხრებულ“ ისე განახლებული, გაძლიერებული და გამუვენებული დასტოვა, რომ გაევირვებული მემატიანე დავითისაგან შეცვლილ სურათს ამ სიტყვებით ხატავს: „ვხედავდი ხესა, შორის ქვეყანისა, სიმაღლედ ცას მიწვდომილსა და რტოთა მისთა კიდემდე ქვეყანისა... და მისგან იზრდებოდა ყოველი ხორციელი“ (7. VII. 307).

ცას მიწვდომილი ხე – სიმბოლური სახეა როგორც ხორციელად, ისე სულიერად განახლებული და გაძლიერებული ქვეყნისა, რომელიც დავითის მეფობის დროს გაერთიანდა და

გარშემორტყმული მტრების ძლევის შედეგად აღორძინდა, „გაისო ქალაქებით და მრავლად აშენებულის ტაძრებით. ამა დროსვე ჩაიდგა საძირკველი საზოგადოებურის ცხოვრებისა, მპალებისა გაიმართა წესისაებრ, სამდვდელოთა ყოფა განკარგდა“ (7. VII. 308).

წერილში დაწვრილებითაა აღწერილი დავითის თვისებები და ის საკვირკველი დვაწლი, რომელიც ძლევამოსილ მეფეს მიუძღვის დვთისა და ერის წინაშე: მხეობა, ვაჟაცობა, მხედრობა, მეომტობა, გამოცდილი სპასალარობა, უშიშრობა ომში და ბრძოლაში; ამავე დროს მისი სიბრძნე და შორსმჭვრეტყლობა, ლმობიერება და გულმოწყალება, სიუხვე და გულშემატკვრობა სხეულთა და გლახაკოდმი. ყოველივე ამასთან ერთად, მემატიანებზე დაყრდნობით, ილია აღნიშნავს, რომ „მეფე დავით დიდი დვთისმოსავი კაცი იყო და დიდად უყვარდა სამღვთო წერილის კითხვა. წიგნები თან დაქონდა ლაშქრობაში. მანვე შემოიღო ჩვეულებად ახალგაზრდათა გაგზავნა ათინაში სწავლისთვის“ (7. VII. 310).

მწერალი ქვეყნისთვის ასეთი მეფის მოვლინებას დვთის განგებულებად მიიჩნევს: „ქვეყნას უჭირდა სწორედ იმ დროს სახელოვანი მეფე და ბედმაც მოყვლინა ქართველებს დავით“. აქ ილია იმოწმებს ქართლის ცხოვრებას: „მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონა თვისი და საცხებელი მისი წმიდა სცხო“.

წმინდა მეფის, დავით აღმაშენებლის სადიდებელია წმ. ილია მართლის მეორე წერილიც, რომელიც საეკლესიო მოსახსენებელ დღისათვის იყო განსაზღვრული და დაიბეჭდა გაზ. „ივერიის“ №17-ში, 1888 წლის 23 იანვარს.

დავითის დგაწლის დირსეულ გამოხატულებად მიაჩნია ავტორს ის ფაქტი, რომ ერმა მას „ეპკლეხის დალრცვითა და პურთხევით აღმაშენებლის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად“.

ილია დავით აღმაშენებელს აღიდებს არა მარტო სახელოვანი მეფობის, არამედ დიდ-ბუნებოვანების გამო. წერილში მოცემულია ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გრძნობდა თავს სხვა და სხვა ეროვნების ხალხი ჩვენს ქვეყანაში იმ დროს, როცა დავითი „ყოვლად შემძლებელ მბრძანებლად“ შეიძმნა. ილიას თქმით, ქართველთა მეფე „თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივის-მცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა“. წერილის ავტორი ამას დავითის კაცომოყვარეობით

სხნის და იმოწმებს სხვა ერის მემატიანეებსაც, რომლებიც „აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივის-მცემელს და შემწუნარებელს სხვა ერისას და სხვა რჯულისას“.

წერილში მოყვანილია სომეხი მათე ედესელისა, ვარდან დიდის და მაჰმადიანი ალ-აინის ციტატები, რომლებიც ილიას თავის დროზე დიმიტრი ბაქრაძის შენიშვნებიდან ამოულია და რომლებზე დაყრდნობითაც მკითხველისათვის ძნელი გასარკვევია, სცილდება თუ არა დავით აღმაშენებლის სიკეთე და უწრადდება სხვა სარწმუნოების ერებისადმი კაცომოყვარეობისა და დიდ-ბუნებოგანების საზღვრებს.

სომეხი მათე ედესელი ამბობს, რომ „დავით იყო წმინდა, კეთილ-მსახური, სახეს ქველ-მოქმედებით და მართლმსაჯული“... „დავითს არავითარი სიძულვილი არ პქონდა სომხური წირვა-ლოცვისა და ეკკლესიისა“. ერთ-ერთი მაჰმადიანური წყაროს მიხედვით ვგებულობთ, თუ როგორ აუკრძალა დავით მეფემ მაჰმადიანთა თხოვნით ქართველებს მუსულმანებთან ერთად აბანოში შესვლა და მათი ავად სესენებაც-კი; თუ როგორ გასცემდა უხვად შესაწირავს, როგორ აშენებდა უცხო ტომ-თავის ქარვასლებსა და სადგომ სახლებს და ა. შ. „დავითი უფრო მეტს პატივს სცემდა მუსულმანთა ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“ – ირწმუნება მაჰმადიანთა მწერალი.

ამ ცნობათა ავტორები დავით მეფის გულუხვობის და შემწუნარებლობის ჩვენებასთან ერთად, ისტორიული თვალსაზრისით ნაკლებ სარწმუნო ინფორმაციებსაც გვაწვდიან. (5)

ერთი იუწება, რომ, თითქოს, დავითი გრიგორიანელი მოძღვრებისაგან იღებდა ლოცვა-კურთხევას, მეორე კი ამტკიცებს, რომ მეფე უფლისწულთან ერთად დადიოდა უმთავრეს მეჩეთში და ისმენდა სამეფო ლოცვასა და ყურანის კითხვას.

ეს რომ საგაზეთო წერილი არ ყოფილიყო და მხოლოდ რელიგიური მიზანდასახულება პქონდა, ილია ჭავჭავაძე აუცილებლად გაამახვილებდა ყურადღებას ამ დეტალებზე და ეჭვს შეიტანდა უცხოური წყაროების სიზუსტეში. მას ძალიან კარგად ესმოდა და მუდამ იმას პქადაგებდა, რომ „სარწმუნოება ჭეშმარიტებაა გულისა და ორსახედ არ ჩაესახება ერთსა და იმავე გულს“. ილიას აზრით სარწმუნოება სამოსელი არ არის, „რომელსაც კაცი როცა უნდა იხდის და როცა უნდა იცვამს“. ამიტომ მას ოდნავად დასაშვებადაც-კი რომ მიეჩნია აზრი,

დავითი მექეთში ლოცულობდათ, ამას მეფის დირსებად კი არ ჩათვლიდა, არამედ „ერთხელ რწმენილის“ დალატად. მას არასოდეს შეუტანია ეჭვი დავითის კეთილმორწმუნებასა და სწორ აღმსარებლობაში და ბუნებრივია, რომ ამ უცხოელ ავტორთა ნათქამს ვერ გაიზიარებდა. ერთად-ერთი, რითაც შეიძლება ილიას მიერ ამ ციტატების უკამენტაროდ მოყვანა აიხსნას, არის ის, რომ მას უცხოელთა მონათხრობი სულ სხვა რაკურსში სჭირდებოდა. მას უნდოდა ეჩვენებინა, როგორი უნდა იყოს ძლიერი სახელმწიფოს მმართველი.

დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ წერილებში საგანგებოდაა ხაზგასმული ჩვენი ქვეყნისა და თავად მეფის მდგომარეობა: „ძლევა-მოსილი იგი მეფე სრულიად გაბატონდა თავის ქვეყანაში“, „საქართველო მნელიად ედირსებოდა ისეთს საკვირველ დროს, როცა მან უმაღლეს ხარისხს მიაღწია განათლებისას, მოქალაქეობისას და საზოგადოდ კულტურისას“ (7. VII. 310)

ლოიალური დამოკიდებულება „სხვა-და-სხვა თესლის და სხვა-და-სხვა სარწმუნოების ერებისადმი“ გამარჯვებული ქვეყნის მეფისაგან კეთილშობილებაც იყო და გონივრულობაც. კეთილშობილება იმიტომ, რომ პატივს სცემდა სარწმუნოებაში სხვის თავისუფალ არჩევანს და გონივრულობა იმიტომ, რომ ძლიერი ხელისუფალის ამგვარი საქციელი მტერს გულს ულბობდა და ბოროტებისაგან განაიარალებდა.

XII საუკუნეში, ქვეყნის სიძლიერის გამო ქართველი კაცი ნაკლებად იდგა სარწმუნოების შერყევის საშიშროების ქვეშ. არც მაშმადიანობა და არც გრიგორიანელობა ამ პერიოდის საქართველოში მაღას არ წარმოადგენდა; ამდენად, მეფის მიერ მათდამი შემწენარებლური დამოკიდებულება მის თანამემამულებს საცდურს ვერ დაუგებდა. დავით აღმაშენებლის საქციელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა მართოს გამარჯვებულმა ხელისუფალმა ქვეყანა, რომელშიც სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები ცხოვრობენ. ამ ლოიალობით, როგორც ვხედავთ, დავითმა მართლაც მიაღწია მიზანს, რადგან სხვა ერის ისტორიკოსები მას პირსისხლიან დიქტატორად კი არ მოიხსენებენ, არამედ „ყოველთა შემწენარებლად“.

უცხოელი ავტორების თხზულებებიდან ილიას მიერ ამ ამონარიდების მოყვანა ერთგვარი უკმარისობის გრძნობას იწვევს, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღვიქვათ მის სარწმუნოებრივ მერყეობად; არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ან

წმინდა დავით მეფეს მიაწერს რელიგიურ შემგუებლობას ან თავად არის ასეთი.

„არა სადა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდითა მშობელო ჩემო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცტელ ქმნილ ვართ, ვინაითგან შემეცნებასა შენსა დირსქმნილ ვართ – მოწამე არს ჰემმარიტება“ – ვკითხულობთ რუს-ურბისის საექლესიო კრების ძეგლისწერაში და ეს იყო დავით აღმაშენებლის ცხოვრების ქაჯუთხედი!

თავად ილია-ქი, როგორც ერთ-ერთ თავის წერილში წერდა, თვლიდა, რომ „სარწმუნოება, რომლის დიდი ნასკვი ადამიანის სულიერ წიაღშია, ორთვალა და ორგულა ვერ იქნება... ვერც თვალს და ვერც გულს ორად ვერ გაჟყოფს... როგორც ორსახე ჰემმარიტებაა შეუძლებელი, ისე თრსახე სარწმუნოებაც. იგი ერთადერთია ერთის გულში, ან სულ არ არის“ (8. VIII 191). ეს ერთადერთი სარწმუნოება, რომელიც მას გულში ჰქონდა, მართლმადიდებლობა იყო.

დავით მეფისადმი მიძღვნილი წერილის ანალიზისა და შეფასებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რა დროსა და ვითარებაში იწერებოდა იგი და რა მნიშვნელობა ჰქონდა შემწენარებლობის თემის აქცენტირებას:

საქართველოსთან ახლადშემოერთებული იყო მესხთის ძირძველი ქართული ტერიტორია (1878 წელს, 13 ივლისის ბერლინის ტრატეატის მიხედვით საქართველოს შემოუერთდა შემდეგი ოლქები: აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა, არტაანი და ოლთისი (3. 451). მუსულმანი ქართველები ამ ფაქტს დიდი სიფრთისელითა და შიშით უყურებდნენ. ილია ათეული წლების განმავლობაში თავისი პუბლიცისტური წერილებითა თუ საჯარო გამოსხლებით ცდილობდა ამ საკითხს დალიან ფაქტზე მიღოროდა. 1877 წელს გაზეო „ივერიაში“ დაიბეჭდა რამდენიმე წერილი სათაურით „ოსმალოს საქართველო“, სხვა წლებშიც არაერთხელ შეხებია მუსულმანი მესხების პრობლემას (გაზ. „ივერია“ №88, 1888 წ.) „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს, – წერდა ის 1877 წელს გაზ. „ივერიის“ №9-ში, – „ქართველმა თავისის სარწმუნოებისთვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომ ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდეგება სხვის სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. ჯერ

კიდევ ამ ოლქების შემოერთებამდე ნატრობდა ის: „ოდონდ მოვიდეს ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კვლავ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სიხილის“... ამ საკითხს ილია ასევე ფრთხილად კაიძუბოდა რუსეთ-ოსმალეთის ზავის შედეგად ამ ოლქების შემოერთების შემდეგაც. 1886 წელს წერილში „ხერბის განსაცდელი“, კვლავ უსვამს ხაზს იმას, რომ სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა არ შეუშლიდა ხელს მუსულმან და მართლმადიდებელ ქართველთა ძმობის აღდგენას.

მწერალი დავით აღმაშენებლის მეჩეთში შესვლის ამბით, შესაძლოა ისტორიულად დაჩაგრულ, ხანგრძლივი დროის მანძილზე სამშობლოს მოწყვებილი თანამემამულების ტკივილ-საც ეხმიანებოდა და შიშს უფანტავდა.

მეორე, და ამასთანავე არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო ისიც, რომ ძლიერი ქართველი მეფის ყველანაირი სარწმუნოებისადმი შემწყნარებლობის ჩვენებით ილია ირიბად საყვედურობდა მართლმადიდებელ რუსეთს, რომელმაც კეთილგანწყობითა და ერთმორწმუნეობის საფარველით დაამონა ჩვენი ქვეყანა, გააუქმა მირონცხებული მეფობა და ეკლესიის ავტოკეფალია, გაძარცვა და გააპარტახა ეპლესია-მონასტრები, ხელი მიჰყო ჩაგვრას, ქართველთა გარდაქმნას და ეროვნულ გადაგვარებას, ერთი სიტყვით – გარუსებას. ეს იყო ილიას თანამედროვე ეპოქის და თვად მწერლის მუდმივი სატკივარი. პერიოდულ პრესაში დაბეჭდილ პუბლიკაციებსა (70-80-იანი წწ. „შინაური მიმოხილვები“) თუ პირად წერილებში არა ერთხელ შექხებია რუს ხელისუფალთაგან თუ სასულიერო იერარქთაგან ერის ჩაგვრა-შეურაცხეოფის ფაქტებს, კანონის წინაშე ქართველთა აღმაშფოთებელ უთანასწორობას რუსებთან შედარებით, დისკრიმინაციას, ეროვნული გადაგვარების საფრთხეს, რომელიც განსაკუთრებული სიმძაფრით XIX საუკუნეში დაუდგა ქვეყანას. მწერალი გმობდა რუსი ჩინოვნიკების მიერ გატარებულ გარუსების პოლიტიკას და მას დათის განგებულების წინააღმდეგ სვლად მიიჩნევდა.

ამ ტკივილითა გაჯერებული წმ. ილია მართლის პირადი წერილი თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ, ეპისკოპოს სერაფიმესადმი, სადაც იგი ხაზს უსვამს, თუ რაოდენ დამაბრკოლებული და დამდუპველია ძლიერი იმპერიის დაუნდობ-

ლობა და შეუწყნარებლობა დაპყრობილი, სუსტი ერებისადმი. ილია თვლის, რომ „სხვადასხვაგვაროვანი ნაწილების გამაერთიანებელი საწყისი უნდა იყოს „არა შიში და ძალადობა, არამედ სიყვარული და თანაგრძნობა“. (ჟურ. „მნათობი“ 1957, №10)

დავით აღმაშენებლის მიერ სხვა ერის ქვეშეგრდომებისადმი გამოვლენილი სიყვარულის და თანაგრძნობის ჩვენებით ილიამ, თითქოს ამხილა იმპერიალისტური რუსეთის ძალადობრივი და დამდუპველი პოლიტიკა.

წმ. ილია მართალი ახდენს-რა დავით აღმაშენებლის, როგორც მეფისა და დიდი პიროვნების ღვაწლის განზოგადებას და შეფასებას, მიიჩნევს, რომ რამდენადაც ხშირია ასეთ დიდბუნებოვან კაცთა არსებობის მაგალითი „რომელსამე ერის ისტორიაში, მით უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელო ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლებლობის აწყვისათვის“, ამიტომ ფიქრობს, რომ „ამისთანა მომქმედი... დაუგიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა პსურს და დედამიწის ზურგიდამ მტბერსავით ასაგველად არ გადაუდიო თავი“

მისეული წერილებიც, მიძღვნილი დიდებული მეფის ხსოვნის დღისადმი ამ მიზანს ემსახურებოდა.

ქართველ წმინდანთა შორის ბრწყინვაგს წმინდა თამარის კურთხეული და ნათელი სახე. წმინდა ილია მართალი თამარს ქართველთა დედად და მშობელად სახავს. მისი მოთხოვნის „გლახის ნაამბობის“ მოქმედი გმირი, მღვდელი ასე აფასებს თამარის ეპოქას: „მხეს თუ ოდესმე საქართველო გაუნაოებია და გაუთბია, იმის დროს ყოფილა, სიტყვას თუ ძალა გამოუხნია, გულს სიმტკიცე, მკლავს სიმაგრე, ეგ დალოცვილის მეფის თამარის დედობის დროს მომხდარა!..“

ის დედა იყო, ჩვენ შვილები... დედაპატი იყო, კურთხეულ არს სახელი მისი! – და დედაბობად კი შეექმნა ჩვენს ქვეყნას!“ (7. II. 161)

მართალია, ამას ამბობს ეპიკური ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი, მაგრამ როგორც ლირიკული თხზულებებიდან ირკვევა, ასეთია თვით მწერლის აზრიც.

პოემა „აჩრდილის“ ადრეულ ვარიანტშიც შექებულია თამარ მეფე. „ქართველთ დიდება, ქართველთ სახელი“ და აღწერილია მისი დგაწლი კაგგასიის ხალხთა შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში:

„თამარო დიდო! ველურ ხალხშია  
პირველ დათესე ქრისტისა მცნება“  
(7. I. 463)

დედოფლის მეოხებით მთიელი წარმართები ეზიარნენ წმინდა, დვთიურ ჭეშმარიტებას, მშვიდობის, სიყვარულის, ერთობისა და ძმობის მქადაგებელ მოძღვრებას, რამაც შეცვალა მათი ცხოვრების წესი და მიუვალ ხეობებში, სადაც ადრე „ძმა ძმას ებრძოდა“, თამარის დროს და მას შემდეგაც კარგა ხანს, ქრისტიანული ლოცვა ისტოდა.

„აჩრდილის“ ამავე ვარიანტში (თავი XXX) ისმის ილიას გულისტკივილი აწ უკვე „მტვრად გარდაქმნილი“, „თავის დენაში შეუენებული“ ახოვანი ცხოვრების და ერის მდგომარეობის გამო:

„ნუთუ ეს ხალხი რომელთ დაპბადეს  
დავით, დიმიტრი, დიდი თამარი  
\* \* \*

ნუთუ ეს ხალხი აღარა აღზდგეს?“

ამაღლებულსა და დაცემულს შორის კონტრაქტის საჩვენებლად, დავითისა და დიმიტრის გეერდით და თან ფრაზის ბოლოში, კულმინაციურ აღგილას თამარს იხსენიებს.

თამარის ხატება ასევე იკვეთება ლექსში „ბაზალეთის ტბა“, რომელიც ხალხური ოქტულების საფუძველზეა შექმნილი. ტბის ფსკერზე, დაუმჯგნარი წალკოტის შუაგულში, თამარ მეფის მიერ ოქროს აკვანის ხადგმა ლეგენდებში არ გვხვდება, ის მთლიანად ილიას ხანაფიქრია. ამით მწერალი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ისტორიის კონკრეტულ მონაკვეთზე და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას მისდამი. ილიას განსაკუთრებით ეძვირფისება თამარის გპოქა, დედოფლის ხელით ტბის ფსკერზე ჩადგმული აკვანი – მონატრებაა წარსული დიდებისა, აკვანში მწოლიარე ყრმა ერის სულიერი აღდგომა-განახლების სიმბოლოდ არის მოაზრებული, მადლით ცხებული სახრდო, რომლითაც უნდა აღზარდოს „სახელდებულმა დედამ“ ყრმა – ქრისტიანული მოძღვრებაა, ერთადერთი გზა და პირობა ერის ხსნისა და აღორძინებისათვის.

მიუხედავად გულსაკლავი რეალობისა, ილია მუდაშ დვთის მსასოებელი იყო და ქვეყნის ხსნის იმედს მის ისტორიულ წიაღში არსებულ დიდბუნებოვან გმირთა და წმინდანთა

სიმრავლის გამო, უფლის ყოვლადმოწყალებასთან ერთად ერის პოტენციურ შესაძლებლობებზეც ამყარებდა.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ისტორიული პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“, სადაც ქვეყნისათვის თავგანწირული ამირის, წმინდა მეფის სახეა წარმოჩენილი. (7. I. 228)

XVII საუკუნეში ისტორიულმა ბედუკულმართობამ ქართველთა მეფე დიმიტრი სასტიკი არჩევანის წინაშე დააყენა: ან ურდოში უნდა ხლებოდა დამპყრობელს და სასჯელი მიეღო, ან არა და მტერს უნდა შებმოდა უთანასწორო ბრძოლაში, რასაც უამრავი მსხვერპლი მოჰყვბოდა.

„წავალ – მომკლავს და არ წავალ –

ამიოხერებს ქვეყანასა“ – ფიქრობდა მეფე და პზარავდა იმის წარმოდგენაც კი, რომ მრავალ სისასტიკესთან ერთად გაბოროტებული მომხვდური „საყდრებსა და მონასტრებსა

დააქცევს, მიანგ-მოანგრევს,

ხატებს, მამათ სალოცავსა

წამურტლაგს და შეგვიგინებს“

დარბაზი მოიწვია სათათბიროდ, რჩევას დაეკითხა დიდებულებს, სასალარსა და ქვეშვევრდომებს. გვირგვინოსანს გაცნობიერებული პქონდა მეფობის წესი და რიგი, თავისი მოვალეობა და ამის გამო უდიდესს პასუხისმგებლობას გრძნობდა. მიუხედავად დარბაზის სასტიკი წინააღმდეგობისა, დიმიტრიმ კისრად იღო „მძიმე საზღაური“ მეფობისა და გადაწყვიტა თავისი სიცოცხლე საკუთარი ნებითვე შეეწირა ერისათვის:

„რაც მომივა, მომივიდეს

მე იმისთვის არ ვწადვლო,

ოქვენ ჭირს დაგხსნით... დექ, ვიქმნე

ოქვენი ჭირის სანაცვალო“

(7. I. 242)

დიმიტრი თავგანწირვისა და მოყვასისათვის თავდადებისათვის მხოლოდ თვალცრემლიანმა მღვდელ-მთავარმა აკურთხა:

„გსტირ და გირჩევ დვთის სახელით

ხორცი დასთმო სულისათვის,

უკვდავება არ დაკარგო

წუთის-სოფლის გულისათვის!“

მეფემ მზაობა გამოოქვა მსხვერპლითი მსახურებისათვის და შეუდი გოლგოთის გზას. მას თვალწინ ედგა მაცხოვრის კაცთათვის თავდადება და უვედრებოდა ყოვლისშემძლე უფალს:

„ვით ძით ყველა ისე ჩემით  
ერი ჩემი დაიხსენი“

პოემის ფინალში, სიკვდილით დასჯის სცენის წინ, ავტორი ყურადღებას ამახვილებს მეფის შინაგან ბრძოლაზე, სულიერ წინააღმდეგობაზე: სასიკვდილო განაჩენის მომდოდინებული წინაშე შეძლება, როგორც ყველა ხორციელი, მოაგონდება სახლი, კარი, ქვეყანა და თვისი ერი, თითქოს გატყდება კიდეც, მაგრამ წამიერ სისუსტეს ხორცისას კვლავ მისი სულის სიმტკიცე სძლევს და ვაჟაცურად მიეგებება სიკვდილს.

სიცოცხლის ბოლო წუთებში „ხორციელი გულისთქმისა და სულიერი სიმტკიცის საოცრად შთამბეჭდავი ჭიდილის ჩვენებით ავტორმა საუკეთესოდ წარმოაჩინა მეფის მოქმედების – მისი არჩევანის სირთულეც და მნიშვნელობაც. სამშობლოს სიყვარულს აქ საფუძვლად უდევს მოყვასის სიყვარული, სარწმუნოებრივი მოვალეობა ერის წინაშე და ქრისტიანული ზნეობა. მეფის სიტყვებში: „ვით ძით ყველა, ისე ჩემით ერი ჩემი დაიხსენი“, ჩანს ზრუნვა მშობელი ქვენის, საკუთარი ხალხის არა მხოლოდ ხორციელ გადარჩენაზე, არამედ მათი სულის ხსნაზედაც.

ეს ღვთისამ კაცობრიობა დაიხსნა სწორედ სულიერი სიკვდილისაგან. ამასვე შეწირა ტარიგად ჩვენი ერის პატიოსანი მწევმესიც – თავდადებულად წოდებული მეფე დიმიტრი. მან ერს სწორედ სულისათვის ხორცის გაწირვის მაგალითი მისცა“. (4. 50)

ნებისმიერი ოხსულების წაკითხვის შემდეგ ადამიანს უჩნდება კითხვა, რამდენად აქტუალურია ნაწარმოებში დასმული პრობლემა იმ პერიოდისათვის. პოემის გამოსვლისთანავე სახოგადოებაში გაჩენილი რეაქცია მოწმობს, (იხ. გ. ოუმანიშვილის, ს. ხუნდაძის წერილებში) თუ რაოდენ დაშორებული იყო იმდროინდელი ქართველობა წმინდა მეფის ლირსებებს (2. I. 239) და რაოდენ საჭირო იყო მისთვის ამ მაგალითის შეხსენება. ავტორის ჩანაფიქრს სწორად ხედავდა ალექსანდრე ხახანაშვილი, რომელიც წერდა: „წარსულის დიდებული სურათის დახატვით (ილია) ცდილობდს ჩაუნერგოს საზოგადოებას სიყვარული მამულისადმი და სულით გამხნევება იმ დროს, როდე-

საც საქვეყნო საქმისათვის სამსახური ათვალისწინებული და მივიწყებული იყო“ (2. I. 311)

გმირობას დიმიტრი მეფისას სიწმინდის შარაგანდედი ადგას და ათბობს და ანათებს ზეციურ საქართველოს. მსხვერპლ-შეწირვის უნარი – იყო და არის გზა სსნისა, ღირსეულ წინა-პართაგან. ქართველთათვის გაკვალეული, ღვთიური მადლის მო-საპოვებლად და დაცემული გნაობის აღსაღებენად.

ერთ-ერთ გამორჩეულ მეფესა და წმინდანს, ლუარსაბს უძღვნის ილია ჭავჭავაძე მოსახსენებელ დღისათვის მიძღვნილ წერილს 1886 წლის 21 ივნისს. (8. IV. 186)

ქართლის მეფე ლუარსაბი მოტყუებით ტყვედ ჩაიგდო შაჲ-აბასმა და ქრისტეს რჯულის უარყოფა შესთავაზა. შორს დაი-ჭირა მეფემ თავი, „მეუფისა და ღვთისა მიერ ჩემისა ნათელ-მიღებიეს და მის მიმართ დამიძს სასოება ჩემი და თვინიერ მისსა სხვა ღმერთი არავინ ვიციო. (8. IV. 186)

ხელ-ფეხ-შეკრული მეფე შეიძი წელიწადი დამწყვდეული ჰყავდათ ციხეში და ცდილობდნენ გაემაჰმადიანებინათ, მაგრამ ვერ შეძლეს.

რა ნახა შაჲ-აბასმა სიმტკიცე ლუარსაბ მეფისა და ვე-ლარა გააწყო-რა, ბრძანა სიკვდილი მისი. მეფემ ღვთისმშობ-ლის ხატს შეავედრა თავისი სული, ითხოვა ღედა-ღვთისაგან შეწევნა წამების მძიმე წუთებში და მეოხება სიკვდილის შემდ-გომ: „შენ მომეც შეწევნა წამებასა ჩემისა ამის და შემრთე წმი-დათა მოწამეთა შენთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა, ძე-სა და წმიდასა სულსა“

ჯალათებმა მშვილდის საბელით დაახრჩეს მეფე 1622 წლის 21 ივნისს. ილია ჭავჭავაძე ლუარსაბის ღვაწლს განაზო-გადებს რწმენის ხარისხზე და სარწმუნოებრივ სიმტკიცეზე მსჯელობით: „მხოლოდ დიდ ბუნებიანთა კაცთა თვისებაა ერ-თხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხ-ლის საგნად და მას ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თვისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უდირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე“.

მეფე ლუარსაბი გმირია, რომელმაც სთქვა: „რა მადლია თავი გადავირჩინო და ჩემი ქვეყანა მტერს ავაოხრებინო“... და წამებულის გვირგვინით შეიმოსა სახელოვანი თავი. (8. IV. 188)

სიმართლისათვის ჯვარცმის უნარი გამორჩეულ და დიდ-ბუნებოვან კაცთა თვისებაა, თუმცა საქართველოს ისიტორიაში ასეთი ადამიანები იშვიათობას არ წარმოადგენდენ; საქართველოს აგიოგრაფიული ძეგლების და ისტორიის გაცნობისას იბადება აზრი, რომ ზეციური საქართველო განუზომდად დი-დია, ამიტომაც მოიაზრებდა წმ. ილია მართალი ქართველი ერის ისტორიას, როგორც დიდებულ ტაძარს, „საცა უწირავს ერთიან სულს ერისას და აღუმართავს ერს თავის დიდბუნე-ბოვან კაცთა უწმინდესი ხატი და ზედ წაუწერია დიდთა საქ-მეთა მოთხოვისა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი“ (8. IV. 203)

ამ ტაძარში არაერთხელ ადსრულებულა ქართველთაგან ქრისტე ღმერთის ანდერძი მოყვასისათვის თავდადებისა და მსხვერპლშეწირვის ლიტურგიაც. „ერი, რომელსაც ახსოეს ეგ თავისის ერთიანი სულის წირვა, ეგ თავის დიდბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, პგულო-ვანდება“. ამ ლირსებათა პატრრონი ერი, თუკი მას ახსოვს ისტორია, „არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარ ზედ-მოსულს უბედურებასა და განსაცდელსა“, მუდამ თვალწინ იყოლიებს თავის სახელოვან კაცთა და მის მიბაძვას ეცდება.

მაგრამ კიდევ გვინდა დავუბრუნდეთ იმ რეალობას, რო-მელშიც ეს ნაწარმოები იწერებოდა და იმ კონტრასტს, რომე-ლიც ილიამ წმ. ლუარსაბ წამებულისა და მხტვრული პერ-სონაჟის ლუარსაბ თათქარიძის დაპირისპირებით შექმნა. ეს კონტრასტი კი აშკარად შეგნებულად იყო მოფიქრებული, რადგან მოთხოვის პირველ ვარიანტში ლუარსაბის მუდლეს ქმოვანი ერქვა – ქართველთა სათაყვანებელი, დიდობრამე დე-დოფლის სახელი. ლუარსაბი და მისი მეუღლე სახელოვან წინაართაგან განსხვავებით სარწმუნოების მხოლოდ სიტყვით მაღიარებელნი არიან და არა საქმით. ისინი მოლიანად ხორ-ციელ ცხოვრებაზე და ხორციელ საზრუნავზე არიან ორიენტი-რებული და მოკლებულ არიან სულის საოხად ხორცის მსხვერპლად შეწირვის უნარს, ეს პარალელი, რომელიც ერთი შეხედვით, შეიძლება უხერხეული მოგვეჩვენოს, დიდი შინაარ-სისა და ტკივილის მატარებელია...

გარდა იმისა, რომ წმინდა ილია მართალმა არა ერთი წერილი და მხატვრული ნაწარმოები მიუძღვნა უკვე წმინდანად შერაცხილ თანამემამულებებს, მას ის საოცარი ნიჭიც აღმოაჩნ-და, რომ მის თანამედროვე ლირსეულ ადამიანებშიც – დაენახა

ის დირსებები, სულისკვეთება და ქრისტიანული სათნოებები, რომელსაც ადამიანები უფალთან მიპყავს და წარუვალი გვირგვინით მოსავს.

ასეთები იყვნენ იმერეთის ეპისკოპოსი ვაბრიელი (ქიქოძე) და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), რომლებიც ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა.

უდიდესი სითბოთი, სიყვარულით და გულისტკივილითაა გაჯერებული ილია ჭავჭავაძის სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს (1896წ.).

ილია განსვენებული მდვდელმთავრის ცხოვრების თოთქულ წამს მოძღვრებას უწოდებს, ხოლო მთელს მის ცხოვრებას – სკოლას „მაღალ სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა“ აბრიელ ეპისკოპოსის აღმატებულებას, გამორჩეულობას და მნიშვნელობას სხვათა მრავალთა სამღვდელოთა თუ საეროთა შორის ილია სსნიდა იმ განსაკუთრებული თვისებით, რასაც მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში მორიგება და მოთავსება ერქვა: „განსვენებული დრმად მიწვნილი მეცნიერი იყო და იმდენადვე დრმად მორწმუნეცა... ბევრსა პგრია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა... იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა... ეს იყო ის, რასაც სიბრძნეს ეძახიან და რის გარეთ მსახურება თვისი მსახურებად არ მიაჩნდა, დვაწლი დვაწლად, მადლი მადლად“, (8. IV.252)

ილია ქებათა-ქებას უძღვნის მდვდელმთავარს, რომლის ბაგითაც დეკრიტი მეტყველებდა, რომლის მადლიანი და მაკურთხეველი მარჯვენაც მუდამ გაწვდილი იყო დავრდომილთა შემწეობისა და დაცემულის აღდგენისათვის, რომელიც ქრისტეს ჯვრით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენი ენის მწედ და მფარველად;

ამ საოცარ ადამიანს სიბრძნესთან ერთად უამრავი სიკეთე პქონდა მომადლებული დვოთისაგან. ილია ამბობდა: „თუ დიდება სანატრელია, აკა, ისწავენ გზანი დიდების შოვნისანი!“ და მიაჩნდა, რომ „დიდხანს და დიდხანს იქნებიან საქმენი მისნი ჩვენდა საოხად.

მეორე ღირსეული ადამიანი, რომელმაც მნიშვნელოვანი წელი შეიტანა ერის გაჯანსაღებაში, იყო ალექსანდრე გპისკოპოსი.

1898 წელს გაზ. „ცნობის ფურცელში“ ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა „სიტყვა მიმართული ეპისკოპოს ალექსანდრესადმი,“ სადაც ის წუხილს გამოოქვამდა ზეობრივი ფასეულობებისაგან გაძარცვული, დაცემული ყოფის გამო: „უდონობა ქვეყნისა მარტო უფულობა და უქონლობა კი არ არის, როგორც ახლა ბევრსა ჰგონია, არამედ უფრო ისა, როცა საონოებანი, კეთილმომქმედი, მაღალ-ზნეობის კაცი არა ჰყავს. სიმაგრე ქვეყნისა, ქვეყნის ძალ-ღონე, ერის შემნახველი და გამდიდებელი ქვითკირი ადამიანის ცხოვრებისა მარტო საონოებაა და საონოებანი კაცი ჰქმნის წუთისოფელს ტაძრად, სადაც ღმერთს ადიღებენ, და სამოთხედ, საცა ბედნიერება ადამიანსა პსადგურობს (6. 1).

წერილის ავტორი ეპისკოპოსის ცხოვრებას საონოების მაგალითად მიიჩნევს: „თქვენი სიცოცხლე მოელი განუწყვეტელი საონოებაა, საონოება რომლის მაგალითს მარტო იმ მადლით ცხებულ მღვდელ-მონაზვნებს შორის ვპოულობთ, რომელიც ერთს დროს ყოფილან ჩვენში ჩვენდა საბედნიეროდ და ეხლა, ჩვენდა საუბედუროდ ადარ არიან“

ილიას თანამედროვე, XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს ცნობილი მღვდელმთავარი, ალექსანდრე ოქროპირიძე ჯერ აფხაზეთის, შემდეგ გურია-სამგრელოს გაერთიანებული ეპარქიების ეპისკოპოსი იყო; ის აფხაზეთის მეორე მოციქულად იქნა სახელდებული და ენიოთ აღუწერები დვწლი მიუძღვის საქართველოში ქრისტიანობის დაცვა-გავრცელების საქმეში. მისი ძალისხმევით აფხაზეთში ჩამოსახლებული ჩრდილო-კავკასიელი მაჟმადინი მოსახლეობა, რომელიც ძირდებოდა მიწა-წყალ-გადამზადებულ დამგვიდრდა, XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის გაქრისტიანდა, რაც უდიღესი მნიშვნელობის მოვლენა იყო როგორც რელიგიური, ასევე ეროვნული თვალსაზრისით.

ილია ჭავჭავაძე გამოარჩევს-რა, მღვდელმთავრის დვაწლასა და სამსახურს, რომელიც „ღმერთს ღმრთისას აძლევდა და ქვეყანას ქვეყანისას“, ასე მიმართავს მას: „თქვენ აღგვიდგინეთ ჩვენი დავიწყებულნი წმინდანნი შიო მღვიმელი და იოანე ზედაზედი ... თქვენ გწამთ, რომ ადამიანის მხსნელი მისი რჯული და სარწმუნოებაა და ამ გზაზე დვაწლ-მოსილობი-

სათვის არა დაგიზოგიათ-რა. ამისდა მოწმად თქვენს მიერ აღდგენილი მონასტრებია, ეს ნაშთი ჩვენის სულიერად ზეადსაჭლობისა... თქვენი მადლით ცხებული მარჯვენა ყველგან მიიგინვდენიათ, საცა კი თქვენის ქვეყნის, თქვენი ერის საკეთილოდ საქმე რამ აჩვინდა. არ არის არც ერთი საერთო საქველმოწმედო საქმე ქართველობისა, რომ თქვენი უხვი წვლილი არ ერთოს, თქვენი ლოცვა-კურთხევა წინ არ უძღვდეს, თავს არ დასტრიალვბდეს...“

წერილის ამ მონაპვეთში ავტორი სრულყოფილად უკრის თავს ამ უდიდესი მოღვაწის, უსაონოების ადამიანისა და გამოჩენილი მღვდელმთავრის დამსახურებას ღვთისა და ქვეყნის წინაშე: „ქვეყნას ემსახურებოდით ღმრთისათვის და ღმერთს ადიდებდით ქვეყნისათვის, რადგან ღმერთი არის სიყვარული და სიყვარული მხსნელია ქვეყნისა“.

სამწუხაროდ, მეუფე ალექსანდრეს სამსახური შეუმჩნეველი არ დარჩენია რუსეთის შოგინისტურად განწყობილ სამდვდელებასაც. XX საუკუნის დასაწყისისათვის ის სამწყსოს ჩამოაშორეს, ფაქტიურად ეპარქიიდან გააძევეს და იმულებული გახადეს, მის მიერ აღდგენილ შიო-მღვიმის მონასტერს შეპკედლებოდა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იმყოფებოდა და მონასტრის ტერიტორიას მხოლოდ ერთხელ, თავისი სულიერი შვილის, ი. ჭავჭავაძის დასაცლავებისას განეშორა.

კეთილმორწმუნე და ქვეყნისმოყვარე წინაართა სსოვნა და ერისათვის მათი ღვაწლის შეხსენება არის ერთ-ერთი გზა წარსულ სულიერ სიმაღლებთან მიახლებისა და კაგშირის აღდგენისა.

წმინდანთა ღვაწლისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური წერილები და მხატვრული თხზულებები ორგანული ნაწილია ჭავჭავაძის ღრმად სულიერი შემოქმედებისა. წმინდანთა ღვაწლის სსოვნითა და პატივისცემით, რწმენის ერთგულებასა და ერის მსახურებაში მათთან მიმსგავსებით ყალიბდებოდა კიდევ ერთი, მომავალი წმინდანის – სიმართლისათვის გაკიცხული, სიმტკიცისათვის მოძულებული ერისკაცის – ილია მართლის სახე.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. „ივერია“ გაზ. 1888წ. №9; 1888წ. №9; 1888წ. №17. 2. ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. თბ., 1957წ. გ. I, II. 3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. თბ.. 1970წ. გ. V. 4. ნინიძე მაია, „მადლის წყარო“ თბ., 1977 წ. 5. ყიფიანი მარიამ, „როდის დაკარგა ქართველმა კაცმა დავით აღმაშენებელი?“ თბ., 2003 წ. 6. „ცნობის ფურცელი“, გაზ. 1898 წ. №537. 7. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა აკადემიური გამოცემა (ოც ტომად), გ. I, II, VII. 8. ჭავჭავაძე ილია, თხზულებანი ათ ტომად. გ. IV, VIII.

**Nato Sichinava**

### **Saint Images in Ilia Chavchavadze's Publicity and Fiction**

Life and services of the saints are good examples for people. If they forget them, their future will be doomed to death. St. Nino's, David the Builder's and St. Luarsab's lives are described in special newspaper articles by Ilia Chavchavadze and St. Dimitri is the main character of a poem, which shows his martyrdom.

Among his contemporaries the writer noticed merits of two bishops - the future saints - Gabriel and Alexander.

Besides the images of the saints Ilia Cavchavadze also shows their antipodes like Luarsab Tatkaridze.

The poem "Shadow" reflects different historical periods. Special interest is paid to the King Tamar's epoch. The idea of its eternal oasis is the main point of the verse "Lake Bazaleti". The aim of reminding the readers the lives of the saints is to awaken in them great spirit of the ancestors.

ტატიანა გვილავა

## სამართლიანობის იდეა ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკაში

ვაჟა-ფშაველა მუდამ გლეხებთან ტრიალებდა. იცნობდა მათ ჭირ-ვარამს. აფასებდა შრომისმოყვარე, გამრჯე ადამიანს.” გლეხობა საფუძველია ქვეყნისა. იგი მარჩენალია ხალხისა. თქვენ, ჩვენო ძმებო, გაკლიათ სწავლა-განათლება. დროა, გაანილოთ ოვალი და შეიძინოთ ის ძალა, რომელიც თქვენში მარხია. ჩვენ, ნასწავლი ქართველები, ვცდილობთ, გამოგიყვანოთ ბნელეთის სამეფოდან და გიჩვენოთ ახალი გზა კეთილი მომავლისაკენ. ჩვენ ვართ ხის ტოტები, ფოთლებმოსხმულნი, თქვენ კი ხართ ამ ხის ფეხსვები. თუ ფეხვი დასჭკნა, ესეც დაიღუპება” (ვაჟა-ფშაველა, ტ. VII, 1956, გვ.196).

სამართლიანობის იდეას ვაჟა უკავშირებს თავისუფლების პრობლემას, როგორც სამართლიანობის იდეის საფუძველს და პირობას. ყოველ სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება უნდა ედოს სარჩულად. ქვეყნისათვის სასარგებლო თუ არა, საზოგადო მაინც უნდა იყოს. ვაჟას აზრით, თავისუფლება იქ არის, სადაც კაცის ნაშრომი და ნაღვაწი სხვას არ მიაქვს, ნაშრომის ნაყოფს მისდაუჩებურად, ნებადაურთველად სხვა არ ისაბუთოებს. უქმი მეცადინებადა ექმდო თავისუფლება და სამართალი იქ, სადაც ცხოვრებას საფუძვლად უდევს წოდებრივი განსხვავება, სადაც კველას განურჩევლად წოდებისა, არ ეძლევა საშუალება, პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსობისა, სადაც შრომა დირსევულად არ ფასდება, სადაც არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება. “მონობაში არწივი ას წელს ვერ იცოცხლებს, თუ თავისუფალია, ორასსაც გადააჭარბებს”, - ასკვნის მწერალი.

ვაჟა წლების განმავლობაში ისწრაფოდა სამართლის დარგში ცოდნის მისადებად. სათანადო მომზადებაც გააჩნდა.

იურიდიულ საქმიანობაში მწერალი სშირად იუქნებდა პრესას. წერილები, რომლებსაც ათავსებდა პერიოდულ გამოცე-

მებში, ეხებოდა მის მფარველობაში მყოფ პირთა უფლებრივ საკითხებს. იგი ამხელდა ხელისუფლების, სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების ცალკეულ წარმომადგენელთა უკანონო მოქმედებას, ქმნიდა ერთგვარ საზოგადოებრივ აზრს, რაც დადგებითად მოქმედებდა მართლმსაჯულების საკითხების გადაჭრაზე, ხელს უშლიდა მოხელეთა და თანამდებობის პირთა განუსაზღვრელ თვითნებობას.

“დროებაში” “კაომეველის” ფსევდონიმით დაიბეჭდა წერილები, სადაც მხილებულია თიანეთის მაზრის ხელისუფალთა და ბობოლების მხრივ მოსახლეობის შევიწროების, ძარცვისა და უსამრთლობის ფაქტები.

საყურადღებოა ვაჟას წერილები: ”თიანეათური ფელებრი” (1900 წ.), ”ფიქრები” (1902 წ.), ”შავბეჭდი ამბები” (1905 წ.), ”რა არის თავისუფლება”, ”რას პქვია თავისუფლება”, ”წერილები ფშავის ხევიდან” და სხვ., სადაც განხოგადებულია სახელმწიფო, ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების მუშაობის ფაქტები, გაანალიზებულია ცალკეული საქანონმდებლო თუ ადმინისტრაციული აქტის ანტისაზოგადოებრივი ხასიათი, მთავრობის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო დადგენილებების მოჩვენებითი პუმანურობა: ”საკირველი ის არის, რომ ცირკულიარები კარგი გამოდის, კითხულობ და ცოტაოდნავ წელულზე მაღამო გედება, ვინაიდან ურჩევს იგი და აფრთხილებს მოხელეებს, ფრთხილად მოიქციო, საქმის გაურჩევლად ნე იჭერთ, ხალხს ნე ატუსაღებო, ნე სჯითო. იარაღს, თუ საჭირო არ არის, ნე იხმაროთ და სხვ ...კარგი და პატიოსანი... მაგრამ ის ვერარ კარგია, რომ ცირკულიარის ხმა მხოლოდ ქაღალდზე გაისმის და ცხოვრებაში იმის ნაცამალიც არ მოიპოვება. იგი თითქოს არც კი სადმე არსებობდეს. რჩევა ცირკულარისა რჩება ხმად მდაღადებლისა უდაბნოსა შინა და ყველა ადმინისტრატორი ისე იქცევა, ვითარცა ხანი თავის სამცდობელოში... დიახ, სიტყვა სხვაა, საქმე სხვა და მათ შუა უზარმაზარი ჯურლმულია. არა, ტყუილად ვინმე მოელის ხდობის მოპოვებას იმ დრომდე, ვიდრე სიტყვასა და საქმეს შორის არ დამყარდება სრული თანხმობა, ვიდრე ადმინისტრაციის მოქმედება არ იქნება მიმართული ქვეყნის, ხალხის საკეთილდღეოდ” (“დროება”, 1882, №213).

ვაჟა სწორად ხსნის სახელმწიფოსა და სამართლის კლასობრივ ხასიათს, მათი წარმოშობის ძირითად მიზეზებს. მართებული დასკვნები გააკეთა ადათისა და კანონის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რომ ადათი საზოგადოებრივი ცხოვრების შედეგია, კანონი კი – პოლიტიკური ცხოვრებისა.

ფშავ-ხევსურეთში, როგორც გვაროვნულ საზოგადოებაში, გაბატონებული იყო ადათობრივი ნორმები და ადათობრივი სამართალი, რომელიც წერილობით გაფორმებას არ ღებულობდა, მაგრამ იგი იყო ადამიანის საზოგადოებრივი ყოფა-ქცევის ჩვეულებად გადაქცეული “პირველი ბუნებითი კანონი”.

ადათობრივი სამართალი მარტივი იყო და ოქმის წევროა სრულ თავისუფ-ლებას აღიარებდა.ვაჟამ სპეციალური წერილი მიუძღვნა ფშაველთა ძველი სამართლის აღწერას:”ფშაველების ჩვეულებითი სამართალი არ არის მრავალმუხლ-იანი და როგორც... იგი იყო მდაბიო, მარტივი, რის გამოც მარტივი სამართალი უნდა დაბადებულიყო. ყოველგვარი საქმე ადგილობრივ გაირჩეოდა, სოფელს, თემს გარეთ არ გასცილდებოდა. გასამართლებაში ყოვლის ასაკის ქონები საზოგადოების წევრი იღებდა მონაწილეობას. სასჯელს დამნაშავისათვის მთელი თემი, სოფელი დაადგენდა... ღირსებას, გვაროვნებას, ჩამომავლობას, ფშაველების ჩვეულებით, სამართალი არ მიჰედავდა.”

ვაჟას შეხედულებანი საერთოდ გვაროვნული წყობის, კერძოდ, ფშავ-ხევსურეთის “კომუნალური ცხოვრების” შესახებ ღრმა დაკვირვების შედეგია.

შესანიშნავია პოეტის მიერ შენიშნული მოვლენა – ბრძოლა მთაში მიწის საკუთრების ორ პრინციპს შორის. აქ სათვმო და კერძო (საოჯახო) საკუთრების საწყისები ერთმანეთის გვერდით არსებოდენ. ზოგჯერ სათვმოს ეძლევა უპირატესობა. არსებობს ჩანაწერები ვაჟას მიერ მიწების განაწილებისა და საზღვრების დაწესების შესახებ (ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი ფონდი, №5663-ს).

დაწერილია გადაწვეტილებები, რომლებიც გამოიტანა სოფლის მოსამართლეებმა მიწების განაწილების დროს. ჩანაწერები შესრულებულია ვაჟას ხელით.

პოეტმა სიცოცხლეზე შეუვარებულის თვალით შეხედა  
უსწორ-მასწორო წუთისოფელს და იმავე სიცოცხლის სახელით  
მოითხოვა ყველა უსამართლობის დათრგუნვა.  
ვაჟის შეეძლო ეთქვა: ”მე მძინავს და გული ჩემი მღვიძარ  
არს...”  
მღვიძარ არს საუკუნოდ!

## Tatiana Gvilava

### The idea of Justice in Publicist cal works of Vadzha –Pshavela

The idea of justice for Vadzha is connected to issue of liberty as to it's bases. Every word and action must be based on common social happiness and has To be common, if not useful for the country.

In his Juridical work Vadzha uses the press. Articles he used to publish were about the rights of those who were under his care.

Some articles were published in “Droeba” under the name “Katmeveli”. Some of his articles to which must be paid attention are: “Tianetial Pheleton”/1900/, “Thoughts”/1902/, “Dark stories”, “What is the liberty”, “What the liberty is called”, “letters from Pshavi” and the others.

## თ. ტალიაშვილი, თ. სეხნიაშვილი

ზოგიერთი პოსტმოდერნისტული პოსტულატის  
აქტუალიზაცია ვაჟა-ფშაველას პოემებსა  
(„ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“,  
„სტუმარ-მასპინძელი“, „გველის-მჭამელი“) და  
ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“

„სრულიად უსარგებლოა აზრის ძიება ლიტერატურულ ნაწარმოებში, სადაც ხშირად ჩანს ის, რაც სინამდვილეში არ შეიძლება რომ იყოს, ან უკეთეს შემთხვევაში ის დაფარულია და ვერ ასწრებს გმოჩენას უმნიშვნელო გაელვების უას“. უ. ბატაი ინტერესის საგანს წარმოადგენს უმნიშვნელო გაელვების უას გამჟღავნებული, დაფარული, რომელიც იმპლიციტურად იკვეთება ნებისმიერ ლიტერატურულ ნაწარმოებში. ავტორის მიერ ჩამოყალბებული კოდი თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს, რადგან რეალობიდნ ასხლეტილი ფსევდორეალობა ავტორის მიერ პროვიციერებული, მკითხველის ცნობიერებაში თავისებურ აქტუალობას იძენს.

მკითხველის ესთეტიკური ცნობიერება თავისთავად არღვევს თეორიულ კრიტერიუმებს, სადაც მკაფიოდ ხდება ლიტერატურაში მიჯნობრივი დანაწევრება. ამის შედეგად რეალიზმში ხშირად იკვეთება რომანტიკული მოღვაწი, მოდერნიზმში კი ფუტურისტული ელემენტების მეტნაკლები სიჭარბე იჩენს თავს. ამ გარემოების უდავო დაღასტურებაა კლასიციზმის თეორიის ფუძემდებლის, ბულოს მიერ საქუთარი კანონის რღვევა, რაც გამოისახა ადგილისა და დროის ერთიანობის რღვევაში.

პოსტმოდერნისტული მიმღინარეობა, რომელიც უფრო ცნობიერის განსაკუთრებული ფორმაა და ნაკლებად ემორჩილება ლიტერატურის თეორიის მიერ დადგენილ ჩარჩოებს.

უ. ეკო, ი. პასანი, და დ. ლოჭი მიიჩნევენ, რომ პოსტმიდერნიზმი, როგორც გარკვეული მოვლენა, ყოველთვის არსებობდა ხელოვნებაში, კა-

ცობრიობის განვითარების წებისმიერ ეტაპზე, განსაკუთრებით, მისი სულიერი კრიზისის ჟამს.

იღ. იღინი გვაძლევს პოსტმოდერნიზმის განმარტებას:" როგორც თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკული მიმდინარეობა, ის ეყრდნობა პოსტსტრუქტურალიზმის და დეკონსტრუქტივიზმის თეორიასა და პრაქტიკას. ეს არის ერთგვარი მცდელობა მხატვრული ტექსტის მეშვეობით საეციფიკურად გამოავლინოს ემოციებით შეფერადებული წარმოდგენები—გარკვეულ მსოფლიშედველობით კომპლექსებზე დაყრდნობით. პოსტმოდერნიზმის ძირითადი ცნებებია: სამყარო, როგორც ქაოსი; სამყარო, როგორც ტექსტი; პოსტმოდერნისტული მგრძნობელობა; ინტერტექსტუალობა; ავტორიტეტთა კრიზისი; ეპისტემოლოგიური დაეჭვება; ავტორის ნიღაბი; ორმაგი კოდი;

თხრობის პაროდიული მოდუსი—პასტიში. წინააღმდეგობრიობა, დისკრეტულობა, თხრობის ფრაგმენტულობა, კომუნიკაციის ჩავარდნა და მეტათხრიბა."

წებისმიერი აღნიშნული ცნება სრულიად შეესაბამება მსოფლიო ლიტერატურაში ტექსტის სახით ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ ნაწარმოებს, თუ განვიზილავთ, როგორც თვითმყოფად ბაზისს, აზრის თავისუფლად ვარირების გარკვეულ ჩარჩოს, კონკრეტული ეპოქის სოციალური და საზოგადოებრივი მიმართებიდან დამოუკიდებლად. პოსტმოდერნიზმი, როგორც ფილოსოფიური დებულება ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნეში, მაგრამ გონისმიერი მიმართებიდან ყოველთვის აისახებოდა ადამიანის ცნობიერებაში. ისევე როგორც წებისმიერი ფილოსოფიური დოგმა, რომელიც ახსნილი იქნა ადამიანის მიერ გარკვეულ დროში. ახსნილი და არა შექმნილი თავისთვავად, როგორც თვითნებითი იღვა ის ყოველთვის არსებობდა სამყაროში. პლატონის თეორიული მოსაზრებები გამოისახველობითი ზელოვნების შესახებ ამისი ნათელი დადასტურებაა. საამისო იმპულსს გვაძლევს პოსტმოდერნიზმი. მყარი ცნების ერთგვარი სიმბოლოს—სიმულაქრის ანალიზი.

"ასლი არის ერთგვარი ზატი, რომელიც დაფუძნებულია მსხვერპლზე, სიმულაქრი არის ზატი, რომელსაც არ გააჩნია მსგავსება. ეს ცნებები პირველად განმარტებულ იქნა პლატონის მიერ კატეგიზისის საფუძველზე. ღმერთმა შექმნა ადამიანი თავისი ზატითა და მსგავსებით. თუმცა, პირველცოდვის შემდეგ ადამიანმა დაკარგა მსგავსება და შენარჩუნა ზატი-სახე. ჩვენ შევიქმენით სიმულაქრულები. უარი ვთქვით ზნეობრივ

არსებობაზე, იმისათვის რომ ესთეტიკური არსებობის ცდაში შევსული-ყავით". – ქ. დელეზი

რ. ბარტის განმარტებით ტექსტი არის ინტერტექსტი და წარმო-ადგენს ასაღ ქსოვილს ძველი ციტატებისგან შექმნილს. ბარტის ეს მო-საზრება შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვრ ბაზისურ, ფუნდამენტურ წყაროდ, რათა მისი მეშვეობით მოვახდინოთ ქართულ ლიტერატურაში მოძიებუ-ლი, გარევეულწილად, მყარი ქსოვილის სახით ჩამოყალიბებული, სახეე-ბის ანალიზი.

მიმართებების ჩამოყალიბებისას, უნდა დავვფუძნოთ ტექსტს, რომე-ლიც განხილულ უნდა იქნას, როგორც ეპოქისაგან მოწყვეტილი თვითნე-ბითი სტრუქტურა და პროცესორება მოვახდინოთ ამ კუთხით.

გენიალური ქართველი მოაზროვნის ვაჟა-ფშაველას შემოქმედება არ წარმოადგენს ტიპიური პოსტმოდერნიზმის გამოვლინებას, მაგრამ ჩა-ნასახის სახით შეიძლება მოვიძიოთ ის ელემენტები, რომელიც დამახასი-ათებელია ამ მიმდინარეობისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ პოსტმო-დერნიზმი, როგორც აზროვნების გარკვეული ფორმა, ყოველთვის არსე-ბობდა ადამიანთა არაცნობიერში. პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებე-ლი პოსტულატები გარკვეულ ასახვას პორცებს სხვადასხვა მოდუსში, რომელთა მხრილო მცირე ნაწილს შევეხებით ამ წერილში.

სამყარო, როგორც ქაოსი-მოიცავს ორმაგ განზომილებას-დრო-სივ-რცულ კონტინუუმს, ერთგვარ განფენილობას, საღაც კონდენსირდება ურ-თიერთობა გმირებს შორის და ამ ურთიერთობათა განვითარება დროსთან მიმართებაში.

აღუდა ქეთელაურისა და მუცალის, ჯოყოლასა და ზვიადაურის შეხვერდა გარკვეულწილად ეხმანება ამ საკითხს. საკალური ველი, რომელიც ამ გმირებს შორის სულიერი კაგშირის ჩამოყალიბების არგა-ლია, წარმოდგენილია, როგორც მაგიური წრე, რომლის წიაღშიც ადა-მიანის სული შიშვლდება და აღქმა პროცესირებულია არა გარეგნობაზე, ხორციელ საფარზე, არამედ სულიერ საწყისზე შესაბამისად, სივრცე წა-რმოდგენილია როგორც მიწიერ განზომილებაზე ზეამაღლებული სამყოფი. ტექსტის კოდი, მისი ანალიზი ავტორის ჩანაფიქრისაგან დამოუკიდებ-ლად, რაც მწერლის აზროვნებასთან, მისი ამოუცნობი არაცნობიერისაგან განსხვავებით, მეტ-ნაკლებად ემორჩილება ინტერპრეტირებას.

"სტუმარ-მასპინძელში" ნაჩვენებია, ქისტების სოფელი—"სალის კლდეების ტახტითა", "აღუდა ქეთელაურში" ნახსენები "ახლები" ("ახლე-ბო, სისხლი გიფუისთ") და "ბახტრიონში", XI თავში ჩამოყალიბებული

უგრძნობი სამყაროს შინაგანი ბუნება, რომელიც განმარტებულია, როგორც აღსაყდრებული "სალის ყინულის ტახტზედა"- ერთიანი შრის მომცველი ფსევდოსამყაროს ერთგარი ხატია.

ვაჟა თავისი პოემების მითოსურ წიაღში აყალიბებს გარკვეული, სულიერი სიწმინდისაგან გაძარცვული პოტენციალის საუფლოს. თუ პირველი და მესამე მაგალითი ლექსიკური ფონზე აყალიბებს გარკვეულ პარალელს, ანალიზს საჭიროებს მინდიას მიმართვა შატილელებისადმი. როგორ უნდა გავიაზროთ "ახლების" არსი, თუკი მათ შორის იყო უშიშაც. ასეც რომ არ იყოს, ახალგაზრდები ვერც გაბედავდნენ ალუდას შეურაცხყოფას. ახლებში უნდა მოვიაზროთ ახალი ცნობიერების მატარებელი საზოგადოება. საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია გარკვეულ არეალზე, რომლის ცნობიერებაც მოწყვეტილია ღვთაებრივ სიბრძნეს, ანუ, როგორც ავტორი აღნიშნავს "ახალია"

სამივე მონაკვეთი სივრცული მახასიათებელია იმ გარემოსი, სადაც მოქმედება ხდება.

მითოსური შრე ძალიან მეყვითა ვაჟას პოემებში. "ალუდა ქეთელაურში" და "სტუმარ-მასპინძელში" ხორციელი გმირების გვერდით სახლლებან დავხები; "გველისმჭამელში" და "ბახტრიონში"-გველი, როგორც სიბრძნის განსხეულება, უდიდეს ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ცხოვრების წესზე.

ლუზუმისა და მინდიას ზიარებას ბუნებისმიერ სიბრძნესთან, რაც პოტებშია გაღმოცემული, წინ უძღვს მიწიერი სამყაროს ორ განზომილებად დახლეჩა. სიბრძნის საძყვიდრო მხოლოდ იდეალური სულიერი წიაღის მქონე პიროვნებებს უხსნის კარს თავის საუფლოში, სადაც ყველას როდი შეუძლია შეღწევა. გმირია აღმოჩნდება ისეთ სამყაროში, რაც ნებისმიერი ხორციელისათვის როდია მისაწვდომი. სივრცის ამგვარი რეალიზაცია გარკვეულ კავშირშია დროსთან:

"ელირსებაო ლუზუმსა  
ლაშარის გორზე შადგომა."

ავტორი მომავალში წარმოგვიდგენს გმირის დაბრუნებას. მომავალი სრულიად შეუზღუდული და ამოუცნობი, განუსაზღვრელი და შეუცნობელია. თუკი წარსული გარკვეულ კავალს ცნობიერებაში წარმოსახვითი კადრებისა თუ შეგრძნებების სახით, აწმყო კი პოტენციური წარსულია, ფაქტიურად, ყოველი განვლილი წამი უკვე წარსულის კუთვნილებაა, მომავალი სრული აბსტრაქცია, ანუ დრო, როდესაც შეიძლება განხორციელდეს პატიება ჩადენილი დანაშაულის გამო.(ბახტინი). მექსიე-

რება წარსულს უკავშირებს გარკვეულ სივრცეს, მომავალი კი ამ თვალ-საზრისით სრულიად განყენებულია, ამიტომ სიმულაცია ამ მიმართულებით უფრო თავისაჩინოთ წარმოებს.

დრო-სივრცულ კონტინუუმში უნდა განვიხილოთ სიზმართა სამყარო. აღუდას სიზმარი, ისევე, როგორც ლელას და კვირიას სიზმარი-ერთგარი ღვთითავსილობაა, იმ თვალსაზრისით, რომ გმირები წინასწარ განკვრეტისა და სიღრმისეული შეცნობის უნარით ხასიათდებიან. ჩვენ არ ვცდილობთ ავსენათ სიზმარი ფრონტისა და იუნგის ფსიქოანალიზის მეთოდით. მნიშვნელოვნია, რა დატვირთვას აძლევს შემოქმედი. მისი აზრი კი ცალსახად იკვეთება პოემებში-ვაჟას გმირებისათვის სიზმარში ხორცი-ელდება კათარზისის ფუნდამენტირება, შესაბამისად, ეს არის აბსოლუტური სიბრძნით, ანუ ღვთაებრივი სიბრძნით აღვსების იდეალური ფორმა, რომელსაც შეიძლება ეზიაროს უბრალო მოკედავი.

ზღაპარი, მითი თავისითავად ასახვს სიმულაციურ ელემენტებს, უფრო მძაფრადაც კი ვიდრე უშუალოდ ტექსტი, როგორც გამონაგონი. ავტორი სრულიად მოწყვეტილია რეალობას, მაგრამ რაკი ათვლის წერტილს მაინც ის წარმოადგენს, ანუ არეკვლა მისი ზედაპირიდან ხდება, შეუძლებელია უგულვაბელყოთ მასთან ინტერტექსტუალური კავშირის საფუძველზე ჩამოყალიბებული პიპერრეალობა, რომელიც ავტორისეულ დირებულებზე პროეცირებული.

პრეტექსტი არის წინარე ტექსტი, რომელიც ავტორს ექსპლიციტურად და წინასწარგანზრუნვით აქვს ჩამოყალიბებული თავის ნაწარმოებში. ძნელი სათქმელია, რამდენდ შეიძლება მივიჩნიოთ პრეტექსტუალ ვაჟას ქმნილებებში პროცესირებული გარკვეული მიმართებები, მაგრამ ინტერტექსუალურ ჭრილში განხილვის შესაძლებლობა აშკარად გვხდლევა.

"სტუმარ-მასაბინძელის" ის მონაცემით, როდესაც აღაზას სინაულის ფამს მიცვალებულთა სულები მოსდევენ, ძალიან ჰვავს ძველ ბერძნულ მითოსში არსებულ მითს, როდესაც მიცვალებულთა მოვლინებას ჰადესიდან, წინ უძღვის ცოცხალთა სინაული. ეს ერთგვარი პრეტექსტია.

განსაკუთრებით საინტერესოა ჩრდილო-ევროპული ეპონის ერთგვარი ინგარიძნტები- "გველისმჭამელი" და "ალუდა ქეთელაური".

უნდა აღინიშნოს, რომ მეტადის მოკვეთის მთავარი არსი მდგომარეობდა საიქიოში მტრის უხმლოდ, ანუ შერცხვენილი პირით გასტუმრებაში. თუ არ ჰქონდა მარჯვენა, ხმალსაც ვერ დაიჭერდა. სკნდინაგიური ვალპალა იყო საიქიო, სადაც გმირები ხმალამოწვდილნი მიემართებოდნენ.

კიდევ ერთი ინვარიანტი—"გველისმჭამელის" გმირი—მინდია, შეჭამს გველის ხორცს და სიბრძნით აღიერება. "სიმღერა ნიბელუნგებზე" მოგვითხოვთ, რომ ზიგურდმა (ზიგფრიდმა) საოცარი უნარი შეიძინა, როცა ფაფნირის (გველეშაპის) სისხლით განიბანა. სხვა ვერსიით, მან ფაფნირის გული შეჭმა.

აშეარა ინტერტექსტუალურ მიმართებას ვწედავთ "ალუდა ქეთელაურში". მინდია საყვედლურობს თანამედროვეთ:

გულს ათრევინებთ გონებას,  
თავს აჭრევინებთ ცულითა. . .  
გული-ღ გონება ძმანია."

გავიხსენოთ "ვეფხისტყაოსნის" 857-ე სტროფში:

"გული, ცონბა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან;  
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისქენ მიდიან;  
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან."

"ავტორის ნიღაბი" პისტოლერნიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პოსტულატი განსაკუთრებით ფექიზი დაკვირვების საგანია, რადგან მისი გარჩევა ავტორის კომენტარისაგან, ხშირ შემთხვევაში, გარკვეულ სიძნე-ლესთან არის დაკავშირებული.

"სტუმარ-მასაინძელში", აღაზას სიკვდილის სცენაში ვწედებით საინტერესო სტრიქონებს:

"თავს ნუ იკლავო!" აბა, თუ  
ერთმა ურჩიოს მაინცა."

ამ ჩართვით ვაჟა მკითხველის ყურადღების მიქცევას, მის გამოფხიზლებას ცდილობს და თანაგრძნობისკენ მოუწოდებს. თითქოს ეშინია, არ აღმოჩნდეს მოუმზადებელი მკითხველის პირისპირ და მასთან კომუნიკაციური კავშირის აღდენის ცდილობს. ამასთან, გმირების აღდგენა სიკვდილის შემდეგ, არის ბაზისური რეალობის—"აღდგომის" ერთგვარი დამასინჯება—სიმულაკრა.

"ავტორის ნიღაბი" უფრო აშეარად იჩენს თავს "ბაზტრიონის" XVI თავში:

"ვის მოგილოცოთ სახელი,  
ვინა ზართ სახელიანი?"

ავტორი კომენტარს აღარ აკეთებს. მიმართავს უშუალოდ გმირებს, როგორც ერთ-ერთი პერსონაჟი.

ვაჟას პოემების პროეცირება მითოლოგიზირებულ სიუჟეტზე განსაკუთრებით მდიდარ მხატვრულ — სახეობრივ ფონს წარმოშობს.

"სიმულაკრი—იმისათვის რომ სახემ "ტიპიური სიმულაკრულობა" შეიძინოს, გაივლის განვითარების შემდეგ სტადიებს: აირეკლავს საბაზო რეალობას; ნიღბავს და ამაზინჯებს საბაზო რეალობას; ნიღბავს საბაზო რეალობის არქონას; არ აქვს არავითარი კავშირი რეალობასთან; გვევლინება საკუთარი არსის ტიპიურ სიმულაკრად შედეგად, ყალიბდება განსაკუთრებული სამყარო, მოდელებისა და სიმულაკრების სამყარო, რომლებიც არ შეესაბამებიან რეალობას, მაგრამ აღიქმებიან უფრო რეალურად, ვიდრე თვით რეალობა — ეს არის სამყარო, რომელიც უფუძნება მხოლოდ საკუთარ თავს და ბოლორიარის აზრით ჰიპერრეალურია. ამ პროცესებს მართავს სიმულაცია, რომელიც არყოფნას ყოფნად წარმოადგენს და რეალობასა და წარმოსახვას შორის ნებისმიერ განსხვავებას უგულვებელყოფს". — ილ. ილინი

ალ. ყაზბეგის მოთხრობის "ხევისბერი გოჩას" პერსონაჟი ქალი — მიძია, ბოლორიასეული სატყუარას განსაკუთრებით საინტერესო გამოვლინებაა.

სანამ მიძიას სახეს წარმოგვიდგენს, მწერალი აღწერს ცეკვის სცენას. ქალი და მამაკაცი ერთგვარი რიტუალური თამაშის გმირებად გვევლინებიან. ეს წრე ღროისა და სივრცის ვიწრო არეალში განასხეულებს საპირისპირო სქესთა მარადიულ ურთიერთლობლებს, მაგრამ, იმავდროულად, ავლენს, კონკრეტული სქესისათვის ნიშანდობლივ ქვეცნობიერ ინდივიდუალურ ნიშნებს. ალ-ყაზბეგი შესანიშნავად აღწერს ამ სცენას: "აგრ მირბის დამკრთალს არჩესავით მოხვევის რომელიმე შავთვალა ქალი. იმისი სახე სრულს შიშს გამოისოქვაშს, რაღაც არწივსავით მკლავებაშლილი კაცი მისდევს თავის მსხვერპლს. ნაზი ქმნილება თანადათან დუნდება, კაცი ეწევა, აი წუთიც და გულში ჩაიკრავს შეშინებულს, ქედანსავით აკანკალებულს ქალს, მაგრამ მოლოდინი არ უმართლდება. ერთბაზად მარდად გატრიალებული ქალი ხელიდან ეცლება და მეორე მხარეს გამხტარი ფეხებს ათამაშებს. გულდაწყვეტილი კაცი გასცერის ხელავს თავის მსხვერპლს მომხიბლავის დიმილით და მოუუშუნე თვალებით, რომელიც იმას იწვევენ, იპატიუებენ და თითქოს ეუბნებიან: "დამიჭირე და მე გაგრჩნობინებ სიცოცხლის სიტყბოებას!"."

ქალი გვევლინება დაუცველ, მაგრამ დაუმლეველ ძალად, რომელიც იმორჩილებს თავისი უსუსურიბითა და მომხიბლელობით.

"არც ერთ ქალს, არასოდეს დაუკარგავს ნებელობის ფუნდამენტურ ფორმა, რომელიც ამავე ღროს ცდუნებას ეჯაჭვება. სხეული, სიამოგნება, სურვილი, უფლებები — სხვა საქმეა. მაგრამ ქალი ყოველთვის იყო წყვდიადის, გაქრობისა და გაელვების მომხიბლელი თამაშის წარმმართ-

კელი და აქედან გამომდინარე, ყოველთვის შეეძლო საკუთარი "გამგებ-ლების" უფლებების დაჩრდილვა.

არასოდეს ვხიბლავთ ძალით ან ძალისმიერი ნიშნებით. უფრო სი-სუსტით. ცდუნებისას მთავარი ამოსავალი სისუსტეა, რაც სწორედ ამგ-ვარი თამშისას იძენს ძლევამოსილებას."—ძოლრიარი.

ცდუნება უკვდავია, ის იყო, არის და იქნება, როგორც სიკვდილი, ბედისწერა და სიცოცხლე. თამაში არასოდეს უნდა წყდებოდეს. ძიძა, როგორც "გაქრობის ესთეტიკა" იყარგება დრო-სივრცეში, ერწყმის უსას-რულობას, რათა მეორედ მოვლინოს ქვეყანას. აგტორი არაფერს ამბობს მისი აღსასრულის შესახებ. ის უდანაშაულოა, როგორც ბედისწერა, მოვ-ლენები მისგან დამოუკიდებლად ვითარდება, ის სატყუარაა.

ბოლდრიარის აზრით, აცდუნო ნიშნავს მოკვდე, როგორც რეალობა და დაიბადო სატყუარის სახით. ამასთან, გვხვდება საკუთარ სატყუარაზე წამოგება. ამ შემთხვევაში სუბიექტი მოჯადოებულ სამყაროში აღმოჩნდება.

ძიძა აღმოჩნდა მოჯადოებულ სამყაროში, მისი არსებობა ერთგ-ვარი თვითნებობაა, რომელიც გამორიცხავს დანარჩენ სამყაროს. ამიტო-მაც ძიძა კონტაქტში არ შედის თავის გარშემოყოფ ადამიანებთან. ის მთლიანად ჩაძირულია საკუთარ არსში და იხსნება მხოლოდ ონისეთან. .

საინტერესოა, რომ ძიძა არასოდეს ცრუობს. არ ცრუობს მაშინ, როდესაც საკურთხევლის წინაშე დგას. არც მაშინ, როდესაც გუგუა ცდილობს მის მხილებას.

ონისე ძიძას მაცდურს უწოდებს, ის ზედავს საფრთხეს, მაგრამ შეპრობილია სულით-ხორცამდე და ამიტომ სიკვდილი გარდაუვალია. ონისე სულიერად როგორც კაცი-მოვალეობის და წესის აღმსრულებელი კვდება. ის დალატობს თავის ჭეშმარიტებას. ცდუნება კარგავს და ამანიჯებს რეალობას.

პირველი შეხვედრის დროს ონისე ძიძას სახეს ვერ ხედავს, მაგამ როდესაც ქალის მხურვალე ხელს შეეხება, უსიამოვნო გრძნობა შეიძყ-ობს, რასაც თავად ვერ ხსნის. მეორედ, როდესაც ის გუგუასთან მიპყავს, მას ჯვარულის ხმა დასაფლავების გალობის ხმად ეჩვენება. ეს შეიძლება ორ პლანში განვიხილოთ. პირველი, ის რომ ონისე კარგავს საყვარელ ქალს, მეორე-ის წინასწარ განვერტებს საკუთარ დაღუპვას.

ონისე ცდილობს თავი დაიცვას ცდუნებისგან. ის ტოვებს ხევს, თითქოს გაურბის ცდუნებას, ბედისწერას. ცდილობს გამყარდეს საკუთარ ჭეშმარიტებაში, მაგრამ ყველა შემთხვევაში, ყველანაირ მცდელობას ის მიპყავს დაღუპვისაკენ.

ბოდრიარის აზრით ნებისმიერი ცდუნება ნარცისისტულია. მისი იდუმალება მომაკვდინებელ ყოვლის შთანთქმელობაშია. ამიტომაც, ქალებისათვის, რომელთათვისაც უფრო ახლობელია სარკე, საღაც "ეფლობიან" სხეულითა და სახით, აშკარად ბუნებრივია ცდუნების ეფექტი. მამაკაცებს მეტი სიღრმე აქვთ, მაგრამ არ გაჩნიათ საღუმლო. ამაშია მათი ძალაც და უძლურებაც. ცდუნება სუბიექტის იდეალური მირაჟით არ წარმოშობა, მაგრამ არც სიკვდილის იდეალური მირაჟია მისი დგრიტა.

რა თქმა უნდა, აღნიშნული მაგალითები, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ზემოთ ჩამოთვლილი პოსტულატების მეშვეობით აქტუალიზაციისა, მაგრამ უდავოა, რომ ქართული ლიტერატურის შესწავლა ამ კუთხით, უამრავ საინტერესო მასალას შეგვძენს ავტორის, როგორც გარკვეული ცნობიერების რეალიზატორის და ტექსტის, როგორც ავტორის მსოფლმხედველობის სიღრმისეული გამოვლინების საშუალების შესახებ.

*გამოყენებული ლიტერატურა:* 1. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი. თბ., 1986. 2. Жиль Делез, Платон и симулякр. [<http://ihtik.lib.ru/>] (Россия, г.Уфа). 3. Жорж Батай, Литература и зло. 1957г. [<http://ihtik.lib.ru/>] (Россия, г.Уфа). 4. Илья Ильин, Постмодернизм. Словарь терминов, 2001. 5. Михаил Бахтин, Автор и герой в эстетической деятельности. [<http://ihtik.lib.ru/>] (Россия, г.Уфа). 6. შოთა რუსთაველი, "ვეფხისტყაოსანი". თბ., 1986. 7. Жан Бодрийяр, Соблазн [<http://ihtik.lib.ru/>] (Россия, г.Уфа).

T. Taliashvili, T. Sekhniashvili

## Actualization of some postulates of the Postmodernism in poems Vaja-Pshavela and in A.Kazbegi's story

The postmodernism philosophical and aesthetic currents is to some extent expressed by the basic categories in those literary works which belong to the Georgian classics and about which the critical literature is created not enough.

Researches of actualization: the Author's mask, Intertextuality, Simulacre and Epistemological uncertainty is the main task of this work.

## ლალი ჭითანაგა

### ბიბლიური სახეები და ეპიზოდები დავით ნოღელის შემოქმედებიდან

„დაცვა მეფის საიდუმლოისა კეთილ არს, ხოლო დვთის საქმის განცხადება და ადსრულება პატიოსან და საქებელ, – ასე უთხრა რაფიელ მთავარანგელოზმა მართალს ტობიას, როცა სასწაულით ოვალები აუხილა. ამისთვის – ამბობს პატ-რიარქი იერუსალიმისა წმინდა სოფრონი, – არ შემიძლია დავიდუმ ის დიდი და საყვარელი საქმე, რომელმაც . . . მოაღწია და რომელიც შეეხება დირსის მარიამ ეგვიპტელსა და იმის ცხოვრებას . . .“ (4, 1-10).

მარიამ ეგვიპტელი ცხოვრობდა რომის იმპერატორის, იუსტინიანეს დროს, გარდაიცვალა 521 წელს. მისი ცხოვრება აღწერა იერუსალიმის პატრიარქმა წმინდა სოფრონმა და შესულია წმინდა ცხოვრების ისტორიაში. მარიამის ჯერ საშინელი, ხორციელი ვნებებით დატყვევებული ცხოვრება და შემდეგ მოწამებრივი გზის მთელი სიცხადე, მისი მონანიების 47 წელი, რომელიც გაატარა მდ. იორდანეს სანაპიროზე მდებარე უდაბნოში, ყოველთვის იწვევდა მორწმუნება დიდი ინტერესს, ამიტომაც არა თუ იერუსალიმის პატრიარქის, რომელმაც წმ. ზოსიმესაგან გაიგო მარიამის საიდუმლებანი, არამედ უამრავი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შემოქმედების ერთ-ერთ წყაროდ იქცა. ამ თვალსაზრისით არც ქართული ლიტერატურა ყოფილა უკანა პლანზე: ითარგმნა მარიამის ცხოვრება, არა მარტო წამებათა ისტორიებთან ერთად, არამედ ინდივიდუალურადაც. ასეთი ერთ-ერთი ბრწყინვალე თარგმანია მ. შარაძის მერ შესრულებული (გამოცემულია წიგნად) „ცხოვრება დირსისა დედისა მარიამ მეგვიატელისა.“ ამჟამად ეს გამოცემა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს (3, 126).

XIXს. 50-იან წლებში დავით ნოღელმა თავისი ერთ-ერთი პოემის ძირითად სიუჟეტად მარიამის მოწამებრივი ცხოვრება

გამოიყენა და ნაწარმოებსაც „მარიამ უგვიპტელი“ უწოდა. ეს პოემა ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა და ავტორისეული ხელნაწერით ინახება ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის ლიტერატურულ არქივში. (1, 1842). პოემის და საერთოდ დავით ნოღელის შემოქმედების შესახებ გარკვეული ნაშრომი ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ მიერ იქნა გამოქვეყნებული.

პოემა იწყება ავტორის წინასიტყვაობით, სადაც დიდი მოკრძალებით არის გადმოცემული კაცობრიობის დანიშნულება ლვთის წინაშე. დავით ნოღელი მიუთითებს, თუ როგორ შეიძლება ადამიანი თავისი „საგნის“ ასრულების სურვილმა მორალურად დაკინიოს, გადაგვარდეს, თუ დროზე არ აღმართა ლვთისაკენ ხელი და მონანიების წმინდა თვისებით არ განიმტკიცა თავისი სულერი სათხოება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სამუდამო განადგურება ემუქრება. თუმცა, ავტორი იმასაც აღნიშნავას, რომ ასეთი დიდსულოვნების გამოჩენა არც თუ ისე ადვილი საქმეა და მხოლოდ ერთეულებს თუ ძალუძო მონანიების წმინდა საქმიანობით მოიპოვონ სასუფეველი ლვთის წინაშე. თუ სიმტკიცე გამოიჩინეს და ეს შეძლეს, სწორედ ისინი იქნებიან წმიდათაწმინდა სახელის მატარებელნი.

პოემის შინაარსი შემდეგია: მარიამი, რომელიც მხოლოდ თავისი ხორციელი ვნებების მონობაშია და განცხრომაზე ფიქრობს, სულ ახალ-ახალი თავგადასავლების ძიებაშია, მიდის პალესტინაში, სადაც გასაოცარ დროსტარებაშია. იერუსალიმში კი მისი ჩასვლა ემთხვევა ნათლისძების დღესასწაულს, მარამიც ინგერუსით უახლოვდება ტაძარს, სადაც უამრავი ხალხია თავმოყრილი, თუმცა იგი შიგნით ვერ შედის, რადგან მას რაღაც უხილავი ძალა აჩერებს. ხალხის მომნუსხელ მზერას ის ვერ უძლებს და იქვე ჩაიკეცება. მარიამის თვალწინ გაიელვებს მთელი განვლილი გზა, სადაც მხოლოდ საშინელ აღვირასხსნილ ცხოვრებას ხედავს. მხოლოდ ამის შემდეგ ის ლვთისმშობელს შეკვეთადებს „თვისთა ცოდვათა“ მონანიებისათვის მზადყოფნას და აღთქმას დებს: თუ ჯვარის მთხვევის ნება მიეცემოდა, მოწამეობრივი გზით ივლიდა: წირვამდე იტანჯა, შემდეგ სამკაულისაგან განიძარცვა, იგრძნო ჯვრის სიძლიერე, ემთხვია მას, ლვთისმშობლის ხატის წინაშე მოინანია თავისი ცოდვები, შემდგომ ამისა დატოვა, ტაძარი და უდაბნოსაკენ

გაემართა. (6,75-89). იგი დაივიწყა უკელამ, ისტორიაც თავის ფურცლებს სათუთად აბარებდა მემატიანეს.

პარალელურად ნაჩვენებია იმავე ქამის მღვდელმონაზონი ზოსიმე, რომელიც 80 წელს მიტანებული იყო და რომელსაც გამოეცხადა ანგელოზი და უბრძანა მდ. იორდანეს მხარეს, იოანე ნათლისცემლის მონასტერში წასულიყო, და იქ განემტკიცებინა თავისი მოწამებრივი ცხოვრება. მონასტერში მამა ზოსიმე დიდი პატივით მიიღეს, იქ კი წესი იყო, დიდი მარხვის დღეები მამებს უდაბნოში უნდა გაეტარებინათ და წმინდა ზოსიმემაც უდაბნოს მიაშურა და განმარტოვდა. მალე მან იხილა შიშველი გადეგილი, რომელიც ლოცულობდა და რიტუალის დროს მაღლდებოდა (6, 75-89). ეს საოცრება იყო. ბერი მიეკალა, გადააწყოდა სამოსი, და სთხოვა მოეთხოო მისი მეუღაბნოე ცხოვრება. განდეგილმაც არ დააყოვნა და უამბო ზოსიმეს თავისი ცხოვრება დღიდან ნათლისცებისა, უდაბნოში განდეგილმა არაერთხელ იწვნია სატანის მიერ მოწყობილი უამრავი განსაცდელი, მაგრამ არ შეცდა და მედგრად დაიცვა მეუღაბნოეს ცხოვრება. შემდგომ მან მამა ზოსიმეს სთხოვა, მეორე წელიწადს იგი ეზიარებინა, ხოლო ყოველივე საიდუმლოდ შეენახა მის აღსრულებამდე. პოემაში ავტორი თანმიმდევრობით აღწერს, წმ. მარიამის ცხვრების დეტალებს: სატანის მიერ ჩადენილ მაცდუნებელ საქციელს, რომელმაც ვერაფერი დააკლო წმინდანს. როდესაც მამა ზოსიმე ხელმეორედ ჩადის იორდანეს მხარეს დანაპირების შესასრულებლად, მასაც უწევს სატანის მიერ მოწყობილი წინაღმდეგობების გადალახვა. ის კველაპერს დასხლებს, შეხვდება განდეგილს, რომელსაც აზიარებს, და მომავალი შეხვედრის იმედით დატოვებს. შემდგომ კი ავტორი ისევ დეტალებში აღწერს მამა ზოსიმეს მორიგ შეხვედრას განდეგილთან, რომელიც გარდაცვლილია და იქვე იხილავს მის წერილს, სადაც წერია, რომ წმ. მარიამი მიიცვალა ზიარების დღეს და ბერს სთხოვს მიაბაროს მიწას. ისიც ასრულებს დანაბარებს, თუმცა უჭირს ამის გაკეთება, მაგრამ გამოწნდება „ლომი თვინიერი“ და ისინი ერთად შეასრულებენ დანაბარებს, (5, 128).

6. ნოღელი მეაცრია თავისი გმირის მიმართ, საინტერესოდ წარმოგვიდგენს მარიამს, ისე რომ არაფერი რჩება დაფარული:

„ოდეს სურიელსა ადამიანის

თანახმად ხელს უწყობს გარემოება

ადსრულებისა თვისისა საგნის  
ადგილად იგი ვერ განშორდება,  
. . . ჯერ წარმავალი ფუჭი რამე ვსოდეთ,  
მერმე ვუგალობოთ ციურს დიდებას. “ (1, 1642).

როგორც ადგინენეთ, როცა განგება ადამიანის წინაშე სვამის უძნელეს, მაგრამ აუცილებელ კითხვებს თავისი დანიშნულების არსის გასაგებად და როდესაც იგი, ადამიანი, გადახედავს თავის „ნებიერ“ ცხოვრებას, რომელსაც თითქოსდა არანარი ნადველი არ ახლავს, სწორედ მაშინ გადაიშლება მის წინაშე ნამდვილი არსება საკუთარი დანიშნულებისა. ვინც მიხვდება და მომავალს გაისიგრძებანებს, მას დასჭირდება სულის დიდი მხენვა, რომ ძირითადი მიზანი ცხოვრების დანიშნულებისა გაიგოს და როდესაც ამ მიზანს ჩასწედება, აი მაშინ ხდება მისი სულიერი კათარზისი, რომლის შედეგად იწყება საკუთარი ადგილის დამკვიდრება, როგორც ღვთის, ისე კაცობრიობის წინაშეც.

საინტერესოა ავტორის მიერ წამოყენებული „ბედნიერების“ მარიამისეული გაგება:

„ამპლუცსა მართებს თავის თვისებით  
ჭაბუქსა ნიჭსა მათ შეეწიოს,  
ჯერ გული ჭაბუქო სხუა და სხუა ნებით  
გაიღვიძოს და გამოიწვიოს.  
მერმე უჩვენოს საგნად ცხოვრების  
ერთიდა ოდენ ბედნიერება.  
. . . მიმზიდებისა მისი ალერსით  
ჭაბუქი მარად ხელთა ეჭიროს  
გულის ნაყოფი, მისგან ნათებით,  
ვითა პატრონმა თვით მზისა სხივი,  
ჭაბუქის გრძნობის ეფინეობიდეს,  
და ვითა ვიწრო, სამარე ცივი,  
მისგან შორის ყოფნა ეძაგებოდეს“ . . . (1,16 48).

ბედნიერება მარიამს ესმის, როგორც ხორციელი სიამოვნება, მხოლოდ ვნებათა, დაოკების, წამიერი გრძნობების ტყვეობა. და არა გრძნობა, რომელიც აკეთილ შობილებს ადამიანს, მისი ცხოვრების ადრინდელი პერიოდის აღწერაც ამას ადასტურებს.

ავტორს სიმბოლურად მაინთია, მარიამს ცხოვრებაში გარდატეხა ნათლისძების დღეს. ანუ თითქოს ის მოინათლა, რომელიც თვით ღვთიშობელმა მარიამმა აღასრულა. და წამირი

გრძნობების ტყვეობაში მყოფი ქალიც სრულიად შეიცვალა. პოემაში ამ პროცესს ავტორი დეტალებში უკვება, სამკაულებისაგან მისი განძარცვიდან, მის აღსრულებამდე. ოვით მარიამს აყოლებს თავისი ცხოვრების დეტალებს.

მარიამის სახე სრულ ტრანსფორმაციას განიცდის. თუ მანამდე სიცივე იყო პატრონი მისი მშვენებისა, ეხლა უკვე მას სათნოება უუფლებოდა. ის დვთისმშობელს ევედრებოდა, რათა ეჩვენებინა სწორი გზა. თუ მანამდე კაცისა და პირუტყვის სულთა გარჩევას ვერ ახდენდა ეხლა კი მისთვის ცხადი გახდა ყველაფერი და სხვა არაფერი დარჩენია გარდა მონანიებისა, მხოლოდ მწარე და გულმსურვალე მონანიებისა. ავტორმა მთელი ინტერესით შემოგვთავაზა მარიამის სახე უდაბნოში ცხოვრების 47 წლის შემდეგ. უკვე განდევილი სათნოებისა და მოწამებრივი ცხოვრების განსახიერებაა, რომელიც მთელი არსებით ინანიებდა თავისი ცხოვრების უდიდეს ცოდვებს. დ. ნოდელმა მთელი პოემის განმავლობაში გადმოგვცა ერთი ადამიანის ცხოვრების საოცრად განსხვავებული მხარეები: ერთი - მძიმე ცოდვებით განვლილი გზა, მკრეხელობა, თვალთმაქცობა, მხოლოდ პირადი სიამოგნებით დაგმაყოფილება. მეორე - განწმენდის გზა, სათნოება, მონანიების ნათლით შემოსვა.

თემაში საინტერესო სახეა მამა ზოსიმე „მდვდელ-მონაზონი იმავ ქამისა”, კაცი სოფლის დელგისგან განშორებული.

„სერაფიმისა ძალსა ეჭირა,  
საგალობლად საბართისა,  
რამდენიც წმიდამ ცასა შესწირა,  
ნაყოფად წელთა ოთხმეოცისა.  
ბნელეთ სამდერლად ის ტურფა იყო,  
დასაბამიდან ამით განიყო

ცისნეტარება, ბნელის სიმძიმე...”(1,1642)

ზოსიმე წლების განმავლობაში ქვეყნიერებისათვის იღწვოდა და სოფლისთვის ზრუნავდა. დიდმოწამეს სურდა სასწაული რომ ეხილა, დარწმუნებული ყოფილიყო უფრო ძლიერი მოწამის არსებობაში. ....მაცდურმა გულის სიტყვამ აღამდერია, რადგან მასზე აღმატებული მოღვაწე არავინ ეგულებოდა” (2,212-215), ამიტომაც სურდა სასწაულის ხილვა, რომლითაც სულიერ ნეტარებას მიიღებდა. მას გასიგრძეგანებული პქონდა ის, რომ პირგელ-ადამიანის შეცოდება- ეს იყო წინაპირობა იმისა, რასაც მოკვდაგნი ქრისტეს განკაცებაში ხედავდნენ,

რომელიც ქვეყნის ერებას მოევლინა მათთა ცოდვათა მტკირთველად, ამიტომაც უფლის ანგელოზის წებით მამა ზოსიმე მიდის და უერთდება მეუღლების ბერებს (4,1-10). მან მართლაც იხილა სასწაული მარიამ ეგვიპტელის სახით.

პოემაში ნოდელმა სატანის მართველწახნაგოვანი სახე წარმოგვიდგინა. მართალია მარიამის „ცხოვრების ისტორიებში არ არის ნაჩვენები ასეთი ეპიზოდი, ამდენად ჩვენ თამამად შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ ეს არის ავტორის მიგნება, ამ სახის ჩართვით კიდევ ერთხელ დაამტკიცოს ადამიანის სულიერი სიმტკიცის ბჟეზი. ნაჩვენებია ჯოჯოხეთი და მის „მკილავთა“ განწყობილება. ავტორისთვის კარგადაა ცნობილი ბიბლიური სიუჟეტები. ქრონიკები, მართალია ისტორიული რეალიებისაგან გადაცდომას არ ცდილობს, თუმცა თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იშველიებს საგუთარ შემოქმედებით ლაბორატორიაში ნაძერწ სახეებს და ისე ოსტატურად აზავებს ძირითად სიუჟეტთან, რომ თითქმის შეუმნიველია. ავტორი განსაკუთრებით ხაზს უხვამს სატანის განრისხების მიზეს, რომელიც მდგომარეობს მარიამის მოწამეობრივ ცხოვრებაში, თუ იგი ადრე სატანის მსახური იყო და ეხდა განდეგვილის მძიმე გზას შედგომია, ბუნებრივია სატანაც უამრავ განსაკდელს მოუგლენს, თუმცა ვერაფერს აკლებს, ვერც წმინდა ზოსიმეს ავერხებს, მართალია გულმოდგინებით ცდილობს, მაგრამ ამაოდ.

პოემის ეს ეპიზოდის შეიძლება შევადაროთ ჯონ მილტონის „დაპარგულ სამოთხეს“, კერძოდ იმ ადგილს, სადაც უპავ ზეციდან ძირს დანარცხებული სატანა თავის „შავ ანგელოზებთან“ ერთად „იწყობს ბინას“, ბობოქრობს და ემზადება კაცობრიობის წინააღმდეგ საბრძოლველად. (6, 71-89). ნოდელის სატანა არამარტო მარიამს ებრძვის, არამედ ის კაცობრიობას უცხადებს ომს.

პოემა შედგება ორი ნაწილისა და ხუთი კარისაგან. კომპოზიციური მთლიანობა დაცულია, იგი ძირითადად მისდევს „წმინდა ცხოვრების ისტორიას“, თუმცა ავტორს მთელი რიგი ცვლილებები შეაქვს ნაწარმოების გამართვაში, ის სუბიექტურად წყვეტს ბევრ მომენტს, ძირითადში ბიბლიურ სიუჟეტს არ სცილდება. უნდა ითქვა, ისიც, რომ ნოდელი ბიბლიურ პერსონაჟებსა და გარემოულ სიუჟეტებს არაერთხელ დაბრუნებია. ეს იქნებოდა პოემები „რუხის ომი“, „ასპინძის ომი“, თუ დაქსები,

სადაც მკაფიოდ ჩანს აღნიშნული თემატიკა, ხაზს უსვამს რწმენის პრიორიტეტს პატრიოტიზმში. პოემაში “იროდი-ანტიპა” მან ყურადღება მიაქცია რომის იმპერიაში პირველ ქრისტიანების მოწამებრივი ცხოვრების დეტალების აღწერას და განკაცებული ქრისტეს სასწაულებრივი გზის დაწყებას.

ეს ყველაფერი უდაოდ მეტყველებს დავით ნოღელის შემოქმედებითი სფეროს ფართო არეალზე, რაც როგორც ავღნიშნება, ბოლომდე არ არის შესწავლილი.

**გამოყენებული ლიტერატურა:** 1. ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი, ლიტერატურული არქივი /ლ. ა./1642. 2. საქართველოს ეპლესის კალენდარი, თბ., 1997.-გვ. 212-215. 3. **ცაიშვილი ს.**, დავით გიორგის ძე დადიანი (ნოღელი), საქართველოს მეგობრობის მუზეუმი, სმმ/ძვ. 7318. 4. ცხოვრება ლირებისა დედისა მარია მეგვიპტელისა, ტფ., 1898, გვ. 1-10. 5. **ჭითანავა ლ.** დავით ნოღელის ლიტერატურული მემკიდრეობანი, „მაფშალია“, თხუ ზუგდიდის ფილატლის სამეცნიერო – ლიტერატურული ჟურნალი, № IV, თბ., გვ. 199, 125-135. 6. **ჭითანავა ლ.** დავით გიორგის ძე დადიანის–ნოღელის ცხოვრება და შემოქმედება, საღისეურებაციო ნაშრომი., თბ. 1999, გვ. 75-89.

## Lali Ghitanava

### Biblical faces and Episodes From David Nogheli's Work

Biblical Faces and plot was one of principal theme in Georgian writer work.

20-s of the XIX century D. N. concerned to this question too. This was seen in his poem and in his character's faces.

One of Nogheli's poems the whole spectrum is presented in Biblical Details – begun Merriam's undisciplined life, her Martyr life for 47 years and miraculous expire of her life.

Besides it, N. in his play –Irodi-Antipa- generalized the beginning of Christ's –born a Man –Marty way.

N. particularly and everywhere plays great attention to the Saint Mystery life though it must be mentioned that the writer solves many things subjectively but at the same time he doesn't avoid of biblical plot.

## რუსულან აბულაძე

### „ცხრა-წვენა“

სხვა პუბლიცისტებისგან განსხვავებული ხედვითა და ხელწერით დაიმკვიდრა დ. მაჩხანელმა ( დიმიტრი ნადირაძე) გახეთ „ივერიაში“ ადგილი. მისი სტატიები „ცხრა-წვენას“ სახელწოდებით გამოჩნდა 1887 წლის მაისში „ფელეტონის“ რუბრიკაში. პუბლიკაციები რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა. ფელეტონები ეპისტოლარულ ჟანრს მიეკუთვნება, გამოირჩევა ოქმა-ტური მრავალფეროვნებით.

ფელეტონებში დ. მაჩხანელი გამონაგონი პერსონაჟების გალერეას ქმნის. იუმირისტული გვარებით – ღორაძე, ძილის-გულაძე, მაკელაძე, გაილვიძეაძე, შურიძე და სხვა, ავტორმა გამოავლინა დამოკიდებულება არა კონკრეტული პიროვნებისადმი. მისი მახვილი მიმართულია საზოგადოების სხვადასხვა ფენის მავნე თვისებებისადმი – სიზარმაცე, სიხარბე, შური, ორპირობა, უგუნურობა. ავტორმა პერსონაჟები ისეთ ტიპურ გარემოში წარმოადგინა, რომელშიც ჩანს უარყოფითი მხარეები: „დიდის ამბითა და ყოფით უნდა დაასაფლაონ ღორაძეო; წარმოიდგინეთ, ბალდახინიც – კი ორაგულით უნდა იყოს მოქარგული რადგანაც მეტის-მეტად უყარდა იმ ცხონებულს“ [1, გვ.1]. მაკელაძე სულს ებრძვის. ცოლ-შეილი სანთლებს ანთებენ, რომ ღმერთმა მიიღოს მისი ცოდვილი სული, მაგრამ სიკვდილსაც მოსძაგებია: „საწყად მგელაძეს რომ ეს ლათინური ანდაზა არ დაევიწყებინა: „გახსოვდეს მტვრად იქცევიო“, ხომ იმ სამუდამო საზარელებაში ადარ ჩავარდებოდა...“ [2, გვ.1].

დ. მაჩხანელი თავისებური ხედვით, სატირულ-იუმორისტული სიტუაციების შექმნით, არა მარტო არსებულს აღწერდა, არამედ ცდილობდა პრობლემის სასურველი სახე წარმოედგინა. მიეთითებინა მკითხველისთვის რომელი მოვლენა უნდა ყოფილიყო მისაღები საზოგადოებისთვის: „ჩვენი მეზობელი სანდრო მოვიდა შვეიცარიიდამ და ძალიან კაი ყველის და ერბოს გაკვთება უსწავლია. ბასილიც ხომ გერმანიაში იყო და აგრონომი

გამოვიდა, რომელიც პირველი გუთნის-დედაა დღეს ჩვენში, წინამავლიანთ ვანიკომ რეალური სასწავლებელი გაათავა და საფრანგეთში მიემგზავრება: ვენახისა და დვინის ხელი უნდა შეისწავლოს” [3,გვ1.] .

დ. მაჩხანელის ფელეტონების თემატიკური ანალიზის დროს ჩანს, რომ აგტორს გაკერით, მაგრამ მაინც გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ისეთი კარდინალური მნიშვნელობის საკითხებისთვის, როგორიცაა ბიუროკრატიული აპარატი და სათავადაზნაურო ბანკი. სურს გამოაშკარაოს ჩინოვნიკთა თავგასულობა, მაგრამ ცენტურის გამო იძულებულია მსუბუქად შეეხოს ამ მოვლენას: „ისე ბევრია გოგოლის მოხელეთა რიცხვი, რომ ყველი-პარია კატას ჯოხი მოუქნიოთ, უწინ იმათ მოჰკვდებათ“ [4,გვ. 2]. აქედან ჩანს, პუბლიცისტი იძულებულია ყურადღება გაამახვილოს მოხელეთა რიცხვზე და მათ დასახასიათებლად სიტყვათშეერთებით მიღებული რამდენიმე გამოოქმით დაქმაყოფილდეს: „აი კიდევ რა ახალის მოდის სადღეგრძელო შემოუღიათ თითონ იმ ჩინოვხვლიკებს და სარშოვნიკებს: ღმერთმა ადღეგრძელოს საქართველო და ჩვენ გვამრავლოს მის სადიდებლადო!“ [5,გვ.2]. რა თქმა უნდა, ეს არ არის ფართო მასშტაბის სატირა მთელ ბიუროკრატიულ აპარატზე მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცენტურის პირობებში ეს ნაკლებშესაძლებელი იყო.

სამაგიეროდ, სათავადაზნაურო ბანკი და მისი მევალები გამანადგურებელი ძალით პყავს გაკიცხული. უმოქმედობამ, ახალ ცხოვრებასთან შეგუების უუნარობა გახდა დ. მაჩხანელის ირონიის საგანი. შეუფარავად აშიშვლებს მაღალი წოდების ხელმოცარულ წევრებს: „ ჩვენი სიმდიდრე ჩვენც ყოველთვინ თან დაგვდგვს და იმიტომ ვერ ვიცლით, რომ დედულმამულს ვუპატრონოთ, ამისთვის ვთხოვთ უმორჩილესად ბ-ნთ მყლაპავიანცებსა, რათა დაგვავალონ და გამოისყიდონ ის ჩვენი მამულები, სახლები, რომელიც რომა ბანკს გირაოდ უჭირავს. ამასთანავე მიღლონ მცირეოდენი შრომა: „თავის რიგზე მოუყვრონ და ბოლოს ჩაგვაბარონ“ [6, გვ.2].

ამ პერიოდის პოეტები არაიშვიათად გამხდარან გაპენწლის ობიექტები მათი უხარისხო ნაწარმოებების გამო. დ. მაჩხანელის ფელეტონებშიც განხაკუთრებული ადგილი უკავია კ.წ. „სალიტერატურო სატირას“. პოეტების სიმრავლე, უნაყოფო ნაწარმოებები აგტორის დაცინების საგანია. იყენებს კალამბურს, როგორც ირონიის ხერხს. პრობლემას იუმორისტულად, საკუ-

თარი თავის მაგალითზე წარმოგვიჩნის: „მეც-კი მინდოდა, დვთის წინაშე, ვერსიყიკაციის ბადლად პიპოქრენა ჩამეყლაპაა, რომ მწყობროსიტყვაობის ხელოვნების პატენტი ამედო და ხელად გავპოვებულიყავ უპოეზიოდ, მაგრამ ღმერთმა დამიფაროს ჩვენი კიბრი+კოსები=კრიტიკოსები იგრე გამიწყრობენ პოლონეს, რომ ზაქი მუტრუკად მტვენებოდეს და მუტრუკი ზაქად“ [7,გ2]. მოყვანილი ციტატიდან ჩანს, შოლტი კრიტიკოსებსაც მოხვდათ.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში მომრავლდა უერნალ – გაზეთები. რედაქციის მუშაობის, პუბლიკაციების ხარისხი იმთავითვე გახდა საზოგადოების მსჯელობის საგანი. ამან გამოიწვია ის, რომ პრესაში გაჩნდა არა ერთი სატირულ-იუმორისტული მასალა კრიტიკოსებზე, ვაი-ლიტერატორებზე, უნიჭო რედაქტორებსა და მათ გამოცემებზე.

დ. მაჩხანელმაც სატირიკოსის მახვილი მიმართა მდორე პრესისა და მისი კრიტიკოსების წინააღმდეგ. საკითხი იუმორისტულად აქვს წარმოხენილი. დაჩაგრულიძეს სდომებია გაზეთის დაარსება სახელით „უველასთვის კარგი მსურს, ბოროტების მტერი ვარ“. შორსმენედველიძეს ნება არ დაურთავს. სამაგიუროდ, მაიმუნიძე, რომელიც „კაი ნიჭიერი ფინანსი გამოვიდა“, აარსებს გაზეთს „ქარაფშუტა“. ავტორი ირონიულად აღნიშნავს: „იმედია ჩვენი პოეტ-ფილოსოფისტები (უკაცრავად ფილოსოფოსები უნდა მეოქვა) პოლიგრაფები-კუდაგრაფები და პუბლიცისტ-მორალისტებიც წერდობის თვალით გადახედავენ ახლადშობილ „ქარაფშუტა“-ობას და დამქაშობას არ მოაკლებენ“ [8, გვ2].

XIX საუკუნის 60-იან წლებში თერგდალეულებმა უმოწყალო ომი გამოუცხადეს მშობლიური ენის დამახინჯებას, მის მოველებულ ფორმებს. ამ ეპოქის პუბლიკისტიკაში დიდი ადგილი უკავია „სალიტერატურ სატირას“. მისი ობიექტები გახდნენ ადამიანები, ვინც თაკილობდნენ ქართულად ლაპარაკს და უცხო ენაზე საუბრით უნდოდათ წარმოებინათ თავისი განათლება.

ამ საკითხებისადმი არც დ. მაჩხანელი დარჩა გულგრილი. მას ფელეტონებში გამოყანილი პყავს „ახალი მოდის“ ნას-წავლები, რომლებსაც თითქმის დავიწყებული აქვთ თავიანთი ტრადიციები. ეს იყო მშობლიური ენის თვით ქართველთ ნებითვე დავიწყების გამოხატულება, ამიტომ გახდა მსგავსი მოვლენები პუბლიცისტის სასტიკი გაკიცხვის საგანი. აი, ზოგი სამისო მაგალითი მისი სტატიებიდან: „ახალის მოდის განათლებული „უმეცრები“ დიდ-ნასწავლ კაცებად იმათთა სთვლიან,

ვინც ახალის მოდის კილო-მანერისანი არიან და გულითაც და ფულითაც იმათა სწეალობენ“ [9, გვ.1]. ასეთივეა სხვა სტატია-შიც: „ტასია თავქარქაშაშვილისას დიდი ხანია რაც რომანომანია სჭირს და თავის მშობლიური ენა ზნე-ჩვეულება არარაფ-რად მიაჩნია“ [10, გვ.1]. ვაი – ქართველებისთვის შასაფერისი გვარიც შეგუთხავს: „ო, უფალო, ულხინე იმ იძერებაშვილებს, რომელიც სიტყვით მამული-შვილობებს და რასაც ჰქადაგებენ, თვითონვე ამტყუნებენ, რადგანაც ჰგონიათ, რომ უცხო-ენის გა-მოჩენით გამოგვაჩნდება განათლებაო“ [11, გვ.1].

პუბლიცისტი არა მარტო წარმოაჩენს ამა თუ იმ პრობ-ლემას, არამედ მისი წარმოშობის მიზეზებსაც იძიებს და გამო-სავალზეც მიუთითოვბს. ავტორის აზრით პრობლემების გადა-საჭრელად, ქვეყნის წინსვლისათვის განათლებაა საჭირო. შე-ფარვის გარეშე აკრიტიკებს ქალების „მოდით“ გატაცების ფაქტს. მაგალითოთ აჩვენებს რომ უპრიანია სწავლა-განათლე-ბას მიაქციონ უურადღება და ამით ჩადგნენ ქვეყნის სამსახურ-ში, ვიდრე დრო ფუჭად დახარჯონ. ქალწულებმა გადაწყვიტეს მოღურად ადარ ჩაიცან და დანაზოგი ფული განათლებაზე დახარ-ჯონ. განათლების სამინისტროს შემდგენ წერილი წარუდგინებს:

„მოგვდა სირეგეგნე და აღსდგა ცოდნა,

ქვას გულის მქონი მოლმობიერდნენ.

აი, უფალო, ქალებშიც „მოდნა“

დასტოვეს და აწ მოგონიერდნენ“ [12, გვ.1]

ერთგან ადფრთვანებით ამბობს: „მაშ გაუმარჯოს ქა-ლებს განათლებულებს, უმეცრებისაგან დახწეულებს, ქვეყნი-სათვის თავ-დაღებულებს, გაუმარჯოოოს!“ [13, გვ.1].

დ. მაჩხანელის ფელეტონების კვლევისას დაგინახეთ, რომ ავტორი კვალდაკვალ მიყებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მსელელობას. უყურადღებოდ არ დარჩენია არცერთი ისეთი სა-კითხი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ერთს პროგ-რესული განვითარების გზაზე.

დ. მაჩხანელს მხედველობიდან არ გაუშვია ქართული თე-ატრის მტკიცნეული მხარეები. მსახიობთა არაპროფესიონალიზ-მი, პიესების უხარისხობა შემობილი აქვს სატირული ეპითე-ტებით და შედარებებით: „ამ დროს ვიღაცა „ბუბლიკათა“-განს შეუძახნია კომიკისთვინ: ბარაქა შენს დაჩრიხვებულ ჩევინკებს, მზიბილო, ჭავისგან დათმობილო, შე ბაყაყო მოყიყინე, თავი რაზე შეგვაწყინე, კარგი გაბრუნდი და ადარ გამობრუნდეო“

ანდა „სირცხვილი შენთვის, შე გამოცრუ-ებულო, სულით დაცემულო და წყალ-წაღებულო, რომ არ იცი: „ერთ ყურს პქვიან ისმინეო, მეორესა ისხლიტეო“ [14,გვ.1]. აქ ვხედავთ, „მოყიფინებაყაყსა“ და „წყალ-წაღებულში“ მსახიობები იგულისხმებიან. აგზორი დასცინის მათ და იმავე სტატიაში მიუთითებს, რომ არაპროფესიონალიზმია მიზეზი თეატრში მაყურებლის ნაკლებობისა. ამაზე დასკვნა მეტყველებს: „აქტიორს მარტო ზეპირად როლის დასწავლა როდი შექმნის დიდებულ არტისტად, თუ-კი იმ როლის ტურფა-ხელოვნურად გამოთქმისა და მის შესაფერის უესტიკულაციის ასრულება არ უცოდინება“ [15,გვ.2].

სატირულ-იუმორისტული განწყობილების შესაქმნელად, როგორც ზემოთ აღვნიშხეო, დ. მაჩხანელი ხშირად იყენებდა კალამბურს. ეს არის ბეჭებითა და სიტყვებით თამაშის ხერხი. ერთ-ერთი „ცხრა-წვენას“ მთავარი გმირია ავტორის „ყალბი“ მეგობარი, რომელიც ქართველთა უმეტესი მანკიურებების მატარებელია. „ბახუსის ამალაში კი ირიცხება და ასრულებს კიდევ თავის თანამდებობას გარევნილობის სალხინოში“ [16,გვ.1]. ამ პერსონაჟის ხასიათის შექმნისას ავტორი კიცხავს უპასუხისმგებლობას, ხაზოგადოებრივი ინტერესების უგულებელყოფის ფაქტებს. „ყალბი“ მეგობარი გულმხიარული და ენაზოჩარხულია: „მოჰყვება კრებულებაში, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, მთელის ქვეყნის მეცნიერებაზე, ხელოვან-პოეტზე, ლეგერატორ-მორალისტზე, გვირგვინოსან-ფარ-ხმალოსნებზე, მინისტრებზე – ხმიგმისტრებზე და ჯიბის-მეტრებზე, ორატორებზე-ჩლუნგატორებზე, გენიოსებზე-დარდაპოსნებზე, ტიპტიკანებზე-პოლიტიკანებზე, კალეფია-მძვრებზე-სოველაგრებზე, რა თავი შეგაწყინოთ, ზედა-ზედ და ყველაზედ“ [17,გვ.1]. აქ ადგილი აქვს ბეჭრადობით მსგავსი და შინაარსით განსხვავებული ხიტყვების შეტოლება-დაპირისპირებას, რისი მეშვეობითაც პუბლიცისტი სხვადასხვა ფქნისა და წოდების ადამიანებს კომიკურად ახასიათებს. „ყალბი“ მეგობარი სახეა იმ ადამიანისა, ვინც: „სიტყვით ყველაფერი, საქმით არაფერია, ლაპარაკში ჩქარია, საქმეში – კი მკვდარია“ [18,გვ.1]. ადამიანი თუ აჲყვება, ქვესქნელშიც ჩაიყოლებს, მაგრამ: „არც ქვესქნელში მოგაწყენო: „მრავალ ზესკნელთ ლი+ტურა+ტურების=ლიტერატურების მჭერმეტყველებით მოქარგული უურნალ-გაზეთები იგზავნება ქვესქნელს“ [19, გვ.1]. ამ შემთხვევაში უფალი ლიტერატორების გასაპრიტიკებლად გამოყენებულია კალამბური, რომელიც მიმდინარეობს სიტყვის

მთლიანი და დანაწევრებული გაგებების შეპირისპირებიდან. მოსწრებულია პუბლიცისტის დასკვნა. „ყალბი“ მეგობარი და მისი მსგავსი უფრო მეტად არიან დაფასებულნი, ვიდრე წესიერი ადამიანები: „ბედი მომე და სახასვეზე გადამაგდეო“, იმათთანა ცოცხალი მიცვალებულები უფრო კარგ წუთი სოფელში არიან...“ [20,გვ1].

ფელებონებში პუბლიცისტი ქართველი ხალხის უძევურების მიზეზს განიხილავს და აღმოფხვრის გზებსაც ეძებს: „ყველა ადამიანი თავის ვალს უნდა ასრულებდეს ამ ქვეყანაზე, მაგრამ ასე არ არის: „ზოგან მჭედელი მესაათობს და ზოგან მესაათე ნალბანდობს, რადგანაც საჯამათოში კაცუნა ოქროს ფასად გადის და კაცში კი პანტის ფასსაც არ იძლევიან“. [21,გვ1].

საყურადღებო ფელებონის სათაურიც „ცხრა-წვენა“. განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „წვენის“ ერთ-ერთი მნიშვნელობა ასეა განმარტებული: „ხილის ან ბოსტე-ულის ნაწური“. [22,გვ.561]. ვფიქრობთ, „ცხრა-წვენა“ კი ავტორის აზრების, შესედულებების, ნაფიქრის ნაწურია. პუბლიცისტი კი ასე ხსნის ფელებონის სათაურის გენეზისს: „სხვა-და-სხვა ნაირის ცხოვრებისაგან ხალხი გაცხრა-წვენებულია და მეც ამისათვის ცხრა-წვენის სახელით მოვნათლე ჩვენი ავტარგი: სიწვრილმანებზე და სიწიკომაკოზე კი ნუ დამემდურებით და სად გადმოჰხილო, ნუ-და მიბრძანებთ წყენით. იმისთვის, რომ მე წინადღითვე, მოვისადე ბოდიში ცხრა-წვენა გახლდებათ-მეოქი და რა მენაღვლება, თქვენ თუნდ ჭრიანტებით“ [23,გვ1].

დ. მაჩხანელს მიაჩნდა, რომ ფელებონებით საჭირო საქმეს აკეთებდა. მისი სიმართლე ბევრს თვალში ეწირებოდა: „ჯერ იმათაც-კი თვალებში ვეზოთირები, ვისაც მე თვალები აგუხილე და მზის ნათელი დავანახე“ [24,გვ2]. არ ეწადგლებოდა, თუ ამ საქმისთვის ვინმე შეიძლებდა. მისი მიზანი სამშობლოს სამსახური იყო. მართალია, დიდი პოეტიკით „მერანი არა ჟყავდა შეკაზმული“, მაგრამ მისთვის წინაღობა არ არსებობდა: „დე, დე, მომიძულონ, ბიძაჩემო, რადგანაც მე მუტრუკიც არა მყავს, თორემ მზა-შეკაზმულ მერანს ვინდა მომაქვავებს, რომ სიმართლის თქმის უმაღვე მოვაფრინდე და გადავიქაჯო... მაგრამ ეს, ესეც უბრალოა: „სადაც უნდა იყო, მოგწვდებიან... აგილებენ ყბად და კევივით დაგლეჭავებ“ (აკაკი)[25, გვ2]. სხვისი რა უნდა გაუკვირდეს, საკუთარ დედას არ ესმის მისი გულის-წადილი: „აბა, შე გასხარელო, რა გინდა რისთვის იწყალებ

მაგ თვალებს, რისთვის ათენებ თეთრად დამეებს, რისთვის იმწარებ წუთისოფელს, რად ხარ ცრუ, რა დაგიკარგავ, რას ექებ?“ [26,გვ2].

დ. მაჩხანელს კარგად აქვს გათვითცნობიერებული ფელებონისტის ვალი საზოგადოების წინაშე. დედა კი სწუხს: „დმერთო, რატო ერთი შენი მამა-პაპისა მაინც არა გამოგვა რა, რომ იხინი იგრე დინჯად სცხოვრობდნენ და დინჯად დაიხოცნენ“ [27,გვ2]. სწორედ, ეს არ სურს პულიცისტს, რომ წინაპრებივთ მიძინებული ყოფით იყოს.

დ. მაჩხანელი ორიგინალურ ფელებონებში საგირულ-იუმორისტული განწყობილების შექმნის მიზნით იქნებს სხვადასხვა ხერხს: – ეპითეტებს, ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, დიალექტურ ფორმებს, რაც აძლიერებს ამა თუ იმ სიტუაციის კომიზმს. უხვად აქვს მოყვანილი ქართველ მწერალთა და პოეტთა ციტატები. შექმნილი პერსონაჟების გალერეა მდიდარია.

**გამოყენებული ლიტერატურა:** 1. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №113. 2. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №113. 3. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №88. 4. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №113. 5. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №113. 6. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №113. 7. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №102. 8. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №107. 9. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №107. 10. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №107. 11. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №88. 12. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №88. 13. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №102. 14. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №102. 15. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №107. 16. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №107. 17. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №107. 18. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №107. 19. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №107. 20. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №102. 21. ქართული ენის განმარტებითი ლექსიონი, ერთომეული, 1986 წ., გვ. 561. 22. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №88. 23. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №129. 24. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №129. 25. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №129. 26. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №129. 27. გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №129.

## Rusudan abuladze

### About Dimitri Machkhaneli's Works

Anti-utopian genre-pattern is outlined in the poems of “Red Rush” (expressing socialist reality) by Galaktion. Pseudo-happiness of collective labour, pseudo-carnival motive, protest against totalitarian system, absurdity of collective pathos, parody motives, dangerous tendency of losing individuality are reflected in these poems. In 1887 in the newspaper “Iveria” appeared Dimitri Machkhaneli’s (D. Nadiradze) feuilletons by the name “Tskhra-tsvena”. In spite of printing in some numbers of the newspapers, it still took his own place in the rubric of “feuilleton”.

Distinguishes from other publishers, he had his own vision and style of writing. Feuilletons are written about everyday life themes. The gallery of the characters he has created is very rich. There you can see representatives of different rank and dignity with their advantages and disadvantages. Dimitri Machkhaneli in his original feuilletons uses satirical-comical artfullnesses – epithets, the models of national creations, dialectical forms, that strengthens the comical contents of different situations. He often used quotations from the works of Georgian poets and writers.

## XX საუკუნის ქართული ლიტერატურა

---

ზეინაძ სარია

### მხატვრული უმწეობა – შემოქმედებითი ილეთი

ა. გალაკტიონი – ანტიუტოპიური პოეზიის ავტორი?

რისთვის არის საჭირო გალაკტიონის „წითელი ნაკადის“ ლექსებში სხვა ენის, მეტაენის ძებნა და ინტონაციებზე დაკავშება? განა არ ყოფა გალაკტიონს მისი პირველი და უპამათოდ დიდი სალექსო რეფორმა უკვდავებისთვის (რომ არაფერი ვთქვათ მის მეორე რეფორმაზეც)?

რასაკვირველია, ერთ პოეტს ეს დამსახურება ყვოფა, მაგრამ თუ ჩვენი გალაკტიონი ამაზე ბევრად მეტია? დაგუკარგოთ მეორე რეფორმა ან არ წავიკითხოთ სათანადო რაკურსით „წითელი ნაკადის“ ლექსები, რომლებიც თავისთავად ყოველთვის აფიქრებდა მკითხველს: ეს სერიოზული ტაქტებია თუ ირონიული ჩაცინება დიდი პოეტისა?! ამ ირონიულ-გროტესკულ-სატირულ ნაზავს როგორ შეიძლება დღეს მაინც თავისი სახელი არ ვუწოდოთ და არ ჩავუდრმავდეთ: რამ განაპირობა მათი არსებობა? თუ კომუნისტური დიქტატურის ეპოქა და ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი, ბეწვზე დაკიდებული სიცოცხლის გადარჩენის იდეა პარნახობდა დიდ პოეტს ამგვარ ხერხს, რომ განგვებ მოხმობილი მხატვრული უმწეობით გაერთომა სოციალისტური რეალობა, განა ეს შეფარული წინააღმდეგობა მეტი ოსტატობა არ არის, ვიდრე ის, რომ პირდაპირი, დია პროტესტი ეთქვა და სიცოცხლესაც გამოთხოვებოდა (გავისენოთ ტ. ტაბიძე)?

ასე ხომ მთელი პროლეტარული მწერლობის გამართლება შეიძლება? - იკითხავს სპონტანურად მოაზროვნე.

კი მაგრამ როგორ? როცა გალაპტიონის განზრას დაბალ-მხატვრულობას ვაკვირდებით, ეს სწორედ რომ რეალური ფაქტია, რადგან აქევ გაძეს მაღალმხატვრულობის იგავმიუწვდო-მელი გამოვლინებანი. მათი შეპირისპირებით ის მტკიცდება, რომ ვირტუოზული მომღერალი ტირანულ ეპოქაში შეიძლება განზრას იხლეხდეს ხმას და მოჩვენებითი ხოტბა ამოიხრიალოს ან ამოიქირებილოს. განა რომელიმე პროლეტმწერალს უფიქსირ-დება სადმე ჰქეშმარიტი სინაზიფე და რაფინირებული სრულყოფა? ეს ხერხი მხატვრული ილეთი გალაპტიონისათვის იყო და არა გრიგორ მუშიშვილისათვის, პეტრე სამსონიძისა თუ ფრიდონ ნაროუშვილისათვის, რადგან საპირისპირო რაობას მათთან ვერ ვხედავთ. გალაპტიონს უნდა დაემალა თავისი გი-განტური ფრთები, თორებმ პროლეტმწერლებს რაც არ პქონდათ, რას დამალავდნენ?! გალაპტიონს უნდა ჩახრინწვოდა ხმა, თორებმ ისედაც ხმახრინწიანებს რა მისცემდა უკეთეს ჟღერა-დობას?.. გალაპტიონი უნდა გამარტივებულიყო უკიდურესობამ-დე, თორებმ ისედაც მარტივნი და უმწეონი სხვას რას გამოავ-ლენებ თავიანთ ნაწერებში?! გალაპტიონი უნდა შენიდებული-ყო დროების შესაფერისად, რადგან მასაში ინტეგრირების გა-რეშე დარჩენილი ხელოვანი საშიში იყო ხელისუფლებისათვის, ხოლო სოციალისტურ ფერხულში ჩაბმულს თავისიანად აღიქ-ვამდნენ. გალაპტიონს უნდა დაემალა თავისი ხედვა, რადგან ის იყო დიდი („მუხა პირველი იგრძნობს ქარიშხალს“), მის მზერას ეხსნებოდა ჰქეშმარიტი სიღრმე და ხვდებოდა ყოფის აბსურდუ-ლობას, სახელისუფლებო მექანიზმის ატროფიას.

XX ს.-ის 30-იანი წლებიდან სამართლიანობას, კეთილსინ-დისიერებას და პატიოსნებას ძნელი დრო დაუდგა. სასოწარ-კვეთილების შავი ეპოქა ჩამოდგა. მალადობის თარების იქამდე აღწევდა, ერთი დასმენა იყო საჭირო და თავიანთ მეხოტბესაც არ დაინდობდნენ:

„1937 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მწერალთა კავში-რის კრებაზე ითქვა: „გრ. მუშიშვილი გამუღავნებული იქნა რო-გორც სახალხო მტერი, ჯაშუშური და ლივერსანტული ბანდის მონაწილე. იგი გაანადგურეს.“ (ლხცსა, ფონდი 8, აღწ. 1, საქ. 600. ფურც. 7. 12. ოქმი №5). ეს ცნობა ამოწერილია აკაკი ბაქრაძის წიგნიდან „მწერლობის მოთვინიერება“ (თბ., 1990 წ.,

გვ. 41). იგი მშეენივრად გვაგრძნობინებს იმ დიქტატორულ სინამდვილეს, როცა არსებობდა კ. წ. მუშათა გაწვევა მწერლობაში, მწერლობის ბოლშევიზაცია, იქმნებოდა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ნამდვილ შემოქმედებოან საბრძოლველად. მყრავნდებოდა სახელისუფლებო მრწამსი: „მწერლობა არ არის ნიჭიერება, არ არის აზროვნება. იგი არის პროპაგანდა. პროპაგანდა კი შეუძლია ყველას, ვინც იცის წერა-კითხვა და ესმის მოცემული დირექტივის აზრი და მიზანი“ (იქვე, გვ. 43).

გალაკტიონს უნდა დაემალა თავისი ნიჭი, თორემ ვისაც იგი არ ჰქონდა, რას დამალავდა?

(არ არის სწორი ის აზრი, რომ ხელისუფლებას ნიჭიერი ხალხი სჭირდებოდა, დიქტატის დამორჩილებულ ნიჭიერებას ნიჭიერება არ დაერქმევა).

ხელისუფლების ამ ბრიუზულ იძულებას გალაკტიონმა თავისი ხერხი დაუპირისპირა: ხელოვანი უარს ამბობს მხატვრულ ოსტატობაზე, რითაც გვახვედრებს, რომ თქმულის საპირისპიროს გვეუბნება. ამ შემოქმედებითი ილეთით მან კიდევ ერთხელ განგვაციფრა მისი შემოქმედების თავანისმცემელი, კიდევ ერთხელ შეგვიძრა სუნთქვა, კიდევ ერთხელ მოგვგვარა ქრუანტელი, კიდევ ერთი პოეტური დოკუმენტი გვაჩუქა ეპოქის სამხილად. გალაკტიონის ანტიუტოპიური პოეზიისათვის დამახასიათებელ მხატვრული უნიათობის სამოსელში ნონკონფორმისტი ლირიკული გმირი ცხოვრობს. მხატვრული უმწეობა ამ შემთხვევაში ავტორის გენიალურობის დასტურია, რითაც პოეტი გათქამის საწინააღმდეგოს განიშნებს.

1934 წელს დაიწერა „ეს ძველი მუზა ცბიერ გველივით“, რომლის ერთ-ერთ ვარიანტში იყო: „შენ აქ წითელი ხალტურა გშვენის“.

თუ წითელ-წითელ დვინის შერევა?

მუზა: ამ ორი მეგობრის ძველის

პირად საქმეში ნურვინ ერევა!“

ავტორი საკუთარ თავს ეუბნება: „შენ აქ წითელი ხალტურა გშვენის“. მისთვის სინგაგმა „წითელი ხალტურა“ ბუნებრივი სიტყვათშეხამებაა, ხოლო შემოგეპარაო, კი არ ამბობს, გშვენისო. ეს იმას ნიშნავს, რომ „წითელი ხალტურა“ საგანგებოდ არის მიღწეული.

ერ ვიტყვით, რომ გალაკტიონი ამას არ განიცდიდა. ეს იძულებითი ხერხი იყო, ამიტომაც მუზასთან (მის ეპითეტად

ჩნდება „საცოდავი“) ვერ გრძნობდა თავს პირნათლად. იგი გარ-ბოდა ამ სინამდვილიდან:

„თან ძუნწი რითმებს მოიხვევს ძაგრად,  
ერთის დათმობას კი არ ისურვებს,  
მაგრამ როდესაც მიარტყამ მაგრად,  
ორმოცდათსაც არ დაიშურებს.“

გალაკტიონს ნაცემი მუზა /განა მუზამ თდესმე იცოდა რამე ილეთი?/ ჩამოუყრის ორმოცდათ რითმას. ამ ჩამოყრილი რით-მებით იწერება მისი ანტიუტოპიური პოეზია.

### **ბ. უტოპია – ანტიუტოპიის ჩამოყალიბების ზოგადი ტენდენციები**

ლიტერატურული ანტიუტოპია უტოპიასთან ჭიდილში გამო-იყვეთა, როგორც საპირისპირო რაობა. უტოპია სოციალური ფანტაზიაა, წარმოსახული სოციალური იდეალი. უტოპიური ჰარმონია წარმოსახა პლატონმა „სახელმწიფოში“. ფილოსოფო-სთა მმართველობა, საზოგადოებრივის გაბატონება კერძოზე, იდეალური კანონები, – აი ელინელი ფილოსოფოსის წარმოდ-გებით იდალური ადგილი.

გთავაზობთ ფრაგმენტს პლატონის ნააზრევიდან:

„—ჩვენ უკვე შევთანხმდით, გლავკონ, რომ სანიმუშო წყობი-ლების მქონე სახელმწიფოში ცოლები საერთონი უნდა იყვნენ, ისევე, როგორც შევიღები, რომლებსაც ასევე ერთად უნდა ზრდიდეს სახელმწიფო. საერთო იქნება ყოველგვარი საქმიანო-ბა, როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის დროსაც, ხოლო კვე-ლაფრის მბრძანებლები უნდა იყვნენ ისინი, ვინც ფილოსოფია-შიც და ომშიაც ყველაზე უკეთ გამოიჩინა თავი.

— დიახ, შევთანხმდით.

— იმაზედაც შევუთანხმდით ერთმანეთს, რომ მმართველები თანამდებობებზე დანიშნისთანავე ჩვენს მიერ ზემოთ აღწე-რილ სახლებში დაბინავებენ მეომრებს, რომლებსაც არავითა-რი საკუთრება არ უნდა ჰქონდეთ, არამედ ყველაფერი საერთო იქნება ყველასათვის. თუ გახსოვს, ისიც დავადგინეთ, გარდა საცხოვრებელი ბინებისა, კიდევ რისი მფლობელი შეიძლება იყვნენ.

— როგორ არ მახსოვს: ჩეგნ შევთანხმდით, რომ ისინი არ უნდა ფლობდნენ არაფერს ისეთს, რასაც დღევანდელი მეომრე-

ბი ფლობენ, არამედ, როგორც ბრძოლის ველზე მოასპარეზე ათლეტები და მცველები, სათანადო საზღაურს უნდა იღებდნენ მოქალაქეებისაგან მთელი წლის სამყოფი სურსათ-სანოვაგის სახით, მათ მოვალეობას კი სახელმწიფოს დაცვა შეადგენს (პლატონი, „სახელმწიფო“, ძეგლბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., გამომც. „ნეკერი“, 2003 წ., გვ. 287).

პლატონის იდეალურ სახელმწიფოში ერთმანეთთან შეთანხმებით ცხოვრობენ, თანაბრად ინაწილებენ კოველივეს. პლატონი თვლის, რომ ქალებიც და შვილებიც საზიარონი უნდა იყვნენ. ქვეყანა უნდა დაეფუძნოს სიბრძნეს, სიმამაცეს, სამართლიანობასა და წინდასევდულებას.

კორუფციის და გარეუნილების წინააღმდეგ პლატონი ვერაფერს ხდება. იდეალური საზოგადოებრივი მოდელი ვერ განხორციელდა.

ანტიუტოპია უტოპის კონტრანტია, მის საპირისპიროდ განვითარებული პროტესტია. თუ უტოპია იდეალურად შართულ საზოგადოებაზე ოცნებაა, ანტიუტოპია თავსმოხვეული ბედნიერების წინააღმდეგ გალაშქრებაა. ეს ორი რაობა დიამეტრალურად დაპირისპირებული რამ არის. ერთის (უტოპისტის) ბედნიერება შეორისოვის (ანტიუტოპისტისოვის) მოხობაა. უტოპიაში „ყველას“ სამყარო აირეკლება, ანტიუტოპიაში – ერთეულების შინასკელი. ანტიუტოპიაში საზოგადოება გადაგვარებულ სახელისუფლებო მექანიზმს დამორჩილებული მასაა, პიროვნება – მასთან ოპოზიციაში მყოფი ნონკონფორმისტი. ანტიუტოპიაში ხალხი ნებაყოფლობით მოხობაში მყოფი მასაა. ანტიუტოპიური ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი პროგრიზმისტია. მასაში გაერთიანებული არიან უსახო და უსახელო ადამიანები.

უტოპიის კვალდაკვალ ანტიუტოპიური აზროვნება ჩამოყალიბდა, გადაეჯაჭვა მას. ამის დასტურია არისტოფანეს კომედიები. ოთხ ათეულზე მეტი ნაწარმოებიდან მხოლოდ თერთმეტმა მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ ეს შემორჩენილი ნაწილიც მშვენივრად გვაგრძნობინებს, რა გამანადგურებელი ძალა ჰქონდა არისტოფანეს სიცილს. ოცდახუთი საუკუნეა, მსოფლიო ოეპრის სცენაზე იცინის არისტოფანე, „კომედიის მამა“, სატირული სიტყვის სიმბოლოდ მიჩნეული პიროვნება და ამათრახებს ადამიანურ მანკიურებებს. პაროდია მისი უსაყვარლესი ხერხია. არასასურველ მოვლენას დაუზოგავი სატირით ებრძვის, აპამპუ-

ლებს. ოსტატურად იყენებს კონტრასტის ხერხს; დიალოგში უპირისპირებს ორ იდეას, ორ თვალსაზრისს და საკუთარ პოზიციას დაუფარავად ავლენს. ჩვენს მეხსიერებაში იგი უკავშირდება ძვ. წ. V საუკუნის ათენის დემოკრატიულ საზოგადოებას. აგილოთ მისი ერთ-ერთი ნაწარმოები.

ავტორის დაუღებელი ფანტაზია გამოვლინდა კომედია-ზღაპარში „ფრინველები“. ნაწარმოების სამიზნე უტოპიური სახელმწიფოა. მაყურებელი მოწე სდება ორი ათენელი მოქალაქის, პისოებერესა და ეველპიდის ფათერაკიანი თავგადასავლისა. ისინი ადამიანთა საზოგადოებას გამოექცნენ და ურინველოთა სამყაროს მიაშურეს, მაგრამ დიდი შუდლი და გაუგებრობები დაამკვიდრეს მათ მყუდრო ყოფაში. ამაზეა ეს კომედია აგებული. ფრთოსანთა მეფე თფოფია. ის ოდესდაც ადამიანი იყო (აქ არისტოფანე იყენებს ტერევსისა და პროკნეს მითს. ტერევსმა ძალა იხმარა ფილომელაზე, მერე ქალს ენა ამოგლიჯა, მაგრამ ფილომელამ მანძილზე ამოქარგა მოძალადის სიავე და გააგებინა დას. პროკნემ შური იძია ქმარზე, მოკლა ერთადერთი ვაჟი – იტისი. ტერევსი გამოუდგა დებს, მაგრამ პროკნე ბუდებულად იქცა, ფილომელა – მერცხლად, ტერევსი – ოფოფად). კომედიაც ადამიანის ფრინველად გადაჭცევის უძველეს წარმოდგენას ირევალავს (შეიძლება ქართველ მეიოთეველს გაახსენდეს აკაის „გოგია მეჩონგურე“). „ფრინველები“ თარგმნა ემზარ კვიტაშვილმა და დაბეჭდა გამომცემლობა „ხელოვნებამ“ 1978 წელს.

„ფრინველების“ პროტაგონისტია ათენიდან გაქცეული პის-თეტერე, რომელიც ახალი, ფანტასტიკური სახელმწიფოს შექმნის იდეას განახორციელებს. მნიშვნელოვანია, რომ თეზის, რომელსაც პროტაგონისტი იცავს, ფანტასტიკური ხასიათისაა. ეს თვისება (ფანტასტიკურობა) არის არისტოფანეს კომედიების (და საერთოდ ძველ კომედიაში) არა ატრიბუტი, არამედ სუბსტანციური ელემენტი.

რაgio არისტოფანეს კომედიები პოლიტიკური ხასიათისაა, მისოვის გამორიცხულია ეპოსისთვის დამახასიათებელი ობიექტურობა. არისტოფანე იცილებს გულგრილობის ნიღაბს, დაუნდობდად ესხმის თავს ყველას, სახელმწიფოს მეთაურსაც კი. იგი ამათრახებს დიდი თანამდებობის ადამიანებს, აკრიტიკებს სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას, დასცინის უმნიშვნელოვანებს პოლიტიკურ პირებს. ისინი, წინა რი-

გებში მსხდომნი, (ათენში, აკროპოლისის მთის ძირას, დიონისებს თვატრში) ჩვიდმეტი ათასი მაყურებლის წინაშე ისმენენ თავიანთ კრიტიკას და ტაშს უკრავენ ამას (არისტოფანე, კომედიები, ტ. I, 2002წ., გამომც. „ლოგოს პრესი“, „აქარნელები“, „მხედრები“, შესავალი წერილი, თარგმანი და კომენტარები ლევან ბერძენიშვილისა).

ასე გადაეჯაჭვა ერთმანეთს პლატონის მიერ „სახელმწიფოში“ წარმოდგენილი სამოქალაქო წესრიგი და არისტოფანეს ანტიწესრიგი, ერთი ელინელი ფილოსოფოსის უტოპიური წარმოდგენა და მეორე ელინელი კომედიოგრაფის მიერ გაქარწყლებული უტოპიური მითი ანუ ანტიუტოპიური გალაშქრება.

უტოპია-ანტიუტოპია – ასე უპირისპირდება ერთმანეთს საუკუნეების თუ ათასწლეულთა მანძილზე ეს ორი რაობა და მოდის ჩვენამდე როგორც ყოფიერების ორი დაპირისპირებული მხარე, აზროვნების ორი წესი, ორი საპირისპირო რაცურსი.

ტერმინი უტოპია პლატონმა თავისი „სახელმწიფოს“ ერთერთ თავს („იდეალური სახელმწიფოს მოდელი“) ქვესათაურად მიაწერა. ამ ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგიას ყურადღება მიაქცია ირმა რატიანმა („ქრონოტოპია ანტიუტოპიურ რომანში“, თბ., 2005 წ., გვ. 21). ის წერს: „უტოპია“ სიტყვათა ორაზროვანი თამაშია: „Ου topos“ ნიშნავს „არარსებულ ადგილს“, „Ευ topos“ – „კარგ ადგილს“. ამ ორი კონცეპტუალურად განსხვავებული ვარიანტიდან პლატონი მეორეს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო არარსებული რაობა განწირებულია მარცხისთვის. რეალობა ყოველთვის ამსხვრევს ოცნებას.

უტოპიის შეა საუკუნეობრივი გაგება განსხვავდება კლასიკურისაგან. „არარსებულ ადგილს“ გულისხმობენ ტერმინი აღორძინების ეპოქაში. თომას მორის „კუნძული უტოპია“ და თომაზო კამპანელას „მზის ქალაქი“ ამგვარი ლიტერატურული მითებია.

ანტიუტოპიური ტენდენციები გააქტიურდა შეა საუკუნეებში. ამას მოწმობს ნ. მაკიაველის „მთავარი“, თ. პობსის „ლევიათანი“, ჯ. სფიტის „გულივერის მოგზაურობა“. ეს წიგნები უპირისპირდებოდა მათი აგტორების ეპოქაში პოპულარულ უტოპიურ ილუზიებს. სვიფტის მკვეთრად გამოვლინდა ის ტრაგიკული განხევილება, რაც შემოქმედებით ინდიგიდუალურობასა და საზოგადოების გამყარებულ ნორმებს შორის იყო:

უტოპიური იდეალის რდვევა, ადამიანის მანკიურებათა სარკას-ტული მხილება, მეცნიერული პროგრესის, როგორც საშიში ტენდენციის კრიტიკა. სვიფტიან იკვეთება ანტიუტოპიის ამბი-გალენტურობის რდვევა და სწრაფვა დამოუკიდებელი ჟანრული ფორმისაკენ.

მერი შელის „ფრანგეშტაინში“ გამოვლენილი ანტიუტო-პიური პათოსი დრმაგდება მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნა-ხევრის ფილოსოფიაში. ყურადღების ცენტრშია პიროვნული ინ-დივიდუალურობის დაკარგვის სახითათო ტენდენცია. ეს აისახა შოპენპაუერის, კირკეგორის, ნიცშეს ფილოსოფიაში.

მიუთითებენ ანტიუტოპიის ჟანრის ფორმირების პროცესში დოსტოევსკის „მქები კრამაზოვების“ განსაკუთრებით V თავის, მნიშვნელობაზე. ამ ენიგმურ ნოველაში გამოიკვეთა ანტიუტო-პიური ნიშნები: ბიბლიური თემატიკის პროფანაცია, თავსმოხ-ველი ბედნიერების მოტივი; ბედნიერებისა, რომლისკენაც იძულებით მიჰყავთ კაცობრიობა. XIX საუკუნის რეს მწერალს ქართულ ლიტერატურულ სივრცეშიც ჰყავს ანალოგი ინდივი-დუალური ნების დამკვიდრების თვალსაზრისით. ეს მწერალია ვაჟა-ფშაველა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“ და „გველისმჭამელი“. პოემებს განსხვავე-ბული სიუჟეტები აქვს, მაგრამ ერთი საერთო რამ ამთლიანებს მათ: პიროვნებისა და პიროვნული თვითმყოფადობის დამკვიდ-რების პრინციპი.

ალუდა არ თმობს პიროვნულ პრინციპებს, არც ჯოყოლა. ფორმდება კონფლიქტი თემსა და პიროვნებას შორის, უკომპ-რომისო წინააღმდეგობა, რომლის შედეგიც თემისგან მოკვეთა გახდავთ. მკლევარი გრ. კიგნაძე თვლის, რომ პიროვნება თემ-შივე არსებული წინააღმდეგობის მსხვერპლია. ამდენად, პიროვ-ნების ტრაგედია საზოგადოების შიგნით არსებულმა წინააღმ-დეგობამ წარმოშვა. ნებისმიერი სახის წყობილება, რომელიც კოლექტიური ცხოვრების წესსა და საერთო-საყოველთაო კა-ნონმდებლობის პრინციპებს ემორჩილება, ამგვარ შეუსაბამობას შეიცავს.

მინდია თემის სხვა წევრებს არ ჰგავს, რჩეულია. იგი სხვის-თვის მიუწვდომელი სიბრძნითაა დაჯილდოებული. ეს ცოდნა არ არის. ბუნების წვდომა, სამყაროს იდუმალების შეცნობა, თურმე, ინტუიციითაც შეიძლება.

მეცნიერული პრაგმატიზმის წინააღმდეგ ვაჟამ გამოკვეთა სათქმელი: არსებობს სამყაროს აღქმის ალტერნატიული საშუალება – ინტეიციური შემეცნება, რაც ეწინააღმდეგება მასაში ადამიანების ინტეგრირების პროცესს და ინდივიდუალიზმს უნარჩუნებს თითოეულ სუბიექტს.

იდეალის პრაქტიკული განხორციელების პროცესის ასახვა და პოსულარიზაცია – ეს უტოპიაა. უტოპიურ წესრიგს უპირისპირდება ანტიუტოპიური ანტიწესრიგი. საზოგადოების გენეტიკური სტანდარტიზაცია უარყოფითი მოვლენაა, ხოლო ალტედა, მინდია, ჯოყოლა, აღაზა – მასობრივი სტანდარტიზაციის წინააღმდეგ მებრძოლი პიროვნებები არიან.

XX საუკუნის თვალსაჩინო ანტიუტოპიური ქმნილებებია ქ. ზამიატინის „ჩვენ“, ო. პაქსლის „ო, მშვენიერი ახალი სამყარო“, ჯ. ორუელის „1984“, ვ. ნაბოკოვის „მოპატიუება სიკვდილზე“, ფ. კაფას „ციხესიმაგრე“, მიხეილ „პროცესი“, მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიწნები“.

რ. გალცევა და ი. როდნიანსკაია წერილში „ადამიანი – ხელის შემძლებელი /საუკუნის გამოცდილება ანტიუტოპიის სარაჟში/“ გვთავაზობენ ანტიუტოპიის დეფინიციას, რომელიც არა იდეოლოგიურ, არამედ კონცეპტუალურ-სტრუქტურულ ანალიზეა დაფუძნებული. საზოგადოებრივი წარმონაქმნი „ჩვენ“ და ნონკონფორმისტი პიროვნება ვერ ეგუება ერთმანეთს. ეს, როგორც წესი, ეპოქათა გზაჯვარდიზე ხდება: „Если утопии пишутся в сравнительно мирные, предкризисные времена ожидания будущего, то антиутопии - на сломе времен, в эпоху неожиданностей, которые это будущее преподнесло“ („Новый мир“. М. 1989. №12. с. 217-230).

ინდივიდს აქვს ასეთი ტენდენცია: „მე თვითონ“. მასა ცდილობს, თითოეული იუოს გამჭვირვალე: С ним-то и идет борьба в утопических обществах, стремящихся сделать всех, по слову Набокова, сквозистыми, проницаемыми друг для друга и для власти. В „мы“ все живут в комнатах с прозрачными стенами“ (იქვე, გვ. 229).

ლიტერატურული ანტიუტოპიის ძირითადი მახასიათებელია პიპერტოფი-რებულ სახელის უფლებო მექანიზმს დამორჩილებული მასის ჩვენება და მასთან დაპირისპირებული ნონკონფორმისტი პიროვნების გამოყვანა. იკვეთება ორი ურთიერთდაპირისპირებული ასეპქტი – მასობრივი და ინდივიდუალური. არის მყარი მოტივები: კოლექტიური შრომის ფსევდობეჭდიერი

სურათი, ლიდერის მოტივი, ტექნიკრატიზმის მოტივი, შემოქმედებითი გონის ნიველირება, შიშის განცდა, ოჯახური ტრადიციის მოშდა, ფსევდოკარნავალური მოტივი, თავსმოხვეული რეჟიმისა და ტოტალიტარული წესრიგის წინააღმდეგ გაბრძოლების მოტივი, სიკვდილისა და განახლების თემა, „კოლექტიურობის“ აბსურდული პათოსი, ფსევდოსაზიმო განწყობილება, ფამილიარული ურთიერთობების პროფოცირება განსხვავებულ სოციალურ ფენათა წარმომადგენლებს შორის, პაროდიული მოტივები, საქარალურის ირონიზირება.

მთელ ამ ანტიუტოპიურ ექსკურსში ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო შემდეგი დებულება: „ანტიუტოპიურ რომანში უტოპიური მოდელი მუდმივი მოცემულობის სახით არსებობს, ანტიუტოპიური კი მასთან მიმართებაში იკვეთება“ /ირმა რატიანი, სადოქტორო დისერტაცია, 2003 წ., ავტორებერატი, გვ. 21 /.

გალაკტიონთან უტოპია და ანტიუტოპია ამბივალენტური მთლიანობაა, უტოპიური მოდელი პოეტის საბჭოთა პერიოდის პოეზიაში იმთავითვე იგულისხმება, ანტიუტოპიური კი მასთან მიმართებაში ვლინდება. თვლიან, რომ შეიძლება ანტიუტოპიის ფანრის დეტერმინაცია ცალკეული ტიპის ანტიუტოპიებად: მეცნიერული, ფანტასტიკური, სატირული, ესტატოლოგიური და სხვ. უფიქრობ, გალაკტიონის „წითელი ნაკადის“ ლექსების წაკითხვა მართებულია ანტიუტოპიის ფანრული მოდელის კონტექსტში, ოდონდ ანტიუტოპიის გალაკტიონისეულ გრიანტს შეიძლება დაერქვას „ლირიკული ანტიუტოპია კომიზმის ფონზე“.

გალაკტიონის წითელი ნაკადის ლექსებს ლიტერატურის-მცოდნები ისე უაღლიან გვერდს, როგორც არაფრისმთქმედ რაობას. ამგვარი დამოკიდებულება არ არის სწორი. გამოვტყდები, კვლევის დასაწყისში მეც მქონდა ამგვარი ნიპილისტური დამოკიდებულება. როდესაც საბჭოური ციკლის ლექსებზე მიმითოვებდნენ საყვედურით, თავს დაბლა ვხრიდი, ჩემდა სამარცხვონდ, დაბალ რაობად ვთვლიდი ამ ციკლის ნაწარმოებს და ისე გჩუმდებოდი, თითქოს დიდი პოეტის დანაშაულს ვიზიარებდი.

არა და, ცხადია, არანაირი დანშაული არ ჩაუდენია გალაკტიონს. მან საბედისწერო დროს სათანადო ნაწარმოებები უძღვნა და ეპოქის მსატვრული მატიანე შექსმნა. ანტიუტოპიური პოეზია დაგვიტოვა გიგანტმა შემოქმედმა და შიგ ჩამყუდროვდა, როგორც პროტაგონისტი; კომიზმი და ირონიული ტონალობა მოიმარჯვა, როგორც იარაღი თუ თვითდამცავი საშუა-

ლება არასასურველი სინამდვილისაგან თავის დასაცავად და ამგვარად ამხილა თავისი დროება.

გალაკტიონის საბჭოთა პერიოდის პოეზია ანტიუტოპიური ფენომენია. ლიტერატურული ანტიუტოპია თანამედროვე ლიტერატორების ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა. საბჭოთა სინამდვილეში ანტიუტოპიური ტენდენციები კომუნისტური ფსევდოპარმონის დაშლისა და დარღვევის სინონიმი იყო. პოეტ-საბჭოურ სივრცეში ნიშნულია ანტიუტოპის ამგვარი განსაზღვრება: „ანტიუტოპია ეფუძნება სოციალიზმისა და კომუნიზმისადმი მტრულად განწყობილ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ცნობიერებას. ... გამოირჩევა საშიში ტოტალიტალური ანტიურაეითა და გამრუდებული პერსპექტივით, ისე რომ ანტიუტოპია სშირად იქცევა ანტისოციალისტური, ანტისაბჭოთა პროპაგანდის იარაღად“ (სალიტერატურო ენციკლოპედიური ლექსიკონი, მოსკოვი, საბჭოთა ენციკლოპედია, 1987 წ., გვ. 30. რუსულ ენაზე).

### გ. ფსევდოპარნაგალური რიტუალი, ფსევდოსაზეიმო განწყობილებები

ქვეყნის წინსვლა დაუკავშირდა ინდუსტრიას, შენებას, ბუნებას მოწყდა ადამიანი, ლითონების გარემოცვაში მოქმედა და ლითონით აივსო მისი ინტერიერი, პეიზაჟი, მთელი გარემო. გალაკტიონიც არ აყოვნებს პოეტურ რეაქციას და მწარე სარაზმით შეზავებულ ტაგებს გვთავაზობს:

„რეინის მადანი, რეინის კარები,  
ლიანდაგები ცხოვრების, ბინის,  
პაერი, სუნთქვა და ქრიამული –  
ყველაფერია აქ მხოლოდ რეინის.  
სახურავები, ხიდი, ლურსმნები  
თვითონ ნიშანი სადმე თუ არის,  
კვლავ ყველაფერი სუნთქვაა რეინის –  
უზარმაზარი რეზერვუარის“.

/„უზარმაზარი რეზერვუარის“, 1928 წ./

იავნანა ყველაზე ფაქიზი ინტიმის გამომსატველი სიმდერაა, ხოლო საბჭოთა სინამდვილეში ჩვილ ბავშვს ტრაქტორებსა და მოტორებზე უმდერიან თურმე. განა აქ იუმორის საკმაო ულუფა არ იგულისხმება? განა ეს აგიტატორული პოეზია არ მოიცავს გროტესკს? აბა, დავაკვირდეთ:

„დაიძინე, ალვისტანა,  
ბევრია კი შენისთანა?  
მშენებლობის დიდი დროა,  
რომ არ თქმულა, იმისთანა.  
წინანდელი თოხის ყანა  
რჩება მამა-პაპასთანა,  
შეესია ტრაქტორები,  
კვალი კვალზე გაიტანა.  
ინჟინერი თუ ხარ, განა  
ცოტა არის ამოცანა?  
სახლი დადგა იმისთანა,  
საუბრობდეს დრუბლებთანა.“

განსაკუთრებით დამაფიქრებელია სტროფი, რომელიც ერთ-ერთ ვარიაციში ყოფილა, მაგრამ, ალბათ, ზედმეტად მკვეთრი ირონიულობის გამო გადაუხაზავს კიდევ ავტორს: „ძილში პრე-სა ჩაგყვა თანა,  
ან რადიო დაგეზმანა?

გაქანება და მოტორი...  
სიხარული არის განა?“

კოლექტიურობის აბსურდული პათოსი გამოიხატება ლექს-ში, რომელსაც ჰქვია „განთიადზე კი“: „მოიხსენ რიდგ!

ან კიდიო კიდე  
მშრომელი კლასის  
გაისმის წყრომა;  
დროშით ჩვენს დროში  
ჩვენს სამყაროში  
გუგუნებს შრომა  
და მხოლოდ შრომა!“

გროტესტული პროტესტის აშკარა მაგალითია:  
„მშვენიერება ეს მანქანაა,  
დიზელის შუქით გასხივოსნება,  
ქარიშხლის ზუზუნს ის მომაგონებს  
და გამიტაცებს მისი ოცნება.“

მიმდინარეობს ყოფის კარნავალიზაცია. თითქოს აისახება და გამოიხატება აქტიური გარემო, რომელიც სინამდვილეში სტატიკურია.

ავტორი ამგვარი ლოზუნგური ტაქტებით უარყოფს ფსევდო-კარნავალურ რეალობას და გვაგრძნობინებს, რომ იგი პროტა-გონისტია. იქმნება ფსევდოოდა:

„ვჭექოთ – სიმღერა თუჯის,  
ვჭექოთ – ფოლადის ჰანგი,  
ვჭექოთ – დროშები ქუჩის,  
ვჭექოთ – ბრძოლების ბანგი,  
ვჭექოთ – მრისხანე ბძოლა,  
ვჭექოთ – მქუხარე ექო,  
ვჭექოთ – ცეცხლისა ქროლა,  
ვჭექოთ – სიმღერა ვჭექოთ.“

იორნიული ფსევდოაღტაცება, მწარე სარკაზმი და გაუცხოება გარემოსთან იგრძნობა ლექსში „მჭედლების ქუჩა“, თუმცა, ყველა ლექსიური ერთეულით, თითქოს, საბჭოთა სამოთხის სურათი იხატება:

„საღამოხანად სოფლად ალუჩის  
აშრიალება კი ნუ გგონია,  
თვალუწვდენელი მჭედლების ქუჩის  
აღზაცებაა და სიმფონია:  
გრგვინვა, გრიალი, რეპვა, ტეხილი,  
ელვა, ქურაზე მაჯა მაგარი,  
ფოლადი, რკინა გადაგრეხილი  
გადაბრუნე, ასწი, დაპკარი!“

იგულისხმება, რომ ავტორი არის გაურჩებული პროტაგონისტი. კოლექტიური შრომა კონვეიერულ ტენდენციებს ეყრდნობა, გამოირიცხება ინდივიდუალური ინიციატივები. ხელოვნების მუშაკის შრომაც მექნიზირებული ხდება. არ არის მოაზროვნე ინდივიდის საჭიროება. არსებობს ერთი ლიდერი. ხდება ინდივიდუალური აზროვნების ლიკვიდაცია, ბატონდება კოლექტიური ცნობიერება. პიროვნება უსახოდ ინტეგრირდება მასაში. ფალიბდება სახელისუფლებო იდეოლოგია. ავტორი გარდაიქმნება შესაბამის ყაიდაზე.

მასების ანთებისა და წაყოლიების ეფექტურ აპრობირებულ მეთოდად იქცევა პროგრესის დემონსტრირება. ეპოქას იერიში მიაქვს სუბიექტის ინდივიდუალურ ბუნებაზე. ადამიანთა გათანაბრება აზროვნების დოგმატიზაციასაც ამკვიდრებს. შემოქმედებითი საწყისი ჩაიწიხლება, ჩაიხშობა. პოეტის უმაღლეს მიღწევად „სახელმწიფო პოეტის“ წოდება ითვლება. შემოქმედი სა-

ხალხო თაგშეყრის ადგილებზე გადის. მიმდინარეობს ყოფის კარნავალიზაცია:

„ქარხანა შრომობს, ბორბალი ბრუნავს,  
წარმოებისთვის წამი არ იცდის,  
საკაცობრიოდ იცვლება შრომად  
ძველი ბუნაგი კაპიტალისტის.  
დაატრიალეთ მედგრად ბორბალი.  
ამ მტკიცე ხმაში მკაფიოდ ისმის –  
პროლეტარული აღფრთოვანება  
მოახლოებულ სოციალიზმის!“

გალაკტიონთან არ განხორციელდა პოეტის დამონების კოუნისტური პრინციპი. მიაქციეთ ყურადღება ლექსის მხატვრულ დონეს. მნელი არ არის იმის მიხვედრა, რისი დირსიც იყო დროება, იმგვარი ნაწარმოები შვა გალაკტიონის კალამმა, როგორც დაცინვა, პაროდია:

„ელექტროსადგურს აშუქებს მთვარე.  
ელექტრონისთვის ხსნა ყველგან არი.  
დაუსრულებელ მდინარეებზე  
დაუსრულებლად ელავს მედგარი.  
მას ენატრება გამოძახილი.  
ის გაჩუმდება და დაუგდებს ყურს,  
მდელვარე გუგუნს მოუცავს არე,  
მდელვარე გუგუნს მოტორისებურს.“

შემდეგ ლექსში მოესველი არის შექებული. როცა ამ პრაქ-იქული საქმიანობით იზომება ადამიანის დირსება, უფრო მაღაი კროტერიუმები, ცხადია, უჩინარდება. სულიერი ფასეულობები იკარგება:

„თესავს და თესავს თან ნელი  
ხმით მხიარულად დიდინებს,  
სწამს მხოლოდ შრომა მძლვეველი  
მოსავლით დააგვირგვინებს.  
გრძნობს, თესლი სად დაეცემა –  
სად კლდეზე თუ დაღ მიწაზე,  
თესავს და თესავს, თან მდერის  
მთესველი მხიარულ ხმაზე.“

ვინ არის იმდენად გულუბრყვილო, რომ ვერ მიხვდეს, სა-არმოო თათბირის ხასიათს რარიგად გამოხატავს სტროფი:

„როგორ არ იცით, თუ რა ძალაა  
შრომაში მარად დაუთრგუნველი,  
კარგია შრომა ახალგაზრდული,  
თავგანწირული და უზრუნველი.“

გალაკტიონისებური ოსტატური რითმა კრაგს ტაეპებს: „მიჰ-  
ვე, გაუგონე ბორბლებს სიარული, /არის საუკუნე ინდუსტრია-  
ური“, მაგრამ ვერ შველის ეს ამ ლექსის, რადგან აგიტატოული  
ხასიათის პოეზიას ადამიანთა ჭეშმარიტი გაერთიანება არ  
შეუძია, ხოლო ამ ნაწარმოებს ნაძალადევი შემართება კვებავს.

მწერალმა უნდა დაახვავოს პათეტიკური ფრაზები. კომპარ-  
ია მეთვალყურეობს მწერლობას. პოეტის ინტერესის საგანი  
ხდება ის, თუ სად აშენდა გიგანტური ქარხანა და საცხოვრე-  
ბელი კორპუსი, სად გაიყვანეს რკინიგზა და სად არის ვეებერ-  
თელა ბორბლების ხმაური. ვინც მეტს ხმაურობს, უფრო აქტი-  
ვისტია. ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე არც მახვილდება უუ-  
რადდება. მთავარია, ქარხნები აშენდეს, ხმაური ისმოდეს. წარ-  
მოების კანონებით იწარმოება პოეზიაც:

„ქვეყნად სახლებია, ზღვაზე გემებია,  
ყველგან დირიჟორად არის ინჟენერი.  
არჩევს ხელსაწყოებს, დაუნემებია  
არტეზიანების გული ნაშენარი.  
მისით მანქანები აგუგუნდებიან,  
მისით რკინიგზები გადაიხლართება,  
მისით ხომალდები შორით ბრუნდებიან,  
როული მექანიკა მწყობრად იმართება.  
მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული,  
არის საუკუნე ინდუსტრიალური.“

(1928 წ., „ყველგან დირიჟორად არის ინჟენერი“)

ამდენ ხმაურსა და გრაგანში იწერება ერთფეროვანი, ერთი  
განწყობილებით გამსჭვალული გარითმული რაობა, რომლის  
მიზანია შექმნას მშენებლობათა გარშემო ცრუ ენთუზიაზმი.  
გამეფებული ლექსიკური ერთეულებია: ფოლადი, რეინა, გრა-  
განი, ჭახანი, აგური, დინამიტი, ქარხანა. იქმნება ზაქსიადა. აი  
დასტურიც:

„რეინა, ფოლადები, რეინა, ქვანახშირი,  
ქუჩის ხერხემალი, ქარხნის საფეთქელი,  
შრომით იბურება სუნთქვა განახშირი,  
როგორც მასალები ასაფეთქებელი.

დგანან მშენებლები, როგორც ქვა-პიტალო,  
არის ანგარიში მაღალ სართულებით,  
მოსჩქეფს ზაჟესიდან ალი მოწითალო,  
ბინდში გატანილი მწყობრი მავთულებით.  
მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული –  
არის საუკუნე ინდუსტრიალური.“

ეს არის ლექსი კომიკური ტონალობით. აქ ნახსენები ასა-  
ვეთქებელი მასალები თუ ბორბლების გრაგანი არასასურველი  
სინამდვილის მხატვრული სახეა, თუ კი ამას შეიძლება „მხატვ-  
რული“ ეწოდოს, რაღაც პოეტი შეგნებულად გვთავაზობს და-  
ბალ მხატვრულ რაობას, რითაც რეალობისადმი საქუთარ მი-  
მართებას ამხელს. დაბალმხატვრულობა – ეს პოეტის მხატვ-  
რული ილეთია, რითაც ის ნათქვამის საპირისპიროს გვეუბნება

ლექსში „დიდი მარაგი“ თოთქის შრომითი წინსვლაა ნაჩვე-  
ნები, სინამდვილეში კი ნეგატიური ნიშნებით აღბეჭდილი რეა-  
ლობაა გამოკვეთილი. რაშია ამ ნეგატიურობის საიდუმლო? აკი  
არც ერთი ლექსიკური ერთეული არ ამხელს უარყოფით განწ-  
ყობას. ამ ნეგატიურობის საიდუმლო განგებ შექმნილ მხატვ-  
რულ უმწეობაშია. გალაკტიონი და მხატვრული სიღატაკე?  
მაგრამ აქ ეს ხერხია, რომ აგტორის მიმართება ვიგრძნოთ. პოე-  
ტური აზროვნება აკრძალულია, სპონტანურად და მექაურად  
კი ასეთი ტაეპები იწერება:

„იქ სად ცემენტის არის ბუდობი,  
ამოზღვავება მიწიდან გველის  
მრავალმილიონ ტონა ქვა-კირის,  
მრავალმილიონ ტონა მარგელის.  
იქ სად ცემენტის არის ბუდობი  
და მუშაობა დაუმცხრალია,  
რომ გაწოლილა, იგი რეინიზზის  
დაუცხრომელი მაგისტრალია.  
ორასი ათას ტონას წლიურად  
ელის ქალაქი და აგარაკი,  
ორასი წლისთვის არის საქმაო  
ამ მასალების დიდი მარაგი.“

ეპოქის სულის ამოცნობა, გაბატონებული ესთეტიკური იდე-  
ალების ამოკითხვა შეიძლება ლექსებში: „მოტორი მდერის“,  
„ახლა განა ისეთი დროა?“, „ქუხედა გულისთქმავა?“, „ეპოქას მო-  
აქვს ახალი შვენება“, „ხერხი, შალაშინი“, „ამისთვის იბრძვის

ჩვენი ეპოქა“... გალაკტიონისებური ირონია თავისთავად იგულისხმება შემდეგ ტაქტებში:

„და აწყობს მხოლოდ ერთი ფაბრიკა,  
რომლის აგება მომავალს მართებს,  
ჩვიდმეტი ათას კილო აბრეჭუმს  
და სამი ათას ქაღალდის ნართებს.“

სოციალიზმის უტოპიური იმპულსია სატირიზებული ლექსზი „ამისთვის იბრძვის ჩვენი ეპოქა.“ ერთიანობის ძალად თავს მოხვევაში ტოტალიტარიზმის ტენდენცია მძლავრობს. ორგანიზებული დიტატი კი სხვა არა არის რა, თუ არა ასრულებული კოშმარი, ახდენილი ჯოჯონეთი. სადაც ყველაფერი საერთოა, პიროვნება ნიველირებულია. საჭიროა ინდივიდუალობის რეინგარნაცია, პიროვნელის საწყისის გაძლიერება, – აი ეს გახდავთ ავტორის სათქმელი, თუმცა ლექსში საპირისპიროა გამოხატული. ე. ი. ნათქვამია ერთი, იგულისხმება სრულიად საწინააღმდეგო:

„იქაც, სად საგსე არის მითებით  
ნადარბაზევი ან გუბაზეთი,  
აეროპლანის გაბედითებით  
მივა რადიო, კინო, გაზეთი...  
ყველაფერს ძველი ფერი წაერთო,  
რაც კი რამ ახალ დროს შეეტოქა,  
რომ ყველაფერი იყოს საერთო,  
ამისთვის იბრძვის ჩვენი ეპოქა.“

მესამე ტომის 204-ე გვერდზე, ამდენ ნათვალთმაქცარ ნაწარმოებს შორის, კიდევ ერთი საოცარი ლექსი ხვდება მკითხველს, რომელიც უსათაუროა /„არ გეგონა, არ ელოდი“/. ეს ლექსი დიალოგის ფორმითაა დაწერილი. ავტორი საკუთარ თავს ესაუბრება. სიმართლე-სიყალბის ალტერნატივაზეა ნაწარმოები დაწერილი და მთავრდება პირდაპირი მნიშვნელობის ტაქტებით:

„სხვას ვამბობდე, როს სხვაგარად  
ვხედავ ცხოვრებას?  
ვით აიტანს დიდხანს გული  
ამ გაორებას?“

/მთითებულია ასეთი თარიღი: „192...წ.“/  
ანტიუტოპიური პოეზიის ტიპური ნიმუშია:

„ნათქვამია – ხელი ხელს,  
ორივე კი პირსა პბანსო.  
გეგმა უნდა შევასრულოთ  
საწარმოო-საფინანსო.“

/ტომი მესამე. გვ 364-365/.

ეს არის პოეტური დოკუმენტი, რომელიც ამხელს იმ საბჭოთა ეპოქას, მის ესთეტიკურ იდეალებს, ზნეობრივ სურათს, სულიერ ვითარებას. ეს არის ანტილექსი. ბოლშევიკურ ძალადობას პოეტმა ანტილექსებით უპასუხა, რომლის ტაქტებს შორისაც გამოისახება აშკარა ირონია:

„დაკვრით წნახოთ, რასაც იქმს  
დღე დამით და დამე დღისით.  
რიგი რიგებს, რიგი რიგს,  
რომ შეივხოს დანაკლისი.  
ჩამორჩენილობა – ძირს!  
ყოველ მანქანაზე მდეგმა  
უნდა სძლიოს ყველა ჭირს,  
უნდა შეასრულოს გეგმა!“

ინდივიდუალობის დაკარგვის სახიფათო ტენდენცია ცხადყო გალაკტიონმა ამ ნაკადის ლექსებში. ამხილა, რომ დაკვეთა იყო პოეტზე, როგორც სახელისუფლებო მექანიზმს დამორჩილებულ ადამიანზე. პოეტიც შრომითი ერთყელი. განა აქ აშკარა არ არის ავტორის ამბოხი თავსმოხვეული რეჟიმის წინააღმდეგ?! მოჩვენებითი მორჩილებით გალაკტიონი ცხადყოფს, რომ მისი ანტიუტოპოლიტიკური პოეზიის ლირიკული გმირი ნონკონფორმისტია. ის იმგვარად ამბობს „დიახს“, რომ იგულისხმება „არა!“

როდესაც აკაპი წერეთლის „ბაში-აჩუკში“ ბიძინა ჩოლოფა-შვილის ეპიზოდს ვკოთხულობთ, იმ ფრაგმენტს, როგორ სიმბოლურად გაიგებს მამულიშვილი მეურმის ჩამდევრებას: ხერხი სჯობია ღონება, თუ კაცი მოიგონებსაო, რასაც მოჰყვება მისი მოჩვენებითი გადასვლა სპარსთა მხარეზე კახეთის აჯანყების უკეთ მომზადების მიზნით, ჩვენ აღფრთოვანება გვიპყრობს.

ასეთივე ხერხი მოქებნა გალაკტიონმა: მოჩვენებითი საბჭოური იერის მიღებით მტრის ბანაკში საკუთარი სახელით აჯანყება მოაწყო და გაოცების დირსი ანტიუტოპოლიტიკური პოეზია შექმნა. „შენ საუკუნე გიცქერის შიშით!“ – სწორედ რომ შეეძლო

ეთქვა ამ პოეტური დოკუმენტის ავტორს, რადგან ეს არის ლექსი—ბრალდება, ლექსი—მხილება, ლექსი—შეთქმულება საბჭოური სინამდვილის წინააღმდეგ. გალაკტიონის ანტიუტოპიური პოეზია ყველა პირდაპირი მნიშვნელობით ნათქვაშ სიტყვაზე მძაფრად გამოხატავს ავტორის სათქმელს.

მე აქამდე მხოლოდ გადამკითხველი ვიყავი ამ ლექსებისა. ვფიქრობ, ამჟამად ვციოთხულობ მას სათანადოდ.

**გამოყენებული ლიტერატურა:** 1. ი.რმა რატიანი, მხატვრული დროისა და სივრცის გააზრების სუბიექტური პარადიგმა მეოცე საუკუნის ანტიუტოპიურ რომანში, ავტორუფერატი, თბ., 2003 წ.  
2.პლატონი, „სახელმწიფო“, თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, თბ., 2003 წ.  
3.არისტოფანე, „ფრინველები“, თარგმნა ე. კვიტაისვილმა, თბ., 1978 წ.  
4. არისტოფანე, კომედიები, ტ. I, თარგმნა და კომენტარები დაურთო ლევან ბერძენიშვილმა, თბ., 2002 წ. 5. რ. გალცევა, ი. როდნიანსკაია, ადამიანი – ხელის შემშლელი (საუკუნის გამოცდილება ანტიუტოპიის სარკეში), „Новый мир“, М., 1989 г., №12. 6. სალიტერატურო ენციკლოპედიური ლექსიკონი, მოსკოვი, 1987 წ. 7. ი.რმა რატიანი, ქონიოტოპი ანტიუტოპიურ რომანში, თბ., 2005 წ.

## ება ჭედია

### გალერიან გაფრინდაშვილის ფერის სიმბოლიკისათვის

როგორც ყოველ ტექსტს, ასევე მის კონკრეტულ კომპონენტს გააჩნია ორმაგი კოდირების ფუნქცია, რაც რეციპიულტექსტის ფართო ასპარეზს აძლევს ტექსტის მხატვრულად გააზრების მხრივ.

ფერის მხატვრულ გააზრებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში. ყოველი შემოქმედის მხატვრულ-სააზროვნო სისტემაში ფერს, როგორც შედარებას, როგორც ეპითეტს, მეტაფორას, სიმბოლოს და ალეგორიული გამოსახვის საშუალებას, განსაკუთრებული და ამასთანავე განსხვავებული დატვირთვა აკისრია. ფერი ძველ ქართულში ნიშნავდა ფერსაც და ფორმასაც, გვარსაც, ხატსაც, ჰიპოსტასსაც. მაცხოვრის ფერისცვალება ნიშნავდა, რომ მან ფორმა, ხატი, იერსახე შეიცვალა.

„ფერს გააჩნია საგნობრივი შინაარსი, რაც მის სპექტროა მრავალსახეობის საგნობრივი, ფიზიკური აღქმის უნარით გამოიხატება. ეს არის სინათლის თვისება, გამოიწყოს გარკვეული მხედველობითი გრძნობა, შეგრძნება, ჩამოყალიბებული სხივის სპექტრული შემადგენლობის შესაბამისად. ფიზიკიდან ცნობილია, რომ ცივილიზებულ სამყაროში არსებობს რვა ძირითადი სპექტრი და სხვა მრავალი, მათგან ნაწარმოები ფერი“<sup>1</sup>.

გალ. გაფრინდაშვილის ლექსებში დომინირებს თეორი ფერი. ხშირად ვხვდებით წითელ, ლურჯ, ნაცრისფერ, მწვანე, ყვითელ ფერებს. საგულისხმოა აგრეთვე „ბინდისფერი სიფერმკრთალე“ რომელთაც ლექსებში სემანტიკური დატვირთვა გააჩნიათ.

<sup>1</sup> რ. ბარბაქაძე, ფერის მხატვრული ფუნქცია „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1993წ. გვ. 23.

„ბინდისფერ თვალებს“, „ფერმკრთალ პირბადებს“, „გააღლისფერდა“, „უსხავო დამე“, „თეთრი იმედი“, „ლურჯი საღამო“. „მტრედისფერი სატრფო“ „დადგრილ ყვავილთა წითელი ფერით“. ეს ამონარიდები მხოლოდ მცირე ნაწილია მისი ლიტერატურულ ფერთა გამიდან.

„ფერი გამოიყენება არა მარტო შეფერილობის, საღებავის გადმოცემის, მხედველობითი შთაბეჭდილების დემონსტრირების მიზნით, არამედ აგრეთვე იდეათა აბსტრაქტორებული გამოსახვის საშუალებადაც – გარკვეული ლოგიკურ-აზრობრივი ქმეტებების გამოყენების საფუძველზე“.

თეთრი ფერი განსაკუთრებული მისტიკურ-მაგიური და ეს-თეტიკური დატვირთვის მატარებელია, რაც კარგად განსაზღვრებს სიმბოლისტებმა.

„ბლოკთან თეთრის გადაზრება მოხდა დათვაებრივი ნათელის, „ეკლესიასტებს“ თეთრი დამის სიმბოლოებად. რაც შეეხება ქართულ ლირიკაში, პირველ შემომტანად თეთრი ფერის სიმბოლისტურ ჭრილში, ვალ. გაფრინდაშვილი მიიჩნევა. მან განსაკუთრებული დატვირთვა მიანიჭა ისეთ სახეებს, როგორიცაა ორვლი, ფანტელები, ბროლი, ორვლიანი საღამო. ფრანგი და რუსი სიმბოლისტების პოეზიასთან წილნაყარობაზე მიგანიშნებს მისი „ამარსიფალის“ პოეტური ხატის ორვლთან, როგორც სიწმინდესთან დაკავშირება“<sup>1</sup>.

თეთრის, როგორც პოეტური სახის რემინისცეფციას გვაძლევს თვითონ ვალ. გაფრინდაშვილი: „თვით მალარმეს პორტრეტი, მისი დათოველილი სახე იძლევა სითეთრის შთაბეჭდილებას... ეს არის სითეთრე ზამთრის, სარკისა და ქანდაგების. ეს სითეთრე არის სიმბოლო უძალესი სულიერი ძლიერებისა. ეს სითეთრე არის ნირვანა, რომელშიც პოეტმა უნდა განაცალევოს თავისი სული. აქ სითეთრე მხოლოდ სარკე რჩეული უკვდავების“<sup>2</sup>.

საერთოდ, ხადხური პოეზია მდიდარია ფერის სიმბოლიკით, სადაც გამოირჩევა თეთრი, წითელი და შავი ფერები, დროთა განმავლობაში ამ სიმბოლოთა ფუნქცია მრავალფეროვანი გახდა. თეთრი ასოცირდება უპირველეს ყოვლისა სისპერაციებთან, სიწმინდესთან, სიცოცხლის დასაბამთან, ის სინათ-

<sup>1</sup> 6. სვანიძე, თეთრი ფერის სიმბოლო ტიციან ტაბიძის პოეზიაში. ქრიტერიუმი, თბ., 2004, №11-12.

<sup>2</sup> ვალ. გაფრინდაშვილი, კრებული, სტეფან მალარმე.

ლისა და სიხარულის სიმბოლოა. თეთრი შეიძლება გავაიგავოთ დღესთან, რადგანაც შავი – როგორც ფერი ასოცირდება დამესთან. აქედან ლოგიკური დასკვნა თეთრი – სიკეთის საწყისია, იქ კი, სადაც შავი ფერია ნახსენები უბედურება გარდაუგალია. ყოველიგე ამასთან ერთად ვალ. გაფრინდაშვილის წერილში „სტეფან მალარმე“ – თეთრის გაგება „უძმობელობა“ ასოცირდება. ანუ სითეორე აქ ასოცირდება ზამთართან. ზამთარი კი თავის მხრივ – სიცივესთან და სიმკაცრესთან.

ლექსში – „მისტიური მარულა“ ფერებს შემდეგი დატვირთვა აქვს. „შევიჭერ ბროლში, ვიმორჩილე ამაყი რაში“

და იქვე

„და თავის საზღვრებს ასკდებიან რაში მკერდებით, სპეციალისტის და სიცოცხლის უცხო მარულა: – თეთრი სიგივე თეთრ მათრახით უთროლებს რაშებს“...

აღნიშნულ ლექსში თეთრი ფერი მრავალგანზომილებიანია. ნახსენებია „ბროლი“ რაც ასოცირდება თეთრთან („ბროლის პილები“) სითეორესთან ერთად თავს იჩენს ყინვაც.

„და მე მხედარი გაყინული თეთრ ცხენზე ვკვდები“. „

მართალია, გაფრინდაშვილის „რაში“ ტატოს „მერანივით“ ამაყია და შეუდრევებული, მაგრამ, სითეორე იგივე ყინვა „თავის საზღვრებს“ („პედის სამზღვარი“ ტატოსთან) ანარცხებს რაშს. რაში კი როგორც ვიცით სიმბოლო ვაჟაცობისა და ძლიერებისა.

„თეთრის“ სინონიმად იყენებს „გაფიორებულს“ „იმსხვრევაში გარები გაფიორებულ ბროლთა ზმანება“. „

ლექსში სიმბოლური დატვირთვა ენიჭება „თეთრ ცხენს“, რომლის სინონიმადაც ლექსში გვხვდება: „თეთრი რაში“, „მერანზე იყინება“, „რაში მკერდებით“;

ლექსში თეთრი ფერი, იგივე „ბროლისა“ და „სიფიოთრის“ ფერი ცხოვრების სიმკაცრის გამომხატველია.

„თეთრი ცხენი“, „თეთრი რაში“ არა ერთგზის გამოყენებულდა სიძლიერის და თვით საქართველოს სიმბოლოდ.

თეთრი ფერი დომინირებს ტ. ტაბიძის ლექსში „ცხენი ანგელოსით“, სადაც დიდი სიმბოლური დატვირთვა ენიჭება „ცხენს“. ტ. ტაბიძესთან ცხენი მოიაზრება როგორც „აპოკალიფსის თეთრი იმედი“. აქ „თეთრ ცხენს“ ანუ სიკეთესა და სიძლიერეს ენიჭება საქართველოს გადარჩენის მისია. თუ ტატოს „მერანი“ ყელანირი დაბრკოლების მიუხდავად ისწრაფვის „პედის სამზღვარის“ გადასალახავად, ვალ. გაფრინდაშვილის

რაშე ამ მიზნისაკენ მსწრაფი ადამიანი იყინება. ტიციანი კი საქართველოს ხსნას მხოლოდ „თეორ ცხენსა“ და „თეორ გიორგის“ ანდობს.

„ . . . საქართველოს ბედს  
მხოლოდ ცხენით თუ დაეწევი  
მორბისარო თეორი – მარტო იმედი  
ცხენი ანგელოსით.  
გზას შორეულს რა გაიარდა?  
ერს ამორჩეულს ჩამორჩებოდი  
რომ ცხენი არა“.1

/ცხენი ანგელოსით/

თეორი ფერი ხან ყინვასთან, სიცივესა და სიფითრესთან ასოცირდება, ხან კი ქალის სილამაზისა და სიკეკლუცის გამომსახველია. ავტორი ზიარებულია „ხედვის ხელოვნებას“ ანუ, მას უნარი შესწევს უკვე ნაცნობ განცდებსა და განწეობილებებს, ახალი განწყობილებები და წარმოდგენები დაუპირისპიროს:

„შენ თეორი ქოშები ჩაგეცვა ცბიერო  
ლამაზო, კეკლუცო, ნუთუ ლმობიერო?“ /მინიატურა/  
ან კიდევ: „თაყვანისმცემელს ჩემისთანას ვერ ნახავთ  
ვერსად!

მოდი ზამთარო, დამაყარე მკრთალი იები,  
და შენს თეორ სიკვდილს მაზიარე – შენაციები“  
/შემოღვიძის ქანდაკება/

სშირად პოეტი თეორ ფერს რწმენის, იმედის გამომსახულ ფერად იყენებს. ვალერიან გაფრინდაშვილის ოცნება თეორია, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, „თეორი“ ვალ. გაფრინდაშვილთან ასოცირდება თოვლთან და სიცივესთან, საერთოდ:

„თეორი ოცნება გადარჩენის თოვლივით დნება,  
დამწვარ სხეულის ჩემს გარშემო სუნი ტრიალებს“.

/მე სარკეში/

თეორი ფერი გველის ხორცის მიღების ბუნების საიდუმლოცაა, შემეცნების ძალის მომცემია: „თეორი გველის, ნათქვამია, ერთი ლუქმა ვინც რომ ჭამოს, ჩიტის ენა ისწავლოსო“<sup>1</sup>.

პოეტისათვის სითეორე არის ნირვანა, თოვლი, ზამთარი, ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი სიმბოლოები ლექსში იძლევა სითეორის შთაბეჭდილებას.

„ის სასტიკ ზამთარს ოფელიას ვერ შეავედრებს

<sup>1</sup> გ. პოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1962, გვ. 408.

თოვლი და ქაფი, დაისები და ბროლფიქალი.

უჭირავს ნაზად ოფელია ნერონის მკლავებს  
თოვლი სახეზე და სელებზე მათ ეწვეთება“.

ლექსში მზისა და მშვენიერების ხათრით იდება ზაფი, თეორი  
ამ ლექსში რწმენის და იმედის სიმბოლოდ აქტის გამოყენებული.

„და თუ გათენდა – შეიჭრება მზის ნირვანაში  
ორი ჩვენება: ნერონი და თვით ოფელია

ახლა კი მიპქრის დათოვლილი სპეტაპი რაში  
ავი ცეზარი მრისხანე და ულმობელი“.

/ოფელია და ნერონი/

თეორი ფერი პოეტისათვის სულის სარკეა, რომელსაც  
მოაქვს სიხარული: „თეორი ვარსკვლავი, ოფელია და სიხარული“.

ვალ. გაფრინდაშვილის ლექსებში თეორი ფერი განისაზ-  
დვრება მისტიციზმის ფერად, რომელიც გარემომცველი მატე-  
რიალური ქაოსიდან განთავისუფლებას ახდენს სუბლიმირების გზით.

თეორი და შავი სშირად ენაცვლება ერთმანეთს პოეტის  
ლექსებში.

მისი პირველი პოეტური კრებული „დაისები“, რომელიც  
1919 წელს გამოიცა 4 ძირითადი ციკლისაგან შედგება: „დაი-  
სები“, „ორეულები“, „ოფელიები“, ამარსიფალი. აღნიშნული  
კრებულის თემატურად ასეთი დაყოფა კიდევ უფრო ნათელს  
ხდის ავტორის პოეტურ კრედოს.

მისი შთაგონების წეარო „დაისი“. მზის ჩასვლა, მარტი-  
ვად რომ ვთქვათ სიბნელე. სიბნელე კი როგორც ვიცით ასო-  
ციონდება სიკვდილთან. სიბნელის ანუ „დაისის“ აპოლოგიით,  
ავტორი ინტუიტიურად მიგვანიშნებს თავისი პოეზიის სევდიან  
განწყობილებაზე.

როგორც გ. ბენაშვილი მიუთითებს: „დაისის ანუ საღამოს  
პოეტური სიმბოლიზაცია ჯერ კიდევ ფრანგმა „პარნასელებმა  
სცადეს“ (შ. ბოდლერი – „საღამოს ბინდი“, „დღის დასასრულია“;  
... თუმცა იმ განსხვავებით, რომ მათთან საღამო დანახულია  
ბუნების პეზარის მდგომარეობად. ე.ი. როგორც ბუნების ორგა-  
ნული ატრიბუტი და აუცილებელი ფენომენი“<sup>1</sup>.

ვალ. გაფრინდაშვილის შემოქმედებაში „დაისი“ არის ურ-  
თულესი და ამასთანავე ძალიან ახლობელი სიმბოლო, რო-  
მელიც ზუსტად ირეკლამს მის სულიერ განწყობილებას.

<sup>1</sup> გ. ბენაშვილი, ქართული ლირიკული პოეზია. თბ., 1994წ. გვ. 34.

ვტიროდი ხარბად – მარტოობით ნაალერსალი  
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბეღურა,  
ვით შემოდგომის დამეებში თეთრი ვერსალი.

/სანტიმენტალური ტრიოლეტი/

შავ ფერს მოწყენილობა მოაქვს პოეტისათვის, რადგან  
შავი ასოცირდება წყვდიადთან, უბედურებასთან და სიკვდილ-  
თან. ირგვლივ გამეფეხულ წყვდიადს და მოწყენილობას, პოეტი  
თეთრი ფერით ანადგურებს.

„პეპლუცო ჯარი თეთრ გედებზე მისცურავს ნელა,  
შავ ნირვანაში დაალურობს დღე ფერწასული  
– ის ჭანება, როგორც მშვენიერი ჭლექის ასული“  
/დაისი/

ამ ლექსში გამოყენებული თეთრი ფერით პოეტი ამარც-  
ხებს სიკვდილის უკურნებელ სენს.

შავი უბედურების ნიშანია: „ბოლახევაის თავზედა, მზე  
შავად ამოჩნდებაო“<sup>1</sup>.

ლექსში „სხვანაირი ტრფობა“ „შავი“ ფერის ფუნქცია ეკი-  
სრება შემდეგ სიტყვებს : „ძაბითა“, „სასაფლაოდან“, „დაბინდუ-  
ლი“, „თაღის“, „მიცვალებულო“, „სიკვდილი“, „გასვენება“, პოე-  
ტის მიერ მიგნებული სიმბოლოა „შავი“ ფერის გამოსახატავად.

მას ძაბითა აქვს შემოსილი თვალები, ტანიც,

და იგი მუდამ ძვირფასია, ვით შავი გედი.

/სხვანაირი ტრფობა/

შავი ფერი პოეტის ლექსებში სიკვდილის, მწუხარების  
სიმბოლოა. როგორც აღვნიშეთ ციკლი, მზის ჩასვლასთან  
ასოცირდება, მზის ჩასვლა კი შავთან. „ლალის დაისში  
აჩრდილები წარსულს სტირიან“ /ქუთაისი ქარში/

წითელი ფერის მნიშვნელობა კი ურთიერთსაპირისპიროა.  
„ერთ შემთხვევაში თუ სიკვდილის სიმბოლოა, მეორე შემთხ-  
ვევაში ქორწინებას და ძერბას ნიშნავს“<sup>2</sup>. ანალოგიურია ამ  
ფერის გაგება ვალ. გაფრინდაშვილის შემოქმედებაშიც.

ვალ. გაფრინდაშვილის ლექსში წითელი ფერი ხშირად  
ცეცხლთან არის გაიგივებული.

<sup>1</sup> ქართული ხალხური პოეზია, ტომი V, 1976, გვ. 209.

<sup>2</sup> რ. ჩოლოეაშვილი, თეთრი, წითელი და შავი ხალხურ პოეზიაში.  
„ლიტერატურა და ხელოგნება“, 1992, №56, გვ. 53.

ვეღარ გამოვალო ვერასოდეს სასტიკ ბროლიდან  
ბროლთა ზმანება დაისების ცეცხლში ტარდება.  
/ცეცხლიან სარკეებში/

წითელი ფერის დატვირთვა ლექსში ენიჭება „სისხლს“  
და „გიშრისუერ დროშებს“.

დაძის ხომალდი ქვეით ნაპირს,  
სისხლში ამოსვრილ გიშრისუერ დროშით,  
ელოდა ყველა მისგან დანაპირს,  
ეს იყო ტანჯულ საქართველოში /ხიზმარი/.

ზემოთ მოხმობილ ტაქტში ვხვდებით წითელ და შავ ფერ-  
თა გადაკვეთას, რაც ხსნის სიტუაციის სიმძაფრეს. გიშრის-  
ფერი ანუ შავი დროშა ცხადია, რომ ავის მომასწავებელია,  
მაგრამ ამასთანავე ის სისხლშია ამოსვრილი.

„გარკვეულ დონეზე წითელი ფერი შეიძლება მართლაც  
მიანიშნებდეს სისხლისდგრაზე წითელ რუსეთზე, წითელ  
არმიაზე და წითელ დროშაზე“<sup>1</sup>.

„დიდი ოქტომბრის არის კომუნა,  
და მისი დროშა სისხლიანი  
დაცხრილული,  
ამშვენებს ლენინის მავზოლეის.  
რუსეთმა მაისს უპასუხა  
დიდი ოქტომბრით“ /პარიზის კომუნა/.

პოემაში გამოყენებული წითელი ფერი მიანიშნებს, წი-  
თელ არმიაზე და წითელ რუსეთზე. პოეტმა „შეფერილი სმენა“  
მისცა ხისხლს, ის გვაოცებს თავისი ფერადოვანი ტონებით.  
მაგრამ ამასთანავე კოველგვარი შირმის გარეშე მიუთითებს,  
რომ ოქტომბრის რევოლუცია საქართველოს დამოუკიდებლო-  
ბის წინააღმდეგ იყო მიზანმიმართული (26 მაისი, საქ. და-  
მოუკიდებლობის დღე).

გრ. რობაქიძე წერს: „შეფერილი სმენა ანომალური კი არ  
არის, არამედ ნამდვილი ნორმალობაა“<sup>2</sup>.

პოემის ამ ტაქტში „სისხლიანი“ შეიძლება მოვიაზროთ  
როგორც „წითელი“. ვფიქრობ, რომ ტაქტი აზრობრივად პირდა-  
პირ კავშირშია ლექსთან „სიზმარი“ (ტაქტი ზემოთაა მოთხ-  
რობილი). მართებულია ვიგულისხმოთ, რომ აქ საქმე გვაქვს

<sup>1</sup> გ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1962, გვ. 408.

<sup>2</sup> გ. ჩხეიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 90.

წითელი ფერის ტრანსფორმაციასთან. იგრძნობა წითელისა და შავი ფერის სიახლოეს, რაღანაც აღნიშნულ კონტექსტში „წითელი“ არ გამოხატავს არც ვნებას, არც სიცოცხლის გაგრძელებას, არამედ პირიქით.

„მან შეარჩია მთელი მსოფლიო,

ძეელი ქვეყანა! გეშინოდეს,

შენ აღსასრულის წინაშე სდგეხარ“ /პარიზის კომუნა/.

ვხედავთ, რომ წითელი შავის ნიღბადაა მხოლოდ გამოყენებული. ასეთივე სიმბოლურ-ალეგორიული დატვირთვის მატარებელია კ. გამსახურდიას „ტაბუ“ შავხოხიანი წითური კაცი უბედურების მომასწავებელია და სახის ასეთ დახატვას კონკრეტული მიზანი გააჩნია. ასეთივე სახეა „შავი მორიცელი“.

როგორც ვნახეთ „წითელი“ ვალ. გაფრინდაშვილის ლექსში აღსასრულის, სიცოცხლის დასრულების უბედურების სიმბოლოა და არა პირიქით. ლექსში – „ცეცხლის სარკეები“ ავტორი ცეცხლის მოახლოებას წინასწარმეტყველებს.

ახლოა ცეცხლი, რომ გვაძრმავებს იაგუნდებით

ყოველი მხრიდან სარკეები ისვრიან ალებს,

გადაქცეულან ჩირადინებად ორეულები,

ცეცხლის კოშკები, მტილნარები და ხვეულები.

აი, სიგიჟეც თავის სასროლს ააფრიალებს.

ლალის წურბელი ეხვევიან აჩრდილებს ჭარბათ.

/ცეცხლიან სარკეებში/.

„ლალის წურბელი“ ანუ წითელი „წურბელი“ აჩრდილების ქვეყანას დასანგრევად იმეტებს.

წითელი ფერი სიახლოეს ავლენს შავთან და თეთრთან. თეთრი და წითელი მზიური ბუნების გამომხატველია. ვ. ბარდაველიძე ღვთაება ბარბარესადმი მიძღვნილ თვალის ჩინის მინიჭების რიტუალში, ყველგან შესაწირავებზე გამოსახულ თეთრ და წითელ ფერს უსვამს საზს. წითელი ფერი ცეცხლოვნებას აღნიშნავს<sup>1</sup>.

ვხვდებით აგრეთვე ყვითელ ფერს:

მე მინდა გითხრა, ო, შემოდგომა,

რომ მიუვარს, შენი ყვითელი სახე.

<sup>1</sup> ხალხური სიტყვიერება, II მეორე სერია, II ქართული ხალხური ხდაპრები გ. ჩიქოვანი, რედაქციით, 1952, გვ. 30.

ან კიდევ: შენ ხარ ყვითელი, ვით საგიუეთი,  
და მთვარეულებს ისე ამრავლებ.

/შემოდგომა/

ყვითელ ფერს ლექსში ქალის სილამაზის გამოსახატვად  
იყენებს.

პირველადი ფერებით, რომლეთაც გრეთე თაურფენომე-  
ნებს უწოდებს არის: ყვითელი, სინათლესთან ახლოს მყოფი  
ფერი და ლურჯი, სიბნელესთან ახლოს მყოფი<sup>1</sup>.

პოეტისათვის ლურჯი ფერი იდგალს, სიმბოლოს წარმოად-  
გნს, ლურჯი ფერი დადგებითა, მაგრამ აქვს ტკივილის შეგრძებაც.

ლურჯი საღამო აქანდაკდა ნაზ სახრჩობელად...

დავვაიდგბი და თანდათან გამგუდავს დამე

აპლავ ოფელიას დავისახავ სათუთ დობილად!

უარს ნუ მეტყვი საყვარელო ჩემთან ეწამე.

/საღამოს მასკები/

პოეტის ლექსში ლურჯ ფერს მელანქოლიური დატვირთ-  
ვა ენიჭება.

თქვენი პირბადით თვით ქვეყანას დაგემალები

დაისის ლალი გამოვხტაცო მინდა ლურჯ პარეს.

/ძვირფასი ქვების ვიზიონერი/

„ქართველი წინაპრები ყველაზე დიდ პატივსა და თაყვანს  
სცემდნენ – მთვარეს, მზესა და ვარსკვლავებს, ვითარცა საერ-  
თო ქართულ ღვთაებებს“<sup>2</sup>.

„მზეს“ ვალ. გაფრინდაშვილი თავის ლექსში სინათლის,  
სიკეთის სიმბოლოდ აღიქვამს.

„აელვარდება მეტი სისწავით,

მზე – ფარშავანგი ზეცის ეარავში“ /„ორსულ ქალს“/.

მზე პოეტის ლექსებში ანათებს ირგვლივ გამეფებულ  
წყვდიადს.

„მზე, როგორც მაღალ ობობას ლანდი,

დაიქსელება ზეცის ეარავში“ /ორსულ ქალს/.

მზეს ყველა პოეტი სიკეთის მფარველად მიმართავს. პოე-  
ტი ლექსშიც მზეს ყველაზე მძლავრ სახე-სიმბოლოდ გვისა-  
ხავს და მასთან ერთად ცის სხვა მნათობებსაც.

<sup>1</sup> გ. ჩხეიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 91.

<sup>2</sup> ა. აფაქიძე, ანტიკური ხანის ქართული წარმართული პანთეონი,  
საქართველოს ისტორიის ნარკვენები – თბ., 1970. გვ. 661.

რ. სირაძე წერს: „სიყვარული ისევ უპავშირდება მზეს, როგორც სილამაზე, სიყვარულის ძალა მზიური ძალაა“<sup>1</sup>.

გალ. გაფრინდაშვილიც სიყვარულს მზეს უპავშირებს.

ვიოლინივით დილამდე გძინავს

და შენს მუცელში იზრდება ბაგში,

მზე უხილავი კიღევ არ ბრწყინავს,

ვთ ოქროს ვარდი, ზეცის კარავში“ /ორსულ ქალს/.

ახალ აღოქმაში წერია: „რომელს – არა უყვარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყვარული არს“ (1 იოანე, 4.8).

როგორც აღვნიშნეთ ვალ. გაფრინდაშვილი თავის ლექსებში ხშირად მიმართავს თეორ ფერს, რომელიც ამკვიდრებს ლექსებში მზეს. მზის სიკეთე და მოწყალება ანაოებს სამშობლოს „თეორი ფერია – დღისა და ცისა მშვიდობისა“<sup>2</sup>.

ზემოთ დასახელებულ ლექსებში განვიხილ ფერთაგან ყოველი მათგანი უკავშირდება საწყისს ანუ ძირითად თეორ ფერს, რომლისგან საპირისპიროდ შიღებულია დანარჩენი სხვა ფერები.

## Eka Chedia

### Colir's Symbolic in Valerian Gaphrindashvili's Works

In the paper the main attention is drawn on sensation of color in Val.GaprindaSvili's creativity.

Creative conceptualization of color has important place in his creativity. Color as comparison, as epithet, as metaphor, symbol and manner of allegoric description has exclusive charge in the artistic and cogitative system of any great creator.

White color dominates in poesy of Val.Gaprindashvili. One can meet red, blue, gray, green and yellow colors as well that have semantic charge in his poetry.

In some cases white color is symbol of coldness, austerity and in other ones is symbol of concinnity. As for red color it is contrary in creativity of Val.GaprindaSvili. Some times it is associated with black color.

Creativity of Val.Gaprindashvili has parallels both in national and in Europe literature.

<sup>1</sup> რ. სირაძე, სახისმეტყველება, თბ., 1982, გვ. 52.

<sup>2</sup> სორდია ლ. გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბ., 1996, გვ. 14.

ქვეუცან ენუქიძე

## მეტაპლაზმები პაოლო იაშვილის ლირიკაში

“განიხილო ენა—ნიშნავს, შეისწავლო არა იმდენად ის, რამდენადაც ჩვენი ადგილსამყოფელი მის წიაღში,”— მარტინ ჰაიდეგერის ეს გამოთქმა გულისხმობს, რომ ენა თვით სამყაროა და ადამიანი ისევე ცხოვრობს ენაში, როგორც სამყაროში. შესაბამისად, ქმნიდე მხატვრულ ნაწარმოებს, ანუ ქმნიდე საკუთარი ცნობიერების პროცესს ენის წიაღში, თავისი მნიშვნელობით, გარკვეულწილად, შეეფარდება გზის კვლევას სამყაროში. რამდენადაც ინდივიდუალური და სუბიექტურია შემოქმედებითი პროცესი, იმდენად ზოგადი და ობიექტურია სამყარო, რომელიც პოეტისთვის არ არსებობს სუბიექტური მოაზრების გარეშე. რადგან, თუ არ იქნება მისი “მე”, სამყაროს არსებობა საერთოდაც კარგავს აზრს. პოეტური შემოქმედება, სიტყვის ქმნადობა, ლოგოსის ძერწვის პროცესი, “ადამიანის ძერწვის” პროცესს ჰგავს. ხოლო პოეტური სიტყვა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ეს იდუმალი პროცესი, ჰეშმარიტად უზენაესი მნიშვნელობის შემცველია. მხატვრული ნაწარმოები თავად წარმოადგენს ამოცანას. თუ მთავარი ამოცანა — შემოქმედის შთაგონება, ასეც აუხსნელი რჩება, მისი სიტყვიერი ფორმულირება — “აზროვნების დამახინჯებული წარმოლგინება” — მეტ-ნაკლებად ძალის მქონებარება ახსნას.

გ. აპოლინერის აზრით, ზოგიერთ პოეტს აქვს უფლება, აუქსნელი იყოს.

გრიგოლ რობაქიძე წერდა: “რა საჭიროა გამოცნობა? გზნებაა საჭირო!”

ახსნის პროცესი კვეთს ტკბობის პროცესს. ტკბობა და განწმენდა — ლიტერატურული ქმნილების მთავარი ფუნქცია, უკაგშირდება მის გაგების, რადგან გაგების საფუძველში ძევს სიტყვა — ენის მაგიური ერთკული.

“სიტყვათა შენთაგან განკმართლდე და სიტყვათა შენთა-გან დაისაჯო“, – ამბობს მათეს სახარება.

გარკვეული ენობრივი ნორმების გათვალისწინებით წარ-მართულმა ანალიზმა მეტ-ნაკლებად გააადვილა ლიტერატუ-რული ნაწარმოების აღქმა და შემცინება. პანქრონიული მიდ-გომა ამ მოვლენისადმი საშუალებას იძლევა, მხატვრული ნა-წარმოები, როგორც სამყაროს ერთ-ერთი ვირტუალური ფორმა, რომელიც მხატვრული სახეების, მათი სტრუქტურებისა და ზო-გადად, ცხოვრებისეული ციკლის მკაცრად ორგანიზებულ სინ-თებს წარმოადგენს, შესწავლილ იქნას არა როგორც დანაწევ-რებული, სეგმენტებად დაყოფილი, ერთ სიბრტყეში მოცემული შაგ-თეთრი სურათი, არამედ როგორც რთული ორგანიზმი, რომლის მთავარი მახასიათებელია მხატვრულობა.

მხატვრული ნაწარმოები მოიაზრება ტექსტიად. ტექსტი ენობრივი კომუნიკაციის ერთულია და განსაზღვრულია ფუნქ-ციურად. მისი შესწავლა ხდება ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინგრაქსურ დონეზე. მიუხედავად ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციების ტექსტური სტრუქტურების განსხვავებისა, ორივე ტიპის ტექსტის მეშვეობით ერთი და იგივე საკომუ-ნიკაციო მიზნების მიღწევა ხორციელდება. შესაბამისად, ტექს-ტი ინდივიდების კომუნიკაციური ქმედების შედეგია, ხორცშეს-მული სწორედ ენობრივი ფორმით. არსებობს ტექსტის კონს-ტატიონების ორი ტიპი, რომელთაც გამომდინარე მათი ბუნე-ბიდან, შეიძლება ეწოდოს: პოეტიკური (რ. იაკობსონის მიხედ-ვით, პოეზიის ენა საკუთარ თავზე ორიენტირებული შეტყობი-ნებაა და მასში მთავარი ფუნქცია “პოეტურია”) და რიტორი-კული. პოეტიკა არის მეცნიერება მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურული ფორმებისა და მათი ცვალებადობის ისტორიუ-ლი გარემოებების შესახებ. ლიტერატურის მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ პოეტიკა უნდა ყოფილიყო ნორმატიული და დაედგინა გარკვეული სტილისტური პრინციპების მიმართება ამა თუ იმ სკოლასა თუ გარკვეულ სოციალურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობასთან; რიტორიკა ისტორიულად მჭევრმეტყველე-ბის ხელოვნება იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში სხვა ფუნქ-ციითაც დაიტვირთა. რიტორიკის ცნება ამ კუთხით უფრო მას-შტაბურია და ტევადიც, რადგან მისი კვლევის საგანს წარ-მოადგენს გამოსახვის ფიგურების ანალიზი. და რაკი ლიტერა-ტურული ნაწარმოებისათვის მხატვრული გამოსახვის საშუალე-

ბეჭი უმნიშვნელოვანეს შემადგენელს წარმოადგენს, ბელგიელი ლინგვისტების განმარტებით, პოეზიის ენაში მთავარი ფუნქცია რიტორიკულია და არა პოეტიკური.

რიტორიკა მოიცავს შეტაბოლათა ოთხ კატეგორიას. მეტაპლაზმების კატეგორიას განეკუთვნება ფიგურები, რომლებიც აწარმოებენ ფონეტიკურ ან გრაფიკულ ცვლილებებს სიტყვებსა და წინადაღებებში; მეტატაქსისები აერთიანებენ სინტაქსურ დონეზე წარმოქმნილ ფიგურებს; მეტასემები სიტყვის სემანტიკის ცვლილებებს ასახავენ, ხოლო შეტალოგიზმები ფრაზის ლოგიკური მნიშვნელობისას.

პაოლო იაშვილის შემოქმედება საინტერესო მასალას წარმოადგენს ადნიშნული მოდელით შესწავლისათვის. განსაკუთრებით, სიმბოლისტურ პერიოდში დაწერილი ლექსები, რადგან სიმბოლიზმი ხელს უწყობდა პოეზიის არა მხოლოდ იდეურ, არამედ ფორმალურ გარდასახვას. ეს თავისთავად აისახებოდა შეატვრული გამოსახვის თავისებურებებზეც.

მეტაპლაზმი ფიგურათა ზოგადი სახელია. მეტაპლაზმების კატეგორიას განეკუთვნება: პროტეზა, კინეტეზა, პარაგოგა, აპერეზისი, სინკოპა, პორკოპა, ელიზია, სინერეზისი. ყველა ეს ფიგურა სამგვარ ოპერაციას ასრულებს: შეკვეცას, დამატებას, გადასმას. შეკვეცა შეიძლება იყოს სრული სახით, როცა გამოყენებულია ელიზისი, ანუ გამოტოვებული ან ამოგდებულია ელემენტი, რომელიც მოცემულ კონტექსტში ადვილად წარმოსადგენია. ელიზისი ან პაზუა გრაფიკულად მრავალწერტილით და ტირეთი გამოისახება. მისი გამოყენება ლექსში ინტონაციურ ეფექტს ქმნის. აპნეული მეტყველება, მრავლისმთქმელი დუმილის ეფექტი, დაფარული, ნაწილობრივ გამჟღავნებული სათქმელი, იდუმალება-უფრო გამძაფრებული და ადგილად ამოსაცნობია.

“ მე შემიყვარდი... და მიყვარხარ.... და მარად გელი “  
 (“სონეტი ელლის”)

“ უნდოდა ბინა... გაციებულს დააგვიანდა “  
 (“ლანდი სიცივეში”)

“ მარგალიტები მოვიხივი ყელზე სამ წეება....  
 მარგალიტები, იაგუნდები....  
 (“ძახილი”)

ყველა მოცემულ მაგალითში შეკვეცა სხვადასხვაგარი ემოციის წარმოქმნას ემსახურება: დაბნეულობა (“სონეტი ელ-

ლის“), დროის ერთ მონაკვეთში ორი სხვადასხვა ემოციური მუხტის მატარებელი სურათის წარმოდგენა (“ტრიოლეტები”), სინახული (“ლანდი სიცივეში”), სევდა (“ძახილი”), გაკვირვება (“უვერტიურა”). შეკვეცის თვალსაჩინო ნიმუშია ლექსი “ევროპა”. მისი აპოკალიფური, აღონიური სულისკვეთება მოულოდნელად წყდება და გრძელდება სხვა ინტონაციის მქონე ტაქტებით. ჩარჩოებჩამორდვეული, უფორმო სამყარო მშვიდდება და ფორმას იძენს.

შეკვეცის მეორე ფორმა გრაფიკულად ტირეთი გამოისახება:

“ჩემი სონეტი, შენ, --- ძვირფასო მმაო და ტოლო “  
 (“სონეტი”)

“მენატრებოდა--- და სულს აღარ ეიმედება “  
 (“ზამთარში”)

“პაოლო იაშვილს--- მომეწყინა ყვითელი დანტე “  
 ( უსათაურო)

პირველ ყოვლისა, ტირე გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა შეინიშნება ტერმინაციული აორისტი, ანუ მოქმედება, რომლის გარკვეული ეფექტი გაძლიერებულია ტირეთი, რაც თავისთავად შეკვეცას გულისხმობს.

“ჩემი სონეტი, შენ,--- ძვირფასო მმაო და ტოლო.”

თითქოს ამის გარდა სხვა გზა აღარ არის. საჩუქარი უდავოდ უნდა იქნას მიღებული. ეს ფორმა ეპექსეგეზისურია, ანუ გაფართოებულად წარმოგვიდგენს ნაცვალსახელს—შენ, რითაც მას განსაკუთრებულ ემოციურ და აზრობრივ დატვირთვას სძენს.

ტირეთი გამოხატული შეკვეცა წინადაღებას პროგაზისად და აპოდოზისად ყოფს. თითქმის ყველა შემთხვევაში პირველი ნაწილი დასრულებული და განმარტებულია მეორეთი. ფრაზა “მენატრებოდა — და გულს აღარ ეიმედება”— ერთი შეხედვით, არ საჭიროებს ტირეს, მაგრამ თუ დაგაკვირდებით, ამ ტიპიურ რთულ თანწყობილ წინადაღებაში წინაღობას ქმნის სხვადასხვა დროში წარმოდგენილი ზმნები. ერთი უწყვეტელ წარსულშია, მეორე — ახლანდელში. ორივე დრო მოიაზრება როგორც გარკვეული უამი მეხსიერებისა და ქმედების დაკონკრეტებულ ფაზასთან არის კავშირში.

უსათაურო (“პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე”), ექსპრესიულობასთან ერთად ფორმალური თავისებურებებითაც გამოიჩინა. ტირე აძლიერებს საკუთარი სახელის ინტონაციურ და გრაფიკულ შთაბეჭდილებას.

ორივე ტიპის გრაფიკული გამოსახულებით წარმოდგენილი პაუზა საკმაოდ ჭარბადაა. პაუზის ამ სახეობას ინტენსიურ-ლოგიკურს უწოდებენ და განსაკუთრებული ინტენსივობით გვხვდება შეოცე საუკუნის დასაწყისის პოეზიაში.

შეკვეცის საპირისპირო ოპერაციად დამატება. ამ ტიპის მეტაპლაზმებს შორის განსაკუთრებული აღგილი უჭირავს პარონომაზიას და მის სხვადასხვაგვარ გამოვლინებას. უკელაზე აქტიურია პოლიპტოტი, ანუ ერთ ძირზე აგებული სიტყვის სხვადასხვა ბრუნვის და უდღების ფორმით გამოყენება. პოლიპტია ტავტოლოგიისგან იმით განსხვავდება, რომ სიტყვის აქცენტირება მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას უსვამს ხახს.

პოლიპტოტის მაგალითები პაოლო იაშვილის ლექსებში მრავლად არის:

“მეფე დედოფალს მიაწოდა მეფური თასი“

(“მეფის ქორწილი”)

“და დადალულან დედოფალის თეთრი ხელები,

დედოფლის სახე ფერმქრთალია, ვით ნისლში გედი”.

(“უსათაურო”)

ამ სტრიქონებში მხატვრული ხერხების განსაკუთრებული მრავალფეროვნება იყოთხება. დედოფლის სახის სიფერმკრთალის შედარება გედთან მათი სახის ერთ მთლიანობად წარმოდგენას ემსახურება. მიმართება თეთრ ხელებთან, ხელებს გედებად წარმოგვიდგენს, ხოლო გედის ნისლიან გარემოში ყოფნა, მისი გარემოს ნისლოვანების ხაზგასმა, დედოფლის გარემოსთან ქმნის კავშირს.

“ბენე ოცნებაში დასცურავდა მაისის გედი.

წავიდა ისე, რომ მაისი არ გაუთენდა.”

(“ტრიპტიხი: ვერლებ”)

პოლიპტოტი იმპლიციტურ სურათებს ქმნის. მაისის გედი – ბენიერების მოლოდინი ოცნებაში, რომელიც, ალბათ, იმზომ არის ბენედი, რომ ახდება არ უწერია, უკავშირდება “არგათენებულ მაისს”, ანუ აუხდენელს.

“ხარსა ხარი მისდევს მზესთან,

ვინ დაითვლის წითელ ხარებს?”

სიმბოლური სიტყვების, “მზე” და “წითელი”, ეფექტს აძლიერებს ერთგვარი სამკუთხედი: “ხარსა”, “ხარი”, “ხარებს.”

უშეალოდ პარონომაზიის მაგალითებია:

“ხარის ლანდი გაჩნდა ტევრში. ზღვა ადარ ჩანს ოქროს  
მტვერში” (“წითელი ხარი”)

პარონომაზიული წყვილი 16-მარცვლიან მაღალ შაირში  
შიდარითმას ქმნის.

“ჩვენ გლეხს სჭირდება ფართალი,  
სინათლე და სამართალი.”

(“მეორე საგლეხო მომგებიანი სესხი”)

ფართლისა და სამართლის გარითმვა, მათი ალიტერაციული ქლერადობა და ერთგვარ წევრებად მოყვანა, შინაარსობრივი კონტრასტიდან გამომდინარე, სტრიქონებს ირონიულ ელფერს ანიჭებს. ეს ლექსი მოგვიანებით, 1925 წელს არის დაწერილი და ყურადღებას იმსახურებს, როგორც პაოლო იაშვილის ერთ-ერთი პირველი ავტოლოგიური ლექსი.

მრავლად არის პარექეზის-ფსევდოეტიმოლოგიური ფიგურის, მაგალითები, სადაც განსხვავება ერთ ასოს ან მარცვალს მოიცავს. პარექეზები ძირითადად რითმულ წყვილებში გვხვდება: მტვერმა – მტვერმა; ბაღებს – აღებს (“დაცემულ ბათომს”); სურდა – ხურდა; დარაბაზე – დარბაზი (სონეტი “კოპაინის ბუში”); სახეთი – ქახეთი (“გიორგი ლიონიძე”); ქარი – ქმარი (“ელენე დარიანი წერს უბრალოდ და აბნეულად”); და ა. შ.

დამატების ფუნქციას ასრულებს პლეონაზმი, ფიგურა, რომელიც სინონიმური მნიშვნელობის მოჭარბებულ განსაზღვრებებს მოიცავს და თავისი თვისებებით კლიმაქსს ედარება, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ კლიმაქსში ყოველი მომდევნო განსაზღვრება აღრმავებს წინამდებარეს და უფრო შთამბეჭდავად წარმოგვიდგენს. ორივე ფიგურა დიდ როლს ასრულებს პოეზიაში. შეიძლება პროზაული ენა ვერ პგურის გადაჭარბებულ განსაზღვრებებს, მაგრამ პოეტური ენა თავისუფლად ითავსებს.

“ჩემი ოთახი ცისფერია, ნაზი ფერია”

(“ზამთარში”)

ხაზგასმა აკონკრეტებს და ყურადღების კონცენტრირებას ახდენს ფერზე, რაც ლექსის მნიშვნელოვან ფონს ქმნის.

“მე ის მახარებს, მამაისებს ბაღში შემოსულს”

(“უვერტიურა”)

მდგომარეობის გამოსახატად არასაკმარისია სიტყვა “მახარებს”, ამიტომ მოიხმობს მომდევნოს ---“მამაისებს”, რომელიც ნაწარმოებია “მაისიდან”. ეს თვე ყოველთვის ზემოს, დღესასწაულს უტოლდება პაოლო იაშვილის შემოქმედებაში

და მისგან ნაწარმოები ზმნა უფრო ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის რეალურ მდგომარეობაზე, სისარულის რეალურ კონდიციაზე.

“უკანასკნელად გაჩნდა ბრომელი,  
მწვანე ცილინდრით, თვალ ნისლიანი.”

(“აღი არსენიშვილი”)

უოველი მომდგვნო მსახურელი უფრო აკონკრეტული და ადრმავებს წარმოდგენას. მწვანე ცილინდრი ბრომელის არატრადიციულ, არაორდინარულ გემოვნებაზე მიუთითებს, ხოლო თვალისლიანი—მის მდგომარეობაზე, რომელიც ასევე ორი კუთხით შეიძლება განიხილოს: ნისლი თვალებში, როგორც რეალური სამყაროს არატრადიციული აღქმა.

“ხარ მოელვარე კით სატევარი,  
ემორჩილები მზეს და იადონს.”

(“ნიკო ლორთქიფანიძე”)

ამ ორ სტრიქონში ნიკო ლორთქიფანიძის მთელი შინაგანი სამყარო აისახება. მისი “თვალიშვილური” სიფიცხე და შინაგანი ესთეტიკური სიფაქიზმ-პაოლო იაშვილის მიძღვნითი ხასიათის ლექსებში პლეონაზმი და კლიმაქსი განსაკუთრებით ჭარბად არის გამოყენებული.

გამეორების ყველაზე გავრცელებული ფორმაა ანაფორა. გვხვდება ანაფორის სამი სახე: ლექსიკური, როდესაც გამეორებულია ერთი და იგივე სიტყვა; სინტაქსური, როდესაც მეორება გრამატიკული კონსტრუქცია; და ფონეტიკური, რომელიც ეფუძნება ბერების ან ბერათშეთანხმების თანხვდენას. ლექსიკური ანაფორის მაგალითებია:

“ჩემი ცხოვრება ისეთია, როგორც ოცნება,  
ჩემი წუხილი, სიხარულიც ტრფობის ბრალია,  
ჩემს სხეულს მეფობს ხან სინაზე, ხან საოცრება.”

(“უკერტიკურა”)

“შენი ლექსი წითელ ძროხის ჯოგია,  
შენი გული ყვითელ ოქროს მორგვია,  
შენი სული--- აღგომის ელოგია”

(“გიორგი ლეონიძეს”)

“პატარა ბალიშს დაეცა ცრემლი,  
პატარა ფილტვებს მიეპარა ჭლექი და ხველა.”

(“ლილი მეუნარგიას”)

მესამე, დეტერმინაციულ სინტაგმას, ადგილი აქვს შეცვლილი. სინონიმების ამგვარი განლაგება—ამპიფლიკაცია, ექსპრესიულობას აძლიერებს. ამავე დროს სამივე სინტაგმა სუბსტიტუციური ხასიათისაა და პირველი მსაზღვრელის ჩანაცვლება დანარჩენი ორით მნიშვნელობას არ ცვლის.

“იყო მათი მოვლენა წითელი ქარტებილი,  
იყო მათი ყვირილი მხურვალედ დატებილი.”  
(“ფარშვეანგები ქალაქში”)

ანაფორა ახდენს აღნიშნული ფრაზების ეფექტის გაძლიერებას ყურადღების კონცენტრირების საფუძველზე. ფონეტიკური ანაფორის მაგალითებია:

“საგნებო გზაზე სიბნელეა, არ ჩანს არავინ,  
სასიზმრო ლოცვა ვიგალობე უკანასკნელი”.

(\*\*\* “უკანასკნელი მოვიხესნი ტანსაფარავი”)

“ან დავიძრუნოთ ჩვენი აჭარა,  
ანდა ბათომთან დავტოვოთ ძვლები”

(“დაცემულ ბათომს”)

ფონოლოგიური ანაფორის მაგალითია შემდეგი სტრიქონები:

“ატებილია მიწა ზვიადი,  
კენტავრის სირბილს “ლილლეს” აყოლებ,  
ატარებ, როგორც ალკივიადი  
ცხელ, გახურებულ დარიდახოლებს”.

(“გრიგოლ რობაქიძეს”)

ლექსებში სინტაქსური ეპიფორა არ გახვდება. ფონოლოგიური ეპიფორები შეინიშნება მოსაზღვრე რითმით გამართულ ტაქტებში: კედელი—ჭედელი (“წითელი დღე”), ბინა—რკინა, ქარტებილი—დატებილი, პიოლნენ—სვიოდნენ (“ფარშვეანგები ქალაქში”), რახტი—ტახტი (“სევდიანი ზურმუხტი”), ჯოგია—მორგვია—ელოგია (“გიორგი ლიონიძეს”).

მესამე ტიპის ოპერაციას წარმოადგენს გადასმა. გადასმის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ანასტროფა, ფიგურა, რომელიც გადასმას აწარმოებს როგორც სიტყვაში, ასევე სინტაქსურად მოწესრიგებულ ფორმებში. კერძოდ, ადგილს უნაცვლებს მსაზღვრელ—საზღვრულს. ქართული ენისათვის ანასტროფის ეს ფორმა უფრო ორგანულია და პოეტურ ენაში განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება. შესაბამისი მაგალითები მრავლად არის პაოლო იაშვილის ლექსებშიც:

”მწვანე ტალღებში დავამშვიდებო ჩვენს ვნებას ალურს”.  
 (“პირამიდებში”)

“იმდეროს მამასთან ის ნანა ტბილი “  
 (“წერილი დედას”)

“ცეცხლიან ყვავილებში მოჩენება წითელი”  
 (“წითელი ხარი”)

“ხწუხს დედოფალი: დაფანტულა ფიქრი მრავალი”  
 (“სევდიანი ზურმუხეტი”)

სინგაქსურ დონეზე წარმოქმნილ ფიგურებს მეტატაქსისის  
რაიონი მოიცავს. ყველაზე ინტენსიურად გამოიყენება: პარალელიზმი, ამფიპლიკაცია, ანაკოლუთო, ვოლიტივი, აპოზიოპეზისი, პიპოს-ტაზისი, პროტაციზმი, კუზემპლიტიკაცია, ეროტემა, კპიმონა და ა. შ.

პარალელიზმი მსგავსი ელემენტების ერთგვაროვან მდებარეობას აღნიშნავს. სინონიმური პარალელიზმი განსაკუთრებით ხშირად გვხვდება პოეზიაში.

“სილიან ტანით მდინარისკენ გავეშურებით,  
 მწვანე ტალღებში დავამშვიდებო ჩვენს ვნებას  
 ალურს” (“პირამიდებში”).

პირველი წევრის აზრი ხაზგასმულია მეორეში გადმოცემული შინაარსით. ხდება დაკონკრეტება.

“დიდი ხანია გერიდები და ვარ მდუმარი,  
 შენთვის ვარ მხოლოდ ახლობელი, მხოლოდ  
 სტუმარი” (“მარიამ წერეთელი”).  
 პირველი ტაქტი ახსნილია მეორე ტაქტით.  
 “ვერლენს სციონი, დადიონი გაუპარსავი,  
 უნდოდა საწყალს ბედის აკალი გამოეცვალა”  
 (“ლარიბი ვერლენი”)

ანტიტეტური პარალელიზმის პირველი წევრის აზრი გამდაფრებულია მეორეში გამოხატული კონტრასტული შინაარსით:  
 “ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა,  
 ანდა ბათომთან დავტოვოთ ძვლები.”

(“დაცემულ ბათომს”)

პარალელიზმის მეორე წევრები ხშირად ამფაპლიკაციურია.  
 პაოლო იაშვილის ლექსებში ინტენსიურად გამოიყენება  
 ანაკოლუთი და მისი სახეები. ინადადების წყობის სინგაქსური  
 რდევევა სხვადასხვა ხასიათს ატარებს. ანაპოდოტონი წინადა-  
 დებას არდგენს მასში სხვა წინადადების ჩართვით:

“ღმერთო! აპატიუ—  
მე თუ ვერ მიშველი,  
დედას, რომ დაგინთოს ჩემ სიგრძე სანთელი”  
(“წერილი დედას”)

აპოზიოპეზისი მეტყველებას არღვევს გრძნობების მოძალების გამო:

“ყვავილებია ჩემს გარშემო!... მაისი მინდა....  
(“სონეტი ელლის”)

“ამაღამ, მგონი იქნება ქარი!...

ვაი დედოფალ ტყემლების ბრალი!”

(“ელენე დარიანი წერს უბრალოდ და აბნეულად”)

აპოდოზისი და პროტაზისი რთული ქვეწყობილი წინადადების შემადგენელი ნაწილების ლინგვისტური სახელწოდებაა:

“რაც გვაწამებდა, ყველაფერი მზემ გამოცვალა”  
(სონეტი).

მთავარი წინადადება აპოდოზისია, დაქვემდებარებული—  
პროტაზისი.

“და ჩვენი ქებაც სილამაზის რომ გათამამდეს  
ოქროს ტაძრებში ლოცვების დროს მალარმე  
გვწამდეს” (ტრიპტიხი: მალარმე”).

“და როცა მოვა სურნელება მზით მოტანილი,  
ემჩევა სახეს საკვირველი გაზურმუხტება.”

(“სეკვიანი ზურმუხტი”)

პოლო იაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინტონაციურ მრავალფეროვნებას. განსაკუთრებით, ეროტემბს და ვოლიტივებს. ეროგება მოიცავს რიტორიკულ კიოხვებს, რაც ექსპრესიული ხასიათის ლექსებში თავის-თავად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს:

“გათავდა ნადიმი. სად არის მხლებელი?”  
(“ჩემი თავადი”)

“ვერპარნ! ვიხრჩობით! ცეცხლის ზღვაში რა  
გვეშველება.”

(ტრიპტიხი: ვერპარნ”)

“ღმერთო! სად არი ჩვენი ბედი, ჩვენი იღბალი.”  
(“მღუმარე ვედრება”)

ვოლიტივები აგებულია ზმნის მოდალურ ფორმებზე. ასეთი ფოგურები ძირითადად მიძღვნითი ხასიათის ლექსებში გვხვდება:

“მოდი, ვნახოთ შენი გარე კახეთი,  
სადაც სიტყვა წარსულით გაერთობა.”  
(“გოორგი ლიონიძეს”)

“წავიდეთ, სანამ მოვა დილა თვალგასახელი  
სანამ მზის სხივმა არ აანთო ქვისფერი ფარდა”.  
(“დამე კუბოში”)

გვხვდება ალონიძის მაგალითიც, რაც სახელის ვარიანტული სახელდებით შეცვლას გულისხმობს:

“ჰა! კინგოს პროფილი,  
საჭევო ტარნები,  
და დავიკუნტები  
ქალაქის ქუჩებში მე--- სალახანა” (“წერილი დედას”).

მეტაპლაზმების მრავალფეროვნება პოეტის შემოქმედებითი სიმწიფისა და ინდივიდუალობის საქმაოდ მნიშვნელოვანი მახასიათებელია არა მხოლოდ გრაფიკული გამოსახულების თვალსაზრისით, არამედ ინტონაციის გათვალისწინებითაც. ქართული ლექსის რეფორმისათვის, რასაც პაოლო იაშვილი ისახავდა მიზნად, სათანადო ყურადღების არეალს წარმოადგენდა ფიგურათა სიჭარბე, ოხტატურად გამოყენების ნიჭი და დახვეწილობა. ამასთან,

მეტაპლაზმა განსაკუთრებული სიცხადით ასახავს პოეტის ოვითმყოფადობას.

**გამოყენებული ლიტერატურა:** 1. თავბერიძე თ.; "სატირული გამოსახვის თავისებურებები," 2001წ. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სარისხის მოსაპოვებლად; 2. აშილი პ.; "პოეზია, პროზა, კრიტიკული წერილები, პრადი მმმოწერა"; თბ., 2004წ. 1 გ. 3. რობაქიძე გრ.; "დრამები, წერილები თეატრის შესახებ;" თბ.ი, 2003წ. 4. ახმანოვა Օ.; "Словарь лингвистических терминов"; М., 1966г. 5. კვატკოვსკი ა.; "Поэтический словарь"; М.; 1966г.

**Ketevan Enukidze**

### The Metaplasms in Liric of Paolo Iashvili

The creativity of Paolo Iashvili which consider figures in the phonetic, morphological and syntactic plan creates magnificent ground for studying by a method of the Belgian scientists (M-group). The figure is one of important factors for revealing poetic individuality. The metaplasms unite figures of a phonetic and graphic level. It is necessary to note, that the poet uses a significant amount of the metaplasms.

## **თემურ ბერიძე**

### **ბედის თვითნებობა თუ ფატალური გარდუგალობა (მიხეილ ჯავახიშვილის „ორი შვილი“)**

მას შემდეგ, რაც ადამიანი იწყებს აზროვნებას, იგი განუწყვეტლივ ეძიებს ბრძოლისა და სიკვდილის მიზეზს. პირველი ადამიანი ამ მიზეზს პოულობს ბუნების მოვლენებში, ხოლო ანტიური დროის ბერძენი ყველაფერს უცნობი, ყოვლისშემდეგ ფატუმით სხის (7.9). გაიაზრებს რა ბედისწერის სხვადასხვა ინტერპრეტაციებს რელიგიას, ფილოსოფიასა და ლიტერატურაში. იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ბედისწერის თქმას და ამიტომაც ხშირად წარმოაჩენს მას.

მწერალი შეუძლებელია გულგრილი დარჩეს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც უზნეოდ გაივლის ცხოვრების გზას და ბოლოს „ბედი მდევარით“ წამოწეულებს სამუდამოდ ეპარგებათ ამქვეყნიური მონაბოვარიცა და სულიერი სიმშვიდეც. ამ ტიპის ადამიანების ცხოვრების აღწერისას მწერალი გულგრილი როდია, ის მტკიცნეულად განიცდის გარკვეულ სოციალურ გარემოში მოქცეული ადამიანის ბედის თვითნებობას. ბედისას, რომელსაც საბოროდ დაუმახინჯებია ადამიანთა სული.

მოთხოვთაში „ორი შვილი“ ასახულია სოციალური ყოფით შეშინებულ ადამიანთა ცხოვრების ჩვეული რიტმიდან ამოგარდნა და გადაგვარება, ბოლოს კი მათი ფსიქოლოგიური კრიზისი, რითაც „მიხეილ ჯავახიშვილის მოთხოვბები ერთ საპატიო ადგილს იჭერს ქართულ ლიტერატურაში. კიდევ მეტი, მან მოთხოვბების ფორმა ბევრი ახალი, ორიგინალური თვისებებით გაამდიდრა. სიუჟეტის სიმძაფრე და თხრობის ფრიად პლასტიკური ხასიათი რეალიზმით აღსავს პერსონაჟებთან ერთად, მიხეილ ჯავახიშვილს ანიჭებს ფრიად ორიგინალური მწერლის სახელს“ (2,44).

მწერალი მოთხოვდებში დასმული პრობლემებით მკითხველში ერთდროულად აღძრავს სიძულვილსაც და სიბრალულსაც.

სოფლის განაპირას მედუქნის ოჯახში ცხოვრობს. ცოლქმარი ნატო და ზაქრო ბოროტი ადამიანები არიან. მათვის დუქნიდან შემოსული ფული ცოტაა, ზედმეტი ფულის შოგნისათვის ადამიანთა ხოცვასაც არ თაკილობენ.

მოთხოვდა ზაქროს მიერ დიდზვარელი თევდორესაგან ცხენის ყიდვით იწყება. ზაქროს დუქანშივე შეადგენენ ნასყიდობის სიგელს, ზაქრო ცხენში ორმოც თუმანს გადაუხდის თევდორეს. თევდორე და თავისი პატარა შვილი – შიო შინ ბრუნდებან.

მედუქნე ზაქრო თვალებით ჰბურლავს მიმავალთ.

დუქანს ცოლს ჩააბარებს, ხანჯალ-რევოლუციას აისხამს და მიმავლებს გამოუდგება.

მოთხოვდაში ნაჩვენებია ზაქროს თავდაგასავალი: „ოცდა-ათი წელიწადი დალია ამ დუქანში, ჯერ ბიჭად ჰყავდათ, მერე დიასახლისად, შემდეგ მოზიარედ“ (1,154). პირველი ეჭვი მკითხველს ზაქროს პატიოსან ცხოვრებაზე ამხანაგის მკვლევლობიდან იბადება: „ერთ დღეს მისი ამხანაგი ქალაქის გზაზე იპოვნებს გაგუდული. მუდანორელი თათრები საპატიმროში დაალპეს, ზაქროს კი მოკლულის წილი, ქამარ-ხანჯალი და გაქონილი ხოხა – ქურქიც არ ეყო ვალის ასანაზღაურებლად“ (1,154). სავარაუდოა, ზაქროს პირველი მსხვერპლი „მომავალი ბედნიერებისათვის“ ეს ამხანაგი უნდა ყოფილიყო. ალბათ, აქედან დაიწყო ამ ტრაგიკული „ბედი მდევრის“ წინასწარ განზრახული გეგმა, რომ შური ეძია მოთხოვდის მთავარ გმირზე, რომელმაც ორმოცი თუმნის გულისათვის საწყალი თევდორე სიკვდილისათვის გაიმეტა. ამიტომ თუ იმიტომ... ორმოცი თუმანი გზაზე არ ჰყრია, ამ ორმოც თუმანს, დღეს რომ გამოიდო თევდორემ ზაქარიამ სამი თვე შესწირა, ამიტომ...“ (1,154).

ეს ორმოცი თუმანი, ის ფულია, რომლის მოპოვებასაც ძალლური შრომა, და ამ ხნის კაცის რიურაჟიდან შუალამებდის ფეხზე დგომა სჭირდება. „ყბედობს, გვის, ვაჭრობს, ხარშავს, რეცხავს და ალაგებს, როცა ეტირება – იცინის, თუ ეცინება ტირის, როგორც მუშტრის შეხამება. ზოგჯერ აბაზის მოსაგებად, მუშტარი რომ რა დააფრთხოს, ორ საათს მასხრობს, ან ბიჭივით ტრიალებს (1,153).

ზემოთ მოყვანილი სტრიქონები ცხადყოფს, როგორ მართავს ულმობელი ბედისწერა პიროვნების ხასიათს, მის სულსა და გონებას. და ასე უახლოვდება „ბედი-მდევრისაგან“ გამართულ გოლგოთას.

ოცდაათი წელიწადი ებრძოდა ფულის დემონს. ოცდაათი წელი გაღიმებულ-არიებულმა, ადამიანთა ხოცვით სულდამი-მებულმა იარა ცხოვრების გზაზე. მექქსე მკლელობაც უსაყარლესი შვილის მომავლის საძირკველის შემზადების“ გულისთვის ჩაიდინა. ამიტომ გამოასალმა სიცოცხლეს საწყალი თევდორე: „შემდეგ კი არასასურველი მოწმის თავიდან მოსაშორებლად დაედევნა თევდორეს შვილს“ (3,46).

დგება მომენტი, როცა კაცისმკვდელი თავის სისხლიან წარსულს გადახედავს. მწერალი გვიჩვენებს მოთხოვნის მთავარი პერსონაჟის თვითგანწმენის სურვილს. ქვეცნობიერებაში მიმალული ცხოველური შიშის დათრგუნვის ცდას (3,4).

შუამთაში წავა, შავნაბადას მოივლის, ალავერდსაც ეწვევა, მცხეთასაც – ყველას თითო საკლავს მიუტანს. სანთლებს დაუნთებს და შენდობას მიიღებს“ (1,64). ეს არის ბედისწერისაგან დაშინებული, ადამიანთა სისხლით დამძიმებული კაცის შიში.

სისხლი, წყველა, მუქარა, სიძულვილი... მერე ყველაფერი ერთმანეთში ირევა, წარსული აწმეოს გადაეჯაჭვება:

სიბნელეში ზაქრო შემთხვევით თავის საყვარელ შვილს კლავს, ხოლო მისი მეუღლე ნატო – დუქანში მძინარე „უცხო“ სირაჯს, რომელიც მათი უფროსი ვაჟი აღმოჩნდება. შემთხვევით გადარჩენილ შიოს მიერ მოყვანილი გლეხები გადააბრუნებენ გამებებს და ზაქროსა და მის მეუღლეს მათ მიერვე დახოცილ შვილებს დაანახვებენ.

ზაქროს ოჯახს უწია ფატალური „ბედი მდევარის“ მსახვრალმა ხელმა. „სწორედ ამ ლოგიკურმა მიზეზ-შედგეობრივმა კავშირმა. ფატალურმა გარდაუვალობამ განსაზღვრა ის, რომ ზაქრომ თავისი ხელით მოკლა საკუთარი შვილი. ფატალური გარდუვალობა კი მიხეილ ჯავახიშვილის ამ პირობით რკალის მოთხოვნების პერსონაჟებისათვის, ... ყოვლისმომცველი და შეუცალი დეტერმინაცია, რომლისგანაც შეუძლებელია გაქცევა, რადგანაც იგი ამ ადამიანებისათვის „შექმნილ“ სამყაროს საფუძვლებშია ჩამარხული“ (3,6).

დაიმსხვრა, გაცამტებერდა წლების განმავლობაში ნაგრო-  
ვები, ნაცოდვილარი, არამიც და ნაოფლარიც, ქონებაცა და  
ოჯახიც.

ზაქროს ოცნება შვილის „კაცებში გარევისა“, ამ ჩანაფიქ-  
რისათვის გაღებული ყველა მსხვერპლი, უმიზნოდ დაიკარგა.  
მწერალმა ამ მოთხრობით ნათლად დაგვანახა, რომ გარემოე-  
ბამ ადამიანი რაც უნდა თავის ნებაზე მიუშვას, რაც უნდა  
მეტი უფლება და გამბედაობა მისცეს საკუთარი გამდიდრები-  
სათვის, აღჭურვის უსაზღვრო სისატიკითა და ტანჯვით, რათა  
მიაღწიოს რაღაც ძალაუფლებას, მაინც გამუდმებით უნდა  
ახსოვდეს, რომ ის მხოლოდ ადამიანია. ან შესაძლებელია, პი-  
რიქით: „სადაც გაიქცეს, იქთო წაიქცეს, – ბედმა დასცეს, უმი-  
მეს სატანჯველში ჩააგდოს, ის მაინც არ უნდა დაეცეს, არ უნ-  
და გაბოროტდეს, გამხეცდეს, უნდა გამაგრდეს, მტკიცედ შეებ-  
რძოლოს გარემოებას. მას გაუდმებით უნდა ახსოვდეს ხალხის  
მიერ ბრძნული ნათქვამი: „რაც არ გერგება, არ შეგერგებაო“.  
ადამიანის მიერ ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა მიუტევებუ-  
ლი, მოუნაიებელი ცოდვაა და ამ ცოდვის ჩამდენს მტკიცედ  
უნდა სწამდეს „ბედი მდევარის“ წამოწევის ფატალური გარდუ-  
ვალობა. თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში, მიზეზები სულში  
უნდა ვძებოთ და, რა თქმა უნდა, იმ სოციალურ გარემოში, სა-  
დაც მოუწია მას ცხოვრების ამ მძიმე უდლის ზიდვა. მაგრამ,  
ზაქროს ტრაგედია უმდლეს სამართლიანობად გვევლინება (3,48).

მიხეილ ჯავახიშვილის ამ მოთხრობას აღბერ კამიუს  
„გაუგებრობას“ თუ შევადარებთ პარალელები გამოკვეთება,  
კამიუსთვის გაუგებრობა თუ შემთხვევითობა არის ცხოვრების  
აბსურდულობის გამოხატულება, ადამიანი გარემოებათა ტყვევა.  
„უტედურება აღმემატებოდა მე“, – იტყვის პიესის გმირი და  
მწერალი ამით წარმოაჩენს ადამიანებს, როგორც ბედისწერის  
სათამაშოებს. მიხეილ ჯავახიშვილი კი ბედისწერას გაიაზრებს,  
როგორც ადამიანის ცხოვრების, ფიქრის, განცდისა თუ განზ-  
რახვის გამოძახილს. ცოდვა აუცილებლად უწევს ადამიანს.  
ცოდვა იქცევა ბედისწერად“ (6,73).

მიხეილ ჯავახიშვილის ეს მოთხრობა ერთდაგვარი თანა-  
დორულობაა ბედის თვითნებობისა, რომელსაც დაუმორჩილე-  
ბია და წინასწარ განუზრახავს მისსავე კაბალაში მოქცეული  
ადამიანის ბედი, რომლის პრიციპიც მიზეზ-შედგეობლრიგი  
კაგშირის ფატალური გამოვლენაა.

**გამოყენებული ლიტერატურა:** 1. მიხეილ ჯავახიშვილი, თხულებანი, ტ. II, თბ., 1959 წ. 2. დიმიტრი ბენაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1959 წ. 3. ნუგზარ შაგულიძე, „ჩანჩურადან არსენამდე“, თბ., 1988 წ. 4. შოთა აგლაძე, მიხეილ ჯავახიშვილის მოთხოვნები, თბ., 1991 წ. 5. მაია ყანხაშვილი, „ზეობრივი გმირის პრობლემა მიხეილ ჯავახიშვილის რომანების მიხედვით“, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2005. 6. მაია ჯალიაშვილი, „ბედისწერის ორი ინტერპრეტაცია (მიხეილ ჯავახიშვილის „ორი შვილი“ და კამიუს „გაუგებრობა“), ქ. „ერიტერიუმი“, № 8, თბ., 2003 წ. 7. მიხეილ ჯავახიშვილი, „ჰერიკ იბსენი“, თხ., ტ. VI, წერილები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1980 წ.

**Temur Beridze**

## **Arbitrariness of Destiny or Fatal Inevitability**

(According to Mikheil Javakhishvili's Story "Two Sons")

In this work it is analyzed Mikheil Javakhishvili's story "Two Sons", where the main hero with his bad behavior is spoiling his way of life, killing his partner of property and ??? sons accidentally in this article it is underlined fatal inevitability of "Destiny Persecution" and the psychological and social aspects of persons life. Coming this, finally, is formed the end of the story.

## **მერი ტორაძე**

### **ტიციან ტაბიძის ესე „ომის თემა ქართულ მწერლობაში“**

თანამედროვე სამყაროში ბევრს ფიქრობენ და მსჯელობენ ომზე, ბძოლაზე, ანტაგონიზმზე, რომელიც უკავშირდება ადამიანის სულის დესტრუქციულ საწყისებს. რეფლექსის საგანი ისიც არის, თუ რა მიზანს ემსახურება ის დღეს. “ომებს აწარმოებდნენ ხოლმე იმ იმედით, რომ რაიმე სარგებელი ენახათ მოწინააღმდეგის დამარცხებაში, ომები კი წარმოებდა ისე, რომ განზრახვა სისრულეში მოყვანილი ყოფილიყო რაიმე ისეთი საშუალებით, რომელიც ააყირავებდა მოწინააღმდეგის ჩანაფიქრს” (უმბერტო ეკო).

ტიციან ტაბიძის ესე „ომის თემა ქართულ მწერლობაში“ სწორედ ამგვარი სარგებლის ნახვის - „ფერფლით ამდგარი საქართველოს“ ხილვის მოლოდინშია დაწერილი, 1915 წელს. საქართველო I მსოფლიო ომში „აღმოჩნდა ჩარეული“ (ტიციან ტაბიძე) და ავტორის განსჯა, ჩაფიქრება ომის საკითხებზე ამ ომში ჩვენი მონაწილეობით, ჩვენთვის მისი მნიშვნელობით არის განპირობებული.

ესეს მთავარი პათოსი მის პირველივე სიტყვებშია გამჟღავნებული - „არავის ვმსახურებდეთ, არცა ვემონოთ, გარეშე ღვთისა დამბადებელისა... და ვინ იტყვის, რომ საქართველომ არ იცოდა სიცოცხლე, რომ მან არ იცოდა ბრძოლა და თავისუფლება, სილამაზისთვის არ მიეტანოს მსხვერპლი“ - თავისუფლებისადმი მიძღვნილი ასეთი ჰიმნით იწყებს ესეს ტიციან ტაბიძე და თავისუფლების იდეას სიცოცხლისა - ბრძოლისა და სილამაზის ესთეტიკას უკავშირებს.

ქართველი მოაზროვნეებისთვის ერთ-ერთი ყველაზე საკრალური იდეა - სამშობლოს თავისუფლებისა - ტიციან ტაბიძის მიერ

დამუშავებულია ესეისტური – ნახტომისებური, ფრაგმენტული არათანმიმდევრულობით და ურთიერთ– გამომრიცხავი არგუმენტებით გაჯერებული მსჯელობით, მაგრამ ამ ფორმალისტური მოზაიკურობის მიღმა შინაგანად შეკრული შინაარსი იკითხება – ლოგიკური და თავისუფალი. ეს შინაარსი, ერთი მხრივ, ემყარება ტრადიციულ, ერთგვარად დეკლარაციულ დამოკიდებულებას ქვეყნის თავისუფლებისადმი – „ვაჟას საქართველო ის საქართველოა, როცა ის თავის თავს ეყუდნოდა“. ეს არის ქვეყნის პოლიტიკური დამოკიდებლობის სურვილი. მასთან თანაარსებობს თავისუფლების, როგორც ადამიანის მიერ სამყაროში თავისი მოწოდების განხორციელების უპირველესი პირობის გააზრება და სამშობლოს და თავისუფლების ეს განუყორელი ცნებები სულიერ კატეგორიებად წარმოდგება.

თავისუფლება გულისხმობს ერის მიერ თავისი თავის შეცნობას, ხოლო თვითშემეცნების სტიმულატორად ტიციანს მსოფლიო ომი ესახება. „თანამედროვე ომის ერთი დიდი მნიშვნელობა, სხვათა შორის, იმაშიც არის, რომ ყველა ერს ჩაახედებს თავის სულის სიღრმეში, ნათელზე გამოიყვანს იმ ფიქრს, რომელიც დიდი ხანია მტვერმიყრილი და ცოცხალმკვდარი იყო... ამ ომში საქართველოც არის ჩარეული... და დამტკიცდა, რომ წინაპართა ანდერმი კიდევ ცოცხლობს ქართველებში“.

ეროვნული სულის შემეცნება ტიციან ტაბიძესთან ავანგარდისტული პათოსით ხორციელდება და მებრძოლი ანტიტრადიციონალიზმის ელფერი აქვს. ოღონდ ეს პათოსი დამანგრეველი კი არ არის, არამედ, პირიქით, თავისუფალი და კეთილი წების გამოხატულებაა, რომელსაც სურვილი აქვს, გახდეს საკუთარი თავის შემოქმედი, პოზიტიურად გარდაქმნას სამყარო.

„მეშჩანურ ჭაობს ჯერ კიდევ არ დაუმირავს კაცობრიობა“, – წერს ტიციან ტაბიძე და აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ვაჟა: „დამე მაძლრები დასწვებით, დილით მშივრები სდგებითა... თავის ჯამს ჩასცერთ, საქვეყნოდ არცროს არ გამასდგებითა... არ იცით, დასჩნდით რისადა, ან რისათვისა ჰკვდებითა!“ –(1909წ.).

მეშჩანური ჭაობისგან თავისდაღწევა მოდერნისტი შემოქმედისთვის დინამიზმს, მოძრაობისკენ, შეურიგებლობისკენ ეპატა-

უკურ ლტოლვას, ახალგაზრდობის და სიახლის კულტის აღიარებას ნიშნავდა. მაგრამ, ცხადია, ვერავითარი წოვაცია ვერ განხორციელდება თავისუფლების – პიროვნებისა თუ ერის თავისუფალი ნების აღსრულების შესაძლებლობის გარეშე. და თუ თავისუფლება ადამიანის შინაგანი სულიერი შემოქმედებითი ძალაა, მაშინ მხოლოდ ამ ძალის მეშვეობით ხდება ადამიანისთვის შესაძლებელი ინერტული მდგომარეობიდან გამოსვლა – ახალი ცხოვრების, ახალი საზოგადოების, ახალი სამყაროს შექმანა – „არც ერთი ახალი გრძნობა, ახალი განცდა, ფიქრი... წინდაწინ გრძნობ ვის შეუძლია ახალი სიტყვების მონახვა, ვის გაუელვებს ახალი ფიქრი“ – წერს ტიციან ტაბიძე და, უპირველეს ყოვლისა, ერთ – ერთ უდიდეს ქართველ წოვატორს – ვაჟა-ფშაველას გულისხმობს. „ვაჟას პოეზიაში ფიქრიც არაა ომის ბოროტებაზე“ – ასეთი, ჩვენი აზრით, ცალმხრივი კატეგორიულობით მსჯელობს ტიციან ტაბიძე ვაჟას პოეზიის შესახებ და ომს განმაახლებელ ფენომენად, განმაახლებელ სტიქიად მოიაზრებს.

ომში ადამიანის ფიზიკურ გარსს სპობენ, ადამიანის შუაგული კი, მისი სული, შესაძლოა, არ მხოლოდ არ მოისპოს, არამედ აღდგეს და განახლდეს კიდევ (ნიკოლაი ბერდიაევი). ასეთი პარადოქსული აზროვნება მოდერნიზმისთვის შინაგანად ახლობელია, მან ბევრი ტრადიციული ნორმა და შეხედულება გადასინჯა. ტიციან ტაბიძისთვის ომი ბოროტების, სიკვდილის დამმარცხებელი ძალაა. „საქართველო თავის კუბოში ცოცხლადაც რომ ჩაიჭედოს, სიკვდილზე არ ფიქრობს,... ერის სული კიდევ ყვავილობს და არ ჭენება“. ყველაზე დიდ ანტიჰუმანურობად, უაზრობად და აბსურდად მიჩნეულია არათავისუფლება, რაც განცდილია, როგორც სულიერი კრიზისი, პიროვნებისა და ერის, სამშობლოს არათავისუფლების გაცნობიერებით გამოწვეული მტანჯველი გრძნობა. ომის აპოლოგიის აზრი ისიც არის, რომ არსებობს სიკვდილზე უარესი ბოროტება – მონობა, ანუ გამუდმებული კვდომა.

ავანგარდისტული პათოსის მიუხედავად, ტიციან ტაბიძე ემყარება ომისადმი ქართულ ლიტერატურაში გამოკვეთილ დამოკიდებულებას, ქართული ლიტერატურის ჰეროიკულ იდეალს – „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა...“ ტიციანი ამ ტრადიციული

დამოკიდებულების ტრანსპონირებას XX საუკუნის რთულ ვითარებაზე ახდენს, მაგრამ ამ პოლიტიკურ და სულიერ ვითარებაში ორიენტირება მას უჭირს, როგორც „რომანტიკოსს“.

ტიციან ტაბიძის იმედი I მსოფლიო ომს ტყუილ – უბრალოდ არ უკავშირდებოდა: ამ ომმა გამოიწვია სამი იმპერიის დაშლა და, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობაც მისი შედეგი იყო. მაგრამ, მეორე მხრივ, მსოფლიო ომმა გზა გაუხსნა ტოტიალიტარულ მოძრაობებს – ბოლშევიზმს, ფაშიზმს და საქართველოს ხანძოკლე დამოუკიდებლობა ერთ – ერთმა ამ მოძრაობამ იმსხვერპლა. ასე რომ, ომი, საბოლოოდ, მართლაც ტოტალური ბოროტება აღმოჩნდა. სწორედ ასე იაზრებდა ამ ომს ზოგიერთი ევროპელი მწერალი, მაგალითად ჰერმან ჰესე.

როგორც ცნობილია, ჰესე თავიდანვე შეეწინააღმდეგა I მსოფლიო ომს. 1914 წელს გამოქვეყნდა მისი სტატია „ო, მეგობრებო, ნუ გამაგონებთ ამ ხმებს“, რომელიც დასათაურებული იყო რეჩიტატივის სტრიქონით ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის ფინალიდან. დიდი კომპოზიტორის იდეალების მსგავსად, მწერალი აღლვებულ საზოგადოებას ჩააგონებდა: „სიყვარული სიძულვილზე მაღლა დგას, მშვიდობა კი ომზე უფრო კეთილშობილურია“. მსგავსმა მოწოდებებმა და, საერთოდ, ჰესეს მთელმა ანტისაომარმა მხატვრულმა პუბლიცისტიკამ, რომელიც იბეჭდებოდა მისი რედაქტორიბით გამომავალ გაზეთში „დოიჩე ინტერნირტერ ცაიტუნგ“, მთელი გერმანული პრესის აღშფოთება გამოიწვია. დიდი ჰუმანისტი მწერლისათვის არ დაიშურეს ცნობილი იარღიყები – „სამშობლოს მოღალატე“, „ნაძირალა“, „დეზერტირი“. ყოველივე ამან და პირველ რიგში კი თვით ომმა, მწერლის ცნობიერებაში მძიმე მსოფლიმშედველობრივი კრიზისი გამოიწვია.

ერთმანეთის თანამედროვე ორი მოაზროვნის – გერმანელის და ქართველის ურთიერთსაპირისპირ დამოკიდებულება I მსოფლიო ომისადმი სრულიად აშკარაა. ეს განსხვავება პოზიციებს შორის განპირობებულია, ერთი მხრივ, საქართველოს და გერმანიის მდგომარეობის განსხვავებით. ქართველი პოეტი მოელის თავისი ქვეყნის გათავისუფლებას, გერმანელისთვის კი ეს პრობლემა არ არსებობს. იგი ომს აღიქვამს არა ქვეყნის პოლიტიკური ინტერე-

სების თვალთახედვით, არამედ ჰუმანისტი ინდივიდუმის პოზიციიდან. ტაბიძეც, ცხადია, ჰუმანისტია, მაგრამ მისთვის მთავარი ქვეყნის ინტერესებია. ჰესესთვის ომის საშინელება ახლოს არსებული რეალობაა, ტიციანისთვის – შორეული (გეოგრაფიული აზრითაც). ამ შორეულ რეალობას ტიციანი პოეტურად წარმოსახავს, პოეტურ – ჰეროიკულ საბურველში ხვევს. მისი პოეტური ოცნების-თვის ბიძგის მიმცემი კი მტკიცნეული პატრიოტული გრძნობაა.

**Mary Toradze**

### **Essay - "Theme of War in Georgian Writing" by Titsian Tabidze**

The main pathos of Titsian Tabidze's essay is expressed in his even the first words - "Serve no one, be no slave for anybody except the God... And who may say that Georgia did not know the life, that is did not know freedom, and has not sacrificed for beauty", this is the anthem to freedom that is the opening of the essay of Titsian Tabidze and relates the idea of freedom to the esthetics of life-fighting and beauty.

One of the sacral ideas of freedom of native land for Georgian thinkers has been worked out by Titsian Tabidze in essayistic way, skipping, fragmental, inconsequential discussions, saturated with inter-excluding arguments, but one can read the united contents under the formal mosaic surface - that is the logic and free contents. On the one hand the contents is based on traditional, declarative relationship toward the freedom of the country - "Vazha's Georgia is Georgia that belonged only to itself". That is the wish of political freedom. it is combined with the perception of personal freedom as the first term for realization of his/her calling by human in the world, These interwoven concepts of personal freedom and the freedom of native land are presented as the spiritual categories.

## **ნანა ქობალია**

# **„ავტოლთ წიგნის ხელოვნება შესაფერი გემოვნებით“**

1

XX საუკუნის 10-იანი წლები ეროვნულ ტრადიციათა მო-  
დერნიზების და ორიგინალური ლიტერატურული ნაკადების და-  
ბადების ხანაა. ამ პერიოდში ფეხს იყიდებს და მკვიდრდება  
ახალ-ახალი ლიტერატურული მიმართულებები და ესთეტიკური  
შეხედულებები. ყველა ლიტერატურულ გაერთიანებას თავისი  
პერიოდული ორგანო პქონდა, გაშლილი იყო მძაფრი პოლემიკა,  
აზრთა ჭიდილში იკვეთებოდა სხვადასხვა შემოქმედებითი ტენ-  
დენცია და მიმართულება. შეიძლება ითქვას, ამ პერიოდის ქარ-  
თული ლიტერატურის ისტორიაში თვისებრივი განახლების  
დრო, ჩვენი სულიერი ცხოვრების ერთგვარი გარდამავალი ეტა-  
პი დადგა. მართალია, სამოღვაწეო ასპარეზს ტოვებენ ქართუ-  
ლი მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მაგრამ, ამავე  
დროს, ქართულ მწერლობაში ლიტერატურულ ვაკუუმს ავსებენ  
ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედები, რომლებმაც საფუძველი ჩა-  
უყარეს ორიგინალური შემოქმედებითი ტენდენციების დამკვიდრებას.

XX საუკუნის 10-იანი და 20-იანი წლების პუბლიცისტიკის  
ძირითადი ხასიათი მძაფრი პოლიტიკური ნებისა და ეროვნული,  
სულიერი კულტურის გამოხატვაა. პუბლიცისტიკაში იმდროინ-  
დელი როლი პოლიტიკური მოვლენები (1918-21წ.) ყველაზე  
ნათლად აისახა. ქართველი მწერლები და ინტელიგენციის  
პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი ქვეყნის წინაშე მდგარ  
უმწვავეს საჭირობოროტო საკითხებს სიღრმისეულად ადიქვამდნენ.

“ცისფერყანწელები” აქტიურად იღწვოდნენ ესთეტიკური  
პრინციპების სრულყოფისათვის. ამ მხრივ საინტერესოა არა-  
მარტო მხატვრული ნაწარმოებები, არამედ პუბლიცისტური  
წერილებიც.

ეს ის პერიოდია, როცა სამწერლო ასპარეზზე ჩნდება გიორგი ლეონიძე. მისი პირველი ლიტერატურული წერილები 1914 წლით თარიღდება. გიორგი ლეონიძის პუბლიცისტიკა, თემატიკისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით, მრავალფეროვანია. მწერალს მიგნებული ფორმა და თავისებური სტილი აქვს. მდიდარი ფანტაზია და ისტორიული სინამდვილე მხატვრულადაა წარმოჩენილი, ჩანს ეროვნული მოტივების წვდომა. ეს არის მთავარი საყრდენი, ძირითადი ძალა, რაზეც აგებულია სიუჟეტები. მწერალი არ იკეტება ვიწრო ჩარჩოებში, ამიტომაც მისი წერილები უაღრესად მნიშვნელოვანი და დროულია. ორიგინალური ხედვა და მანერა წერილებს გამორჩეულ ადგილს აკუთვნებს. სისადაცვე და ხატოვანება ხსნის სათქმელს.

გიორგი ლიონიძეს შორეული თუ ახლო წარსულის პრობლემები მოსვენებას არ აძლევდა. „ქართული წიგნიც“, რომელიც გაზეთ „საქართველოში“ 1918 წელს დაიბეჭდა ამომწურავი და ტვადია. ცხოვრებისეული საწყისი საჭირბოროტო დეტალების მოძიებაში კლინდება. მწერალი ფაქტებით გვაახლოებს არგუმენტირებულ პოსტულარებითან. იგონებს იოანე მთაწმინდელს, იოსტოს ანდორნიკაშვილს, დავით რექტორს. მათ, ვინც იცოდა წიგნის ფასი. ამხელს ვაჭარ-გამომცემლებს, ეხება ისეთ რუსულ გამომცემლობებს, როგორიცაა „გრიფი“, „სკორპიონი“, „გელიერი“, საქართველოში მათზე დირსეულად იოსებ გრიშაშვილის პოეტური კრებული მიაჩნია. წერილიდან ვგებულობთ, რომ ამ პერიოდში ქართულ წიგნს კრიზისი მოსხალებია, ვიტრინებზე ედგარ პოს, შარლ ბოდლერისა თუ სხვათა ტომეულები უმნიშვნელო წიგნებმა შეცვალეს. ამიტომაც ამ პერიოდს „წიგნის შიმშილს“ უწოდებს და ქართული წიგნის წამორჩენის მიზეზებს ეძებს.

ქართული წიგნის ჭირისუფალი, ეროვნულ-კულტურული იდეალების სრულყოფილად წარმოჩნია- ასეთია წიგნის მოამაგის სახე. წერილში გამოაშკარავებულია ეპოქის მანკიერი მხარეები, წიგნისადმი უპატივისცემლობა, უყურადღებობა, ვაჭარგამომცემლების მომრავლების ტენდენცია. „კეთროვანი“ ქართული საზოგადოების დირსების ნულოვანი მაჩვენებელი მწერლის გულისწყრომის საბაბი ხდება. თუ ძველის მოგონება სიამაყიო ავსებს, თანამედროვეობა კულტურულ პრინციპებს მოკლებულია. ყველაფერი დამაჯერებელ და არგუმენტირებულ კანონზომიერებას ემყარება. კლასიკური ხერხებით გვიხატავს ტრადი-

ციულს. იქვეთება კონტრასტული სურათები, საფიქრალს გვიტოვებს: “განა რამე ღირდა კეთროვანი ქართული საზოგადოება? ან ცბიერი ქართველი მწერალი, რომელიც ირონიასი იშლება მუდაშ და იჭვიან უდაბნოსავით ასრულებს ასპარეზს!” (გაზეთი “საქართველო”, 1918 წელი, №222, გ. ლეონიძე, “ქართული წიგნი”).

“ქართული წიგნი” საინტერესო კომპოზიციური აღნაგობია. წარსულისა და აწყოს პარალელები დასმული პრობლემა-იკით ემოციურად დატვირთულია. ყოფით დეტალებს ავტორი მხატვრულ ფორმად აქცევს, რაც წერილს მაღალ ზექობრივ სისპეჩაკეს ჰქმავს. წიგნი ქართული ეროვნული კულტურის საგანძურია, საუკუნეთა ქარცეცხლში გამოვლილი ეროვნული ოვითმყოფობის მატიანეთა. “სახლი ჩვენი ძველია და შავი ყავარი გვატყედება თავს”, – ამ ლაკონური განსაზღვრის ფონზე გიორგი ლეონიძე ახლებურ გააზრებას გვთავაზობს. დიდია პასუხისმგებლობაც. მწერალი სწვდება საგნის არსეს, ორი-სამი შტრიხიც საკმარისია კვლევა-ძუების წარმოსაჩენად: “რევოლუციამ ვერ ჩამოჟქნა ბრინჯაო გაათასნაირებულ სულიო შერთული, მისთვის რომ არ ამტკიცებას ხაქტების ცემა საუფლო რევოლუციისა... პირველმდები შაბლონის ჯვარედინები აღარ არის უგზაური და შეუალი” (გაზეთი “საქართველო”, 1918 წელი, №222, გ. ლეონიძე, ”ქართული წიგნი”).

წერილი პოეტურ ინტონაციაზეა აგებული. სიტყვათა დაჯგუფება ლექსის ფორმას აძლევს. კილო გაბედულია, აღქმა-ვოზუალური. გიორგი ლეონიძის პუბლიცისტიკას კონტრასტული დაპირისპირების ტრადიციული, კლასიკური ხერხის გამოყენება ახასიათებს. მოვლენები ერთდროულად აღიქმება, ეხამება ერთმანეთს – ეს გოგლასეული სტილია.

“ქართულ წიგნში” ისმის პოეტის უსიტყვო ხმა, დუმილზე უფრო ჩუმი და გვეიმედება: “იქნებ ჩვენ მიერაც აიფურცლოს: ფერთოვლი და ხელსარეკანი...”

სანთლებური წიგნი” (გაზ. “საქართველო”, 1918 წ, № 222, გ. ლეონიძე, ”ქართული წიგნი”).

ქართულ წიგნზე ფიქრი არასოდეს განელებია მწერალს. მათი ლოგიკური გაგრძელებაა 60-იანი წლებში დაწერილი მაბხილებელი წერილი “ფიქრები ქართული წიგნის გარშემო”. ყურადღება გამახვილებულია პირველ ნაბეჭდ ქართულ წიგნზე. ქართული წიგნის გადასარჩენად წარმოაჩინა დავიტ აღმაშენებლის დამოკიდებულება ძვირფასი საგანძურისადმი.

წერილი ორი ნაწილისაგან შედგება. ქართული წიგნის ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად გაპრიტიკებულია სტამბა და გაუმართავი შრიფტი, არადამაქმაყოფილებელი პოლიგრაფიული დონე. ავტორი მტკიცნეულად განიცდის საგამომცემლო კულტურის უსუსურობას. ეროვნულ-ზნეობრივი კუთხით აქცნებს საკითხს. მართებულად მიიჩნევს ტექნიკური საშუალებების გადახალისებას. ტექნოლოგიური ციკლების გაუმჯობესებას. სურვილი აქვს ქართული დამწერლობა ორიგინალური, ინდივიდუალური, დახვეწილი გრაფიკით გამოიჩინა.

მწერალი მომთხოვნია, მაგრამ, შემწყნარებელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბეჭდვით გამოცემებს. იგი “ბრალმდებელიცა” და “დამცველიც”. “განა ბევრი გვაქვს პოლიგრაფიული ხელოვნების მხატვრული შედევრები? ხომ აქლიათ ხშირად ჩვენს გამოცემებს მხატვრული სინატივე, შესავერი გემოვნება? ხომ ცოტას ვზრუნავთ წიგნის მხატვრულ მხარეზე, განა ბევრი გვვანან წიგნის სპეციალისტები, წიგნის ხელოვანი ენთუზიასტები, ბიბლიომანები, გინდ წიგნის გამავრცელებელი, წიგნით მოვაჭრენი... განა დავიკვეხებთ წიგნის სამაგალითო მაღაზიებით? განა შეგვიძლია წიგნის მსოფლიო გამოფენაზე გავიმარჯვოთ?” (გამ. “ლიტერატურული გაზეთი”, №16, 13 აპრილი, 1962 წ. გ. ლეონიძე “ფიქრები ქართული წიგნის გარშემო”).

საკითხებში დრმად ჩახედული ავტორი ცდილობს ხელი შეუწყოს მრიფების განახლებას. რომ გაუმართავი ქარხანა ბევრს ვერაფერს შეძლებს. მწერალი ყურადღებას ამახვილებს ყდის მხატვრულ ხარისხებიც. ორიგინალური, ინდივიდუალური და დახვეწილი გრაფიკა მისადაგებულია ეროვნულ სიმდიდრესთან და ქართულ სიმაყეს განსაზღვრავს: “ვის რათ უნდა უნდილი და უმარილო წიგნი? აუცილებელია კი ვიზრუნო ყდის მხატვრულ ხარისხებიც, შევქმნათ ქართული მხატვრული ყდაც.” (გამ. “ლიტერატურული გაზეთი”, №16, 13 აპრილი, 1962 წ, გ. ლეონიძე, “ფიქრები ქართული წიგნის გარშემო”)

დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცემის ვიზუალურ მხარეს, დიზაინი სტრუქტურის განმსაზღვრელია. თითოეული ელემენტი კომპოზიციურ-გრაფიკულ არქიტექტონიკას ქმნის. გამოცემები კი ტექნიკურ-დიზაუნურ ფასეულობებს ეფუძნება. კრიტიკისას ავტორი ფრთხილიც არის და ზუსტიც.

წიგნი გიორგი ლეონიძისთვის სალოცავ-სათაყვანებელია. მას არაერთი პუბლიცისტური წერილი თუ ნარკვევი მიუძღვნია

ქართული წიგნის გამოცემის ისტორიული საკითხებისათვის. თოქმის კულტურული პუბლიკაციაში ყურადღება მახვილდება წიგნთ-მცოდნეობის საკითხებზე. “ფიქრები ქართული წიგნის გარშე-მო” - გიორგი ლეონიძე დასაწყისს იშველიებს X1 საუკუნის მოდგაწის - დავით ჯიბისძის სიტყვებს, რომელიც მწერლის ნაფიქრის უშუალო დადასტურებაა: “პირველ სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაი არს. დმერთმან მზე და მთვარე ხორცთა ჩვენთა სახმარად დაპბადნა, ხოლო – წიგნი – სულთა ჩვენთა განმანა-თლებლად მოგვამდლნაო” (გაზ. „ლიტერატურული გაზეთი”, №16, 13 აპრილი, 1962წ, გ. ლეონიძე “ფიქრები ქართული წიგნის გარშემო”.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ვახტანგ მეექვსის ღვაწ-ლზე ქართული წიგნის გამოცემაში. ხახს უსვამს უძველესი ქართული ხელნაწერების მაღალხარისხიან გამოცემებს. სინაც-ლით აღნიშნავს, რომ ძველთან შედარებით გაუმართავი წიგნე-ბი იძექდება. გული სტკივა, რომ 1629 წელს სასტამბო შრიფ-ტად ჩამოსხმული ქართული ანბანი ნორმალურად არ დამუ-შავებულა და კვლევის გზა არ გაუვლია.

მწერლის გულისტკივილი სამართლიანია, პრობლემა წლების მანიფლზე იდგა საზოგადოების წინაშე.

“ფიქრები ქართული წიგნის გარშემო” ქართული სალიტე-რატურო კრიტიკის ისტორიაში საინტერესო ფურცელია. ოქმები მრავალ ასპექტშია გაშუქებული. მწერალი პრინციპულ მნიშვნე-ლობას ანიჭებს ქართული წიგნთმცოდნეობის ცალკეულ სა-კითხებს. საუბრობს წიგნის ახალ- ახალი სერიების შექმნასა და ტიპიზაციაზე. “სასაჩუქრო” და ე.წ. “სათანაო” (გზაში თან-საჩარებელ) წიგნებზე. გიორგი ლეონიზის აზრით, წვერულებე-ზე ან საიუბილე შეკრებებზე, პატარებისთვის კარგი იქნება, თუ სხვა ნივთებს “სასაჩუქრო” წიგნები შეცვლის:” მხოლოდ მონდომებაა საჭირო და გამოცემლობების ფხიანობა. კვიქრობ, არც “საჩუქრისა” და არც “სათანაოს” სერიები არასოდეს არ ჩაწება საწყობებში ზოგიერთი წიგნებივთ” (გაზ. ”ლიტერატუ-რული გაზეთი”, №16, 13 აპრილი, 1962 წ, გ. ლეონიძე, ფიქრები ქართული წიგნის გარშემო”)

მწერალი დაინტერესებულია ქართული მხატვრული ლი-ტერატურის გავრცელებითაც. საუბრობს ისტორიული, მემუარუ-ლი ლიტერატურის გამოცემებზე, რომლებიც აუცილებლად უნ-და შევიდეს თბილისიდან დაშორებულ კუთხეებშიც. აგრორი ეხება სოფლის მაღაზიებში წიგნის “ შეუფერებელ ასორტი-

მენტს”, რასაც მკითხველისადმი უპატივისცემლობად თვლის: “სოფლის მკითხველისადმი ასესებ უსულგულო, აგდებით დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს.”(იქვე), - აცხადებს მწერალი. აქვე ასაბუთებს სოფლებში პატარა ბიბლიოთეკების არსებობის აუცილებლობას, რაც ხელს შეუწყობს წიგნის პროპაგანდას. გიორგი ლეონიძე საუბრობს კატალოგების შექმნაზეც, ცალკე გამოყოფს მემუარული ჟანრის წიგნებს, რომლებიც ისვიატადა გამოცემული. პუბლიკაციაშვ მითითებულია, რომ უნდა განახლდეს ძველად პოეტურ ანთოლოგიად მიჩნეული სახალხო ცალენდარ-ალმანახ “ჩანგის” გამოცემა. ეს იყო ტრადიციული საახალწლო საჩუქრები ქართველი მკითხველისათვის. ამ წიგნში აუცილებელია შევიდეს ისეთი “ანტიკა” წიგნებიც, რომლებიც დღეს თვით ბუკინისტთანაც აღარ მოიძებნება.

ბუკინისტური მაღაზიის გაუმართაობის საკითხიც ერთ-ერთ პრობლემად რჩება. ცნობილია, მწერალი აგროვებდა საინტერესო წიგნებს საქართველოს ლიტერატურული მუზეუმისა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკებისათვის. უმრავლესობა შეძენილი პქონდა ბუკინისტურ მაღაზიაში. თუმცა, უსახსრობის გამოხელი ეშლებოდათ მუშაობაში.

საზოგადოებას გიორგი ლეონიძემ სამომავლო ჩანაფიქრი გაუმჯდავნა, მიუთითა განხილული ღონისძიებების მნიშვნელობაზე და სუბიექტური პოზიციები დააფიქსირა.

მწერალი ზრუნავს ისტორიის ფასდაუდებელი ძეგლების აღდგენა-შესწავლაზე. ამისთვის “ავალდებულებს” გამომცემლობა “ზარია ვოსტროკას” ხელახლა გამოსცეს ქართველ კლასიკოსთა რესული თარგმანები შესწორებული ვარიანტებით. იგი დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს აღნიშნულ გამომცემლობას. მწერლის აზრით, მან უნდა აღზარდოს მთარგმნელთა კადრები და გააძლიეროს ახალი ძალებით. გამომცემლობას არ უკარგავს “ვეფხისტეაოსნის” რესული თარგმანისთვის დამსახურებას, მაგრამ ამჯერად საჭიროდ მიიჩნევს კონგენიალური თარგმანის არსებობას. ორგანიზატორებთან ერთად, უკრადღებას ამახვილებს წიგნის სპეციალისტთა აღზრდაზე, ბიბლიომანების, წიგნის რაინდების შემოკრებაზე. მოტივე მიზეზობრივად ისხება. გიორგი ლიონიზეს უყვარს წიგნი, პატივს სცემს და კლილიაგება ქარტულ პერგამენტებს. ამის დასტურია მწერლის თავდაღებული შრომა, სიძველეთა კვალში ჩადგომა და დაუ-

ლალავი სამეცნიერო პელევა- ძიებანი. ქართული კულტურის წიაღში მოპოვებული საგანძურის მუზეუმებში თავმოყრა. ერთ-ერთი ამ საქმეტაგან ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმია, რომელიც გიორგი ლეონიძის სახელს ატარებს.

მწერალმა წერილში ერთ-ერთმა პირველმა დასვა საკითხი “წიგნის სახლის” დაფუძნების თაობაზე. “წიგნის სახლის”, ანუ მუზეუმის დაარსება მწერლის ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცა, რომელსაც მოგვიანებით “ერის სალოცავი” უწოდა. კრიტიკა მწერლის პიროვნების შინაგან სულიერ სამყაროზე მიგვანიშნებს. პირადი “მე” უმაღლეს დირებულებათა საზომს უკავშირდება.

გიორგი ლეონიძე საგამომცემლო საქმის განვითარებას დიდებული ტრადიციების დირსეულ გაგრძელებად ოვლის. პრობლემა პუბლიკაციაში ზოგადპაცობრიულია, დროიტ, სიერცით განსაზღვრული. მან გამოიკვლია რუმინეთის გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ანთიმოზ ივერიელის ქართულ სინამდვილესთან კავშირი და დაასკვნა, რომ ანთიმოზ ივერიელი იყო “პირველი ეროვნული ქართული სტამბის ორგანიზაციონური გახტანგ მექქესესთან ერთად.

1951 წლის აპრილში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე გიორგი ლეონიძე უპირველესად ქართული წიგნის საკითხს შეეხო: “ქართველ ააცს უყვარდა და უყვარს წიგნი... მობრძანდით საქართველოს მუზეუმში დამ ის სეიფებში, ნახავთ ასობით მხატვრულად შემკობილ წიგნს, ოქროს ვარაყით, ძვირფასი კამარედებით, დიდი მხატვრული გემოვნებით შემქულს... შენახულია მრავალი მინაწერი ცნობილ ქველ პერგამენტებზე იმის შესახებ, თუ სადღაც ოსმალეთში, საარსეთში და ან უფრო შორეულ ადგილებში ტყვეობაში გადახვეწილი ქართველები უკანასკნელი უდილი როგორ დაიხსნიდნენ ხოლმე ტყვეობიდან ქართულ წიგნებს.” (”ურნალი “ლიტერატურები და ხელოვნება”, №17, 1951წ, გ. ლეონიძის სიტყვა წარმოქმული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე).

წიგნისადმი დამოკიდებულებას ემზარ კვიტაიშვილი მოგონებაში “გიორგი ლეონიძე – წიგნის ტრფიალი” – აღნიშნავს: ლიტერატურული პოეტის ედუარდას მექელაიტისის კრებულის თხოვნისას ბიძისგან ასეთი პასუხი მიუღია: “ ფრთხილად წაიკითხე, არ გააჭუჭყიანო, ტალახიანი წიგნები არ მიყვარსო. სწორე დეს სიტყვა იხმარა, “ტალახიანი”, და ამით წიგნისადმი თავის ფაზიზ დამოკიდებულებაზე მიმანიშნა, რაც, რასაკვირველია საწ-

უნდა არ უნდა დამრჩენოდა.” (მწიგნობარი, 1995-96 წწ.ემზარ კვიტაიშვილი “გიორგი ლეონიძე-წიგნის ტრფიალი”)

გიორგი ლეონიძე ცოცხალ არსებასავით ესიყვარულება წიგნს, ეს იყო მისი ყოველდღიური სალოცავიც. შინაგანმა ბუნებამ, სულის მოწოდებამ განაპირობა მრავალმხრივ საგულისხმო გამოკვლევების, მეცნიერული ნაშრომებისა თუ საგანეთო სტატიების შექმნა, უდიდესი წიგნთსაცავის – ქართული ლიტერატურუს სახელმწიფო მუზეუმის გახსნა. მწერალი ბოლომდე იხარჯებოდა და ამაყობდა კიდეც: “ მე მინდა გითხრათ, რომ 22წელი შევალივ ამ დიდ საქმეს, მაგრამ ვამაყობ ამით... რასაკვირველია, მუზეუმები სხვაგანაც არის, მაგრამ არსად არა აქვს ისეთი დიდი მნიშვნელობა მუსეუმს, როგორიც ჩენები. ჩენი მუზეუმი არის ერის სალოცავი.” ( მწიგნობარი, 1995-96წწ.ემზარ კვიტაიშვილი – “გიორგი ლეონიძე – წიგნის ტრფიალი”)

წერილი “ფიქრები ქართული წიგნის გარშემო” მთავრდება საკუთარი მრწამსის, ამოსავალი კრიტერიუმის განხოგადებით. “ჩვენი საწიგნე, ჩენი ქართული თარო უნდა დავამზევნოთ, გავამდიდროთ უფრო დამაზად, ხელოვნურად დაბეჭდილი წიგნებით.” (გ.ლეონიძე, 2000წ, “სიტყვა წარმოთქმული ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში 1964 წლის ზაფხულს”).

გოგლასეული პუბლიცისტური მანერა ოსტატური ხელოვნების სიმბოლოა, დასასრულიც ორიგინალურია: - “ავწიოთ წიგნის ხელოვნება შესაფერი გემოვნებით.” (გაზ. “ლიტერატურული გაზეთი”, 13 აპრილი, 1923წ, გ. ლეონიძე, “ფიქრები ქართული წიგნის გარშემო”).

## Nana Qobalia

### "To Lift Art of the Book to Tastes"

Giorgi Leonidze is the writer who never stopped thinking about Georgian book. As a proof of it serves his publications written in 60's. Among them essential place is conferred to the letters: "Thinking Around Georgian Book" and "Georgian Book".

The letters are of interesting compositional construction and are loaded with emotions of problems set by parallels of the present and the past, and immoral sides of the epoch are revealed.

Giorgi Leonidze treats Georgian book with love, his inside nature-anticipated creation of the very essential scientific works and newspaper articles.

## ალექსა დრე ასათია ი

### ასათიანთა გვარის წარმომავლობის შესახებ (ლადო ასათიანის ბიოგრაფიისათვის)

ასათიანთა გვარის და მათი საცხოვრებლის ადგილმდებარეობის შესახებ სხვადასხვა ცნობები არსებობს. თვითონ ცაგერის რაიონი თავისი გადაღმა და გადმოღმა სოფლების ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მაგ. გურიაში, ქართლში, იმერეთში მეტ-ნაკლები რაოდენობით ასათიანები ცხოვრობენ.

მგვლევარი ჭეტრე ჭაბუკიანი წერს წიგნში „ასე იტყვიან ჩემზე“ „ასათიანთა სამშობლო კუთხე ლეჩხუმია, ისინი აქ გამრავლებულან და სახლობენ ოც სოფელში: აღვა, ბარიძნალა, გაგულები, დერჩი, დეხვირი, დღნორისი, ზოგიში, ლაბეჭინა, ლაილაში, მახაში, მექვენა, ნასპერი, ორხვი, ტვიში, უჩახელო, ქორენიში, ჭყვიში, ცაგერი და სხვა.“

გვაქვს ასევე უფრო დაწვრილებითი ცნობები ასათიანთა წარმომავლობისა და სადაურობის შესახებ. პროფესორ ლევან ურუშაძის მიერ მოპოვებული ცნობები, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელი და მისაღებადა ჩვენთვის. 2001 წ.-ს პროფესორმა ლევან ურუშაძემ ლ. ასათიანის სახლ-მუზეუმს გადასცა დიდი ზომის გვერდიანი ნაშრომი „ლადო ასათიანის გენეალოგიური შტო“, სადაც დამაჯერებლადაა ახსნილი და დაწერილი არა მხოლოდ პოეტ ლადო ასათიანის გენეალოგია, არამედ საერთოდ, ასათიანის გვარის წარმომავლობა. მოვიყვან მცირე ნაწყვეტს ამ ნაშრომიდან: „თავად ასათიანთა საგვარეულო სათავეს იღებს ლეჩხუმელი სამეფო აზნაურების ქველი და არდაშელი ასათიანებისაგან, რომლებიც მოღვაწეობდნენ V საუკუნეში. საერთოდ ისტორიული წერილობითი წყაროების (მათ შორის იოანე ბაგრატიონის თხზულებების) თნახმად ლიხთ-იმერეთის ასათიანები არიან ხორნაბუჯელი თავადების – ვაჩნაძეების ჩამომავალი. ასათ ვაჩნაძის ძე გრიგოლი 1177 წელს უფლისწულ დემნას აჯან-ყებაში მონაწილე დიდებულთა შორის არის დასახელებული თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ. დემა უფლისწულის დამარცხების შემდეგ გრიგოლმა და მისმა ოჯახმა დატოვეს კახეთი და იმერეთს შეუფარეს თავი. აქედან იღებს სათავეს ლიხთ-იმერეთის ასათიანები“. როგორც პროფესორი ლევან ურუშაძე განმარტავს: „პირველი თავადი

ასათიანი იყო ხახუტა I ასათიანი, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა

VIII ს-ის პირველ ნახევარში. მისი მეუღლე ყოფილა მამია III გურიელის ასული თამარი -კოჭიბროლა, მას შემდეგ, რაც მას გარდაცვლია მეუღლე, იმერეთის მეფე, გიორგი VI, მათი ქორწინება შემდგარა 1720-იან წლებში, ანუ გიორგი VI-ის გარდაცვალების შემდეგ.

ურთიერთგამომრიცხავი ცხობები გვაქვს ასათიანის გვარის ზემო იმერეთში ცხოვრების შესახებ. იმერეთში ასათიანები რომ ადრიდანვე მკვიდრობენ, ეს კარგად ჩანს ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავირიდანაც, რომელიც 1578წ-ს არის შედგენილი. ბეგრის დავთარში ნათევამია: „საყუავის ტყე ქუთაისის საზღვარს ზედათ ქუთაისამდე სამოძო არის, და ასათიანის საზღვარს აქათ“. როგორც ირკვევა VII საუკუნეში ასათიანის ადგილ-მამული ყოფილა „ქუტირს“ და მას ესაზღვრებოდა „ზედათ“ და „აქათ“ ქუთაისის სამოძო „საყვავის ტყე“. აქედან ცხადი ხდება, რომ ასათიანთა კიდევ ერთი შტოს საცხოვრისი ქვიტორს (იმერეთს) ყოფილა. ზემო იმერეთში ასევე ცხობილია ასათიანი „ბუმბერაზის“ სახელით, რომელსაც გადმოცემით არჩილ ბატონიშვილი წვრთნიდა და რომელსაც რუხის ომში მიუღია მონაწილეობა, სადაც გასაოცარი ვაჟები გამოუჩენია.

წიგნი „ასათიანთა საგვარეულო“, რომელიც გამოიცა 2003 წ-ს ქ. ჩხა-ტარაიშვილის რედაქტორობით: „ასათიანთა გვარის კიდევ ერთი საცხოვრისი ყოფილა გურიაში, სახელდობრ სოფ. ასკანაში. აქ ასათიანები თავიანთ წინაპრებს ადრეულ საუკუნებში დამკვიდრებულად თვლიდნენ. ასკანის ციხე-სიმაგრის აგებასაც თავიანთ წინაპრებს მიაწერდნენ და წინანდელ გვარად „ასკანიანს“ ასახელებენ“. ეს კარგად ჩანს ე. მელეშეოს 1848 წ-ის ჩანაწერების მიხედვით.

დავუბრუნდეთ ლეჩხუმელ ასათიანებს. უნდა ითქვას, რომ ლიხთ-იმერეთის აზნაურ ასათიანებზე მეტად ჩანა, ლეჩხუმელი ასათიანები. როგორც ო. სოსელია ვარაუდობს, წიგნში „ასათიანთა სათავადო“ „შეიძლება მათ განშტოებას წარმოადგენდნენ ზემოობს სენგებული ასათიანები“, რომლებიც უამთა სვლის გამო სხვაგან წავიდნენ და მომოიფანტნენ. ლეჩხუმში კერძოდ სოფ. ჭაშლეტის 1650 წ-ის ახლო ხანს ვხედავთ დაოუა ასათიანს, რომელსაც ერთი გლეხი, ხურციძე უჭირავს (იხილეთ დას. საქ. საექლესიო საბ.. I, გვ. 54).

ასევე ვხვდებით რაჭაში ბარაქონის (რაჭა) ეკლესიის 1736 წელს „ხოტეურ“ გულანის გადამწერ იესე ასათიანს. ამავე გულანშია მოხსენიებული მღვდელ-მონაზონი ასათიანი!

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილი, მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963 წ. გვ. 113.

როგორც ო. სოსელიას წიგნიდან ირკვევა, VIII ს-დან იწყება ლეჩუმელ აზნაურ ასათიანთა ერთი შტოს დაწინაურება, ამას ხელს უწყობს ოდიშის სამთავროში ახალი ჩიქვანთა დინასტიის გადადიანება. ამ დინასტიიდან გამოსული ბეჟანის მთავრობის დროს (1714-1728 წ.) იზსენი-ება პირველად ხახუტა ასათიანი, რომელიც ბეჟანთან კარგ განწყობაში ყოფილა და მას ბეჟანი „ერთგულ ყმას“ ეძახის, მასვე უბოძებია სოფ. ცხუკუმურში „სგიმონ ჩიქვანისეული“ ერთი კომლი გლეხი მისი მიწა-მამულითა, ჭერ-მარნითა, სახლ-კარითა.

ეს ხახუტა ასათიანი უნდა იყოს პირველი გათავადებული აზნაური, რომელიც ასათიანთა საგვარულოში ისტორიული გაღმოცემითაა ცნობი-ლი (ცნობები ინახება ირინე და ლილი ასათიანების ოვახში, ქ. თბილისში).

ხახუტა ასათიანის მამის სახელი ისტორიულ წყაროებში არ არის შემონახული და არც გადმოცემებმა იცის. როგორც ვარაუდობს ო. სოსე-ლია მისი მამა უნდა ყოფილიყო დათუა ან „მწერალი“ იქსე ასათიანი. ხახუტა ასათიანის გათავადება თამარ იმერთა დედოფლის მეორე სახელით, კოჭიბროლას სახელს უკავშირდება. თამარის ანუ იგივე კოჭიბროლას შესახებ ორი ურთიერთ გამომრიცხავი ცნობა მოგვეპოვება. ერთი ისტო-რიული წყაროებით და მეორე, ზეპირგადმოცემით.

ვახუშტის ცნობით, თამარი მამის გურიელის ასულია. ისტორიული წყაროებით თამარ ოდიშის მთავარზე გიორგი ლიპარტიანზე დაქორწინდა (1709-1711 წ.), ხოლო ცოტა მოგვიანებით 1714 წ. თამარს ახალციხის საფა-შოში ვხედავთ. აქ ნახა იგი გიორგი VI, ცოლად შეირთო და იგი იმერეთის დედოფლადი გახდა. თუმცა თამარის მეორე სახელი კოჭიბროლა ვახუშტი ბატონიშვილმაც არ იცის და ის ამ სახელით მხოლოდ პაპუნა ორბელიანს ჰყავს მოხსენიებული, შემდეგ კი ნიკო დადიანს. სავარაუდოა, რომ ნიკო დადიანის წყაროს პაპუნა ორბელიანის „ამბავი ქართლისანი“ უნდა წარ-მოადგენდეს. ხოლო თავად პაპუნა ორბელიანს ამბავი ზეპირსიტყვიერი ის-ტორიული გადმოცემებიდან უნდა ჰქონდეს აღებული. გადმოცემის მიხედ-ვით თამარს, რომელიც კოჭიბროლადაა მოხსენიებული, და რომელიც მხატვრულ ლიტერატურაში შესული ეს სახელი „ტანის აღნაგობისა და განსაკუთრებული სიმშევნიერის გამო ეწოდა<sup>1</sup>.

ისტორიულად მტკიცდება, რომ თამარის თანამედროვე გიორგი VI 1720 წ-ს მოკლეს და ტახტზე ავიდა გიორგის შვილი პირველი ცოლისაგან (მასაც თამარი ერქვა სახელად. ის ქართლის მეფის გიორგი I-ის ასულ როდამისაგან ნაშობი იყო.

<sup>1</sup> დესპინე გელოვანი, „მორეული ლანდები“, თბ., 1959 წ. გვ. 61. (იხ. სატ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა- ახალი კოლექცია, ტ. I. გვ. 78. მინაწერი 11).

ზეპირსიტყვიერი გადმოცემით კი ეს ამბავი სულ სხვაგვარადაა მომზდარი: კოჭიბროლას მისმა მეუღლემ გიორგი VI „დალატის იჭვნეულობით სიკვდილით დასჯა მიაპყრო“. როცა დასასჯელად უდაბურ ტყეში წაიყვანეს, იქ ხახუტა ასათიანმა ჯალათები მოისყოდა და დედოფალი ლეჩხუმში გააპარა. ამასობაში მეუე გარდაიცვალა და დედოფალი ხახუტა ასათიანის სკულიირი მეუღლე შეიქმნა. კარგა დროის გავლის შემდეგ, კოჭიბროლა ქმართან ერთად გიორგი V-თან გამოცხადდა. უკანასენელმა ორივენი დიდი პატივით მიიღო, ხახუტას თავადობა უბოძა და მრავალი ყმითა და მამულით დაასაჩუქრა“. როგორც ჩანს, ხახუტას გათავადებას ხელი კოჭიბროლამ შეუწყო. როგორც ო. სოსელია ამტკიცებს „ხახუტა იყო პირველი თავადი ასათიანი, – ვისგანაც მომდინარეობენ შემდგომ სხვა ლეჩხუმელი თავადი ასათიანები. ასე რომ, ასათიანები ლიხთ-იმერეთის ძირძველ თავადთა რიგგბს არ ეკუთვნოდნენ, რომელთაც თავადის წილება მეფის წყალობით კი არ ჰქონდათ მიღებული, არამედ წინაპართაგან მემკვიდრეობით მოსდგამდათ.

VIII ს-ის დასავლეთ საქართველოს გამოჩენილ თავად-აზნაურთა რიგებში ასათიანები ჩანან, მათ შორის სოლომონ I-ის 1759 წ-ს მიცემულ ტყეთა სყიდვის აღკვეთის შესახებ პირობის წიგნში ასათიანებიც არიან წარმოდგენილნი.

ო. სოსელიას მტკიცებით თავადის წოდება მეტკვიდრეობით ხახუტა ასათიანის მხოლოდ იმ შვილებზე გადასულა, რომლებიც თამარ დედოფა-ლისაგან იყვნენ გაჩენილნი. ესენი იყვნენ-ხარდაბამა, მანუჩარი და მალაქა.

პირველი ლევან ურუშიძის ასათიანთა გენეალოგიური შტოს მიხედვით, ხადაჩამის მაგიერ ნათევამია ზირდაბამი, თუმცა, ჩვენი აზრით, ორივე სახელი ერთიდაიგივე პიროვნების აღმნიშვნელია. ურუშაძის ნაწერებიდან ირკვევა, რომ ზარდაბამის მეტკვიდრე არ დარჩენია, რაც შეეხება მანუჩარსა და მალაქას, მათმა შთამომავლობამ მრავალი ისტორიული თუ ცხოვრებისეული ქარტეხილი იწვინა საკუთარ თავზე. სწორედ მანუჩარ ასათიანის შთამომავალი არიან პოეტ ლადო ასათიანის წინაპრები.

მანუჩარ ასათიანს ორი შვილი ჰყოლა: ლევანი და ზაალი. როგორც წყაროებიდან ირკვევა, ლევანის მეუღლე ჩიქვანის ასული ყოფილა, მათ სამი ვაჟი ჰყოლიათ: სამსონი, ყარამანი (ბიჭია), და ჯავახი. რაც შეეხება ზაალის, მისი მეუღლის სახელი და გვარი უცნობია, ჰყოლია ორი ვაჟი – ლუარსაბი და კოსტანტინე.

ყარამანი ყოფილა პოეტ ლადო ასათიანის დიდი ბაბუა ანუ გუჯუ ასათიანის მამა. არავერი ჩანს სამსონისა და ჯავახის მეტკვიდრეების და, საერთოდ, მათი ოჯახობის შესახებ. ხოლო რაც შეეხება ყარამანს, – ანუ იგივე ბიჭიას, ზეპირსიტყვიერი გადმოცემით, რომელიც ლადო ასათიანის

მამიდას, ნინას, უთქვამს, ყარამანს ერთ-ერთი ბრძოლის დროს დიდი ვაჟ-კაცობა და გმირობა გამოუჩენია, მეფეს ეს შეუმჩნევია და უკითხავს, ვინ არის ეს ბიჭიო? მეფესთან ახლო მდგომთ მოუხსენებიათ თუ ვინც იყო. მეფეს კი უთქვამს, მართლა ბიჭი ყოფილაო, და ეს მეორე სახელიც ამიტომ დარჩენია ყარამანს.

პროფესორ ლევან ურუშაძის მტკიცებით, ბიჭიას ნამდვილი სახელი ყარამანი ყოფილა. მას ოთხი ვაჟი ჰყოლია, გიორგი, გუჯუ, ნიკო და ჯანსული. გუჯუ ლადო ასათიანის ბაბუა, რომელსაც ცოლად ჰყოლია ლევან ჩიქვანის ასული ჰელაგა. ამათი სურათები დაცულია ჰოეტის მუზეუმში. როგორც გადმოცემბით ვიცით, ჰოეტის ბაბუა, ახალგაზრდობაში ძლიერი და იმავე დროს კარგი მოჭიდავეც ყოფილა. ლადო ასათიანის მამიდის, ნინას თქმით, მისი ვაჟებაცობისა და კარგი მოჭიდავის სახელი ზემო სვანეთშიც ასულა. არ ვიცით თუ ვინ ან რა გვარისა და სახელის, მაგრამ ერთ მშვენიერ დილით სოფ. ბარდნალაში გუჯუს ჭიშკართან დაუძანებათ, მოგეხსენებათ თავადები იყვნენ და ჭიშკართან მოსამსახურეს გაუწედია, სტუმრებს მოსამსახურისთვის უთხოვიათ, რომ თავად გუჯუსთ პქნდათ პირადი საქმე და თუ სახლში ბრძანდებოდა, მას გამოეხდა. გუჯუ ჭიშკართან გასულა და სტუმრები ქართული წესისამებრ სახლში შეუპატიუნია, როდესაც სტუმრებს გუჯუსთვის შეუხედავთ, სინანულით თავი დაუხრიათ, რადგანაც გუჯუ ასათიანი უკვე შუა ასაკს გადაცილებული ყოფილა, ხოლო ის უცნობი სვანი ბიჭი ახალგაზრდა ყოფილიყო.

გუჯუ ასათიანს შეუტყვია სტუმრების მოსვლის მიზეზი და მათ სახეებზე სინანულიც შეუმჩნევია. მოსამსახურისათვის უბრძანებია, გაშლი გამოეტანა, რაც მოსამსახურეს სწრაფად შეუსრულებია, გუჯუს ვაშლი პაერში აუსვრია, ხანჯალი მსწრაფ ამოულია და ვიდრე ვაშლი ძირს დაეცემოდა, პაერში ორად გაუჭრია, ეს ამბავი მაშინ თურმე, მთელ სოფელს პირზე ჰკერებია. ვაჟებაცობა წინაპართაგან მოღვამდათ. ამის შემდეგ გუჯუ ასათიანს სტუმრები სახლში შეუპატიუნია და ლეჩხუმურადაც მოულხენიათ. ეს ამბავიცა და ყარამანის მეორე სახელი „ბიჭიას“ შესახებ - ქვეყნდება პირველად.

**გამოყე ებული ლიოტერატურა:** 1. ე. თაყაიშვილი, მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963 წ. 2. ბანოვანი (დესანე გელოვანი), შორეული ლანდები, თბ., 1959 წ. 3.ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. 4. ნიკო ლორთქიფანიძე, მოთხრისები, ლევანდები, ზღაპრები, 1958 წ. . საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი კოლექცია, ტ. I, გვ. 78. 6. ასე იტყვიან ჩემზე, მოგონებები ლადო ასათიანზე, ქუთაისი, 1987 წ.

## თეა ბელქანია

### ირონიულ-პაროდიული ნაკადი ლადო ასათიანის ფუნაგორიებში

ანრი ბერგსონი აღნიშნავდა, რომ „კომიკური არ არსებობს საკუთრივ ადამიანურის გარეშე. პერზაჟი შეიძლება იყოს ლამაზი, მიზიდველი ან უსახური, ოდონდაც ის არასოდეს იქნება სასაცილო“<sup>1</sup>.

ხელოვანი ზომიერად უნდა იცავდეს „სასაცილო სიჭარ-ბეს“. ზედმეტობა უკარგავს ხელოვნებას ღირსებას. ბუალო აც-ხადებს: „მე მოვითხოვ სატირას გულწრფელ სულისკვეთებას“<sup>2</sup>.

სიცილი სინკრეტულია და კაცობრიობის უზარმაზარ მხატვრულ გამოცდილებას მოიცავს<sup>3</sup>.

ლადო ასათიანისათვის ფუნაგორიებისათვის დამახასიათებელი იყო ირონიული პაროდიული ნაკადი. პოეტის ფუნაგორიები სასაცილოა და მათი ადრესატები ნაცნობ-მეგობრები არიან.

„მივაყოლებ ერთმანეთს მოუფიქრებლად, ენის წვერზე ნა-უცბადევად მოსულ სიტყვებს და ხანდახან კარგი ეპიგრამა გამოდის, ესაა და ეს“<sup>4</sup>. პოეტის ჩანაწერებში ვკითხულობთ.

პოეტს უყვარდა სხვებისაგან შეთხული ყოველი მოსწრებული თქმული სიტყვა და ნაკავი, ნიჭიერად დაწერილი სხარ-ტი ეპიგრამა. მასთან, ძლიერ ეჯავრებოდა უწმაწური ანეკდოტი და უხამსი სიტყვა-თქმანი.

სიტყვა „ფუნაგორია“ პოეტმა კოლაუ ნადირაძემ შემოიღო. პირველი ფუნაგორია მასვე ექუთვნის. ესაა მეტად მწვავე ოთხ-სტრიქონიანი ეპიგრამა მწერალსა და პუბლიცისტ ყარიბზე

<sup>1</sup> Бергсон А., Собранные сочинения, Т. V, с. П. Б. 1913-1914, стр. 97.

<sup>2</sup> ბ. ბუალო. დასახელებული ნაშრომი. (სატირის საკითხებე წერის მეორე სიმღერაში. გვ. 54-55).

<sup>3</sup> «Историческая Подвижность сатиры», В кн: Теория литературы. Т. II, М., 1964, стр. 285-286.

<sup>4</sup> ლ. ასათიანი, ერთტომეული, 1979, გვ. 15.

(პეტრე გელეიშვილზე), რომელმაც ოციან წლებში ჟურნალ „მნათობის“ რამდენიმე ნომრის ფურცლებზე მეტად გესლიანი შენიშვნებით სავსე წერილი დაბჭყდა ცისფერყანწელთა შემოქმედების გამო.

ფუნაგორია ანუ ნეხვის ჭია (ზოგან მას ჭიაფანდურასაც კი უწოდებენ!) ხოჭოს მსგავსი ერთი უვნებელი მწერია, რომელიც არავის არაფერს უშავებს. „მხოლოდ ფუნეს აგუნდავებს, იქვე, ახლოს აგორებსო“, – ნათქვამია მასზე აკავის ცნობილ ლექსში „ხარაბუზა და ფუტკარი“.

კოლაუ ნადირაძის თქმით, მხოლოდ ამხანაგთა სალალობოდ თუ გამოღვება ის, თორემ სხვა მხრივ არავის განაწყენებას არ ისახავს მიზნად. ამიტომ ყოველ სახუმარო სალალობო ლექსს „ფუნაგორია“ შეარქვა<sup>1</sup>, – იგონებს ნიკა აგიაშვილი.

ლადო ასათიანი თავის „მასწავლებლად“ თვლიდა კოლაუ ნადირაძეს და კიდევ გაუგზავნა მას ლექსად შეთხული ორი წერილი: „ეპისტოლე კოლაუ ნადირაძეს, პოეტსა და მაესტროს“.

ლადო ასათიანის ფუნაგორიები საგნებისა და მოვლენების პირად მიმართებას გამოხატავს. ამდენად იგი უაღრესად სუბიექტური ხასიათისაა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის თავში /მეობრებმა „ლადოს ხე“ უწოდეს/ აქ ხშირად იკრიბებოდნენ პოეტთა მეგობრები, იმართებოდა დავა-კამათი, რაზედაც ლადომ ექსპრომზად დაწერა ერთსტროფიანი ლექსი.

„გადმართის და გამოღმართის  
ზემოთის და ქვემოთის,  
პოეტები შეგროვილან,  
სიმონიკაც ქვე მოდის“.

ერთსტროფიანი ლექსი დაწერილია ორი საზომით: 4/3, 4/4, ხოლო რაც შეეხება რითმის სტროფში, გვაქვს თავრითმის ნიშვნი: გაღმართის-ზემოთის, აგრეთვე გვაქვს შინაგანი რითმის შერწყმა გარეგანთან, სადაც „ოთის და რთის“ ორჯერ ერწყმის სიტყვას გასარითმად. რითმის კომბინაცია ასეთია: xaxa.

ლადო ასათიანის ფუნაგორიებს შეიძლება ვუწოდოთ „გონებამახვილური“. „წერის გონებამახვილური მანერა“ (ფეირბახერი) მჭიდროდ უკავშირდება იგავურობას, ქარაგმულობას, მრავალმნიშვნელობას, ორპლანიანობას, იგი განაპირობებს

<sup>1</sup> ლ. ასათიანი, ერთტომეული. გვ. 29-30.

თხრობის დროს მოულოდნელ გადასვლებს, რომელიც მომდინარეობს ავტორისაგან და ხშირად სატირული პერსონაჟისაგან<sup>2</sup>.

საქმიანობისა და საუბრის დროს დაამხასიათებელი იყო ლადო ასათიანისთვის გამონათქვამები, რომელიც ორი სტროქონისაგან შედგებოდა. მაგ:

„ბიჭი ვიყავი მარტივით:  
მოტივი მქონდა მარტივი“.

ან კიდევ:

„მწერალია ლოველასი  
ვერ დამწერი ნოველასი“.

ორივე ლექსი დაწერილია მოსაზღვრე რითმით /aa/, ხოლო რაც შეეხება საზომებს, ხალხურ პოეზიაში გავრცელებული რვამარცვლიანითა დაწერილი /4/4/.

ხშირად პოეტი პაროდიულად მიმართავს მის მეგობრებს:

„პონკურსი არის კარგ ვოდევილზე,  
შენ რაღას ფიქრობს კაკო დევიძე“.

ამ ლექსში გვხვდება შედგენილი რითმის ნიმუში: ვოდევილზე – კაკო დევიძე. ოთხმარცვლიანი სიტყვა ერთმება ხუთმარცვლიანს, რომელიც სასიმოვნო კლერადობას აძლევს ლექსს.

გადატანითი მნიშვნელობით პაროდიას უწოდებენ მოვლენის ან რომელიმე პიროვნების გადაჭარბებულ უარყოფით, ყალბ მხატვრულ წარმოსახვას<sup>1</sup>.

ლადო ასათიანი სიცილის მაგიურ ძალას მიმართავდა, სიცილი მის ლექსში თვით სიკვდილის პირისპირ უკვდავებაა.

„ცხრა ლახვარი რომ დამარტყათ ცხრაჯერ გულში  
მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ“.

სიცილი ავისა და კარგის საზომია. ლადო ასათიანი ცნობილ „სალადობოში“ – შურისმაძიებელ სიცილზე ლაპარაკობს<sup>2</sup>.

საქართველოს „ძლიერების“ მომღერალი პოეტისათვის ყოველი მისი სტრიქონი და ლექსი მისთვის ბრძოლაც იყო და სიხარულიც, ზეაღმაფრენა საოცნებო. „არწივების ასაფრენი“ სიმღერა გრძნობის დიდი მკურნალი წარმალი მუდამ გაისმის მის ლექსებში.

<sup>2</sup> Эльсберг Я. Е. Вопросы теории сатиры, М., 1975, стр. 360.

<sup>1</sup> ლიტერატურათმცოდნების ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბ., 1966, გვ. 100.

<sup>2</sup> გ. ნიშნიანიძე, სიცილის არქივიდან, თბ. 1971, გვ. 59.

„მეც მიტომ ვბედავ არწივულ ყივილს,  
რომ გულს გაპერავს ცივი ნიავი,  
რომ ლექსი შველის ყოველგვარ ტკივილს  
და ლექსი თვითონ ტკივილი არის“.

/გაუ-ფშაველას ნაამბობი/

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე „პოეტი სიცილით“ სიხარულს გვრიდა ქვეყანას და „შურისმაძიებლად“ დასცინოდა მტერს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში უმტედობა იყო გამეფებული ხალხი მაინც ფარ-ხმალს არ ყრიდა და სიმღერით „აჯავრდება მტერს“ და ლადოც „შურისმაძიებელი სიცილით“ გულს უქლავდა მტერს და მოყვარეს ახარებდა.

ქართული სიტყვის – „შურისძიების“ – არსი მდგომარეობს იმაში, რომ მტრის სისხლი უნდა დაიქცეს, რაც ხდება გარდაცვლილის ახლობლის მიერ მტრის სისხლის დაღვრით, სისხლის ჩანაცვლებით. შურისძიების მსგავსად, ქართული სიტყვა სისხლს იძიებს<sup>1</sup>, რაც გულისხმობს სისხლის აღებას.

სიცილის დიღოსტატი მარკ ტექნი ხალხს უძღვნის თვის სულიერ საუნჯეს: „შეიძლება გააცინო მკითხველი, ამბობს იგი, – მაგრამ ეს ცარიელი საქმეა, თუ ნაწარმოებს საფუძვლად ადამიანის სიყვარული არ უდევს“<sup>2</sup>.

ალიოშა საჯაიასადმი მიძღვნილ ლექსში სიცილი – სიცილისთვის არის მიმართული.

„ლეომ დინჯად მოისმინა დარიგება ჭკვიანური  
და მერე ჩვენ მოგვაშურა მისებური სიარულით.  
ვიცინოდით, იცინოდნენ და სიცილი ყველას სურდა“. ან კიდევ: „ლეო ადგა, კარლ კალაძეს მიუტანა ლექსი ისა, ჩვენ გარედან ვუყურებდით, ესმი იყო სიცილისა“.

სიცილი გადამდებარ, იგი ათანაბრებს სხვადასხვა რანგისა და წოდების ადამიანებს. ჩვენში ამბობენ: ერთი იცინის – თაგს დასცინის, ორი იცინის – ერთმანეთს დასცინიან, სამი იცინის – სხვას დასცინიან. ესეც სიცილის კოლექტივობაზე მიუთითებს.

ლადო ასათიანის ზემოთ დასახელებულ ლექსში ისმის კოლექტიური სიცილი. „ვიცინოდით – იცინოდნენ და სიცილი ყველას სურდა“.

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ნაკვეთი II, თბ., 1990, გვ. 892.

<sup>2</sup> გ. ნიშნიანიძე, სიცილის არქივიდან, თბ. 1971, გვ. 71.

ლადო ასათიანი თავის ფუნაგორიებს კოლექტივთან ერთად ქმნიდა. ხშირად იმართებოდა კოლექტიური საღამოები და სწორებ აქედან გამომდინარე მის ფუნაგორიებში ხშირად გვეხმის კოლექტიური სიცილი.

„ირაკლისადმი“ მიძღვნილი დაქსიც, ხომ კოლექტიურად შეიქმნეს, რომელიც ოცხეტრიქონიანი იყო, საიდანაც ხუთისტრიქონი ლადოს ეპუთვნოდა.

„ჩვენი სივრცე, რომელიც კოლექტიურ სივრცეს წარმოადგენს, გაცილებით მეტად არის რაციონალიზებული, ვიდრე ინდივიდუალური ოცნებისა და პოეტური წარმოსახვის სივრცე“.<sup>3</sup>

1881 წელს ანონიმი ავტორი რიგით რეს ესთეტიკოს წერდა: „სიცილის ისტორია ეს ცივილიზაციის შიდაპირის, მისი სარჩულის ისტორიაა, მისი სიმახინჯის უარყოფის ისტორიაა, სხვანაირად, იგი კაცობრიობის იდეალის ისტორიაა, რამდენადაც შესაძლებელია ისინი გამოიხატოს უარყოფაში. თუ გსურთ ნახოთ ხალხის ზნეობრივი დონის სიმაღლე რომელიმე ისტორიულ ეპოქაში, განსაზღვროთ უზნეობის უარყოფის ძალა და სიმაღლე, მიმართეთ სატირასა და კარიკატურას – სიცილით გამოხატული მორალის მეგზურებს. რამდენადაც მეტ სასაცილოს პოულობდნენ ისინი, რამდენადაც უფრო ეხმაურებოდნენ ცხოვრების ბნელ მხარეებს, რამდენადაც ღრმად ჩასჭიდებდნენ ხელს მათ, იმდენად მაღლა უნდა ჩავთვალოთ ეპოქისა და ხალხის საუკეთესო წარმომადგენელთა იდეალი“!<sup>4</sup>

ლადო ასათიანი ცხოვრებას კი არ უკარნახებდა მზამზარეულ დოქტრინას, პირიქით, ცხოვრების კარნახით ქმნიდა შედეგებს, რომლებშიც გაბეჭდულად გადმოსცემდა პოეტის ამაღლებულ აზრსა და ლტოლვას.

ლადო ასათიანს სიცილი ბრძოლის იარაღად არასდროს გამოუყენებია. თავისი ცხოვრების მკაცრი კანონებიდან გამომდინარე, სიცილით ანგრევდა ირგვლივ გამეუჯებულ მწუხარებას, ამხნევებდა საკუთარ თავს განსაცდელის ჟამს მყოფი. სიცილით ცდილობდა უკურნებელი სენის დამარცხებას და სიცილით ცდილობდა მტრის დამარცხებას.

ირონიაში განსაკუთრებული სიცხადით იჩენს თავს ავტორის აქტიური დამოკიდებულება მოვლენისადმი.

<sup>3</sup> Georg Matore, L'Espace humain, La Colombe, 1962, p. 157.

<sup>4</sup> გ. ნიშნიანიძე, დასახელებული ნაშრომი, თბ. გვ. 72.

ქუთაისის „ატ-ჩაი-ანური“ საღამოების მოსაგონებლად პო-  
ებმა ექსპრომტად ლექსი დაწერა (საშაქარლამო კინო-თეატრის  
გვერდით, ხშირი სტუმრები: ბონდო კეშელავა, ელიოზ ხუცი-  
შვილი, პარმენ შელეგია, პეტრე ბახტურიძე, ნიკა აგიაშვილი,  
ლადო ასათიანი) – მსურდა ჩაი დამელია,

მაგრამ ფული დამელია...

გვითხრა ნიკომ უპანიკოდ

– დვინო მინდა, ჩაი არა!

თქვა ლადომ და ჩაიარა.

– „ო როგორ გვიყვარს ჩეენ ერთ (ი) მანეთი,  
ნიკა, მომეცი შენ ერთ (ი) მანეთი“.

პოეტი ამ ლექსში ომონიმურ რითმებს იყენებს: დამელია  
– დამელია, ჩაი არა – ჩაიარა. ომონიმური რითმა სასიამოგნო  
ქლერადობას აძლევს ფუნაგორიას.

არ გეძინება, აგიაშვილო?

დაწექ, ლოგინი აგია შვილო!

„ხომ კარგი რითმებია?“ – წერს ლადო.

ლადო ასათიანი ფუნაგორიაში მეგობრული ხუმრობა თა-  
ნაგრძნობას მოიცავს. ხშირად თავისი ფუნაგორიის გაქილიკე-  
ბის საგანი თვითონ არის.

მებუფებები გაიანეს ძალიან უყვარდა ლადო ასათიანის  
ლექსების კითხვა. ერთ დღეს პოეტს ნისიების გადავადების  
მიზნით გაიანებ ლექსის დაწერა სთხოვა ექსპრომტად.

ლადომ ჯიბიდან ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო, კედელს  
მიაქრა და თვალის დახამხამებაში ოთხი სტრიქონი გამოაცხო:

„ფული არ გაქვს გადახდილი,

აღექი და გააარე, –

მას ამბობს გულმოსული

მებუფებებ გაიანე“.

გაიანეს ძალიან მოეწონა პოეტის ექსპრომტი. რედაქციის  
მხატვარს ლამაზად დააწერინა და ბუფებში გააკრა<sup>1</sup>.

ლადო ასათიანი ექსპრომტის დიდი ოსტატი გახლდა, –  
იგონებს მიხეილ მამულიშვილი: ხშირად პოეტებს ვთხოვდი თა-  
ვიანთი, რომელიმე ლექსი ჩაეწერათ ჩემს ალბომში. ჯერი  
ლადოზე მიდგა. ვთხოვ, თუ ბიჭი ხარ, ახლავე დაუფიქრებ-

<sup>1</sup> მ. მამულიშვილი, „ლადოს ექსპრომტები“, გაზ. „თბილისი“, 1961წ. 6  
იანვარი. №5.

ლად ჩამოწერე რამე-მეთქი, ლადომ იქვე, რაღაც ორიოდე წუთში ეს ოთხი სტრიქონი მომიძღვნა:

„მამული შვილო, კარგი გაქცს გვარი,  
მაგრამ მამული რით დააფასე?  
ერთხელ თუ მაინც დაფიქრებულხარ –  
რისი მაქნისი ხარ ამ ქვეყანაზე?“

მიძღვნა არ მწყენია, – მესიამოვნა<sup>2</sup>. ლექსი დაწერილია ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახომით 5/5.

გარითმული ფუნაგორიების წარმოთქმის ოსტატობა ბუნებიდან მოსდგამდა ლადო ასათიანეს.

„მართლა კაი „სასისკია“  
მარა კაი ფასიც კი აქცს“, –

– ხელმოკლე პოეტს ებევრა დანახარჯი რესტორანში და გარითმულად წარმოსოქვა ეს სტრიქონები.

ლადო ასათიანის ფუნაგორიები საუკეთესო ადგილს დაიკავებს ქართულ ლიტერატურაში.

## Tea Belqania

### "Jestful manner in Lado Asatiani's Works

Extempore poems of Lado Asatiani can be called as "jestful" manner of writing that is closely connected with concoction and proverbial manner. The poet enjoyed any nifty note, talented written epigrams of others. But he detested any banal anecdotes and campy winged words.

Lado Asatiani in his extempore poems applied force besides of laugh. Laugh in his poem is direct immortality of even death. The poet was characterized by "revenging laugh" that killed hart of enemy and exhilarated the neighbor.

Subjects of chaffing of the poet were his friends. Frequently one could hear collective laughing from his extempore poems. "We were laughing, they were laughing and everyone wonted laughing". When laughing, he blew up ruling boar and supported himself in distress. When laughing, he tried to overcome illness and enemy.

Extempore poems of Lado Asatiani will establish best position in Georgian literature.

<sup>2</sup> მამული შვილი – დასახელებული ნაშრომი.

## ლია ოსაძე

### „სვეტიცხოველი – სიმბოლო მარადისობის და უპვდავების” (პ. გამსახურდიას რომანის „დიდოსტატის მარჯვენის” მიხედვით)

„საქართველო ღვთისმშობლის ქვეყანააო” – ბევრჯერ უთქამს ქართველ კაცს და არც შემცდარა. ღვთისმშობელმა აქურთხა და დალოცა საქართველოს მიწა-წყალი, ამიტომაც იყო ასეთი სიუხვე და სიმბიოზე ჩვენს ქვეყანაში, საუკუნეების მანილზე არბევდნენ, ანადგურებდნენ, ანგრევდნენ, მაგრამ მაიც ფეხზე დგებოდა, ძლიერდებოდა, ივსებოდა და შენდებოდა. ქნა-მამული-სარწმუნოება-ამ სამ სიმბოლოს იცავდა ქართველი ყოველთვის, თავისი სიცოცხლის ფასად იცავდა, თავისი სისხლის ფასად იცავდა, მათოვის იბრძოდა და მათოვის კვდებოდა. შვილს ანდერძად უტოვებდა მათ დაცვას, ეს იყო მათი მთავარი საზრუნავი.

საქართველო პატარა ქვეყანა იყო იმ მუსულმან სახელმწიფოებს შორის, რომლებიც მას ესაზღვრებოდა. სპარსეთი და ოურქეთი (სხვაზე, რომ არაფერი ვთქათ), გამუდმებით ცდილობდნენ ქართველების გამაჰმადიანებას, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ქართველი ერი მტკიცედ იცავდა რჯულს. დიდი და სისხლიანი ისტორია აქვს საქართველოს, დიდ ისტორიას მოიცავს ქართველების გაქრისტიანებაც. როგორც, ლეონტი მროველი გვაუწევს ღვთისმშობელმა ანდრია პირველწოდებული გამოუშვა თავის მაგიერ საქართველოში, თან გამოატანა თავისი სახება და ლოცვა-კურთხევა. საქართველოსკენ წამოვიდნენ ანდრია და სვიმონ კანანელი. იქადაგეს ქრისტეს რჯული, მაგრამ ამაოდ, განვლო დრომ და ხალხმა კვლავ აღაშენეს კერპები და მათი სალოცავები, როგორც მოსეს არ დაუჯერეს ებრაელებმა, რომლებიც ეგვიპტედან გამოიყვანა და მათ აღმართეს

კერპი, ისე მოიქცა ერი ქართველთა. მხოლოდ წმ. ნინოს მეშვეობით ირწმუნა ხალხმა ჰეშმარიტად ქრისტეს რჯული.

მოდიოდა წმინდა ნინო მთებით და თან მოპქონდა ქართველი ხალხისთვის სულის სიწმინდე, ჯვარი ვაზისა, თავისი თმებით შემგული. სიმბოლურია გაზი. ქართველები ჯერ კიდევ არ იყვნენ ქრისტიანები, როცა ვაზს აღმერთებდნენ, მათ კარგად იცოდნენ ვაზის ძალა, მითოსის ხანაში ვაზი დაფაებრივ მცენარედ ითვლებოდა, „სიცოცხლის სე!” ასე ეძახდნენ ისინი ვაზეს, როცა ქართველებისთვის მზე იყო უმთავრესი დამატება, მხოლოდ ვაზს შეეძლო მცენარეთაგან ახლობელი ყოფილიყო მზესთან. ვაზი შეიწოვდა ყველაზე მეტად მზის ძალას, ვაზიდან დაინოში გადადიოდა მზის ძალა და ის ათრობდა ადამიანს.

სიმბოლურია თმები, ქალის თმები, ქართულ მითოლოგიაში ქალდმერთი დალი თავისი ოქროს თმებით მზიურ ძალასთან იყო წილნაყარი, მზე და ვაზი განუყოფელია ერთმანეთისაგან. ამიტომაც შემდგომ, როცა ქართველი აგებდა ტაძარს, ეკლესიას ჩუქურთმაში ვაზს „ჩააწნავდა”. ხშირად კი, ვაზით „მოწნული” ჩუქურთმა მზის თვალს ჰგავდა. ვაზისა და მზის ერთიანობა ცნობილ ქართულ საგალოობელშიც არის „შენ ხარ ვენახი”.

პირველი სვეტი ტაძრის, რომელიც საფუძველი უნდა ყოფილიყო ქრისტიანობის, აღიმართა სვეტიცხოვლის ადგილას. ლიბანიდან ჩამოტანილი ნაძირდან შვიდი სვეტი აღმართეს ეკლესისათვის, ეს იყო ფუნდამენტი სვეტიცხოველის, პირველი სახე ამ ტაძრის. V ს-ში ვახტანგ გორგასალმა აღაშენა, შეაკეთა ტაძარი. არც ერთი ეკლესის სახე შემორჩა ისტორიას. ახლანდელი ტაძარი XI ს პირველი ნახევრის ნაგებობაა 1010-1029 წ.წ. აშენდა ქართლის კათალიკოსის მელქისედეკის თაოსნობით. ხუროთმოძღვარი, როგორც ორი წარწერა მოგვითხოვბს არის არსუებისძე. მისი სახელი მოხსენებულია ტაძრის ორ წარწერაში: „აღმოსავლეთის ფრესკაზე, შეა თაღის ქვემოთ, მედალიონებში: „ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლის კათალიკოზი, ამენ. აღეშენა ესე წმიდაი ეკლესია ხელითა გლახაეთისა მონისა მათისა არსუების ძისათა, ღმერთმან განუსუნენ სულსა მისსა” და მეორე წარწერა ჩრდილოეთით, მთავარი სარკმლის ზემოთ, ორ ქვაზე რომელთა შორის ჩასმულია მესამე ქვა ხელისა და გონიოს რელიფით: „ხელი მონისა არსაუების ძისად. შეუნდეგთ”. „საფიქრებელია, რომ არსუებისძევე უნ-

და იყოს ტაძრის დასავლეთით მდებარე კარიბჭის მშენებელი, კარიბჭისა და ტაძრის ერთდროულობა ეჭვს არ იწვევს:<sup>2</sup>

ლეგენდა გვაუწყებს, რომ სვეტიცხოვლის ოსტატმა აჯობა თავის მასწავლებელს და ამის გამო მას ხელი მოჰკვეთეს:

„ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს ხელი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია”.

ისტორიკოსი ლ. მუხსელიშვილი გამოკვლევის შედეგად აღნიშნავს, რომ ტაძრის აგება დაუწყვიათ მელქიზედუკ კათალიკოსის ტახტე სხვლისთანავე, ხოლო მშენებლობა დამთავრებულა 1029 წ. ამ წელს გარდაიცვალა თვით ხუროთმოძღვარიც.

სვეტიცხოველი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დგას. ის გრანიტოზულია და მთლიანი, მისი აგება მხოლოდ დიდ სულიერ ძალის მქონე ადამიანს შეეძლო. აქ ეველაფერი გათვლილია და ზუსტი. ყელაფერი ერთმანეთს ერწყმის და იქმნება ქვათა პარმონია.

ხელოვნება მარადიულობის უახლოვდება, ვინც ხელოვანია, არ შეიძლება მისი სიცოცხლე წუთიერად ჩაითვალოს, ხელოვანი კვდება, რჩება მხოლოდ მისი სული, მისი შედევრი, რომელიც მას მარადიულობასთან აახლოვებს. ასეთი ბედი ხვდა წილად ხუროთმოძღვარს არსებისძეს. „ხელოვნებაა თავად უკვდავება, მხოლოდ ოსტატს არ ეწევა სიკვდილი... ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ უოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება როგორც ღმერთობა და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი”,<sup>3</sup> – ასე ფიქრობდა XXს-ის ქართველი მწერალი ქ. გამსახურდია, რომელმაც შექმნა პიმნი სვეტიცხოველზე და მის ამგებზე.

რომანს რამოდენიმე ლეგენდის საწყისი აქვს: ლექსი აღმშენებელზე, ოსტატისა და შეგირდის ურთიერთ კონფლიქტი, ამოტვიფრული მარჯვენა და გაქვავებული ქალის ლოდი. მწერალი რომანის პროლოგში წერს: „...უწვერული ჭაბუკი ქართველ ჩოხაში მორთული, მეორე ქანდაკება იყო სახედადრეჯილ მოხუცის, სპარსული სამოსი ეცვა, სახეზე გულბოროტების იქრი გადაჯერავდა, ეს უწვერული ჭაბუკი კონსტანტინე არსაკიძე იყო, მოხუცი კი, ოსტატი ფარსმან სპარსი. მერე ვნახე მველი მონეტა, ცხენოსანს შევარდენი უზის მარცხნაზე და ასომთავრულით წარწერილია ზედ „მეცეთ მეცე გიორგი-მესხიის მახვილი”<sup>4</sup>

ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი დიდი მწერლისათვის, რათა შესდგომდა ისტორიის გაცოცხლებას. ფიქრი, განსჯა, მოვლენები ყველაფერი ერთმანეთს დაუკავშირა ააგო, დახვეწა და მკითხველს „მიართვა”. კიდევ ერთი დაუშატა რომანს მეფისა და ხელოვანის დაპირისპირება, რომელიც მთავრდება ხელოვანის დასჯით. რაც რომანს უფრო მატებს ხიბლს და საბედის-წერო ელფერს. ქრონლოგიურად „დიდოსტატის მარჯვენა” მოიცავს XI-ის დასასრულსა და XI ს-ის პირველ ნახევარს, ეს არის შეფე გიორგი I ეპოქა. „მწერალს არასოდეს უნდა დაავიწყდეს, რომ მისი მოვალეობაა ყოველ კაცს მართებული მიუნდოს, მისი კალმის წინაშე თანაბრად უნდა ითვლებოდნენ, როგორც ძღვიარი, ისე დარიბინი”, – ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ამბობდა ამას შექსპირი.

კ. გამსახურდია ერთადერთი მწერალი არ იყო ვინც ერთი მოქნებიდან, ან რაიმე მინიშნებიდან რომანი შეუქმნა. ფრანგი მწერალი ვაჟიუგო მისივე მდგომარეობაში აღმოჩნდა, როდესაც პარიზის დვოისმშობლის ტაძრის ერთ-ერთ კოშკის ბეჭედ კუნჯულში შეამჩნია კეელზე ხელით ამოკვეთილი ბერძნულ ენაზე ასომთავრული წარწერა ანანკე (ANAGKH) – ბედისწერა.

ამ სიტყვის სევდიანმა და საბედისწერო აზრმა ძალიან განმაციფრა. ეს წარწერა საქმაოდ ღრმად იყო ამოჭრილი ქვაზე და სანდაზმულობისაგან გაშავებულიყო, გოტიური კალიგრაფიისათვის დამახასიათებელმა ნიშნები, რაც მათ ფორმაში აღბეჭდილიყო თითქოს მიანიშნებდა, რომ ისინი შეა საუკუნეებში უნდა დაეწერა ვიდაცის ხელს, ამ სიტყვის შავბეჭლმა და საბედისწერო აზრმა დამაფიქრა, მისმა ტანჯულმა სულმა არ მოისურვა დაეტოვებინა ეს ქვეყანა ისე, რომ დანაშაულისა თუ უბედურების დაღი არ აღებეჭდა ამ უძველესი ტაძრის შებლზე”.<sup>5</sup>

ამ ტაძრის შექნებლობა დაიწყო 1163წ. (სვეტიცხოველი უკვე აგებულია ამ ღროისათვის), ცალკეული ნაწილების შშენებლობა კი XIIIს. შეა წლებამდე გაგრძელდა. ეს არის ხუთნავიანი კათედრალური ტაძარი, ხოლო სვეტიცხოველი სამნავიანი ტაძარია.

ორივე გრანდიოზული და დიადია. მოდიოდნენ და მიდიოდნენ ძლიერნი ამა ქვეუნისანი, მაგრამ ეს ორი ქვის პარმონია მედიოდურად „ერგონებოდა” უამთა ქარტეხილს.... ამიტომ შექმნა რომანი „პარიზის დვოისმშობლის ტაძარი” პიუგომ, სადაც მო-

ხდა „ისტორიის სიმართლისა” და „მწერლის სიმართლის” ოსტატურად შერწყმა. ამიტომ შექმნა კ. გამსახურდიამ რომანი „დიდოსტატის მარჯვენა”, სადაც მოხდა სვეტიცხოვლის ორი სიმბოლოს შერწყმა: რწმენის და ხელოვნების.

„ქვეყნიერების ექსი ათასეული წლის მანძილზე, პინდუსტანის უკელაზე უხსოვარი პაგლიდიან კოლნის კაოდერალამდე ხუროთმოძღვრება ადამიანთა მოდგმის უკელაზე დიადი დამწერლობა, კაცობრიობის უდიდესი წიგნი და მთავარი მატიანე იყო” – წერდა ჰიუგო.

ცალკე დაგდებული ქვა არაფერია, ხოლო თუ ის სხვა ქვას დაადევ, სხვა კი მას, თანაც სულს ჩაპერავ, მაშინ შეიგრძნობ ქვის სილამაზეს და ჰარმონიულობას, მის გრანდიოზულობას.

მარადიული არაფერია, სიცოცხლეც კი, მაგრამ ადამიანის ხელისგან შექმნილი ქმნილება, რომელიც უთანასწორდება უზენაეს ძალას უკვდავია. უკვდავია სვეტიცხოველი, უკვდავია კოლეზიუმი, წმ. პეტრეს ტაძარი რომში, უკვდავია ეგვიპტის პირამიდები, უკვდავია ჩინეთის დიდი კედელი, უკვდავია პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი და ა.შ. სიმბოლურია თითოეულის გრანდიოზულობა და მათი სიდიადე. მაგრამ, მათ, ერთი საერთო აქცი, ისინი შექმნა ადამიანმა და მათ „დაიმონებს” ადამიანი.

„პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის” მთავარი გმირი, მისი სული და გული ხალხი, ტაძარი და თვით პარიზი. ტაძრის მიდამოებში, შორი-ახლოს ხდება მოქმედება. მთავარი მოქმედი გმირი კი „ბოშა” ქალი ესმერალდაა, ზურმუხტად წოდებული (მართლაც, ზურმუხტი იყო იმ ბრძოში).

რომანში ტაძარი აგებულია, ხოლო „დიდოსტატის მარჯვენაში” ტაძარი „შენდება”. შენდება არსაკიძის მიერ, რომელიც რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირია.

ორივე გმირს (ქიმერალდას და არსაკიძეს) ერთი საერთო მოვლენა აქვთ – ანაკე ვერც-ერთი ვერ გაექცა თავიანთ ბედისწერას. ორივეზე ტაძარი ახდენდა ზეგავლენას – ესეც საერთო ჰქონდათ. „მწერალი – რთული ფენომენია, არავინ იცის როდის ეტყვის მომავალ თაობას თავის უკანასკნელ სიტყვას,... ათასზე მეტი დამე ვზივარ, ვზივარ და გიოხორობ განთიადიდან განთიადამდის მკითხველო. თამაშითა და ბრძოლით ვწერ ჩემი გმირების თამაშისა და ბრძოლის ამბავს, ვდელაგ და ვძრწი

მათ მაგივრად და მიქრიან ლამეები, როგორც ნაბდით დაჭე-  
დილი ბედაურები".<sup>7</sup>

ამიტომ ხოტბა შეასხა ძვ. საქართველოს ოსტატს არსაკი-  
ძეს, მშენებელს და ხელოვანს. მწერალი ტაძრის ლეგენდით მო-  
ხიბლული არსაკიძეს უიდბლო ცხოვრებისაგან გამომდინარე  
უკვდავების სახელს უქარგავდა, აცოცხელბდა ძველ დროს და  
თან ცდილობდა არაფერი შეშლოდა, ან გამორჩენოდა, რათა  
სრულყოფილი სახე ქონდა რომანს. კ. გამსახურდია დარწმუ-  
ნებული იყო, რომ არსაკიძისთვის ეს ტაძარი არ იყო პირველი.  
არც ერთ ხუროთმოძღვარს კარგი საყდარი არ ექნებოდა აგუ-  
ბული, თუნდაც პროვინციაში, თუ მის რომელიმე ბრწინვალე  
ტაძარი არ ენახა სადმე სატახტო ქალაქში. ამ დროს ბიზანტია  
იყო ცენტრი კულტურის, მისგან იღებდნენ ქართველები კარგს  
(სამწუხაროდ ცუდსაც), როგორც ხელოვნებაში, ისე ფილოსო-  
ფიაშიც, აგრეთვე სხვა დარგებშიც.

როგორც ცნობილია, არსაკიძე გარდაიცვალა 1029 წელს.  
როდესაც მორჩა ტაძრის აგებას. გარდაცვალების მიზეზი უც-  
ნობია. კ. გამსახურდიამ თავისი ფანგაზით მის გარდაცვალე-  
ბაში ქალის (გამოგონილი პერსონაჟი) ხელი გაურია. რომანს  
სასიყვარულო სცენა ჩაურთო, დაუპირისპირა ხელოვანი და  
მონარქი ერთმანეთს, აჯობა მონარქმა, როგორც მეფემ ხუროთ-  
მოძღვარს – „უბრალო მონას”, მაგრამ სიყვარულში აჯობა  
„უბრალო მონაბ” მეფეს. მართალია, სიყვარულში სძლია, მაგ-  
რამ, თვითონაც ვერ გაიხარა ამ სიყვარულით.

ადამიანის გული ბოროტია, სიკეთე მეტად იშვიათად  
მედავნდება, არ შეიძლება განდიდების მოვგარულ კაცს ვინმესი  
არ შეშერდება, ან ვინმეს სიკეთე დააფასოს. „ბრძენკაცი უნდა  
იყვეო და შლეგად დადიოდე, ოსტატი უნდა იყვე და ხელმო-  
ცარულად მოგქონდეს თავი, რადგან არავის იმდენი მტერი არა  
პყავს ამქვეყნად, როგორც ბრძენკაცის, გმირს და ოსტატს”<sup>8</sup> –  
ასე არიგებს ცხოვრების ქარ-ცეცხლში გამობრძმედილი  
ფარსმან ოსტატი და თან თვითონვე შერს მისი.

როდესაც ხუროთმოძღვარი ან ოსტატი შეგირდს ეპაექ-  
რება, შეჯიბრება ტრაგედიით მთავრდება, ისიც ცნობილია,  
რომ ხშირად ცუდ ოსტატს ისევე ძულს თავისი კარგი შეგირ-  
დი, როგორც ქურდს მოპარულის პატრონი.

მაგრამ, არსაკიძეს სხვა მიზენები, ფიქრები ამოძრავებდა,  
მას ფაქიზი სული და გული პეტონდა.

„ქურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი გალმოხდილისა, შრომაა უდიდესი სიქველე ამქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე გაუპაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე.., ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასოდ, თუ მთელი ჯანი არ შეალიე ამ სასტიკ ბომონს, არაფერი გამოგიგა ხელიდან,”<sup>9</sup> - სე სწამდა არსაკიძეს, ასევე იქცეოდა.

დღე და დამე ხარაჩოებზე იყო, ყოველ დეტალს თვითონ ასწორებდა, უკირდებოდა თითოეულ შტრის. მას დრო არა- ვისთვის და არაფრისთვის რჩებოდა.

სვეტიცხოველმა „მოაჯადოვა” და „დაიმონა” ოსტატი ქვის „მსახური” გახდა დიდოსტატი. კონსტანტინე არსაკიძე იმ- დენად იყო შეყვარებული თავის ქმნილებაზე, რომ სურდა თი- თოეული დეტალი თვითონ გაეკეთებინა. დილა უთენია ხარა- ხოებს მიაშურებდა და იქ, გვიან დამემდე რჩებოდა, ტბებოდა მისი სიდიადით და ბრწყინვალებით. მაგ: როდესაც დიდი ჩუ- ქურთმიანი ლოდი ჩრდილოს კედელზე გადაიტანა, რომელზე- დაც დატანებული იყო სამმხარიანი ჯვარი ასომთავრული წარ- წერით: „ნებითა დვითისათა განახლდა სამირონე ესე, ბრძანები- თა ქრისტეს მიერ კათადიკოსის მელქისედეკისათა. შეიწყალე უფალო, მონა შენი კალატოზნი ოთხნი, ამინ.”<sup>10</sup> ამ ლოდის აწე- ვით გამოწეულმა ავადმყოფობამაც კერ ჩამოაშორა არსაკიძე სვეტიცხოველს, თითქოს ერთ სულში და ერთ ხორცში შერწყმულანო.

კ. გამსახურდიამ პარალელი გააკეთა დავით IV აღმაშე- ნებლის ცხოვრების ერთ ეპიზოდთან, როდესაც დავით IV თა- ვისი ზურგით აღმართებ აიტანა თრი უზარმაზარი ქვა (თითო არანაკლებ ორ ნახევარი ტონა) მდინარე წყალწითელადან გელათის ტაძრამდე.

მწერალი სვეტიცხოველს ხატავს არა მხოლოდ სალოცავ ტაძრად, არამედ, როგორც, უნიკალური ხელოვნების შედევრს, რომელიც დიადია და ეს სიდიადე „მოითხოვს” თაყვანისცემას, დამორჩილებას და განდიდებას.

რომანში ისე არიან ურთიერთ კავშირში ხუროთმოძღვარი და ტაძარი, რომ მისი დასრულების შემდეგ ოსტატი გამოფიტუ- ლი, უსიცოცხლო დარჩებოდა. ტაძრის დასასრული იყო არსა- კიძის დასასრულის დასაწყისი. არსაკიძე უნდა მომკვდარიყო, რადგან მისი ქმნილება ცოცხალ ლგაენდად დარჩენილიყო, რო- გორც სიმბოლო მარადიულობის და უკვდაგების.

მწერალი ნიცშეს შეხედულებას ანვითარებს, რომლის თანახმადაც „სულით მაღალი მამაკაცი ქალისთვის მუდამ გაუგებარია”. გაუგებარია შორენასთვის არსაკიძის საქციელი. საყველურობს კიდეც. მაგრამ კონსტანტინესთვის ეს საყვედური მიუღებელია. მას სურს, რომ მისი ქმნილება შეუდარებელი და უნაკლო ყოფილიყო, თავად ბერძნული სკოლა პქონდა დამთავრებული, ბევრი პქონდა ნანახი, ამიტომაც გადაუხვია მასწავლებელთა გზას, რათა თავისუფლად, სხვისი რჩევის გარეშე ემუშავა, „ვინც შეგირდი არ ყოფილა ვერასოდეს გახდება ოსტატი, ვერც ის გახდება ოსტატი ოდესმე, მუდამ ოსტატებს რომ შეჰყურებს პირში”. მან სული ანაცვალა სვეტიცხოველს. საყვარელ ქალისთვისაც ვერ იცლიდა, თითქოს შორენა, მისი სულის პატრონი დაბრეოლებას უქმნიდა აღმაფრენისკენ. აღმაფრენა კი მისი ტაძრის დასრულება იყო.

კ. გამსახურდია მხატვრულ დრო-სივრცეს წარმართავს გმირთა მოქმედების პარალელურად, რადგანაც დამოკიდებულია გმირთა მოქმედებაზე, ან ისტორიული მოვლენების მსვლელობაზე. დრო რომანში დინამიურია  $1010^{\circ}$  ლიდან  $1029$  წლამდე, ე.ი. ტაძრის დასრულებამდე ეს მონაკვეთი რომანში არ იმჩნევა, რადგან მხ. დრო ისე არის შექმნილი, რომ მოქმედი გმირები და მათი პრობლემები, აგრეთვე, ისტორიული მოვლენები მას „არ იმჩნევე”, „დრო, როგორც „წარსული”, გამოდის მოვლენათა განვითარებისათვის აუცილებელი პირობის როლში და იმავე დროს, დრო, როგორც სტრუქტურული ელემენტი, არის ნაწარმოების მხატვრული ანალიზის მნიშვნელოვანი მოქნეტი. ყოველივე ეს გადმოცემულია გმირთა შინაგანი მდგრამარეობის, გარე სამყაროსთან მათი ურთიერთობისა და სივცეში მოძრაობის მიმართულებების ჩვენებით”.<sup>11</sup>

მაგრამ ძირითადი დრო დამოკიდებულია ტაძართან. სვეტიცხოველია მხატვრული დროის „გამგებელი”, რადგან, ხელოვნება უდრის თვით სიცოცხლეს, ხელოვნების სიღრმეების ამოწურვისათვის ერთი სიცოცხლე მინიმუმია, არ არის საკმარისი. „ხელოვნება თავად უკვდავებაა, მხოლოდ ოსტატს ვერ ეწვევა სიკვდილი. ათასეული წლები წალეპავენ ირგვლივ ყოველივეს, მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი”.

ჭეშმარიტი შემოქმედი არის ადამიანი და არა ღმერთი, ადამიანი შემოქმედია ღირებულებებისა, რომელთა საფუძველზეც შენდება მისი სიცოცხლე.

ქრისტიანული ღირებულებები, ტრადიციული „სიკეთე“ და „ბოროტება“ სწორებ სუსტი სიცოცხლის ნაყოფად ესახება ნიცშეს. „ნიცშე ადამიანის სულის დაფარული კუნძულების მიგნების ოსტატია. მისი „ფსიქოლოგიის“ მიზანია კეთილზნიან ფასადს მიღმა იპოვოს ბნელი მოტივი“.<sup>12</sup> ასევე კგამსახურდიც, მან თვითოული გმირის სულის კუნძული გადაუშალა მკითხელს, თითოული გმირი ლიად „თამაშობს“ მკითხველის თვალის. თუკი ნიცშეს აზრით მოწაფე არ უნდა დარჩეს მარად მოწაფე, არსაკიძეც ასე იქცევა. რომანში ის არახოდეს არის მოწაფე, ის დიდი ოსტატია – ნათელმოსილი.

არსაკიძე დამოუკიდებელია და ჯიუტად მიისწრაფის ოცნების განსახორციელებლად. მისი სული მებრძოლია, მაგრამ მისი გული ქალის სიყვარულს ელტვის. რომელს ეყოფა ოსტატის გული შორენას თუ სეეტიცხოველს?... როგორც მწერალმა გიორგი I პიროვნებაში ორი მოვლენა დაუპირისპირა ერთმანეთს: მეფე და მიჯნური, ისე არსაკიძის სულში ორი კერპი იბრძვის, ორივე მისგან სიცოცხლეს მოითხოვს, შორენა თუ სვეტიცხოველი?

ხელოვნება დაუნდობელია და სასტიკი. სისასტიკით ის ომს პგავს, ხოლო დაუნდობლობით ბედაურს, კარგმა ულავმა თუ შეგატყო სადავეს ვეღარ ფლობ, უთურდ ჩამოგაგდებს. ამიტომ სვეტიცხოველი ვერ „დაუთმობდა“ არსაკიძეს შორენას. თავად ოსტატი ორ კერპს ვერ დაიტევდა. რადგან ერთისოვის იყო გაჩენილი, რათა მხოლოდ ერთისოვის შეეწირა სული, ხორცი და გული. „ყველაფერს შენ შეგწირავ, შენ განაცვალებ, შორენა, ჩემი გულის სისხლს, ჩემს სუნთქვას, უკანასკნელს, ოდონდ ნუ დამტოვებ მარტო“ ვეღრებოდა მიჯნური ქალს, მაგრამ დანაპირები ვერ შეასრულა კონსტანტინებ.

სვეტიცხოველი იყო მისი სიჭაბუქის, მამაცობის ქმნილება, ის მისგან მოითხოვდა თავგანწირვას. არც ერთს (არც ტაძარს და არც ქალს) არ სურდა გაყოფა არსაკიძესი. არსაკიძეს არჩევანი უნდა გაეკეთებინა, არჩევანი უმნელესი და ურთულესი.

ქალის სიყვარულში სხვა პრობლემაც უშლიდა ხელს ხუროთმოძღვარს. შორენას „ეცილებოდნენ“ თვით მეფე გიორგი და გირშელი, ძნელი იყო მათთან შებმა, მათი დამარცხება.

სიყვარული სხვა რაღაა თუ არა თვით დმერთი, რადგან მან დაამკვიდრა სიყვარული სამარადებოდ, ხოლო ვისაც სიკვდილის ფასად შეუსყიდნია იყი, ის პიროვნება განწირულია ყოველთვის. ძლიერი და გულბოროტი იყო მევე, დაუნდობელი, თუმცა არც მასზე დაუნდობელს და ძლიერს ებრძოდა არსაკიძე. ქვის ლოდებს და დმერთს.

პ: გამსახურდიას გმირები, ყოველთვის ებრძოდნენ ლმერთს (ეს გავლენა ნიცშედან მოდის), ლმერთმებრძოლია ამირანი, ნიცშე, იაკობი.

იაკობი ლმერთის რჩეულია, მაგრამ ერთხელ დამით იორდანიაზე გადასვლის წინ დაუხვდა თავის რჩეულს, ანგელოზის სახით და დაეჭიდა, მაგრამ ვერ ძლია, მხოლოდ დააკოჭლა (მარჯვენა მოაჭრეს არსაკიძეს, მაგრამ ვერ ძლიეს).

იაკობი უფლის მეტოქეა და მოძულეა, არც არსაკიძეს უყვარს მეფე, არახოდეს ცდილობს მასთან პირფერობას, თანაცი ის მისი მეტოქეც არის სიყვარულში. „მე არ შემძლიან მლიქვნელისა და კარისკაცის მოვალეობა ოსტატის საქმესთან შევათავსო, თუ ხეროთმოძღვრის ხარისხი ბაზიერუჩუცესობასაც მოახწავებს, მაშინ ამ ტაძარს დავამთავრებ და ისევ კორითხურო გავხდები უბრალო“ – ასე მიმართავდა ნადირობის დროს სათაყვანებელს.

„ლმერთის სიკვდილი“ გზას უხსნის ადამიანის შემოქმედებას, ის სამყარო, რომელიც აგებული იყო ლმერთის თვალთახელვით დაინგრა, ახლა ადამიანმა უნდა ააგოს ახალი სამყარო – ეს ახალი სამყარო არსაკიძისთვის სვეტიცხოველია, სადაც ბრძოლაა იქ სიკვდილია. იბრძოდა არსაკიძე, ამ ბრძოლაში დაიღუპა არსაკიძე. რომანში ფიზიკურად იღუპება, რადგან მისგან დარჩენილიყო ის, რაშიც იგი სამუდამოდ უნდა განვითარებულიყო – უკვდავ სვეტიცხოველში.

ვინც ტირანს კლავს, იგი კაცის მკვლელად არ ჩაითვლება, რადგან იგი კაცს როდი ჰკლავს, არამედ ნადირს, ხოლო როცა ხელოვანს ჰკლავენ „უმიზეზოდ“, ამით მხოლოდ ერთ კაცს არ კლავ, ამით კაცობრიობას და საკუთარ ერს უკლავენ შემოქმედს.

კ: არსაკიძის მიზანი, როგორც შემოქმედისა განხორციელდა, ააგო ტაძარი, მიწისძვრამაც ვერაფერი დააკლო, მედიდურად იდგა, ცოგი და ამაყი, როგორც მყინვარწვერი, ის მარტო ტაძარი კი არ იყო, ის, ახლა ქმნილება იყო, ახალი ერის.

ხალხი დაემხო მის ირგვლივ მიწისძვრამ შეაშინა ისინი, მაგრამ არ „შეშინდა” ტაძარი. სიმბოლურია რომანში ეს მომენტი, მწერლის მიერ აღნიშნული. გაივლის დრო, საუცუნეები, დაემხობა ქართველთა ერი მტრის წინაშე, შეშინდება ჟამთა სიავის გამოც, მაგრამ სცემტიცხოველი ისეგ ამაყად იდგება ცასა და დედამიწას შორის აღმართული დიდების შარავანდედით მოსილი, გოლიათი ტაძართაგანი...

არსაკიძე როცა დარწმუნდა, რომ ტაძარს არაფერი დააკლო სტიქიამ, მხოლოდ მაშინ მისწვდა მისი ფიქრის არე შორენას, მის საყვარელ ქალს. ამით არჩევანი გააკეთა ოსტატმა, ხელოვნება არჩია ქალს. ქალს, რომელიც ყოველთვის უყვარდა, რომელიც ყინწვისის ანგელოზსაც აგონებდა, როგორც უმანქო ბუნების მქონე, გვიან გააცნობიერა სიყვარული, სიყმაწვილე სიძვის დიაცებთან განცლო, ხოლო სიჭაბუკის წლები ტაძარს შესწირა. რა დარჩა მისგან შორენას, არაფერი, სრულიად არაფერი, მხოლოდ განუხორციელებელი სიყვარული, შეგორობა და დარდი.

შორენა ყოველთვის სინაზით, სითბოთი იხსენიებდა მას. „უტა” – ასე ეძახდა, როგორც ფხოვში დედა, როგორც ნაძმობს, ძუძუმტეს, თუმცა ქალმა კარგად იცოდა, რომ უტა მისი ძუძუმტეს არასოდეს ყოფილა.

პ. გამსახურდიას მამა მოფერებით „უტას” ეძახდა, არსაკიძესაც „უტას” ეძახდნენ ახლობელი ადამიანები. „უტა” (უთუ) ინანას მმა იყო შუმერულ მითოლოგიაში, მზის ღვთაება იყო, ინანა კი ცის დედოფალი იყო ერთ-ერთი მრისხანე მებრძოლი ქალდემერთი.

სვანურ მითოლოგიაში არის ერთი მითი „ინანასა და გილგამეშზე”, სადაც მოთხოვბილია ინანას სიყვარული მონადირე გილგამეშის მიმართ, მაგრამ კაცმა უარყო ქალის სიყვარული. ინანამ ის სიკვდილით დასაჯა. ასევე მოიქცა ქალდემერთი დალიც, ერთ-ერთი მითის მიხედვით უარყოფილმა დალიმ მონადირე კლდიდან გადაჩეხა...

უტა – სახელი საქართველოში შემორჩენილია, კერძოდ სამეგრელოში, ამიტომ დაარქვა მწერალმა არსაკიძეს სინაზის, მოფერების სახელი, რათა ამით დიდი სიყვარული გამოეხატნა მისადმი.

ქალისადმი დანაშაულს არსაკიძე თვითონგე ადიარქს: „მფლანგველებს ასეთი ბედი ეწევა მუდამ, სხვის საუნჯეთა

მპარაგნი საკუთარსაც ვერ „შეინარჩუნებენო”. მაგრამ ეს სინა-ნული მაინც ვერ „შეცელიდა მის ცხოვრებას, რაღაც ის ჟავე განწირულია თვით მეფისგანაც და მასწავლებლისგანაც. მაგრამ სიყვარულს უფრო ძლიერი ძალა აქვს, ვიდრე ადამიანს ჰავნია.

თავი მოიკლა შორენამ, როდესაც მისი გულის მიჯნურის დალუპვის ამბავი გაიგო. მისი ერთგული დარჩა ცხოვრებისგან ტანჯული ქალი. მხატვრულ ლიტერატურაში მრავალი მაგალითია სიყვარულის ერთგულებაზე. კვაზიმონდო ერთგული დარჩა (ეს სხეულით მახინჯი არსება) ესმერალდასი, მისი სული ისეთი სუფთა და ფაქიზია, რომ ჯანსაღ სხეულის მქონე ადამიანსაც კი შეშურდებოდა. მისი სიყვარული ძლიერია და ურყევი. ოუმცა ტრაგიკული. ერთგული დარჩა ჯულიეტა რომეოსადმი, ოუმცა სიყვარული აქაც ტრაგიკულია. ერთგული დარჩა იზოლლდა ტრისტანისადმი აქაც ტრაგედიოთ არის სავსე მათი გრძნობის ფინალი. შუღლი, ბოროტება, შხამი – სამი ძირითადი მოვლენა ყველაფრის საწყისი...

როცა ოსტატის მიერ „შესრულებული ქმნილების დიდებულებას ვედარ ხედავ შურისგან აღვხილი, ხელმოცარული სხვა ოსტატი, ის დაემსგავსება ყრუს და ბრმას, რომელსაც არ ესმის, ან უკეთ რომ ვთქვათ არ უნდა ესმოდეს მისი. შური აბრმავებს ადამიანს, ასე „დაბრმავდა“ ფარსმანიც. ბრმენი, მაგრამ ფარისეველი ადამიანი. არსაკიძე და ფარსმანი ლიად არასოდეს დაპირისპირებულან, მაგრამ ის გახდა მიზანი დიდოსტატის დალუპვის, ფარსმანის გესლმა მოშხამა მეფე, ამ შხამმა არსაკიზესაც მოუსწრაფა სიცოცხლე... ოსტატისა და შეგირდის დაპირისპირება და შუღლი ყოველთვის ცნობილი იყო საუკუნეების მანძილზე ისტორიაში.

სალიერმა განიზრახა ოსტატის მოშორება, ის არის მიზეზი მოცარტის მოწამვლისა, რადგან ვერასმოდეს გახდებდა მოცარტისნაირი კომპოზიტორი, ვერც მის მსგავს მუსიკას შექმნიდა. ასეა ფარსმანიც, ვერც ის გახდებოდა არსაკიძისნაირი ოსტატი, ვერც ის შექმნიდა სვეტიცხოვლისნაირ ტაძარს. ასე იყო და ასე იქნება ყოველთვის, ვიღრე კაცთა შორის იარსებებს: შური, ღვარძლი და განდიდების მანია.

იუდამ ქრისტე გაყიდა 30 ვერცხლად, თავის მოძღვარი, რათა ვერ მისწვდა მის დიდებას. თუ ქრისტეს დგაწლი, ამაგი ვერ დაფასდა კაცთა შორის და ის ჯვარზე აცვეს, როგორც

დამნაშავე, მაშ რატომ, უნდა დაფასებულიყო ერთი მონის ბე-  
დი, ან მისი ხელოვნება ტირანულ სახელმწიფოში?

„ოუ გსურს ადემატებოდე მეფეს, უნდა წარმოადგენდე  
კიდევ რამეს“ – არსაკიძე ადემატებოდა მეფეს თავისი მად-  
ლით, თავისი ხელოვნებით. „უფროხილდით კაცნო უფლისა და  
ადამიანის გამოსახვას“, მაგრამ არ შეუშინდა ოსტატი ამ გაფ-  
რთხილებას, ნახატი „იაკობისა და ღმერთის შერკინება“ მისი  
სიკვდილის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. იაკობი – არსაკიძეა,  
ღმერთი – კათალიკოსი.

„იაკობის ღმერთოან ბრძოლის თემა უდერს, როგორც  
მარადისობასთან და სიკვდილთან უსასრულო ჭიდილი ადამია-  
ნური გონის“. ეს ნახატი ოსტატის ბედისწერაა. შორენა კი  
მეფესთან დაპირისპირების ბედისწერა. მოიკვეთა ეპლესიიგან  
არსაკიძე, არ აპატია მერქებელობა კათალიკოსმა, გასწირა მო-  
ნარქმაც, არა როგორც მეფემ ხელოვანი, არამედ, როგორც  
მიჯნურმა სატრფოს მოცილე და მეტოქე რა დარჩა არსაკიძეს?  
სიკვდილი, თუმცა მის ხსოვნას არ ღირსებია სიკვდილი. მოქ-  
ლი სული და გული ტაძარს შეალია, დაუფასა ამაგი ტაძარმა  
და სანამ ის იარსებებს და არ დაინგრევა (ეს არასოდეს მოხ-  
დება) არც არსაკიძე „მოკვდება“, ის უკვდავი იქნება ყოველ-  
თვის. გასწირეს ის ქვეყნის მბრძანებლებმა, მაგრამ ხალხმა არ  
გასწირა. თბილისელ ჯალათს ერთადერთ თვალიდან ცრემლი  
დიოდა, როცა მარჯვენას აჭრიდა. აუხდა მუცლით მეზღაპრის  
წინასწარმეტყველება ხმლით გელისო სიკვდილი...

„გაქპაცურად ებრძოდა წიწამურის ველზე მამალი ხოხო-  
ბი დამეს და სიკვდილს“, მამაცურად და ვაჟაცურად ებრძვის  
მორიელებისგან დაგესლილი, მელავმოკვეთილი არსაკიძე გრძე-  
ლწვერა, მგლისებრ თვალება მოხუცს, რომელიც სულს  
სთხოვს, არ მისცა სული, არც შორენას მისცა სული, რადგან  
სვეტიცხოვლისთვის შეეწირა იგი. გიყვარდეს ეს ნიშნავს მზად  
იყო სიკვდილისათვის. უყვარდა, თავდავიწყებით უყვარდა თავი-  
სი ქმნილება არსაკიძეს და მზად იყო მისთვის მომკვდარიყო.  
ამიტომ დარჩა კონსტანტინე არსაკიძე და სვეტიცხოველი განუ-  
ყოფელი მთლიანობა მარადისობის და უკვდავების.

**გამოყენებული ლიტერატურა:** 1. რ. სირაძე, სახისმეტყველება, თბ., 1986. 2. გ. ბერიძე, ძვ. ქართველი ხუროთმოძღვრები” თბ., 1956, გვ. 13. 3. ბ. გამსახურდია, დიდოსტატისმარჯვენა, თბ., 1966, გვ. 137. 4. კ.გამსახურდია, დასახელებული რომანი, გვ.14. 5. ვ. იუგო, „პარიზის დვორისმშობლის ტაბარი”, თბ., 1987, გვ. 17. 6. გპიუბო, დასახელებული რომანი, გვ. 8. 7. ბ.გამსახურდია, წერილები, ტ. VIII, თბ., 1985, გვ. 50. 8. კ.გამსახურდია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 135. 9. იქვე, გვ. 135, 192. 10. იქვე, გვ. 217. 11. ი. მილორავა, 6. ლორთქიფანიის მხატვრული დრო და სივრცე, თბ., 1995, გვ. 19. 12. ფრ. ნიცშე, ასე იტყოდა ზარატუსტრა, თბ. 1993, გვ. 255.

**Lia Osadze**

### **Svetitskovel – Symbol of Eternity and Ymmortality (By the Novel by K.Gamsakhurdia „the Great master’s Right Hand”)**

Yn the article the story of building of Svetitskovel Cathedral is considered, the matter concerns its constructor K.Arsakidze. Svetitskovel, Gathedral is prezendet not only as a symbol of sanctity of the Georgian nation, but as the one of magnilicence and mightinees, as the peak. Alongside, Y draw a parallel with the novel by U. Hugo „Notre-Dammede\_Paris”. Yn this novel the cathedral is mighty as well, but the difference is that here action is about it, while in the novel by K.Gamsakhurdia one of the main actions is construction of Svetitskovel.

## მარინე გიგაშვილი

# ლევან გოთუა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში

„ვერ ამიხსნია, ვერ გამიგია: სამშობლო იმიტომ მიყვარს ასე ძალიან, რომ მისგან ასე შორსა ვარ, თუ ასე შორსა ვარ იმიტომ, რომ სამშობლო ასე ძალიან მიყვარს?!“ – ლევან გოთუას ამ სიტყვებით იწყება თამარ და ალექსანდრე გოთუების წიგნი „თავგადასავალი ლევან გოთუასი“, რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულა და ერთ-ერთი იშვიათი ქბეჭმპლარი გორელი ხუციშვილების ოჯახურ ბიბლიოთეკაშია შემონახული. ეს წიგნი 1995 წელს გამომცემლობა „თარხანს“ მცირე ტირაჟით გამოუცია (რედაქტორი სოლომონ ხუციშვილი). ქართული სალიტერატურო კრიტიკა ვალშია ლევან გოთუას წინაშე, ალბათ, ამ კრიტერიუმითაც განისაზღვრება ჩემი ინტერესი ლევან გოთუას შემოქმედების კვლევის მიმართ.

ლევან გოთუა, კაცი, რომელმაც ცხოვრების ერთი მქამედი – 66 წლიდან 22 წელი სამშობლოს მიღმა საკონცენტრაციო ბანაკებსა და კატორდაში გაატარა. ბოლო წლებში გადასახლების ფორმა – „თავისუფალი გადასახლება“ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ბევრი იწერა, შეენარჩუნებინა ადამიანობა, არ დაეკარგა სულიერი სიფაქიზე და სიკეთის რწმენა, რომელიც კარგად ჩანს მის ნაწარმოებებში.

თუ მისი ცხოვრება ესქატოლოგიური თვალსაზრისით შევაფასეთ, როცა განსაზღვრულია ყოველი ადამიანის როგორც დაბადების, ასევე სიკვდილის დრო, ზუსტი თარიღი, გავიგებთ თუ როგორ იცოცხელა 66 წელი, მაშინ როცა მისი სიცოცხლე ბევრჯერ ბეწვზე ეპიდა და სრულიად შემთხვევით გადაურჩა დახვრებას, სიკვდილს. კაცი, რომელიც ნამყოფია თბილისის, მოსკოვის, სოლოვეკის, ნარიმის, ბიისკის დახურულ ციხეებში, – თითქოს ეს დაუჯერებელია იმისათვის, ვინც მის სიცოცხ-

ლისმოყვარულ ნატურას იცნობს, მაგრამ ეს ფაქტია და სინამდვილე.

ელგუჯა მაღრაძე თავის ესეიში ლევან გოთუაზე კარგად აღწერს, როგორ ამცნეს საპატიმროში დიდი ხნით მყოფ ლევან გოთუას თავისუფლება, მაგრამ არ მისცეს საქართველოში ცხოვრების უფლება და მწერალი ხებაყოფლობით პატიმრად დარჩა, რადგან მისთვის საქართველოს გარეშე ცხოვრება ისე-დაც პატიმრობაში ყოფნა იქნებოდა. ლევან გოთუას თბილისში ჩამოსვლას მისი მსაჯულების დაპატიმრება და გასამართლება დამთხვევია, მწერალიც მიუწვდიათ პროცესზე, როგორც უსა-მართლო ზვარაკი და მოწმე, მაგრამ მას ამ ამაზრზენ პრო-ცესში მონაწილეობა აღარ მიუღია.

მაინც რა არის მიზეზი ლევან გოთუას შერისხვისა? თა-ვიდანვე უნდა დავაზუსტოთ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მას „მწერლური არცნობისა და აუდიარებლობის ტრაგედია არ გა-ნუდია. პირიქით, იგი მკითხველებს დიდი სიყვარულით უყვარ-დათ, პატივს სცემდნენ, ეთავისწინებოდნენ“.

ელგუჯა მაღრაძის ეს სიტყვები ყოველგვარ მიკერძოებას და გაზიადებას არის მოკლებული. ეს საბჭოურ მწერლობას და კრიტიკას ჰქონდათ გამართული „ციგი ომი“ ლევან გოთუასთან და „ზავი, თუნდაც დროებითი, ლევანსა და ქარ-თულ კრიტიკას შორის ჯერაც არაა სამოგდებულ-დამყარებული“.

ელგუჯა მაღრაძე ამას 1976 წელს წერს, დღეს სიტუაცია შეცვლილია...

ამ შრომის მიზანია მიმოიხილოს რამდენიმე კრიტიკული წერილი, მიძღვნილი ლევან გოთუას შემოქმედებისადმი. გაანა-ლიზდეს თუ რა კრიტერიუმითაა მათში შევასებული ლევან გოთუას შემოქმედება, იმ საზოდადოებაში მოღვაწე ადამიანე-ბის მიერ, რომელ საზოგადოებაშიც „საბჭოური მწერლობა მთლიანად იხდიდა ნიდაბს და საბოლოოდ ემიჯნებოდა ლიტე-რატურის ჰუმანისტურ პრინციპს“ (აკაკი ბაქრაძე). შემდეგ, რო-ცა აუცილებელი გახდა თუნდაც ფორმალურად, ჰუმანიზმისა-კენ შემობრუნება საბჭოთა მწერლობამ ისტორიისაკენ გაიხედა და იქ დაიწუო ძებნა იმ ადამიანებისა, რომელიც შეეძლოთ იდეალის როლის შესრულება (აკაკი ბაქრაძე).

ელგუჯა მაღრაძეს მიაჩნია, რომ ლევან გოთუა ისტორი-ულ სინამდვილეს სჭრებდა არა მარტო როგორც მწერალი, ვისაც მიზნად დაუსახავს მშვენიერი ფორმა მოუნახოს მკითხ-

ველამდე მისატან სათქმელს, ნამდვილ ისტორიულ პირთა და თავისიფანტაზით შექმნილ გმირთა დიალოგებს, ნააზრევსა და ნაფიქრს, არამედ როგორც სწავლული მეცნიერი განიხილავდა გამოწვდევით, აწრთობდა და სამზეოზე ისე გამოჰქონდა გარდასული დროის ამბავი.

XXს. 50-70 წლების ცნობილ კრიტიკოსს – შალვა რადიანს მიაჩნდა, რომ ლევან გოთუას კარგად ესმის ისტორიული პროცესის ისტორიული ხასიათი, ამიტომ მის შემცირებულ წარმოდგენილია, როგორც ცხოვრების განვითარების კანონზომიერება. შალვა რადიანი თავისებურად გაიაზრებს იმ პოლიტიკურ მოვლენებს, რაც „გმირთა ვარამში“ დგას და ფიქრობს ამ რომანში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს ორიენტაციის საკითხს. კრიტიკოსი ცდილობს წინ წამოსწოროს გაძლიერებული ურთიერთობა ჩრდილოეთიდან მოახლოებულ ერთმორწმუნე ქვეყანასთან – რუსეთთან, როგორც საქართველოს გადარჩენის ერთადერთი და უალტერნატივი გზა.

ელგუჯა მაღრაძეს კი მიაჩნია, რომ ლევან გოთუამ როგორც კველა ჭეშმარიტმა პატრიოტმა მწერალმა, გადაწყვიტა ქვენებინა, რომ აღმოსავლური ბნელეთიდან თავდახსნის ერთადერთი სწორი, ერთადერთი მართალი გზა „ის გზაა, რომელიც კახთა სამეცნის მიერაა გაკაფული ჩრდილოეთისაკენ“, მაგრამ ამავე დროს მწერალს „მშრალად კი არ დაგუმშვდვრივართ, არამედ გვზევენა როგორ უნდა გაისარჯოს კაცი, როცა მოყვარეს უჭირს, როგორი თავდადება მართებს ერთ ადამიანს მეორესათვის, როგორ საჭიროა თანადგომა განსაცდელის უამს, თანადგომა გაჭირებასა და უბედურებაში, რომ მოწოდება, რომელიც მის სიტყვებში გამისჭვივის, ასეთია: „მკითხველო...იყავი შენი ქვეყნის მოსიყვარულე, მწედ ექმენ შენს მამულს, შენს ხალხს, შენს მშობელ ენას... შეებრძოლე ეშმაქს საკუთარ სულში... სხლივ ცოუნებანი წამიერნი... ნუ გააატარებ შენს წუთისოფელს შიშხა და შურში“.

ასე არ ფიქრობს შალვა რადიანი. მას მიაჩნია, რომ „გმირთა ვარამში“ ხშირია ავტორის უკანსვლები. იგი ერევა თხრობაში, არდვევს სინამდვილის ზუსტი, ობიექტური გამოხატვის გზას, რომანში ფსიქოლოგიური შინაარსი ყოველთვის გადაწეულია უკანა პლაზეზე და მწერალს საყვედურობს, რომ იგი მკრთალად ხატავს თავის გმირთა შინაგან სამყაროს, ამარტივებს ხალხის ფსიქოლოგიას, რომ ხალხში, როგორც მთავა-

რი, აქტიური ძალა ისტორიისა, რომანში მთელი ძალით არა ჩანს. კრიტიკოსის აზრით, თანამედროვე მწერლობამ უნდა გვიჩვენოს ხალხი, როგორც ისტორიის შემოქმედი ძალა, რომელიც ქმის ყოველნაირ ღირებულებებს, რომელიც მაღალი პატრიოტული შევნების მატარებელია.

ასეთი მიღგომა დავვან გოთუას შემოქმედებისადმი განპირობებულია იმით, რომ ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი, რომელიც საბჭოურ ლიტერატურას აღიარებინებს, რომ ამაღლებული, მშენიერი, კეთილშობილური და გმირული ადამიანის სულიერი თვისება კი არ არის, არამედ პარტიული და კლასობრივია და მხოლოდ კომუნისტის დამახასიათებელი თვისებაა, რომ მართალია მხოლოდ კომუნისტი და ამ მოდელის მიხედვით იქმნებოდა ყველა მხატვრული ნაწარმოები. შალვა რადიანი კი დავიძლი შვილია იმ ეპოქისა და მისი ამ პრიზმაში გამოტარებული მსჯელობა დავვან გოთუას შემოქმედების შესახებ ანაქრონიზმად გვეჩვენება სხვა კრიტიკოსების ნააზრევთა ფონზე.

ნინო მახათაძე თავის წიგნში „დავლი ქართული მწერლობის ტრადიციები XXს. ქართულ პროზაში“ დავვან გოთუას განიხილავს არა როგორც ისტორიული რომანების ავტორს არამედ, „როგორც პროზაიკოსი, რომლის შემოქმედებაში მძლავრად მოუკიდებია ფეხი ძველი ქართული მწერლობის ტრადიციებს“. ამ თემის გასაშლელად თვით დავვან გოთუას სიტყვებს მოიშველიებს: „მწერალი, ისე როგორც მოკლი ერი, ერთდროულად ცხოვრობს წარსულის გრძნობით, აწყობს შემოქმედური შევნებით და მომავლის იმედით... და რარიგ შორეულ წარსულსა და მომავალს არ უნდა ეხმოდეს ნაწარმოები, მისი გაიცენტრი მაინც თანამედროვეობაშია“.

საკამათოა ნინო მახათაძის შენიშვნის სახით გამოთქმული მოსაზრება, რომ „გმირთა ვარამი“ მწერალმა ისეთ ადგილას დაამთავრა, სადაც არ უნდა დამთავრებულიყო, შპა-აბასის სისხლიანი ისტორიის მეორე პერიდი, თეიმურაზის და გიორგი სააკაძის თემა ამ რომანის ორგანული ნაწილი უნდა ყოფილიყო... იმის გამო, რომ რომანი იქ დასრულდა, სანამ ასპარეზზე მეფე-პოეტი თეიმურაზი გამოვიდოდა, რომ მწერალმა „გმირთა ვარამს“ თეიმურაზის პოეზის თემა მოაკლო, რაც უთუოდ მშევნება იქნებოდა ამ რომანისაო. ეს აზრი საკამათოა იმიტომ, რომ თეიმურაზ I-მა, საქმაოდ ამბიციურმა პოეტმა, რომელსაც თავის დარად არავინ მიაჩნდა, თვით შოთა რუსთა-

კელიც კი, საქმაოდ ბევრი თქვა თავის ბედზე თუ უბედობაზე, ამდენად, შეიძლება, ლევან გოთუამ საჭიროდ აღარ მიიჩნია საქართველოს ისტორიის ამ ბედუკუდმართ, მაგრამ კარგად ცნობილ პერიოდზე თავისი საკუთარი აზრი გამოეთქვა, როგორც ცნობილია, დიდ მწერლებს არ ედაგებიან.

იმ დროს, როდესაც მწერალი გადასახლებაში იმყოფება და არც თუ ძალიან არის გათამამებული კრიტიკოსთა უფრადებით, ლევან გოთუას შემოქმედების კვლევას განსაკუთრებულ ხიბლს მატებს პუბლიცისტის, პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის იპოლიტე ვართაგავას კომპეტენტური აზრი მის მოთხოვებზე. იპოლიტე ვართაგავას მიაჩნია, რომ ლევან გოთუა არა მარტო ნიჭიერი მწერალია, არამედ ბრწყინვალე მოქალაქე და დიდი მამულიშვილია. სრულიად ახალი თემა ლიტერატურაში არ არსებობს, კელიაფერი უკვე დიდი ხანია რაც ითქვა და სწორედ მწერლის დამსახურებაც ის არისო, წერს კრიტიკოსი რომ ნაცნობ სიუჯეტებს უდგება სრულიად ახალი კუთხით და განსაკუთრებული ფერებით ხატავს, თუმცა ეს არ ნიშანავს იმას, რომ ლევან გოთუამ არ მიაგნო „ხელუხლებელ თემებსა“ და არ შექმნა წარსულის დიდი ეპოპეა.

იპოლიტე ვართაგავას მწერლის ძირითად დამსახურებად ის მიაჩნია, რომ მას თავისი ყველა ნაწარმოები „უჩვეულო ლირიკულ სრულყოფილებამდე აჟავს„, მაგრამ ამით მკითხველის გაოცებას კი არ ცდილობს, არამედ ცდილობს თავისი შემოქმედებით წინ წამოსწიოს ცხოვრების ერთადერთი მბრძანებელი – ადამიანი, ეპოქის გმირი.

იპოლიტე ვართაგავა თავის წერილში გვერდს აუკლის რომანს „გმირთა ვარამი“ და მიმოიხილავს იმ მოთხოვებს, რომლებიც შესულია კრებულში „ნისლი ნახატარის ტყეში“ (1963 წელი). ამ კრებულში მოცემული 11 ხოველიდან, ყველა გარდა პირველი ორიას, უშუალოდ ისტორიულ ქარგაზეა აგებული, მაგრამ იპოლიტე ვართაგავა, ისევე როგორც ნინო მახათაძე ფიფრობს, რომ მწერალი ფიქრობს გარდასული ხანა თანამედროვეობის ასპექტში წარმოგვიდგინოს. საერთოდ კი, კრიტიკოსი მწერლის თავისებურებად მიიჩნევს იმას, რომ მის მოთხოვებში უფრო მეტი დადებითი გმირები არიან, ვიდრე უარყოფითი ადამიანები. აქ შეიძლება გავიხსენოთ შალვა ამირჯიში, რომელიც მიიჩნევს, რომ ხელოვნება (და ლიტერატურაც ხომ ხელოვნების დარგია) სიმბოლოებს საჭიროებს, რომ

„არ არის არავითარი საჭიროება ჯაფოსთანა „მართალი“ ტიპი მწერლობაში იყვეს შეუვანილი (თუმცა ეს აზრი საკამათოა და ამის შესახებ დღეს დიდი კამათია ატებილი), მაგრამ ზემოხსენებულ მოთხოვნებში კარგად ჩანს ლევან გოთუას სურვილი ცხოვრებაში საერთოდ არ არსებოდნენ უარყოფითი ადამიანები, ეს მოთხოვნები მოწოდებაა სიკეთისაკენ და ამ მხრივ იპ. ვართაგავას აზრით ისინი ცხოვრების სახელმძღვანელოცა“.

რომ გავიგოო ლევან გოთუას სურვილი – ვინ უნდა იყვეს ახალგაზრდების იდეალი, უნდა წავიკითხოთ მისი მოთხოვნები – „დიდ მამულიშვილთა და კეთილშობილთა გალერეა“-ესენი არიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ ხანძთელი, მეფე ლუარსაბი, ვახტანგ გორგასალი და მათ გვერდით მდგომი უბრალო ქართველი ადამიანები: ელიბო, ლელაი, საბედო-დო-დარაჯი და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ – ხალხი, რომლებმაც თავისი მხრებით დღემდე მოიტანეს საქართველო.

რა ხდება XX საუკუნის ბოლოს ლიტერატურულ კრიტიკაში. როგორ არის შეფასებული ლევან გოთუას შემოქმედება. ამ დროს ლევან გოთუაზე ბევრს წერენ, მაგრამ მე ამ წერილებიდან ამოვარჩევ მხოლოდ როსტომ ჩხეიძის და აკაკი ბაქრაძის წერილებს, რომლებიც მისი რომანის – „მითრიდატესადმია“ მიძღვნილი.

ლევან გოთუას თხზულებათა სრული კრებულის I ტომის წინასიტყვაობაში აკაკი ბაქრაძე ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ ლევან გოთუას პერსონაჟებს მათი ავტორივით ფანატიკურად უყვართ საქართველო. მისი აზრით არიან ერები, რომლებიც წარსულს ვერ დაიფიციებენ. ისინი ძველ გამარჯვებას თუ მარცხს ისევე განიცდიან, როგორც ახალსა და მოუშეუშებელს. ასეთ ერთა შორისაა ქართველი ერიც, ამიტომ არის იგი დაინტერესებული ისტორიული ბელებრისტიკით და დიდი გულისყურით ეკიდებაო მას. ლევან გოთუას, კრიტიკოსის აზრით, ორი მნიშვნელოვანი პიროვნება აინტერესებს საქართველოს ისტორიიდან–დავით აღმაშენებელი და ერეკლე მეორე. ერთი ბრწყინვალე გამარჯვება, მეორე–სამარცხევინო მარცხი. ლევან გოთუა ცდილობს გაერკეს რა თვისებებმა ააღორმინა ჩვენი ქვეყანა და რამ დააქცია იგი, რადგანაც ეს დღევანდველ საქართველოს გაკვეთილად სჭირდება.

არაერთ ქართველ მწერალს მოუნდომებია ამოეცნო თუ სად იყო ჩვენი საშო. ამიტომ არის, რომ ტიციანი ხვდება, თუ

ქალდეა რად ენატრება, თვითონ კი ეს ხილვები და შთაგონებანი სულაც იმ გრიგოლ რობაქიძისაგან შეუთვისებია, რომელიც ასე კარგადა წერს: „ყოველ ქართველში – რომელშიც დვივის კიდევ ოდნავ მაინც, ცეცხლი კარდჲუს თესლისა–ყოველ ქართველში იღვიძებს საქართველო-იღვიძებს არა წილობით, არამედ მთლად იღვიძებს მთელი საქართველო, მთელი მისი ბედით“.

როსტომ ჩხეიძე მიიჩნევს, რომ გრიგოლ რობაქიძის ამ ძიებების შემდეგ არც ერთი ქართველი ადარ დარჩება განზე განაპირებული, ყოველი მათგანის გზა უკვე ამ მსხვერპლის ნიშნით მოდისო – „რომ ხიდი გადებულია უშორესსა და უახლეს წლებს შორის – თვალსაჩინო ნიშანსვები ძალდაუტანებლად გამოისმობს გამქრალ ეპოქას და ძალუმად მოგვანდომებს მის აღდგენას წარმოსახვაში“.

გრიგოლ რობაქიძე კარდჲუს ანიჭებს უპირატესობას და ამ სახელს შეარქმევს მონდოლთა ეპოქის დიდ ქართველ მთავარს; ყველა რომ ემორჩილება მონდოლებს, ერთადერთი არ ემორჩილებოდა კარდჲუ, ნაშიერი დიდი თავადის ირუბაქ ირუბაქიძის.

ტიციან ტაბიძე თავის წინაპრებს ქალდეელ მაგებში ექვებს, სიტყვა „ირუბაქ“ ქალდეეური ძირისათ.

გორგი ლეონიძეც გონების თვალით შეიმეცნებს მზის სიმსურვალეს და წერს – საქართველოს ხალხი ოდითგანვე ადიდებდა მზესო, ერი, მზის მსახური, არ იცნობდა ღმერთს გარეშე მზისათ. ისიც გაემართება ნათესავ იბერთა საპოვნელად პირინეის ნახევარკუნძულზე და მუდმივია „პოეტურ გრძნობებში გამოხვეული ფიქრი ბედისწერაზე, ძიება საკუთარი ფესვების საპოვნელად“.

ყველა ის ისტორიული სახელწოდება, ქწ. გამქრალ სახელმწიფოთა, რომელთა ჩამომავლადაც გვაცხადებდა ქართველობას მეცნიერული ძიებანი, ხშირად ხმიანობს ანა კალანდაძის ლირიკულ მეტყველებაში-ხეთაც, ურარტუც. „მათ გადაიარეს ცა პირამიდების ხეთა და მიდია... ზღაპრული ურარტუ, ქართული მინდვრები, კიდევ სად მიდიან?“

ოთარ ჩხეიძე პალდეს ახსენებს რომანში „მეჩეჩი“, რომელიც მხოლოდ მხატვრულ რეკაზეა მონიშნული, ძველი ქალაქი მხოლოდ მწერლის მხატვრულ წარმოსახვაშია და მითოსსაც თვითონვე ხზავს, როსტომ ჩხეიძე წერს: „მთავარი ისაა, რომ (მწერალი) ეყრდნობა ინტუიციასაც და იმ პიკოტეზებსაც, ჩვენს

პირვანდელ „სამშობლოს კრცელ არეალზე რომ მიუჩენდნენ ადგილს“.

ამ ტრადიციებს თავისებურ უხდის ხარცს ლევან გოთუა რომანში „მითრიდატე“. აგაკი ბაქრაძე სრულიად ბუქბრივად მიიჩნევს, რომ ისეთი საინტერესო ბიოგრაფიის მქონე პიროვნებას, როგორიც მითრიდატე II ევატორია, რომელსაც საოცრად ტრაგიკული ბედი ჰქონდა, მიეპყრო მწერლის უურადლება, მაგრამ უმთავრესი რაც კრიტიკოსის აზრით რომანში მკაფიოდაა გამოკვეთილი, ეს არის „არსიანული ზრახვა“, - ორი ასპექტით წარმოდგენილი - ქართველ ტომთა გაერთიანება, ერთ მთლიან ერად შეკავშირება, საერთო იდეა და მეორე კი - ამ მიზნით პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა. „მითრიდატეს“ პირველი წიგნი სწორედ ამ ამოცანის განხორციელების ისტორიას გვიამბობს.

ლევან გოთუას ეამაყება, რომ ჩვენ უძველესი ხალხის შთამომავალნი ვართ, „ბიბლიაში მოხსენებული თუბალებისა და მოსოხების ნაშიერნი“, თუმცა გაქრნენ და გადაშენდნენ ბაბილონი, ქალდეა და ნინევია. ჩვენ გადავრჩით და ენა, სული და ნაწილობრივ კულტურაც კი შევინარჩუნეთო. ლევან გოთუას ამ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არაერთი საინტერესო პიროვნება ეგულება, რომელთა მოდგრება და ღვაწლი ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გამოურკვეველია.

სწორედ ამ „ისტორიის ბნელი (ე. მაღრაძე) კუთხეულებულებისათვის შექის მოფენას ისახავს“ მიზნად თავის რომანში ლევან გოთუაც. თუმცა, კარგად იცის რომ ეს სულაც არ არის სახუმარო და გასართობი საქმე. ელგუჯა მაღრაძე მოგვითხობს, რომ როცა ლეგენდადქცეულ „მითრიდატეზე“ აპირებდა რომანის დაწერას ძველი სამყაროს ისტორიკოსებს: სკილაქს კარიანდელს, ქსენოფანტეს, პლუტარქეს, სტრაბონს, აპიანეს, პერიფრეს, ორიენტალისტებს: სეისს, რაულინსონს, ტალბოტს, ლერონმანს, მაიერს, მიულერს, მომზენს, მაქსიმოვს, ლაბიშევს, კალისტოვს ახსენებდა, მათ შრომებს კითხულობდა. გულმოდგინედ სწავლობდა ისტორიულ წყაროებს, ზედმიწევნით კარგად ეცნობოდა ციხე-ქოშეთა გარსემოწყობის ხერხებს.

როსტომ ჩეიიძე კარგად აღწერს იმ მომენტს, როცა ამ კოლოსალური სამუშაოს ჩატარების შემდეგ რითი დაიწყოს, რა უნდა იყოს რომანის კომპოზიციური დერმი, ვერ მიუგნია და სულზე მიუსწრო გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულმა წერილმა „კერპი უფლისა“, სადაც ოთარ ჩეიიძე

მხატვარ ვ. არჩევაძის ნახატებს დაურთავდა. ისე გამოაქვეყნებს წერილს, რომ უფლისცინის ახლოს მდებარე ერთი კლდე ქვა-კაცას უძველესი კერპია, მხატვრის სურათზე შეიძლება კარგად გაარჩიო ცხვირი და სახის სხვა ნაკვთები. თუმცა ქვაკაცის სანახავად მისულებს იქ დახვედრილმა არქეოლოგიური ექსპ-ლიციის უფროსმა არ დაუდასტურა უძველესი კერპის არსებობა და არც ძველ სურათებშია შემორჩენილი კლდე ასეთი სახით, მაგრამ ამას რომანისათვის არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს, მთავარია, რომ მწერალმა იპოვა ქარგა, „მოვლო საერის ზღვინეთი სარჯიდან დიოსკურიამდე“, „უფრო შორსაც – ყი-რიძში – მითოდატებ მთამდე ააკითხა ჩვენს ანტიკურ ძეგლებს, „მითრიდატეს მოწმებს და თანამედროვეებს“ და „აღმოაჩინა „მითრიდატეს საქართველო“, რადგანაც ეს ეპოქა მიაჩნდა პირ-ველ და უდიდეს გამოსვლად ქართული სამყაროსი მსოფლიო ასპარეზზე.

აკაცი ბაქრაძე მიიჩნევს, როგორც არაერთმა ქართველმა მწერალმა, ლევან გოთუამაც მითოლოგიური ამბები კარგად გა-მოიყნა ეპოქის კოლორიტისა და ყოფის პოეტური სურათის შესაქმნელად. მაგრამ ამავე დროს ის აღნიშნავს იმ სუსტ ეპი-ზოდებს, რომელთაც დამაჯერებლობა აკლიათ. მწერალი იმე-დოვნებდა, რომ ყველა ნაკლი, რომელიც ამ რომანის I წიგნს გააჩნდა, გამოსწორდებოდა მეორე წიგნში, მაგრამ მწერალს, საუბედუროდ, მეორე წიგნის დაწერა აღარ დასცალდა.

როსტომ ჩეხიძეს მიაჩნია, რომ ქართული სამყაროს დიდი გაერთიანების სურათმა ისე ადაგზნო ლევან გოთუას წარმო-სახვა, რომ მისი სრულყოფილად გამოხატვის ძიებაში თხრობა ძალიან გაიშალა, შეიძლება ამიტომაც არის ნაკლებად დამაჯე-რებელი გმირის ცხოვრების უჩინარი ხანისათვის ასეთი განსა-კუთრებული მნიშვნელობის მინიჭება.

დასკვნა კი ასეთია, „მითრიდატე“, თუნდაც დაუმთავრებე-ლი სახით, რომლის მეორე წიგნის ერთი ფურცელიც კი არ არის დაწერილი, თუმცა ახლობლებს თავების შინაარსს უყვე-ბოდა, „მომხიბლავი სათავეადასავლო სურათის გარდა შთამ-ბქდავი სურათია ამაღლებული ოცნების და გაუტეხელი რწმე-ნისა“ (როსტომ ჩეხიძე).

„თუ ქართული ისტორიული რომანის აკვანთან ვასილ ბარნოვი და შალვა დადიანი დგანან, ისინი არიან პაპები, ხო-ლო ქართული ისტორიული რომანის მამამთავარი კონსტანტინე

გამსახურდიაა, ლევან გოთუას ამ თანავარსკვლავედში ღირსეული შვილის ადგილი უჭირავს“ (ე. მაღრაძე).

ლევან გოთუას მოთხოვბები თუ რომანები იმიტომ იკითხება აქტიური ნიაზით, რომ აქ მწერლის და ხალხის სულიერი მოთხოვნილებები ერთმანეთს ემთხვევა და სანამ ეს კავშირი არ მოიშლება, ლევან გოთუა ყოველთვის იქნება პოპულარული მეითხველთა შორის (აკაკი ბაქრაძე).

ასეთი XX საუკუნის დასასრულს მოდვაწე რამდენიმე კრიტიკოსის აზრი ლევან გოთუას შემოქმედების შესახებ.

## Marine Gigashvili

### Levan Dothua in Georgian critical Literary

Levan Gotua is distinguished from other writers that the main parts of his works are created in prison where the writing had been for twenty-two years. The above mentioned article dears with the appreciation of the winter's works from the official critics point of socialist realism and from the other side wis letters which were published during the winter's life and after his death.

## ნესტან ფიფია

### ჯვარსახოვნება ოთარ ჩხეიძის რომანში „თეთრი დათვი“

ოთარ ჩხეიძის შემოქმედება გამოირჩევა განსაკუთრებული ხელწერით, რასაც, უპირველესად, მისი რომანების ნარატიული მრავალფეროვნება ქმნის. XX საუკუნის 90—იან წლებში მწერალმა შექმნა განსაკუთრებული ტიპის, ერთგვარი ნოვატორულ—ექსპერიმენტული ხასათის რომანები, სადაც ერთმანეთს ორიგინალურად შეერწყა ღოკუმენტური და გამონაგონი. ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებები, ერთი შეხედვით, ძნელად იყითხება. „მისი ნაწარმოებების სტილი მათ ავტორს გამოხატავს, ამ სტილში ხელწერის გარდა უნდა ვიგულისხმოთ ნაწარმოების ჩანაფიქრიც, არქიტექტონიკაც, გმირების ხასათიც, სულიერი მოვლენების წედომის ხერხიც, განწყობილებაც, სათქმელიც და ა.შ. ყველაფერი, რისგანაც კი ნამდვილი ლიტერატურა შედგება. ყველა ეს კომპონენტი ოთარ ჩხეიძის პროზაში საშუალებით მოიცავს და მაღალი ხარისხით გვხდება“ (ღვანჯილია, 412).

ოთარ ჩხეიძის სტილი, კლასიკური გაგებით, რეალისტურია, მაგრამ, თანვე, ერთგვარად, სახეცვლილი. მისივე განმარტებით, ეს არის „დაუთმობელი რეალიზმი“ (ოთარ ჩხეიძე, 2). ეს არის, ჩვენი აზრით, მარჯვედ მოფიქრებული განსაზღვრება რეალიზმისა, რაღაც მის რომანებში სამყარო მართალია რეალისტურად, მაგრამ თავისებურად ტრანსფორმირდება. თავის დროზე მიხეილ ჯავახიშვილმა თავისი შემოქმედების პრინციპად ნეორეალიზმი აღიარა და დაასაბუთა მისი პრინციპები. ოთარ ჩხეიძე ქმნის სრულიად ახალ მიმართებას რეალობასთან და ამგვარად აფართოებს და ამრავალფეროვნებს თითქოსდა უკვე ამოწურული რეალიზმის საზღვრებს.

რომანი „თეთრი დათვი“ ასახავს გასული საუკუნის 90—იანი წლების ქართულ სინამდვილეს, ეროვნულ ტრაგედიას, გამძვინვარებას რუსული იმპერიალიზმისა, ერთს „მოყვარე მტრების“ მიერ ამ იმპერიისადმი თანაგრძოლობას.

ეს იყო უმძიმესი უამი ეროვნულ ცნობიერებაში, უამი როცა თარე-შობდა განჯგონებულობა.

„ვისაც სულხან საბა ორბელიანის „სიტყის კონაში“ ზშირად ჩაუ-ხედავს ეს სიტყვა არ უნდა ეუცხოოს. „განჯგონებულთა ბოროტი კეთი-ლი ეგონის“, - განმარტავს ლექსიკონი

განჯგონებულობა არა მარტო ცალკეულ პიროვნებათა ხვედრს გა-ნაგებს, არამედ საერთოეროვნულ-საზოგადოებრივსაც“ (ბაქრაძე, 719–721).

90 – იანი წლების საქართველოში მოვლენებს განჯგონებული განაგებდნენ.

„ტექსტის პორიზონტალური მდინარება ღროში ხდება“ (სირაძე,  
9) და ეს ღრო მეტად მძიმე, ტკილიანი და ტრაგიკული იყო ქართულ  
სინამდვილეში, როცა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებოთ ასპა-  
რეზი მიეცა „ინტელექტუალურ ბრძოს“ და ბეჭდი წარსულის ადამია-  
ნებს, როცა ეროვნული თვითმყოფადობის ერთგულებას „პროვინციული  
ფაშიზმი“ დატევს.

განჯგონებულებზე საუბრიას განსაკუთრებით საინტერესოა მწერ-  
ლის მსჯელობა ბრძოსა და ხალხზე. „ბრძო ჰო მონა გახლდა ინსტინქ-  
ტებისა, ინსტინქტი და ინტელექტი უპირისპირდებოდა ერთომეორესა, ან  
თუ უფრო მეტი: გამორიცხვადა ერთომეორესა. . . თურმე არაო, არ გა-  
მორიცხვადა“. მკითხველი მწერალთან ერთად ბუნებრივად დაასკვნის:  
„არსებობს თუ არა ბოლოსდაბოლოსა ინტელექტი, გონებაი ერთი სიტყ-  
ვითა, არსებობს თუ არა თავისთავადა, ცხადადა, თავისთავადა თუ ისიც  
ინსტინქტია. . . ვითომ ცოტა რო ამაღლებული, ოღონდ რო მაინც მდა-  
ბალთაგანი, მაინც სიმდაბლე რო თავისკენ ეწევა“. (ჩხეიძე, 431).

ამ და სხვა მრავალი კითხვის პასუხს ნაწარმობის ჯვარსახოვანი  
გააზრება იძლევა. მასატვრული ტექსტის პორიზონტალზე განლაგებული  
მოვლენები, რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა. სწორედ ეს პორიზონ-  
ტალი წარმოაჩენს ეპოქის ვითარებას. ღრო–სივრცე აქ ჩვეულებრივადაა  
განლაგებული. მიზეზ–შედეგობრივი კავშირებიც დაცულია. რაც შეეხბა  
ვერტიკალს, აქ არ ხდება უბრალო დროული თუ სივრცული ჩაღრმავე-  
ბები, არამედ აქ წარმოჩნდება პერსონაჟთა და, იმავდრულად, ეპოქის სუ-  
ლიერი ზიგზაგები. თანვე, ეს ვერტიკალი და პორიზონტალი ერთმანეთს  
განსაზღვრავენ და განაპირობებენ კიდეც. მკითხველს ამ რომანის კითხვი-  
სას სჭირდება სულიერი თვალი, რადგან „გონება მხოლოდ ნაწილია სუ-  
ლისა და არა მთელი სული, ნაწილს არ შეუძლია მოიცვას მთელი.

თვითშეცნობა, თვითცნობიერება სულის ფუნქციაა და არა—გონებისა“ (მღვდელმთავარი ლუკა (ვოინო – იასენცვი), 103).

სულიერი წვდომის პირობაა ნაწარმოების ორგანზომილებიანობა, რასაც ბატონი რევაზ სირაძე ჯვარსახოვნებას უწოდებს. იგი მხატვრული ტექსტის ორგანზომილებიან აღქმაში გამოყოფს პორიზონტალურსა და ვერტიკალურ ვექტორებს. „ტექსტის ჩვეულებრივ მდინარებაში მისი ამ-ქვეყნიური შინაარსია, ხოლო მასსავე სიღრმეში არის სულიერი შინაარსი, რომელიც ჯვრის ვერტიკალს შეესაბამება. ჯვარსახოვნებას შეიცავს ცალკეული მხატვრული სახე, ნაწარმოები, შემოქმედება, ეპოქა“ (სირაძე, 9).

ჯვარსახოვნება მეტნაკლებად ყველა ტექსტშია, რადგან სული ყველგან არის. „სადაც კი განდება მოძრაობა, იქ ყველგან ამის მიზეზი სულია“. (არისტოტელე, 5).

„თეთრი დათვის“ სიუჟეტური ხაზები უხვ მასალას გვაძლევენ „ჯვარსახოვნია“ ანალიზისთვის. ნაწარმოები იწება ბაადურ რიკოთელის (მთავარი პერსონაჟის) შემოყვანით. იგი წარმოგვიდგება მთელი ბუნების ნაწილად: „მთელი ბუნება გახლავს“ (ჩხეიძე, 4).

მწერალს სისხლდადენილ ქუჩებში გავყავართ, თეატრებიდანაც უშენდნენო, - გვეუბნება და აზუსტებს; მერე უმაყურებლო დარბაზი უკ-ვირდათ და არ იცოდნენო, რომ „სხვადასხვა ვერ იქნებოდა მაყურებელი და ხალხი“ (ჩხეიძე, 7). აღწერს ციხეებს, შიმშილობას: „შიმშილი უფრო სასტიკი ომათ“ (ჩხეიძე, 11).

არსებობის კანონზომიერება გამხდარა: სიკეთეს ეძიებენ კაცნი მარადისა. . . და მარადისა. . . და მარადისა. . . სიკეთეს ვერა, სიავესა პპოვებინ მარადისა. . .“ (ჩხეიძე, 31).

ასეთ სინაძვილეში შემოჰყავს ოთარ ჩხეიძეს ბაადურ რიკოთელი, სიკვდილ – სიცოცხლის ზღვარზე მყოფი, უფრო სიკვდილისენ მზირალი, დასახიჩრებული ადამიანი, მსხვერპლი მმათა შორის დაპირისპირებისა, თუმცა „გამოცხადება მსხვერპლი არ არისო; მთავარი ეს არის – გამოცხადება. ხმაური ჩაიგლის. მერე მიიღებენ საცხედრეშიცა. ზუნტა. იცის თავისი იცის.“ (ჩხეიძე, 35).

ომიდან გაუკაწრავი დაბრუნებულიყო, იღუპებოდა უაზროდა“, - გაარკვიეს.

ასე გვაცნობს მწერალი ბაადურ რიკოთელის გვემის გზას, ჭრილობებისაგან ადამიანის სახე რომ დაუკარგავს და ცოლ-შვილიც ვერცნიბს, თუმცა ქეთევანი (მეუღლე) ქველმოქმედებისა და თანაგრძნობის-

თვის უკლის, განსაცდელში მყოფ მოყვასს. ნინო (ქალიშვილი) ვერ ამს-გავსებს მას მამას, იგი პარიზში ეგულება და მოელის.

ბაადურ რიკოთელი მეტრით დაუხვდა ომსაც, ხუნტის ხელკეტებ-საც. იგი საქართველოს გულშემატკივრობისთვის სასიკვდილო სარეცელ-ზე წევს, ახლობლები კი ელოდებიან. სწამი, რომ აუცილებლად დაბრუნ-დება. ეს სიუჟეტი ასოციაციურად გვახსენებს ვაჟას ლუხუმს, რომელიც ომის შემდეგ მოლოდინის, აღორძინების სიმბოლოა.

მართალია, „ბახტრიონისა“ და „თეთრი დათვის“ ეპოქები არსები-თად განსხვავდება, მაგრამ ნაწარმოების „ვერტიკალური ვექტორის“ კვლევა უფლებას გვაძლევს ზოგიერთი პარალელის გავლებისა; ლუხუმი:

1. ომის შემდეგ გაუჩინარდა (მისი ასავალ – დასავალი არავინ იცის).
2. მისი მოლოდინი იმედს უკავშირდება („ედირსებაო ლუხუმსა, ლაშარის გორზე შადგომა“).
3. ლუხუმი იკურნება ბუნების მაღლით (გველმა დაკარგა ბოროტი ბუნება და მკურნალად მოევლინა).
4. განმარტოება ბუნების წიაღში.
5. იდუმალ გაუჩინარებაში მყოფს ესმის ზღაპარი („ლამ – ლამ ზღაპარსაც უამბობს“)

ბაადურ რიკოთელის შემთხვევაში:

1. გაუჩინარება
2. ოჯახის მოლოდინი
3. ზმანებები (აგონიაში მყოფს სიზმარ – ცხადი აერია)
4. განკურნება ბუნების მაღლით (მედიცინა უძლურია. ხალხის წიაღში შენახული სიბრძნით თურმანიძე კურნავს).
5. განმარტოება პირველქმნილ ბუნებაში
6. იმედი – ქეთევანის ნაყოფიერება („ედირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა“)

ბაადურ რიკოთელი მეტად რთულსა და მძიმე გზას გადის თურმანიძის მეტად სააქაოსებრ მობრუნებულს სულსა და გულს ულრღნის ფიქრი არშემდგარ სახელმწიფოზე, ენაზე, ერზე, ხალხზე, ბრძოზე. „- ხალხი რწმენა და რწმენა არ უნდა დაიღალოს. თუ დაი-ღალა, - თავდება ხალხი. . . რწმენა ზნეობაა, და ხალხი ზნეობის სიდია-დება. . . ხალხი ათი მცნებაა. მერე იწყება ერი. . . ხალხს ზნეობა იხს-ნის. ერი სახელმწიფოს იხსნის. სახელმწიფო ერს იხსნის“ (ჩხეიძე, 357).

ბაადურის ფიქრთა კორიანტელში გამოიკვეთება ერთი მთავარი: „ტყავისა შენისა საცოდაობითა არ წაიბილწო სული შენიო“ (ჩხეიძე, 358).

უშიშროება „უფურადღებოდ“ არ ტოვებს რიკოთელს. ასეც იყო: აზროვნების სივანსალე იდევნებოდა, მათ ამ აპატიმრებდნენ, ან პოლიტიკური თაგშესაფრის ძიება უწევდათ, ან სულაც საიქიოში გასტუმრებდნენ. ერთ – ერთ ჩინოსანს ბაადური უუბნება: „თქვენი ინტერესების სფერო ფართოა, ყველაფერს მოიცავს, ყოველგვარ უბედურებასა, რაც რო ჩვენში გავრცელებულა, - ბრძოში თუ ხელისუფლებაში, ბრძოს ზედაფენად რო წარმოგვიდგება (ჩხეიძე, 366).

საქართველოს ერთგული მხედარი, რომელსაც აფხაზეთის ომიდან გენერალ – მაიორის ჩინიც ჩამოჰყოლია (თუმცა, ჩინს ხელისუფლება გულუხვად არიგებდა), უკვე შერისხულია, რადგან იციან, დევნილ პრეზიდენტან – ზვიად გამსახურდიასთან მისი შეხვედრის შესახებ და ამ შეხვედრაში სპეცდავალებები და ტერაქტების საშიშროებები ელანდებათ.

ამ საშიშროების გამო უშაგას (რომელიც ავთანდილისებურ მეობრობას უწევს რიკოთელს) იგი ქალაქიდან გამყავს და მთის გამოქვაბულში დააბინავებს.

მწერლის ჩანაფიქრს „მკითხველი ანიჭებს ჯვარსახოვნებას, თუმცა ჯვარსახოვნება მათში ობიექტურად არის. ეს ნიშნავს, რომ ისინი უჩვენდაც წილნაყარია სულიერებასთან“ (სირაძე, 9). სულიერებასთან წილნაყარობის თვალსაზრისით, ახალ სამყაროს ხსნის ოთარ ჩხეიძე ნაწარმოების ამ მონაცვეთში.

ბაადურ რიკოთელი მთიდან დასცექროდა ქვეყნიერებას, ტკბებოდა ბუნების მშვენიერებით: „მომზიდლავი რო ფარულია, იდუმალიო, მშვენიერება იდუმალებას შექმაბიაო“ იქ ის სილამაზე „სხვადასხვაგვარი იდუმალებითა, მშვენიებითა და იდუმალებითა, - თვალი მომცა და მაცქერინაო. უცქირე. უცქირე. წაკითხვაც უნდა, სილამაზე რო სრულად შეიცნო, არსია იგი სიღრმისეული, საფუძველი მშვენიერებისა“ (ჩხეიძე, 434).

ამ მშვენიერი პეიზაჟის დახატვისას ოთარ ჩხეიძის მძიმე სტილი პოეტურ სიმსუბუქეს იძენს, მირაკრაკებს წყობილსიტყვაობა: „ცმუკავდა, სხლტოდა ფერები სხივებზედ, ცეკვავდა სხივები ნაირფერადა, უძრავ ფერადა, უამრავ სახედა“ (ჩხეიძე, 435). და ეს ყოველივე არის „წიგნი იდუმალი, წაკითხვა რო უნდა“ (ჩხეიძე, 435).

მწერალმა თავისი პერსონაჟი გაარიდა ქალაქს, განჯგონებულ საზოგადოებას და ბუნების წიაღში გაანაპირა. აქ ფიქრობს ბაადურ რიკოთელი, აქ მეტი სიმბაფრით სტკივა სახელმწიფობრიობადაკარგული ერი,

ხალხი, ბრბო. ბარისგან მოწყვეტილ ამ სამყოფში ორმაგი ზმა წვდება ცნიბიერებას: ნაღვლიანიცა და მწიარულიცა, „მთებში გაჭედილა ზმები ბარისა“ (ჩხეიძე, 437).

ბლეჭ პასკალი წერდა: „ბუნებამ ყველა საგანზე ამოტგიფრა როგორც თავისი, ისე თავისი შემოქმედის ზატი და თოთქმის ყველა საგანი ბუნების ამ ორმაგი უსასრულობის ნიშნითაა აღბეჭდილი“ (პასკალი, 232). ეს უსასრულობა და სისავსე აძლიერებს ბააღურ რიკოთელს. თითქოს სმენაც ეწმინდება, უხსლოვდება აბსოლუტურ სმენას: „რაღაც ზმა ისმის, წმინდა, წმინდა, ძლიერ გასარჩევი, - ზმაი თუ ზმები გამოცალკევ-ებული ერთმანეთისაგანა, სუფთა, ჩაქმენდილი, უსათუთესი. . . აღგავსებს განცდითა, სიკეთის განცდითა, სიავეს რო გაღაგავიწყბს“ (ჩხეიძე, 438) და იმ ძალით აგავსებს „სიბრალულით რო მოეკიდება იმ თავის ინტელექტუალურ ბრბოსაცა, სიბრალულითა, სიმშეიდითა, განსჯის უფრო ჩაღნვებითა (ჩხეიძე, 438) და ძლიერდება სურვილი: შეეშეველოს იმ ადამიანებს, ის „იდუმალი წიგნი“ რომ არც გადაუშლიათ; უფლის წიაღის შეუქი ჩაუმცხრალი, გაუნებელი; დაუსაბამო ვარგარება რომ არც მიკარებიათ და გულს არსისმიერი ფუნქცია დაუკარგავს ამ გულგრილობით. აქ ბააღურ რიკოთელი ინტერპრეტატორად მოიაზრება, მაგრამ „პოსტმოდერნისტ ავტორისგან განსხვავებით ოთარ ჩხეიძე არ წარმოგვიდგენს ნაამბობს ოდენ ირონიულ თამაშად“, (წიფურია, 97) საუბრობს ყოველ-გვარი ირონიის გარეშე, რადგან იგი ასახავს ტრაგიკულ ფაქტს: პოლიტიკის სახელით ძმათა ომი გრიალდა, ორგანიზატორები ის ადამიანები არიან, რომელთა გულს სიყვარულის ნაცვლად ამბიციები ამოქმედებს. მათი სახელები რომანის ფურცლებზე დაუფარავად ზმიანდება.

„რკინის გული რად უნდა გინძოდეს, მიწაზე რომ იღოლიალო?!“ (ჩხეიძე, 436). - სვამს კითხვას მწერალი სწორედ ამ მშვინეურების წიაღში და ზმიანდება სახარებისეული სიბრძე: „სასუფეველი ღვთისა გულსა შინა თქვენთასა არს.“ ე.ი. გული ზესულის სამკვიდროა და მისი გაცოვება („რკინისა“, თუ „ყინულისა“) არსისგან მოწყვეტაა.

ილიას აზრით, გული თუ მაღლს არ ახორციელებს (არსისმიერ ფუნქციას), იგი „მხოლოდ პარკია სისხლის აღებ – მიმცემი აგბულები-სათვის“. (ჭავჭავაძე, 235).

მაღლს გული ახორციელებს „თესლი ღმრთის სიტყვისა ადამიანის გულში ითესება და იქ ინახება, თუ გული იგი სუფთაა; ან წარიტაცება ეშმაკის მიერ, თუ მას არ ძალუშს და არ იცის მისი ღირსეული შენახვა“ (იხ. მღვდელმთავარი ლუკა 81).

ბიბლია გულს შემეცნების უმაღლეს ორგანოდ მიიჩნევს, ის არის ჩვენი სულიერი ცხოვრებისა და დვთის შემეცნების ცენტრი და ორცა გული „რკინის“, ან „ყინულისაა“, ამ ფუნქციას ვერ ახორციელებს, იგი მხოლოდ არსებობას უზრუნველყოფს, „მიწაზე რო იღოღიალო“ ეს არის ტექსტის შინა არსში გაცხადებული სულიერება (რაც ჯვრის ვერტიკალს შეესაბამება).

საგულისხმოა, რომ მთაში განმარტოებულ ბაადურ რიკოთელს სა-ნოლები და ლოცვანიც აღმოაჩნდა. „ლოცვანი გამოირჩეოდა, მხედრულით ნაწერი, უიშვიათესი მხედრულითა, ეგება რო ბატის ფრთითა და მელნი-თა ყაყაჩისი. მელნადაც რო გამოუგონიათ, სათრობელადაცა: სიკეთისადა-ცა, სიავისადაცა. სიკეთე დაპკარგვია, სიავე შერჩენია“ . . . (ჩხეიძე, 439).

ყაყაჩოს ავ – კარგზე მსჯელობა უკაგშირდება სიკეთე – ბორო-ტების საკითხს, სიბბოლურად ახასიათებს, მიუთითებს, რომ სიკეთესა და ბოროტებას ერთი არსი აქვს, რადგან: „ბოროტება სიკეთეში ნაკლულება-ნობაა“, „ბოროტება არა არს არს“, „ბოროტება არა სახიერებისგან არიან“, „არასნი ყოველი რაოდენი არიან, კეთილ არიან და კეთილისგან არიან“, - როგორც პეტრე იბერი გვმოძღვრავს. (პეტრე იბერი, 525). ე.ი. ბოროტება ღმერთის შექმნილი არ არის, მისი საფუძველი სიკეთეა, მაგ-რამ ნაკლულებანისგან „სიკეთე დაპკარგვია, სიავე შერჩენია“.

სიავეშერჩენილი ხალხი იქცევა ბრძოლ და გამოქვაბულშიც სერავს ბაადურ რიკოთელის გულს კითხვა: „ხალხი რო ბრძოლ იქცევა, როგორ გარდაიქმნას ისევ ხალხადა ხალხი. ხალხი. ერი არ იქნება უხალხოდა. სახელმწიფო უხალხოდ არ იქნება. ხალხი. ხალხი. ენა. ადთწესები. განათლება. ერი. სახელმწიფო“. (ჩხეიძე, 441).

ამ ფიქრებს მოქმედების წყვირვილიც მოჰყვება, ყოველივე რაც სამ-კეირომ ბუნების ენით უთხრა, უნდა ამოსნას „მერე, მერე, თანდათა-ნობითა“ და იქვე ამიართება დაბრკოლება – მტერი, რომელიც მოხილულ მშვენიერებას სათავისოდ თვლის და არ ეთმობა, სამტროდ იყალება: „წარმოიმართება დათვი თეთრი, დაიღრიალებს შემზარავადა, დაიღრია-ლებს და ებდღვნება იმა სურათოვნებასა მშვენიერსა, ებდღვნება მიმოუ-რევს, ჰგლეჯს ტორებითა, ეშვებითა, ჰგლეჯს და დორბლავს, ჰგლეჯს და აფურთხებს“ (ჩხეიძე, 442).

„თეთრი დათვი“ გამჭვირვალე სიბბოლური სახეა – ეს რუსეთის იმპერიაა, რომელიც „თეთრ მელასთან“ (შევარდნაძესთან) სატელეფონო დიალოგში გადაწყვეტილად ამბობს: „რა ქვეყანა! . . . რომელი ჰკუათამ-ყოფელი გამოეთხოვება ასეთ ქვეყანასა, რომელი?!!!“ (ჩხეიძე, 452).

(„თეთრი დათვისა“ და „თეთრი მელას“ შესახებ იგავომეტყველება ცალკე მსჯელობის საგანია).

„ასეთი ქვეყანა“ - მის მკვიდრთაგან სულიერ მღვიმარებას, მამულის დასაცავად თავდაუზოგავ ღვაწლს მოითხოვს.

ოთარ ჩხეიძე მკითხველს მიანიშნებს გზაზე, რომელიც ბრძოს კვლავ ხალხად აქცევს, თეთრი დათვის აგრესიისგან დაიცავს და ღირსეულ თვითმყოფაღობას აღუდებს. ეს გზა არის თეთრი გიორგის ერთგულება. „ეს თეთრი გიორგი, მთვარის გიორგი, წმინდა გიორგი ნუ ეგონებათ“. მკაცრად აგრძელებს მსჯელობას მწერალი: „უმეცრება პო შესაბრალისია, ვითომ ცოდნა მით უარესი!. . . ონტელექტუალური ბრძო. . . ეს მაინც როგორმე უნდა გაიგონ: თეთრი გიორგი ახალ მთვარეზე. შოთზე. შოთი. შოთა. ახალ მთვარეს ეწოდებაო“. (ჩხეიძე, 443).

ეს უმთავრესია: შოთას „ვეჭხისტყაოსნის“ ერთგულება. ამ პოემაში გამთლიანდა ქართველი, როგორც მაკროკოსმოსის წევრი და საქართველოს შეილი, ამ პოემით იკებება ჩვენი ერთგული თვითშეგნება, მაგრამ მეორეცო, - გვაფრთხილებს ოთარ ჩხეიძე: „მზე ისევ გაპევრია ულრუბლო ზეცასა, მზე ცინცხალი, თითქოს ეს არის ესაა შობილაო, მიმტკნარებულა, მშობელი, მიმტკნარებულა, მოქანცულა, მიწყნარებულა გადატანილი მშობიარობის ტკიფილთა მერე“. . .

და ეს მეორე უმთავრესია, საფუძველია პირველისა - ეს არის ერთგულება იმისა, ვისაც რუსთაველი ასე მიმართავს: „ვინ ხატად გოქეს მზანისა დამისად“, ერთგულება უფლისა.

რაც შეეხება მშობიარობის ტკიფილს, ეს არის ზნეობრივად დაკინებულ, ბრძოლ ქცეულ ხალხში შინაგანი ნათლის აღზევება, პირველ-საწყის სიბრძნესთან - უფალთან დაბრუნება გამოცდებისა და განსაცდელების შემდეგ.

ოსტატურად არის მიგნებული ბაადურ რიკოთელის ქალაქში დაბრუნების ეპიზოდი. ის ღვთისმშობლისადმი ვედრებით ტოვებს გამოქვაბულს, სადაც დარდთან, სიტყვასთან, უფალთან განმარტოებაში გაატარა უამი. „შენ მხოლოდ სანატრელ ხარ თესლებსა შორის ქალწულო, რამეთუ გამოგვიბრწყინა შენგან ნათელი, მსხდომარეთა ბნელსა მას შინა, და განასათლნა სულნი ჩეგნინ“ (ჩხეიძე, 448) - ლოცულობს ღრიებითი მეუდაბნოე, დედა ღვთისას ევედრება ღვთისმშობლის წილზევდრი ქვეენის მოჭირნახულე, ბრუნდება იმედით და ეს იმედიც არ გაუწიბილა განგებამ. შინ დაბრუნებულს მეუღლებ აუწყა: „ბავშვს ვეღლოდები“. „ჰაა?! აღმოხდება ბაადურსა, აღმოხდება და შვება დაუელის თავით ფეხამდისა. . .

აღმოხდება და ესეც ამოსდევს: „ბიჭი?!“ ამოსდევს და იმედიც მოჰყვება: „გვარი გადაგვირჩეს ეგება!“ (ჩხეიძე, 454).

პერსონაჟთა შვილიერებას ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი სიმბოლური დატვირთვა აქვს, მაგალითად:

ლუარსაბისა და დარეჯანის უნაყოფობა არაფრობის უარყოფაა.

ბეკინა სამანიშვილისა და ელენეს ნაყოფიერება –უფლის ნების გარდუვალობის დასტურია.

აკაკი ბაქრაძის აზრით: „თეიმურაზ ხევისთავისა და მარგო ყაფლანიშვილის კავშირის შედეგად ბავშვი არ გაჩნდა, ე.ი. უმწეო ალტრუიზმი და პასიურობა უნაყოფოა, მაგრამ ბავშვი დაიბადა მარგო ყაფლანიშვილისა და ჯაყო ჯივაშილის თანაყოფის რეზულტატად. ე.ი. მომალადე მიზანთროპია და პასიურობა ნაყოფიერია, მომაგალი აქვს (ბაქრაძე, 384).

ოთარ ჩხეიძეც სიმბოლურად იაზრებს რიკოთელთა ოჯახის ნაყოფიერების არსეს. სიუჟეტის მდინარებაში ჩართულ ამ ამბავს, რა თქმა უნდა, თავისი დატვირთვა აქვს.

რიკოთელის ვაჟის მოლოდინი ჯანსაღი ეროვნული ენერგიის გადარჩენის სიმბოლოა, მწერალიც ადასტურებს: „გვარი. . . უგვაროდ ერიც რომ არ იქნება, რაღა თქმა უნდა, - უნდა გადარჩეს, უნდა გადარჩეს. ამასაც დაწერა უნდა. გვარი. ნერგი კეთილი. (ჩხეიძე, 454). უნდა გადარჩეს გვარი, „ნერგი კეთილი“, ჯიში, ერი, ამ ოპტიმისტური განწყობით – ნათელი დღის რწმენით მთავრდება რომანი.

ჩვენს მთავარ სათქმელს დავუბრუნდებით, ოთარ ჩხეიძის „თეორი დათვის“ მხატვრული კონცეფცია ჯვარსახოვანია. ბააღურ რიკოთელის გამოქვაბულში განმარტოებასა და მის ბარში დაბრუნებას მეტად საინტერესო დატვირთვა აქვს. ეს კანონზომიერიცაა, რაღან „ნებისმიერი ამბის საფუძველში ძეგის: წონასწორობა, რომელსაც უნდა მიაღწიო, დანაკლისი, რომელიც უნდა შეავსო, მოთხოვნილება, რომელიც დაკმაყოფილებას საჭიროებს“ (ხარბედია, 42).

აღნიშნულ ეპიზოდში წონასწორობას ეძებს ქვეყნის გულწრფელი ჭირისუფლი, ბააღურ რიკოთელი, რომელიც ამ დანაკლისს რწმენითა და იმედით მოიპოვებს („გვარი დაგვირჩეს ეგება!“).

ამგვარად, სულიერებისა და ხორციელების ურთიერთგადაკეთისას განხილული ეპიზოდის „ვერტიკალურ ვექტორზე“ ცნობიერდება:

ა) ბუნების გავლენა ადამიანის სულიერ სამყაროზე,

ბ) ადამიანი-კოსმიურ მთლიანობაში.

ც) განწმენდილი ფიქრი, სმენა და ხედვა.

- გ) ბოროტების არსი სიკეთეა (ყაფაჩოს სახე)  
 დ) გული ზესთა სამკვიდროა და არა ორგანო, რომელიც „მიწაზე  
 ღოღიალის“ საშუალებას გვაძლევს.  
 ე) გზა ხსნისა („თეთრი გორგი – შოთა“, „ცინცხალი მზე“).  
 ვ) იმედი („ნერგი კეთილი“).

**დამოწმებული ღიტერატურა:** 1. არისტოტელე, „სულის შესახებ“, 2001. 2. ბაქრაძე აკაკი, „განჯგონებულობა“, „მოუხმარებელი ანუ ტრაგიკული თავისუფლება“. თხზულებათა ტომი III. 2004. 3. მღვდელმთავარი ლუკა (ვოინო – იასენცვი), „ცოველებისა და ადამიანის სამვინველი, „მეცნიერება და რელიგია“. 2003. 4. პასკალი ბლეზ, „ზრები“, 1981. 5. პეტრე იბერი, არგიპაგეტიკა. ქართული მწერლობა. წიგნი I – 1990. 6. სირაძე რევაზ, „ისტორია „მეოთხველის ფენომენისა“ და სახისმეტყველებითი პერიოდიზაცია“ - ღიტერატურულ სამეცნიერო ჟურნალი „სჯანი“. 2005. 7. ღვინჯილია ჯანსულ, „ჩემი სოფლის ეტიუდებიდან“, „წერილები კლასიკურ და თანამედროვე ღიტერატურაზე“. 1990. 8.ჭავჭავაძე ილია, „ოთარანთ ქვრივი“. ქართული ართხა. VIII წ. 1988. 9.ჩხეიძე თოარ, „თეთრი დათვი“. 1999. 10. ხარბედია მალხაზ, ნარატოლოგია. „სჯანი“ ღიტერატურულ – სამეცნიერო ჟურნალი. 2005

Nestan Pipia

## Crossfigurativity in the Story “Tetri Datvi” by Otar Chkheidze

Creation of Otar Chkheidze is distinguished by especial receipt, which first of all, makes the narration of his stories. In 90 years of XX century the author wrote the stories of special type, of innovative-experimental character, where is originally gathered documental and invention.

In the article is searched the artificial conception of “Tetri Datvi” by Otar Chkheidze at the Crossfigurativity point. Vertical and horizontal lines of the story is comprehended time-space with no traditional understand, but newly, spiritual recurs, which is based on Revaz Siradze’s points of view.

## ბერიძე თეა

### „სასაფლაოს ნაძვი”

ჩვენი წერილის სათაური „სასაფლაოს ნაძვი” ვისესხეთ ანა კალანდაძის ერთ-ერთი ლექსიდან და ყურადღება სწორედ აღნიშნულ ხე-ზე გავამახვილეთ. შევეცადეთ გავვერკვია მისი სიბოლური დატვირთვა და ადგილი, როგორც ქართულ, ისე უცხოურ პოეზიაში.

მითოპოეტურ წარმოდგენებში მცენარის როლს, პირველ ყოვლისა, განსაზღვრავს განსაკუთრებული მცენარეული („ვეგეტატიური”) კოდის არსებობა, სწორედ ამას უკავშირდება მისი მონაწილეობა კლასიფიკაციის მრავალგვარ სისტემაში. მცენარეთა ერთიან სახე-სიმბოლოდ, რომელიც თავის თავში შეიცავს მსოფლიოს უნივერსალურ კონცეფციას, ვეველი-ნება „მსოფლიო ხე” (arbor mundi „კოსმოური ხე”) ვარიანტები - „ხე ცხოვრებისა”, „ხე ცნობადისა” და ა. შ. მცენარე ვეველინება მითოლოგიზაციის მთელ კონტექსტად, დაწყებული მიწით, რომელიც მცენარისთვის დედის საშოდ აღიქმება, დამთავრებული ვეველა იმ ბუნებრივი ფაქტორით, რომელიც გავლენას ახდენს მის შემდგომ არსებობაზე (წვიმა, სეტყვა...) მსოფლიო ხის სახე კონკრეტულ მითოლოგიურ სისტემებში მაორგანიზებელია, განსაზღვრავს მათ შინაგან სტრუქტურას და ძირითად პარამეტრებს. იგი საკრალური სამყაროს ცენტრშია და ვერტიკალურ მდგრამბერებაშია მოთავსებული. ის დომინანტურია და განსაზღვრავს სამყაროს სივრცის ფორმალურ და შინაარსობრივ ორგანიზებას. თუ ხეს დავანაწევრებთ - ქვედა (ფესვები), შუა (ხის ტანი), ზედა (ტოტები), მივიღებთ ქვესკნელის, დედამიწის და ზესკნელის სიმბოლურ სახეს, მსგავსი დანაწევრებით ხდება წარსულის, აწყოსა და მომავლის აღქმა. მსოფლიო ხის ერთ-ერთი სახეცვლილი ვარიანტია - ხე ცხოვრებისა. იგი აქტუალურს ხდის ცხოვრებისეული საზრისის მითოლოგიურ წარმოდგენებს და უპირისპირდება სიკვდილის ხეს. ცხოვრების ხის ყველაზე გავრცელებულ ვარიანტს ვხვდებით დაბადებაში: „აღმოაცენა უფალმა ღმერთმა მიწიდან ყოველი ხე, სნახავად საამო და საჭმელად ვარგისი, შუაგულ ბაღში კი ხე სიცოცხლისა და ხე კეთილის და ბოროტის შეცნობისა”(დაბ: 2,9)

დასაბამილან ზეს დიდი დატვირთვა პქონდა, როგორც რელიგიურ, ასევე მითოსურ თუ ფოლკლორულ რწმენა-წარმოღვენებში. დროთა განმავლობაში ამა თუ იმ მცენარის სახე-სიმბოლო სტერეოტიპად დამკვიდრდა და თანამედროვე ლიტერატურაში შეგვიძლია გარკვეულ სემიოტიკურ ნიშნადაც აღვიქვათ.

ნაძვს არ აქვს ქართულ პოეზიაში ისეთი დიდი დატვირთვა, როგორც ვარდს, იას თუ სხვა მცენარეს. ეს მარადმწვანე ზე სიმამაცის და გულაღლის, გამბედაობის სიმბოლოა, ასევე - ამაღლებული სულიერი განწყობილების, ერთგულების, უკვდავების, მრავალწლიანობის.. ძეელ საბერძნებში ნაძვს თვლილნენ იმედის ზედ, რაღაც ისეთი წარმოდგენა იყო, თთქოს ტროას ცხენი, ნაწილობრივ, ნაძვისგან გაეკეთებინათ. საშობაო ნაძვი ახალი წელიწადის და, ზოგადად, ცხოვრების დასაწყისის სიმბოლოა. ნაძვის გირჩა ცეცხლთან ასოცირდება, თვითონ ნაძვიც იყო ასოცირებული ცეცხლთან, ასევე ღვთისურ ცეცხლთანაც, შესაძლოა სწორედ თავისი ფორმის გამო ასოცირდება ნაძვი აღთან.

ნაძვი ხშირ შემთხვევაში აღიქმება ქრისტეს მცენარედ. ლეგნდის თანახმად, ქრისტეს შობამ ძლიერ შეაძრწუნა ისრაელის იმდროინდელი მეფე ჰეროდე, რომელიც ამ ქვეყანაში უკანონოდ გამეფებულიყო. იგი შე-შინდა, რომ დაკარგავდა ძალაუფლებას და განიზრახა, ზაკვით მოეკლა იქსო. მაშინ უფლის ანგელოზი გამოიცხადა მართალ იოსებს და უბრძანა, გაქცეულიყვნენ ეგვიპტეში, რათა გადაეჩჩინა ღვთაებრივი ყრძა. წმინდა ოჯახი სასწრაფოდ გაუდგა გზას. ამასობაში კი მეფის მხედრები მთელ იუდეაში დაძრწოდნენ და ახალშობილებს სოცავდნენ. ისინი წმინდა ოჯახსაც წამოეწივნენ. ამ დროს ღვთისმშობელი ერთი ლიბანის ნაძვის ქვეშ იდგა და შიშით ელოდა, რა მოხდებათ. უცებ ნაძვი მოიხარა და ქალწული მარიამი, ჩვილი იესოთი, თავისი ტოტებით დაფარა. მხედრებმა ისინი ვერ შენიშნეს და უკან გაბრუნდნენ. ნაძვი - არა მარტო ლეგენდებში ფიგურირებს, როგორც სასწაულმოქმედი ზე. ტ-გაბაშვილის „მიმოსვლაში“ ჯვრის მონასტრის ადგილის შესახებ ვკითხულობთ: „რამეთუ ესე არს ადგილი იგი, რამეთუ ლოთ სამი ზე – სარო, ფიჭვი და ნაძვი – დანერგვა სასწაულად, უკეთუ მიეტეოს ცოდვა იგი, და სამივე ერთ ზე დიდ აღმოხდა“. რაღაც პოეზია სახე-სიმბოლოებით აზროვნებაა, თავისთავად ცხადია, ამ კონკრეტულ მცენარესაც თავისი ადგილი განეკუთნება. არსებობს ისეთი მცენარეები, რომლებიც ხშირი შედარების გამო მუდმივ ეპითეტებადაც გადაიქცნენ. ხშირად პოეტები მცენარეთა გარეგნულ ნიშნებზე ამაზვილებენ ყურადღებას, თუმცა მათი ყურადღების

მიღმა არც მათი შინაგანი ბუნება რჩება. ვისრამდანში ვკითხულობთ: „არის ნაკვთად ნაძვი და პირად მთვარე”, ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია გარეგნულ ფაქტორზე, რაც არაა იშვიათი. იმავე ნაწარმოებში გვხვდება ფრაზა „მე ვირე მქონდეს ნაძვი მართალი, არ ვეძებ ტირიფსა მრუდს” - აյ შინაგანი თვისებაა ხაზგასმული. სტრიქიში ერთმანეთის ანტინიმებად გარეგნულწილად გვევლინება ორი მცენარე ნაძვი და ტირიფი, იქვე მათი ბუნების განსაზღვრებაც; „ნაძვი მართალი” ხომ უფლის სახეა. ითანე შავთელი „აბდულმესიანის” შესავალში ტამარს აქვთ სიტყვებით - „ნაძვი ლიბანით, სარო ერმონით”. რუსთაველთან აღნიშნულ მცენარეს საერთოდ ვერ ვხვდებით.

ქართველ რომანტიკოსებთან ხშირად ვხვდებით აღმოსავლურ ვარდს, და არა მარტო ამ ყვავილს, საერთოდაც ხშირია აღმოსავლური ელემენტები და შედარებები. ნაძვი მოგვინებით იკავებს ადგილს, უკვე ახალ ლექსში, როცა ვერობული გავლენა მეტია ლექსზე, ვიღრე აღმოსავლური. „დაწყებლილი პოეტების” გავლენით დამკვიდრდა მარადიული სახე-სიმბოლოები. სპლინის, წარმავალობის, სიკვდილის თემის აქტუ-აღურობამ მოიტანა ნაძვის ახალი სახე, რომელიც დღემდე აქტუალურია – სასაფლაოს ნაძვი.

ჩინეთში ითვლებოდა, რომ მარადმწვანე ხეები შეიცავენ იანის მეტ ცხოველმოქმედ ელემენტს და ამით ინარჩუნებენ ისინი მწვანე შეფერილობას ზამთარშიც. ასეთ ხეებს რგავდნენ სასაფლაოებსა და წინაპართა აკლდამების ეზოებში – მათ უნდა დაცევთა გარდაცვლილთა სხეულები გახრწნისაგან, ხოლო ცოცხლებისთვის - წარმატება მოეტანა. აღბათ, ეს იყო ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იმისა, რომ „ხე ცხოვრებისა” აღმოჩნდა ახალ ამპლუაში. მართალია, ნაძვი ამბივალენტური სიმბოლოა – მასში მარად მონაცემობს სიკვდილი და სიცოცხლე.

„დვინო დარდისფრად ეკიდებოდა,  
ნისლში ბუუტავდა გზათ ვალალობდა,  
თან გარეთ ნაძვებს ეკითხებოდა,  
- გჯერათ თუ არა წარმავალობა!”  
(6. სამადაშვილი)

მარადიული ყოფნა – არყოფნის ღილებას ნიკო სამადაშვილი „მოვრალის შეკითხვაში” სწორედ ნაძვებს დაუსვამს. შემთხვევით არ აურჩევია პოეტს ეს მცენარე. ის ხომ თავის თავში შეიცავს მარადიულობას, თუმცა რა არის მარადიული? იქნებ განახლებადი? განახლება

თავისთავად გულისხმობს მარადიულობას. „უკვდავებაა, სიცოცხლეზე რომ ისეირებს,” უკვდავება – განახლება – მარადიულობა...

XX საუკუნის პოეზია „მიღმურია”, დაწერილი სიტყვების მიღმა სხვა უნდა ეძო, არ დაწერილი სტრიქონებს შეა უნდა ამოიკითხო, რებუსების და გმოცნობების პოეზიაა და რამდენი თვალიც წაკითხავს, იმდენი აზრი დაიბადება. „ხე ექლესის მათხოვარს ჰგავდა, თითქოს გულს ქრისტემ ხელი დარია”, - ვკითხულობთ ნიკო სამადაშვილის ერთ-ერთ უსათაუროში. უსულო საგნების გასულიერება არ ახალია, ტერენტი გრანელთან ვკითხულობთ: „და კაცებივით დგანან ხეები”, მაგრამ საინტერესოა ერთი პატარა დეტალი, როგორ ასულიერებს ნიკო სამადაშვილი ნაძვებს:

„ნაძვები კუბოს მიასვენებდნენ,  
წინ ყვავილები მიპქონდათ ქარებს,  
მიწიდან მთები იმას უსტვენდნენ,  
პირქეე რომ ეგლო მსოფლიოს გარეთ”.

(6. სამადაშვილი)

ნიკო სამადაშვილი მირაჟულ პროცესიას ხატავს. ნაძვი ისევ სიკვდილსა და სასაფლაოსთან ასოცირდება. სახეებიც ირეალური და მხატვრულია. მაგრამ ხომ შესაძლოა ამ პატარა სტრიქონს სხვა ქვეტექსტი მოეძიოს. ჩვენთვის საინტერესო ნაძვი, სწორედ ამ მცენარის არსის გარკვევისას მომიგიდა ასეთი აზრი, იქნებ ნიკო სამადაშვილი ნაძვში მოიაზრის ქრისტეს სიმბოლოს. ყოველ გარდაცვლილ სულს მეგზურობას უწევს ნაძვი, თვითონ ნაძვი კი კუბოს მიასვენებს, როგორც თავის ჯვარს, ასევე მიაქვს მოკვდავს თავისი კუთვნილი ჯვარი სასაფლაომდე. აქვე საინტერესო იქნება გავიჩენოთ ალექსანდრე ბლოკის ლექსი:

„Все, все обман, седым туманом  
Ползет печаль угрюмых мест.  
И ель крестом, крестом багряным  
Кладет на даль воздушный крест.”

(ა. ბლოკი)

ეს სტრიფი თითქოს დასტურია ჩვენი სიტყვებისა. ა. ბლოკის ჯვრის მტვირთველი ნაძვი ასოცირდება ქრისტესთან. ხოლო სიტყვებში „печаль угрюмых мест” გაგვახსენებს სასაფლაოს, რადგან ადამიანისთვის ყველაზე პირქუში ადგილი დედამიწაზე სწორედ მანდაა.

ნიკო სამადაშვილის პოეზიაში ნაძვი სხვა კონტექსტში, გარდა გარდაცვალებისა არ გვთვდება. მისი შემოქმედება ჰეშმარიტი დასტურია სიტყვებისა „სასაფლაოს ნაძვი”. გავიხსენოთ ლექსი „უცნაური ზელობა”:

„გაგასვენებები საძნე ურმით, ფოთლებშემოყრილს,  
ნიშა სარები დაფრთხებიან მონასტრის ზევით.  
ქანდაკებები ნაძვებიდან დაიყვირებენ  
და კრუხებივით დაფრთხებიან ციდან მზეები.”

(6. სამადაშვილი)

ნიკო სამადაშვილის პოეზიაში ნაძვი მისტიკური ზეა, რომელიც მიცვალებულებს თანამგზავრობს, პოეტის მხატვრულმა ჩანაფიქრმა მაგანი შესაძლოა ქარონამდეც მიიყვანოს, სულთა მეგზურამდე. მაგრამ ნაძვი თავისი სიმბოლური დატვირთვით არ შეიცავს მხოლოდ ერთ ასპექტს, ანუ აზრობრივად არა მხოლოდ სიკვდილის მატარებელია, პირიქით ის მარად არსებულია, მარად განახლებადი, როგორც წყალი. ამიტომ ვახ-დენთ მის იღენტიფიცირებას ქრისტესთან, ნაძვი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა, ქრისტემაც ხომ თავისი განკაცებით, ჯვარცმითა და აღდგო-მით დაამარცხა სიკვდილი და ადამიანებს მარადიული სიცოცხლე მია-ნიჭა. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, მცირე ცდაა გაგშიფროთ სტრიქო-ნები, რომლებიც თავის თავში ბევრ საიდუმლოს იტევს.

ნაძვი სასაფლაოს ხედ მხოლოდ ნიკო სამადაშვილის პოეზიაში არ მოიაზრება. ანა კალანდაძის არა ერთ ლექსში ვხვდებით ამ მცენარეს. აღსანიშნავია, პოეტი ნაძვს -მარადიული განახლების გამო - რელიგიური პლასტებითაც ავსებს:

„პა, სასაფლაო თავისი სვეთი...  
აღარ მოელის აღდგომას მკვდრეოთით...  
ნიადაგ ცრემლით სველი აქვს დაწვი,  
ნიადაგ ასე ამშვიდებს ნაძვი”...

(ა. კალანდაძე)

ამშვიდებს ნაძვი, ისევე, როგორც თავის სამწესოს ამშვიდებს ქრისტე, მკვდრეოთით აღმსდგარს სჯერა სასწაულისა, იმ დიდი სასწაუ-ლისა, რისი მოწმეც თავად გახდა და სურს თავის „სვეს” დაუბრუნოს იმედი და რწმენა. გვერდს ვერ აგულით ცრემლით დასველებულ დაწეს, რომელიც ცოდვების მონანიების სიმბოლოდ ითვლება.

„ველი სასწაულს ამ ქვეყანაზე:  
...ასე მოვყები ნაძვების ბილიქს”...

(ა. კალანდაძე)

არ უნდა დაგვაციწყდეს ფერის სიმბოლიკა, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. აღმოსავლური კულტურის მიხედვით მწვანე - სიმშვიდის, სტაბილურობის ფერია, ამას გარდა, აღნიშნული ფერის ერთ-ერთი გავრცელებული სიმბოლო იმედია. მარადიულ სიმწვანეს გადავცავართ მარადიულ სიმშვიდეში. „სდგას საფლავების მწვანე სიმშვიდე”, - ტერენტი გრანელის ამ ერთ სტრიქონში სრულად არის გაღმოცემული ფერის ზუსტი მისაღავდა, როგორც ადგილისთვის, ასევე მდგომარეობისთვის.

„დაუბრუნდებათ თავისი ფერი

დიდებულ ნაძვებს

და კვლავ სიჩუმე მოიცავს ყოველს,

ვითარცა ჭამრებს”...

(ა. კალანდაძე)

შარლ ბოდლერთანაც ნაძვის მწვანე ფერი სიწყნარესთან, სიზმართან ასოცირდება. გავიზისენით სტრიქონები ლექსიდან „შუქურები“:

„Вот крови озеро, его взлюбили бесы,

К нему склонила ель зеленый сон ресниц...“

(ვ. ბოდლერი, თარგმანი ვ. ივანოვისა)

ანა კალანდაძის ნაძვი ძირითადად სასაფლაოსაა. „თქვენ სასაფლაოს ნაძვებო, ცა გზურავთ სამგლოვარო”, „წამო, წავიდეთ სასაფლაოზე, სად ნაღვლიანი ნაძვები დგანან”, „და სასაფლაო, დუმილს რომ ერთვის, მუხლებს მოიყრის ნაძვთა ფეხთითა” თუმცა, აღსანიშნავია ერთი თავისებურება, ხშირად გვხვდება ნაძვი და მზე დაწყვილებული, როგორც ვიცით, თავისი ბუნებრივი ოვალების გამო, მზე განსაკუთრებულ აღილს იკავებდა უძველეს ხალხთა რწმენა-წარმოლგვენებში, ამ ციურმა სხეულმა ქრისტიანულ რელიგიაშიც ადგილად მოიკიდა ფეხი. „ეთხოვებოდა მზეს ნაძვის წვერი”, „მზე შეიჭრა ნაძვის სამეფოში”... მზეს, ისევე როგორც ნაძვს ტროპული დატვირთვა აქვს, სიმბოლო სინათლის, სითბოსი, უშურველობის. შემთხვევით არ არის ეს ორი სახე-სიმბოლო ერთ სივრცეში წარმოლგვენილი:

„ჩუ, ვინ ჩურჩულებს?

მზე და ნაძვაა, -

ეს ჩემი სულის წვეული ორი...“

(ა. კალანდაძე)

ამ უსათაურო ლექსში პოეტი ნათლად წარმოგვიდგენს თავის პირად მიმართებას ამ ორი ცნების მიმართ. ანასეული ნაძვი და მზე შეგვიძ-

ლია აღვიქვათ, როგორც ზეციერი და მიწიერი სამყაროს ერთობლიობა. ორივეში ღვთიური საწყისი მოიაზრება. ანასეული ნაძვი, მიუხედავად იმისა, რომ სასაფლაოსია, არა სიკვდილის, არამედ განახლების, გარდა-სახვის სიმბოლოა, გარდასვლის მიწიერიდან – ნაძვიდან, მზისკენ – ზე-ციერისკენ. ამ როთ სახის ერთ სიბრტყეში მოთავსება შემთხვევითი რომ არ არის, დავასაბუთებთ კიდევ ერთი მაგალითით არტურ რემბოს შემოქ-მედებიდან. ლექსში „ბრიუსელი“ გკითხულობთ:

„Затем, поскольку елка и роза солнца...

Здесь обрели пристанище свое“...

(ა. რემბო, თარგმანი მ.ქუდინოვისა)

ამ კონკრეტულ შემთხვევაში მზეს და ნაძვს აკსებს ვარდი. აღნიშ-ნული ყვავილი კი ქრისტეს სიმბოლოა.

საინტერესოა ანა კალანდაძის უსათაურო ლექსის ერთი სტროფი:

„შენ ძველ მიწაზე პირველი გაჩნდი  
და მითიდე მაღლა, მაღლა  
დაფნა და ნაძვი...“

(ა. კალანდაძე)

ამ ტაქპით ვასკვნით, რომ ნაძვი პოეტისთვის მედიუმია მიწასა და ზეცას შორის, განწყობასაც აღნიშნული ზე ქმნის ლექსებში. აღსანიშნავია, რომ ანასეული მისტიური ნაძვი ღიღ გავლენას ახდენს პოეტის ში-ნაგან სამყაროზე. ლექსში „ფოთლები... ფოთლები...“ ასეთი ტაქპია:

„ნაძვები დაღინდნენ

და მეც,

მეც ვღონდები...“

(ა. კალანდაძე)

იმავე ლექსში პოეტი აფიქსირებს ზეების უჩვეულო კავშირს ზეციერთან:

„ზეთ ზელი აღაპყრეს

და ღმერთი ადიდეს...“

(ა. კალანდაძე)

ანა კალანდაძისეული ნაძვი არ არის ესთეტიური მცენარე, რომე-ლიც თავისი მონაწილეობით ლექსში მხოლოდ განწყობას შექნის. ის, უდაოდ მისტიური ზეა, რომელსაც ზშირ შემთხვევაში სასაფლაომდე მივყართ.

გალაკტიონ ტაბიძე თავის ლირიკაში მცირე ადგილს უთმობს ნაძვს. ეს ხე პოეტისთვის არ ასოცირდება მისტიკასთან, თუმცა მასთან სულიერი კავშირი მაინც იჩენს თავს.

„სხვას თუ არ უნდა ამის გაგება  
შენი გაიგებს ნაძვი და ფიჭვა,  
რომ ქვა არა ვარ და ქანდაკება,  
არამედ კაცი რწმენით და იჭვით.”

(გ. ტაბიძე)

გალაკტიონის გულისნადებს გაიგებს ფიჭვი – იჭვით და ნაძვი – რწმენით. გარითმული სიტყვების ეს მცირე გადააღილება საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ ჩვენთვის საინტერესო შტრიჩი. შესაძლოა, გან-საკუთრებული დატვირთვით პოეტს არც დაუწყვილებია, მაგრამ თუ გა-ვისენებთ ანა კალანდაძისეულ ნაძვს, მაშინ ნაძვთან რწმენის გაიგივება გარევეულწილად გაძართლებულია.

„ნაძვებს სუნი ედება,  
როგორც ნაზი ტკივილი,  
აქ არ მოეხეტება  
ქუჩის უივილ-ზივილი.”

(გ. ტაბიძე)

ამ ლექსში ნაძვი უბრალოდ მშენიერი მხატვრული სახეა, მას არ აქვს სიმბოლური დატვირთვა.

ამ თემაზე მუშაობისას თავში გამუდმებით მიტრიალებდა ფიქრი ტერენტი გრანელზე, „ქვევით საფლავებია და ზევიდან ფიქრები.” სასაფლაოს ნაძვებმა გონებაში ამოატივტივეს მისი შემოქმედების მინორული ტონალობა. პოეტს სასაფლაოს ყვავილად ვარდი დაუსახავს:

„სადღაც საფლავის ვარდი აყვავდა,  
სადღაც გულები სიკვდილს ელიან.”

(ტ. გრანელი)

ქრისტიანულ მოძღვრებაში ვარდი სილამაზის, კეთილსურნელების და სრულყოფილების გამო სამოთხის ყვავილად ითვლება. სწორედ მას - ესთეტიურად ლამაზისა და სიმბოლურად ღვთაებრივს - აღიქვამს ტერენტი გრანელი სამარის მცენარედ. მოუხდებად იმისა, რომ გალაკტიონ ტაბიძეს ვარდები აღმატებით ხარისხში აჰყავს ლექსში „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი” ასეთ სტრიქონს ვხვდებით:

„სალამო ნელღება და კვდება ვარდებით...  
მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით...” (გ. ტაბიძე).

ამ შემთხვევაში, როგორც გრანელთან ეს ყვავილი დასასრულის მომასწავებელია. ტერენტის საბოლოო ნავსაყუდელის – სასაფლაოს სამკაულია ვარდი... „მე თეთრ კუბოში ჩუმად მეძინა, მოპქონდათ ვარდი და გვირგვინები”, - ვკითხულობთ ღექვეში „მიცვალებულის დღიურიდან”. გრანელის წარმოსახვაში „ალბათ სამარესინ ვარდი მრავალია...” მართალია, დამჭირარი ვარდი სიკვდილის სიმბოლოა, მაგრამ მოცემულ შემთხვევებში ეს ყვავილები აყვავებულან, რაც მარადიული სიცოცხლის, გაზაფხულის და აღდგომის ნიშანია.

დაბოლოს, პოეზია არ არის მხოლოდ სიტყვებით თამაში. თითოეულ ფრაზაში, სიტყვაში ის აზრი დევს, რაც მკითხველმა გულითა და გონით ერთდროულად უნდა შეიგრძნოს, არისტოტელეს თქმისა არ იყოს „გამოიცნოს”, ხომ სწორედ გამოცნობაშია ჭეშმარიტი მიზიდულობის ძალა. ისეთი დეტალი კი, როგორიც მცენარეა, არასოდეს არ არის შემთხვევით შერჩეული პოეტის მიერ. ნაძვი - მკითხველის მოლოდინის ჰორიზონტს ზუსტად, მიზანმიმართულად მიმართეს დასასრულისკენ, იმ იმედით, რომ ყველაფერი განახლებადია. წერილს დავასრულებთ მარინა ცვეტავას სტრიქინთ: „Темная ель в этой жизни выдала так много...”

- გამოყენებული ლიტერატურა: 1. კალანდაძე ანა, ღექვები, თბ., 1982.  
2. ქართული პოეზია, თბ., 1984 ტ. 14, 15. 3. გამოყენებული ვებ-გვერდები: [www.lib.ru](http://www.lib.ru), [www.myfology.ru](http://www.myfology.ru), [www.literatura.iatp.ge](http://www.literatura.iatp.ge).

Thea Beridze

### "Groveyard Fir"

We have borrowed title of our article, "Graveyard Fir" from Ana Kalandadze's verse, because we're paying our attention to that sort of plant. We tried to define its place in Georgian and foreign literature. In mythical representations, role of plant is defined by special, vegetative code. "World tree" (arbon mundi) is a containment for universal concept of whole universe (also referred as "Space Tree", "Life Tree", "Knowledge Tree" and so on). From beginning, tree was carrying specific load in mythical, folk and religious beliefs. As time passed by, symbolic association of

different plans have formed various stereotypes, we even can discover them in modern literature as semiotic signs.

Fir tree doesn't have significant load in Georgian literature, as other plants have, such as rose, violet, or other plants. This evergreen plant is a symbol of bravery, courage and decidedness. Also – symbol of spiritual mood, loyalty, immortality... Fir tree is ambivalent symbol – Death and Life always change places in it.

Under influence of "Cursed Poets", eternal face-symbols have been raised. Zeitgeist of spleen, parting off, death, have brought to us new symbolic meaning of fir tree – "Graveyard Fir".

We've reviewed and showed examples from artwork Georgian and foreign authors. Examples were taken from verses by Ana Kalandadze, Niko Samadashvili, Galaktion Tabidze, Terenti Graneli, Alexandre Blok, Arthur Rembo, Sharl Bodler, Marina Tsvetaeva.

In this article, special attention was paid to symbolic load of green color, which is symbol of tranquility. We've reviewed special place of fir tree in Christianity, because, this three has symbolic relation with Jesus Christ.

Plant is always carefully selected by poet, it always has significant meaning. Fir tree leads reader's expectations directly to ending, hoping that everything is renewable.

## ზაზა გოგია

### აზალი „კრიტიკა“

მწერლობა და კრიტიკა ცხოვრების ურთიერთდაკავშირებული მახა-სიათებლებია, ამიტომ ერთს მეორის გარეშე სრულფასოვანი არსებობა უჭირს. შესაბამისად, ნამდვილი კრიტიკა მხატვრული ტექსტის გაგების პვალდაკვალ კულტურის „სოციალური ტექსტის“ გაგებასაც ითვალისწინებს. სწორედ ეს მისია ეკისრება ახალ ლიტერატურულ აღმანას „კრიტიკას“, რომლის პირველი ნომერი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბაზაზე მანანა კვაჭანტირაძის რედაქტორობით გამოვიდა.

ისტორიამ საბოლოოდ უარყო ის საშიში ნორმატიული წესრიგი, რომელსაც დიდხანს ემსახურებოდა საბჭოთა ადამიანთა არაერთი თაობა. აკრიტიკათა გაუქმების ტენდენცია ჯერ კიდევ საბჭოების ზეობის პერიოდში გამოიკვეთა. მასზე გადამწყვეტი იერიშები კი ოთხმოცაინან წლების მიწურულიდან დაიწყო. მოხდა ცხოვრებისეულ, ფილოსოფიურ და შემოქმედებით ინტერესთა სიმბიოზი.

ექსსაბჭოთა, და პირველ რიგში ბალტიისპირეთის, შეფასებითი სკოლების „მეტაანთოროპოლოგია“ მწერლობას განიხილავს, როგორც ადამიანს, საზოგადოებასა და სამყაროს შორის ურთიერთობის მაწონასწორებელ ფონს. სიახლისადმი არც საქართველო დარჩენილა გულგრილი. მერაბ მამარდაშვილმა, თხემით ტერფამდე დასავლური ტაპის ფილოსოფოსმა, ქართულ სააზროვნო სივრცეშიც მოიზომა ადგილი. პიროვნული და საკაცობრივი კულტურული იდენტობის ერთ ორბიტალურ სივრცეში მოქცევა ზედმეტ სითამამედ მოჩანდა უზნაბისეული ტრანსფიზიკური განწყობის თვალით მომზირალი ქართული ინტელექტუალური საზოგადოებისთვისაც კი.

ბელა წიფურიას წერილი „კულტურული იდენტობა საუკუნის საქართველოში“ მწერლობის მოვალეობათა და მისდამი წაყენებულ მოთხოვნათა შეწყვილება-განცალკევების სურათს გვიხატავს, რომელიც ადამიანისა და საზოგადოების რეალური სახის პერიოდული დაკარგვა-წარმოჩენების იმპულსებითაა განსაზღვრული. სწორედ ამ არსებითი თავისებურებიდან მომდინარეობს საბჭოური კულტურის ვალდებულებრივი და

ალტერნატიული კულტურის ნებაყოფლობითი ხასიათი. მაგრამ მათ შორის არ ყოფილა ისტორიული ვაკანსიები. საბჭოთა კულტურასთან მუდამ თანაარსებობდა ეროვნული მხარდაჭერით აღჭურვილი „ნაციონალური ნარატივის კულტურა“, რომლის წარმიდიც ძველი რეჟიმის მიმწერს აღმოცენდა მოდერნისტულ ესთეტიკაზე დაფუძნებული ინიციატივის კულტურა.

წერილის ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ თანამედროვე კულტურის იდენტიფიკაციისათვის ალტერნატიულობის ძველ ნიშნებს ვერ გამოვიყენებო, ვინაიდან გახსნილი ფარდისა და საზღვრების პირობებში „არც ერთი სხვა დომინანტური კულტურული სივრცე არ არის ალტერნატიული და, უფრო მეტიც, თავად ხდება დომინანტური“. მართლაც, ალტერნატიულობა, რომელიც ჩვენი ცხოვრების ლეგიტიმურ კონტექსტში მოექცა, დასავლეურ პოსტმოდერნიზმზე ორიენტაციაში გამოიხატა და იგი ხასიათდება, როგორც „პოსტმოდერნისტული კულტურა პოსტსაბჭოური პერიოდის საქართველოში“.

დავით ჩიხლაძე ვერლიბიძეზე საუბრისას ალტერნატიულობის მნიშვნელობას აფართოებს და ნაკლებად ხედავს მის პირდაპირ კავშირს „პოსტმოდერნიზმის სემიოტიკური და ფილოსოფიური რელატივიზმის პრობლემასთან, ხოლო ტრადიციული მწერლობის კოორდინატთა სისტემაზე დაფუძნებული მყარი კონსტრუქციებისადმი დაპირისპირებულ ტერმინ დეკონსტრუქციას დემითოლოგიზაციითა ცვლის.

საინტერესო აზრია, რომ ნებისმიერი ავანგარდი არის არა მხოლოდ ნოვაცია, არამედ „პოეზიის გადარჩენაზე ფიქრი“ და ტრადიციის დაცვაც „პოიფანისტული ტენდენციებისაგან“ (ადრეც აღმინიშნავს, რომ ქართველ ვერლიბიძისტთა მიერ კონვენციური ლექსის მუსიკალურ პლასტიკაზე უარისთქმა არ ყოფილა ტრადიციული ნორმატივების თვითმიზნური უარყოფა, ვინაიდან ქართული ლექსი თავისი ტრადიციის ათვლას სწორედ თავისუფალი ლექსის ფორმიდან იწყებს. აპოლინერის აზრით, ავანგარდისტულად აზროვნების უძველესი გამოვლინება ბორბლის გამოგონებაა, რომელიც სიარულს ბაძავს, მაგრამ ფეხს არა პგავს. საგნის კონსტრუქცია დაშლილია, არსი – შენარჩუნებული).

სრულიად ვეთანხმები დ. ჩიხლაძის აზრს, რომ „ტრადიციულობა თვითონ მწერლობის ფუნქციაა“, თუნდაც მას ზოგჯერ სიახლისადმი იზოლაციონისტური ტენდენციებიც ახლდეს. იდეალური ვარიანტია, როცა მწერლობასა და კრიტიკაშიც ნოვაცია და ტრადიცია დაპირისპირების ნიშნით არაა დაჯგუფებული.

ლევან ბრეგაძემ მეტაანალიზისადმი სწრაფვა ჯერ კიდევ ოთხმოციანი წლების დასაწყისში გამოამჟღავნა, როცა ჩვენს ლიტერატურული დასავლეთის თეორიული აზროვნების მხოლოდ მკრთალი ანარეკლი ჩანდა.

მაგრამ სააზროვნო სიტუაციათა უტყუარი შეგრძნების ალლომ ათეული წლების წინ ის ტენდენციები წამოატივტივა, რომელიც პოსტმოდერნის-ტული ესთეტიკის სახელითაა ცნობილი.

კვიქრობ, საკამათო არაა, რომ ნ. ბარათაშვილის დასავლური რომანტიზმის თეორიულ სკოლებით შეხების აღბათობა თითქმის ნულის ტოლია. მიუხედავად ამისა, მისი შემოქმედება მთლიანად თავსდება რომანტიზმის თეორიის, ესთეტიკისა და პოეტიკის ჩარჩოებში. დასავლური სამყაროს ინფორმაციულ ველზე დამოუკიდებლად გასვლის ანალოგიურ კვალს ხედავს ლ. ბრეგაძე. სამოცი-სამოცდაათიანი წლების ნოვატორ ქართველ მწერალთა ძიებებში და მიიჩნევს, რომ პოსტმოდერნიზმის კვირტობა ჩვენში დასავლეთში დაწყებულ პროცესებს ემთხვევა. ამ აზრის დასტურად აგზორი მუხრან მაჟავარიანისა და რეზო ინანიშვილის ზოგიერთ ადრეულ თხზულებას მიმოიხილავს, სადაც თხრობათა აღრევა, ეკლექტიზმი, აგზორის ნიდაბი, სტილურ მანერათა პაროდირება, „მაკორექტირებელი ირონია“, პოსტმოდერნისტული კომპლექსის არსებობაზე მიგვითითებს. ლევან ბრეგაძე ახალი შემოქმედებითი მიმართულების აღმაგალ ხაზს მიყვება და უამრავ თანამედროვე ნაწარმოებს ეხება, რომელშიც მკაფიოდ გამოიკვეთა იდეოლოგიურ კლიშებში ჩაბუდებული ყალბი ცნობიერებითი მექანიზრების ძლევის ტენდენცია.

ბოლო თხუთმეტ წელიწადში სამი რევოლუციური სიტუაციის შემსწრენი გავხდით: I- ძველი რეჟიმის ნგრევა და დამოუკიდებელი ქვეწის პირველი პრეზიდენტის ტრიუმფალური მოსვლა, II-სახელმწიფო გადატრიალება და ხელისუფლების იარაღის ძალით ჩამოგდება, III-მოძღვნო პრეზიდენტის უსისხლოდ, მაგრამ ძალის არანაკლები დემონსტრირებით, მოცილება.

მწერალი და ისტორიკოსი ედვარდ რაძინსკი სტალინისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში აღნიშნავს, რომ ყველა პოსტრევოლუციურ ქაოსს თან სდევს დამაშოშმინებელი (смиритель). ჩვენთან დროის, ენერგიისა თუ გამჭრიახობის ნაკლებობის გამო ვერავინ შეძლო სიტუაციის გონივრული დაშოშმინება. შიდაპოლიტიკურმა, სოციალურმა და სულიერმა კრიზისმა დაუსრულებელი საშინელების პერმანენტული ხასიათი მიიღო და მცირე წარმატებები განუკითხაობის საერთო სურათს ნაკლებადა ცვლის.

კულტურის პუმანიტარული დარგები სოციალურ მოვლენებზე არა-ერთგვაროვნად რეაგირებს. იგი გარემოში გამუჯებული იმ უწესრიგობის ინდიკატორის, ამასთანავე, მძლეველის როლშიც გამოდის, რომელიც თავის მნიშვნელობას აუცილებლობის ლოგიკით ამართლებს.

მანანა კვაჭანტირაძე წერილში („სიმღერაში (გა)დარჩენილები“) პასუხს ეძიებს კითხვაზე, თუ რამდენად ეგუება კულტურა მასში ქასის

„შეტანას“ ევოლუციურ გარდაქმნათა აუცილებლობის სახელით და როგორ ახერხებს იგი ახალი წესრიგის თვითორგანიზებას“. კულტურული ცხოვრების ინტიმური გამოვლინებები კი სხვაზე მეტად ენობრივ ცნობიერებაზე, სახელდობრ ლიტერატურული ენის დინამიკაზე, ასახება. იმ აზრის შესამოწმებლად, რომ ახალი, კარგად დავიწყებული ძევლია, ავტორს ბესიკ ხარანულის „მკვდრების სიმღერა“ შეურჩევია, როგორც „ძველი ეპოქის გამოსათხოვარი რეკვიემი“ და მთით „გარდაცვლილი ეპოქის ქართულ პანორამაზე“. სტატიის მხატვრულ ტექსტთან შევერება ჩვენგან მივიწყებულ და ენის წიაღში არსებულ „ხსოვნას“ გვიცოცხლებს არა მხოლოდ ენის შესაძლებლობათა ექსპლუატაციის წყალობით. სიმღერის ძალაუფლება ტექსტს გარდა მელოდიას, მუსიკასაც მოიცავს, როგორც კულტურის ტრადიციათა დროში ჩაბუდებული უსასრულო სიკვდილისა და მშობიარობის პროცესს. ამიტომაა, რომ „მომღერალი მკვდრებიდან, ამ დიადი გვამიდან, მოდის ახალი აზრი და სიცოცხლე“.

სტატიის ავტორი სიმღერის კონფიგურაციაში დაუსაბამო წარსულსა და მყისიერ აწყობს, მუსიკის არასემანტიკურ (ინვარიანტულ) და სიტყვის სემანტიკურ (ცვალებად) ფერთა თანარსებობას განიხილავს, როგორც ლოგიკურ პარადოქსს, წინააღმდეგობათა ერთიანობას, აზრისა და ნონსენსის ურთიერთგადაკვეთას, საბოლოო ჯამში, „მიქსს, ახალ სიმღერას, რომელსაც კარგად ახსოვს ძევლი სიმღერის მელოდია“.

მუსიკისა და რეკვიემის თემა გააქტივებულია მაკა ჯოხაძის სტატიაში („საბედისწერო რეკვიემი“), რომელიც სათავეს იღებს ზაირა არსენიშვილის რომანიდნ „რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შეიდი ინსტრუმენტისათვის“.

რომანის „პოლიფონურობა“, რომელშიც მოცარტ-სალიერის მოდელის ანარეკლსაც ვხედავთ და ქართული პროზის ტრადიციებთან კავშირსაც, არაა ბაზტინისეული მრავალხმიანობის ტიპიური გამოხტეულება. მასში ვერც მწერლური აგტორიტარიზმის კვალს ვხედავთ. თხზულების „ორაქესტრული ჟღერადობა“ (მ. ჯოხაძე) „რიზომის“ ტიპის არათანაბარი განტოტვის პრინციპს ჟფუქნება. კრიზისულ რეალობას მამხილებელ ფონს ახალგაზრდა შემოქმედის, ეჯი ხადარკოვსკის, სოციალური ფუნქციით აღბეჭდილი „რეკვიემი“ უქმნის, ცვლილებებისადმი უმწიფარი „წმინდა თემის“ აგრესიულ უნიჭებას კი ალიო ჩივაძის „შემოქმედება“ უდგას თავდებად.

წერილში გახსნილი რომანის მხატვრული სამყარო თავისი ინტიმური და ფორმალური ურთიერთობებით, აქცენტთა მუღმივი გადანაცვლებებით, არსებული და არარსებული სიმართლით, ინტერესთა ულმობელი შეხლა-შემოხლით ორხელისუფლებიანობის ნაშანს ატარებს – ერთი, რომელიც იცავს დახავსებული ყოფის „სიმშვიდეს“ და მეორე, რომელიც

„უტიფრად“ იჭრება ამგვარი „სიმშვიდის“ ატმოსფეროში და მისი აღსას-რულის უამ აახლოებს.

ლელა წიქარიშვილს წერილში „მწერლობა – გზა გადარჩენისა“ მსჯელობის საგნად ნუგზარ შატაძის პროზაული დისკურსი გაუხდია. რელიგიური და ეროვნული მრწამისასაცნ მიბრუნების გზა ქართული მწერლობის მძლავრმა ფრთამ სულის დაპურების („პურისმტეობის“) საკრალურ შინაარსში დაინახა, რაც სახარებისეულ ტექსტში იღებს დასაბამს. ევქარისტიის საიდუმლო თავად მაცხოვარმა დაფდგინაბ როცა სულიწმიდის მაცხოვნებელი ძალა ხილული ნიშნების (პურისა და ღვინის) წყალობით უხილავად გადმოდის ჩვენზე. ამიტომაა, რომ წმინდა ზიარების მიღებით უფლის მარადიული ნეტარცხოვრების თანამონაწილენი ვხდებით. ცოდვაზე დაფუძნებულმა „ზნეობამ“ ეს ერთობა გააუქმა, როცა უარი ვთქვით უნათლეს სულიერი მეგზურის მეგვიდრეობაზე. ნუგზარ შატაძის „პური“ და „პურის მოთხრობა“, რომლებიც მწერლის უშუალო წინაპართა სულიერი გამოცდილებითაა ნაკვები, არ ეწევა საკრალურ ტექსტებზე ხაზგასმულ აპელირებას. პური მწერალთან რწმენის დიდი ეპოქების, ქართველთა ეროვნული ცნობიერების კუთვნილებას, სულის პურია.

საგულისხმოა, რომ ხორბლის უძველესი ჯიში ქართულ სამარხშია აღმოჩენილი, რაც იმას მეტყველებს, რომ პური ქრისტეს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე ჩვენი წინაპრის არა მხოლოდ აქაური, იმგვენიური ცხოვრების საგზალიც ყოფილა. სიბოლოურია ლ. წიქარიშვილის მიერ „პურის მოთხრობაში“ ამოწეული ერთი დეტალი – თხზულების გმირის, ილია ხიზამბარელის, სულის უკადაგების ძეგლად მის საფლავზე ამოსული ხორბალი ქცეულა.

ინგა მილორავას სტატიის სათაურის წაკითხვამ („ოთარ ჩხეიძის რომანები“) გაფიქრებინა, რომ ავტორს მიზნად შეუძლებელი დაუსახავს, ვინაიდან ჩვენში არ მეგულება მწერალი, რომელიც შეძოქშედებითი ცხოვრების ჯამური პარამეტრებით – ინტერესთა მრავალმხრიობით, უტყუარი ლიტერატურული ალლოთი, მძლავრი ეროვნული მუხტით, ნაყოფიერებითა თუ ინტენსური მოღვაწეობის ხანგრძლივობით ო. ჩხეიძეს დატოლება. მაგრამ წერილის გაცნობამ დამარწმუნა, რომ ავტორის მიზანი შედარებით მოკრძალებულია – მწერლის ბოლოდროონდელ რომანთა ზოგადი სოციო-კულტურული სიგრცის შემოხაზვა. ყველა ეს რომანი თანამედროვე ეროვნულ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებზე დაუყოვნებელი რეგიონების ნიშნითაა აღბეჭდილი, რამდენადაც მათში მოთხრობილი ამბები ჩვენს თვალწინ მიმდინარეობდა. ალბათ, ამიტომ გაუჩნდა სტატიის აგტორს კითხვა, რამდენად მართებულია მოვლენათა „ცხელ კვალზე“ აღწერა, როცა ზოგიერთის აზრით, „მოვლენათა ზედმიწევნით გასაზრებლად საჭიროა

დღო“ და თავად თვითმხილველობას ანიჭებს უპირატესობას. ჩემი აზრით, ნიჭიერი მწერალი „ცხელს“ კვალზე დაწერს თუ „ცივზე“ – სულერთია, ვინაიდან ნიჭი ასეთ განსაზღვრებებს არ იცნობს („ცხელ კვალზე“ ფაქტების ქექვა უფრო მეტად იურისტის ან ისტორიკოსის საქმეა, ვიდრე – მწერლის). ამიტომ ოთარ ჩხეიძის მხატვრული თხზულებები, მიუხედავად იმისა, დღვენადელობას ეხება თუ შორეულ ისტორიას, გაცილებით უფრო თანადოულია, ვიდრე ზოგი მწერლის უსაშველოდ მოძველებული „თანამედროვეობა“.

ო მილორავა მართებულად მიუთითებს ო. ჩხეიძის რომანთა შინაგან კავშირზე, რომელიც არა იმდენად სიუჟეტური მიმართებით დგინდება, რამდენადაც კონვენციური ნიშნების მოძრაობით, რომელთა მნიშვნელობა სიტუაციების მიხედვით იცვლება (ენის სტრუქტურა გარემოს სტრუქტურის შესაბამისი ანუ იზომორფულია და ეს განსაზღვრება არა მხოლოდ მხატვრულ ენას ეხება. მაგალითად, რევოლუციის ცნების პროგრესული შინაარსი სოციალური ანომიის პირობებში ძალმომრეობის ნაცვალისტყვად გადაიაზრება, ხოლო მართლმსაჯულების განმასახიერებელი თვალახ-ვეულ თემიდას ხატი – კანონის სიბრძმავედ).

ლალი ავალიანი პროფესიონალიზმთან ერთად მწერლისაგან ტრადიციული ფასეულობებისადმი უპირობო მოკრძალებას ითხოვს. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით განიხილავს იგი კოტე ჯანდიერის შემოქმედებას, რომელსაც ნოვატორული და ტრადიციული აზროვნების უნიგალურ ნაზავად თვლის. კოტე ჯანდიერმა ჯერ კიდევ წინა საუკუნის ოთხმოცაან წლებში სასიამოვნოდ გაგვაცვიფრა, თუმცა, მაინცდამაინც სასიამოვნო ფქტებზე არ უწერია. „სოვებზე ქრისიკაში“ ოჯახის აგტორიტეტის გაუქმება მის წევრთა მიერ ოჯახურ ფასეულობათა დაცვის იმიტაციის ნიშნით ხდება. მწერლის ეჭვი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, რომელმაც უჯახის რდვევის სურათში საზოგადოების რდვევის მუქარა დაინახა.

შეჩერება, რომ ლალი ავალიანმა კოტე ჯანდიერის წარმატებული ძიებები ახლებურად მოაზროვნეთა „ბაზრული“ გემოვნების მიუღებლობის სადემონსტრაციოდ იშვიათ გამონაკლისად წარმოაჩინა. ეს აზრი შეგვიძლია გავიზიაროთ, შეგვიძლია – არა, მაგრამ ერთი რამ ცხადია – სოკოგბივით მომრავლებული მდარე ლიტერატურული პროდუქციის გვერდით საღი მარცვლებიც მოიპოვება.

გიგი სულაკაურის პოეზიის „ირონიული სერიოზულობა“ ინტერესთა გადანაცვლებული ეპიცენტრითა და „არათნმიმდევრულობით“ თავის დროზე ჩემი კრიტიკამ ჯეროვნად ვერ შეაფასა. ოფიციოზური კრიტიკის გულგრილობის მიზეზი ისიც იყო, რომ მისი მზერა მწერლობაზე მეტად მწერალზე იყო მიაპყრობილი, რომლის სოციალური მდგომარეობისა და გავლენის პროპორციულად მატულობდა მისდამი ინტერესის ხარისხიც. ამ

ხარგებს ნაწილობრივ ავსებს ზოთა ცხადაიას წერილი „არა მარტო ქუჩის ბიჭების გასაკონად“.

გიგი სულაკაურის პოეზიის დვრიტა სტილთა გადაკვეთაშია გამონასკვული, სადაც „სამყარო დაშლილია, ამოყირავებული, ხედვისა და ქცევის ვექტორი შებრუნებული და შეცვლილია“. სულაკაურის ერთი ლექსი მახსენდება, რომელშიც პოეტს თოვლი უყვარს, მაგრამ არა თავის, არამედ – სხვის ქალაქებში. ხდება საგანთა რეალისტური და რომანტიკული ხედვის ოპტიკური გადაკვეთა – მოვლენისადმი სულიერი ლტოლვა, მაგრამ ფიზიკური განდგომა. მსგავს კავშირს ხედავს ზ. ცხადაია სულაკაურის სხვა ლექსში, სადაც ზამთარი „დაფარულია არა ფიფქით, არამედ – ფიქრით“.

გიგი სულაკაურის პოეზიის ბუნება რომანტიკული ირონიის ფუძემდებლურ დებულებას ეფუძნება, რომ სამყარო იმ სახით, როგორითაც არსებობს, უგუნურებაა. ამიტომაც პოეტი საგნობრივი რეალობის მიღმა არსებულ ცნობიერებით მოსილ სამყაროში, ე.წ. ნოოსფეროში, შეღწევას ცდილობს, რომლის ზილვა შესაძლებელია არა თვალით, არამედ – გრძნობითა და ფიქრით.

ნონა კუპრეიშვილი ნაირა გელაშვილის მოთხრობის („ამბრნი, უმბრნი და არაბნი“) ტექსტის განმარტებას „სხვისი“ ხედვის მნიშვნელობაზე საუბრით იწყებს. თხრობის სხვადასხვა დონეზე პარტნიორული ურთიერთობები, დისკურსის გამჟღავნებული და გაუმჯღავნებელი შრები, „ჩემი“ და „სხვისი“ ხედვა (მათ შორის, „სხვისი“ ხედვა „ჩემი“ ხედვის შესახებ) მხოლოდ შიდატექსტური სპეცუალაციებით არ ამოიწურება. 6. გელაშვილის მოთხრობაშიც პერსონაჟებს გარდა „კოლექტური არაცნობიერის“ განმასაზიერებელი პირველქმნილი მითოსური ფიგურები, არქეტიპები, მოქმედებენ. იუნგი ინტროვერტულს უწოდებს ურთიერთობის ტიპს, როცა ლიტერატურული სუბიექტი არქაული ხატის ტრადიციული გაგების სტანდარტში ჯდება, ექსტრავერტულს, როცა ინდივიდუალური ცნობიერება არქეტიპის საზღვრებიდან გარეთ გასვლას ცდილობს, უურჩება და სულაც უპირისპირდება მას. ამგვარად, ხდება პიროვნული ცნობიერებისა და კაცობრიობის გამოცდილებით ნასაზრდოები „კოლექტური არაცნობიერის“ თანხმობის ან წინააღმდეგობის ნიშნით დაწყვილება.

6. გელაშვილის მოთხრობის პირობითი პლანი ორი მიმართულებით იშლება – ერთია ამირანის მითი, მეორე – გერმანულ-სკანდინავიური ეპონის მოდიფიკაციაზე შექმნილი ვაგნერის საოპერო ტეტრალოგია. ერთ შემთხვევაში, ახლის (უსახელო გმირი მამაკაცის) ორიგინალისადმი (ამირანისადმი) მიმართება ექსტრავერტულია, როცა სახე იდეისაგან თავდახსნისაკენ იღტვის (მოთხრობის პერიოდული პათოსისაგან განძარცვული გმირი ანტიამირანია), მეორე შემთხვევაში – ინტროვერტულია. გმირი ქალი

მერცია ყამარის სულიერი მემკვიდრეა და მითის სააზროვნო სივრცეშია ჩაბრუნებული.

მხატვრული სახის სიყვარულის აბსოლუტურ იდეასთან სიახლოვითა წსნის ნონა კუპრეიშვილი თავად მწერლის ლტოლვას თავისივე გმირისადმი და ამის საილუსტრაციო მის სიტყვებს იმოწმებს - „იგი (მერცია ანუ ავტორისაგან დისტანცირებული „სხვა“-ზ.გ.) ისიცაა, რაც მინდოდა ვყოფილიყვავი, და შესაძლოა, ვერ კი გავხდიო“.

ოთარ ჭილაძის რომანებს სამი ავტორი მიმოიხილავს:

ადა ნეშსაძე „რეინის თეატრზე“ საუბრისას გავრცელებული სქემით ხელმძღვანელობს - „ცხოვრება თეატრია“, ჭილაძის გმირები „უარყოფითი იდენტობის“ ნიშნითაა დახასიათებული, რაც პიროვნებისა და საზოგადოების საკუთარი ყოფიერების არსთან სოლიდარობის საბედისწერო წყვეტას ნიშავს. ადამიანისა და ქვეყნის ამგვარი ზვედრი რომანის სათაურის მეორე სემანტიკურ დონეს - რეინის გალიას, ციხეს, ფიზიკურ და სულიერ მონობას უკავშირდება.

ცისნა გენბექააუ ო. ჭილაძის ბოლო რომანის („გოდორი“) „დრუჟბა ნაროლოვში“ დასტამბულ რუსულ თარგმანს (მთარგმნელი - ალექსანდრე ებანოძე) და რუს ავტორთა სენსაციურ გამოხმაურებებს ეხება. სენსაციურობის არსში კველა არგუმენტზე უკეთ ცისანა გენბექაძის მოძიებული საილუსტრაციო მასალა ჩაგახედებს, რომელიც რუსული პრესიდან ანდრო ბუჟაჩიძის თარგმანებს ეფუძნება:

„...საქართველომ აუცილებლად უნდა გაიაროს ურთულესი, მე ვიწყოდ, უსასტიკესი გზა თვითშემეცნებისა, რომელიც ოთარ ჭილაძის რომანშია წარმოდგენილი. უნდა გაიაროს ისე, როგორც ჩვენ- რომლებსაც ეროვნული გამოფხაზლების წარმომჩენი ასეთი სიძლიერის რომანი, სამწუხაროდ, ჯერ არ მოგვეპოვება“ (სტანისლავ რასადინი).

„დრუჟბა ნაროლოვგა“ ოთარ ჭილაძის რომანის გამოქვეყნებით მაღლა ასწაა სამყაროს მხატვრული გათავისების თამასა. ეს იოლ ცხოვრებას არ უქადის უკრნალს. ასეთი ნაწარმოების შემდეგ უკრნალის პასუხისმგებლობა მყითხველის წინაშე განუზომლად იზრდება“ (კლადიმერ ოვნევი).

„რომანის წაკითხვის შემდეგ ლოდი ეყლში მომებჯინა. რატომ? რა არის ამ რომანში? პირველი და უმთავრესი: მთლიანობად შენივთებული ისტორია და თანამედროვეობა... მეორე: სრული შესაბამისობა ერთი რომანის სივრცეში რეალობისა და მითის“ (ბორის ევსეევი).

„რუსეთი „გოდორში“ საქართველოს შთანმთქმელი იმპერიაა, ბოროტი და ხარბი დედინაცვალი“ (ნატალია ივანოვა).

აგრესოული იმპერიული ცნობიერების გაფურჩქვნის ფონზე რუსული კულტურის ცნობილ მოლგაწეთა პროფესიული სინდისიერება, ამასთანავე,

გულწრფელი აღიარება იმისა, რომ ჯერ კიდევ საბჭოთას ტერიტორიაზე ო. ჭილაძის ნაწარმოებებს ბადალი არ მოეპოვებოდა, სასიამოგნოდ გაკვირვებს.

გურამ ბენაშვილის „ვიზიონები“ ორი ესესაგან შედგება. ერთი ოთარ ჭილაძეს ეხება, მეორე – ზაირა არსენიშვილს. თხზულებათა საერთო სა-თაურიც, ესეისტური ქანრის კანონიც და ავტორის აღიარებაც იმას მოწმობს, რომ აღნაშვილი ნარკვევები „ტრადიციული მწყობრი განხილვა ანალიზისა-გან, ანუ კონვენციური კრიტიკისაგან, მეტ-ნაკლებად შორს დგას“.

გურამ ბენაშვილის მწერლობა-კრიტიკის ზღვარზე მდგომი იმპრე-სიონისტული ხედვა ესთეტიკური ბუნებისა და მოვლენათა პანორამული აღქმის პრინციპს უფრო ექვემდებარება, ვიდრე – საგანთა ანატომირებისას. სწორედ ამ კუთხით განიხილავს ავტორი „ისტორიული ეპოქეს რანგში წარმოდგენილ“ ორ რომანს. მიზანი ერთია – ცხოვრებაში დარღვეული და მწერლობის მიერ გამჟღავნებული სულიერი დისკიპლინის აღდგენა.

სვიფტის გულივერი არარსებული ქვეყნის არარსებულ დედაქალაქ ლაგადოს აკადემიაში მეცნიერებს შეხვდა: ერთი კიტრისაგან მზის სხივების მიღებაზე მუშაობდა, მეორე – ყინულის „გადაღულებით“-თოფის წამლის, მესამე – მოხუცი პროფესორი, ბრმებს ყნოსვითა და შეხებით საღებავთა ფერის გარჩევას ასწავლიდა. აკადემიის პოლიტიკურ სექ-ტორში გმირი გაუგონარ „სისულელებს“ გადააწყდა – ხელისულებას თანამდებობის პირები ცოდნის, ღირსებისა და უნარის მიხედვით უნდა დაეწინა. იყო „კარგი“ კანონებიც, მაგალითად, სენატორს საკუთარი აზ-რის საწინააღმდეგო შეხედულებისთვის უნდა მიეცა ხმა, რათა საქმე ხალხის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო.

რა თქმა უნდა, ეს კველაფერი ირონიაა, მაგრამ მის მიღმა მშობლიური ინგლისის სულიერი და პოლიტიკური ცხოვრების კრიზისული პანო-რამა გაშლილი.

აკა მორჩილაძე (რომანში „სანტა ესპერანსა“) არარსებულ არქიპე-ლაგზე გაშენებული არარსებული სახელმწიფოს მოდელით თავისივე სამშობლოს სოციოკულტურულ რუკას გვიხატავს. ამ „მხატვრობაში“ წინა პლანზე ირონიული თამაშის ელემენტები გამოიდის, რომლის წააღში წვდომა თამაშის მექანიზმში გარკვეულ სუბიექტს, კრიტიკას, ევალება.

მალხაზ ხარბედიას (წერილში „კურტულების გოთიკა“) სვიფტის მოხუცი პროფესორის მისია დაეკისრა, რომელსაც მწერლის მიერ „აღმო-ჩენილი ქვეყნის“ მოზაიკურ რუკაზე ფერთა მნიშვნელობები უნდა ამოეცნო და გაუთვითცნობიერებელი მკითხველი „თამაშის წესებში“ გაერკვია (სხვათაშორის, ბრმათა მიერ ყნოსვით ფერთა ამოცნობას აკა მორჩილაძის რომანშიც მოექნა ინტიმური პარალელი – ხმათა სიყვარული ანუ უნა-ხავი ქალის ხმით შეყვარების პრაქტიკა).

თამაშის წარმოების ყველაზე ვრცელი ასპარეზი ენასა აქვს თავისი ამოუწურავი რესურსებით. ამ რესურსთა ექსპლუატაციის ინდივიდუალურ ლიმიტს ყოველი მწერალი თავად იწესებს საკუთარი შესაძლებლობების, ეპოქისა და საზოგადოების მოთხოვნათა გათვალისწინებით. მაღაზ ხარჯებია „თამაშებით“ დახუნძლულ რომანში წამოწეულ უამრავ კითხვას პასუხობს. თითოეულზე შეტერება თვით სტატიაზე გაცილებით ვრცელ ფორმატს მოითხოვს. ამიტომ მკითხველს უურჩევ თავად გაეცნო მას, რაც რომანის ტექსტის გაგებაში უთუოდ დაეხმარება.

პიროვნების პროფესიული ინტერესები ხშირად სულიერი ინტერესებისა და ზენობრივი პოზიციის გამომხატველად იქცევა.

ნესტან სულავა ჰიმნოგრაფიული და სხვა რელიგიური ხასიათის ტექსტების მკვლევარია, ამიტომ სულიერება მისთვის ნებისმიერი თხზულების ღირსების საზომია (საგულისხმოა, რომ მისი გვარიც „სული“-დანაა ნაწარმოები).

„შემოქმედება“ ეტიმოლოგიურად უზნენაესს შემოქმედს უკავშირდება და შემოქმედებითი შთაგონებაც სულიწმიდის მადლით ადამიანზე გადმოდის. სწორედ ამ ღვთიური მადლის ძიებითა განმსჭვალული ნესტან სულავას გულო კობიაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილი.

ჩვენ ხშირად გარე მიზეზებით – მატერიალური გასაჭირით, უუფლებობით, საზოგადოების გულებრივით ვნიდბავთ საკუთარ ნაკლს, მაგრამ ხალთაში ხმალა არ იძალება. გ. კობიაშვილის ნოველის („მესამე მაწანწალა“) უპოვარი გმირი მდიდარმა ნათესავებმა ახალწლის წინა ღამეს უხვად დაჯილდოვეს. სახლში მომავალმა გლახაგა არ გაიკითხა და ქოქოლაც მიაყარა; ღმერთმა დასაჯა და ქუჩის მაწანწალებმა ყველაფერი წაართვეს. მხოლოდ ერთმა, მასზე უფრო გაჭირვებულმა, გაუწოდა დახმარების ხელი. მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო – ერთის მიერ დარღვეული ზენობრივი წონასწორობა მეორემ აღადგინა. სულიერების კვარცხლებეკი არასოდეს უნდა იყოს თავისუფალი. ნესტან სულავა კობიაშვილის თხზულებებში ქართული ზღაპრის ნათელ გმირებს ეძიებს, მაგრამ, სამწუხაროდ მათი რაოდენობა კლებულობს. „გამოქვბულს შეხიზნული უმწეო, სუნთქვაშეკრული ქართველიბა შეშინებული, განცვიფრებული ადევნებს თვალს მის ამოსაბუგად, ამოსაძირკვად მტრისგან ცეცხლოვანი ისრებით შეიარაღებულ მანქურთებსა თუ შეგნებულად მოღალატეთა ლეგიონებს“ (ნ. სულავა). სხინ ერთია – სულიერი განწმნდა, ჭეშმარიტ და ცრუფასეულობათა ურთიერთგარჩევა. გზას სინათლე გამოაჩენს, გვახსივდეს, რომ ჩვენი სამშობლოს ბედი ჩვენივე ბედის ზესტი ანარეკლია.

ანუკი იმნაიშვილი ლაშა თაბუკაშვილის უურნალ „ საუკუნეს“ მიმოხილავს, რომლის პირველი ნომერი 1994 წლის მაისში გამოვიდა,

როცა ანონიმური პროცესების ელვის სისწრაფით განვითარების გამო კულტურული ცხოვრება პრაქტიკულად ჩაიძირა. ამიტომ უურნალი ამ უგხოობის პერიოდში სიტყვიერი ხელოვნების ლამის ერთადერთ ოაზისად იქცა, სადაც წიგნიერ ქართველს სულიერ მოთხოვნილებათა დაკაყოფილება შეეძლო. მასში განთავსებულ მასალას მკაცრი გადარჩევის ფილტრი პქნინდა გავლილი, რათა გემოვნების დამაქვეითებელი პარალიტერატურული „პროდუქცია“ არ გაპარულიყო. რა თქმა უნდა, ასეთი სიმკაცრე ჰქეშმარიტი მკითხველის გემოვნების, მოთხოვნილებისა და პოზიციის უცულებელყოფას არ ნიშავდა. სხვადასხვა რუბრიკებით იბეჭდებოდა ადრე გამოქვეყნებული, მაგრამ ახალი თაობისათვის უცნობი, ნაწარმოებები, გურამ რჩეულიშვილის, რეზო ინანიშვილის, ვაჟა გიგაშვილის, „დაგვიანებული“ მოთხოვნები, ნუგზარ შატაიძის, ლაშა თაბუკაშვილის, ზაალ სამადაშვილის და სხვათა საუკეთესო თხზულებები. უურნალი არც „ძველ“ თუ „ახალ“ ავტორთა პოსტმოდერნისტული ძიებებისადმი დარჩენილა გულგრილი. რაც მთავარია, გაუქმებული იყო ნორმატიული „წესრიგისადმი“ მორჩილების ინერცია.

ანუერი იმნაიშვილის მიმოხილვითი ხასიათის წერილმა კიდევ ერთ-ხელ შეგვახსნა, რომ სოციალური ქაოსის პირობებშიც შესაძლებელია კულტურული მემკვიდრეობითობისა და ჯანსაღი სულიერი ენერგიის შენარჩუნება. თუმცა, ბევრმა იცის, თუ რა ძალისხმევის ფასად უჯდებოდათ უურნალის მესვეურთ თითოეული ნორმის გამოშვება.

ალმანახ „კრიტიკის“ თეორიულ ძიებათა რუბრიკაში დაბეჭდილია ფრანგული სემოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის, უერარ უენეტის, ორი სტატია: „სივრცე და ენა“ (მთარგმნელი – ირმა ჩხეიძე) და „ლიტერატურა და სივრცე“ (მთარგმნელი – უუშუნა ქვლივიძე). მინდა აღვნიშნო ორივე თარგმანისათვის ნიშანდობლივი საერთო თვისება – აზრის თვალსაჩინოება, რაც როული თეორიული ტექსტების მთარგმნელთათვის აქილევსის ქუსლია. სტატიაში წამოჭრილი საკითხების განხილვას არ შევუდგები, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნე, ორივე ტექსტი წმინდა თეორიული ხასიათისაა და განმარტებათა განმარტება ანუ მათი მექანიკური პერიფრაზირება მომიწევს.

ბოლოს ისლა დამრჩენია, თხუთმეტწლიანი ინტერვალის შემდეგ განახლებულ „კრიტიკას“ მივულოცო ხელახალი დაბადება და ხანგრძლივი, ნაყოფიერი სიცოცხლე ვუსურვო.

## არქივგრაფიული ძიებანი

თამარ ჭუმბურიძე

### გრიგოლ ფერაძის არქეოგრაფიული ძიებანი

გრიგოლ ფერაძე (1899-1942) ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარია XX საუკუნის პირველ ნახევარში საბლვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა შორის. უმაღლესი განათლების მისაღებად გერმანიაში გაგზავნილმა ახალგაზრდამ თავისი სიციცხლის თითქმის ნახევარი – ორი ათეული წელი უცხოეთის ცის ქვეშ გაატარა. აქედან პირველი ხუთი წელი ის თეოლოგიის საფუძვლებს ეუფლებოდა ბერლინისა და ბონის უნივერსიტეტებში; სახელდობრ, ბერლინის უნივერსიტეტში სწავლობდა 1922 წლის მაისიდან 1925 წლის აპრილამდე, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ბონის უნივერსიტეტში.

1926 წლის თებერვალში გრიგოლ ფერაძემ ბონის უნივერსიტეტში წარადგინა საღოქტორო დისერტაცია თემაზე: “ქართული ბერ-მონაბეჭნობის ისტორია მისი დასაწყისიდან 1064 წლამდე”. ამ ნაშრომისათვის 1927 წლის 17 დეკემბერს მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ამ დროიდან იწყება მისი აქტიური სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა.

აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთში სამეცნიერო მოღვაწეობის დაწყებამდე და შემდგომშიც გრიგოლ ფერაძემ რამდენჯერმე სცადა მიეღო სამშობლოში დაბრუხების ნება, მაგრამ ამ ცდებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, რის გამოც ის იძულებული იყო შერიცხებოდა ემიგრანტის ბედს და ემებნა სამუშაო აღგილი, სადაც მეცნიერული მუშაობის მინიმალური პირობები მაინც უქნებოდა.

1927-1932 წლებში გრიგოლ ფერაძე იყო ჯერ ბონის უნივერსიტეტის ქართული და სომხური ენების ლექტორი, შემდეგ – პრივატ

-დოცენტი, 1933 წელს კი გადავიდა და შეუდგა მუშაობას ვარშავის უნივერსიტეტში მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტზე პროფესორად. ვარშავაში მოუსწრო მას მეორე მსოფლიო ომმა და მალე საკონცენტრაციო ბანაკის საშინელებაც იწვნია. 1942 წლის 4 მაისს იგი გესტაპომ დააპატიმრა პოლონელ იაზაქვეშელებთან თანამშრომლობის ბრალდებით, მოთავსებული იყო ვარშავის პავიაკის ციხეში, იქიდან გადაიყვანეს მაუთაშაუტენის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა 1942 წლის 6 დეკემბერს.

ამ მშრალი ბიოგრაფიული ცნობებიდანაც კარგად ჩანს, რომ განგებამ გრ. ფერაძეს სულ თხუთმეტითოდე წელი არგუნა აქტიური მეცნიერებული მოღვაწეობისათვის. სამაგისტროდ, ეს იყო დაბაბული და დაუცხრომელი კვლევა-ძიების წლები, აღსავსე თვალსაჩინო მიღწევებით და გამარჯვებებით, რისთვისაც გრიგოლ ფერაძემ დირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული მეცნიერების ისტორიაში.

როცა გრ. ფერაძეს გადაეწურა ყოველგვარი იმედი სამშობლოში დაბრუნებისა და იქ მეცნიერებული მოღვაწეობისა, მან თავისი მომავალი საქმიანობის უმთავრეს ამოცანად დაისახა უცხოეთში დაცული ქართული წერილობითი ძეგლების მოძიება, შესწავლა და გამოცემა, ე. ი. მუშაობა ქართული პალეოგრაფიის, არქეოგრაფიისა და კოდიკოლოგია-ტექსტოლოგიის სფეროში. ამ გზაზე მკვლევარს იდეალად ესახებოდა პეტერბურგში მოღვაწე გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, რომლის შესახებაც ის წერს: “სამეცნიერო საქმიანობისათვის მისაბად მაგალითითად მიმაჩნდა ცნობილი ქართველი სწავლული ალექსანდრე ცაგარელი, რომელმაც პირველმა დაიწყო ქართული ხელნაწერების მოძიება მსოფლიოში და საფუძველი ჩაუყარა მათ კატალოგიზაციას. ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერებულად დამუშავების ეს პიონერი დიდი ხნის მანძილზე პროფესორად მუშაობდა პეტერბურგში და გარდაიცვალა ათითოდე წლის წინათ თბილისში. მის კვალბე მიმავალი ვონცებობდი მენახა ის ხელნაწერებიც, რომლებიც მისთვის XIX საუკუნის ბოლოს მიუწვდომელი აღმოჩნდა” (1, გვ. 80-81).

თითქოს განვების ნებით მოხდა, რომ გრიგოლ ფერაძის სამეცნიერო მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები პრიფ. ალ. ცაგარლის სიცოცხლის ბოლო წლებს დამთხვეოდა და მისი საქმის უშაალო გაგრძელებად ქცეულიყო. იმავე ნაშრომში, სადაც გრიგოლ ფერაძე

მაღალ შეფასებას აძლევს ალექსანდრე ცაგარლის მოღვაწეობას და ამასთანავე გულახდილად საუბრობს თავისი მომავალი მეცნიერული მუშაობის გეგმებზე, ის აღნიშნავს, რომ მისი პირველი ნაშრომი სამ ნაკვეთად დაიბეჭდა ევროპის სამეცნიერო კურნალებში 1926-1928 წლებში; პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი კი, როგორც ცნობილია, 1929 წელს გარდაიცვალა; ასე რომ, საბოლოო გარეთ დაცული ქართული ხელნაწერების ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური კვლევის ესტაფეტა გამოცდილი ხელიდან დაუყოვნებლივ გადაეცა ახალ სამედიდ ძალას.

მომდევნო წლები მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი ისტორიული მოვლენებით აღმოჩნდა დამუხტელი, რომ არამცთუ ცალკეულ პირთა, მთელი ქვეყნებისა და ხალხების ცხოვრებაში გამოიწვია ნგრევა და ძირეული ცვლილებანი. ასეთი ცვლილებები განუცდია გრ. ფერაძის სამეცნიერო მუშაობის გეგმასაც, რის გამოც თვითონ მკვლევარი 14 წლის შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, წერდა: “რას ნიშნავს ახლა სამეცნიერო გეგმები, რა ფასი აქვს კაბინეტში გამოკეთვას, რათა თავი შესწირო აბსტრაქტული პრობლემების გაშექებას, რომლებიც უმეტესად კოლეგების მეტად ვიწრო წრეს აინტერესებს, მაშინ როცა ჩვენს ირგვლივ ცხოვრება, სავსე სამინელი ისტორიული მოვლენებით, გადამწყვეტ გავლენას ახდენს ცალკეული ხალხების გადარჩენასა თუ გაქრობაზე” (2, გვ. 37).

უცხოეთში დაცული ქართული ხელნაწერების შესწავლის გზაბეჭდი გრ. ფერაძის მიერ გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მივლინება ინგლისში იქაურ ფონდებში მოხვედრილ ქართულ ხელნაწერებზე სამუშაოდ 1927 წლის პრილიდან ივლისამდე. ამ მუშაობის ანგარიში წარმოდგენილია ნაშრომში: *Georgian Manuscripts in England (Georgica, 1, 1935, 80-88)* (3).

როგორც ცნობილია, ბერძნეულ და ლათინურ ენებზე შექმნილმა ძველი ქრისტიანული ლიტერატურის მრავალმა ძეგლმა ჩვენამდე მხოლოდ აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხთა ენებზე თარგმანის სახით მოაღწია, რაც ერთი-ორად ზრდის ევროპის სამეცნიერო წრეების ინტერესს ამ ხალხთა ლიტერატურისადმი, მათი ხელნაწერების შეკრებისა და შესწავლისადმი. “ქართველი ხალხი, - წერს გრ. ფერაძე, - აღმოსავლეთის სწორედ ასეთ უძველეს ხალხებს მიეკუთვნება. მისი ძველი ლიტერატურა გასულ საუკუნეებში, ის კი არა, ჩვენს საუკუნეებიც, უყურადღებოდ იყო მიზოვებული, თუმცა არანაკ-

ლებ მდიდარია, ვიდრე სირიული, სომხური ან კოპტური ქრისტიანული ლიტერატურა” (3, გვ. 309).

საბედნიეროდ, ღღეს ქართული ენის შესანიშნავად მცოდნერამდენიმე მეცნიერი დაუდალავად იღწვის ამ სფეროშით, - აღნიშნავს გრ. ფერაძე და მათ შორის განსაკუთრებით გამოყოფს პაულ პეტერსს, რომელმაც კურნალ “ანალექტა ბოლანდიანაში” გამოქვეყნებული ქართული აგიოგრაფიული თხბულებების დიდი საგანძურო გახადა მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომით. შემდეგ აქვე მოხსენიებული არიან ბრიტანელი და ამერიკელი ქართველოლოგები: ოლივერ უორდორპი, ერნესტ კონიბერი და რობერტ ბლეიკი, რომაელი ს. ცორელი, პარიზელები მ. გრაფენი და მ. ბრიერი, მიუნხენელი პროფესორი გეორგ გრაფი, იგნაც რუკერტი, ბერლინელი პროფესორი რ. მეკელაინი, ლაიპციგელი პროფესორი გ. დეეტერსი, ვენელი პროფესორი ბლაიბშტანიერი.

მომავალში, თუ საშუალება მომეცა, ვრცელად დავახასიათებ თითოეული მათგანის მოდგაწეობასთ, - პირდება მკითხველებს გრ. ფერაძე, მაგრამ ამ განხრახვის განხორციელების შესაძლებლობა, როგორც ჩანს, მას ადარ მისცემია.

აღნიშნავს რა იმ ფაქტს, რომ ევროპის ყველა ქვეყანას ჰყავს თითო მეცნიერი მაინც, რომელიც ქართულ ლიტერატურას იკვლევს, გრ. ფერაძე სვამს კითხვას: რა მასალას იყენებენ ხსენებული მეცნიერები ქართველოლოგიაში კვლევა-ძიების გასაშლელად. მისი დაკვირვებით, ყველაზე მეტი ქართული ხელნაწერი თავმოყრილია ინგლისში, სახელდობრ სამ ქალაქში: ლონდონში – ბრიტანეთის მუზეუმსა და აღმოსავლეთმცირნეობის სასწავლებელში, კემბრიჯში – უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ოქსფორდში – ბოლდეს ბიბლიოთეკაში, სადაც დაცულია უორდორპების კოლექცია ევროპაში ყველაზე მეტი და მნიშვნელოვანი ქართული ხელნაწერებით (3, გვ. 310).

ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერები პირველად პროფ. ალ. ხახანაშვილმა აღწერა ქართულად (4.გვ. 1-7) და რუსულად (5, გვ. 1-5). რუსულის თანაბროულად გამოქვეყნდა აგრეთვე ინგლისური აღწერილობა, შესრულებული თლივერ უორდორპის მიერ (6, გვ. 397-410). მაღვე ამას მოჰყვა ხანმეტი და პაემეტი ტექსტების აღმოჩენა, რასაც პირველი ბიძგი მისცა სწორედ ინგლისში, ოქსფორდის ბიბლიოთეკაში დაცულმა ქართულ-ებრაულმა პალიმფ-

სესტმა (7). ამ გარემოებამ, ცხადია, გააცხოველა ინტერესი ინგლისში დაცული ქართული ხელნაწერების მიმართ.

იმ დროს, როცა გრ. ფერაძე ინგლისში გაემგბავრა ქართულ ხელნაწერებზე სამუშაოდ, რასაკვირველია, ხანმეტი და ჰაემეტი პალიმფსესტების აღმოჩენის ამბავი უკვე მთელ მსოფლიოში ცნობილი იყო და გრ. ფერაძესაც უთუოდ მოეხსენებოდა, მაგრამ ძნელი სათქმელია, უშეალოდ იცნობდა თუ არა ის ამ დროისათვის ი.ჯავახიშვილის, ა. შანიძის და სხვა ქართველ მეცნიერთა შრომებს ამ საკითხში. ჩვენი ვარაუდი უფრო იქით იხრება, რომ ამ ნამრობების გაცნობის შესაძლებლობა გრ. ფერაძეს იმ დროს ჯერ კიდევ არ ჰქონია, თორემ მათ უთუოდ მოიხსენიებდა ბრიტანეთში დაცული ქართული ხელნაწერების მიმოხილვისას, სადაც ინგლისში მოხვედრილ ქართულ-ებრაულ პალიმფსესტებე სპეციალურად არის ყურადღება გამახვილებული.

ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციიდან გრ. ფერაძე პირველ ადგილზე აყენებს სწორედ გემოხსენებულ ქართულ-ებრაულ პალიმფსესტს (Add 6381, უორდოპი, № 3), რომელიც უძველესია ამ ხელნაწერთა შორის. მისი აბრით, როგორც ჩანს, ეს ტექსტი და კემბრიიზისა და ოქსფორდის პალიმფსესტები ერთ მთლიან ხელნაწერს წარმოადგენს (3, გვ. 310). ეს დასკვნა მით უფრო საგულისხმო და დასაფასებელია, როცა ვითვალისწინებთ, თუ რა მძიმე და არახელსაყრელ პირობებში უხდებოდა მკვლევარს გემოხსენებული ქართული ხელნაწერების შესწავლა.

ეს დასკვნა გაიზიარეს და გაიმეორეს სხვა ქართველმა და უცხოელმა მკელევრებმაც; სახელდობრ, ა. შანიძემ საგანგებო გამოკვლევა უძღვნა კემბრიიზის პალიმფსესტს და დაადგინა, რომ მისი ქვედა (ქართული) ტექსტი შეიცავს იერემიას წინასწარმეტყველების ნაწყვეტებს. როგორც მკელევარი აღნიშნავს, კემბრიიზის პალიმფსესტის ფურცლები და ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცული პალიმფსესტის ფურცელი თდესლაც (V-VI სს.) ერთსა და იმავე ხელნაწერს ეკუთვნოდა, რომელიც მთლიანი ტექსტი უნდა ყოფილიყო წინასწარმეტყველებისა. XI საუკუნეში ეს ხელნაწერი დაუხევიათ და თაღმუდის დასაწერად გამოუყენებიათ (8, გვ. 42).

უფრო ადრე, როგორც კემბრიიზული, ისე ოქსფორდული პალიმფსესტის ფურცლები შეისწავლა ამერიკელმა მეცნიერმა რ. ბლეიკმა, რომელმაც იგივე დასკვნა გააკეთა, რომ ეს ფურცლები ერთი ხელნაწერის ფრაგმენტებია (9). გრიგოლ ფერაძე საერთოდ

მაღალ შეფასებას აძლევს რ. ბლეიკის ამ ნაშრომს, თუმცა იქვე სინახულით შენიშვნავს, რომ ავტორს საკმაო ყურადღება არ მიუქცევია ხსენებული ხელნაწერისათვის.

გრ. ფერაძის წელილი ქართული ხანმეტი ტექსტების შესწავლის საქმეში უფრო ნათლად გამოიკვეთა ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული პალიმფსისტის აღწერისას, რომელსაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით, ახლა კი განვაგრძოთ საუბარიკვლავ ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ქართული ხელნაწერების ფერაძისეული აღწერილობის შესახებ.

ამ წერილობითი ძეგლებიდან მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ორ ეტრატის ხელნაწერს, რომლებიც ბრიტანეთის მუზეუმს 1837 წლის 11 ნოემბერს შეუძენია აღვესანდრიელი სომეხი მღვდლისაგან, ვინმე კაბანჯისაგან.

ერთი მათგანია თავბოლო ნაკლები ხელნაწერი ე.წ. თვენი (Add 11282, უორდროპი, №2), რომელსაც ო. უორდროპი XIII-XIV საუკუნეებით ათარიღებდა, გრ. ფერაძის ამრით კი ის X-XI საუკუნეებს მიეკუთვნება.

მეორე ხელნაწერი (Add 11281, უორდროპი, № 1), ე. წ. პატერიკი ანუ “მამათა ცხოვრებანი”, პირველისაგან განსხვავებით, სრული სახით არის შემონახული, შეიცავს 369 ეტრატის ფურცელს, გადაწერილია ბერ ითანე შავის მიერ იერუსალიმის მახლობლად მდებარე ჯვრის ქართულ მონასტერში. ეს ხელნაწერი, გრ. ფერაძის შეფასებით, “ბრიტანეთის მუზეუმის განმი და სიამაყეა” (3, გვ. 310).

კრებულში მოთავსებულია 14 თხზულება, რომელთაგანაც ბოგი მხოლოდ ამ ხელნაწერმა შემოგვინახა. გრ. ფერაძე ჩამოთვლის ამ თხზულებებს და იქვე გულისტკივილით აღნიშნავს: “ამათგან მხოლოდ ერთია დაბეჭდილი – იოანე ათონელის ცხოვრება – საქართველოში კეკელიმის მიერ. დანარჩენი ნაწარმოებების გაცნობის საშუალებაც რომ გვქონდეს, მათში უდიდესი მნიშვნელობის ინფორმაცია აღმოჩნდებოდა მეცნიერისათვის ძველი პალესტინელი ბერების ცხოვრებაზე” (3, გვ. 311).

ტექსტი, რომლის პუბლიკაციაზეც საუბარია გრ. ფერაძის ნაშრომში, კ. კეკელიძემ გამოსცა 1914 წელს (10). იქვე ტექსტი დართულ გამოკვლევაში კ. კეკელიძე იძლევა ხელნაწერის აღწერილობას და აღვენს, რომ ის გადაწერილი უნდა იყოს არაუგვიანეს X ს. პირველი ნახევრისა (11, გვ. 103-110).

როგორც ჩანს, ინგლისში დაცულ ქართულ ხელნაწერთა აღწერისას გრ. ფერაძეს საერთოდ ხელი არ მიუწვდებოდა კ. კეკელიძის ბემოხსენებულ ნაშრომზე, თორებ არა გვგონია უყერადღებოდ დაცოვებინა მისი საფუძვლიანი მოსაზრება Add 11282 ხელნაწერის დათარიღების თაობაზე. ამ ხელნაწერს, როგორც ითქვა, კ. კეკელიძე X ს. პირველი ნახევრით ათარიღებს, გრ. ფერაძის აზრით კი ის “ქართული საეკლესიო დიტერატურის ოქროს ხანაშია შექმნილი (მეორობაზე საუკუნეში)”. გრ. ფერაძეს კ. კეკელიძე ბრიტანეთის ქართული ხელნაწერების აღმწერთა შორის საერთოდ არ ჰყავს ნახსენები.

აქვე აღსანიშნავია, რომ კ. კეკელიძეს ეკუთვნის ქართული აგიოგრაფიული დიტერატურის ე.წ. კიმენური რედაქციის ძეგლთა გამოცემა, რომელიც ნავარაუდევი იყო რვა ტომად, მაგრამ გამოიყარა მხოლოდ ორი ტომი. I ტომი გამოიცა ჯერ კიდევ 1918 წელს, II ტომი კი, რომელიც დიდ მეცნიერს დაახლოებით იმავე ხანებში პქტნდა მომზადებული გამოსაცემად, დაიბეჭდა მხოლოდ სამი ათეული წლის შემდეგ – 1946 წელს (12). ამ ტომის ზუსტად ნახევარს შეადგინა კირილე სკვითოპოლევის თხბულება “ცხოვრება საბა პალესტინელისა”, რომლის ქართულ თარგმანსაც შეიცავს ბრიტანეთში დაცული “მამათა ცხოვრებანი” (Add 11281).

საჭირო გახდა კიდევ სამი ათეული წელი, რომ “მამათა ცხოვრებანის” ეს ძვირფასი კრებული ქართულ ენაზე სრული სახით გამოცემულიყო: მამათა ცხოვრებანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა (13). ამ გამოცემაში კ. კეკელიძის დამსახურება ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ქართული ხელნაწერის შესწავლის საქმეში უკვე სათანადოდ არის წარმოჩენილი, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ თავს იჩენს სხვა ხარვეზი: ნაშრომში სრულიად არ ჩანს გრ. ფერაძის წვლილი ბრიტანეთის ქართული ხელნაწერების და მათ შორის “მამათა ცხოვრებანის” აღწერისა და შესწავლის საქმეში; ამ ვრცელ ნაშრომში გრ. ფერაძე საერთოდ ერთხელაც არ არის ნახსენები.

თავისი ვრცელი ნაშრომის იმ მონაკვეთში, რომელიც ეხება აღრინდელ ცნობებს Add 11281 ხელნაწერის შესახებ, ვ. იმნაიშვილი აღნიშნავს, რომ ამ ხელნაწერში 14 ტექსტია გაერთიანებულით და შემდეგ განაგრძობს: “სხვათა შორის, ამ ხელნაწერის აღმწერთაგან არც ერთს არა აქვს ეს ციფრი ზუსტად დასახელებული. ა. ხახანაშვილს გამოტვებული აქვს სამი თხბულება, ხოლო უორდროპსა

და კ. კეპელიძეს – ორ-ორი”). (13, გვ. 330-331). მკვლევარს გრ. ფერაძის აღწერილობა რომ პქონოდა ხელთ, ადგილად შენიშნავდა, რომ იქ თოთხმეტივე თხზულება არის გათვალისწინებული და მითითებული (ოღონდ ჩამოთვლილია არა იმ თანმიმდევრობით, როგორც კრებულშია წარმოდგენილი).

ერთი სიტყვით, ქართული პატერიკის და ბრიტანეთში დაცული სხვა ხელნაწერების გრ. ფერაძის უელი აღწერილობა კ. იმნაიშვილს მხედველობიდან გამორჩენია, ისევე როგორც თვითონ ფერაძეს გამორჩა იმავე პატერიკის კეპელიძის უელი აღწერილობა.

ორივე ეს ფაქტი იმაბე მეტყველებს, თუ რა ვაკუუმში უხდებოდათ მუშაობა “რეინის ფარდის” სხვადასხვა მხარეს მდგარ მეცნიერებს ათეული წლების განმავლობაში.

ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ ლონდონში დაცულ სხვა ქართულ ხელნაწერებზე, რომლებიც აღწერილია გრ. ფერაძის მიერ. მათ შორისაა ლოცვებისა და აღაპების წიგნი, რომელიც შეიცავს აგრეთვე ორ თხბულებას: “მაცხოვრისადმი” და “დვთისმშობლისადმი” (უორდორპი, №4); ფსალმუნი, ნაწერი ქაღალდზე, XVI ს. (უორდორპი, №5); გამეთი “მუშა”, ქართული სოციალ-რევოლუციური პარტიის ორგანო, რომელიც გრ. ფერაძის შეფასებით, “მაღლან საინტერესოა საქართველოში სოციალისტური მოძრაობის ჩასახვის ისტორიის თვალსაზრისით”. იგი ბრიტანეთის მუზეუმისათვის შეუწიოდას ვარლამ ჩერქეზიშვილს 1897 წლის 10 ნოემბერს.

ამთავრებს რა ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ქართული ხელნაწერების განხილვას, გრ. ფერაძე აღნიშნავს, რომ ამავე მუზეუმში ინახება მინანქრიანი სანაწილე, რომელშიც ქართველი მოწამის დემეტრე თავდადებულის სურათია მოთავსებული. “ეს ნივთი შეა საუკუნეების სამინანქრო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია, მაგრამ ქართველებისათვის უმთავრესად იმით არის ძვირფასი, რომ ჩვენი წამებული დედოფალი ქეთევანი (1624 წელს თავრიზში აწამეს) მას მოუშორებდა და არებდა. იმდე უნდა ვიქონიოთ, რომ რაიმე გზით ოდესმე ეს ნივთი საქართველოს დაუბრუნდება” (3, გვ. 313).

ლონდონში, გარდა ბრიტანეთის მუზეუმისა, ერთი ქართული ხელნაწერი დაცულია აღმისავლეთმცოდნეობის სასწავლებელშიც. ესაა სულხან-საბა თრბელიანის ცნობილი ლექსიკონი, გადაწერილი 1726 წელს. როგორც გრ. ფერაძე აღნიშნავს, საბას ლექსიკონი მოიპოვება ევროპის ყველა წიგნთსაცავში, სადაც კი ქართული ხელნაწერები აქვთ. ამ ლექსიკონის ავტოგრაფული ეგზემპლარები დიდი

რაოდენობით არის დაცული საქართველოშიც, მაგრამ ლონდონური ხელნაწერი მაინც საინტერესო უნდა იყოს თუნდაც იმის გამო, რომ ის გადაწერილია სულ მაღლ საბას გარდაცვალების შემდეგ და შესაძლოა უკეთ გამოხატავდეს ავტორის ბოლო წებას.

მეორე მნიშვნელოვანი პუნქტი ინგლისში, სადაც ქართულ ხელნაწერთა კოლექცია მოიპოვება, როგორც ითქვა, კემბრიჯის უნივერსიტეტია, სადაც დაცულია 11 ქართული ხელნაწერი, უფრო სწორად – 11 ფურცელი სხვადასხვა ხელნაწერისა. მათ შორის პირველი ორი – ცნობილი ხანმეტი პალიმფსესტის ფურცლებია, რომლებიც მოთავსებულია იერმიას ფრაგმენტები; № 3 წარმოადგენს XIV საუკუნის ხელნაწერის ფრაგმენტს I მეფეთა წიგნიდან; სხვა ფურცლებზე მოთავსებულია ფრაგმენტები პატრისტიკული და ლიტურგიკული ხასიათის თხზულებებიდან – თვენიდან, ტრიოდითინიდან, აგრეთვე არეთას წამებიდან და წმიდა რიფსიმეს ცხოვრებიდან, რომლებსაც X-XIII საუკუნეებს მიაკუთვნებენ. ეს ხელნაწერები საკმაო სისრულით აქვს აღწერილი რ. ბლეიკს და ამიტომ გრ. ფერაძე მათ დაწვრილებით აღარ განიხილავს. მხოლოდ № 11 ხელნაწერის შესახებ არის აღნიშნული, რომ ის “წერილია – მხედრულით ნაწერი, ვეონებ გასული საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება, ძლიერ ძნელი გასარჩევია; მასში აღწერილია იერუსალიმში მგზავრობა. ცნობა ამ ხელნაწერზე დაგეჭდე კემბრიჯში 1932 წლის 20 მაისს” (3, გვ. 311).

შედარებით ვრცლად განიხილავს მკვლევარი ოქსფორდის ბოლევს ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერების კოლექციას. ბოლევს ბიბლიოთეკაის ქართული ხელნაწერების ისტორიაში გრ. ფერაძე გამოყოფს ორ ხანას: უორდროპამდელს, როდენსაც მხოლოდ ხეთი ქართული ხელნაწერი ჰქონდათ, და უორდროპის შემდგომ ხანას. ლორდი ლლივერ უორდროპი და მისი და მარჯორი განსაკუთრებული სიყვარულით იყვნენ გამსჭვალული ქართველი ხალხისა და ქართული ლიტერატურის მიმართ. ამის წყალობით ბოლევის ფონდი შეიცვლ და დღეს ის სამოცდათექვსმეტ ქართულ ხელნაწერს შეიცავს. გარდა ამისა, აქვთ ქართული წიგნები, უერნალები, გამეთები” (3, გვ. 311). ამ ხელნაწერების შეერთებული კატალოგი ჯერჯერობით არ არსებობს, - გულისტკივილით აღნიშნავს მკვლევარი და ამ ხარვეზის შექსებამდე სასურველად მიაჩნია დაიბეჭდოს “ხელნაწერთა მშვენიერი აღწერილობა”, შედგენილი ინგლისურ ენაზე ეკა ჩერქევიშვილის მიერ.

უორდოპის კოლექციაში შემავალი რამდენიმე ქართული ხელნაწერი დაწვრილებით არის აღწერილი პაულ პეტერსის მიერ კურნალ “ანალექტა ბოლანდიანას” ფურცლებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მას გამორჩენია რამდენიმე ცხოვრების აღწერათ, - შენიშნავს გრ. ფერაძე და მათ შორის ასახელებს იერუსალიმის პატრიარქის ბაქარიას წერილს ბაბილონიდან იერუსალიმში თავის სამწყსოსადმი.

ამ ნაწარმოებში აღწერილია სპარსთა თავდასხმა იერუსალიმზე და მისი დაცემა 614 წელს”, - წერს გრიგოლ ფერაძე და იქვე დასძენს: “ამ თემაზე ყველაზე საინტერესო ინფორმაცია ქართულ ხელნაწერებშია დაცული. ტექსტი უკეთ დაბეჭდა მარმა. ხსნებული ხელნაწერებიდან მე გადავწერე წმ. ლეონტის წამება და მაღლე გამოვაქვეყნებ ყოველწლიურ კურნალში, რომელსაც პარიზში ვძეჭდავ ქართულად” (3, გვ. 312). კურნალი “ჯვარი ვაბისა”, რომელზეც აქ არის საუბარი, სამწუხაროდ, 1935 წლიდან აღარ გამოსულა და, რა თქმა უნდა, გრ. ფერაძის ნამრომი წმინდა ლეონტის წამების შესახებ იქ არ გამოქვეყნებულა. ამ ნაშრომის ბედი ჩვენთვის უცნობია.

ბენებრივია, უორდოპების კოლექციიდან გრ. ფერაძის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხანმეტი პალიმფსესტი, რომელიც იერემიას ფრაგმენტს შეიცავს და VII-VIII საუკუნეებს მიეკუთვნება. მისი ლამაზი ფოტოსურათები რ. ბლეიქმა გამოაქვეყნა ჰარვარდის თეოლოგიურ კურნალშით, - წერს გრ. ფერაძე, რომელსაც შემდეგ აღარ ჰქონია ხანმეტი იერემიას ხელნაწერისა ან თუნდაც მისი ფოტოების გულდასმით შესწავლის შესაძლებლობა.

უორდოპების კოლექციის ხელნაწერთა უმრავლესობა, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, XVIII საუკუნეს მიეკუთვნება და მდიდარ მასალას შეიცავს საქართველოს როგორც საეკლესიო, ისე საერთ ისტორიაზე. ცხადია, გრ. ფერაძეს არ ჰქონდა ღრო და საშუალება ამ ხელნაწერებზე გულდასმით მუშაობისათვის, მაგრამ ხშირად მისი ძუნწი შენიშვნებიც ურიად საინტერესო და ანგარიშგასაწევია ამ ხელნაწერთა შემდგომი კვლევისათვის. ბოგჯერ იქვე დასახულია ამგვარი კვლევის გვერდი. ასე, მაგალითად, უორდოპ - 27 ხელნაწერს, რომელიც XIX საუკუნით თარიღდება, გრ. ფერაძე ასე აღწერს: “ხელნაწერების კატალოგში ეს ტექსტი აღწერილია როგორც ნაწყვეტი ახალი აღთქმიდან, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ აქ საქმე გვაქვს იესოს ცხოვრების მონოფიზიტურ გადმოცემასთან

(...). შემდგომში ლორდმა თლივერ უორდროპმა პატივი დამდო და გამომიგზავნა ამ ცექსტის ფოტოპირი. იქნებ ეს მონოფიზიტური დიათესარონია? ალბათ ამ მნიშვნელოვან კითხვას პასუხი დაეძებ-ნება მომავალში, რადგან მას დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიის კვლევისათვის” (3, გვ. 312).

ლიტურგიკული და ეკლესიის სტორიის ამსახველი ხელნაწერებიდან მკვლევარი განსაკუთრებით გამოყოფს ორს (№ 56 და № 28). საინტერესო და ამავე დროს ლაკონურია ამ ხელნაწერების ფერადისეული აღწერილობაც, რომლებსაც ჩვენ აქვე წარმოვადგენთ.

“№ 56 წარმოადგენს იოანე ნათლისმცემლის და დავით გარეჯელის მონასტრების აპოფთეგმებს. მე ვუწოდე მას იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ქრონიკა და მრავალი ნაწყვეტი დაგბეჭდე ქართულ ენაზე. თვალწინ გადაგეშლება ექსტაზური ხილვის, სასულიერო მოღვაწეობით გატაცებული ბერების ცხოვრება, რომელთა ერთადერთი მისწრაფებაა დვთის სამსახური. ყოველ წამს სიკვდილი ელით ლეკების, მაპმადიანი მებობლების ხელით. ამ ნაწარმოებში აღწერილი მართლაც დიდი სულის ასკეტები მოშორებული არიან ამქვეყნიურ შინაგან სიხარულს, ბუნებრივ და ადამიანურ სიყვარულს. თავიანთი სიწმინდით ისინი სრულვით არ ჩამოუვარდებიან ნიგრიის და თებეს სახელოვან წმინდანებს. აქ აღწერილია ქართველი მისტიკოსების ცხოვრება მეთვრამეტე საუკუნეში. დიდად საშური საქმე გაკეთდება, თუ ევროპელ მეცნიერებს მიცემთ ამ ხელნაწერის გაცნობის საშულებას მისი ინგლისური თარგმანის გამოქვეყნებით” (3, გვ. 312-313).

“ხელნაწერი № 28 მირიან მეფის ქრისტიანად მოქცევაა წმ. ნინოს მიერ. ამ ხელნაწერის აბლო გაცნობით და სხვა წყაროებთან შეჯერებითა და შეპირისპირებით შეიძლება ბოგიერთი ახალი მოსამარებისა და ფაქტის დადგენა საქართველოში ქრისტიანობის შემოღებასთან დაკავშირებით” (3, გვ. 313).

სხვა ხელნაწერთაგან გრიგოლ ფერაძე მოიხსენიებს სახვადასხვა ლექსიკონებს, მათ შორის რუსულ-ქართულ ლექსიკონს (1813 წ.), სადაც რუსული სიტყვები ქართული ასოებითაა ნაწერი (№ 38), XIX საუკუნის ქართულ-სომხურ გრამატიკას, ხელნაწერ კრებულს, გადაწერილს ლუკა ისარლოვის მიერ 1835 წელს (№ 6). სხვათა შორის, ამ კრებულში მოთავსებულია ბესიკის რამდენიმე ლექსი, რომლებიც სხვა წყაროებით უცნობია. მათ ჩვენ ცალკე შევვხებით.

აქვე წარმოდგენილია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რამდენიმე წესხა, მისივე ეპროპაში მოგზაურობის დღიურები, გადაწერილი 1864 წელს. ამ დღიურებზე საუბრისას მქვდევარი შენიშვნავს: “სამწუხაროდ, სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის აღწერა საქართველოშიც და საბღვარგარეთაც მხოლოდ ამ მოგზაურობის მეორე ნაწილს შეიცავს. მე მაქვს ორბელიანის საფრანგეთში, ლუი XV-სთან მიღების ცერემონიალის ამსახველი ფრანგული ტექსტი და მაღლე გამოვაქვეყნება” (3, გვ. 313). მართლაც რა სამწუხაროა, რომ მკელევარმა ვერ მოასწორ ამ ტექსტის პუბლიკაცია და მისი კვალიც ამჟამად აღარსად ჩანს.

იქვე, მომდევნო აბგაცში, მკელევარი ასახელებს კიდევ ერთ საყურადღებო ხელნაწერს უორდროპების კოლექციიდან (“ზილიხანი”, ხელნაწერი № 33) და მის შესახებ გვაუწყებს: “ის შეიცავს ქალაქ თბილისის ისტორიას ქრონიკოლგიურად 1699-დან 1795 წლამდე. მე უკვე საფუძვლიანად შევისწავლე ეს ხელნაწერი და სტატიას ამ საკითხთან დაკავშირებით მაღლე დავბეჭდავ კურნალში “ჯვარი ვამისა”.

ამ შემთხვევაშიც ისევ უნდა გაგიმეოროთ, რომ კურნალი “ჯვარი ვამისა” 1934 წლის მე-4 ნომრის შემდეგ აღარ გამოსულა და გრ. ფერაძის ბერძნებული სტატიაც, სამწუხაროდ, გამოუქვეყნებული დარჩა.

ამთავრებს რა ბრიფანეთის მუზეუმსა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ქართული ხელნაწერების მიმოხილვას, გრ. ფერაძე აღნიშვნავს: ”ინგლისის სხვა დიდ წიგნთსაცავებში და კერძო პირთა კოლექციებში ქართული ხელნაწერები არ გააჩნიათ. ინგლისში ყოფნის დროის მე მოვიარე აღმოსავლური ხელნაწერების ფონდით განთქმული წიგნთსაცავები: ბირმინგემში, სელბი თუქს კოლეჯის ბიბლიოთეკა, მანჩესტერში ჯონ რინალდის ბიბლიოთეკა, მაიდა ველიში, ლონდონთან, პროფესორ გასტერის ბიბლიოთეკა. ოლივერ უორდროპმა მირჩია და მე დავათვალიერე ვინძორში ეჭონ კოლეჯის მდიდარი ბიბლიოთეკა. შემდგომში ქართული ხელნაწერების თაობაზე მე ვესაუბრე ჩემს ინგლისელ მეგობარს ს. მოსს, ეტონის თანამშრომელს. სამწუხაროდ, არც ერთ ამ ბიბლიოთეკაში 1832 წელს ქართული ხელნაწერები არ ჰქონდათ. სამაგიეროდ, ბრიფანეთის მუზეუმსა და უორდროპის კოლექციის თქმულები იმდენი მასალაა საკვლევი, რომ ალბათ ახალგამრდები მოჰკიდებენ ხელს ამ საქმეს და დიდ-

ძალ მასალას გამოამზეურებენ საქართველოს ისტორიისა და ქრისტიანობის კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე” (3, გვ. 314).

ამ სტრიქონების დაწერისა და დაბეჭდვის შემდეგ უკვე შვიდ ათეულ წელზე მეტი ღროა გასცელდა. ამ ხნის განმავლობაში ბრიტანეთში დაცული ქართული ხელნაწერების შესწავლისა და პუბლიკაციის საქმეში ბევრი რამ გაკეთდა, რაც ცალკე კვლევის თემაა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მხრივ გასაკეთებელი უფრო მეტია, ვიდრე გაკეთებული, და ჩვენი სახელოვანი მამულიშვილის გრ. ფერაძის ზემოთ ციტირებული სიტყვები კვლავ ძალაში რჩება.

1927 წლის ივლისში გრ. ფერაძემ შეწყვიტა მუშაობა ინგლისში დაცულ ქართულ ხელნაწერებზე, დაბრუნდა გერმანიაში და შეუდგა ქართული და სომხური ენების სწავლებას ბონის უნივერსიტეტში. ამავე დროს ემზადებოდა სადოქტორო დისერტაციის დასასტავად (როგორც ითქვა, დაცვა შედგა 1927 წლის დეკემბერში).

მომდევნო წლებში ქართველი მეცნიერი მუშაობდა ბონის უნივერსიტეტში, 1933 წლიდან კი – ვარმავის უნივერსიტეტში, ამასთანავე იყო ქართველი ემზადების სულიერი მოძღვარი პარიზში წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში, მონაწილეობდა საეკლესიო კრებისა და სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში. ყოველივე ამასთან დაკავშირებით არაერთგზის იმყოფებოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის – ინგლისში, და აგრძელებდა არქეოგრაფიულ კვლევა-ძიებას, მაგრამ ქართულ სიძევლეებზე დინჯად და ხანგრძლივი ღროით მუშაობის საშუალება მას კარგა ხანს აღარ მისცემია.

1935 წლის ბაზეულში აისრულა დიდი ხნის ოცნება და იმოგბაურა ათონის მთაბე, ამავე დროს გბად მოინახულა ქართული კულტურის ძეგლები რუმინეთსა და ბულგარეთში.

ზემოხსენებული მოგზაურობის შედეგები მოკლედ გადმოცემულია ნაშრომში “ქართული ელემენტის გავლენა ბალკანეთის ხალხების კულტურაზე”, რომელიც გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა უკრნალში “Der Orient” (14, გვ.1-9). ის თითქმის იმავდროულად დაიბეჭდა აგრძელები ინგლისურად. ამ ნაშრომის მაღალ მეცნიერულ ღირსებაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მას გულთბილად გამოეხმაურა ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი გ. დეეტერსი (15, გვ. 525). გამოქვეყნებიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ეს ნაშრომი ინგლისურიდან ქართულადაც ითარგმნა (16, გვ.303-310).

აღნიშნული ნაშრომი ერთგვარი გაგრძელებაა იმ თემისა, რომელსაც ეძღვნებოდა წერილი ინგლისში დაცული ქართული ხელნაწერების შესახებ. იფი ავტორის ათონზე მოგზაურობის დროს ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული, მაგრამ უკვე გადაცემული იყო დასაბაძეჭდად.

რაკი ათონზე მოსახვედრად მოგზაურს რუმინეთი და ბულგარეთი უნდა გაევლო, გრ. ფერაძეს ამ ქვეყნებში დაცული ქართული მასალების მოძიებაც ჰქონია განჩრაახული, მაგრამ საამისოდ დრო ძალიან ცოტა ჰქონდა. პირველ რიგში მკვლევარი გზად რუმინეთში შეჩერებულა და მისი არქივები მოუნახულებია: “რუმინეთისა და საქართველოს ურთიერთობაზე ჯერ არაფერი დაბეჭდილა, - აღნიშნავს ის, - თუმცა ისტორიკოსს აქ შეუძლია მოიძიოს მრავალი საინტერესო მასალა; თანაც ის ამ ქვეყანაში უნდა დარჩეს უფრო მეტ ხანს. მე ათ დღეზე მეტი დრო ვერ გამოვნახე, რადგან ჩემი უპირველესი მიზანი იყო ათონის წმინდა მთაბე გამგზავრება. ამის გამო ვიკვლევდი მხოლოდ ყველაზე აუცილებელსა და ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს. მე არ ვცდილვარ გამომეკვლია სახელგანთქმული ქართველი პოეტის ბესარიონ გაბაშვილის ცხოვრება რუმინეთში, რომელმაც სიცოცხლის ბოლო წლები ამ ქვეყანაში გაატარა და იქვე გარდაიცვალა” ( 16, გვ. 303).

აქვე მკვლევარი მიუთითებს თავის ნაშრომშე, რომელიც ქურნალ “ჯვარი ვაზისას” ფურცლებზე გამოქვეყნდა და ბესიკის უცნობი ლექსების პებლიკაციას ეძღვნება. შემდგომში ამ თემაზე მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობა მას ადარ ჰქონია.

დროის სიმცირის გამო გრ. ფერაძე იძულებული იყო მიეტოვებინა საარქივო მასალების ძიება XVII-XVIII საუკუნეებში რუმინეთში გადახვეწილი ქართველი ემიგრანტების შესახებ, ასევე – კვლევა პალესტინის ქართული მონასტრებისა და რუმინეთის ეპარქიის ურთიერთობის შესახებ შეა საუკუნეებში. შედარებით მეტი დრო დაუთმო მან რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიაში დაცულ მასალებს, რომელიც დიდ ქართველ მოღვაწეს, ბუქარესტის არქიეპისკოპოსს, ანთიმოზ ივერიელს ეხება. მკვლევარი იძლევა მოკლე, მაგრამ მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვან ცნობებს ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და ბოლოს დასძენს: ”სამწევაროდ, არავის უცდია შეესწავლა საქართველოს ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში დაცული მდიდარი მასალა ამ პიროვნების შესახებ” (16, გვ. 304).

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ იმ ხანებში, როცა გრ. ფერაძე ამას წერდა, თბილისში დაიბეჭდა პროფ. ა. შანიძის ნაშრომი “ქართული სტამბის ისტორიისათვის” (17), სადაც საკმაოდ ნათლად ჩანს ანთიმოზ ივერიელის როლი თბილისში ქართული სტამბის დაარსების საქმეში. შემდგომში ამ თემაზე გამოქვეყნდა აგრეთვე რამდენიმე მონოგრაფიული ნაშრომი: ქრ. შარაშიძის “პირველი სტამბა საქართველოში” (1955 წ.), შ. კურდღელაშვილის “ქართული სტამბის ისტორიიდან” (1959 წ.), ფ. ჯიხვიძისაშვილის “ანთიმოზ ივერიელი” (რუს. ენაზე, 1967 წ.), ო. გვინჩიძის “ანთიმ ივერიელი” (1973 წ.) და სხვ. ასე რომ, ზემოხსენებული ხარვეზი, რაზედაც მკვლევარი მიუთითებდა, შეიძლება ითქვას, ახლა უკვე შექმნებულია.

მველი ქართული მწერლობის საბლვარგარეთულ კერათაგან ათონის სავანეს განსაკუთრებული ადგილი უკავია. როგორც აკად. ქ. კეკელიძე აღნიშნავს, “არცერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერთა მონასტერს. უამისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას შეიძლება სხვა სახე და ხასიათი მიეღო” (18, გვ. 101).

ბუნებრივია, ათონის მონასტელება და იქ დაცული ქართული კულტურის უნიკალური ძეგლების შესწავლა ყოველთვის იყო ქართველობითა ოცნების საგანი. ამიტომ ბუნებრივია ისიც, რომ ათონის სიძველეთა და მათ მორის ხელნაწერთა შესწავლის მხრივ მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, კიდრე სხვა ძეგლების შესწავლის მხრივ.

“ათონშე ორი მიზნით გავემგბაერე, —აღნიშნავს გრ. ფერაძე, — როგორც მოგზაური და როგორც მკვლევარი. ვითარცა საეკლესიო მოღვაწეს, მაინტერესებდა შემეტყო, როგორ ცხოვრობდნენ იქაური ბერები და თვითონაც მეგემნა იქაური ცხოვრება. ამასთან მსურდა ივერიის მონასტრის ქართული ხელნაწერები დამეთვალიერებინა, ბოგი მათგანი გადამეწერა, ამასთან ერთად შემეკრიბა მასალები მეცხრამეტე საუკუნეში აქ მცხოვრები ქართველების შესახებ; დაბოლოს, მსურდა შემეძინა ქართული წიგნები და, თუ შევძლებდი, ქართული ხელნაწერებიც” (16, გვ. 304).

ჩვენ აქ არ შევუდგებით ცნობების ამოკრებას ბემოთ ციფირებული წერილიდან ათონშე სხვადასხვა დროს მყოფი ბერების ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ, თუმცა თავისთავად ამ ცნობებშიც ბევრი რამ არის ახალი და საინტერესო. ამჯერად ჩვენი სურვილია

მკითხველს გავაცნოთ შედეგები იმ კვლევა-ძიებისა და ქართული მასალების დაცვაზე მრუნვისა, რაც გრ. ფერაძის ათონბე მოგზაურობის უშუალო ნაყოფია. მოვუსმინოთ თვითონ მას:

“ბოლოს ქართველმა ეპისკოპოსებმა ათონბე დაიმკვიდრეს სენაკი იმ ადგილას, სადაც წინათ იოანე მასარებლის მონასტერი მდებარეობდა. ეს სენაკი ივერიის მონასტრის ახლოს იდგა და მას-ვე ეკუთვნოდა. სენაკს ქართველები განაგებდნენ 1885 წლიდან 1919 წლამდე. ამ სენაკმაც საკმაოდ დიდი როლი შესარულა ქართული კულტურის ისტორიაში. სამწუხაროდ, ამ სენაკის შესახებ ჯერ არა-ფერი დაწერილა” (16, გვ. 306).

გრ. ფერაძის ცნობით, თავის დროზე სენაკში ორმოცდაათი ბერი ყოფილა, რომელთაც ჰქონიათ კარგი ბიბლიოთეკა, სადაც წიგნებთან ერთად ინახებოდა ხელნაწერებიც, რომლებიც თვითონ ბერებს გადაუწერიათ ივერიის თუ სხვა ქართული მონასტრებიდან და მუზეუმებიდან. “ბედმა გამიღიმა და თხუთმეტი ხელნაწერი ვი-შოვე და წამოვიდეო”, - გვაუწყებს მკვლევარი და იქვე სქოლიობში ასახელებს რამდენიმე მათგანს:

1. მოციქულთა აპოკრიფული ცხოვრებანი;
2. ლიონისე არქოპაგელის თხბულებათა სრული კრებული კომენტარებით;

3. აპოფთეგმები;

4. მაკარი დიდის სწავლანი;

5. ისააკ სირიელის სწავლანი;

6. იონა ხელაშვილის გამოუქეცეყნებელი ავტოგრაფი.

დაბეჭდილი წიგნებიდან აქვე ჩამოთვლილია:

1. “საქართველოს სამოთხე”. ქართველ წმინდანთა

ცხოვრებანი. სანკტ-პეტერბურგი, 1882;

2. მეთვრამეტე საუკუნის ლიტურგიკული წიგნები;

3. მეცხრამეტე საუკუნის კატეხიზმოს კრებული;

4. პენიტ-კოსტარიონი;

5. ტრიოდიონი დიდმარცხვისათვის (16, გვ.309).

სრულ კატალოგს “ჯვარი ვაგისას” ფურცლებზე გამოვაქვეყნებო, - პპირდება მკითხველს გრ ფერაძე, მაგრამ ამ დაპირებასაც აღსრულება არ ეწერა. ბემოხსენებული ქართული ხელნაწერების შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია.

ნაშრომის მომდევნო მონაკვეთი ეთმობა ცნობებს რამდენიმე ქართველი ბერის შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ მორჩენილიყვნენ

ათონბე მას შემდეგ, რაც ისინი თავიანთი სენაკებიდან გამოაძევეს. 1926 წლიდან ხუთ მათგანს ქირით შეუფარებია თავი რუსეთის მონასტრის კუთვნილი ერთი სენაკისათვის. 1935 წელს, როცა მამა გრიგოლი იმყოფებოდა ათონბე, იმ ხეთიდან სამი ყოფილა ცოცხალი: ძმები მათე და ათანასე გვაჩვენები და ტიხონი, რომლის გეორიე ნამრომში ნახსენები არ არის, მაგრამ სხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ ის გვარად ფალავა ყოფილა. ათონელ ქართველ ბერთა შორის ამ ღროს ის ყველაზე უმცროსი, თუმცა უკვე 65 წელს გადაცილებული მოხუცი იყო. სამივენი ისევ რუსეთის მონასტრის კუთვნილ სენაკში არიან თავშეუფარებული და ბალში მუშაობენ, - გვამცნობს, მათ შესახებ გრ. უერაძე. კიდევ ორი ბერი - იოანე და მიქელი ცხოვრობენ დვოთისმშობლის ეკლესის სენაკში, და ერთიც - სიმონ ბადლავაძე - წმინდა პანტელეიმონის მონასტრის სამბარეულოში მუშაობის საფასუროად ცხოვრობს სენაკშით.

“ათონბე მცხოვრები ქართველი ბერები ძლიერ მოხუცდნენ და გადარიბდნენ, მაგრამ თავის სიღარიბეს ისე არ უჩივიან, როგორც იმას, რომ ისინი შეიძლება უკანასკნელი ქართველები აღმოჩნდნენ ათონბე და მათი სიკედილის შემდეგ ქართველების სახსენებული გაქრება იქ. ერთადერთი სალოცავი ის არის, რომ მათ შემდეგაც დარჩნენ ათონბე ქართველები. იქნებ მოხერხდეს მათთან მოწაფეების გაგზავნა,” – წერს მამა გრიგოლი, მაგრამ თვითონვე ეჭვი ეპარება თავის ნათქვამში და ცოტა ქვემოთ დასძენს : “არა გვგონია საქართველოდან ვინმე შეძლოს ათონბე მისვლა. ამიტომ ეს ქართველი ემიგრანტების მოვალეობაა და რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს. დროთა განმავლობაში ათონბე მობინადრე უკანასკნელი ქართველებიც დაიხოცებიან და ცოტა რამ, რაც ჯერ კიდევ არსებობს, დაიკარგება” (16, გვ. 306-307).

ციფირებულ სტრიქონებში კარგად იგრძნობა ის მწვავე გულისტყივილი, რასაც განიცდიდ თვითონაც სამშობლოს მოწვევეობილი მამა გრიგოლი, როცა ათონის ქართველთა მონასტრიმე და იქ შემორჩენილი ორიოდე ხანდაბმული ქართველი ბერის ბედოები უიქრობდა. სამწუხაროდ, გამართლდა მისი და ათონელი ბერების წინათვრის უაღიასეს უაღიასელი ქართველებიც დაიხოცებიან და ცოტა რამ, რაც ჯერ კიდევ არსებობს, დაიკარგება”

კორნელი კეკელიძე წერდა: “უმაღური ბერძნები ქართველებს ნებას არ აძლევენ არამატუ იქხოვრონ და იმოღვაწეონ ათონზე, არამედ წაიკითხონ და შეისწავლონ ის უმდიდრესი ლიტერატურული მემკეიდრეობა, რომელიც უნიკალური ხელნაწერების სახით დარჩენილა იქ” (19, გვ. 81).

ათონის მთაბე, ივერთა ძველ ქართულ მონასტერში, თავისი მუშაობის შედეგებს გრ. ფერაძე მოკლედ ასე წარმოგვიდგნს: “გადავწერ უძველესი, 978 წლით დათარიღებული ქართული ბიბლიის ხელნაწერის ნაწილი. იქვე შევისყიდვ ათონის მონასტრის X საუკუნის ქართულ ხელნაწერთა XIX საუკუნის ასლები. ათონის მონასტერშივე შევიძინ 1888 საუკუნეში დაბეჭდილი მრავალი იშვიათი წიგნი. ათონის ერთ-ერთ მონასტერში აღმოვაჩინე სამი ვილნელი წმინდანის – ანტონის, იოანეს და ევსტახის წამების აქამდე უცნობი აღწერა. იქვე გადავიდე მათი ასლები” (2, გვ. 51).

გრიგოლ ფერაძის დაბაბული მუშაობა ათონზე საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. მამა გრიგოლი გადაიღიალა, რასაც ბედ დაერთო მაღარიით ავადმყოფობა. მიუხედავად ამისა, მკვლევარმა მაინც შესაძლებლად ჩათვალა, არ შეეცვალა წინასწარ შემებავებული გეგმა და, რაკი ათონიდან უკან დაბრუნებისას ბულგარეთი უნდა გაევლო, რამდენიმე დღით მაინც შეჩერებულიყო ამ ქვეყანაში დაზვერვითი მეცნიერული კვლევა-ძეიგბისათვის. ასეთმა თავდადებამ კეთილი ნაყოფი გამოიღო და მნიშვნელოვანი აღმოჩენით დაგვირგვინდა: ნაპოვნი იქნა პეტრიწონის ტიპიკონი.

პეტრიწონის ანუ ბაჩკოვოს მონასტერი მდებარეობს ბულგარეთში, ქალაქ ასენოვგრადის მახლობლად. ის დაარსებულია ბიბან-ტიის დასავლეთ ნაწილის დიდი დემეტრიკოსის (მთავარსარდლის), ეროვნებით ქართველის, გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ 1083 წელს. იმავე წელს შეუდგენიათ მისი ტიპიკონი ანუ წესდება, რომელიც დაწერილია ორ ენაზე – ქართულად და ბერძნულად. ქართულად, ცხადია, იმიტომ დაიწერა, რომ მონასტერი ქართველებს ეკუთვნოდა, წესდებაც ქართველ ბერძებს უნდა წაეკითხათ და დაეცვათ, ბერძნული კი სახელმწიფო ენა იყო და ამიტომ იურიდიული ძალაც სწორედ ბერძნულ ტექსტს ენიჭებოდა. ამითვე აიხსნება, რომ ბერძნული ტექსტი ორ ცალად გადაუწერიათ, რომელთაგანაც ერთი მონასტერში იყო დაცული, მეორე კი შესანახად გადაეცა სახელგანთქმულ პანაგიის მონასტერს კონსტანტინოპოლიში. მისი ბედი ამჟამად უცნობია.

ტიპიკონის ის ბერძნული ხელნაწერი, რომელიც პეტრიწონის მონასტერში დარჩა, ხშირი ხმარებისაგან რომ არ გაცვეთილიყო, XIII საუკუნეში გაუკეთებიათ მისი ასლი, ქართული და ბერძნული ტექსტი ერთ ყდაში ჩაუსვამთ და ასე სათუთად ინახავდნენ.

XVII ს. დასაწყისში ჟეტრიწონის მონასტერი ვინმე გრიგოლს განუახლებია. ამ დროს ბელგარეთს თურქეთის უღელი ედგა, ბელგარეთის კლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა, რაც ხელს უწყობდა ეკლესიაში ბერძენთა ბაგონობას. გრიგოლ ბაკერიანისძის სურვილის საწინააღმდეგოდ, ახლა მის დაარსებულ მონასტერში ყოფნას ბერძნებს აღარავინ უშლიდა. გამართლდა გრიგოლის შიში და მაღლე ბერძნებმა მთლიანად მიითვის მონასტერი, იქ ადგილობრივ მკვიდრ ბელგარელებსაც არ აჭაპანებდნენ.

მონასტრის განმაახლებელმა გრიგოლმა შეაკეთა ეკლესიები, დააწესა ახალი სამონასტრო დღესასწაული. ამავე დროს მონასტერს სახელიც შეევალა და მახლობელი სოფლის სახელის მიხედვით ბაჩკოვო ეწოდა. ყოველივე ამის შედეგად მონასტრის წესდებაც შეიცვალა და ძველი წესდება დარჩა მხოლოდ როგორც მონასტრის ისტორიის ამსახველი დოკუმენტი. მაგრამ ეს ისტორია ბერძნების საწინააღმდეგოდ მეტყველებდა, რის გამოც ბერძნებმა ეს ხელნაწერი სართოდ გადამალეს და წაიღეს კუნძულ ხიოსშე კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში. ბევრად ადრე, სანამ ეს მოხდებოდა, ჯერ კიდევ XVIII ს. დასაწყისში, ვიდაცას ამ ტიპიკონის ქართული ტექსტის ასლი გაუკეთებია, რომელიც მონასტრის ბიბლიოთეკაში ორი საუკუნის განმავლობაში იდო, პირველი მსოფლიო ომის წინ კი მონასტრის სხვა წიგნებთან და ხელნაწერებთან ერთად სოფიის სინოდალურ ბიბლიოთეკაში გადაიტანეს. ამ ბიბლიოთეკის აღწერილობაში ის ასე იხსენიება: “ხელნაწერი წიგნი უცნობ ენაზე ახალი დროისა. . . ნაწერი სომხურს ჰგავს, მაგრამ სომხური არ არის.”

აი ამ აღწერილობის მიხედვით მიაკვლია ხსენებულ ხელნაწერს გრიგოლ ფერაძემ 1936 წელს სოფიის ბიბლიოთეკაში. ცხადია, მას არ გასჭირვებია დაედგინა, რომელ ენაშე იყო დაწერილი და რას წარმოადგენდა ეს ხელნაწერი. მართალია, ეს იყო ასლი და არა დედანი, მაგრამ იმ დროს, როცა დედანი ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი, ამ ასლის პოვნაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რა-

მაც დიდი სიხარული გამოიწვია ბულგარეთის სამეცნიერო წრეებში. ამასთან დაკავშირებით მამა გრიგოლი წერს:

“იმ დროისათვის ცნობილი იყო პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის მხოლოდ ბერძნული ტექსტი, ისიც ხარვეზებიანი. წილად მხვდა ბელინიერება და აღმოვჩინებ, რომ საიდუმლოებით მოცული ხელნაწერი ბულგარეთის საჯარო ბიბლიოთეკაში გახდათ ამ ტიპიკონის ქართული ასლი. ამ ამბავშა დიდი სენსაცია გამოიწვია ბულგარეთში; საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა რაიხთ რაჩევმა ამ ფაქტს ვრცელი და საინტერესო სტატია უძღვნა. ეს ხელნაწერი გადაწერილია 1702 წელს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იმ დროს ვინმე ქართველი ცხოვრობდა პეტრიწონის მონასტერში. ზუსტად არ არის გარკვეული, როდის დაკარგებს ქართველებმა ეს მონასტერი ან როდის გადავიდა ის ბერძნების თუ ბულგარელების ხელში” (16, გვ. 307).

ამავე ნაშრომის ბოლოს ავტორი სახავს გეგმას, თუ რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში პეტრიწონის ტიპიკონისა და სხვა ძეგლების კვლევის მხრივ. როგორც სხვა ნაშრომებიდან ჩანს, გრ. ფერაძეს შემდგომი ნაბიჯებიც გადაუდგამს ტიპიკონის შესწავლისათვის: “ომამდე მცირე ხნით ადრე მივიღე მისი მშვენიერი ფოტოსასი, რომელიც ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ იყო შესრულებული. როდესაც მშვიდობა დამყარდება, განბრახული მაქს მის შესახებ გამოვაქვეყნო” (2, გვ. 51).

სამწევაროდ, წმინდა გრიგოლი მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე და მშვიდობის დამყარებამდე დიდი ხნით ადრე დაიღუპა, ასე რომ, პეტრიწონის ტიპიკონზე მუშაობა მას აღარ დასცალდა, მაგრამ მისმა ნაშრომმა, სადაც ტიპიკონის მოკლე აღწერილობა არის მოცემული, მაინც შესარულა თავისი როლი და სტომული მისცა ამ ძეგლის შემდგომ კვლევა-ძიებას, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახალი ძალით რომ გაიშალა.

1949 წელს ბულგარეთში იმყოფებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ექსპედიცია აკაკი შანიძის, ნიკო ბერძენიშვილისა და ოთარ გიგინიშვილის შემადგენლობით. მათი შესწავლის ძირითადი ობიექტი იყო ქართველთა მონასტერი პეტრიწონში. მათ სოფიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში ნახეს ამ მონასტრის ტიპიკონის ასლიც, აღრევე აღწერილი ვრ. ფერაძის მიერ. მალე ამ ტიპიკონის ქართული ტექსტი დათინური თარგმანითურთ გამოსცა უცხოეთში მოღვაწე მეორე გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა მიქელ თარხნიშვილმა (20). ამასთანაში აღმოჩნდა ტიპიკონის

ძველი, XIII საუკუნეში გადაწერილი ტექსტიც (ქართული და ბერძნული, ერთად ჩასმული ყდაში), რომელიც კუნძულ ხითხმა იყო გადაფანილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო მისი ფოტოსალები, რომლის მიხედვითაც ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა სიმონ ყაუხჩიმვილმა (21, გვ. 83-301). ქართული ტექსტი რესული თარგმანით და ბრწყინვალე სამეცნიერო აპარატით გამოსცა აკაკი შანიძემ (22). ამით ქართველთა მონასტრის დაარსების ისტორიას ბულგარეთში და ამ მონასტრის ტიპიკობის ისტორიასაც უკვე საბოლოოდ მოეფინა ნათელი.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. Gr. Peradze, Die Ausbildungszeit unserer georgischen Theologen in Deutschland: Der Orient, N 8, Heft 5-6, 1926 ("ჩვენი ქართველი თეოლოგების სრულად-განათლების წლები გერმანიაში"). 2. Gr. Peradze, Im Dienste der georgischen Kultur (1926-1940). ხედათ დაწერილია გერმანულად 1940 წელს ვარმაგში, აღმოსავლეთის კვლევის ცენტრის დაკვირვით. იგი პ. კაუჭოლდის შესავალი წერილით გამოქვეყნდა უკრნალში Orients Christianus, Bd.83, 1999, S. 193-225. პილონურად სტატია თარგმნა და გამოქვეყნა ანა პებიძიშვილამ ჟურნალში "Przeglad Prawoslawny" Bialystok. 1996 N 9, გვ. 8-12, N 10, გვ.14-17. რომლის თარგმანიც (სათაურით "ქართული კულტურის სამსახურში") დაიბეჭდა ჯურნალ "არტანუქში", № 11, 2003, გვ.37-56. ჩვენ ციფრუბას ვახდეთ ამ თარგმანიდან. 3. Gr. Peradze, Georgian Manuscripts in England (Georgica, I, Fasc.I, 1935, გვ.80-88). ამ ნაშრომის ქართული თარგმნი, მესრულებული ნათელა ფოთხაბის მიერ, სათაურით "ქართული ხელნაწერები ბრიტანეთის ფონდებში" დაიბეჭდა აღმანას "საუნივერსიტეტო ფურცლებში", № 5, 1985, გვ.309-314). 4. ა. ხახანოვი, ბრიტანიაში დროიდანის მუზეუმის ქართული ხელნაწერები: "მოამბე", VIII, 1905. 5. A. Xаханов, Грузинские рукописи Британского музея: Древности Восточного, т. IV, Москва, 1913. 6. J. O. Wordrop, A Catalogue of Armenian Manuscripts in the British Museum, by F. C. Conybare, London, 1913. 7. ა. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩნდილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის: თსუ მოამბე, II, 1923; 8. შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩნდის გამო (იქვე); ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა: თსუ მოამბე, III, 1923. ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, თსუ მოამბე, VIII, 1927, გვ.98-159. 8. ა. შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები: ენიმის მოამბე, II, 1937. 9. R. P. Blake, Chanmeti Palimpsest Fragments of the Old Georgian Version of Jeremiah: The Harvard Theological Review, XXV, N 3, Juli, 1932. 10. კ. ქეკელიძე, Житие и подвиги Иоанна, католикоса Урбийского: Христианский Восток, т. II, вып. III, СПб., 1914. 11. ჭ. მემელიძე, ერთიულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, 1961. 12. ქართული აგიოგრაფიელი ძებლები. ნაწილი პირველი. პიმინი. ტ. II, გამოსცა ჭ. მემელიძე, 1946. 13. მამათა ცხოვრებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონი დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა. თსუ გამ., თბილისი, 1975. 14. Gr. Peradze, Die Einflüsse der georgischen Kultur auf die Kultur der Balkanvoelker (Eindrücke von einer Reise durch Rumänenien, Griechenland und Bulgarien): Der Orient, 18, Heft 1, 1936. იგივე ინგლისურად "Georgica", I, fasc.2-3, 1936.

- 15.** G. Deeters, რეცენზია ფურნალში: "Zeitschrift der Deutschen Morgenlaendischen Gesellschaft", ent.7, fasc.1, 1937. **16.** გრ. ფერაძე, ქართული ელემენტის გავლენა ბალკანეთის ხალხების კულტურაზე. ინტელექტუალის თარგმნა ნათელა ფოფხაძემ: ქ."საუნჯე", № 4, 1984, ჩვენ ციტირებას ვახდეთ ამ თარგმანიდან. **17.** ა. შანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის: "ლიტერატურული მემკვიდრეობა", წიგნი I, 1935. **18.** პ. კვავლიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილის, 1980. **19.** პ. კვავლიძე, ეტიუდები, III, 1955. **20.** მ. თარხნიშვილი, Typicon Gregorii Pacuriani, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 143, 14Louvain, 1954. **21.** პეტრიოჭინის წესდება, ძერძნული ტექსტი ქართული თარგმანითური გამოსცა და შენაშვნები დაურთო ს. ყაუხხიშვილმა, გეორგია. ბიბანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ.V, 1963. **22.** ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ძველი ქართული ენის ძეგლები, 13, თბილისი, 1971.

Tamar Tsumburidze

### Archeographical Researched of Grigol Peradze

Professor Gregor Peradze (1899-1942), one of the prominent Georgian scholars who lived and created abroad, showed a particular interest to the Georgian manuscripts or other written monuments preserved outside Georgia: he was persistently in search of them to describe, translate and publish them afterwards. Namely, he described the Georgian manuscripts reserved in Britain (London, Cambridge and Oxford), Rumania, Greece (Athos), Bulgaria (Petrisoni Monastery), Poland (Krakow), Austria (Graz). He gathered the pilgrim's writings on Georgian monks and Georgian monasteries in Palestine. In Antioch and Syria he obtained Georgian palimpsest scripts (VII-VIII centuries); in one of the Athos' monasteries he discovered the text on the martyrdom of the three Lithuanian saints – Anthony, John and Eustace. In Bulgarian State library he traced the Petrisoni copy. In Britain he found "Holy Fathers' Chronicles", the most valuable manuscript dated back from the 11-th century as well as Besiki's unknown poems. He detected and published an apocryphal testimony of monophysitic trend etc.

Regretfully he was unable to realize a great number of his scientific projects; he perished in Oswiencim concentration camp. He is sanctified by the Church of Georgia.

## ზოლპლორისტიპა

**ხათუნა გოგია**

### საღვთო სახელები მეგრულში

დღემდე ქართველური ტომებისა და ქართველურ ენათა ნათე-საობა შეისწავლებოდა შედარებითი გრამატიკის ღონებზე, რომელიც ემყარება კანონბომიერ ბერიათშესატყვისობებს და ეს იყო მიჩნეული მათი გენეტიკური ერთიანობის საფუძველად, მაგრამ ენა არ გახლავთ მხოლოდ გრამატიკული კატეგორიების ერთიანობა, უპირველეს ყოვლისა, ენა არის მსოფლხედვა. ის, რაც ენაშია ასახული, ჰემმარიტად ერის სულის განუყოფელი კუთვნილებაა. პაიდეგერის თქმით, „ენა ყოფიერების სავანეა“. „ერის საბოლოო გაქრისტიანება იწყება მაშინ, როცა ქრისტიანები მისი ენა, ე.ი. მისი ცნობიერება და სული“ (12, 330). ქართულისა და მეგრულის სარკეში იკითხება და ფიქსირდება მრავალი ერთობ საგულისხმო ფაქტი იმისა, თუ როგორ ხედავს, მოიაბრებს და აფასებს ამა თუ იმ საგანსა და მოვლენას ეროვნული გონი, სული.

ინტერესის საგანს წარმოადგენს ის, რაც კანონიერისა და ხალხურობის ბლვარზეა და რაშიც მეტად თავისებურად არის უკუფენილი ქრისტიანული მოტივები, თუ რა ტრანსფორმაციას განიცდის და რა სახეს დებულობს კანონიკური პრინციპები ყოფით ტრადიციაში და როგორ აისახება ეს ყველაფერი ენობრივ ერთეულებსა თუ სხვა რეალიებში.

ამჯერად შევჩერდებით საღვთო სახელდებებზე, რა შეიძლება ითქვას მათ შესახებ? ისინი ინახავენ ცოდნის კვალს სამყაროსა და ადამიანის არსის საიდუმლოს შესახებ. იმის ანალიზით, თუ რა პრინციპით ხდება სახელდება, ირკვევა, რომ ეს ტერმინები მიღებულია დოგმატური, ფილოსოფიური და ეთიკურ-ესთეტიკური პრობ-

ლემების ხალხური ინტერპრეტაციით. ეს იგივე პრობლემებია, რომ-ლებიც აგიოგრაფიულ პრობაში ხან თეორიული მსჯელობის სახით არის გამოთქმული, ხან – უშუალოდ მხატვრულად ხორცშესხმული.

ბიბლიური სწავლების თანახმად, სახელის შერქმევა ამ საგნის არსის წვდომას ნიშნავს. ღმერთმა ადამს უბრძანა, სამოთხეში ყველა ცხოველ-ფრინველისა თუ მცენარისათვის სახელი ეწოდებინა. ამით ადამი შესაქმის თანამონაწილე გახდა. ეს იყო პირველი კულტურულ-შემოქმედებითი აქტი. ადამის ნეკნისაგან შექმნილ არსებასაც „ევა“ ეწოდა, რაც ებრაულად ნიშნავს „ცოცხალს.“ „ამ აქტით ადამმა გამოიცნო დედაკაცი და მის სახელში დააფიქსირა ის უნარი, რომელიც ღმერთმა მიანიჭა მას – განგრძობა სიცოცხლისა თავისივე მსგავსის შობით“ (2, 106). ამრიგად, სახელის შერქმევა შექმნის ტოლფასია. ღვთაებრივი შესაქმე შეწყდა, რათა ამიერიდან ადამიანმა განაგრძოს იგი და შექმნას კულტურა.

ღვთაება თავისი არსით შეუცნობელია, ამიგომ ის უამრავი სახელი, რომლითაც ის მოიხსენიება, არ გამოხატავს მის არსს. იგი უსახელოა. ამის შესახებ შესახებ მსჯელობენ დიონისე არეოპაგელი და იოანე დამასკელი. მათი მოძღვრებიდან ცნობილია, რომ სადღოთ სახელები შეიძლება იყოს **არსობრივი** (როცა ერთარსება სამებაა წარმოჩენილი რომელიმე სადღოთ სახელით) და **ჰიპოსტატური** (როცა მიემართება სამების რომელიმე წევრს და იგი მხოლოდ მისი კუთვნილებაა). არის სახელითა ჯგუფი, რომელიც მიესადაგება ღმერთის არსობრივადაც და ჰიპოსტატასურადაც. ამასთანავე აღნიშნავს ღვთისმშობელსაც, მაგ. „ვენახი“, „მზე“.

ამ კლასიფიკაციის გარდა, არსებობს შინაარსობრივი დაყოფაც: 1. **აპოფატიკური** ანუ უკუთქმითი სახელები, რომლებიც ცხადყოფენ არა იმას, თუ რა არის ღმერთი, არამედ იმას, თუ რა არ არის იგი. მაგ. უხილავი, უცნაური, უთქმელი... და ა.შ. ღმერთი ყველაფერშია განვითარები და ისე აღემატება ყოველგვარ სისრულეს, რომ იგი შეიძლება განისაზღვროს ემპირიულ თვისებათა უარყოფით; 2. **კატაფატიკური** – მისი მოქმედების ცხადყოფელი, ანუ მისი ბუნების თანმხლები, მისი არსებობის მაჩვენებელი, მაგ. კეთილი, სახიერი, მართალი... 3. სახელები, რომლებიც წარმოაჩენენ მის „მოთვისეობას საპირისპიროთა მიმართ“, ანუ ღვთაება განისაზღვრება, როგორც **ანგინომიათა ერთიანობა**. მაგალითად, ღმერთი არის „უფალი“, რადგან არსებობს ის, ვისტედაც უფლობს, არის „მწყემსი კეთილი“, რადგან არსებობს დამწყსილი. იოანე დამასკე-

ლი კიდევ უფრო ატუსტებს თქმულს და განაგრძობს, რომ გეარსი და უსახელო ღმერთი ყოველი არსის მიზეზია, ნებისმიერი საგანი მისი სიკეთის წილმქონეა, ამიტომ მათი მეშვეობით ხდება შესაცნობი: „ყველა ნამიზეზების სახელით შეიძლება იგი მოვიხსენით.“ „გამოუთქმელი სიკეთის გამო ისათნოვა ღმერთმა ჩვენეულთაგან ყოფილიყო სახელდებული, რომ სრულიად უწილმქონეოდ არ დავრჩენილყავით მისი შემეცნებისა, არამედ, გვქონოდა მის შესახებ თუნდაც ბუნდოვანი აგრი“ (4, 49).

ხილული საგნები უხილავის შესაცნობად არსებობენ. ეს თეორიული დებულება აგიოგრაფიაში მხატვრულად არის ხორცშესმული. „აბოს წამებაში“ ქრისტე თექქსმეტი სხვადასხვა სახელით იწოდება: კარი, გბა, ტარიგი, მწყემსი, ლოდ-საკიდური, მარგალიტი, მარილი, ყუავილი, ანგელოზი, კაცი, ღმერთი, ნათელი, ქუეყანა, მარცვალ-მდოგვის, მაგლი, მზე ისმართლის... ისინი მომდინარეობენ ბიბლიიდან ან თეოლოგიური ლიტერატურიდან. ნაირგვარი სიმბოლო მხატვრულ ლიტერატურაში მდგრადი ფორმულის სახით არსებობს და გარკვეულ ბიბლიურ პირველსახეს ებიარება. ამავე დროს, ყოველი მათგანი ამა თუ იმ თეოლოგიური პრობლემის კვალს მოიცავს. მაგ. ძე ღვთაების სახელები „კარი“, „მაცხოვარი“, „ქუეყანა“ სოფეოროლოგიურ-ქრისტოლოგიური პრობლემების გააჩრებით არის მიღებული.

მეგრული საღვთო სახელები იმეორებენ ტრადიციულ სახელ-დებებს და მოეძებნებათ პარალელები აგიოგრაფიიდან და თეოლოგიური თხზულებებიდან. ვეცდებით, ვაჩვენოთ ეს მსგავსებანი:

1. **კარი.** ქრისტე არის „კარი შემყვანებელი მამისა მიმართ“. ეს პარადიგმა ბიბლიურია და მომდინარეობს იოანეს სახარებიდან: „მე ვარ კარი: ჩემს მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხოვნდეს: შევიდეს და გამოვიდეს და საძოვარი ჰპოვოს“ (ი. 10; 7-8). იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ „კარი“ უფლის თექქსმეტ სიმბოლოთაგან ერთ-ერთია. იგი ძეგლის IV თავში მიემართება აბოს სახესაც: „შენ კარი იგი სამოთხისა განადე ჯვარითა ქრისტესითა,“ ხოლო თვით მაცხოვარი არის „კარი“, რამეთუ თქვა: „მე ვარ კარი ცხოვართამ, რამეთუ ჭეშმარიტად მორწმენები მის გამო, ვითარცა კარსა მას სასუფევლისასა, შევალთ“ (19, 52).

ეს საღვთო სახელი სოფეოროლოგიურ პრობლემათა რანგში შეიძლება განვიხილოთ. მოძღვრება სასუფევლის ანუ გეციური იერუსალიმის შესახებ ერთ-ერთი ბოგადქრისტიანული მოტივია.

სასუფეველი ნიშნავს სამეფოს, რომელიც იწყება იოანე ნათლის-მცემლიდან, ანუ აქვს ისტორიული დასაბამი, მაგრამ მარადისობას მიემართება და არსით უსასრულოა. ქრისტე არის „მაცხოვარი“ და სასუფევლის „კარი“, რომელსაც ასე ეღლოდა ცოდვილი კაცობრიობა. ვინც თვითნებურად სხვა კარს ეძებს, ის ქურდია და ავაბაკი: „რომელი შევალს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ შევალს სხვით კერძო, იგი მპარავი არს და ავაბაკი“ (ი.10,11).

სამეცნიეროში „კარი“ ეკლესიას აღნიშნავს ანუ ქრისტეს სიმბოლოთი ხდება ტაძრის სახელდება, რაც ბუნებრივია, რადგანაც ეკლესია ქრისტეს ხორცია, მისი სხეულია. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ამბობს: „წმიდასა ეკლესიასა სახელ სდევ გუამად შეხდა“ (19, 260). ტაძარი ისევე იტევს უსასრულობას, როგორც ქრისტემ დაიტანებრიობა. იგი აღვისილია საღმობათა კურნების ძალით, როგორც ქრისტე ტაძარში მარადისობა სუფევს, სადაც ღროს მიხედვით არაფერი იცვლება. იგი თვით უფალმა დაარსა და ყველა ჭეშმარიტება და სიმძიდრე თავიდანვე ჩადო მასში. ახალი ელემენტების შეფანა ქრისტიანულ მოძღვრებაში მის განწვალვასა და წაბილწვას ნიშნავს. ტაძარი კარიბჭეა ცის სასუფევლისა. აქ დვთისმსახურების ღროს ერთიანდება მიწიერი და ბეციური ეკლესია. აქვე გაისმის დვთის სიტყვა – მატერიალური, ხილვადი სახე საღვთო ჭეშმარიტებისა. ეკლესის გარდა „ქრისტეს ხორცია“ სახელ იღება: 1. ბიბლია, 2. ქრისტეს ადამიანური ბუნება, 3. ეკლესია (20,59). სამივე სასუფევლის კარიბჭეა. სრულიად ცხადია ანალოგიური განსახოვნება ლიტერატურულ ძეგლსა და ყოფით კულტურაში. მოგვყავს ტოპონიმები, რომლებიც „პრი“-თ იწარმოება:

**ალერტკარი<sup>1</sup>** – სოფელი, თემი ყულიშკარის მარჯვენა ნაპირას, სადაც არის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. („ალერტი“ წმ. გიორგის მეგრული სახელთაგნია);

**ბარბალეკარი** – რამდენიმე ტოპონიმია, ყველგან წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიებით.

**ოხვამეკარი** – 1. ძველი სასაფლაო (ნაეკლესიარი) ჭანის-წელის მარცხენა მხარეს, ბორცვზე; 2. ბორცვი განის მარჯვენა მხარეს, ნაეკლესიარი;

---

<sup>1</sup> ტოპონიმები აქაც და სხვაგანაც დამოწმებულია პ. ცხადაის, სამეცნიერო გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონიდან, ხელნაწერი, გამოსაცემად გამზადებული.

**ჯეგელუქარი//ჯეგეკარი-დასავლეთი უბანი და სასაფლაო ნაჯავახოსათან, სადაც მდგარა წმ. გიორგის ეკლესია, ბანბა, („ჯეგეც“ წმ. გიორგის ერთ-ერთი-სახელთაგანია);**

**გულეგარი-ეკლესია აბაშის რაიონში,რომელიც მოხსენებულია 1628 წლის საეკლესიო საბუთში;**

**მანუჩარგარი – რამდენიმე ტოპონიმია, ყველგან მაცხოვრის სახელობის ეკლესიებს აღნიშნავს: 1. ზუგდიდიში; 2. ხობისწყლის მარცხენა მხარეს გაღმა საჯიჯაოში და ბევრ სხვა ადგილას.**

**მისარონეგარი – 1. სერი ბობოსქერის მარჯვენა მხარეს, ხამისქერში 2. ჯიხაშვარში უბანი ხის მცირე ეკლესიით, (მისარონი<მეისარონი<მოისარი=წმ. გიორგის ან მთავარანგელოზი მიქაელი);**

**ნაოხვაგარი – რამდენიმე ტოპონიმი ნაეკლესიარი ბორცვების აღსანიშნავად;**

**ხატიშვარი // ხატეგარი-1. ნაეკლესიარი ტყე საჯვაროსთან ბეთლეგმში; 2. საძოვარი გაღმა კაიდონში;**

**ყულიშვარი – სოფელი ყულის წყლის ორსავე ნაპირას, სადაც არის ყულიშვილები, ეკლესია ვიწრო სერტე („ყული“ – წმ. გიორგის ერთ-ერთი მეგრული სახელდება);**

**თხინაშვარი – ნაეკლესიარი გაღმი, (თხინა – თხილნარი);**

**წკელკარი // მანუჩარწკელი – გალის რ-ნი, სოფელ ხოლეში ერისწყლის მარცხენა მხარეს მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი ქართული წარწერებით.**

**სამოთხეშვარი – ნაეკლესიარი-სასაფლაო ნაჩილაჩაოში (ლევახანეში) ეკლესია მე-19 საუკუნის 40-იანი წლებისა;**

**უფალგარი – რამდენიმე ტოპონიმი ნაეკლესიარი სასაფლაოების აღსანიშნავად სენაკში;**

**ქირსეგშვარი – სახნავი საჯალადონიოში, სარაქონი;**

**ყომნაშვარი – ძველი საღლუპავი დავაკებაზე გილახონ ლებერიეში, დაკადის ძირას, სოფ. ნაფიჩხოვთ;**

**ინტერესს იწვევს ტოპონიმი ქირსეგორციელი – (ასე ჰქვია ნაეკლესიარ ბორცვს უჩა დალხა და დარჩას შორის, სადაც გაედინება დელე ქირსეგალ, განის მარჯვენა შენაკადი ლეახალეში), რომელიც, ალბათ, დიოფიზიტური დოქტრინის გამოძახილია.**

**შობას მეგრულად ქირსე ეწოდება, ეს სახელი აღნიშნავს ქრისტესაც. ერთი და იგივე სახელით მოიხსენიება ლეთაება და დღესასწაულიც, რაც შემთხვევითი ფაქტი არ არის: ორივე ცნებას**

აერთიანებს შობის, განკაცების, კაცობრივი სხეულის შემთხვის იდეა:

**ქირსეგში-ასე პქვია 1.** წყაროს ოსინდალეში, შგასთან; 2. ტყე-ფერდობს სკურდის მარჯვენა მხარეს, სადაც სქურდას ერთვის ქირსე დაღი;

**ქირსეგშარი –** სახნავის სახელია სარაქონში, საჯალადონიოს უბანში. ჩანს, ნაეკლესიარია, რადგან „პარი“ უამრავ შემთხვევაში სამეცნიელოს სინამდვილეში აწარმოებს ეკლესიასა და მისი მიმდებარე ტერიტორიათა სახელდებებს.

**ქირსე-მანუჩხარი –** ეკლესია სოფ. ჯვარში, სადაც ხშირად იმართებოდა ხალხური დღესასწაულები ამაღლებასა და 10 ნოემბერს, გიორგობას;

**ქირსებოხვამე // ქირსეშობას ოხვამე-ეკლესია სოფ. ტყელას სერჩე ბეთლემში;**

არსებობს ტოპონიმები დიდა ქირსა და ჭიჭა ქირსა-ნაციხარი ბორცვები საბერსქუოში სოფ. ლია.

სამეცნიერო ეკლესიებს ასევე პქვია „ხატი“. რაფომ? „ხატი“ ფილოსოფიური ტერმინია. იგი გხხვდება იოანე პეტრიწთან, სადაც შეესაბამება ბერძნულ ტერმინს: **იკონ-სახე;** ხატბათ-სახე, სახება, მსგავსება; ხატებრივი - მსგავსებით, **ეკონიგონ** – ხატოვნებითობაა - მსგავსებითობა (5, 325-326). გამოდის, რომ ეკლესია სახელ-დებულია ბაძვა-ზიარების ცნობილი პრინციპების საფუძველზე. რისი მსგავსია ეკლესია? აქ გავიხსენოთ ერთი პასაჟი გიორგი ათონელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებიდან“, სადაც ნათქვამია: „აღმართეს ეკლესიანი ცათა მობაძავნი“. ამ პარადიგმულ სახეს ყურადღება მიაქცია რ. სირაძემ: „აქ ნაგულისხმევ ცათა იერარქიის კვალობაზე ივირონის სხვადასხვაგვარი ეკლესიები უნდა წარმოვიდგინოთ, რომლებიც ხვადასხვა სიმაღლის ცას განასახოვნებდა, მას პბაძავდა. მთელი ივირონი ცათა სისტემას ემსგავსებოდა“ (13, 169). „ცათა მობაძავი ტაძარი“ სშირად გხევდება პიმნოგრაფიაში, მაგალითად, ნიკოლოზ გულაბერიძის პიმნში „გაღობანი სვეტისა ცხოველისანი“. ეკლესია, ღვთის სახლი, ხატია ერთის მხრივ, ქრისტესი, მეორე მხრივ, სასუფევლისა. ამრიგად, ეკლესია ცათა სფეროების ხატი და „კოსმოსის კოსმოსია“: „Предстоя в церкви, молящийся видел вокруг весь мир: небо, землю и их связи между собой. Церковь символизировал собой небо на земле“ (6,395) .

ქრისტიანული ტაძრის არქიტექტონიკა თავისი არსით, როგორც ბიბანგიაში ისევე საქართველოში (ასევე მთელს აღმოსავლურ კულტურულ ისტორიულ რეგიონში, ასევე გოთურ ტაძრებში) ემყარება ზეციურ და ამქვეყნიურ იერარქიების იმ პრინციპებს, რომელებიც შემუშავდა ბიბანგიურ მისიკურ მწერლობაში, კერძოდ, წმ. დიონისე არეოპაგელის თხბულებებში“ (12,15). აქედან წარმოდგა ეკლესიის სახელდებად „ხატი“. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის ლოკალური მოვლენა, რომელსაც მარცო სამეგრელოში აქვს ადგილი. სამეგრელოში ერთი სოფლისა და გვარის მოსახლეობას ჰქონდა თავისი სალოცავი, სადაც მთელი გვარი ლოცულობდა. შემდგომში, საგვარეულო ტიპის ეს სოფლები დაიშალა უბნებად. დღეს სამეგრელოდან გადმოსახლებულმა გვარებმა იციან, თუ სად ცხოვრობდნენ მათი წინაპრები და სად მდებარეობს საგვარეულოს „ჯინჯი ხატი“. „ჯინჯი ხატიდან“ მოჰქონდათ ნიში, რომელიც ახალ საცხოვრებელში უნდა გადაეტანათ. მეგრელები ამ ეკლესიის „შემკრედ“ თვლიან თავს. ეს ტრადიცია ქართველის მშობლიურ სალოცავთან და მიწასთან მიჯაჭვულობის გამოხატულება.

მოვიყვანთ მეგრულ მასალას, სადაც ეკლესიას „ხატი“ ეწოდება:

*ქირხეშ ხატი – მაცხოვრის ეკლესია ლეშამუგეში;*

*ხატკარი // ხატიშკარი – 1. ნაეკლესიარი სასაფლაო გაღმა კაიდონში; 2. ნაეკლესიარი ტყე საჯვაროსთან ბეთლემში;*

*ხატიშ დიხა – 1.ეკლესიისათვის შეწირული მიწები ოყორანე ლალის მარჯვენა მხარეს; 2. სახნავი ნოღელასა და მანცხვარს შუა. აქვე იყო ხატფონიც, სოფ. ტყვირი;*

*ხატფონი – მორევი ნოღელაზე. აქ გვალვისას „ხატს ბანდნენ“ და წვიმას სხოვედნენ;*

*ნახატხანა // ნახტანა – ეკლესიის მიწები ქუქითლელის პირას;*

*ნახატური – ნაეკლესიარი მიწა, სახნავი ლესაჯაიეში, სოფ. თაია;*

*ხატმამული – 1. ტყე ზემო ნაქალაქევის საბღვართან (ლებალათური); 2. სახნავი საფაჩულითში (ხორში); 3. სასაფლაო ლებაბამეს საბღართან;*

*ხატმამულიშ წყარი – პიდრონიმი, რომელიც ნაეკლესიარის ახლოს მდებარე წყაროს აღნიშნავს;*

**2. მაცხოვარი.** „ცხორება“ ბიბლიური საღვთო სახელია: „მე ვარ აღდგომად და ცხოვრებად“ (ი.11;15). „მე ვარ გბად და მე ვარ ჭეშმარიტებად და ცხოვრება“, არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ“ (ი.16,6). „უფლის ქართული სახელდებით თავისებურადა გააგრძებული ბერძნელი „სოტოს“ - მსხნელი. ქართული სახელ-დებით უფალი მარადიული სიცოცხლის მომნიჭებელია. ნამდვილი სიცოცხლე ქრისტესთან ყოფნაა. ღმერთმა უამრავი წყალობა უბო-და კაცობრიობას, რჯული მისცა, წინასწარმეტყველნი გამოგბავნა, მაგრამ რაკი მისი სიტყვა კვლავ შეუსმენელი დარჩა, მხოლოდ-შობილი ძე, „სიტყვა ღმრთისა“ მოვევლინა მას. სახარებისა და მოციქულთა მეშვეობით, ვითარცა ფრინველმა ბარტყები, ფრთებს ქვეშ შეიფარა ცოლვილი, სასოწარკვეთისა და განწირულებისაგან სსნის გბა უჩვენა. „ითანე ბედაზნელის ცხოვრება“ ამბობს: „დადა-თუ მიიწევს პირველისა მიმებისა ყოველი, რომელი ვითარცა ძე, მხოლოდ ცხოველი და განმაცხოველებელი მომცემელი ცხორები-სად, ვითარცა იტყვის: „მე ცხოველ ვარ და თქუება ცხოველ იყვე-ნით და რომელსა პრწმენეს ჩემი, იგიცა ცხოვნდეს ჩემს მიერ“(19, 194), (მდრ ი.11,14). მთელი ქართული აგიოგრაფია ამ იდეით საზრდოობს.

მეგრულში ასევეა გააჩრებული გამეორებული ქართული სახელდება მცირედი ფონეტიკური ცვლილებით:

**მანუხვარკარი** – 1. ბორცვი ზუგდიდში, XIV საუკუნის კვირა-ცხოვლობის სახელობის ეკლესია; 2. სერი ხობისწყლის მარცხნა მხარეს გაღმა საჯიჯაოში;

**მანუხვარი** – 1. ნაეკლესიარი ბორცვი საგობეჩიოში; 2. ეკლე-სია-სასაფლაო ძველ სენაქში; 3. ნაეკლესიარი საუბანეიშვილოში;

ასმანუხვარი // ასხის მანუხვარი – მოედანი-საძოვარი, სადაც ლენბუმელი მწყემსები ღოცულობდნენ. აქ თურმე ქვის შვერილის ქვეშ ანთებდნენ სანთლებს;

**ნამანუხვარუ** – 1. ნაეკლესიარი ეცერცეში (ნაგვაზაო); 2. სასაფლაო-ნაეკლესიარი; 3. ეკლესის ნაშთი მცირე ბორცვზე;

**მანხხვარი** – 1. ბორცვი ხაბალერში, სადაც იღვა საღოცავი ცალხვი; 2. მაღალი ბორცვი ნახუნავოში, სადაც ასევე საღოცავი ცალხვი იღვა; 3. ბორცვი განის მარცხნა მხარეს, ძველი საღოცა-ვით, სადაც მაცხოვრის ხატი ყოფილა შენახული;

**მანუხვარგა** – 1. სერი ხობისწყალსა და სკურჩის შეამდინა-რეთში; 2. დაბალი სერი ჯუმის ხეობაში, სადაც მდგარა მაცხოვ-რის ეკლესია მანუხვარსუე / მანუხვარკარი;

**მანუხვარეკლესია** – ეკლესია ღეჯდარკეში. მიმდებარე უბანს ოხვამეეარი ეწოდება (სოფ. ნაგვაბაო);

**მანუხვარიშე** – ტყებორცვი თხოოლის მარჯვენა მხარეს, სადაც მაცხოვრის ეკლესიის ნაშთებია;

**მანუხვარლალ** – გურძების მარჯვენა შენაკადი ღებერიეში. სათავეში იდგა მაცხოვრის ეკლესია;

**მანუხვარგა** – ტყე საკარაცხელიოში, ნაკიფუ;

**მანუხვარიშ ტობა** – მორევი ჩხოუშიასა და მაღლეუის შესართავთან, სადაც გვალვაში „ბანდხენ“ კორცხელის მაცხოვრის ხატს და და „აუცილებლად მოვიდოდა წვიმა“ (ზედა ეწერი);

**მანუხვარლეე** – აბაშის მარცხენა შენაკადი, რომელის ეკლესიას ჩაუდის;

**მანუხვარწკელი // წკელკარი** – ეკლესია გალის რაიონის სოფ. ხოლეში;

**3. განგება.** ქრისტიანული კატეხიზმო გვასწავლის, რომ ღმერთის განგება არის შეეწყვეტებელი მოქმედება ყოვლად შემძლებისა, სიბრძნისა და სახიერებისა, რომლითაც ღმერთი არსებათა ყოფასა და ძალას ინახავს, მათ კეთილ მიზნებისაკენ მიმართავს და სიკეთისაგან გადახრის შედეგად წარმომდგარ ბოროტებას სპოს ან გამოასწორებს და მიჰყავს კეთილი შედეგებისაკენ. ქრისტიანულ-თეისტური ღმერთისაგან მომდინარეობს განგება, როგორც მისი თავისუფალი გადაწყვეტილება სამყაროსა და ადამიანის ბედითან დაკავშირებით. მას აქვს ცოცხალი და უშუალო დამოკიდებულება ადამიანთან და სამყაროსთან. ეს განგება არ ნიშნავს ანტიკური გაგებით ბრძან ფატუმს, სადაც ყოველივე უცილობელი გარდაუგალობაა. წუთისოფლის ჩარხის უკულმა ბრუნვა, ბოროტება, ღვთის თავისუფალი ნებიდან გამომდინარე, ისევ და ისევ ადამიანის განსასწავლად და მის სასიკეთოდ არის დაშვებული. ქრისტიანული ღმერთი მჭიდროდ არის მიწიერ ცხოვრებასთან დაკავშირებული. ქვემოთ მოყვანილი ლექსის „ღორონთ, ირუელ შეგილებუ“- ღმერთო, ყველაფერი შეგიძლია – უნდა ნიშნავდეს ამას და არა მარტო ყოვლისშემძლეობას:

**1. ღორონთ, ირუელ შეგილებუ, დანგვეხასი დეგახვამუ, ღიდებულება და დო მოწყალება ქანაში სი გოსქვამუ, ვორეთ სქანი ვუნარჩქინა, ჩქინი შერქ სი გეწამუ „ღმერთო, ყველაფერი შეგიძლია, განგება დაგელოცოს, დიდება და მოწყალება ქვეყნისა შენ შეგშვენის. ვართ შენი გაჩენილი ჩვენი სული შენ გეწამა“ (17,312).**

2. განვებაში ჭყოლოფუას ცას მუთ აფე გნავონი – საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი (3,5). 3. ხერგის ნამუთ მიორჩინანს ღორონთი რე განვებათი – ვინ საბლვარსა დაუსაბლვრავს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად (3,159). 4. განვებასი-ვაკონ ფერი მუთუნ საქმე კვიშიმინჯ – რაცა ღმერთსა არა სწადლეს, არა საქმე არ იქნების (3,160). 5. კევნისხაპე განვებაშა მითისს ვაუქიმინ თენა – არვის ძალებს ხორციელსა განგებისა გარდავლენა (3,160). 6. წუთისოფელს ღორონთი ღალა განვებაში იმენდი რე, თინა მუსუთ მოიღანსი გინოჭყვადილი ბედით. წუთისოფელში ღორონს გატანა, განგების იმედითაა, რასაც ის მოყიფას გადაწყვეტილი ბედია (10,14).

ტერმინზე „განგება“ საგანგებოდ მსჯელობს ვ. ნობაძე წიგნში „განკითხვანი ვეფხისტყაოსნისა“, „განგებასა ვერვინ შეიცვის, არ საქნელი არ იქნების“ ფრაგმასთან დაკავშირებით და დასკვნის, რომ: „განგება არის ღვთაებრივი წესრიგი, რომლითაც ყველაფერი ისე კეთდება, როგორც ამას ღმერთი ინგებს. ღვთის განგება არის ყველა მოვლენის თავში ყველა მოვლენის მიზები. თუ განგება როგორ მოქმედებს, ამას ჩვენი გონება ვერ მიხვდება. ღმერთი არის „განმგე“ და მასი ნებელობა კი – „განგება“. განგება არის: 1.შენახვა, დაცვა ქმნილებათა; 2. შემწეობა, ქმნილთა, 3. მართვა ქმნილთა.“ (8, 190) ხალხური „ვეფხისტყაოსანი“ მეგრულ ენაზე ამ ტერმინით ხშირად სარგებლობს იგივე გაგებით.

4. **ბუნება.** ამ ტერმინზე მსჯელობს ვ. ნობაძე წიგნში „განკითხვანი ვეფხისტყაოსნისა“, „რა ესე ესმა აგთანდილს ლადსა, ბუნება-ზიარსა“ ტაქტონ დაკავშირებით. იგი არკვევს, რომ სასულიერო მწერლობაში ეს სიტყვა ნიშნავს: ჩამომავლობას, რასას, სქესს, თესლს, სუბსტანციას. „ბუნება“ ვითარცა საღმრთო სახელი, იმბარება დიონისე არეოპაგელის, „საიდუმლო ღმრთისმეტყველებისათვის:“ „ვითარ საღმრთო და სახიერი ბუნებად ერთობითად ითქვითის“ ე.ი. ღმერთის ბუნება არის ერთება და სამება. „ბუნება“ ეწოდება ღმრთებას, ღმერთს, წმინდა არსებას (8, 182) „ეს ტერმინი V ს-ის ბოლოს და VI ს-ის დასწყისში დამკვიდრებული ჩანს ბერძნული „ფისის“ შესატყვისად. იგი სინონიმია „უსიასი“. არსება და ბენება ბოგჯერ ენაცვლება თვით ბერძნულში. ქართულში „ბუნებას ხშირად ხშირად ენაცვლება „სახეც“ (20,160). სახე ნიშნავს: 1.შეხედულება, გარეგნობა; 2.ვარი, ნაირი; 3.მაგალითი, ნიმუში (5, 257). ეს ტერმინი უკავშირდება ქრისტოლოგიასც: ქრისტეში არის ორი ბუნება: ღვთაებრივი და ადამიანური, ხოლო გრიგოლ ნოსელ-

თან „ბუნება“ ნიშნავს არა კონკრეტულად ადამიანის ხორციელ აგაბულებას, არამედ მაღლით სახეცვლილ სხეულს“ (გრიგოლ ნოსელი).

ადამიანი შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა. ღვთის სახეა მისი ღვთაებრივი არსი, მისი სული, რომელიც იცნობს ღმერთს. „სახის“ შინაარსი „ხატს“ უტოლდება. ამრიგად, „ბუნება“ ერთ-ერთი საღვთო სახელია, „ბუნებრივი“ ყოველთვის ნიშნავს ღვთაებრივს. ტერმინი გეხვდება მეგრულ ხალხურ ლექსშიც და ხშირად იხმარება მეტყველებაში, როგორც საღვთო სახელი: „ბუნებას დუხვამუდა“ – ბუნებამ / ღმერთმა / ღაგლოცოს; ბუნებაშ ვუნარჩქინა – ბუნების / ღმერთის / გაჩენილი.

გოთოხზ, გარსულ, დღი დო სერი ნანდულ გორგჩინელი სქვამი ქიანაშ ორთაშ ჭყოლოფუა ბუნებაშე მონახანტ გამთარი, გაფხული, დღე და დამე ნამდვილად ლამაზად შექმნილა, ქვეყნის ორთას წყალობაა, ბუნებისგან მოხაგული (10,121). საღვთო სახელის გაგება აქვს ამ სიტყვას შემდეგ ლექსშიც: ცხოვრებასი ღვევირენი ჩვეულება რე ბრელი ნერი კუნაფა დო მოუნაფა ბუნებაშე გორგჩინელი. ცხოვრებას რომ დააკვირდე, ჩვეულებაა ბევრნაირი, წაყვნა (გათხოვება) და მოყვანა (ცოლის შერთვა) ბუნებისაგან გაჩენილა (9, 138).

**5. უფალი.** ეს ტერმინი შეესაბამება ბერძნულ „კირიოსს“. ქრისტე არის „უფალი უფლებათა“: „რომელი იგი კამთა თუსთა აჩუენოს ნეტარმან მან და მხოლომან ძლიერმან მეუფემან და უფალმან უფლებათამან“ (ტიმ. 6,15). ე.ო. გამოთქმა სასულიერო მწერლობაში დამკვიდრებულია ბიბლიიდან. „უფალი“, „მულობელი“ ნიშნავს „ძალას“, „ძალაუფლებას“, „უფროსობას“, მაგრამ „არა ხოლო უდარესთა ბედა თღენ ქონებას უმეტესობისამ, ბოგად ყველა კეთილთა და სახიერთა ყოვლითურთი ყოვლად მომგებლობამ და ჭეშმარიტი და ყოვლად განუკრძომელი მტკიცედ პყრობად“. (15,228) „ითანე ბედაბნელის ცხოვრების“ შესავალში ეს ტერმინი სული წმიდის მისამართით არის ნათქვამი: „...და სული წმიდამ, მთავრობისა უფალი, განმკუთვნელი, ტაძრად თუსად მოქმედი, ვითარ ჰენებან და ვისთანაცა უნებნ.“ (19, 194)

სამეგრელოში არის ამ ტერმინის ანალოგები: უფალოხვამე // უფალკარი. რაც ნიშნავს „უფლის ეკლესია“. ასე პქევია ნაეკლესიარსა და სასაფლაოს ეკის თემში, ხოლო კვირაცხოვლობის დღე-სასწაულს სამეგრელოში უფალთანაფას ანუ „უფლის აღდგომას“

ეძახიან. თუ რატომ ეწოდა ეს სახელი თომას კვირას, ვერ ვიზყვით, რადგან უფლის აღდგომა იგულისხმება საერთოდ „აღდგომაში“, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ უბრალოდ, ამ სიტყვის მეშვეობით ხდება „აღდგომისაგან“ კვირაცხოვლობის დღესასწაულის ტერმინოლოგიური გამიჯვნა. ტერმინი გეხვდება ხალხურ „კოტისტებისანმი“: თუმა რე ჩქიმი შერის დგუმა, თიშო მოკო მა უფალი - იგია ჩემი სიცოცხლე.... (3, 6)

**7. უხილავი ძალი.** ღმერთი არავის უხილავს, მხოლოდშობილმა ძემ გააცხადა. „უხილავი“ მისი აპოფატიკური სიმბოლოა. ქრისტიანული ფილოსოფიის მიხედვით, მატერიალური და სულიერი იერარქიების ზემოთ, საღვთო ნისლში სუუევს ქრისტიანული ღმერთი, რომელიც უხილავია. ასე უწოდებს მას ღიონისე არეოპაგელიც: „ესრეთ უხილავად უწოდს სიტყუამ ყოვლად ბრწყინვალესა მას ნათელსა“. (15, 228) ეს ტერმინი ღვთაების სხვა ატრიბუტებს შორის არის „იოანე გედაზნელის ცხოვრებაშიც“: „და რომელი ნათელი იგი არს, ერთი უხილავდ და უცვალებელი ღმერთი არს არა დასაბამისმიერი, არცა გასრულებადი, განუზომელი, მარადის კურთხეული, ნათელი სამებისად.“ (19, 194) „რამეთუ არს იგი უხილავდ უეპამო, დაუტევზელ, უკალებელ (19, 194). მეგრულ ლექსებში ხშირად ღვთაება სახელ-იდება, როგორც „უხილავი ძალი“: „ოღონდ გორწმუნებით ვარა ვამაფუთი ძირაფილი რომელიც გვწამს, მაგრამ არ გვიხილავს (10, 78).

**10 გამჩენი.** „გამჩენი“ იგივე „დამბადებელი“ ისევ და ისევ ბიბლიური შესაქმის აღსანიშნავად არის ნახმარი ფოლკლორულ ნიმუში: კორჩქინუსი კოხვეწუთი - ქვეყნის გამჩენს ვეგვეწებით (11,131). კორჩქინუ - გამჩენი; დუმაარსებელი - არსად მქცევი - გულისხმობს ქრისტიანულ-თეისტურ თვალსაბრისს სამყაროს შექმნის შესახებ. აქ იგულისხმება ღვთაება, რომელიც არც პანთეისტურია, არც დეისისტური და არც რომელიმე სხვა გაგებისა. იგი პიროვნულია, ანუ იგი არის პიროვნება უბენაესი და ყოვლად სრულყოფილი, ყოველგვარი პიროვნეულობის არქეტიპი, სამყაროზე აღმევებული ანუ ტრანსცენდენტული. მართლმადიდებლური ქრისტიანობა აღიარებს ღმერთს ცისა და ქვეყნის დამბადებელს, არა არსის არსად მომყვანებელს, შემოქმედს, რომელმაც პირველად აურაცხელი ბეცის ძალნი და მხედრობანი დაბადა სიტყვით და სული წმიდით სრულყო. ის არის უბენაესი არსება, აბსოლუტი. პანთეისტური რელიგიებისათვის უცხოა შესაქმის კრეაციონისტული გაგება. აქ ღმერთი

სამყაროს შიგნით მოიაზრება, მისი იმანენტურია და არა ტრანსცენდენტური. ბიბლიური კრეაცია (ლათინ. კრეაციო-შექმნა) არის სამყაროს შექმნა აბსოლუტური არარაობიდან თავისუფალი ნებით. „А в мире идей космологическое умозрение и социальная этика получили такое соединительное звено, которого они не могли иметь во времена Платона. Звеном этим был библейский креационизм. т. е. учение о бога как творце стихий и законодателе людей“ (1,87). ჩვენს მიერ მოყვანილი მეგრული ტერმინები გამორიცხავებ სხვაგვარ წარმოდგენებს, მაგალითად, ემანაციას – ღვთაებრივი საწყისიდან სამყაროს გამოშლა, გამოსხივებას და, მითუმეტეს, ევოლუციას, რომელიც გულისხმობს ცვლას, განვითარებას, თანდათანობითი რაოდენობითი ცვლილებას, შემამზადებელს თვისებრივი რევოლუციური ცვლილებისას. ქრისტიანული ღვთაება არის „არა არსის არსად მქცევი“. „ღმერთმა სამებაში და ერთებაში დიდების-მქცეველებულმა, შექმნა ცა და მიწა და ყოველივე მათ შორის“ (ფს. 145,6). მან მოიყვანა არარსებობიდან არსებობაში ყოვლიერება: ერთნი – არაწინასწარარსებული ნივთებისაგან, როგორიცაა: ცა, მიწა, ჰაერი, წყალი: მეორენი – მათგან, რაც შექმნა: ასეთებია: მცენარეები, თესლები, რომლებიც მიწისაგნ, წყლიაგან, ჰაერისაგან და ცეცხლისაგან შეიქმნენ დამბადებლის ბრძანებით (4, 61). „იოანე ბედაზნელის ცხოვრებაში“ ჩართულია ბიბლიური ეპიზოდი გამოსვლათა წიგნიდან: მოსე ღვთის ხილვის შემდგომ, ფაქტიურად, კითხელობს მის სახელს: „უკუეთუ მრჯეან, ვინ მოგავლინა, რაა ვთქვა?“. აფიოვრაფიული ძეგლის ავტორის აზრით, ღმერთმა მიუწვდომელ სიბრძნეს აზიარა მოსე: „ერთი იგი უფსკრული სიღრმე ასწავა თქვემად და რქეა: „ესრეთ არქე, რომელი-იგი არს, მან მომავლინა (შდრ. გამოსვლათა, 3,14). გავიხსენთ შესაბამისი ეპიზოდი ბიბლიიდან. უფალი მოსეს ასე მიუგებს: „მე ვარ რომელი ვარ და ესრეთ არქე ძეთა ისრაელისათა: რომელ არს, მომავლინა მე თქვენდა.... ესე არს სახელი ჩემი და საქსენებული ჩემი თესლითი თესლამდე.“ ძეგლის ავტორი ამ შეხლებს კომენტარის სახით ურთავს: „არს იგი არს, რომლისა დასაბამი არა არს“ (19, 194). იოანე დამბაკელი ამბობს, რომ ღვთის სახელთაგან ყველაზე საკუთრივი არის „არსი“, რადგან „თავის თავში შემოუცავს მას მოელი არსება, როგორც არსების ზღვას, უსასრულისა და უსაბლვროს. (4, 45) ამრიგად, „არსი“ განსაკუთრებული საღვთო სახელია. „დაარსება“ უნდა ნიშნავდეს არა არსის, ქაოსის, უსახო მატერიისათვის სახის მიცემას.

„დაარსება“, მეგრულ ლექსში ასე იკითხება: ღორონთ, ირფელ  
შეგიძლებუ ქანაში დუმაარსებელი ღმერთო, ყოვლიშემძლე ხარ,  
სამყაროს დამაარსებელი (9, 53).

8. ცა. ქრისტიანულ მწერლობაში ეს ტერმინი ძირითადად  
ორი ასპექტით განიხილება: 1. კოსმოგონიურით, ანუ სადაც საუბა-  
რია ცის ბუნების, მისი რაოდებობის, მასზე განლაგებული მნათობ-  
თა რიგის, მისი ფუნქციების შესახებ და 2. მისგიკური შინაარსით,  
რომლის მიხედვითაც, „ცა“ არის სასუფეველი, ადგილი ღმრთისა.  
ამ შემთხვევაში ტერმინის გააჩრება სახისმეტყველებითაც. „ცად“  
სახელ იდება ის ადგილი, რომელიც მეტად წილმქონეა მისი მაღ-  
ლისა. ცა შეიძლება იყოს ეკლესია, მორწმუნის გული ლოცვის ჟამს,  
„ცა“ წმიდა ქაღწულიც განწმენდილი გონება და ა.შ. „ცა“ რო-  
გორც საღვთო სახელი, მომდინარეობს იქიდან, რომ ითანე დამას-  
კელის თქმით, ღმერთმა „ცა“ უწოდა სამყაროსაც „სამყარო არის  
უმაღლესი ცა, ყველა სხვა ცაზე აღმატებული ანუ ზე-ცა. მას იმიტომ  
ჰქითა „სა-მყარ-ო“, რომ ესაა სიმყარისა და უცვლელობის ადგილი,  
წარუდინებელი. იგი სათავეს უდებს ყოფიერებას და  
აკლებს ბლვარს მარადიულობასა და წარმავლობას შორის. „ცათა  
ცა“ ყოფიერების დამწყებია, ეს არის „გონიერი ზეცა“, „სადაც გო-  
ნებას ეძლევა ყველაფრის ერთბაშად შეცნობა და არა ნაწილობ-  
რივ, არა გამოცანით, არამედ სისრულით“ (7, 388) ამას გულისხ-  
მობს თამარის იამბიკოს პირველი სიტყვები: „ცასა ცათასა, დამწ-  
ყებასა ღმერთ-მთავრობასა, ძე საუკუნობს პირველი და კვალადი“  
(14). სა-მყარ-ო არის უძრავ ვარსკვლავთა ცა: „სამყარო ესე არს  
ცა უძრავი და მყარი, გარეგან სხუთა ცათა“. მისი საპირისპირო  
„ქვეყანა“, რომელსაც ბიბლიაში „მიწა“ შეესაბამება. იგი განსხვავ-  
დება ხილული ცისგან, რომელშიც ცდომილნი ვლენან. მას „ცათა  
ცა“, „ლბილი ცა“, „ბროლის ცა“, „ზე-ცა“...ეწოდება.

„აბოს წამებაში“ ერთ-ერთ ეპიზოდში „ცა“ იგივე შინაარსით  
არის ნახმარი: „შენ ყოველთა დაბადებულთა პატივ გცეს, რამეთუ  
ცაც მოწამე არს სიმართლესა შენსა უცხოისა ცეცხლისა გარდა-  
მოვლინებითა ადგილსა მას ზედა, რომელსა ვითარცა კრავი უმან-  
კო შეიწირე შემწუარი ცეცხლითა“. (19,80) ასევე სიმართლესთა-  
ნაა გაიგივებული ღვთაება, რომელიც მოიხსნიება სახელით „ცა“  
მეგრულ ლექსში: 1. ცას პუნდით გორჩქინელი ითამ უბედურო მა“  
-- ცამ თუ გამაჩინა მე უბედურად (16, 167) 2. განგებაში ჭყოლო-  
უკას ცას მუთ აფე გნავონი – საღმრთო-საღმრთოდ გასაგონი(3, 5);

**12. დუდოლორონთი.** ბერძნული „თეარქიის“ ქართული შესატყვისობა თარგმანებში არის „ღმერთ-მთავრობა“, რაც ნიშნავს: ღვთაებრივი პირველსათავე, საწყისი. ამ რელიგიურ-ფილოსოფიურ ტერმინს აშკარა შესაბამისობა მოეპოვება მეგრულ მეტყველებაში. აქ არსებობს სიტყვა: დუდოლორონთი. იგი შედგენილობით კომპოზიტია: დუდი - თავია. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „თავი“ აქვს რამდენიმე მნიშვნელობა, მათ შორის, ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი: 1. დასაწყისი (მაგ. თავი და ბოლო); 2. მიზეზი (მაგ. ჩეუბის თავი) 3. უფროსი, წარმმართველი, მამოძრავებელი (მაგ. ოჯახის, ქვეყნის თავი), ჩვენს მიერ განსახილველი სიტყვის პირველი ნაწილი „დუდო“ სამიერს აღნიშნავს, რადგან ქრისტიანული ღვთაება არის ყოველივეს მიზეზიც, დასაწყისი ანუ პირველიც და მამოძრავებელიც. „დუდო“-ს „პირველის“ გაგება აქვს სხვა შემთხვევებშიც, მაგალითად, ამ მეგრულ ანდაბაში: დუდო მოოღვარუნ თი გინ ბოლომა კაწმენებია – ხბოს, რომელმაც პირველად იბლავლა, ბოლომდე არ აწოვესო. (21,15) „პირველის“ შესახებ ფილოსოფიური გააბრებანი გვაქვს ეფრემ მცირესთან, იოანე პეტრიწთან და სხვა ქართველ ფილოსოფისთა ნაშრომებში. „პირველი“ ნიშნავს: 1. წინარე, აღრეული; 2. პირველი არსებად – ნამდვილმყოფი; 3. პირველი გონებად – გონების რიგის მთავარი; 4. პირველი ერთი–თვითერთი, აბსოლუტური ერთი, პირველი პრინციპი, დასაბამი (5-290-291). ჩვენი აბრით, „დამწყები ღმერთმთავრობა“, ბერძნული „თეარქია“, ფილოსოფიური „პირველი“ და მეგრული „დუდოლორონთი“ ურთიერთსგავსი სემანტიკით არის დატვირთული.

ამრიგად, ღვთაების სახელდებანი მიღებულია კანონიკური, ფილოსოფიური და ეთიკურ-ესოთეტიკური პრობლემების ხალხური გააბრების საფუძველზე. ღვთის მეგრულ სახელდებებს ზოგს უშუალოდ აგიოგრაფიულ ძეგლებში ეძებნება პარალელები, ზოგს სხვა ქანრის თხზულებებში, ჰიმნოგრაფიაში, ჰომილეტიკასა და ქრისტიანულ მისტიკაში, კერძოდ არეოპაგიტურ წიგნებსა და იოანე დამასკელის, „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზუსტ გადმოცემაში“. მათ კვალობაზე მეგრული საღვთო სახელდებებიც შეიძლება დავაჯგუფოთ წევატიურ, პოზიტიურ, ასევე არსობრივ და ჰიპოსტასურ სახელებად. მხატვრული ტექსტებიდან ცნობილი ბიბლიური პარადიგმები ყოფით კულტურაში ხშირად მეორდება. მეგრული მიშვება საერთო ქართულ ენობრივ მსოფლხედვას, მენტალობა მაღალ დონეზე ერთია. ეს არის დადასტურება ჩვენი ერის დიდი სელიერი კულტურის ერთიანობისა და ქართული კულტურის შინაგანი მთლიანობისა.

**გამოყენებული ლიტერატურა:** 1. С. А. веринцев, Поэтика ранневизантийской литературы, м., 1977; 2. გ. ალიძეგაშვილი, ქრისტიანული ეგზისტიკის საფუძვლები და აპოკრიფი „აღამის ცხოვრება“, ქ. „ცისკარი“, 1998, N 8. 3. „ვეფხისტყაოსნი“ მეგრულ ენაშე, სოხუმი, 1991. 4. ითანე დამსკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების გუსტი გადმოცემა, თბ., 2000. 5. ითანე პეტრიწი, განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“, წიგნშე დართული ლექსიკონი, თანამედროვე ქართულ ენაშე თარგმნა, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო დ. მელიქიშვილმა, თბ., 1990. 6. Д. С. Лихачев, Поэтика древнерусской литературы, М., 1971, стр. 395. 7. ნეგარი ავგუსტინე, აღსარება, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1985, გვ. 388. 8. გ. ნობაძე, განკითხვანი „ვეფხისტყაოსნისა“, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსისმეტყველება, პარიზი, 1963. 9.კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები, თბ., 1971. 10. კასამუშია, ქართული ბეპირსაცყვიერება (მეგრული ნიმუშები), თბ., 1990. 11. კ. სამუშია, ხალხური საუნჯე, ლექსიბი, მეგრული მასალები, ქ. ევრისი, თბ., 1988. 12. რ. სირაძე, ქართული კელტურა და ენობრივი მსოფლმხედველობა, ქართული კულტურის საფუძვლები, თბ. 2000. 13. რ. სირაძე, ქართული აგოგრაფია, თბ., 1987. 14. რ. სირაძე, თამარ მეფის იამბიკო „ცასა ცათასა“, „ლიტერატურული საქართველო“, 1993, 14 მაისი. 15. ფსევდოლიტნისე არეპაგელი, პეტრე იბერი, შრომები, ს. ენუქაშვილის გამოცემა, თბ., 1961. 16. ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, გამოსაცემად მოამზადა ტ. გუდაგმ, თბ., 1975, გვ. 167. 17. ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994. 18. პ. ცხადათა, ამეგრულოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონიდან, ხელნაწერი, გამოსაცემად გამზადებული. 19. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილია აბულაძის საერთო რედაქციით, თბ., 1964, გვ. 52. 20. გ. ჭელიძე, ბიბლია და ქრისტიანობა, „სკოლა და ცხოვრება“, 1990, N 9. 21. ხალხური სიბრძნე, მეგრული და ლაზური ანდაზები, რ. შერობია, თ. მიმეშიში, თბ.. 1994, გვ.15.

## Khatuna Gogia

### Names of God in the Megrelian Language

In this work are collected the Megrelian names of God and also analyzed the principles of giving names. It is stated that come from canonic, ethic and esthetic ideals of folk sayings. The initial sources of them we can find in the Bible or in different genres of ecclesiastic writings. They may be classified according to the content: negative and positive, essential and hypostatic names. In the Georgian languages common linguistic view-point is fixed.

## ბეჭდა მოსია

### მეგრულ-ქართულ-ლაზური ზღაპრების შედარებისათვის

ლაზები, ძირძველი ქართული კულტურის, ნაწილი არიან. ქართული კულტურისა და ყოფის ისტორიის შესახვავლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანური ფოლკლორული მასალების შედარებით შესწავლას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ამ ტომების ისტორიული წარსულის ღრმა შრეების წვდომის. განსაკუთრებით საინტერესოა ის, თუ რა შემონახა და დაკარგა თითოეულმა მათგანმა, რა აერთიანებს და აშორებს მათ ერთმანეთთან. მიუხედავად იმისა, რომ ჭანურმა თურქულის ძლიერი გავლენა განიცადა მას დაუცავს ბევრი დირსშესანიშნავი თქმულება ქართული მითოლოგიური სამყაროდან, ხშირად ბევრი რამ ქართულში დავიწყებული ჭანურშია შემონახული, მაგ: ცოლი აღინიშნება ტერმინით ოხორჯა (კარტოზია, 1970, 220), რაც სიტყვა-სიტყვით ასე გადმოიცემა-სიცოცხლის ხე, დედაბორი.

ამჟამად, ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს მეგრულ-ქართულ-ლაზური ტექსტების, ზღაპრების სრული შედარება, იმდენად, რამდენადაც ეს საკითხი დიდი ხნის შრომასა და კვლევას მოითხოვს, მაგრამ ამ კუთხით კვლევას ახლო უამებში განვაგრცობთ. უნდა აღინიშნოს, რომ ლაზურ ტექსტებთან შეხების პირველი მცდელობაა და ჩვენთვის ადგილი არ არის ერთბაშად საკითხის მთელი სისრულით განხილვა. ამ ეტაპზე საკითხის დასმის მიზნით, შემოვიფარგლებით მხოლოდ ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის ზოგი ფორმულის, ცალკეული სიუჟეტების მსგავსების, სიმბოლურ-სახისმეტყველებითი სახეების ანალიზით, ამასთანავე, წარმოვადგენთ მეგრულ-ქართულ-ლაზური ანდაზების მსგავსების თვალსაზრისით რამდენიმე ნიმუშს. აქვე დაგვსტენოთ, რომ ლაზურ მასალებზე მუშაობის დაწყებისას გასაოცარი იყო ის განცდა, რომელიც ამ ნიმუშებთან შეხებამ აღძრა, თითქოს აქ არაფერია უცხო, და ეს ყველაფერი

ისევ იმ ცხოვრების წიაღიდანაა, რაზეც დღემდე მიმუშავნია, კერძოდ, მეგრულ-ქართული ფოლკლორიდან. ამას თვითონ ლაზი უსგამს ხასს თავის გამოთქმაში: დიცხირითენ ლაზი დო მარგალი არ რენ, ჩქინი ადეთი მარგალის ადეთის ნუნგაფს=სისხლით ლაზი და მეგრული ერთნი არიან, ჩვენი ადათი მეგრულის ადათს პგავს (ასათიანი, 1974, 201).

ზღაპრის დასაწყისის ფორმულათაგან ყველაზე ძველად ითვლება აბსტრაქტული დასაწყისი: „იყო და არა იყო რა”, როთაც მთქმელი ზღაპრის საოცარი და ჯადოსნური სამყაროს გასაღებს წარმოგვიდგენს და გვამცნობს ის, რაც აწი უნდა მოვისმინოთ იყო და არც იყო სინამდვილეში. ლაზური ტექსტები მსგავსი დასაწყისით შემოდიან მსმენელის შეგნებაში და მთქმელის ამბავიც ამას მოსდევს: „ტუ, ვარ ტუ, ქორტუ არ თანე ავჯი მუსტავა=იყო და არა, იყო ერთი მონადირე მუსტაფა” (კარტოზია, 1968, 150). მსგავსი დასაწყისის ფორმულის სახეა შემდეგი ნიმუში: „ტექნ, ვარ ტექნ, არ ჩილი-ქიმიჯი=ყოვილა, არ ყოფილა ერთი ცოლ-ქმარი” (კარტოზია, 1968, 172). ლაზურისთვის ასევე ბუნებრივია სათქმელის რეალისტური დასაწყისით დაწყება, სადაც „ერთი”, როგორც განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ისე გვხვდება: „არ ორჭარიქ პარასქეში ნდდას ნოღაშა დაღი ქოგეილუ” (ჟღენტი, 1938, 7) ან კიდევ: „არ კოჩი ქორტოდურენ=იყო ერთი კაცი” (ჟღენტი, 1968, 13). ტიპიური დასაწყისია: „რტუ არ ფადიშაი=იყო ერთი ხელმწიფე” (ჟღენტი, 1968, 115). ცალკე აღნიშვნის დირსია დასასრულის ფორმულები, ისევე, როგორც საერთო ქართულ მასალებში დასასრულის ფორმულები ნაკლებ გვხვდება დასაწყისის ფორმულებთან შედარებით, ლაზურშიც სიუხვე ამ თვალსაზრისით არ შეინიშნება, თხრობა ჩვეულებრივ იწურება, მაგრამ ზღაპარს მაინც შემუშავებული აქვს ფანტასტიური, აბსტრაქტული, დალოცვითი და სხვა ტიპიური დაბოლოებები, მაგ: „მანთი ექ ვორტი, პამა მითიქ მჭკიდი ვამომჩუ=მეც იქ ვიყავი, მაგრამ მჭადი არავინ მომცა” (კარტოზია, 1968, 172), მსგავსი დასასრული, „მეც იქ ვიყავი, ბევრი კსვი და ბევრი ვჭამე”, ქართულისთვის ბუნებრივია. ასევე გვხვდება: „ამუშკულეეთ ია კოჩი კაი სქიდუნ=ამის შემდეგ ის კაცი კარგად ცხოვრობს” (კარტოზია, 1968, 178). დასასრულის ერთი განსაკუთრებული სახე შეგვხვდა ლაზურში: „მონჭკა ქორენ წიაღილი ვარენ, ქუდი ქორენ, კოჩი ვარენ, ცხენი ქორენ, კუჩხე ვარენ=კრუხი არის, წიწილი არ არის, ქუდი არის,

კაცი არ არის, ცხენი არის, ფეხი არ არის” (კარტოზია, 1968, 172). მსგავსი მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება. ზღაპრებზე დაპვირვება ნათელს ხდის იმას, რომ ქართულ-ლაზურ-მეგრულ ზღაპრებს სიუჟეტური ნათესაობაცაა აქვთ, უფრო მეტიც, ბევრი ნიმუში მთლიანად მსგავსია, თუმცა, ამჟამად სიუჟეტების საკითხს წარმოვაჩენთ და ბუნებრივია ესეც სრული ვერ იქნება იმასთან შედარებით რაც სინამდვილეშია. სიკვდილის წინ მამის მიერ შვილების მოხმობა და ანდერძი, რომელსაც შემდეგ დიდი თავგადასავლები მოსდევს, თოთქოს ანდერძი მოტივია სიუჟეტის შემდგომი განვითარებისათვის: „ფადიშაი ლურუტუ-შკულე ბიჭეფე მუშის პეშო უწუ-ქი=ხელმწიფემ სიკვდილის წინ თავის ბიჭებს უთხრა” (ედენტი, 1938, 107), სამი ძე-უფროსი, შეათანა და უმცროსი იდებს დავალებას, როგორ მოიპოვონ ვაშლის ხისგან ერთი საკვირველი ნაყოფი, რომელიც უფროსმა და შეათანამ ვერ იხელოუს, რადგან მას დევი ჭამდა, ბოლოს კი უმცროსმა მოკლა დევი, გამოიყვანა სამი ულამაზესი ასეული, მოუყვანა მტებს, ამბის თხრობა ასე სრულდება: „ჰაშო ქომოლობაფე ლაზეფექ იქმოტებ=ასეთ სავაჭკაცო საქმეებს აკეთებდნენ ჭანები” (ედენტი, 1968, 5-6). ქართული სინამდვილის-თვის ბუნებრივია ბედისა და იდბლის კამათი, რომელია ადამიანის ბედინერების მიზეზი და ამ მიზნით ისინი გამოცდიან ადამიანებს, მსგავსი ნიმუში გვხვდება ლაზურში „ღნოსი და იგბალი=ჭეუა და იგბალი” (ედენტი, 1938, 119), სადაც ეს ორი კამათობენ და მოილაპარაკეს ერთს ერთი კაცისათვის ჭეუა მიეცა, მეორეს იდბალი, შემდეგ კი იგბლიანი კაცის ამბავია ნაჩვენები. ლაზურ ტექსტებში ტიპიურია გზის გასაყერზე არჩევანის გაპეტება: „სუმ გზა ქორტუ არ იერის, „მა პეშო ბიდა, სი პეშო იდი, პევა პექოლ იდას=სამი გზა იყო, „მე ასე წავალ, შენ ისე წადი, ის იქით წავიდეს” (ედენტი, 1938, 143). დიდი ხნის უშვილო ცოლ-ქმარს შვილი ზღაპრული უზვეულობით ეყოლებათ, ვაშლის ჭამით, დერვიშმა ხელმწიფეს ვაშლი მისცა, ოთხ ნაჭრად დაჭრილი და უთხრა: „არ-ნა-რენ სი ოჭკომ, არ-ნა-რენ ჩილი სქანის ქოჩი, არ-ნა-რენ-თი ნცხენის ქამუდვი დო მაოთხან არ ტობას ქიდოლოტოჩო! და=ერთი შენ შეჭამე, ერთი შენს ცოლს მიეცი, ერთიც ჩხენს პირში ჩაუდე და მეოთხე ერთ ტბაში ჩააგდეო” (დიუმეზილი, 1937, 106), სულთანმა წყალში გადასგდები ნაწილი უშვილო ვეზირს მისცა და ცხრა თვეში სულთანს ვაჟი, ვეზირს ქალიშვილი და ცხენსაც ერთი კვიცი

ეყოლათ. ლაზურ ზღაპრებშიც დევების სულები ბუნებაში სხვა საგნებს აბარიათ. მოხუცმა ვაჟს ნაჭერში შეხვეული მიწა მისცა და ასწავლა ეს ნაჭერი მეცხრე გორაკის გაღმა დევის სახლში რომ იხარშება იმ ქვაბში ჩაგდეო, ბიჭი ასე იქცევა და ბოლოს შვლისგან შეიტყო: „ჯე მბელაზ ნა ფოლოძიტუ დეტა დივეფეშ შური ტუ იმ ნაჭერში რომ იდო მიწა, შიგ დევების სული იყო”, ხოლო ქვაბში მიწის მოხარშვით დევები იხოცებია: „ჯედა დიგუბუ დო ჰენთეფეთ დოდურებუ-და=ის მოიხარშა და ისინიც მოკვდნენო” (დიუმეზილი, 1937 114).

საგულისხმო დეტალად მიგვაჩნია ლაზურ ტექსტებში ისეთი ფრაზებისა და ტერმინების მოძიება, რომლებიც აშკარად ხასს უსვამენ და ღრმად ინახავენ ქართული ყოფის ამსახველ ძირებს. ქართულ-მეგრულ როკას გრძელი პილები აქვს და მას მაგნები კბილზე ქვის მიკაუნებით აღვიძებენ, ლაზური ტექსტი გვეუბნება: „გერმა-კოჩის კატა კიბირი თითო მტბუ უღუბუ=ტყის კაცს თითოეული კბილი თითო მტკაველი ჰქონდა” (ჟდენტი, 1938, 4). მეგრულად მარხვას პიჩანი ეწოდება, ლაზები მაჭადიანთა რამაზანს, რომელსაც მარხვით ინახავენ, პიჩავას უწოდებენ (ჟდენტი, 1938, 23). ქართულ ზღაპრებში მზის პირნაბანი წყლები უკვდავებას ანიჭებენ, ლაზურში: მზემზე წკაი=უკვდავების წყალია (ასათიანი, 1974, 47). ლაზურად მზე ბუჟალბუა, როგორც მეგრული ბეა, ქართული მზე, ლაზურში შესიტყვება „მზემზე ქართულის ფორმითაა მიღებული”, რაც მეგრულისთვის არ არის ბუნებრივი. ღმერთი ლაზისთვის თურქული სახელით თრანგით აღინიშნება, პარალელურად გვხვდება „ღორმოთი” მეგრული ღორონთის=ღმერთის მსგავსად, აქ ჩვენთვის საინტერესო გახდა დალოცვის ქეტები: „თრანგიქ დიდი დდა მეგიჩას=ღმერთმა დიდი დდე მოგცეს” (ასათიანი, 1974, 195) დიდი დდე მსატვრული სახეა დღეგრძელობისა და კეთილდღეობის. ქართული მზის თვალი დარია, ლაზურში თვად მზე: „ბუჟაშ თოლი გოულუნ=მზის თვალი ჩადის” (ასათიანი, 1974, 199). მეგრული შური ლაზურად შუი, მაგრამ აქ საყურადღებოა ის, რომ ლაზებისთვის შუი სულიცაა და გულიც: „შუი მიგნებტუ=გული მიგრძნობდა” (კარტოზია, 1968, 170). აქვე საინტერესოდ ჩავთვალეთ მეგრულ-ლაზურ ანდაზათა მსგავსების საკითხი. მეგრული გამოთქმა: ჰყალა ქუგოკირაფდას=წყევლა შემოხვეოდეს, ლაზურში გვხვდება: „ბედუა, ნა იქიფს, ეძუს

გვაკირენ” (ხალხური სიბრძნე, 1994, 204). მეგრული: „გატებელი ზისხირი ოპო გუტუე=გასაშვები სისხლი უნდა გაუშვა”, ლაზურში: „გამახთიმონი დიცხირი გამახთისინინ” (ხალხური სიბრძნე, 1994, 206). ალვის ხეს მეგრულად „ჩეჯა” ანუ თეთრი ხე ჰქია, ლაზურშიც იგივე სახელია დაცული: „გინძე ხეჯ ჰჯათი რენ, პამა დიშქა ვარ იყვენ=გრძელი ალვის ხეცაა, მაგრამ შეშად არ გამოდგება (არ იქნება) (ხალხური სიბრძნე, 1994, 206). ეს სახელი მრავალმხრივ საყურადღებოა, რაზეც ჩვენ ადრეც შევწერებულვართ მონოგრაფიაში: „ახალი აღთქმის სახისმეტყველებითი აზროვნების ასახვა ქართულ ხალხურ სიტყვიერ მასალებში (მეგრული მასალების მიხედვით)” ზუგდიდი 2000, ალვა მზის სადღომი ხეა და მისი სითეთრე მზიურობის ნიშანს ატარებს, მზით დამიზეზებულია. მეგრული: „დიდ ჯას დიდი ნახაფული დუცენსია=დიდ ხეს დიდი ნაფოტი დასცვივა”, ლაზურსაც სიტყვა-სიტყვით დაუცავს: „დიდი ნჯაშენ დიდი ნახაპულე იელაფხ-ა=დიდი ხიხან დიდი ნაფოტი ცვივა” (ხალხური სიბრძნე, 1994, 210).

ამდენად, შეიძლება ითქვას, ლაზური ტექსტების ქართულ -მეგრულ მასალებთან შედარებითი შესწავლა ბევრ საინტერესო საკითხს მოჰყენს ნათელს, როგორც ჩვენი ძველი ქალ-ტურის ისტორიის, ისე ლაზური ყოფის დეტალების, ძველი ისტორიის აღქმის თვალსაზრისით.

**დამოწმებული დიტერატურა:** 1. ასათიანი ი. ჭანური (ლაზური) ტექსტები, ხოფური კილოგავი, თბ., 1974. 2. უდენტი ს. ჭანური ტექსტები, არქაბული კილოგავი, თბ., 1938. 3. კარტოზია გ. ლაზური ტექსტები, მაცნე კლს, №4 თბ., 1970. 4. კარტოზია გ. მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის, ქართული ლიტერატურის საკითხები, თბ., 1968. 5. ქ. დიუმეზინის „ლაზური ტექსტები” 1937, პარიზი, ქართველობის კრებული, III, თბ., 2004. 6. ხალხური სიბრძნე, I, მეგრული და ლაზური ანდაზები, შემდგენელი რ. შეროზია, თ. მემიშიშვილი, თბ., 1994.

## Bela Mosia

### About connection Megrelian-Georgian-Laz Tales

In Megrelian-Laz there are many important materials connected with their relation. The beginning and the end of the tales are the same, also the main parts of the tales and symbolik faces. The God is called as in Megruli, there are many proverbs which are the same in Megruli and in Lazi.

**მამუკა ცუხიშვილი**

## **შრომის ლექს-სიმღერები (საფეიქრო)**

საქართველოში ძველთაგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა შინამრეწ-  
ველობის ისეთ დარგს, როგორიც იყო საფეიქრო საქმიანობა. იმის გამო,  
რომ შრომის ეს დარგი შინამრეწველობას განეკუთვნებოდა მისი უშუალო  
შემსრულებელი და დამსაქმებელი იყო ქალი.

თავისთვალ ცხადია, რომ ქალთა საქმიანობა შინ გამიზნული იყო  
ორი უმთავრესი ფაქტორით: ერთი, როდესაც ქალი დიასახლისობდა და  
საშინაო (სადედაკაცო) საქმეს განავებდა და მეორე, როდესაც მისი უმ-  
თავრესი ფუნქცია იყო შვილების აღზრდა ანუ დედობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, არა მარტო შინ, არამედ ყველა სფეროში  
უწევდა ქალს საქმიანობა, მაგრამ ამ ეტაპზე სტატიის მთავარ მიზანს  
წარმოადგენს საფეიქრო შრომა-საქმიანობის და მასთან დაკავშირებული  
ტრადიციების განხილვა ქართულ ფოლკლორთან მიმართებაში.

ზეპირისტყვიერება (პოეტური ფოლკლორი) მცირედ, მაგრამ სიღრ-  
მისეულად შეეხო საფეიქრო მრეწველობის დარგთან დაკავშირებულ ხალ-  
ხურ გადმოცემებს, ლექსებსა და სიმღერებს.

რამდენიმე ქართველმა მეცნიერმა შეისწავლა ეს მეტად საინტერესო  
თემა და საინტერესო ნაშრომი უძღვნა მას.

ჯერ კიდევ შოთა რუსთაველმა მოგვაწოდა უტყუარი მასალა იმისა,  
რომ ძველთაგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა „ქსლის ქსოვას“ და  
თავად „ქსლის მბეჭველის“ როლსა და ფაქტორს:

„კუც ჯაბანი რითა სჯობს

დიაცსა ქსლისა მბეჭველსა.“

ხევსურულ ლექსში „ქსლის ქსოვაზეა“ ლაპარაკი:

„ქსლთა ვქსოვ მამის ეზოთა,

ზალტეთა ვაჟრიალება“.

სულხან-საბა ორბელიანმა „სიტყვის კონაში“ ფეიქარს უწოდა  
„ლარის მქსოველი“.

სატირული ჟანრის პოეტურ ნიმუშებს შორის საინტერესოა სიღნა-ლის რაიონის სოფ. მაღაროსკარში ჩაწერილი პატარა ლექსი, რომელიც „ლარის მქსოველს“ ანუ ფეიქარს ეხება:

„...გაუბია ტყუილები, თითქოს ლარი მოექსოვოს,\*

ქალი არის ქრაშოტი, ჭკუა არც კი მოეთხოვოს“...

ბუნებრივმა პირობებმა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის წარმოშობამ და განვითარებამ ხელი შეუწყო მთიან რაიონებში მეჯოგეობის გავრცელებას, რაც თავის მხრივ იძლოდა მეორეული, არანაკლებ შრომატევადი საქმიანობის რეალიზების საშუალებას, კერძოდ, მუშავდებოდა მატყლი, შალების, ქუდების და ნაბდების საწარმოებლად, ხოლო ბარის პირობებში ბამბისა და აბრეშუმის წარმოება ხელს უწყობდა ნარმის, ხამის, დარაიას ქსოვილების დამზადებას.

აჭარაში შინამრეწველობის დარგებს (...ლითონებისა და ხის დამუშავებასთან ერთად) შორის მნიშვნელოვანი ადგილი ფეიქრობას ეჭირა, მაგრამ დამონებული საზოგადოებრივი და ოსმალური პოლიტიკა ხელს უშლიდა საფეიქრო პროდუქციის ბაზარზე გატანას.

ფეიქრობისათვის საჭირო ნედლეულის მოპოვება ბარის რაიონებში აბრეშუმისა და ბოჭკოვან მცენარეთა (სელი, კანაფი) გადამუშავების შედეგად ხდებოდა<sup>2</sup>, ხოლო მთიან რაიონებში ასეთი ნედლეულის წყაროს წარმოადგინდა მეცხვარეობა, მაგრამ ის არ ითვლებოდა სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად...

ზემო აჭარაში მისდევდნენ თხის ბეწვის დამუშავებასაც. ძაფისაგან წინდებსა და პაიჭებს ამზადებდნენ, ამის გამო მოსახლეობა ძირითადად შინ ხაქსოვებით იძოსებოდა<sup>3</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საფეიქრო მრეწველობასთან დაკავშირებულ სამუშაოებს ქალები ასრულებდნენ, ისინი შრომობდნენ ინდივიდუალურად და კოლექტიურად. კოლექტიური (ნადური) შრომის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს საფეიქრო ღექს-სიძლერების შექმნა და შესრულება.

ქალები, ბევრ შემთხვევაში იმ მმიმე ტვირთს იმსუბუქებდნენ, რომელიც მათ კისერზე აწვათ; კოლექტიური შრომა-საქმიანობა იძლეოდა მხიარულებისა და გართობის საშუალებას, ისინი შაირობდნენ, ყვებოდნენ ზღაპრებს, სხვადასხვა ამბებს, რაც საშუალებას იძლეოდა შექმნილიყო ჩვენამდე მოღწეული ე. წ. ქალების ღამის ნადის (კოლექტიური შრომის) ანუ მამითადის ზეპირსიტყვიერების ბრწყინვალე ნიმუშები.

„კალოთანელთ მჩეჩელინ ზეან, დადგა მატყლის წეწაიო,

შუაღამებ მაატანა, არ გაჩეჩეს კეჭაიო.

ჩვენი ნინო გაუკავრდა, – უნდა დავსცე ჩეკაიო!

მაგისა მაღექსებელსა ერთ თამბაქოს წეკვაიო,

მწარე ეგეთი იყოს, რო დაავიწყა სწეკვაიო.<sup>4</sup>

ეს ლექსი ჩაწერილი არის ხევსურეთში, და მოგვითხრობს ზამთრის ცივ დამეტებში, 3-4 საათამდე შეკრებილი ქალების საქმიანობაზე ანუ ჩეჩვაზე.

ზოგადად, ქართული საფეიქრო ლექს-სიმღერები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1. საფეიქრო-საყოფაცხოვრებო, ანუ ჩეჩვასა და რთვასთან დაკავშირებული ლექსები და სიმღერები და 2. საფეიქრო-სატრფიალო ლექს-სიმღერები.

სადაცო არ უნდა იყოს ის, რომ საფეიქრო პოეზია სრულიად ასახავს ქალის შინაგან და გარეგნულ იერსახეს. ის მოქანცველ შრომას უთავსებს და უნაცვლებს გულის დარღებს და მეტად ემოციური პოეტური სურათი იქმნება, ის ხშირად თავის ტრფიალს აქსოვს მაფის რთვაში, აქვს ოპტიმიზმის რწმენა და ღილინება:

„ერთე, ერთე ფარტენაო, ჩაეხვიე ტარზედაო,  
ჩემი გულის ნანდაური, კახეთს არის ცხვარზედაო,  
წადგება და წამოდგება კახელების ბაზედაო,  
წლისთავზედა მოსვლა მითხრა, თვალი მაქვის გზაზედაო“.

ლექსში სატრფიოს სახე არის ამაღლებული შთაგონების წყარო თავისი ფერადოვნებითა და ამღრებული უღარედობით:

„გავხედენ და მოგოგავდა, ლურჯა ცხენი ნალზედაო,  
აკვდებოდა თეთრი ჩოხა წითელ ახალუხზედაო,  
შავი ქუდი უხდებოდა მთვარესავით პირზედაო,  
დაენაცვლოს მზევინარი შაშვენებულს ტანზედაო“.<sup>5</sup>

საინტერესო სიღნალის რაიონის სოფელ ბოდბისხევში ჩაწერილი ერთი პატარა სტროფი, სადაც ფეხმძმე ცოლი სულმოუქმედად ელო-დება სატრფოს, თან დროს არ აცდებს და საჩეჩელთან მუშაობს.

„ვართავ და ვართავ, ვჩეჩავ და ვჩეჩავ  
მე გულს ვაყოლებ ამ დარღებს ტიალს,  
ჩემ ნანდაური მამიტანს ამბებს  
და მივეცმით უსაზღვრო ტრფიალს!\*

უმეტეს შემთხვევაში კოლექტიური შრომის დროს 10-15 ქალი იკრიბებოდა ერთ ოჯახში, სადაც მასპინძელი ქალი იწყებდა „მხატვრულ ნაწილს“,<sup>6</sup> აღსანიშნავია ერთი საინტერესო გარემოებაც: როდესაც ნადი იკრიბებოდა, ყველა ქალი ერთდროულად ვერ ახერხებდა მისვლას, მათ იცოდნენ მასპინძელს ვინ ჰყავდა მოხმობილი ნადზე, ამიტომ მის მისვლამდე იგონებდნენ აატარო ლექსებს ან შაირებს და დაგვიანებულს ასე ხვდებოდნენ\*: „საჩეჩელში მატყლით დამრჩა,  
მე შენიდან სათრი დამრჩა“.

რაზედაც დაგვიანებული უპასუხებდა:

„საჩეჩელი ჩეჩებითა  
ჩიმითვალე ბეჩებითა“.

სხვათა შორის ასეთივე მნიშვნელოვანი დეტალი შეიძლება მოვიძიოთ ზემომცერულ ნადურ საქმიანობაშიც.

როდესაც ბატები დაწყებდნენ ბუმბულის გამოცვლას, წესი იყო, ოჯახის დიასახლისი დაიჭერდა მათ, ფრთებს დააცლიდა, გულზე ბუმბულს გააცლიდა და ყველაფერს ამას შეინახავდა სპეციალურად შეკერილ ნაჭრის პარკებში, მერე რამდენიმე მეზობლის ქალს დაუმახვილდა და იწყებოდა „ბუმბულის წეწვა“. სწორედ ამ დროსაა შექმნილი ეს პატარა ლექსი (დაგვიანებულს მიუმღერეს):

„ბუმბულის წეწვა დავამთავრეთ,  
შეგვიპერავს ბალიშებიც,  
გერმის ნაწილს შენ მიხედე,  
თუ არ მოვლენ ბადიშები...“\*

იყო შემთხვევებიც, როცა საშუალების მიხედვით, ცეკვის დროს სრულდებოდა სიმღერები:

„ხერტლმა ხელი დამგალა,  
ხერტალ გასატეხელმა,  
დამპირდა და მომატყუა,  
კისერმოსატეხელმაო“.

საფეიქრო სამუშაოების დროს ნადის მონაწილეები პირდაპირ სიმღერისა და ცეკვის ტაქტზე ასრულებდნენ ძაფის რთვისა და ძახვის სამუშაოებს.<sup>7</sup>

ყველაზე მეტად პოპულარული, თანაც პოეტური და დახვეწილი იყო ნადის დროს ქალების გაშაირება, რომელიც მრავალფეროვნებით და გამართული ლიტერატურული ენით გამოირჩეოდა:

„საჩეჩელო, გამიჭარი  
მატყლი არის გასაჩეჩი.  
ზამთარია მოსავალი,  
თოვლი მოგვაყარა ჭერში.  
ქმარს წინდება მოვუქსოვო  
ფეხშიშველი ვერ გეივლის,  
ეს ზამთარი ცუდი არის  
უსიცივოდ არ ჩეივლის“.

იმის გამო, რომ დღისთვის უამრავ საოჯახო საქმეს ასრულებდნენ ქალები, შემდეგ კი დამით (თითქმის გათხნებამდე) ისევ შრომობდნენ. ბუნებრივია შრომა-საქმიანობის დროს დამით ძილი მოერეოდათ, რის გამოც ძალიან ხშირად მიმართავდნენ ძილისპირულებს, რომლებიც სრულდებოდა ქსოვის დროს:

„ძილო, რას მეძინები,  
მე საბრალოსაო,  
ქმარს პერანგი არ მიცვია  
მე საბრალოსაო,  
დოუსტავ და შეუკერავ  
იმ საბრალოსაო...“

ან კიდევ:

„ძილო ნუ დაგვეძინები, ძილო ბატონოვო,  
შორსა წადი, შორსა დადექ; ძილო ბატონოვო“.

მეტად საინტერესოა ნაღური საქმიანობა სათევზაო ბადეების ქსოვის დროს; ამ შემთხვევაში ძირითადად, არა საქმის გამო, არამედ „მონატ-რებული, დაგველებული დროის გახსნების, დარდისა და სიხარულის გაზიარებისათვის იკრიბებოდნენ“.\*

სამწუხაროდ, ორი ნიმუში მოგვეპოვება ამ საქმიანობის ამსახველი და ერთი ჩაწერილია გელათში (ქუთაისი):

„...გოგო, რა კარგი თეთრი ზარ, წელში ზარ ბაწანწყალაო,  
შენმა ჯვარამა და სურვილმა, ლეკვივით მაწაწყანაო“.<sup>8</sup>

ხოლო მეორე საჩხერეში:

„შემეხვეწა- მოვუქსოვე, აბრეშუმის ბადეო,  
გაეხარდა, თან ამბობდა: ახლა დავიბადეო,  
ამისთანა არ მინახავს, გადავმაღავ საღმეო,  
გაიხარე, დაგელოცოს ეგ ქალური საქმეო“.\*

მთქმელმა აღნიშნა, რომ: „როდესაც ქალები იკრიბებოდნენ, ისინი არა მარტო ბადეებს, არამედ სურსათის ბადურებსაც ქსოვდნენ და ერთ-მანეთს თავიათ გამოგონილი ლექსებით ეხუმრებოდნენ“.

ფაქტია, ქართველი ხალხის ნიჭი, განწყობა შრომისა და მხატვრული აზროვნებისა შერწყმული იყო და არის, მითუმეტეს ისეთი დამქანცველი შრომის დროს როგორც ეს იყო საფეიქრო შინა მწერველობის საქმიანობა, სადაც ბევრ შემთხვევაში, ყოველდღიური მძიმე შრომით გაწამებული ქალი ჩეჩვის, რთვის, ქსოვის, ბუმბულის წეწვის ნაღში ყოფნისას, წუთით ივიწყებდა თავის ბეღუკუღმარობას და ცდილობდა სხვა უხილავ სამყაროში ეგრძნო თავი.

უძველესი ტრადიციები გაუსლი საუკუნის შუა დრომდე იყო შემორჩენილი, რაც ნელ-ნელა გაქრა და მის ადგილზე მანათობელ ვარსკვლავებად დაგვრჩა ხალხის პოეტურ აზროვნებაში შემორჩენილი ის პატარა მარგალიტები, რასაც ჰქვია საფექირო შინამრეწველობასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები და შაირობანი.

მდიდარი პოეტური ნიმუშები, თემატიკით და ჟანრობრივი თავისებურებებით დღესაც არ კარგავენ ელფერს, მათში შერწყმულია სატრუალო, საყოფაცხოვრებო და სოციალური მოტივები, თითოეული მათგანი ნაყოფია ქალთა შემოქმედების და სრულიად პასუხობს იმ მოთხოვნებს, რასაც ზეპირსიტყვიერებაში ხალხური პოეტური შედევრები ჰქვია.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, თბ., 1956, გვ. 53. 2. ჯ. ჩხეიძე, შრომის პოეზია, თბ., 1983, გვ. 65, 69, 101. 3. ქართული ფოლკლორი, ტ. , თბ., 1981. 4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V, VI, I, თბ., 1977-83. . 5. რუსთაველი, „ვეუბისტყაოსანი“, თბ., 1967 წ. გვ. 36. 6. თ. ყაუხჩიშვილი, პეროდობები ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960, გვ. 105. 7. ვაჟა-ფშაველას ენინგრაფიული წერილები, თბ., 1917, გვ. 37, 87, 103. 8. ხალხური სიტყვიერება, ე-თაგაიშვილის რედაქციით, თბ., 1917, გვ. 128. 9. ქ. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია, თბ., 1960. 10. ვახტანგ კოტეტიშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. IV, თბ., 1937. \* აღნიშნული მასალები შეკრებილია სტატიის აგტორის მიერ, 1992-93 წლებში მოწყობილი ექსპლიციას დროს.

## Mamuka Tsukhishvili

### Poem-songs of labour (Light industry)

From old times in Georgia great attention was focused on domestic-industrial fields of labour, including light industry labour. Basis for it was laid in the period of sheep breeding farming revival and wool manufacture.

At the time of light industry collective (naduri) gatherings, which involved only women, frequently took place. In a house of one of the hostess the women hacked, spin wool and knitted a great number of clothes from dawn to dusk. During that period unique works of national poetic folklore which were distinguished by their thematic and genre peculiarities were created.

Mostly they were of everyday life- social and amusing poem-songs, where narrators and performers expressed their feelings and shared cordiality and love to each other.

With the help of works of folklore created in the process of this collective labour, women tried to forget about harassing labour and relieve concern caused by their bad fortune.

Unique works of national folklore created in the period of light industry labour is a heritage of the past and we are obliged to share the pleasure received from the knowledge of this heritage with our descendants.

## პულტურის პარადიგმები

თამარ კოშორიძე

### ცისფერი მაიმუნი – უბრალოდ ფუფუნების საგანი თუ საკრალური ცხოველი

ხელოვნება და, აქედან გამომდინარე, ფერწერა, ყოველთვის გამოხატავს და აღწერს თავის თანამედროვე ყოფა-ცხოვრებას, სადაც ჩანს ადამიანის აზროვნება, რელიგიური წარმოდგენა. ხელოვნების ნიმუშით იქმნება ერთგვარი სურათი იმდროინდელი ცხოვრებისა. ასევე მინოსურ ცივილიზაციაშიც, რომლის ფერწერაში ჩანს მაშინდელი ადამიანის ინტერესი, სამყაროს ხედვა, მისი აღქმის თავისებური სტილი.

იმისათვის, რომ მინოსელმა ხელოვანმა გამოხატოს შთაბეჭდილება, ემოცია საგნის მიმართ, მას არ სჭირდება საგანთა ზუსტი გამოსახვა. იმდროინდელი მხატვარი ამისაგან თავისუფალია. მისი ამოცანა მაყურებლისათვის ხელშესახები გახადოს სწორედ ამ საგნის მიღმა არსებული, ის, რაც ჩვეულებრივი თვალით კი არა, არამედ მხოლოდ გულის თვალით თუ შეიმჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ უფრო დიდი ყურადღება ეთმობა გამოსახულის მიღმა არსებულს, იმას, რაც თვალით უხილავია, ასეთი ფერწერული ნამუშევარი მაინც საოცრად ესთებურია.

ეშირად გამოსახულება გაცილებით უკეთესად ინახავს ინფორმაციას ამა თუ იმ ცივილიზაციისა და პულტურის შესახებ, ვიდრე ჩანაწერები. სწორედ ასეთი სურათი გვაქვს მინოსურ ცივილიზაციაშიც. მართალია, იმდროინდელ ჩანაწერებსა და ლიტერატურულ წყაროებს ამ მაღალგანვითარებული კულტურის შესახებ ჩვენამდე არ მოუდწევია, მაგრამ, სამაგიეროდ, მოგვეპოვება არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი

ის ვიზუალური მასალა, რომელიც საქმაოდ ნათელ წარმოდგენის ქმნის ბრინჯაოს ხანის მინოსურ ცივილიზაციაზე.

ბრინჯაოს ხანის ფერმწერი საოცარი სიზუსტით ხატავდა მგეოსის აუზისათვის დამახასიათებელ ფლორასა და ფაუნას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გასარგევად, თუ რას საქმიანობდნენ, რითი იყვნენ დაკავებულნი II ათასწლეულში მგეოსის აუზში მცხოვრები ადამიანები.

მინოსური პერიოდის ფრესკულ ფერწერაში შეიძლება ფლორისა და ფაუნის გამოსახვის რამდენიმე ჯგუფი გამოიყოს; კერძოდ კი: 1) ფრესკები, სადაც მხოლოდ ფლორა და ფაუნაა გამოსახული და შესაძლებელია, რომ რელიგიური დატვირთვა არ ჰქონდეს ანუ მხოლოდ ესთეტიკური ფუნქციის მატარებელი იყოს, 2) კედლის მხატვრობა, რომელზეც ადამიანების გვერდით ფლორისა და ფაუნის ამსახველი ფრესკებია, რომელთაც დუმასი ნარატიულად მიიჩნევს (1,75) და 3) როდესაც ცხოველთა და მცენარეთა სამყარო რიტუალის ამსახველ ფრესკებში გვხვდება და მოიაზრება საქრალური მნიშვნელობის მატარებლად.

ჩვენს მოხსენებაში სწორედ იმ ფრესკებზე გავამახვილებთ ყურადღებას, სადაც ცხოველი რელიგიური რიტუალის მონაწილეობით გვევლინება და, ხშირ შემთხვევაში, ადამიანთან შედარებით მაღალ საფეხურზე დგას. ასეთ ცხოველად კი ცისფერი მაიმუნი მოიაზრება, სწორედ მასზე შევაჩერებოთ ჩვენს ყურადღებას და შევეცდებოთ ის განვიხილოთ სხვა მითურ და, ამავე დროს, წმინდა ცხოველებთან, რომელიც მინოსურ ფრესკულ ფერწერაშია წარმოდგენილი.

ცისფერ მაიმუნებს გამოსახავდნენ არა მარტო ფრესკულ ფერწერაში, არამედ ბეჭდებზეც როგორც კრეტაზე, ასევე ეგეოსის აუზში მდებარე სხვა კუნძულებზეც. “მაგრამ განსხვავება ის არის, რომ კიდლადური გამოსახულებები ცისფერი მაიმუნებისა არ იმეორებს კრეტის სტილს, ის თვითმყოფადია. ამას მეცნიერები იმით ხსნიან, რომ თერისა და ეგეოსის აუზის სხვა კუნძულებზე მოღვაწე ხელოვანებს საშუალება ჰქონდათ დაკვირვებოდნენ რეალურ ცხოველებს და ამით ეხელმდღვანელად მაშინ, როცა კრეტა ამას მოკლებული იყო” (10, 229-230).

აღსანიშნავია, რომ მაიმუნის გამოსახულება ძალიან იშვიათია მიკენური იკონოგრაფიისათვის. ამ პერიოდის მხოლოდ ორი ნიმუშია ცნობილი, რომელთაგან ერთი გამოსახულია მიკენურ ვაზაზე (რიტონზე) (11, 202-203, ფიგ.1, 3), ხოლო მეორე

კი ბეჭედზე პილოსიდან. მეცნიერების აზრით, პირველი ნიმუში თერაზე აღმოჩენილი გამოსახულებების თანამედროვეა და სავარაუდოდ კრეტის სახელოსნოში უნდა ყოფილიყო დამზადებული (11,208). რაც შექხვა ბეჭედს პილოსიდან, ის ძველ ჰელადურ III B 2-III C პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს და მიუხედავად საქმაოდ გვიანდელი დათარილებისა, ის კრეტის სახელოსნოში უნდა ყოფილიყო დამზადებული, ანდა კრეტის მოდელის მიკენურ კოპიას უნდა წარმოადგენდეს. ამგვარად, მაიმუნის იქონოგრაფიული გამოსახულება სრულიად უცხო უნდა ყოფილიყო მიკენური ცივილიზაციისათვის (12,236).

საკმაოდ სანტერესო სურათს გვიშლის აკროტიოში აღმოჩენილი ფრესკა Xeste 3-დან, სადაც გამოსახულნი არიან ახალგაზრდა ქალიშვილები, რომლებიც ზაფრანის ყვავილების შეგროვებით არინ დაკავებულნი, მოგროვებულ ყვავილებს კალათაში აწყობენ და შემდეგ მას იქვე, ამაღლებულ ადგილას, ტახტერევანზე მჯდომი ქალბატონის წინ ცლიან. როგორც ნანო მარინატოსი აღნიშნავს (7,123), მხოლოდ ახალგაზრდა ქალიშვილებს პქონდათ უფლება მოეკრიფათ ზაფრანის ყვავილები ანუ, როგორც ჩანს, ეს მცენარე პალმასთან ერთად წმინდა მცენარედ ითვლებოდა, რადგან მოგვეპოვება ფრესკები, სადაც ქალ-ღვთაებას ზაფრანის ყვავილებისაგან გაპეობული მძივი უმშვენებს ყელს. ამ ფრესკაზე სულ ოთხი ქალიშვილია გამოსახული და შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მათგანი საქმაოდ ნათლად აჩვენებს ამ საკრალური მნიშვნელობის მქონე მცენარის შეგროვების პროცესს: 1) ეს არის ის ეტაპი, როდესაც ხდება ყვავილების მოკრევა და კალათა, რომელ შიც უნდა ჩააწყოს ახალგაზრდა ქალმა ეს მოკრევილი ყვავილები, იქვე, მის გვერდით დგას; 2) ქალიშვილს უკვე ხელში უჭირავს კალათა; 3) ყვავილებით სავსე კალათით ის მიემართება ცენტრალური ფიგურისაკე და 4) ბოლო ეტაპი წარმოდგენილია იმით, რომ ქალიშვილი ქალი-ღვთაების წინ მდგარ ჭურჭელში ცლის მოგროვებულ ყვავილებს. ტახტერევანზე მჯდომი ქალის ფიგურას ხელოვანი გამოჰყოფს დანარჩენებისაგან, თითქოს ამით სურს, რომ ხაზი გაუსვას მის მნიშვნელობას და სიმბოლურად მას ყვზოტიკურ ცისფერ მაიმუნთან და მითიურ გრიფონთან ერთად გამოსახავს, რაც მიუთითებს, რომ ეს არ არის უბრალოდ ყოფითი სცენის გამომხატველი ფრესკა, არამედ აქ საქმე გვაქს ღვთაებრივ სიმბო-

ლიკასთან და ამიტომაც შემაღლებულ ადგილზე მჯდომი ქალის ფიგურა უნდა გავიგოთ როგორც ქალღმერთი.

საკმაოდ საყურადღებოა, რომ შეგროვებულ ზაფრანებს ქალღმერთს ქალიშვილი კი არ აწვდის, არამედ ცისფერი მაიმუნი ანუ ძეგენი თუ შესაწირი ქალღმერთთან სწორედ ამ გაზოტიკურ ცხოველს მიაქსეს, რომელიც გარკვეულწილად თითქოს მედიატორის როლს თამაშობს ქალ-ღვთაებასა და ადამიანს შორის. ამაზე მიუთითებს ასევე ცხოველის ადგილმდებარება. ფრესკა სიბრტყობრივად შეიძლება სამად დაიყოს: პირველი – შემაღლებული ადგილი, სადაც ქალღმერთი ზის, მეორე – სადაც ღვთაებრივი ცხოველი დგას და მესამე საფეხური, სადაც ქალიშვილი დგას, რომელიც მოკრეფილ ზაფრანის ყვავილებს ქალღმერთის წინ ცლის. საგულისხმოა, რომ ცისფერ მაიმუნს ერთი ფეხი მეორე სიბრტყეზე უდგას, სადაც ასევე ქალღმერთის ცალი ფეხიც მოჩანს, ხოლო მეორე ფეხით კი იმავე სიბრტყეზე დგას, რომელზეც ქალიშვილი ზაფრანებით ხელში. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ მაიმუნი ამ შემთხვევაში ადამიანზე ერთი საფეხურით მაღლა დგას და ქალღმერთზე ერთი საფეხურით დაბლა, ანუ გარკვეულწილად მედიატორია ადამიანსა და ქალღმერთს შორის. მთიურ გრიფონს კი უკანა ორი ფეხი მეორე სიბრტყეზე აქვს, ხოლო წინა ფეხები ქალღმერთის ზურგთან აქვს მიტანილი. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ გრიფონი კიდევ უფრო მაღლა დგას, ვიდრე ცისფერი მაიმუნი, რომელიც ადამიანზე მაღლა, მაგრამ ქალღმერთზე დაბლა დგას ანუ მაიმუნი, გარკვეულწილად, გაცილებით პრივილეგირებულია, ვიდრე ადამიანი (7,124).

ასევე საინტერესო ოქროს ბეჭედი კრეტიდან, რომელზეც ორი ფიგურა გამოხატული: პალმის ხის გვერდით ზის ქალი, ხოლო მის წინ კი მაიმუნი დგას. აქ გამოსახული ქალი აშკარად ქალღმერთია, რაღაც ის ზის და მისი ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი – პალმაც წარმოდგენილია. მეორე ბეჭედზე ფეხსტოდან კი გამოსახულია შიშველი ქალღმერთის ფიგურა, რომელიც სვეტის წინ ზის, ხოლო მაიმუნი და ქალი, რომლებიც თაყვანს სცემენ ქალღმერთს, მის წინ დგანან მსხვერპლშეწირვისათვის დამახასიათებელ პოზაში. მაიმუნი ჩაცუცქებულია მაშინ, როცა ქალის ფიგურა დგას, რაც გვაფიქრებინებს, რომ მაიმუნს კი არ მიაქსეს ძეგენი ქალღმერთისათვის, არამედ პირიქით, ცისფერი მაიმუნი მისგან იღებს ძღვენს. ყოველივე

ამასთან ისმის კითხვა: შეგვიძლია კი რომ სვეტის წინ მჯდომი ქალის ფიგურა ქალდმერთად მივიჩნიოთ? ჩვენი აზრით ეჭვს არ ტოვებს ფაქტი, რომ ეს სწორედ ქალდმერთის გამოსახულება უნდა იყოს, რადგან მას მარცხენა მუხლი მოხრილი აქვს, რაც გავარაუდებინებს, რომ კლდეზე უნდა იჯდეს, ანუ მაიმუნზე ერთი საფეხურით მაღლაა. დაბოლოს, ქალდმერთის ფიგურა დომინირებს და გაცილებით უფრო დიდი მასშტაბებით არის გამოსახული, ვიდრე დანარჩენი ორი ფიგურა.

კუნძულ თერაზე აგრეთვე მოგვეპოვება ერთი ფრესკა, სადაც მაიმუნი ზეაწეული ხელებით არის გამოსახული პაპირუსის პალმის ხეთან, რომელიც ზემოთ მორთულია წმინდა რქებით, რაც მიხოსურ კულტურაში საკულტო-რელიგიური მნიშვნელობის მატარებელია. მაიმუნის გამოსახვა პალმასთან და ეწ. “წმინდა რქებთან” უკვე ასაბუთებს ამ სცენის რელიგიურ მნიშვნელობას და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ცისფერი მაიმუნი არის მავედრებელი, ასე ვთქვათ ის ფიგურა, რომელსაც, საერთოდ, ძღვენი მიაქვს ქალდმერთან.

თავდაპირველად, ეს ფრესკა როდესაც აღმოაჩინეს, მხოლოდ ერთი მაიმუნი იყო გამოსახული, ხოლო შემდეგ, ნანო მარინატოსმა მისი ახლებური ვერსია წარმოგვიდგინა, კერძოდ კი, პაპირუსის სვეტის მარჯვენა მხარეს მან მეორე მაიმუნის ფიგურაც ადადგინა, რადგან, როგორც ის თავად აღნიშნავს, “მეორე ცხოველის არსებობა საკმაოდ რეალურად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან სვეტის მარჯვენა მხარეს შეინიშნებოდა ცხოველის კუდის ნაწილი” (8,141), რაც მიუთითებდა კიდეც, რომ ფრესკაზე მეორე მაიმუნიც უნდა ყოფილიყო გამოსახული. ეს შენობა, რომლის წინაც ცისფერი მაიმუნია დახატული, არ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც საკურთხეველი, არამედ ის სამლოცველოს უნდა წარმოადგენდეს, სადაც ერთი მაიმუნი მსხვერპლშეწირვას ახორციელებს სამლოცველოს გარეთ და, ნანო მარინატოსის აღდგენილი ვერსიის თანახმად, მეორე მაიმუნი სამლოცველოს შიგნით არის, სადაც ის მონაწილეობას უნდა იღებდეს რელიგიურ რიტუალში.

ასევე საინტერესო სურათს გვიშლის ბეჭედი ზარკოსიდან, სადაც ქალის ფიგურა დგას ჩაცუცქული მაიმუნის წინ, რომელიც თავისთავად დიდი ზომისაა და ხელები აქვს ზემოთ აწეული. ქალის მოძრაობიდან გამომდინარე მისახვედრია, რომ ის ძღვენს სწირავს და საგარაუდოდ ამ ძღვენის მიმდები სწო-

რედ მაიმუნია. ცხოველი არაპროპორციულად დიდი ზომისაა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს და მნახველის უფრადღებას ამახვილებს, რომ ცისფერი მაიმუნი იერარქიით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ადამიანი. ის ფაქტი, რომ მაიმუნი დვთაებრივ ძღვენს იღებს ადამიანებისაგან და შემდეგ ქალ-დვთაებას სწორავს, არ უნდა იწვევდეს გაკვირვებას, რადგან აკროტირში, Xeste 3-ში აღმოჩენილი ფრესკა, რომელიც ზემოთ უკვე განვიხილეთ, იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ მაიმუნი ითვლება ადამიანზე უფრო მნიშვნელოვან არსებად და იერარქიულადაც მედიატორის როლი მოკვდავსა და დვთაებას შორის სწორედ მას აკისრია. ამიტომ ბუნებრივიცაა, რომ შესაძლებელია ცისფერ მაიმუნს, როგორც მედიატორს, მოკვდავნი ძღვენს სწირავდნენ. ეს ყოველივე კი გვაფიქრებინებს, რომ იკონოგრაფია კრეტაზე სწორედ ეგვიპტიდან და ანატოლიიდან უნდა შემოსულიყო, რადგან ეგვიპტეში მაიმუნის სახე გვხვდება როგორც ხელოვნებაში, ასევე რელიგიაშიც, მაგრამ ყველა მაიმუნი კი არა, არამედ ბაბუინია უფრო მნიშვნელოვანი.

ბაბუინები ასოცირდებიან ასევე მთვარის დვთაება თოთოთან, „რომელიც ცნობილია, როგორც სიბრძნისა და დამწერლობის ღმერთი. ის წერდა ადამიანთა დაბადებისა და სიკვდილის თარიღებს და იცავდა გარდაცვლილთა სულებს“ (6, 571). ეგვიპტურ კულტურაში ბაბუინების მთავარი დანიშნულება იყო მზის შეგებება. ის გვევლინება როგორც მოცემვავე, ხილის შემგროვებელი და ღმერთის გამრთობი. ხანდახან ქალბატონების სკამის ქვეშ მჯდომიც კი წნდება ეგვიპტურ მხატვრობაში. ადსანიშნავია, რომ მისი სწორედ ეს ორი თვისება, კერძოდ კი ერთი მხრივ მხიარული, გამრთობის როლის დაკისრება და მეორე მხრივ, დვთაებასთან ასოცირება გადმოიდეს და აითვისეს მინოსელებმა (3,33-85). ასევე დსანიშნავია, რომ ბაბუინი ეგვიპტეში საკმაოდ ადრეული პერიოდიდან კრალებისა და მოწიწების მიწნეულები იყო მიჩნეული, რაც იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მოგვიანებით ის ასოცირდებოდა სიბრძნის დვთაება თოთოთან.

ასევე საინტერესოა, რომ ბრინჯაოს ხანის ეგეოსურ ფრესკებზე მაიმუნი ცისფერ ფერშია შესრულებული, ხოლო ეგვიპტეში კი მას მომწვანო ფერში ხატავდნენ, ძალიან იშვიათად ცისფერში. იქნებ მაიმუნი აღქმული უნდა ყოფილიყო მხოლოდ როგორც ფუფუნების საგანი, ანდა საჭვარელი შინაური

ცხოველი, როგორც ეს ეგვიპტური საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი. მაგრამ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ებეოსის აუზში ფრესკებზე გამოსახული ცისფერი მაიმუნები მაგაპტიდან საჩუქრად უნდა მიეღოთ მინოსელებს, სადაც ეს ცხოველები იწვრთნებოდნენ იმისათვის, რომ უცაბათ, ანდა მუსიკალურ საკრავებზე დაეკრათ მუსიკოსების თანხლებით (12,342). კრეტაზე აღმოჩენილი უძველესი ფრესკები მაიმუნის გამოსახულებით ცხადყოფს, რომ თავდაპირველად კრეტელ მხატვრებს ეგვიპტელი ხელოვანებისაგან უნდა გადმოედოთ ამ ეგზოტიკური ცხოველების გამოსახვა ფრესკებზე, რადგან ეგვოსური აუზისათვის უცხო იყო ამგვარი ცხოველების არსებობა. ხოლო მოგვიანებით, შესაძლებელია ისინი უკვე ნამდვილი მაიმუნებით იყენენ შთაგონებულნი და, როგორც ზემოთაც აღნიშნეთ, ეს ცხოველები კრეტასა და თერაზე უნდა მოხვედრილიყვნენ ძღვენის სახით, რაც დაფიქსირებულია დელეგაციის ამსახველ ფრესკაზე რეხმირეს საფლავიდან (9,3-4).

“რაც შეეხება ანატოლიასთან ურთიერთობას, აშკარაა, რომ ანატოლიური მოტივები შესამჩნევად იჩენს თავს შუა ბრინჯაოს სანის კრეტაზე, რადგან ფეხტოში აღმოჩენილი ბეჭდები აჩვენებს ძალიან ახლო მსგავსებას ანატოლიურ კულტურასთან. მაიმუნის ფორმის ბეჭდებიც, რომლებსაც შესაძლებელია თილისმაღაც იყენებდნენ, აღმოსავლური წარმოშობის უნდა იყოს” (5,241, 253).

აღსანიშნავია, რომ ეგვიპტურ და მესოპოტამიურ ხელოვნებაში მცენარეები და ცხოველები გაცილებით უფრო ბოტანიკური და ზოოლოგიური სიზუსტით არის გამოსახული, ვიდრე ეს მინოსურ კულტურაშია. იქნებ იმიტომ, რომ კრეტელი ხელოვანი გაცილებით უფრო სპონტანურია და ამით განსხვავდება კიდევ თავისი თანამედროვე ეგვიპტელი თუ მესოპოტამიელი მხატვრისაგან?

გარდა ზემოთჩამოთვლიდი ხელოვნების ნიმუშებისა, საგულისხმოა “ზაფრანის შემგროვებლის” ფრესკა კრეტიდან. არტურ ევანსმა ეს ფრაგმენტი დაათარიღა შუა მინოსური II პერიოდით და ადადგინა როგორც ბიჭი, რომელიც აგროვებს თეთრი ზაფრანის ფვავილებს (2, ტაბულა IV). საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავდაპირველი სახით ფრესკაზე შემორჩენილი იყო მხოლოდ ფიგურის ტორსი, წინა და უკანა ფეხების ფრაგმენტები, რომელიც ცისფერ ფერში იყო შესრულებული, რაც

მიუთითებდა, რომ ფრესკაზე გამოსახული ფიგურა ცისფერი უნდა ყოფილიყო. საინტერესო და საყურადღებოა, რომ ევანსმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის ადამიანის ფიგურად აღადგინა მაშინ, როცა მთელ ეგეოსურ ხელოვნებაში არ მოიძებნებოდა არც ერთი ფრესკა, სადაც ადამიანის ტორსი ცისფერ ფერში იქნებოდა შესრულებული. თუმცა ახლა აღიარებულია, რომ ეს ადამიანის ფიგურა კი არა, არამედ ცისფერი მაიმუნი უნდა იყოს. მაგრამ ამავე დროს ჩნდება კითხვა, ეს ცხოველი ამ კონკრეტულ ფრესკაზე მტაცებლად უნდა ჩაითვალოს ანუ ის ნადირობს, როგორც ეს არის დაფიქსირებული კუნძულ თერაზე აღმოჩენილ ფრესკაზე კ.წ. “ფრესკების სახლიდან” (ამ ფრესკაზე გამოსახულია დაახლოებით 6 მაიმუნი, რომელიც თითქოს ნადირობს და დაცდილობს საკვების მოსაპოვებლად კვერცხებით სავეს ბუდეები გაანადგუროს) თუ სარიტუალო ცხოველად, რადგან თერაზე აღმოჩენილი ფრესკების თანახმად, სწორედ ცისფერ მაიმუნს აქვს უფლება და პატივი, რომ ზაფრანის კვავილები მიართვას ქალ-დვთაებას და, რაც ასევე საყურადღებოა, მამაკაცი არასდროს იღებდა მონაწილეობას ზაფრანის შეგროვებაში. “საინტერესოა, რომ მაიმუნის ფიგურის კიდურებსა და წელს წითელი სარტყელები ამჟღვნებს, რაც მიუთითებს, რომ ეს მოშინაურებული მაიმუნი უნდა იყოს და არა მტაცებელი ან მონადირე ცხოველი, რომელსაც შესაძლებელია მონაწილეობა მიეღო რადაც რელიგიურ რიტუალში” (4,41).

როდესაც ამ შთამბეჭდავ და გარკვეულწილად დეკორატიულ ფრესკას უკურებთ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ის თითქოს ზემოდან არის დაახული, სწორედ ამიტომაც იქ ცა საერთოდ არ ჩანს და მაიმუნი გარშემორტყმულია კლდოვანი ლანდშაფტით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ლანდშაფტი გარს ევლება ცისფერი მაიმუნის ფიგურას და წრეში ანუ ცენტრში მოაქცევს მას. ამ ფრესკაზე მაიმუნი, თითქოს არ არის რეალური, ის უფრო წარმოსახვითია. ერთადერთი, რაც მართლაც რეალობის შთაბეჭდილებას ტოვებს, ეს არის თავად ზაფრანის თეთრი კვავილები, რომლებსაც საოცრად ბუნებრივად გამოსახავს მხატვარი, თითქოს სიოც კი იგრძნობა, რომელიც ამ კვავილებს არხევს.

ფრესკა “ზაფრანის შემგროვებელი” კრეტიდან, თერის Xeste-3-ში აღმოჩენილი ფრესკა, სადაც ცისფერი მაიმუნი ძღვენს სწირაგს ქალ-დვთაებას და ფრესკა, კ.წ. “მლოცველი მაიმუნისა”, სადაც ეს საკრალური ცხოველი ზეაწეული ხელგ-

ბით წმინდა რქებისა და პალმის ხის ფონზე ჩნდება, თავისი გარეგნობით საკმაოდ განსხვავდება მაიმუნებისაგან, რომლებიც გამოსახულნი არიან “ფრესკაზე მაიმუნებით” (აკროტირი, ოთახი B 6) და ასევე “ფრესკების სახლში” აღმოჩენილი ნახატისაგან ცისფრი მაიმუნებით. ამ ორ ფრესკაზე ცხოველი გაცილებით ახლოს არის რეალობასთან ანუ მისი გამომეტყველება, მოძრაობა, რეალურად შეესაბამება კიდეც მაიმუნის ქმედებას და საკმაოდ განსხვავდება იმისაგან რაც “მლოცველი მაიმუნის”, “ზაფრანის შემგროვებლისა” და Xeste-3-ში აღმოჩენილ ხელოვნების ნიმუშებზე გვხვდება. აქ მაიმუნი გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზეა, ვიდრე ადამიანი, უფრო სტილიზებულია და რეალობისაგან შორს არის. გასაგებია, რომ ხელოვანი ამას შეგნებულად აკეთებს, რადგან მისი მნიშვნელობა აჩვენოს, მნახველს დაახახოს, რომ ის საკრალური, სარიტუალო ცხოველია და არა უბრალოდ მაიმუნი, ისეთი, რომელიც ოთახ B 6 -სა და “ფრესკების სახლში” გვხვდება. ხელოვანი ითვალისწინებს ყველა, უმნიშვნელო დეტალსაც კი, რათა ბუნებრივად გამოსახოს მაიმუნი. იქ ყურადღება ექცევა ფერებს, კონტურებს, სახის მოყვანილობას, თვალებს, გამომეტყველებასა და ასების ტიპების განვითარებას, რომელიც ოთახ B 6 -სა და “ფრესკების სახლში” გვხვდება.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ცისფერი მაიმუნი, რომელიც უგეოსურ ცივილიზაციაში ეგვიპტიდან შემოვიდა, შესაძლებელია თავდაპირველად შხოლოდ ფუფუნების საგნადაც კი ითვლებოდა და ფრესკებზე მას მხოლოდ სილამაზისა და უგზოტიკურობისათვის გამოსახავდნენ. მაგრამ ფაქტია, რომ მას ასევე გაცილებით უფრო მეტი დატვირთვა ჰქონდა (როგორც მედიატორს ქალ-დვოთაებასა და ადამიანს შორის) და ადამიანზე მაღლა მდგომადაც ითვლებოდა. ამ განსხვავებას მინოსური პერიოდის ხელოვანები არაჩვეულებრივად გადმოსცემდნენ. ისინი თავიანთი ოსტატობით იმდენს ახერხებდნენ, რომ მნახველისათვის აშკარად ეჩვენებინათ ფრესკაზე გამოსახული მაიმუნი საკრალური ფიგურა იყო, თუ ჩვეულებრივი ეგზოტიკური ცხოველი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მინოსელი მხატვრის ოსტატობასა და ესთეტიკურობის საოცარ შეგრძნებაზე.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. **Doumas, Christos G.**, 1984. *Thera-Pompeii of the Ancient Aegean (Excavations at Akrotiri 1967-1979)*. London. 2. **Evans, A.** 1921-1936, *PM (The Palace of Minos)* I, London. 3. **Helck, W. & Otto, E** (eds.), 1975, *Lexikon der Agyptologie*. 4. **Immerwahr, Sara A.** 1990, *Aegean Painting in the Bronze*

**Age**, The Pennsylvania State University Press, University Park and London. **5. Levi, D.** 1969, Parole del Passato. **6.** Lexikon der Antike, 1985, Leipzig. **7. Marinatos, Nanno**, 1987, An Offering of Saffron to the Minoan Goddess of Nature: the Role of Monkey and the Importance of Saffron, in: *Gift to the Gods, Proceedings of the Uppsala Symposium 1985*, Sweden, Stockholm. **8. Marinatos, Nanno** 1988, The “African” Of Thera Reconsidered, in: *Proceedings of the 5<sup>th</sup> International Symposium at the Swedish Institute at Athens, 26-29 June, 1986, Opuscula Atheniensia XVII*, Stockholm, Sweden. **9. McDermott, W. C.** 1938, The Ape in Antiquity, Baltimore. **10. Paulinos, A. N.** 1972, The Discovery of the First Victim of Thera’s Bronze Age Eruption, in: *Archaeology* 25. **11. Sakellariou, A.** 1975, La scène du siège sur le rhyton d’argent de Mycènes d’après une nouvelle reconstitution, RA. **12. Vanschoonwinkel, J.** 1990, Animal Representations in Thera and Other Aegean Arts, in: *Thera and The Aegean World (TAW) III, vol. I, eds.: D.A. Hardy with C. G. Doumas, J. A. Sakellarakis, P. M. Warren, The Thera Foundation, London.*

## Tamar Koshoridze

### The Blue Monkey a Pet or a Sacred Animal

The Minoan painting expresses animation and living movement, its spontaneity and delight in nature, which sets it apart from the contemporary art of Egypt and Mesopotamia. An iconographic and typological analysis of the frescoes with blue monkeys, which are among the earliest representations in Crete, shows that the Minoan engravers were inspired by Egyptian figurines. That the monkey held an important place in ancient Egypt is well known. It was not only appreciated as a companion by both men and women, but is shown co-operating in various human activities. In addition monkey very early became an object of veneration, associated later especially with the god of wisdom, Thot.

The representation of monkeys in the Aegean seems, according to the evidence of the earliest Cretan examples, to have at first been borrowed from Egyptian iconography. Later on, the painters of Aegean frescoes were probably inspired by real monkeys. These must have arrived in Crete and Thera as gifts.

There are two subgroups of the frescoes with blue monkeys in Minoan iconography. There are two frescoes from Thera in the first subgroup, one from the Room B-6 and another is from the “House of the Frescoes”, where the monkeys are acted sometimes like pets and sometimes like predators. In the second subgroup there are frescoes and seals, where monkey is acting like a sacred and privileged animal. The blue monkey sometimes is adorant, sometimes worshipper. The painting from Xeste 3 showed that they were considered more important than humans and that a hierarchy was implied in which the monkey was an intermediary between humans and the divinity. The monkey is thus privileged in a two-fold fashion, by standing nearer to the goddess than the humans and by offering her the processed product (white crocuses) which obviously had a great value.

## ლეგან ცაგარელი

### ფიქცია და კომუნიკაცია

სინამდვილეზე ყოველგვარი ენობრივი ქმედება  
მიზანმიმართულია, მხოლოდ მიზანია სხვადასხვა ...<sup>1</sup>  
რომან იაკობსონი

ფიქციაზე სხვადასხვაგვარი შეხედულებები არსებობს. სამეტყველო აქტების თეორეტიკოსები (ჯონ სერლი, გრეგორი ქარი) ფიქციონალობას ავტორის ჩანაფიქრს, ინტენციას უკავშირებენ. სხვები (მაგალითად, კენდელ უოლტონი) თვლიან, რომ ფიქცია მხოლოდ რეციპიენტის (მკითხველის, მსმენელის, მაყურებლის) წარმოსახვაში არსებობს. დევიდ ლიუის იგი სინამდვილეზე თანადროული საზოგადოების წარმოდგენიათა მანიფესტაციად მიაჩნია. ჟერარ ჟენეტი და დორიო ქონი კი ცდილობენ, ფიქციონალობა ნაწარმოების შინაგან აგებულებაში, სტრუქტურაში აღმოაჩინო.

მოცემული ნარკვევის მიზანია, თითოეული ამ შეხედულების განაცლიზების გზით მათი ნაკლოვანებების ჩვენება და ისეთი სინთეზური მოდელის შემუშავება, რომელშიც სხვადასხვა თეორიების ერთ მთლიანობად გაერთიანება იქნება შესაძლებელი.

---

მოცემული ნაშრომის შესრულება შეუძლებელი იქნებოდა “შვედური ინსტიტუტისა” (Svenska Institutet) მხარდაჭერის გარეშე, რომელმაც დააფინანსა ჩემი ხუთოვიანი სამცნიერო მივლინება სტოკჰოლმის უნივერსიტეტში. მადლობა მინდა გადაეცეხადო აგრეთვე პროფ. დოქ. იორან როსკოლმს ხელმძღვანელობისათვის.

<sup>1</sup> Roman Jakobson, Lingvistik och poetik, I: Poetik och lingvistik. Stockholm 1974, s. 141 (აქ და ქვემოთ თარგმანი ჩვენია. – ლ.ც.)

## ფიქციონალური კომუნიკაციის ასპექტები

როდესაც შემოქმედი თავის ნაწარმოებს ქმნის, იგი ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ცდილობს გაგვიზიაროს თავისი აზრები, გრძნობები, შეხედულებები და ა.შ. ამდენად, ყოველი ნაწარმოები – ნახატი იქნება ეს, სკულპტურა თუ მუსიკალური კომპოზიცია – შეიცავს ერთგვარ შეტყობინებას, რომელიც აღქმულ უნდა იქნას მაყურებლის, მკითხველის ან მსმენელის მიერ. არ არსებობს ნაწარმოები შემოქმედის გარეშე, თუმცა, ყოველი ნაწარმოები შინაარსს მოკლედული აღმოჩნდება, თუ არ არსებობს რეციპიენტი, ანუ ის, ვინც შეტყობინების მიღებას შეძლებდა. აქედან გამომდინარე, ორივე ასპექტი – ავტორიც და რეციპიენტიც, აუცილებელი პირობაა მხატვრული ნაწარმოების არსებობისთვის, თვითონ ნაწარმოები კი შეიძლება განვიხილოთ როგორც ავტორსა და რეციპიენტს შორის კომუნიკაციის საშუალება.

კომუნიკაციის ერთერთი ყველაზე მარტივი და სადა მოღელი ჯერ კიდევ XX ს-ის 50-იან წლებში განავითარა რომანიაკობსონმა. ამ მოღელის თანახმად, კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმა მოიცავს სამ ინსტანციას: გამგზავნი, მიმღები და შეტყობინება. ჩვენ განვიხილავთ თითოეულ მათგანს და შევეცდებით დავადგინოთ, თუ რომელი ინსტანცია განსაზღვრავს ნაწარმოების ფიქციონალურ ხასიათს.

### ავტორი

სტრუქტურალისტების (რომან იაკობსონი, იან მუკარუვსკი) შემდეგ სამტკველო აქტების თეორებიკოსებმა პირველად მიაკვიეს ყურადღება იმას, რომ ფიქცია კომუნიკაციის განსაკუთრებული ფორმა. ჯონ სერლის (John Searle) მიხედვით, ლიტერატურული ნაწარმოების ფიქციონალობას ავტორის ინტენცია განსაზღვრავს: ავტორი ნაწარმოების წერისას ისე იქცევა, თითქოს იღობური ქმედებებს ახორციელებდეს.<sup>1</sup> გრეგორი ქარი (Gregory Currie) სამართლიანად აკრიტიკებს სერლის ამ “მოზენებითობის თეორიას” (pretence theory) და აცხადებს, რომ

<sup>1</sup> John Searle, The logical status of fictional discourse, In: Expression and meaning: studies in the theory of the speech acts. Cambridge 1996, s. 68

ავტორი მოჩვენებითად კი არ ასრულებს ოაიმე ქმედებას, არა-მედ ის ასრულებს ერთადერთ ქმედებას, რომელსაც ფიქციის შექმნა (fiction-making) შეიძლება ეწოდოს. სერლის შეცდომა გა-მოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ის უგულებელყოფს მთხოვბლის ინსტანციას და მას ავტორთან აიგივებს, მაშინ, როცა ამ ორ ინსტანციას შორის სხვაობა ნაწარმოების ფიქციონალობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია (იხ. ქვემო).

არც ქარის თეორიაა სრულყოფილი, მიუხედავად იმისა, რომ ის აღარ უშევებს იმავე შეცდომას და გარკვევით განარ-ჩებს ერთმანეთისგან მთხოვბელსა და მწერალს. ქარის აზრით, ფიქციონალური ნაწარმოების ავტორი ახორციელებს კომუნიკა-ციურ აქტს და მიზნად ისახავს იმას, რომ მკითხველმა მოჩვე-ნებითად დაიჯეროს მოთხოვბილი ამბავი. მაგრამ ასეთ შემთხ-ვევაში გაუგებარია, ვინ განსაზღვრავს ნაწარმოების ფიქციონა-ლობას – მკითხველი თუ ავტორი. სხვაგან ქარი აზუსტებს თა-ვის თვალსაზრისს და დასძენს, რომ მკითხველმა თვითონ უნდა შენიშნოს ნაწარმოების ავტორის ჩანაფიქრი, რომლის მი-სევითაც მკითხველში უნდა აღიძრას ნაწარმოებისადმი მოჩვე-ნებითი დაჯერების (make-believe) დამოკიდებულება. აქდან გა-მომდინარეობს დასკნა, რომ ნაწარმოების ფიქციონალობას მკითხველი განსაზღვრავს, თუმცა, ამას ქარი კატეგორიულად უარყოფს (“სავსებით შესაძლებელია, მკითხველი შეცდეს ნა-წარმოების ფიქციონალური სტატუსის განსაზღვრისას.”<sup>1</sup>). ამ თვალსაზრისით ქარის თეორია აშკარად არათანმიმდევრულია.

როგორც ქარი, ისე სერლი უპასუხოდ ტოვებენ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კითხვას: საიდან იცის მკითხველმა ავ-ტორის განზრახვის შესახებ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შე-უძლებელიც კია ზემოდასახელებულ მკელევართა თეორიების საფუძველზე, რადგან ისინი უარყოფნ რაიმე ტექსტობრივი ნიმუშის ან ენობრივი სტრატეგიების არსებობას, რომლებიც ნაწარმოების ფიქციონალობას (ცხადჰყოფს. ამავე დროს, სერლი და ქარი არც იმას სხნიან, თუ როგორ შეიძლება ჩავწედეთ ავტორის განზრახვას. მკელევართა მთავარი შეცდომა კი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ავტორის გამონათქვამებს (ე.ი. ნაწარ-მოების წინადადებებს) ლინგვისტური პოზიციიდან აფასებენ და ცალკეულ მათგანს მიიჩნევენ კომუნიკაციურ ქმედებებად. ამ

<sup>1</sup> Gregory Currie, The nature of fiction. Cambridge 1990, s. 9f.

მხრივ სავსებით მართებულია კენდელ უოლტონის მითითება იმაზე, რომ ფიქციის ავტორთა გამონათქვამები არ ემთხვევა მათ მიერ დაწერილი წინადადებების ექსპლიციტურ შინაარსს, სხვაგვარად რომ კოქვათ, ავტორები სხვადასხვა განზრახვით ქმნიან თავიანთ ნაწარმოებებს, რომელთა ილიკურიური პოტენციალიც მართალია მხატვრული ნაწარმოების გარეგნულ მხარეზეა დამოკიდებული, მაგრამ არ ემთხვევა მას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ავტორი ვერ ჩაითვლება ფიქციონალური კომუნიკაციის იმ ასპექტად, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება განვსაზღვროთ ნაწარმოების ფიქციონალობა, რადგან ჩვენთვის მისი განზრახვა ხელმიუწვდომელი და უცნობია.

## მკითხველი

ანდელ უოლტონი თავის წიგნში “მიმეზისი როგორც ვითომ-დაჯერება” (“Mimesis as make-believe”) იკვლევს ფიქციონალური კომუნიკაციის მეორე ასპექტს, კერძოდ კი – დამოკიდებულებას ნაწარმოებსა და რეციპიენტს შორის. ის განიხილავს ნაწარმოებს როგორც ერთგვარ რეკვიზიტს, რომლის ფუნქციაც ფიქციონალურ ჰქემარიტებითა გენერირებაა, ეს უკანასკნელი კი რეციპიენტის მიერ უნდა იქნას წარმოდგენილი ვითომ-დაჯერების თამაშში.<sup>1</sup> უოლტონის თეორიაში ხაზგასმულია, რომ ფიქცია არის რადაც ისეთი, რაც მკითხველის ან მაყურებლის წარმოსახვაში იქმნება, ნაწარმოებს კი მხოლოდ ამ პროცესის სტიმულირება ძალუს. სერლისა და ქარის კვალობაზე უოლტონიც უარყოფს რაიმე სტრუქტურული ან ენობრივი ნიშნის არსებობას, რომელიც ფიქციონალურ ნაწარმოებს სხვა ტექსტებისა თუ წარმონაქმნებისგან განასხვავება. ერთადერთ განსხვავებას, მისი აზრით, მოცემული ტექსტის ფუნქცია წარმოადგენს. სახელდობრ, არაფიქციონალური ტექსტის ფუნქცია არ გახსლავთ, იყოს რეპრიზიტი. ეს ფუნქცია კულტურულად არის განპირობებული, ე.ი. ნაწარმოები ფიქციონალურია, თუ ადამიანები მას რეპრიზიტად იყენებენ. ამის მიუხედავად, ბოლომდე გაურკვეველი რჩება, თუ ვინ მიაწერს ნაწარმოებს ამგვარ

<sup>1</sup> Kendall Walton, Mimesis as make-believe: on the foundations of the representational arts. Cambridge 1990, s. 78f.

ფუნქციას. მაგრამ უოლტონის თეორიაში ყველაზე წინააღმდეგობრივია “ნაწარმოების სამყაროსა” და “თამაშის სამყაროს” ურთიერთგამიჯვნა, რაც გულისხმობს, რომ ყოველი რეციპიენტი თავის თამაშს თამაშობს ნაწარმოებთან. ამდენად, ამგვარ თამაშში ორი რეკვიზიტი მონაწილეობს – ნაწარმოები და თვით მკითხველი. თუ ასეა, მაშინ ფიქცია ჩვენთვის მიუწვდომელი აღმოჩნდება ჩვენივე წარმოსახვის მოშევლიების გარეშე. ასეთ შემთხვევაში ფიქციას არაფერი აქვს საერთო კომუნიკაციასთან. ის მხოლოდ ერთგვარი თამაშია საკუთარ თავთან რეკვიზიტების დახმარებით.

აღქმის მექანიზმებები საყურადღებო დაკვირვების მიუხედავად, უოლტონის თეორია მაინც გამოუსადეგარია მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. იგი თვითონვე აღიარებს, რომ არ არსებობს ფიქციის წარმოების, გენერირების რაიმე წესები, რაც იმას ნიშნავს, რომ ფიქციის აღწერა შეუძლებელია და თუ ვინმე შეეცდება ამის გაპეტებას, მაშინ გამოკლეულ უნდა იქნას თითოეული “თამაშის სამყარო” ყოველ რეციპიენტთან. ამავე დროს, სრულიად გამორიცხულად მიგვაჩნია, ხელოვანი თავის ნაწარმოებს სათამაშოდ ქმნიდეს ყოველგვარი შეტყობინების გარეშე. ის, რომ ჩვენთვის ნაწარმოების ავტორი მიუწვდომელია, სრულიად არ ნიშნავს, რომ ფიქცია არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც კომუნიკაციის შემაღლებელი ნაწილი.

როცა ვკითხულობოთ ან ვუყურებოთ ხელოვნების ნაწარმოებს, ჩვენ არა მარტო ვტკბებით, არამედ გარკვეულ გავლენასაც განვიცდით, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც რეცეფციის პროცესში ხდება, არის ის, რომ ჩვენ ვიძეოთ გამოცდილებას ან ვხვდებით რაღაც ახალს. ეს კი მხოლოდ კომუნიკაციის ფარგლებშია შესაძლებელი. ერთობ საჭკვია, ამგვარი გამოცდილება საკუთარ თავთან თამაშის შედეგად მივიღოთ. მხატვრული ნაწარმოები კომუნიკაციის ინტერაქციული პროცესის ნაწილი უნდა იყოს იმისთვის, რათა მსგავსი თვისებები ჰქონდეს, ამას კი უოლტონი უარყოფს.

## ნაწარმოები

ნაწარმოები ფიქციონალური კომუნიკაციის ცენტრალური ასპექტია. სწორედ ნაწარმოები მიანიშნებს მკითხველს იმაზე, რომ ის ფიქციონალურ კომუნიკაციაში მონაწილეობს. მაგრამ

რა არის ფიქციონალური კომუნიკაცია? ჯერ კიდევ რომანიაკობსინი შენიშნავდა, რომ პოეტური ფუნქციის მქონე შეტყობინება ორაზროვანია და ორმაგ გამგზავნს, ორმაგ მიმღებსა და ორმაგ რეფერენსს შეესაბამება.<sup>1</sup> ამ თეზისმა განვითარება პოვა ნარატოლოგიაში და შემდეგავარად იქნა ფორმულირებული:

რეალური ავტორის მიერ რეალური წერის გზით იქმნება ისეთი ტექსტი, რომლის წარმოსახვითი აუთენტური წინადადებები წარმოსახვით სინამდვილეს ქმნის; ეს უკანასკნელი მოიცავს ფიქტიურ საკომუნიკაციო სიტუაციას, ფიქტიურ თხრობასა და ფიქტიურ მოთხრობილ ამბავს. ფიქციონალური მოთხრობა ერთსა და იმავე დროს რეალური საკომუნიკაციო სიტუაციის ნაწილიცაა და წარმოსახვით საკომუნიკაციო სიტუაციისაც.<sup>2</sup>

შესაბამისად, ფიქციონალური კომუნიკაცია ერთდროულად ორ დონეზე მიმღინარეობს: ავტორსა და მკითხველს შორის (პირველი დონე) და მკითხველსა და იმპლიციტურ (ან ექსპლიციტურ) მკითხველს შორის (მეორე დონე).

თუ ავტორსა და მკითხველს საგსებით გაცნობიერებული აქვთ კომუნიკაციის ფიქციონალური სასიათი, მეორე დონის მაკიდრო, მხატვრულ ფიგურებს ამგვარი ცოდნა არ გააჩნიათ. ამ მხრივ, კენდელ უოლტონი მართალი იყო, როცა მკითხველს რეფლექსიურ რეკვიზიტად განიხილავდა, თუმცა, ის მეტად აზ-ვიადებდა მკითხველის როლს ფიქციის შექმნის პროცესში. სინამდვილეში, მკითხველი არ ქმნის ფიქციას, ის მხოლოს აღიქვამს მას. მწერალი კი, თავის მხრივ, ცდილობს ისე ააგოს თავისი ნაწარმოები, რომ მკითხველმა შეიმეცნოს ნაწარმოებში ჩადებული იმპლიციტური შეტყობინება. ეს შეტყობინება შეიძლება სხვადასხვა სამეტყველო ქმედებებს შეესაბამებოდეს (და არა ერთ რომელიმე ქმედებას, როგორც ამას ქარი ამტკიცებდა) და ის, მთო უმეტეს, არც მოჩვენებითი შეიძლება იყოს (შდრ. სერლის “მოჩვენებითობის თეორიას”).<sup>3</sup>

<sup>1</sup> Jakobson, s. 169

<sup>2</sup> Matias Martinez/Michael Scheffel, *Einführung in die Erzähltheorie*. München: Beck 2000, S. 18

<sup>3</sup> სერლი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ფიქციონალური ტექსტები გადმოგცემს შეტყობინებას (Searle, s. 74). აგრეთვე ქარიც აღიარებს, რომ ფიქცია გამოხატავს სხვადასხვა ჰეშმარიტებებს (Currie, s. 52f.). სამწუხაოდ, პრაგმალინგვისტიკის ეს მამამთავრები არ უდრმავდა

სქემატურად ორდონიანი მოდელი შემდეგ სახეს იძენს:

პირველი დონე:	ავტორი	შეტყობინება	მკითხველი
მეორე დონე:	მთხოვბელი	თხობა	ფიქტიური მკითხველი

თვით ნაწარმოებში მხოლოდ სამი ასპექტია დაფიქსირებული: შეტყობინება, მთხოვბელი და თხობა (ზოგჯერ ფიქტიური მკითხველიც, თუ ის ექსპლიციტურად სახელდება, როგორც მაგალითად იტალო კალვინოს ცნობილ რომანში “როგორც ყარიბი ზამთრის ერთ ღამეს”). მომდევნო თავში შევეცდებით იმის ჩვენებას, რომ შეტყობინება არა მხოლოდ ნაწარმოების მეშვეობით გადმოიცემა, არამედ ის თვითონ ნაწარმოებშია ჩადებული როგორც მისი იმანენტური, განუყოფელი ნაწილი.

### მხატვრული ნაწარმოები როგორც ნიშანი

ამდენად, ყოველი ენობრივი ელემენტი პოვ ზიაში  
პოეტური ენის ფიგურად გარდაიქმნება.<sup>1</sup>  
რომან იაკობსონი

როგორ საცნაურდება შეტყობინება ნაწარმოებში? ჯონ სერლის აზრით, შეტყობინება არ მოიპოვება თვით ტექსტში. იგი მხოლოდ გადმოიცემა ტექსტის მეშვეობით. ეს მოსაზრება ნაკლებად დამაჯერებელი აღმოჩნდება, როგორც კი ნაწარმოებს კომუნიკაციის საშუალებად, მედიუმად აღვიქვამო. ასეთ შემთხვევაში ნაწარმოები მოგვევლინება ნიშანდ სემიოტიკური სისტემის – ფიქციის ფარგლებში. როგორც ვნახეთ, ფიქციონალური კომუნიკაცია ფაქტობრივისგან თავისი ორმაგი ბუნებით განსხვავდება. ამგვარი კომუნიკაციის მედიუმიც, ანუ ფიქციონალური ნიშანი, ცხადია, გარკვეული თავისებურებებით განირჩევა სხვა სემიოტიკური სისტემების ნიშნებისგან. ფიქციონალური ნიშნის მთავარ თავისებურებებად შეიძლება დავასახელოთ:

ბიან „შეტყობინებისა“ („message“) თუ „ნამდვილი სიმართლის“ („genuine truth“) რაობის საკითხს.

<sup>1</sup> Jakobson, s. 179

1. რეფერენციალური მიმართების არარსებობა. ჩარლზ მორისის (Charles Morris) მიხედვით, ყოველ ნიშანს სამი სახის მიმართება აქვს: სინტაქსური მიმართება სხვა ნიშნებთან, პრაგმატული მიმართება ინტერპრეტაცითან (მიმღებთან და გამგზავნთან) და სემანტიკური მიმართება საგანთან (აღსანიშნოან, რეფერენტთან). ოვითონ ნიშანი, რამდენადაც ცნობილია, შედგება სიგნიფიკაციისა (გარეგნული მხარე) და სიგნიფიკაციისგან (შინაარსი). ამ მოდელის მიხედვით, ფიქციონალური ნიშანი აშკარად ნაკლოვანია. მას აკლია ე.წ. რეფერენციალური (დენოტაციური) მიმართება. ფიქციონალური ტექსტის წინადადებები არაფერს აღნიშნავენ იქიდან, რაც ემპირიულ სინამდვილეში არსებობს. მკითხველი მათ შინაარსს მხოლოდ სიგნიფიკაციის მეშვეობით იგებს. რეფერენციალური მიმართების ეს ნაკლებობა ამომწურავად აღწერა დორიტ ქონმა. ნარატოლოგიური ოვალსაზრისით, სამდონიან სტრატიფიკაციულ მოდელს (რეფერენსი - ამბავი - მოთხრობა) ფიქციონალურ მოთხრობაში აკლია რეფერენსის დონე მაშინ, როცა ისტორიულ ქრინიკებს სამივე დონე მოქმოვება დამოწმებულ დოკუმენტებთან მათი მიმართების გამო.<sup>1</sup>

2. კონტრაციური სტრუქტურა. დენოტაციური მიმართების ერთგვარი კომპენსირება ხდება ფიქციონალური ნიშნის კონტაციური აგებულების სარჯზე. მაიკლ რიფატერის (Michael Riffaterre) თანახმად, მოთხრობა სუბტექსტისთვის იგივეა, რაც საგანი – ნიშნისათვის.<sup>2</sup> შესაბამისად, ტექსტი სუბტექსტის, ანუ არქეტიპული ნიშნის, გავრცელებით, ‘აფეთქებული’ ვარიანტია. ტექსტში შესაძლებელია იმ სტრუქტურული ელემენტების გამოვლენა, რომლებიც, ერთ მთლიანობად თავმოყრილნი, შეტყობინებას ქმნიან. ამდენად, ტექსტის სტრუქტურა მისი შეტყობინების ტოლფასია, ე. ი. შეტყობინება ტექსტის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მისი სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე გვეძლევა.

ფიქციონალური ნიშნის განსაკუთრებული აგებულება იმაზე მიანიშნებს, რომ ფიქციონალური კომუნიკაცია არ უნდა აგვერიოს ფაქტობრივ კომუნიკაციაში, და რომ სემიოტიკური სისტემა “ფიქცია” საგრძნობლად განსხვავდება სხვა სემიოტიკური სისტემებისგან (როგორიცაა, მაგალითად, ენა).

<sup>1</sup> Dorrit Cohn, Fiktionalitetens vägvisare, TFL nr 2-3, 1993, s. 48ff.

<sup>2</sup> Michael Rifaterre, Fictional truth, Baltimore and London, 1990, s. 28

## ფიქცია და არაფიქცია

პოეტურობა მეტყველების რიტორიკული  
სამკაულოთ მორთვას კი არ გულისხმობს,  
არამედ მეტყველებისა და ყველა მისი  
შემაღვენელი ნაწილის სრულ გადაფასებას.<sup>1</sup>  
რომანი იაკობსონი

ყოველ მეცნიერს თავისი საკვლევი ობიექტი აქვს: ასტრონომები ციურ სხეულებს იკვლევენ, ქიმიკოსები – ნივთიერებებს, სოციოლოგები – საზოგადოებას და ა.შ. ლიტერატურათ-მცოდნეობის საკვლევ ობიექტად მხატვრული ფიქცია ითვლება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ სფეროს გამიჯვნა სხვა მსგავსი სფეროებისგან (ე.წ. არაფიქციისგან, ინგლ. Non-fiction). ამისთვის კი საჭიროა, გვერდებს კრიტერიუმები, რომელთა მეტვებითაც შესაძლებელი იქნება ტექსტის ფიქციონალობის დადგენა. პირობითად ამგვარი კრიტერიუმები ორ ჯგუფად შეიძლება გავყოთ: ფიქციონალობის იმპლიციტური სიგნალები და ფიქციონალობის ექსპლიციტური სიგნალები.

## ფიქციონალობის იმპლიციტური სიგნალები

ფიქციონალობის ყველა თეორეტიკოსი იზიარებს იმ აზრს, რომ მხატვრული ფიქცია ენობრივ მედიუმს იყენებს, მაგრამ ისინი ვერ აცნობიერებენ იმას, თუ რამდენად შეიძლება ფიქციის განხილვა ენობრივი წარმონაქმნის სახით, რაც მრავალი გაუგებრობის მიზანად იქცევა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სერლი და ქარი არ ცნობენ რაიმე ენობრივი თავისებურების არსებობას, რომელიც ფიქციონალურ ტექსტს არაფიქციონალურისგან განასხვავებს. დორით ქონი მეტად დამაჯერებლად აბათილებს ამ შეხედულებას და ამტკიცებს ფიქციონალობის ტექსტობრივი მარკერების არსებობას. თუმცა, სანამ ამ ფორმალურ ნიშნებს განვიხილავდეთ, შევჩერდებით იმ ზოგად კანონზომიერებებზე, რომლებიც ფიქციონალურ ტექსტს განასხვავებს ყველა სხვა სახის ტექსტებისაგან.

საკითხი, რომელიც განსაკუთრებით აბნევდა სამეტყველო აქტების თეორეტიკებს, გახლავთ ისტორიული პირებისა (რო-

<sup>1</sup> Jakobson, s. 178

გორიცაა, მაგალითად, ნაპოლეონი) და გეოგრაფიული სახელების (მაგ. დუბლინი) ხსენება მხატვრულ ტექსტში. სერლი მათ რეალურ რეფერენსებს (real references) უწოდებს და ასკვნის, რომ ფიქციონალურ მოთხოვათა უმეტესობა არაფიქციონალურ ელემენტებს შეიცავს (მაგალითად, შერლოკ ჰოლმსზე დაწერილ მოთხოვაბეჭი ლონდონი ნამდვილად არსებულ ქალაქს აღნიშნავს). ანალოგიურად მსჯელობს ქარიც. ის აცხადებს, რომ ფიქციონალურ ტექსტებს შეიძლება ჰქონდეთ რეფერენსის სემანტიკური ოვისება და შესაბამისად, ნაწარმოები არ არის მოკლებული სემანტიკურ კავშირს ემპირიულ სამყაროსთან, რადგან საწინააღმდეგო შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა იმის ახსნა, თუ როგორ ხვდება ლონდონი ფიქციონალურ ტექსტში. მსგავს მოსაზრებას გხვდებით უოლტონთანაც. ყველა ეს მკვლევარი უყურადღებოდ ტოვებს იმ გარემოებას, რომ ფიქციონალური ტექსტი აგების საკუთარ პრინციპებს ექვემდებარება, რაც არ შეიძლება აიხსნას ლინგვისტური მოდელების მეშვეობით. ორი უმთავრესი პრინციპი, რომელიც ტექსტის ფიქციონალობას განსაზღვრავს, არის მისი ენობრივი ზედაპირის სემანტიკური ფუნქციურობა და კონვენციურობა.

სემანტიკური ფუნქციურობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მხატვრული ტექსტი ჩვეულებრივი წინადაღებების ნაცვლად მოტივებისგან შედგება: ყოველ წინადაღებას ფიქციონალურ ტექსტში აქვს თავისი სემანტიკური ფუნქცია, რომელიც, როგორც წესი, განსხვავდება მათი ექსპლიციტური, ვერბალური მნიშვნელობისგან. სხვა მოტივებთან ურთიერთქმედების შედეგად ესა თუ ის მოტივი ააშკარავებს ნაწარმოების კოპერუნტულ სტრუქტურას (სუბტექსტს), რითაც ხელს უწყობს შეტყობინების დემიფრირებას. ეს მექანიზმი ყველაზე ნათლად შეინიშნება პოეზიაში, სადაც სიტყვა კარგავს თავის ჩვეულ მნიშვნელობას და ახალ სემანტიკურ ფუნქციას იძენს (ლექსის ავტონომიური სისტემის შესაბამისად). ბუნებრივია, ეს პრინციპი ნარატიულ ტექსტებშიც მოქმედებს. მაიკლ რიფარერი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ნარატიული მწკრივი სრულიად მოტივირებული და ზედებერმინირებულია: ყოველ მოტივს (დინამიკურს, სტატიკურს, ბმულს თუ თავისუფალს) მეტაფორული ან მეტონიმიური მიმართება აქვს ნაწარმოების ”ბირთვულ სამყაროსთან”. ტექსტის ეს თვისება, ნაწილებში მთლიანობის

ასახვის უნარი, რიფატერის მიხედვით, ფიქციონალობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო თვისებაა.

შეტყობინების გადასაცემად ფიქცია იყენებს ყველა ენობრივ რესურსს: სიტყვებს, სახელებს, ციტატებს, სხვა ტექსტებს და ა.შ. ამ რესურსებს შორის გახვდება ისეთი ნიშნებიც, რომლებიც არაფიქციონალურ კომუნიკაციაში დენოტირებადია, მაგრამ ნაწარმოებში მათ აღარ გააჩნიათ სამყაროსთან დენოტაციური მიმართება. ისინი ძირითადად ილუზიის შექმნას ემსახურებიან და ისეთ ასეციაციებს იწვევენ, რომლებიც მეტნაკლებად მნიშვნელოვანია შეტყობინების ფორმულირებისთვის. ეს ელემენტები (მათ როლან ბარტი “რეალობის ეფექტებს” – ფრ. effects du reel – უწოდებდა) ნაწარმოებში შეიძლება ხშირად, იშვიათად ან სრულიადაც არ შეგვხვდეს მოცემული ნაწარმოების კონვენციური სასიათის შესაბამისად. თუ ავტორს თავის ნაწარმოებში ემპირიული სინამდვილის იმიტირება სჭირდება, ის ამგვარ ეფექტებს დიდი რაოდენობით იყენებს. ამის საწინააღმდეგოდ, მაგალითად, ფრანც კაფკა თავის ნაწარმოებებში რეალობის ეფექტებს ძალიან იშვიათად მიმართავს.

ფუნქციურობასა და ზედეტერმინირებულობასთან ერთად ფიქტიური სამყარო კონვენციურია. ფიქციის ოეორეტიკოსებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც სრულიად უგულებელყოფენ ამ თავისებურებას. ამას მოწმობს მაგალითად ქარისა და დევიდ ლიუისის (David Lewis) გამოკვლევები ე.წ. იმპლიკაციების შესახებ.<sup>1</sup> ქარი ეთანხმება ლიუისს იმაში, რომ სიმართლე ფიქციაში არის იმის ერთობლივი პროდუქტი, რაც ექსპლიციტურია მოთხოვნებაში და რასაც იჯერებდა ავტორის თანადროული საზოგადოება. ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ერთობ საეჭვოა საზოგადოებაში რაღაც ისეთის არსებობა, როგორიცაა საერთო რწმენა (mutual believe, overt believe). ამას ადასტურებს გამოკვლევებიც, რომელთა მიხედვით სინამდვილე ცალკეულ ადამიანებს სრულიად განსხვავებულად წარმოუდგენიათ. დღესაც კი მრავალი ადამიანი დარწმუნებულია, მაგალითად, გამპირიზმის არსებობაში.<sup>2</sup> შესაბამი-

<sup>1</sup> David Lewis, Truth in fiction. In: Philosophical Papers, vol. 1, New York, Oxford, 1983, s. 273

<sup>2</sup> Uwe Durst, Theorie der phantastischen Literatur. Tübingen: Basel: Francke, 2001, S. 66f.

სად, საზოგადოების საერთო რწმენა არ გამოდგება საიმედო კრიტერიუმად იმის გასარკვევად, თუ რა არის მართალი ფიქციაში. ბუნებრივია, მკითხველი თავისი მსოფლმხედველობის შესაბამისად ავსებს ნაწარმოებში არათემატიზებულ პორიზონტს, მაგრამ ეს პროცესი მკითხველის წარმოსახვაში მიმდინარეობს და არ გამოდგება მეცნიერული დაკვირვებისათვის. ამდენად, იმპლიკაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეცეფციის პროცესში, მაგრამ მათ არაფერი აქვთ საერთო ფიქციის სიმართლესთან. ქარისა და ლიუისის თეორიების სიმცდარე აშკარა ხდება, როგორც კი მათ ფიქციის არაკონვენციური ფორმების (როგორიცაა, მაგალითად, მეცნიერული ფანტასტიკა, ფენოეზი, ანდა ნუვო რომანის არაკონსისტენტური სამყაროები) დასახასიათებლად გამოყიდებოთ.

ფანტასტიკური ლიტერატურის უახლესმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ რეალიზმსა და ფანტასტიკას შორის სხვაობა მხოლოდ იმით არის განპირობებული, რომ ამ ორი ჟანრის ლიტერატური ორ სხვადასხვა კონვენციას იყენებს. სინამდვილეში, როგორც რეალისტური, ისე ფანტასტიკური ტექსტები არაკონსისტენტურია, ანუ ისინი უხვად შეიცავენ ჭრ. მწვრთვისმიერ ხარვეზებს.<sup>1</sup> განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ რეალისტური კონვენციის ტექსტებში ეს ხარვეზები დაფარულია, ხოლო ფანტასტიკურ ტექსტებში მათი “გაშიშვლება” და თემატიზება ხდება. ამ თვალსაზრისით, ფანტასტიკური ლიტერატურა ავტორულებებისურია და ააშკარავებს ფიქციის კონვენციურ ხასიათს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ შეიძლება დავადასტუროთ, რომ ცალკეული ელემენტების სემანტიკური ფუნქციურობა და ტექსტის (როგორც ნიშნის) სტრუქტურის კონვენციურობა მხატვრული ლიტერატურის უმთავრეს იმპლიკატურ თავისებურებებს წარმოადგენს.

## ფიქციონალობის ექსპლიციტური სიგნალები

დორით ქონი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ ფიქციონალური ტექსტი ადრე თუ გვიან აუცილებლად წარმოაჩენს

<sup>1</sup> Durst, s. 204-225. ტერმინი მურივი (Sequenz) ეკუთვნის როლან ბარტს: Roland Barthes, Einführung in die strukturelle Analyse von Erzählungen. [1966] In: Das semiologische Abenteuer. Frankfurt a.M. 1988, S. 109-120

თავის ფიქციონალურობას. ამისათვის არსებობს ფიქციონალობის მაუწყებელი სიგნალების მთელი რიგი. ამასთან, სრულიად გამორიცხულია ტექსტის ფიქციონალურობის დადგენა ავტორის განზრახვისა თუ მკითხველის წარმოსახვის უნარზე დაყრდნობით. ფიქციონალობის სიგნალებიც მხატვრული ლიტერატურის (როგორც დამოუკიდებელი სემიოტიკური სისტემის) კონვენციურობის ერთ-ერთი კომპონენტია.

ერთხელ ავსტრიელ მწერალ ლეო პერუცს მისი რომანით აღტაცებულმა მკითხველმა მისწერა წერილი, რომელშიც გაპვირვებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ვერაფრით შეძლო რაიმე ისტორიული დოკუმენტის მოძიება პერუცის მიერ გამოცემული მემუარების “ავტორის” – მარკიზ და ბოლიბარის შესახებ. პერუცის პასუხმა, რომელშიც ის განმარტავდა, რომ ამ სახელის მატარებელი ადამიანი არასდროს არსებულა ამქვეყნად და რომ ყველაფერი მხოლოდ მხატვრული გამონაგონი იყო, სასტიკად გაანაწყენა გულუბრყველო მკითხველი. ვფიქრობთ, რომანის მკითხველი პერუცის ტექსტმა იმიტომ შეიყვანა შეცდომაში, რომ ის ვერ ერკვეოდა ლიტერატურულ კონვენციებში.

ლიტერატურული კონვენციები, პირველ ყოვლისა, ფიქციონალობის ექსპლიციტური სიგნალების მეშვეობით მჟღავნდება. ეს სიგნალები შემდეგგარად შეიძლება იქნას კლასიფიცირებული:

1. შიდატექსტობრივი სიგნალები, რომლებიც ნარატიული მოდუსის (გვარის) საფუძველზე ვლინდება. სახელდობრ, მთხოვნელის ზებუნებრივი უნარი, წაიკითხოს ცალკეულ მოქმედ პირთა აზრები, არ გვარცებს მხოლოდ იმიტომ, რომ მიჩვეული ვართ ამ კონვენციას. შიდატექსტობრივ სიგნალებს განებულება აგრეთვე ქეთე პამბურგერის მიერ წარმოდგენილი სია ფიქციონალობის სიგნალებისა, რომელიც შეიცავს ენის დროთა სისტემის გაფართოებასა (როგორიცაა, მაგალითად, ფრაზა: “ხვალ აღდგომა იყო.”) და ტრადიციული დასაწყისის ფორმულებს (მაგ. “იყო და არა იყო რა.”). მეტადიგებებური მთხოვნების არსებობა აგრეთვე ფიქციონალობის საიმედო ინდიკატორია.

2. პარატექსტობრივი სიგნალები, როგორიცაა უანრობრივი მითითებები სათაურშივე (მაგ. “რომანი”, “დრამა”) ხშირად გვეხმარება ტექსტის სტატუსის დადგენიაში.

3. გარეტექსტობრივი სიგნალები: ფიქციის არსებობისათვის გადამწყვები ფაქტორია ის, რომ მისი აგტორი და მთხოვნელი იდენტური არ არის. იმ შემთხვევაშიც კი, თუ აგ-

ტორი ექსპლიციტურად გვევლინება ტექსტში. ასეთი ტექსტი ჩაითვლება ავტოფიქციად, რომელშიც მოქმედი პირი “ნაწევრ-დება აუთენტურ პიროვნებად და მხატვრულ სახედ.”<sup>1</sup>

ცხადია, კონვენციური სისტემა “ფიქცია” შეიძლება მხოლოდ ადამიანურ (ანთროპომორფულ) სამყაროში არსებობდეს. ფიქცია ვერ იარსებდეს ვერც რეციპიენტის და ვერც პროდუცენტის გარეშე. ამის მიუხედავად, მაინც აუცილებელია ფიქციისა და არაფიქციის ერთმანეთისგან გარჩევა, რადგან საწინააღმდეგო შემთხვევაში გარდაუვალი გახდება ისეთი შეცდომების დაშვება, რომელიც პერუცის ფიქტიური მემუარების მკითხველმა დაუშვა.

\* \* \*

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფიქცია არის კომუნიკაცის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც გამოირჩევა თავისი ორმაგი ხასიათით და შედგება ერთდროულად რეალური და ფიქტიური საკომუნიკაციო სიტუაციებისგან. კომუნიკაციის ამ ფორმას ფიქციონალური კომუნიკაცია შეიძლება ეწოდოს. ფიქციონალურ კომუნიკაციაში დიდი მნიშვნელობა ენტეგება როგორც ავტორის განზრახვას, ისე – მკითხველის წარმოსახვას. ორივე მათგანის მიზანი ფიქციონალური კომუნიკაციის წარმოებაა: ავტორი აყალიბებს შეტყობინებას, მკითხველი კი აღიქვამს მას. შეტყობინება კი, თავის მხრივ, თვითონ ტექსტშია გაცხადებული და მის შინაგან სტრუქტურაში ამოიკითხება. სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს ლიტერატურათმცოდნეობის საკვლევ ობიექტს. მხატვრული ტექსტის ასეთი საგანგებო შესწავლის აუცილებლობა განპირობებულია მთელი რიგი ექსპლიციტური სიგნალებისა თუ შინაგანი კანონზომიერებების არსებობით, რაც ფიქციას არაფიქციისგან განასხვავებს. უნებრივია, არსებობს ზღვრული წარმონაქმნებიც, თუმცა, მათზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია ქეთე პამბურგერის მართებული შენიშვნა: “ფიქციონალობის სიგნალების სესხებით ხდება არაფიქციის ფიქციად გარდაქმნა, მათი დაკარგვით კი ფიქცია არაფიქციას ემსგავსება.”<sup>2</sup> ლიტერატუ-

<sup>1</sup> Gerard Genette, Fiktionell berättelse, faktisk berättelse. I: TFL nr 2-3, 1993, s. 43

<sup>2</sup> ციტირებულია უნების მიხედვით. Genette, s. 40

რული ნორმები და კონვენციები დროის მსგავსებასთან ერთად იცვლება, მაგრამ ეჭვის გარეშეა, რომ ყოველთვის (ყოველი ახალი კონვენციის შექმნისას) შეიქმნება ახალი სიგნალები, რომლებიც მხატვრული ნაწარმოების ფიქციონალობაზე მიგვანიშნებენ.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. **Barthes, Roland:** Einführung in die strukturelle Analyse von Erzählungen. [1966] In: *Das semiologische Abenteuer*. Frankfurt a.M. 1988, S. 102-143. 2. **Cohn, Dorrit:** Fiktionalitetens vägvisare, *TFL* nr 2-3, 1993, s. 47-72. 3. **Currie, Gregory:** *The nature of fiction*. Cambridge, 1990. 4. **Durst, Uwe:** *Theorie der phantastischen Literatur*. Tübingen: Basel: Francke, 2001. 5. **Genette, Gerard:** Fiktionell berättelse, faktisk berättelse. I: *TFL* nr 2-3, 1993, s. 28-45. 6. **Jakobson, Roman:** Lingvistik och poetik, I: *Poetik och lingvistik*. Stockholm 1974, s. 139-180. 7. **Lewis, David:** Truth in fiction. In: *Philosophical Papers*, vol. 1, New York, Oxford, 1983, s. 261-280. 8. **Martinez, Matias/ Scheffel, Michael:** *Einführung in die Erzählttheorie*. München: Beck 2000. 9. **Rifaterre, Michael:** *Fictional truth*, Baltimore and London, 1990. 10. **Searle, John:** The logical status of fictional discourse, In: *Expression and meaning: studies in the theory of the speech acts*. Cambridge 1996. 11. **Walton, Kendall:** *Mimesis as make-believe: on the foundations of the representational arts*. Cambridge 1990.

**Levan Tsagareli**

## Fiction and Communication

We understand fiction as a special sort of communication, which is defined by its double structure consisting of a real (author-message-reader) and an imaginary (narrator-text-implied reader) situation of communication. This sort of communication may be called fictional communication. Truly both the intention of an author and a reader's imagination are important aspects of the fictional communication. However we argue (on contrary to theorists who see the phenomenon of fictionality exclusively either as one depending on an author's intention (Searle, Currie) or as a product of a reader's activity (Walton)), that the message of a literary work (as well as its fictionality) can be conveyed (or recognized) only by (at) the text itself. For this purpose all fictional texts are equipped by a number of implicit (conventionality, connotative structure, lack of reference) and explicit (paratexts, metadiegesis, impossible narration etc.) signals that reveal its fictional nature. The signals of fictionality are conventional and do change in accordance with literary mainstream. Still it is an undeniable fact, that there will always be special markers of fictionality, at least as long as the literary fiction exists.

## ია ბურდული

### სიმბოლიკა და რეალობა პატრიკ ზიუსკინდის რომანში “სუნამო”

როგორც გუსტავ იუნგი აღნიშნავდა, “სიმბოლოები ჩვენ-  
გან სპონტანურად წარმოიშვება, როგორც ჩვენივე სიზმრებიდან  
ჩანს, მათ ჩვენ კი არ ვიგონებთ, არამედ ისინი გამოხატავენ  
იმას რაც ჩვენ თავს ხდება”<sup>1</sup>. და რაც მწერლობაში მხატვრუ-  
ლი დეტალების საშუალებით ხორციელდება. ამ მხრივ საინ-  
ტერესოა, თანამედროვე გერმანელი მწერლის პატრიკ ზიუსკინ-  
დის საყოველთაოდ გახმაურებული, პოსტმოდერნისტული რომა-  
ნი “სუნამო ერთი მკვლელის ამბავი”, რომლის მთავარ სიმბო-  
ლოს სუნი წარმოადგენს, თავის ამბივალენტური თვისებრივი  
დატვირთვით, როგორც სიმყრალის, ასევე სურნელის გამომხატველი.

სუნი, ყველას და ყველაფრის ზოგადი თვისება, აბსტრაქ-  
ტული, “აორთქლებადი, რომელიც ისტორიაში კვალს არ ტო-  
ვებს”<sup>2</sup>, როგორც ნაწარმოებშია კოდირებული, ისეთივე უხილა-  
ვია, როგორც რომანის მთავარი პერსონაჟის უან ბატისტ გრე-  
ნუის დანაშაულის არსი, რაც მისი სულის სიმყრალიდან და  
ამავე დროს, გენიალურობიდან – უჩვეულოდ განვითარებული  
ყორსებითი ადქმიდან იღებს სათავეს და მშვენიერებას შთანთ-  
ქავს, ის კლავს უმანქო, მომხიბვლელ გოგონებს, ითვისებს მათ  
სურნელს თავის ასევე ფენომენალური ენოსვითი მეხსიერებით  
და დვთაებრივ სუნამოს ქმნის სრული ძალაუფლების მოსაპო-  
ვებლად. მისთვის შემოქმედი – ღმერთი მდარე სურნელის ქო-  
ნე აქოთებული უბადრუკია, რითაც გრენუიში კოდირებულია  
ბოროტი ძალის განზოგადებული მხატვრულ – ლიტერატურუ-  
ლი სახე, რაც რომანში გამოყენებული რიტორიკულ – გამომ-  
სახველობითი საშუალებითაც მუდავნდება. “ადამიანის სუნი”  
რაც გრენუის არ გააჩნია, მხატვრული დეტალის სახით ჩნდება  
და სიმბოლური ნომინაციის ერთ – ერთ მთავარ ხატად იგვე-

თება, ხოლო სიმყრალე მკვლელის ასევე შეუმჩნეველ “სულის სიმყრალედ”<sup>3</sup> ყალიბდება.

გრენჯის განდეგილობა, ხეტიალი და საკუთარი მყრალი სულის წამიერი, შეგრძნება, სულის შეცნობისაკენ რომანტიკული სწრაფის ირობიულ იმიტირებას წარმოადგენს და „ექოდ ხმიანდება ტექსტები“<sup>4</sup> დაწყებული სარაინდო ლიტერატურიდან და გრიმელს პაუზების სიმპლიცის – სიმპლიცისიმუსიდან, გოეთეს ვილჰემ მაისტერის, რომანტიკოსთა პილიგრიმების და ჰერმან ჰესეს გმირების ჩათვლით (ზიდპარტა, მოხილვა დილის ქვევნისა). „პოსტმოდერნისტულად მიღწეული ტექსტი აღიქმება, როგორც მრავალხმიანობის, ერთმანეთში შექრილი და დაუმოავრებელი მრავალი კოდის ირონიული ურთიერთშეწრეულია, ხოლო მარტივი, თანმიმდევრული და ტრადიციული, თუმცა არა-სწორხაზოვანი თხრობის სტილი ნაწარმოების სიმბოლურ მთლიანობას ქმნის“.<sup>5</sup> სიტყვა სიმყრალე რომანის დასწყისშივე წნდება, თავის დენოტატიური ნიშან – თვისებებით, შემდეგ კი სტილისტური თვალსაზრისით – გამეორების, შინაგანი დინამიკის წყალობით, ის მხატვრულ დეტალად გარდაიქმნება, როგორც რეალური ყოფის, კერძოდ XVIII ს-ის საფრანგეთის ამსახველი და შემდეგ, სიდრმისეული და სემიოტიკური გააზრებით, ქვეტექსტების შექმნით, სუნი – დაბავშირებული თავის-თავში მომცველ მრავალმხრივ მნიშვნელობასთან, ოკაზიონალურ ხასიათს იღებს და მთავარ სიმბოლურ ნომინაციად ყალიბდება, ორმაგი კოდირებით გამოკვეთილი — სიმყრალე, როგორც ზოგადად ადამიანური ყოფის თანმდევი, გულის კუნძულში მიმალული ბიწიერება, რომელიც სახეს იცვლის, ხან პატივმოყვარეობად, ძალაუფლებად, მკვლელად გარდაიქმნება და დვთაებრივი სურნელი, როგორც სისპერაცის და ქვეყნიური მშენიერების ნაზავი, რაც სიყვარულს ბადებს და რაც ნაწარმოებში „ზღვაურის სიგრილის“, „კაკლის ზეთის“ და „ჭერმის ყვავილის“ სურნელთან ახორციელება. რომანის სათაურის ქართული თარგმანით, „ნელსურნელება ... მავანი მკვლელის ამბავი“<sup>6</sup>, ალბათ, სწორედ ამ ცხოველმყოფელი სურნელის არსი, მისი სიმბოლური მნიშვნელობის სიღრმე გამოიხატა.

ამ საპირისპირო მნიშვნელობის სიმბოლოთა ციკლიზაცია და გამთლიანება — „ადამიანის სუნის“ სახით, რომელიც მხატვრული დეტალიდან თავისი კოჟზზიურობით სიმბოლოდ გარდაიქმნება, როგორც სიმყრალისა და მძაფრ არომატულ სუნთა

ერთობლივი ნაზავი, ადამიანური ყოფის ზოგად სურათს ქმნის და განზოგადებულ კულტურულ პაროლად იკვეთება. ხოლო ამ სიმბოლური სატის შინაარსობრივი გლობალიზაცია, ნაწარმოების ფინალში კულტინაციას აღწევს – გრენჯის ოცდათ წილად გახდებილი სხეულის – სულიერი ბიჭიერების და მის მიერ მოჩვენებითად მითვისებული დვთაებრივი მშვენიერების ბრძოში საზარელი განპნევით, რითაც რომანში ზიარების პოსტმოდერნისტული იმიტირება იჩნებს თავს და სიმბოლური ნომინაცია რომანის ქრონოტიპად ყალიბდება, დროისა და სივრცის გამოყენებულ სახეს წარმოქმნის, მარადიულ წრებრუნვას გამოხატავს. ბავშვობაში უმანკო სიყვარულის ხანაში მიყენებული ტკივილის შედეგად ჩახშობილი სიყვარულის გამოხატულებაა გრენჯის გადია, საკუთარი მამისაგან დასახიჩრებული ქალბატონი გაიარი. ყნოსვით შეგრძებას მასთან მიმართებაში, როგორც რეალური, ასევე სიმბოლური დატვირთვა აქვს. იგი ბავშვობაში სახის არეში მიყენებული მმიმე ფიზიკური ტრავმის შედეგად კარგავს ყნოსვას, ხოლო სულიერად დასახიჩრებული, იყიდვებს სიყვარულის შეგრძებას, წკვეტს კავშირს წარსულთან და მხოლოდ ადამიანურ, ქვეყნიურ სიმართლეს ეძიებს, რაც აშკარად ირონიზირებულია რომანში. თითქოს აღმზრდელადსაზრდელის ერთობლივი სახით უსიყვარულობის წრე იგრება და ეს უსიყვარულობის შეგრძება სიმბოლურად ასევე ყნოსვითი ადქმით გამოისახება. გრენჯიც მოკლებულია სიყვარულის ადქმას, რადგან სიყვარულს სუნი, რეალური შეგრძების დონეზე, არ გააჩნია. გრენჯი, თუმც ვერ აღიქამს სიყვარულს და მშვენიერებას, აბსტრაქტული, განყენებული ფორმით, რადგან მას მხოლოდ ყნოსვითი ადქმის უნარი შესწევს, მაგრამ სწორედ ფიზიოლოგიური, ყნოსვითი შეგრძნებით ამჩნევს მის განსხვეულებელ ფორმას, უმანკო-ქალწულებრივ სახეს და ცდილობს მის მითვისებას სურნელის სახით, მაგრამ საბოლოოდ გრენჯი(და ვერც ბრძო) ამ სურნელის შესისხლხორცებას, მასთან გაიგივებას ვერ ახერხებს, იმიტომ რომ რომანის რეალობაში უსუნო ანტიგმირის სული ყარს, ხოლო დვთაებრივი სურნელი, როგორც რომანის სიმბოლიკის ნათელი სახე, რეალურად უსუნო რომანში ქვეტექსტის დონეზე, სულის უმანკობის გამოხატულებაა.

ეპოქის განზოგადებულად წარმოდგენა “თანამედროვე სულის პოსტმოდერნისტულ აღქმას ეხმანება”<sup>7</sup>. ზიუსკენდი იყენებს პოსტმოდერნისტული “ტექსტის ავტორიტეტულობას” და ირონიულ – რიტორიკული გამომსახველობითი საშუალებებით ქმნის “თვითდამაკავშირფილებელი სამყაროს დისკურსს”<sup>8</sup>.

საფრანგეთის ქალაქების ფონზე მომპელიეს, გრასის, ორლეანის, საზოგადო სასაფლაოების, დარიბი მონასტრების, ბავშვთა სახლების, მოხუცთა უპატრონო თავშესაფარის სურათები კინემატოგრაფიული კადრებივით მისდევს ერთმანეთს, ხოლო უჩვეულო რაპურსით წარმოდგენილ მარადიულ პარიზის სახეში, რომელიც ყარს სენ - უერმანის, სორბონას, სენ – დენის კარტლებით, მონმარტრის ბაზრით, ფეიერვერკებით, სუნამოთა და მოდური ტყავის აქსესუარებით, პოსტმოდერნისტული ინტერტექსტულობით იკითხება ამ გარემოს ერთობლივი ფსიქიკა, სასახლის კარის თუ რევოლუციური “ეპოქის სული” და უსიყვარულოდ გაჩენილი, უსიყვარულოდ გამობრძმედილი გრენუის სახით პერსონიფიცირდება. რომელიც ბაზარში შემთხვევით გადაურჩა გროტესკულად ირონიზორებულ გრძნობა და ქნისადაჩლუნგებულ მშობელ დედას და შემთხვევით იშვა თვეზის გამონაწელში, რომელიც ასევე ყარდა და რომლის წიაღშიც იფანტებოდა და ითქვიფებოდა თავიდან მოშორებულ, ყოფიდან განდევნილ ჩვილთა გვამები. შეიძლება ითქვას, რომ აქ ზიუსკენდი მაცხოვრის სახის პოსტმოდერნისტულ, ექსპრესიულ კოდირებას ახდენს, გამოფატრული, დანაწევრებული თვეზის სიმბოლიკით; ხოლო გადარჩენილი გრენუი “ტკია”, ყოფის მარადიული ბოროტი, მახინჯი ნაწილი, გამაოგნებელი ძალისხმევით თავის განვითარების მწვერვალს აღწევს, “ადამიანის სუნის” შექმნითა და მითვისებით ემსხავსება იგი მისთვის სასაცილო და საძულველ ადამიანთა მოდგმას, შემდეგ თავისი ახდენილი ოცნების – ღვთაებრივი სუნამოს სურნელით ეიფორიას იწვევს ადამიანებში, აშიშვლებს მათ ქვეცნობიერში მიმაღლულ ვიტალურ გრძნობებს, აღზევდება, მაგრამ “გასხივოსნებული” ემვება იმავე წიაღში საიდანაც წარმოიშვა, იფანტება ბრძოში, ისეთივე ვნებით შეჰქორობილ ადამიანებში, როგორიც თვითონ გრენუი იყო და რომლებიც, მასობრივი აღტყინებით აღგზნებულნი ილტვოდნენ შეესრუტათ ის მომაჯადოებელი სურნელი, რომელიც გრენუიმ მიითვისა თავის განუმეორებელი სუნამოსთვის, თუმც შესისხლხორცება ვერ შეძლო – ღვთაებ-

რიგი უმანკო მსხვერპლი მოჩვენებითი, გაყალბებული მშვენიერებით შეიცვალა, სულიერ სიღრმეებს ვერ შექმო, მაგრამ ეს შეუმჩნეველი დარჩა! კანიბალური მსხვერპლ შეწირვის რიტუალი შედგა! გაგრძელდა, გამძაფრდა გრენჯის სუნის სისიხლიანი კალი.

ადამიანთა ყოფაში არსებული ბოროტების მარადიული ფორმაციალებადობით,

მასობრივი გულუბყვრილობისა და თვალომაქცობის შავი უმორისტულ ფერში წარმოქნით, — რომლსაც ხელში უმანკო ბავშვაცანილი გრენჯი განასახიერებს, ზიუსკინდი დახვეწილი ქვეტებისტებით მიანიშნებს შინაგანი ჭვრეტის და მშვენიერების გაქრობის საშიშროებაზე, ინდიფიდუალური სიკვდილის განუხორციელებელ ოცნებას, სოციალურ-ეპონომიკური ცვალებადობის გამო და სახალხო-საზოგადო სიკვდილის აღწერას ირონიაშერეული სევდა ახლავს, ხოლო დამოგრუნველი ტკივილი, საზოგადო სასაფლაოზე დახვავებულ გვამებს. ამ ტკივილით, შეფარული ირონიით, დახვეწილად ურნავს ზიუსკინდთან ადამიანებისადმი სიყვარული, ადამიანის ჩვეულებრივი ოცნება — მშვიდ ოჯახურ სიმყუდროვეზე, “ნუგეშის მომგვრელი ოცნება” ბავშვზე — უმანკოებაზე.

“სურათი სამყაროსათვის ძველი იყო და მაინც მუდამ ახალი, ალალ-მართალი, დასაბამიდან ... დიახ! დიახ!”<sup>9</sup>

ხოლო გათელილი უმანკიუებით გამოწვეული ძველი, მარადიული სევდა საინტერესო სიმბოლური გადაწყვეტით ქდერს. რასაც ავტორი ხატისა და სიმბოლური ნიშნის ღრმა გამთლიანებით აღწევს და მრავალშრიან, სრულყოფილ მხატვრულ “არქისიმბოლოდ” აყალიბებს, რადგან “სიმბოლო არის ხატი, აღგბული თავის ნიშნობრივ ასპექტში, იგი არის ნიშანი, რომელსაც თან ახლავს მითის მთელი ორგანულობა და ხატის ამოუწურავი მრავალმნიშვნელოვნება.”

**გამოყენებული ლიტერატურა:** 1. C. G. Yung, “Vom Wesen der Traume”, Deutsche Taschenbuch Verlag Munchen 1990 s. 50. 2. Patrick Suskind, ‘Das Parfum die Geschichte eines Morders’, Tbilissi Diogenes 2004 s. 4. 3. იქვე. 4. Ролан Барт, Избранные работы. Семиотика. Поэтика с. 390. 5. იქვე. 6. პატრიკ ზიუსკინდი, “ნელსურნელება მავანი მკვლელის ამბავი”, “ახალი დროება” თბილისი, გამომცემლობა აზრი, 2002, გვ. 1. 7. Wolfgang

**Welsch**, Unsere postmoderne Moderne, 2- Auflage Weinheim 1987, s. 12. **8. Hans Bertens**, Edited by Douwe W.Fokkema, Approaching Postmodernism Papers presented at a workshop on Postmodernism, 1984. University of Utrecht s. 7. **9.** Kommentierte Auswahlbibliographie zu Patrik Suskind, Das Parfum von Hans-Robert Spielmann, StD. 2002. Service fur Deutschlehrer an Berufl. Gymnasien Baden\_ Wittenbergs Verantwortlich Hans-Robert Spielmann, StD. s. 5. **10. Аверинцев С.** Символ “ Краткая литературная энциклопедия.” “Советская Энциклопедия“ Москва 1971. с. 826.

## Ia burduli

### **Symbolism and Reality is in the Novel “Parfum“ by Patric Zuskind**

Interrelation of semantic implication and literary cycle acquired increased singnificance in the twentieth – century aesthetic discourse. That is interestingly expressend with the help of symbols in postmodernismical novel “Parfum a murderer’s story “ by German autsanding author Patric Zuskind, the main ambivalentincal symbol of which is scent, that depicts, as spiritual ugliness and as it’s beauty.

Detail – scent as a dynamic sign of verbal origin transformed in a symbol through certain recurrence, first of all, it is transformed into a textual chronotope and the second phase is referred as a global or inverted symbolization.

## თამარ მოსიაშვილი

### ედვარდ ალ-ხარატის ზაფრანისფერი ქალაქი

ედვარდ ალ-ხარატი ცნობილი ეგვიპტელი რომანისტი, ნოველისტი, კრიტიკოსი და მთარგმნელი 1926 წელს დაიბადა ალექსანდრიაში. კრიტიკოსთა აზრით, ის მნიშვნელოვანი ფიგურაა არა მარტო არაბულ სამყაროში, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის მწერალია. ცხოვრების მანძილზე მან ბევრი სამსახური გამოიცალა. ბოლოს აზიის და აფრიკის მწერალთა გაერთიანების გენერალური მდივანი იყო. ამის შემდეგ კი გადაწყვიტა ცხოვრების დარჩენილი ნაწილი მხოლოდ წერისოფის დაეთმო.

ალ-ხარატი 33 წლის იყო, როცა ნოველების პირველი კრებული „მაღალი კედლები“ გამოსცა. იგი დახლოებით 80-მეტი წელის ავტორია, მათ შორის ნოველების სამი კრებულის, ათი რომანისა და კიდევ ბევრი ნაშრომის პროზისა თუ პოეზიის შესახებ. მან ბევრი ამერიკელი, ევროპელი თუ აფრიკელი ავტორის თხზულებები თარგმნა ინგლისურიდან და ფრანგულიდან. ალ-ხარატი ამაგვე დროს ერთ-ერთი საუკეთესო კრიტიკოსია და განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებებით ინტერესდება.

ედვარდ ალ-ხარატმა განსაკუთრებული წელილი თანამედროვე არაბული რომანის განვითარებაში შეიტანა. მწერლის ტალანტი, გამორჩეული შემოქმედებითი ხედვა და ენის ძალიან კარგად ფლობა მის ნაწარმოებებს სრულყოფილებას ანიჭებს. ალ-ხარატის რომანები უჩვეულო სამყაროს ქმნიან, რომელიც განსაკუთრებული თვისებებითაა აღჭურვილი (2.33). მუპამედ ამინ ალ-ილმის აზრით, არ იქნება გადაჭარბებული, თუ ედვარდ ალ-ხარატს სრულყოფილ ხელოვანს ვუწოდებთ. ის ლიტერატორია, რომელიც კარგად იცნობს ლიტერატურის სხვადასხვა მხარეს. (4.46). მისი შემოქმედება მოიცავს ძველი ეგვიპტუ-

რი ცივილიზაციის, კოპტური და ისლამური კულტურის სიღრმეებს, ასევე მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების ცოდნას.

ალ-ხარატისთვის წერა კვლევას პგავს, მის ნაწარმოებებში მუდმივი ძიებაა, რომელსაც შადაკ ბუშა'იბი კველვის სიგაუქს უწოდებს. ეს ძიება მრავალფეროვანია, ის ეხება წერის, მეტყველების, თხრობის სხავდასხვა დონებს. ეს გიური ძიებაა, რადაგანაც მან დაკარგა პასუხი. გიურია, რადგანაც წინასწარ ვრცნობს იმედგაცრუებას. ის ბნელშია და დაეძებს შეუძლებელს (3.43). თითქოს ალ-ხარატის ნაწარმოებებში ერთი დაკარგული ტექსტის ძიებაა.

მწერალი თავის შრომებში სშირად იყენებს ტერმინს „მეტარეალური“. ამ ტერმინით ის აღნიშნავს იმას, რაც რეალობის მიღმაა. მისი აზრით, რეალობა სშირად არსებულის მცდარ სახეს წარმოადგენს, რომელსაც არ შეუძლია მოგვცეს სიმართლე; ვერ დაგვეხმარება გაფიგოთ ის, ამიტომ საჭიროა ისეთი მწერლობის არსებობა, რომელიც წვდება იმას, რაც სილული რეალობის მიღმაა, სცილდება მის გარეგნულ სახეს და ჩადის სიღმეში, მასში დაფარულ საიდუმლომდე. ალ-ხარატმა თავის ლიტერატურულ თხზულებებში ამ ხედვის განხორციელება სცადა. მის ნაწარმოებებში მნიშვნელოვანი საკითხია რეალურობა. მათში რეალობა მრავალმხრივია, მრავლისმომცემელია და სცდება რეალობის ტრადიციულ გაგებას. ავტორი უბრალოდ არ აღწერს აწმუოს ან წარსულს. აქ დროისა და ადგილის მრავალი ფორმაა, რომელიც თხრობის სხვადასხვა ხაზს მიჰყება და ერთმანეთზე მოქმედებს. ეს ყველაფერი სცდება ადგილობრივ, არაბულ თუ მსოფლიო რეალობას და სშირად ეს სივრცეები გმირის, ან მთხოვნელის გონების სამყაროში გადადის. მრავალმხრივი რეალობა ალ-ხარატის ნაწარმოებთა ერთ-ერთი იმ თვისებათაგანია, რომელიც მათ განსაკუთრებულობასა და მათში არსებულ სიახლეს ადასტურებს (3.44). აქ თხრობის ორი ნაკადია: ცნობიერებაში მიმდინარე და რეალურად ფიზიკურად მიმდინარე ამბავი. თხრობის ხაზი სშირად წყდება, ხდება გადახვევა, ჩართულია ოცნებები, წარმოსახვები, ფანტაზია.

ედვარდ ხარატის ბრწყნავლე ნაწარმოები „ترابها ز عفران“, 1980 წელს გამოვიდა ბეირუთში და დღემდე დღიდ ინტერესს იწვევს. „მისი ქვიშა ზაფარნისფერიას“ (ترابها ز عفران) შესაძლოა, რომანი ვუწოდოთ, თუმცა ასევე შესაძლოა, ნოველათა კრებუ-

ლად მივიჩნიოთ. ნაწარმოების მეორე სახელია „ალექსანდრიული ტექსტები“ (نوصوص اسكندرانية). ალ-ხარატი ნაწარმოების მოკლე შესავალში თავის თხზულებას ტექსტებად მოიხსენიებს. ნაწარმოები ცხრა თავისაგან ანუ ცხრა ტექსტისაგან შედგება. თოთოვეული მათგანი შეიძლება დასრულებულ მხატვრულ ნაწარმოებად მივიჩნიოთ, მაგრამ ამავე დროს ყოველი ტექსტი უპატშირდება მის წინამავალ თუ მომდევნო ტექსტს. ასე რომ, ისინი ცალკეულ დამოუკიდებელ ერთეულებს მაინც არ წარმოადგენებ. თითქოს ალ-ხარატი თავისი ნაწარმოების აღწერისას თავს არიდებს ტერმინების „რომანი“ (رواية) და „ნოველა“ (قصة قصيرة) ხმარებას. ამის სანაცვლოდ ის ხმარობს „ტექსტებს“ (نص).

„ტექსტი“ არ გულისხმობს რომელიმე განსაზღვრულ ჟანრს, რომლის მიმართაც მკითხველს რაიმე განსაკუთრებული მოლოდინი შეიძლება პქონდეს. მაროკოელი მწერალი და კრიტიკოსი მჟამედ ბარადა წერს, რომ ადრეულ 60-იან წლებში ლიტერატურის ლექციებზე ალ-ხარატი მაგალითად მოჰყავდა, როგორც მწერალი, რომლის ნაწარმოებებიც განსაზღვრული ფორმის და ჟანრის ფარგლებს სცდებოდა (5.6-7).

მართალია, ედვარდ ალ-ხარატი შესავალში ამბობს, რომ ეს არ არის ავტობიოგრაფია (سيرة ذاتية) (1.5). თუმცა ნაწარმოებში ბევრი ამბავი ძალიან ახლოს დგას მწერლის ცხოვრებასთან. წევნ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის მიხაილის, მთავარი გმირის ავტობიოგრაფია, ალ-ხარატი კი უფრო ავტორის როლშია, დროებით მაინც, სცენის მიზანი მდგარი შემოქმედი, რომლის წარმოსახვაც მიხაილის მოგორებებისაგან, ოცნებებისა და ფიქრებისგან ნაწარმოებს ქმნის. ავტორი თავისი სახელით მოგვმართავს შესავალში, მირითად ტექსტში კი უკვე მიხაილის ხმა ისმის. თუმცა მიხაილის ხმა არაა სრულად გამოყოფილი ალ-ხარატის ხმისაგან. რომანში გადმოცვებულია ის, რაც გამოსცადა ან განსაკუთრებულად აღიქვა ბაგშემა და შემდეგ უპვე ზრდასრულმა მთხოობელმა გაიხსენა. „მე“ რომელიც ტექსტში ჩნდება, ასევე გვევლინება როგორც „ის“, მას ვხედავთ სხვადასხვა ამბავსა და შემთხვევაში. ეს „მე“ იქმნება სხვადასხვა გამოცდილების ნაკრებიდან, მას ბევრი ფორმა აქვს (2.34).

„მისი ქვიშა ზაფრანისფერია“ იწყება მიხაილის მოგორებით, როგორ მიდიდოდა ეტლით ბავშობაში. ამ ამბიდან მის მეხსიერებაში ცხენების გაოცლილი უკანალი და მათი „ძლივს შეკავებული, გაბარაზებული“ ჭიხვინი დარჩა (1.7). ბავშვის მი-

ერ სამყაროს აღქმა მჭიდროდ უკავშირდება შეგრძნებებს და თხეზულებაში უხვადაა ხედვის, ხმების, სუნის და საგნების მასალის ცხადი აღწერა. ეს გრძნობები მიხაილის ბავშვობის შემადგენელი ნაწილებია. ჩვენ თითქმის შეგვიძლია ბავშვთან ერთად შევიგრძნოთ ქადალდის, მტვრის და ქალის სუნამოს სუნი მისი ბიძის საწოლის ქვეშ, სადაც ის ხშირად გაურბოდა მარავალრიცხოვან ოჯახში არსებულ ხმაურს, რათა იქ დამალული გაზეთები და უურნალები დაეთვალიერებინა (1.44). ამ აღდგენილ განცდებს ჩვენ მთხოობელთან ერთად გადავყავართ სხვა დროსა და ადგილზე. ეს აღწერა სავსეა უმოციქბით. შიში, გრძნობები, სურვილები ამ ეპიზოდებს და მათ ბავშვისეულ აღქმას აფერადებს.

მიხაილის – ბავშვის წარმოსახვა ხშირად უკავშირდება ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას. სახეები, გმირები და ამბები, რომლებსაც ის ხვდება ლიტერატურაში და ზეპირ გაძმოცემებში, მის სიზმრებში და ოცნებებში, ისევე მონაწილეობენ, როგორც რეალური ადამიანები. ეს სიზმრები იმ სარკეებად იქცევა, რომელშიც ბავშვი თავის სამყაროს ხდეავს. როგორც ლიარდეტი აღნიშნავს თავისი თარგმანის შესაგალში „ათას ერთი დამე მეორდება დაით ელ-ენაბის ქუჩებში” (6.viii). ერთ ეპიზოდში დეიდის მონაცემი ზდაპრები და ხალხური თქმულებები თავიდან ცოცხლდებიან დამის კოშმარში და უერთდება წარმოსახვას იმ ქალის შესახებ, რომელიც ქმარმა მოკლა დირსების გამო. ის ქალი დაკლულ ძროხად იქცევა. დედა, დედა და მეზობელი ცდილობენ ძვლები შეაგროვეონ და სხეული თავიდან ააწყონ, ვიდრე ბოროტი სულები მოაჯადოვენენ. მეორე ეპიზოდში „ბრწყინვალე მზეთუნახავი” შიშველ ქალად იქცევა, რომელიც კენებით დაბრის დაბნელებულ ბინაში (1.131).

სცენები, რომლებიც ბავშვია ნახა და განიცადა, მთხოველის მოგონებებში მაკავშირებელი ელემენტის ფუნქციას ასრულებენ. ხშირად განმეორებადი ზოგი კონკრეტული სახე სიმბოლოებად იქცევა. ყველაზე ხშირად ამ სახეებიდან ცა და ჩიტები, ზღვა და მისი სანაპირო მეორდება. ეს სახეები სიყვარულის, სიკვდილის, სულის გადარჩენის, დროის და სივრცის შეზღუდვებისაგან გათავისუფლების საკითხებს აერთიანებს. ამ სივრცეებს შეუძლიათ, ადამიანს თავისუფლების და უკავდავების გემო აგრძნობინონ (7.42). პირველი თავის სათაური „გაფან-

ტული ოქთორი დრუბლები” მიუთითებს ცის იმ სურათზე, რომელიც მიხაილმა ბავშვობაში ნახა და ზღრასრულ მთხოობელს ისევ ცხადად ახსოვს (1.7). ამ სახის სიმბოლური მნიშვნელობა დასტურდება, როცა ნაწარმოების კითხვას ვაგრძელებთ. ჩიტი ფიგურირებს სამი თავის სათაურში: „შავი ყვავები დამეში”, „თეორეტიკონი თოლიები” და „მტრედების ალმოდებული ფრთები”. თვით ნაწარმოების სათაურშიც არ სახელდება ქალაქი ალექსანდრია, მის ნაცვლად ავტორი გვთავაზობს სახეს, რომელიც მისი ზაფარნისფერი ქვიშების შესახებ ნამდერი პოპულარული სიმღერიდან არის ნახესხები (7.43).

მიხაელის ადრეული ასაკის მოგონებები ხშირად უკავშირდება ჩიტებსა და ფრენას. ერთი მოგონება ქუჩის ლამპიონის შუქჟე მსხდომი შავი ჩიტების სახეა, ჩუმი და საშიში. ამ საშიშ სურათს ის ფანჯრიდან ხედავს და, წლების გასვლის მიუხედავად, საკმაოდ დიდი ძალა აქვს. ეს მოგონება გაურკვევლობის ელემენტებს შეიცავს, რადგანაც მთხოობელს ზუსტად არ ახსოვს, სად და როდის ნახა ეს ჩიტები, თუმცა თვითონ სურათი საკმაოდ ცხადია და ძლიერ ემოციას იწვევს (1.76). საინტერესოა კიდევ ერთი ეპიზოდი: განთიადისას ყურის ტკიფოლით და სიცხით გატანჯულ მიხაილს არ ეძინა. ამ დროს მან „ანგელოსის ფრთების ცემის ხმა” გაიგონა. ამასთან ერთად ტკბილი სუნი იგრძნო, რომლის მსგავსიც შემდეგ არასდროს უგრძვნია (1.93). იგულისხმება, რომ ანგელოზმა შეისმინა დედის ლოცვა და გადაარჩინა. მართალია, ამ მოგონებამ რაციონალური თვალსაზრისით შესაძლოა ეჭვი გამოიწვიოს, მაგრამ ტექსტიდან ჩანს, რომ ეს ყველაფერი მართალია და მიხაელიც ასევე ფიქრობს. სინამდვილე ისეთი ხარისხითაა წარმოდგენილი, რომ ის ბავშვის გონებაში დარჩა და ეჭვს არ იწვევს დიდის ცნობიერებაშიც.

ნაწარმოებში არის ეპიზოდები, რომლებიც ძალიან შორსაა რეალურად მომხდარისგან. ისინი სიზმარს ჰეგანი და თავიანთ არსებობას მხოლოდ გონებას უნდა უმაღლოდნენ. ეს ეპიზოდები ხშირად იწყება როგორც რეალური ამბავი, შემდეგ კი თანდათანობით, ან უეცრად ფანტასტიკის სამყაროში გადადიან, რომელშიც რეალობასა და სიზმარს შორის ზღვარი წაშლილია. ამ ეპიზოდებშიც ფრენისა და ზღვის სახეები დომინირებს. მათში შიშისა და შეგითხვების გამოხატულებაა, განსაკუთრებით კი ყველაზე მნიშვნელოვანის - სიკვდილის შიშის

და მასზე და მის მიერ გამოწვეულ არაყოფნაზე გამარჯვების დიდი სურვილის. სიკვდილის შიში მისი არსებობის მოსპობის შიშია. მას სურს, თავი დააღწიოს ამ სამყაროს სასრულობას, რაც მისი საკუთარი არსებობის სასრულობასაც ნიშნავს. ის გაურბის დროის და სივრცის შეზღუდვებს, რაც ამ ფანტასტიკურ ეპიზოდებში წარმოსახვის მეშვეობით სხვადსხვა ფორმით არის მიღწეული (7.44). ერთ-ერთი მაგალითია საყვარელ ქალთან შეერთება, რომელიც ჩიტის მსგავს არსებად და შესაძლოა ჩიტადაც გადაიქცევა: „ნაზი, მოსიყვარულე თეთრი ჩიტი ჩემსკენ ეშვება შავი ფრთების ცემით, მისი დამდუკველი სიახლოვე, სიყვარული აუცილებელად ქცეულა, და მე სუნთქვა მეკვრის მის რბილ ბუმბულებში, თოთქოს სიკვდილი მინდა, თოთქოს მას უუერთდები საბოლოოდ. ... მან მსხვერპლად შესწირა თავისი მიწიერი სხეული ჩემთვის; და მის მკერდში ჩაძირული ბოლოს ვხვდები, რომ სიყვარულის ძალა მარადიულად რჩება (1.80-81).” როდესაც ორი საყვარლის სხეული ერთმანეთს ერწყმის, მაშინ სიყვარული, სიკვდილი და უკავადვებაც ერთმანეთს ერევა. ჩიტის მსგავსი ქალის „სიამოგნების კვნესა სიკვდილის კვნესას ჰგავს...” (1.80) ქალის სურვილი, თავი მიუძღვნას მას, მიწიერი სხეული მისთვის გაწიროს, გმირს სიყვარულში უკავადების ნიშნებს დაანახებს.

ჩიტისა და ფრენის სახე ხშირად სიკვდილს უკავშირდება. ვინც კვდება, მიწაზე კი არ ეშვება, უსაზღვრო სივრცეში გადადის. მიხაილი ხედავს გოგონას თვითმკვლელობას. ის მოპირდაპირე შენობის აივნიდან ხტება. მიხაილი ამას ფრენად ადიქვამს. ისმის დაცემის ხმა, რომელიც გარშემო მყოფ მტრედებს ხეებიდან ააფრენს, მათ ფრთებს მზის ჩასვლის წითელი ფერი ედება, თოთქოს იწვან. გაფანტული თეთრი დრუბლების სახე, რომლითაც ნაწარმოები იწყება, კვალვ ჩნდება ბოლო თავში; თოთქოს უკან ვბრუნდებით, ან ავტორი გვახსენებს დასაწყისს და იმ მანძილს, რომელიც მიხაილის გონებაში გამოვიარეთ. ახლა დრუბლებს წითელი ელფერი დაკრავს, რადგანაც დღე, ისევე როგორც გოგოს სიცოცხლე და ნაწარმოებიც მთავრდება (1.172). მიხაილის წარმოსახვა ცვლის რეალობას, ის ხედავს გოგოს მარადიულ ფრენაში, სხეული არ აღწევს მიწამდე. სიკვდილი უსაზღვრობაში გადასვლად იქცევა, რომლის მონაწილე თავადაც ხდება. თაგს უსაფრთხოდ გრძნობს ჰაერში, უსაზღვრო ფრენაში არ ეშინია დაცემისა ან სიკვდილის (1.178).

„მისი ქვიშა ზაფრანისფერია” მთავრდება მისაილის მიერ საკუთარი სიკვდილის წარმოსახვით, სიკვდილი მარადიული მოგზაურობის სახეს იღებს, რომელშიც შერეულია სიყვარული, სიკვდილი, ფრენა და ზღვა. მისაილი იღებს სიკვდილს, როგორც გარდაუგადს, მაგრამ უარყოფს მისი ასრულების შემწყვეტ სიკვდილის ძალას.

„მისი ქვიშა ზაფრანისფერია” მრავალმხრივი ნაწარმოებია. მთხოვობელი იხსნებს ბავშვობასა და ახალგაზრდობას. ამისთვის სხვადასხვა დროსა და პიროვნების იუქნებს. ხშირად თავის თავს მესამე პირში მოიხსენიებს. თხრობა ერთ ხაზს არ მისდევს, თითქოსდა რეალისტურ აღწერებს სიზმრის მსგავი, თითქმის ჰალუცინაციური ეპიზოდები მოხდევს, უარყოფილია დროის თვისებები. ზოგჯერ თხრობაში ანბანის ასოებისადმი მიძღვნილ პიმების ვხვდებით. ერთსა და იმავე მოვლენას რამდენჯერმე ვხვდებით, თუმცა სხვადასხვა კავშირში. ხშირად მონათხრობი ამბების თანმიმდევრობა წყდება. გმირები, მათ შორის გარდაცვლილებიც ქრებიან და ნაწარმოების სხვადასხვა მონაკვეთში თავიდან წარმოგვიდგებიან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არაა სახელების, ადგილებისა და ამბების გაურკვეველი, უწესრიგო ნარევი, ეს უმაღლესი ოსტატობით შექმნილი ნაწარმოებია, რომელშიც უმცირესი დეტალიც კი არ არის შემთხვევით ნახმარი. მისი ფორმა მიჰყება გახსენების პროცესს, რომელსაც წარმოსახვები ერთვის. ჩვენ ვხედავთ, როგორ ადიქვამს და განიცდის ბავშვი თავის სამყაროს და მისი განცდა მსგავსია იმ ზრდასრული ადამიანის ხედვისა, რომლადაც ის იქცა. ბავშვობის სამყაროში ძიება მცდელობაა, თავი ერთად მოუყაროს წარსულს და აწმეოს, გააკროიანოს ის „მეგბი”, ის პიროვნებები, რომლებიც მთხოვობელი იყო და გაიმარჯვოს სიკვდილზე, როგორც დასასრულზე და როგორც არარსებობაში გადასვლის სიმბოლოზე.

- ادوار الخراط، ترابها زعفران، القاهرة، دار عبد الله عبد القادر، ادوار الخراط روائيا وقصاصا، ادوار الخراط مغامر حتى ٢. الاحمدي النشر، ١٩٩٩ . شداق بوشبيب، الخراط ٣. النهاية، نصوص احتفالية العام السبعين، القاهرة، الحضارة العربية، ٢٠٠٠ . ورهانات الكتابة الحديثة، ادوار الخراط مغامر حتى النهاية، نصوص احتفالية العام السبعين، القاهرة، الحضارة محمود أمين العالم، ادوار الخراط... ناقدا جماليا، ادوار الخراط مغامر حتى النهاية، ٤. العربية، ٢٠٠٠ . محمد برادة، "لغة الطفولة والحلم ٥. نصوص احتفالية العام السبعين، القاهرة، الحضارة العربية، ٢٠٠٠ . محمد برادة، ربط: الشركة المغربية للناشرين المتحدين محمد برادة، ٦. Edwar al-Kharrat، ١٩٨٦.

City of saffron, translation: Francis Liardet , London: Quareket Books, 1989, p.viii.

**7. Magda Al-Nowaihi**, Memory and Imagination in Edwar Al-Kharrat's Turabuha za'faran, Journal of Arabic literature, XXV, Leiden, 1994. **8. Maggie Awadalla**, The wedding of imagination and reality in Al-Kharrat's Alexandria: The city of saffron, Images of Egypt in twentieth century literature, University of Cairo, Cairo, 1991.

## **Tamar Mosiashvili**

### **City of saffron by Edward al-Kharrat**

Edward al-Kharat one of the most famous Egyptian writer, translator and critique was born in 1926 in Alexsandria. He made an outstanding contribution to development of Arabic novel. His talent, artistic vision and good knowledge of language bring his works to perfection. He creates a strange world with special features. His writings contain elements of the old Egyptian civilization, Coptic and Islamic culture. One of his best novels is "City of saffron". The novel seems to be an autobiography of the writer. Though he claims in the introduction that he isn't writing his autobiography, there are many similar facts to his life. In the novel Mikhael the narrator recollects his childhood and youth; and the text is made of the facts and events that the child experienced and the adult still remembers. So the main character isn't the one self, this one self is made of three selves: the child, the narrator and the author. Narration doesn't follow the main line; it's often imbued with dreams, fantasies and unreal visions. The borders and limits of time and space are rejected, so we can move from one time to another. In the narrative we often meet the same images of sea and waves, sky and birds; Through these images, dreams and changing times are discussed such questions as love, death, salvation and immortality. The sky and the sea are unlimited spaces where the narrator can transcend the borders and feel the symbolic triumph over death.

# ს ა რჩებ ვ გ 0

## პ გ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი მ ა რ ტ ლ ო ბ ა

გოჩა კუჭუხიძე – „წმიდა ჰაბოს წამების“ ტექსტისათვის.....	3
თინათინ ბიგანიშვილი – ჰიმნოგრაფი ავტორისა და მლოცველის ეგოს იდენტიფიკაცია სასულიერო პოეზიაში.....	8
მაია მაჭავარიანი – წმინდა დიმიტრის კულტის, ნაწილებისა და მირონმდინარების თარიღისათვის დიმიტრი თესალონი- კელის სასწაულების საკითხების ბერძნულ და ქართულ რედაქციებში.....	23
ელენე დგევეფაძე – ასმათის სახე "ვეფხისტყაოსანში".....	34
თამთა როგავა – ოემურაზ მეორის „სარკე თქმულთას“ ბიბლიური წყაროს ზოგიერთი ასპექტისათვის.....	41
ბელა ბალხამიშვილი – მეცნ დავითის (აღმაშენებლის) სახე ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობის“ მიხედვით.....	50

## XIX საშპრის ქართული ლიტერატურა

ლეილა დარჩია – კვლავ გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების ეპიზოდების შესახებ.....	57
ელზა ზედგინიძე – „შემოღამება მთაწმინდაზე“ და „მთაწმინდის მთვარე“.....	64
ნატო სიჭინავა – წმინდანთა სახეები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკასა და მხატვრულ შემოქმედებაში.....	69
ტატიანა გვილავა – სამართლიანობის იდეა ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკაში.....	87
თ. ტალიაშვილი, თ. სენიაშვილი – ზოგიერთი პოსტმოდერ- ნისტული პოსტულატის აქტუალიზაცია ვაჟა-ფშაველას პოემებსა ("ალუდა ქეთელაური", "ბახტრიონი", სტუმარ- მასპინძელი", "გველის-მჭამელი") და ალექსანდერის "სევისბერ გოჩაში".....	91
ლალი ჭითანავა – ბიბლიური სახეები და ეპიზოდები დავით ნოღელის შემოქმედებიდან.....	100
რუსულან აბულაძე – „ცხრა-წვენა“.....	107

## XX საუბრის ძართული ლიტერატურა

ზეინაბ სარია – მხატვრული უმწეობა – შემოქმედებითი ილეთი.....	114
მებ ჭედია – ვალერიან გაფრინდაშვილის ფერის სიმბოლიკისათვის.....	133
ქთევან ენუქიძე – მეტაპლაზმები პაოლო იაშვილის ლირიკაში.....	143
თემურ ბერიძე – ბედის თვითნებობა თუ ფატალური გარდუვალობა (მიხეილ ჯავახიშვილის „ორი შვილი“).....	154
მერი ტორაძე – ტიციან ტაბიძის ესე „ომის თემა ქართულ მწერლობაში“.....	159
ნანა ქობალია – „აგწიოთ წიგნის ხელოვნება შესაფერი გემოვნებით“.....	164
ალექსანდრე ასათიანი – ასათიანთა გვარის წარმომავლობის შესახებ (ლადო ასათიანის ბიოგრაფიისათვის).....	172
თეა ბეჭედანია – ირონიულ-პაროდიული ნაკადი ლადო ასათიანის ფუნაგორიებში.....	177
ლია ოსაძე – „სვეტიცხოველი – სიმბოლო მარადისობის და უკვდავების“ (პ. გამსახურდიას რომანის „დიდოსტატის მარჯვენის“ მიხედვით).....	184
მარინე გიგაშვილი – ლევან გოთუა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში.....	198
ნესტან ფიფია – ჯვარსახოვნება ოთარ ჩხეიძის რომანში „თეორი დათვი“.....	208
თეა ბერიძე – „სასაფლაოს ნაძვი“.....	218
ზაზა გოგია – ახალი „კრიტიკა“.....	228
<b>არქობრაზიული მიეგანი</b>	
თამარ ჭუმბურიძე – გრიგოლ ფერაძის არქეოგრაფიული ძიებანი.....	239

## **ფოლკლორისტიკა**

<b>სათუნა გოგია – საღვთო სახელები მეგრულში.....</b>	<b>261</b>
<b>ბელა მოსია – მეგრულ-ქართულ-ლაზური ზღაპრების შედარებისათვის.....</b>	<b>277</b>
<b>მამუკა ცუხიშვილი – შრომის ლექს-სიმღერები (საფეიქრო).....</b>	<b>282</b>

## **ლიტერატურა და პულტურა**

<b>თამარ ქოშორიძე – ცისფერი მაიმუნი – უბრალოდ ფუფუნების საგანი თუ საკრალური ცხოველი.....</b>	<b>288</b>
<b>ლეგან ცაგარელი – ფიქცია და კომუნიკაცია.....</b>	<b>298</b>
<b>ია ბურდული – სიმბოლიკა და რეალობა პატრიკ ზიუსკინდის რომანში “სუნამო”.....</b>	<b>313</b>
<b>თამარ მოსიაშვილი – ედვარდ ალ-ხარატის ზაფრანისფერი ქალაქი.....</b>	<b>319</b>

# CONTENTS

## OLD GEORGIAN LITERATURE

<b>Gocha Kuchukhidze</b> - For Identifying the Text of "St. Habo Tbileli".....	<b>3</b>
<b>Tinatin Biganishvili</b> - Identification of Praier's Ego With The Ego of hymnographist In Religious Poetry.....	<b>8</b>
<b>Maya Machavariani</b> -On the Date of the Cult, Relics and Myrrh of St. Demetrios in the Greek and Georgian Versions of the "Miracles of Demetrios of Thessalonike" .....	<b>23</b>
<b>Helene Dgvepadze</b> - The Image of Asmat in Rustaveli's Poem "The Knight in the Pather's Skin" .....	<b>34</b>
<b>Tamta Rogava</b> - „,The Conversation between the Day and Night" The Bible Source for some Aspect.....	<b>41</b>
<b>Bela Balkhgamishvili</b> - King David's (the Builder) Image in Anthon Catholikos's Work.....	<b>50</b>

## GEORGIAN LITERATURE OF XIX CENTURY

<b>Leila Darchia</b> - Again about the life episodes of Gregore Orbeliani.....	<b>57</b>
<b>Elza Zedginidze</b> - "Dusk at Mtatsmida" and "Maon of Mtatsminda".....	<b>64</b>
<b>Nato Sichinava</b> - Saint Images in Ilia Chavchavadze's Publicity and Fiction.....	<b>69</b>
<b>Tatiana Gvilava</b> - "The idea of Justice in Publicist cal works of Vadzha –Pshavela“.....	<b>87</b>
<b>T. Taliashvili, T. Sekhniashvili</b> - Actualization of some postulates of the Postmodernism in poems Vaja-Pshavela and in A.Kazbegi's story.....	<b>91</b>
<b>Lali Ghitanava</b> - Biblical faces and Episodes From David Nogheli's Work.....	<b>76</b>
<b>Rusudan abuladze</b> - About Dimitri Machkhaneli's Works.....	<b>100</b>

## **GEORGIAN LITERATURE OF XX CENTURY**

<b>Zeinab Saria</b> – On the Galaktion Tabidze's poems.....	117
<b>Eka Chedia</b> - Colir's Simbolic in Valerian Gaphrindashvili's Works.....	133
<b>Ketevan Enukidze</b> - The Metaplasms in Liric of Paolo Iashvili.....	143
<b>Temur Beridze</b> - Arbitrariness of Destiny or Fatal Inevitability (According to Mikheil Javakhishvili`s Story "Two Sons").....	154
<b>Mary Toradze</b> - Essay -"Theme of War in Georgian Writing" by Titsian Tabidze.....	159
<b>Nana Qobalia</b> - "ToLift Art of the Book to Tastes".....	164
<b>Aleksandre Asatiani</b> – About origin of the Asatiani surname (For Lado Asatiani biography).....	172
<b>Tea Belqania</b> - "Jestful manner in Lado Asatiani's Works.....	177
<b>Lia Osadze</b> - Svetitskovelı – Symbol of Eternity and Ymmortality (By the Novel by K.Gamsakhurdia „the Great master's Right Hand“).....	184
<b>Marine Gigashvili</b> - Levan Dothua in Georgian critical Literary .....	198
<b>Nestan Pipia</b> - Crossfigurativity in the Story “Tetri Datvi” by Otar Chkheidze.....	208
<b>Thea Beridze</b> - „Graveyard Fir”.....	218
<b>Zaza Gogia</b> – New "Critica" .....	228

## **ARCHEOLOGICAL RESEARCHES**

<b>Tamar Tsumburidze</b> - Archeographical Researched of Grigol Peradze.....	239
--	-----

## **FOLKLORE**

<b>Xatuna Gogia - Names of God in the Megrelian Language.....</b>	<b>261</b>
<b>Bela Mosia - About connection Megrelian-Georgian-Laz Tales...</b>	<b>277</b>
<b>Mamuka Tsukhishvili - Poem-songs of labour (Light industry).....</b>	<b>282</b>

## **LITERATURE AND CULTURE**

<b>Tamar Koshoridze - The Blue Monkey a Pet or a Sacred Animal.....</b>	<b>288</b>
<b>Levan Tsagareli - Fiction and Communication.....</b>	<b>298</b>
<b>Ia burduli - Symbolism and Reality is in the Novel “Parfum” by Patric Zuskind.....</b>	<b>313</b>
<b>Tamar Mosiashvili - City of saffron by Edward al-Kharrat.....</b>	<b>319</b>

ტირაჟი 100

გამომცემლობა „ზეპარი“

თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.  
2005